

თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ხასკელმწიფო
პედაგოგიური უნივერსიტეტი

ვახტანგ სართანია მიხეილ თოქმაზიშვილი
შორენა მაღლაკელიძე

განათლების ეკონომიკის პრინციპები

თბილისი

2004

ვ. სართანია მ. თოქმაზიშვილი
შ. მაღლაკელიძე

განათლების ეკონომიკური თეორია



თბილისი
2004

ნაშრომში წარმოდგენილია განათლების ეკონომიკის ძირითადი საკითხები, დახასიათებულია განათლების ეკონომიკური კონცეფციები და პრინციპები, თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური აზრის განვითარების მიმართულებები, განათლების სისტემის ევოლუცია, საშუალო და უმაღლესი სკოლის სტრუქტურული რეფორმების სტრატეგია და მიმართულებები გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, გლობალური და ინტეგრაციული პროცესები განათლების სფეროში, გადმოცემულია საგანმანათლებლო პოლიტიკის ისტორიული და თანამედროვე გამოცდილება.

ნაშრომი განკუთვნილია სტუდენტებისათვის, ასპირანტებისათვის, პედაგოგებისათვის. ვფიქრობთ, იგი კარგ სამსახურს გაუწევს აგრეთვე მათ, ვინც დაინტერესებულია განათლების ეკონომიკითა და რეფორმით საქართველოში.

ნაშრომი მომზადებულია ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველო"-ს ხელშეწყობით.

რედაქტორი -

რეცენზენტები: ავთანდილ სილაგაძე
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი

რეზო გოგოხია- ეკონომიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

მისეილ ჯიბუტი- ეკონომიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

ISBN 99940-0-229-5

© თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის
სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის
გამომცემლობა, 2004

წინასიტყვაობა

საზოგადოების ინტერესი განათლების მიმართ ყოველთვის დიდი იყო, არის და იქნება. მისი განვითარება მნიშვნელოვანი ფაქტორია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური თუ პოლიტიკური წარმატებების მისაღწევად, რადგან განათლება არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი, რომელიც უშუალოდ ზემოქმედებს ნებისმიერი ქვეყნის განვითარებაზე.

ისტორიულად, ჩვენს ქვეყანაში განათლების სისტემა განსხვავებული იყო დასავლური სისტემისაგან, შესაბამისად განსხვავებული იყო დამოკიდებულებაც განათლების სოციალურ-ეკონომიკური პრინციპების მიმართ. დღემდე განათლება განიხილებოდა, როგორც მხოლოდ სახალხო მეურნეობის შემადგენელი დარგი და უგულებელყოფილი იყო განათლების ეკონომიკური თეორია, როგორც დამოუკიდებელი დისციპლინა.

წინამდებარე ნაშრომში გადმოცემული მასალა სრულიად ახალია ქართული საზოგადოებრიობისათვის. იგი მიზნად ისახავს დასავლური და თანამედროვე ქართული საგანმანათლებლო სისტემების განხილვას, იმ პრინციპების გადმოცემასა და გამოყენებას, რომლებიც უზრუნველყოფენ განათლების სისტემის ტრანსფორმაციას თანამედროვეობისათვის დამახასიათებელი გლობალური ფასეულობების შესაბამისად.

წარმოდგენილი ნაშრომი ემსახურება პედაგოგებისა და განათლების სფეროს ხელმძღვანელი მუშაკების მომზადებას. ვიმედოვნებთ, რომ იგი ხელს შეუწყობს უმაღლეს სასწავლებლებში განათლების ეკონომიკური თეორიის კურსის დანერგვას, რაც აუცილებელი პირობა იქნება საქართველოში განათლების სისტემის სრულყოფისათვის და დემოკრატიული, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის.

რამდენადაც ასეთი სახის ნაშრომი პირველია საქართველოში, ამიტომ იგი უნაკლო არ იქნება და მასში გადმოცემული მრავალი საკითხი შესაძლოა საკამათო იყოს. ავტორთა კოლექტივი სიამოვნებით მიიღებს ყველა იმ შენიშვნას, რომელიც მომავალში მის დახვეწას შეუწყობს ხელს.

ვახტანგ სართანია

თავი I

განათლების ეკონომიკური თეორიის საბანო

§1. ეკონომიკა, განათლება და განათლების ეკონომიკური თეორია

ეკონომიკურ მეცნიერებაში არ არსებობს ეკონომიკური თეორიის ერთი რომელიმე მარტივი, საყოველთაოდ აღიარებული განსაზღვრება. ამ რთულ მოვლენაში, მეცნიერები მის ამა თუ იმ განსაკუთრებულ მხარეს უსვამენ ხაზს, მაგრამ მთავარი მათში ერთია, - ეკონომიკური თეორია არის სამეურნეო საქმიანობის განზოგადებული ცოდნა ადამიანისა და საზოგადოების არჩევანის შესახებ, ცოდნა იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება ფულის ან ნატურალური გაცვლის მეშვეობით გამოიყენებულ იქნეს შეზღუდული ბუნებრივი რესურსები იმისათვის, რომ ადამიანმა აწარმოოს სხვადასხვა სახის საქონელი და გაანაწილოს იგი მოხმარების მიზნით ადამიანებსა და საზოგადოების ჯგუფებს შორის მიმდინარე პირობებში და მომავალში. ეკონომიკური თეორია შეისწავლის ადამიანთა ურთიერთობებს, წარმოქმნილს ნატურალური პროდუქტის ან არანივთობრივი ხასიათის მომსახურების მიმართ. ეკონომიკური ურთიერთობა წარმოიშობა მხოლოდ შეზღუდული რესურსებთან მიმართებაში, რაც ფაქტიურად გულისხმობს ყველანაირ საქონელსა და მომსახურებას. ჰაერი, წყალი და სიუხვით ცნობილი სხვა საგნები, მხოლოდ პირობითად თუ შეიძლება ჩაითვალოს ამოუწურავ და შეუზღუდავ რესურსებად.

აღნიშნული გარემოებით არის განპირობებული როგორც სამეურნეო საქმიანობის, ასევე, ეკონომიკური თეორიის ხასიათი, რომლებიც გარდუვალად არიან დაკავშირებულნი რესურსების საწარმოო გამოყენების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების კონკურენტული ფორმით განხორციელების აუცილებლობასთან და განსაზღვრავენ საზოგადოების განვითარების შესაძლებლობებს. მხოლოდ ის საზოგადოება აღწევს წარმატებებს, რომელიც მიზანდასახულად აწარმოებს, ანაწილებს და მოიხმარს საზოგადოებრივ პროდუქტს.

ეკონომისტი-მკვლევარის საზოგადოებრივი როლის მიმართ საწინააღმდეგო პოზიციები გვხვდება. ერთნი ამტკიცებენ, რომ ეს როლი ძირითადად ანალიტიკური საქმიანობით უნდა შემოიფარგლოს და მიზნად ისახავდეს ეკონომიკური განვითარების ალტერნატიული გზების ძიებას, რომელიც არ გულისხმობს აქტიურ მონაწილეობას ნორმატიული პოლიტიკისა და გადაწყვეტილებების შემუშავებაში. მეორენი კი ასაბუთებენ ეკონომისტების აქტიური მონაწილეობის აუცილებლობას ნორმატიულ საქმიანობაში, რომელიც ეყრდნობა მათ მიერ არა მარტო ალტერნატიული ვარიანტის წარმოდგენას და მათი რეალიზაციის შედეგების განჭვრეტას, არამედ საუკეთესო გადაწყვეტილებების განსაზღვრასა და მათი განხორციელების ინსტიტუციონალური ფორმების შექმნაში მონაწილეობასაც.

მიუხედავად იმისა, რომ ორივე პოზიციას აქვს თავისი ძლიერი და სუსტი არგუმენტები და პოზიტიური მხარეები, ეკონომისტის თვალთახედვა და ქცევა უნდა ემყარებოდეს იმ რაციონალური მიზნის მიღწევის ამოცანასა და მაქსიმალური ეფექტის განხორციელებას, რომელიც მისგან მოითხოვს არა მარტო ეკონომიკური თეორიის ცოდნას, არამედ სულიერი, კულტურული, მორალური და სხვა ფასეულობების გათვალისწინებასაც, რაც განსაკუთრებით საჭიროა განათლების სფეროს განვითარებაში.

განათლების განსაზღვრა

განათლება არის ცოდნის, უნარის, დახელოვნების, აზროვნების კულტურის, ხასიათის და სხვა თვისებების სწავლებისა და განვითარების პროცესი ლეგალურ სასწავლო დაწესებულებებში. სასწავლო აქტივობა გულისხმობს ცოდნის წარმოებასა და განაწილებას, რომელიც ტარდება რეგულარულად ამ სასწავლო ინსტიტუტებში, დაწესებულებებში ან სხვაგან. აქცენტი ასეთ დაწესებულებებში გაკეთებულია ოფიციალურად მიღებულ საგანმანათლებლო სისტემაზე. აქვე ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ არსებითი სასწავლო სამუშაოები მიმდინარეობს სხვა ინსტიტუტებშიც, როგორცაა ეკლესიები, სამხედრო დაწესებულებები, სამოქალაქო ორგანიზაციები, კლუბები, ბიზნეს-ფორმები და სხვ. ინსტიტუტები.

განათლების ეკონომიკური თეორიის ცნება

განათლების ეკონომიკური თეორიის ცნება დაკავშირებულია განათლებისა და ეკონომიკის ფუნქციებთან. იგი არის ცოდნა იმის შესახებ, თუ როგორ აკეთებს არჩევანს ადამიანი და საზოგადოება ფულის მეშვეობით ან უსასყიდლოდ, იმისათვის რომ გამოიყენოს სულიერი წარმოების შეზღუდული რესურსები და განახორციელოს სხვადასხვა ტიპის სწავლება, განავითაროს ცოდნა, დახელოვნება, გონება, აზროვნება, ხასიათი და ა.შ. და გაანაწილოს ეს დოვლათი ეხლა და მომავალში საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებსა და ადამიანებში.

ყოველი საზოგადოებისა და ინდივიდის წინაშე დგება სწორი არჩევანის გაკეთების აუცილებლობა შეზღუდული საწარმოო და ფინანსური რესურსების ეფექტიანად გამოყენებისა და სხვადასხვა ტიპის სწავლების უზრუნველყოფისათვის. განათლების სისტემის ეფექტიანი მართვის ცოდნა ხელს უწყობს შემოქმედებითი ხასიათის სოციალური ქმედებების განვითარებას. ეს პროცესი ემყარება განათლების ეკონომიკური ღირებულების, მისი ეკონომიკური შეფასების, რესურსების განაწილების, დაგეგმვისა და მართვის სახელმწიფო პოლიტიკისა და სტრატეგიის განსაზღვრას, შეზღუდული რესურსების გამოყენებას.

განათლების ეკონომიკური თეორიის განმარტება ეხება განსაკუთრებით ოფიციალურ სკოლებს და არსებითად, ეს დისციპლინა მოიცავს შემდეგ ურთიერთობებს:

1. განათლების წარმოების პროცესს;
2. განათლების განაწილებას კონკურენტულ ჯგუფებსა და ინდივიდებს შორის და ამ კონკურენციის საზოგადოებრივ რეგულირებას;
3. განათლების ხარჯებს და იმ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, რომლებიც განსაზღვრავენ იმას, თუ რამდენი უნდა დახარჯოს საზოგადოებამ ან საგანმანათლებლო მომსახურების მიმღებმა სუბიექტმა ამ საქმიანობაზე და განათლების რომელი ტიპები უნდა იქნეს შერჩეული მისი ეფექტიანი წარმოებისა და მოხმარებისათვის.

ზოგიერთი ავტორის აზრით, ეკონომისტები უნდა იყვნენ ჩართულნი მხოლოდ იმ საქმიანობაში, რომელიც გულისხმობს მუშაობას ოფიციალური საგანმანათლებლო დაწესებულებების გარეთ - საბაზრო სფეროში, სადაც განათლების სპეციფიკური საქონლის მიმართ სახელმწიფოს ჩარევის გარეშე წმინდა სახით მოქმედებენ მოთხოვნა - მიწოდების კანონზომიერებები, სადაც

განათლების რაოდენობა და ხარისხი იზომება მისი სამეურნეო გამოყენების უშუალო შედეგების შესაბამისად, მაგრამ უშუალოდ საგნების სწავლების პროცესში და ფუნდამენტური განათლების სფეროში, სადაც მიმდინარე ეკონომიკური და სოციალური ეფექტი პირდაპირი გზით არ ვლინდება, ვინაიდან ის ეროვნული განვითარების სტრატეგიულ ამოცანებს ემყარება, - ეკონომისტებს არავითარი როლი არ უნდა ენიჭებოდეს. ასეთ პოზიციასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ეკონომიკური თეორიის პროგნოსტიკული ფუნქციების მნიშვნელობის ზრდისა და გრძელვადიანი სოციალური ცვლილებების ანალიზის გააქტიურების ფონზე, მისი ამგვარი შეზღუდვა არასწორი იქნებოდა. ეკონომისტები უნდა ერკვეოდნენ სასწავლო ტექნიკის ნიუანსებში, რაც მათ საშუალებას მისცემს გარკვეული ეკონომიკური ხასიათის სასარგებლო დასკვნები გააკეთონ. ყოველი სასწავლო პროცესი არის გარკვეული მიზეზის და შედეგის ურთიერთდამოკიდებულების გამოხატულება. სწავლების ქმედითობის გაუმჯობესების მიზნით გარკვეული დასკვნების გაკეთება სჭირდება მასწავლებლებს, რათა ეფექტურად გამოიყენოს სწავლების სხვადასხვა ტექნიკა. მიმდინარე და პოტენციური სწავლების ტექნიკა ზეგავლენას ახდენს ამ პროცესებზე.

რა თქმა უნდა, მოსალოდნელი შედეგების შესახებ ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს განათლების ექსპერტმა. მან უნდა განსაზღვროს პროცესი, რომლითაც მიზეზები და პირობები გარდაიქმნება საგანმანათლებლო საქმიანობის შედეგში. ეს უკანასკნელი კი მისთვის საკმაოდ რთული ამოცანა იქნება, რამდენადაც მისი შეფასება უნდა მოხდეს რაოდენობრივი, მათ შორის წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისითაც, ხოლო ეკონომიკური ბერკეტების გამოყენება კიდევ უფრო სრულყოფს და ხელს შეუწყობს საბოლოო დასკვნების გაკეთებასა და რეკომენდაციების შემუშავებას. ეკონომისტების შეზღუდვა მხოლოდ საბაზრო საქმიანობით დააბრკოლებს განათლების სფეროში რაციონალური გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას. ეკონომისტები აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ საგანმანათლებლო პროცესში იმ მიზნით, რომ მათმა საქმიანობამ გააუმჯობესოს განათლების ეკონომიკური და სოციალური ეფექტიანობა.

§2. განათლება როგორც ღირებულება

განათლება არის საკმაოდ მნიშვნელოვანი ერთ ერთი უდიდესი დარგი. რაც უფრო განვითარებულია ქვეყნები, მით უფრო მაღალია მთლიან შიდა პროდუქტში განათლების სფეროში დანახარჯები. მაგალითად, გერმანიაში, იაპონიაში და აშშ-ში განათლების სფეროში დანახარჯები შეადგენენ მათი მთლიანი შიდა პროდუქტის 4-5 პროცენტს, შვედეთში - 7-8 პროცენტს, საქართველოში და რუსეთში - 3-4 პროცენტია, ინდონეზიაში 1-2 პროცენტს. მსოფლიოში საშუალოდ დაწყებით სკოლებში სწავლობს შესაბამისი ასაკის 85-98 პროცენტი, საშუალო სკოლებში - 75-90 პროცენტი, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სასწავლო დაწესებულებებში - 25-60 პროცენტი.¹

ეკონომიკის ზრდასთან ერთად გამოვლინდა ყველა ქვეყნისათვის საერთო ტენდენცია: დანახარჯები განათლების სფეროზე იზრდება უფრო სწრაფად, ვიდრე იზრდება მასში დასაქმებულები და მოსწავლეების რაოდენობა. ეს, უთუოდ დადებითი მოვლენაა, თუმცა მისი პირდაპირი ეკონომიკური შედეგის დადგენა საკმაოდ რთულია, ვინაიდან ეს მოითხოვს განათლების, როგორც საბოლოო პროდუქტის რაოდენობისა და ხარისხის ზრდის ანალიზს და მისი ზეგავლენის შესწავლას ეროვნული განვითარების ეკონომიკურ და სოციალურ პროცესებზე.

მთლიანი დანახარჯები განათლების სისტემაში სრულად არ გამოხატავს განათლებაზე ინვესტიციების ცვლილებებს. ამჟამად ფართოდ არის აღიარებული, მაგრამ მაინც საკამათოა ის გარემოება, რომ განათლების ხარჯების მნიშვნელოვან წილი ეკუთვნის თვით სასწავლო კონტინგენტის შემონატანებს, მიუხედავად იმისა, რომ წიგნებზე და სხვ სასწავლო ნივთებზე შეიძლება გაკეთდეს საგადასახადო შეღავათები. საერთოდ, კი ინვესტირება განათლებაში უფრო გასაგები იქნება, თუ მას შევადარებთ მთელ ეკონომიკაში წარმოებულ რესურსებს, რომელიც იზომება მთლიანი შიდა პროდუქტით.

ტრადიციულად პასუხისმგებელი დაწყებითი და საშუალო სკოლების განვითარებაზე არის სახელმწიფო, მაგრამ სხვადასხვა ქვეყანაში ამ პასუხისმგებლობას ინაწილებს სხვადასხვა დონის ცენტრალური და ადგილობრივი მართველობის სახელმწიფო ინსტიტუტები, განათლებაზე ზედამხედველობის არასამთავრობო ორგანიზაციები. სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკა ხორციელდება როგორც ადგილობრივი

¹ The World Development Indicators. World Bank, 2000. on CD-Rom

ხელისუფლების, ასევე ცენტრალური ხელისუფლების მიერ, სადაც, სხვადასხვა მიზნებიდან გამომდინარე, განსხვავებულია მათი მარეგულირებელი და მაკონტროლებელი ფუნქციები და ზემოქმედების ინსტრუმენტები.

§3. განათლების ეკონომიკის პირითადი პრობლემები

განათლების პროცესი მოიცავს შეზღუდული რესურსების არსებითი ნაწილის გამოყენებას, ამიტომ სირთულეები წარმოიშევა მის ოპტიმალურ და რაციონალურ განთავსებასთან დაკავშირებით. იმ მიზნით, რომ მოძებნილი იქნეს სკოლის განვითარებისათვის სწორი გადაწყვეტილება აუცილებელია სოციოლოგებთან, იურისტებთან, ფსიქოლოგებთან და სკოლის მართვასთან დაკავშირებულ სხვა სპეციალისტებთან თანამშრომლობა.

განათლების ეკონომიკური პრობლემები შეიძლება გავყოთ ხუთ ჯგუფად:

1. განათლების ეკონომიკური ღირებულების განსაზღვრა და გაზომვა. ინდივიდები და მთლიანად საზოგადოება ღებულობენ გადაწყვეტილებას განათლებაში ინვესტიციების დაბანდების შესახებ. სასურველია, მათი ინვესტიციების ღირებულების გაზომვა, რაც გულისხმობს საგანმანათლებლო ღირებულებისა და განათლებიდან მიღებული სარგებლის შეფასებას.

2. განათლებაში რესურსების განაწილება. განათლების პროცესი მოითხოვს განათლებიდან მიღებული შედეგების განსაზღვრას მასში დაბანდებული რესურსების გათვალისწინებით, საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობის ეფექტიანობის დადგენას, რაც ეკონომიკური ანალიზის გზით შეიძლება განხორციელდეს.

3. განათლების დაგეგმა. განათლება არის განსაკუთრებული ხასიათის საქონელი და მასთან დაკავშირებით სრულად არ მოქმედებს საბაზრო კონკურენცია. მიუხედავად ამისა, არსებობს იმის აუცილებლობა, რომ დაგეგმა განხორციელდეს რესურსების ოპტიმალური გამოყენების მიზნით.

4. ფინანსები. ვინ უნდა გადაიხადოს საგანმანათლებლო მომსახურების საფასური? უნდა გაიღოს თუ არა ხარჯები სახელმწიფომ განათლების განვითარებისათვის როგორც სახელმწიფო, ასე კერძო სექტორებში? განათლების ხარჯების რა წილი უნდა გაიღოს სახელმწიფომ და რა წილი უნდა ჰქონდეს

საგანმანათლებლო მომსახურების მიმღებთ? ამასთან, თუ სუბსიდიები განათლების სფეროში გამართლებულია, მაშინ ვინ უნდა მიიღოს იგი უშუალოდ - საგანმანათლებლო ინსტიტუტებმა თუ მოსწავლეებმა და რა ფორმით? ეს კითხვები განათლების დაფინანსებას ეხება და ისინი სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული გზებით წყდება. ამას ემატება ხელფასების განსაზღვრის პრობლემებიც, რომელთა გადაჭრაც აუცილებელია საგანმანათლებლო ინსტიტუტების მართვის ეფექტიანად განხორციელების მიზნით.

5. ზემოთ აღნიშნული ყველა პრობლემა გარდამავალ პერიოდში საგანმანათლებლო დაწესებულებების საბაზრო რელსებზე გადაყვანასაც გულისხმობს და განათლების ეკონომიკის სპეციფიკური პრობლემებიც მხოლოდ ჩვენი ქვეყნისათვის დამახასიათებელი თავისებურებების შედეგად იქმნება.

ადამიანისეული კაპიტალი

§1. ადამიანისეული კაპიტალის თეორიის წარმოშობისა და განვითარების ისტორია

ადამიანისეული კაპიტალის თეორია წარმოიშვა 60-იან წლებში და დაკავშირებულია ამერიკელი მეცნიერის გრეი ბეკერის სახელთან. ამ თეორიის თანახმად, საწარმო ეფექტიანობის მნიშვნელოვანი ნაწილი დამყარებულია შრომის პროცესში მუშაკის ძალისხმევაზე. ფორმალურად განათლება არის ადამიანების სპეციფიკური უნარის გამოყენების, შრომის ხელოვნების ათვისებისა და შესაძლებლობების გაფართოების მთავარი რესურსი.

ადამიანისეული კაპიტალის თეორიის ავტორები თვლიან, რომ განათლებაზე დანახარჯები არის კაპიტალდაბანდებები ადამიანში, ხოლო ცოდნის მიღება - ადამიანისეული კაპიტალის დაგროვება. ამ შემთხვევაში განათლება განხილულია როგორც წარმოების დარგი, სადაც კაპიტალი იწარმოება ხანგრძლივი ვადით, ხოლო განათლება იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ მისმა მატარებელმა მთელი ცხოვრების განმავლობაში მიიღოს შემოსავალი და მონაწილეობდეს აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეს არგუმენტირებულია იმით, რომ ეკონომიკური საქმიანობის უნარი ინდივიდებს მოცემული არა აქვთ დაბადებიდანვე. მიწის მსგავსად, რომელსაც მოსავლის აღებამდე თავდაპირველად დამუშავება და კულტივაცია სჭირდება, ადამიანსაც წარმოებაში მისი შრომითი უნარის რაციონალურად გამოყენებამდე მომზადება და განათლების შექმნა ესაჭიროება. განათლებაზე დანახარჯებს აქვს ინვესტიციური ხასიათი. იგი იხარჯება ცოდნის ათვისებაზე, რომელიც მომავალში შემოსავლების მიღების წყარო უნდა გახდეს. ინდივიდები განათლების შექმნით ახდენენ კაპიტალდაბანდებას თავის თავში. რეალურად, რამდენადაც ეკონომიკაში მოთხოვნა იზრდება მაღალკვალიფიციურ მუშაკებზე და მათი შრომის ფასიც მაღლდება, იმდენად მრავალი მშობელი ფიქრობს, რომ მათი შვილების უმაღლეს განათლებაზე გაწეული ხარჯები წარმოადგენს ინვესტირების ეფექტურ ფორმას.

საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში ადამიანისეული კაპიტალის შეფასება იწყება ჯერ კიდევ ბიბლიური დროიდან, ხოლო ადამიანის ეკონომიკური

ღირებულების შეფასება ადრეული ეკონომიკური აზროვნებიდან მომდინარეობს. ისტორიულად იგი დაკავშირებული იყო მონების ყიდვა-გაყიდვის პროცესთან.

პირველი მეცნიერი, რომელმაც სერიოზულად შეაფასა ადამიანისეული კაპიტალი, იყო უილიამ პეტი. მისი შეფასება ემყარებოდა ორ თეზისს: 1. ერთობლივი მუშახელის გამომუშავება არის სხვაობა მთლიან ეროვნულ ხარჯებსა და მოგებას შორის, რომელიც მიღებულია მიწიდან და სხვა რესურსებიდან; 2. კაცობრიობის ფასი მრავალჯერ აღემატება სამუშაო ძალის მიერ გამომუშავებულ ღირებულებას.²

უილიამ პეტის მიერ წარმოდგენილი ასეთი აბსტრაქციები ძნელია აღსაქმელად და უგულებელყოფს მრავალ ისეთ ფაქტორს, რომელიც ყურადღების ღირსია, ამიტომ უმჯობესია, თუ ადამიანისეული კაპიტალის ღირებულებას მივუდგებით საწარმოო ღირებულებისა და კაპიტალიზებული ხელფასის თვალსაზრისით;

ადამიანისეული რესურსის ღირებულება ანუ ფასი არის იმ რესურსების ღირებულების ტოლი, რომლებიც მის წარმოებაზეა დახარჯული. ეს რესურსი გულისხმობს ადამიანის დაბადების დღიდან მის მზრუნველობაზე, კვებაზე, ჩაცმასა და განათლებაზე გაწეულ ხარჯებს. ყოველი დღის ხარჯი ზრდის ადამიანისეული რესურსის ღირებულებას.³

არის ამ შეხედულების საპირისპირო მოსაზრება, რომლის თანახმად, არ არსებობს არავითარი თავდაპირველი კავშირი ადამიანზე გაწეულ ხარჯებსა და ამ ადამიანისეული რესურსის საბაზრო ღირებულებას შორის. ამ თვალსაზრისით ღირებულება უნდა შეფასდეს არა წარსულ პერიოდში გაწეული ხარჯებით, არამედ ახლანდელი და მომავალი მოსალოდნელი საბაზრო ფასეულობების შესაბამისად და იგი უნდა გაიზომოს შექმნილი დოვლათის სიდიდით, რომელსაც გამოაკლდება ცხოვრებაზე გაწეული ხარჯები, ანუ ინდივიდების ერთობლივი ღირებულება გაიზომება მომავალი პერიოდის ხელფასის ამჟამინდელი ღირებულებით, მისი სიცოცხლის ხანგრძლივობისა და სამუშაო პერიოდის გათვალისწინებით. ადამიანისეული კაპიტალის ღირებულება

² Вильям Петти. Экономические и статистические работы. М., 1940. с.82.

³ ამ თვალსაზრისით, ადამიანისეული კაპიტალის ღირებულება სამუშაო ძალის ღირებულების ტოლფასია, მაგრამ მისგან განსხვავებით, ადამიანისეული კაპიტალი არის ის სარგებელი, რომელიც ფასდება საგანმანათლებლო ეფექტით წარმოებაში, ხოლო სამუშაო ძალის ფასი განისაზღვრება მისი კვლავწარმოებისათვის საჭირო ხარჯებით. ზოგიერთ თანამედროვე თეორიაში ეს ცნებები იდენტურად მოიაზრება.

იანგარიშება ინდივიდის სიცოცხლის განმავლობაში მიღებული მოსალოდნელი ხელფასების ჯამიდან, ადამიანისეული რესურსის ფასეულობა კი იქნება ის ერთობლივი ღირებულება, რომელიც ნაკლებია მის სიცოცხლის პერიოდში გამომუშავებულ ღირებულებაზე მისი არსებობისათვის საჭირო ღირებულების ჯამით.⁴

ადამიანისეული კაპიტალის განმარტებაში რეკოლუციური ცვლილებები მოხდა მაშინ, როდესაც გამოვლინდა განათლების, სწავლების პოტენციური ზემოქმედების მნიშვნელობა ადამიანის დახელოვნებაზე, ტალანტზე, ნიჭზე და ა.შ. ეკონომიკური აზრის ადრეულ ისტორიაში ადამიანისეული კაპიტალი რამდენიმე მეცნიერმა ჩათვალა კაპიტალის ნაირსახეობად და მხოლოდ ადამ სმიტმა მოაქცია იგი ეკონომიკური თეორიის ყურადღების ცენტრში. მან ადამიანისეული კაპიტალი დაახასიათა, როგორც ეკონომიკური ზრდისა და სიძლიერის რესურსი.

ადამ სმიტმა სამუშაო ძალის დახელოვნება დაახასიათა, როგორც უმნიშვნელოვანესი ძალა ეკონომიკური პროგრესისათვის. იგი აღნიშნავდა: "მუშის განვითარებული დახელოვნება შეიძლება განვიხილოთ იმავე თვალსაზრისით, როგორც მანქანა და სამუშაო იარაღი, რომლებიც აადვილებენ ან ამცირებენ შრომას და რომლებიც, თუმცა მოითხოვენ განსაზღვრულ ხარჯებს, მაგრამ ამ ხარჯებს ანაზღაურებენ მოგებითურთ".⁵

ა. სმიტი ამაზე შორს ვეღარ წავიდა, ბოლომდე ვერ შეაფასა ადამიანისეული კაპიტალის ღირებულება და დაკმაყოფილდა იმ თეზისით, რომ ადამიანისეული კაპიტალის წარმოებას მოაქვს მნიშვნელოვანი უკუგება სიცოცხლის პერიოდში შემოსავლების სახით. მისმა მიმდევრებმა ადამიანი შეიყვანეს კაპიტალის ცნებაში და არსებითად დაახასიათეს იგი დახელოვნების, ნიჭისა და სხვა უნარ-თვისებების მიხედვით.

ბ. სენიორი თვლიდა, რომ ადამიანისეული კაპიტალის ღირებულება აჭარბებს მთელ იმ მარაგს, რაც დიდ ბრიტანეთში იყო შექმნილი მატერიალური კაპიტალის სახით.⁶

⁴ L.I. Dublin, A.J. Lotk, The Money Value of a Man. New York., Ronald Press Company, 1946; E. Cohn, T.Geske, The Economics of Education. Pergamon Press. 1990. p.13.

⁵ ა. სმიტი, გამოკვლევები ხალხთა სიმდიდრის მიზეზებისა და ბუნების შესახებ. თბ., საბჭოთა საქართველო, 1938, გვ. 316.

⁶ B.F. Kiker, The Historical Roots of the Concept of Human Capital. "Journal of Political Economy", 1966, #74 (October). p.487.

ა. მარშალმა ადამიანისეული კაპიტალი გაათანაბრა პერსონალური სიმდიდრის ცნებასთან და იგი დაუკავშირა ენერჯიას, შესაძლებლობებსა და იმ თვისებებს, რომლებიც ადამიანებს ეფექტურს ხდიან. ამიტომ იგი მიიჩნევდა მას კაპიტალად.⁷

§2. საგანმანათლებლო სარგებელი და ადამიანისეული კაპიტალი

ინდივიდისა და საზოგადოების საგანმანათლებლო ღირებულების შესახებ არსებული შეხედულებების უმრავლესობა ადრინდელია და განსხვავდება ახალი წარმოდგენებისაგან. მართალია, ამჟამად აქცენტები კეთდება ჯანდაცვის, განათლებისა და სხვა ადამიანისეული რესურსების ეკონომიკაზე, მაგრამ ბევრი რამ კარგად იყო ცნობილი როგორც ადამ სმიტისათვის, ასევე მე-19 საუკუნის ზოგიერთი სხვა ეკონომისტისათვის. ადამ სმიტი შენიშნავდა, რომ განათლება აძლევს პირდაპირ და არაპირდაპირ სარგებელს როგორც მთელ საზოგადოებას, ისე განათლებამიღებულ ინდივიდებს. იგი ხორციელდება ცოდნის ინდივიდუალური წესით შექმნის გზით. მას სჯეროდა, რომ საკმარისი განათლების გარეშე მშრომელთა მასა გაუცხოვდება საზოგადოებისაგან, რის გამოც იქმნება მშრომელთა განხეთქილების საშიშროება. ა. სმიტი აღნიშნავდა, რომ საზოგადოებამ ყურადღება უნდა მიაქციოს განსაკუთრებით ღარიბთა განათლებას იმისათვის, რომ თავიდან აიცილოს სრული კორუფცია და დეგენერაცია (დაცემა)⁸. მისი აზრით, საუკეთესოა პარიზის სკოლა შოტლანდიური სისტემით, სადაც გაბატონებულია იძულებითი სწავლება. რაც შეეხება მის ღირებულებას, სმიტი წერდა, რომ განათლების ხარჯი, რა თქმა უნდა, მთელი საზოგადოებისათვის მომგებიანი უნდა იყოს და იგი უნდა იკისროს საზოგადოებამ. ეს ხარჯი უნდა გაიღოს ყველამ, ვინც უშუალოდ სასწავლო დაწესებულებებისა და ინსტიტუტებისაგან მიიღებს სარგებელს, ან

⁷ А. Маршалл, Принципы политической экономии. т.1., М., Прогресс, 1983. с.281-283.

⁸ А. Смит, Исследование о природе и причинах богатства народов. т.2. М-Л., Соцэкгиз., 1935. с. 303.

იგი შეიძლება ნებაყოფლობით გაიღონ იმ მოხალისეებმა, რომლებიც ფიქრობენ, რომ მათ აქვთ რაიმე კავშირი ყოველივე ამასთან.⁹

ა. მარშალი შენიშნავდა პირდაპირ და არაპირდაპირ სარგებელს შორის განსხვავებას. მისი აზრით, არსებობს მრავალი სახეობის შრომა, რომელიც სრულდება ეფექტიანად როგორც განათლებული, ასევე გაუნათლებელი ადამიანების მიერ. უმაღლესი განათლების სფერო აძლევს მცირე პირდაპირ სარგებელს ხელოსნებს, წვრილ მწარმოებლებსა და მუშებს, კარგი განათლება კი იძლევა არაპირდაპირ სარგებელს ყველა ჩვეულებრივი მშრომელისათვის. იგი ასტიმულირებს მის გონებრივ აქტიურობას, ავითარებს ცნობისმოყვარეობას, შრომით საქმიანობაში აქცევს მას და უფრო კეთილშობილურს, ორგანიზებულსა და საიმედოს ხდის. იგი აძლიერებს მის სიცოცხლისუნარიანობას როგორც სამუშაო, ასევე არასამუშაო საათების პერიოდში. იგი არის მატერიალური კეთილდღეობის მნიშვნელოვანი საშუალება.¹⁰

განათლება, ა. მარშალის აზრით, არა მარტო ეხმარება ინდივიდებსა და სოციალურ ფენებს თავისი ცხოვრების გაუმჯობესებაში, არამედ იგი არის ზღვარი სოციალურ კლასებს შორის; იგი არის საშუალება იმისათვის, რომ მიღწეულ იქნეს სოციალური მობილურობა და გამოვლინდეს იმათი “დამალული ნიჭი”, რომლებსაც, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შეიძლება ისე გაეველოთ თავიანთი ცხოვრება, რომ დარჩენილიყვნენ ყველასათვის უცნობნი. საზოგადოების მიერ განათლების მხარდაჭერის ახსნის სხვა არგუმენტები დაფუძნებულია იმის მტკიცებაზე, რომ განათლებას მოაქვს არაპირდაპირი სარგებელი.

ა. მარშალი აღნიშნავდა, რომ საზოგადოებრივი და კერძო დანახარჯები განათლებაზე არ შეიძლება გაიზომოს მისგან პირდაპირ მიღებული ნაყოფის მიხედვით. იგი არის ხანგრძლივ პერიოდში მოქმედი საინვესტიციო რესურსი, რომელიც შესაძლებლობას აძლევს ხალხის მასას, მიიღოს სარგებელი. ერთი ინდუსტრიული გენიის ეკონომიკური ღირებულება საკმარისია იმისათვის, რომ დაიფაროს მთელი ქალაქის ხარჯები განათლებაზე. უმაღლეს განათლებაზე წლების განმავლობაში გაღებული დანახარჯები კარგად იქნება ანაზღაურებული

⁹ იქვე, გვ 333.

¹⁰ А. Маршалл, Принципы политической экономии. т.1. М., Прогресс. 1983. с. 289.

მაშინ, როდესაც გამოვლინდება კიდევ ერთი ნიუტონი, ან დარვინი, შექსპირი ან ბეთჰოვენი¹¹

მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს თ. მალთუსმა წამოაყენა დებულება აფეთქების საშიშროების შესახებ იმ მოსახლეობისა, რომელიც მინიმალური საარსებო საშუალებების დონეზე ცხოვრობს. იგი აღნიშნავდა: განათლება გახდება ინვესტიციური რესურსი და იგი შექმნის იმ პირობებს, რომელიც შეზღუდავს ოჯახებში გამრავლებას. განათლება არის “სამოქალაქო თავისუფლება” და იგი ავითარებს მხოლოდ მიზანშეწონილ თვისებებს. ამდენად, მალთუსის აზრით, განათლებისაგან მიღებული სარგებელი გამოიხატება მოსახლეობის ზრდის შეზღუდვაში.

ადამიანისეული კაპიტალის ცნება აღიარებული იყო ადრეულ ხანაშივე მრავალი ეკონომისტის მიერ. იგი სიმდიდრის ტოლფასი ცნებაა და მასში იგივე აზრია ჩადებული, რაც მატერიალურ კაპიტალში. რამდენადაც ღირებულებასა და ფასეულობას შორის ურთიერთობაში მრავალი ფაქტორი მონაწილეობს, რომელთა სრული შეფასება არსებული კონცეფციების მიხედვით არასაკმარისია, ამდენად ადამიანის ფულადი ღირებულების შეფასების ცდები არაადეკვატურად გამოხატავენ მის რეალურ ფასეულობას. მიუხედავად ამისა, მრავალი მეცნიერი იყენებს სხვადასხვა შეფასებით მიდგომას და ცდილობს ამ ხარვეზის შევსებას. ერთნი ადამიანისეულ კაპიტალს აფასებენ როგორც სხვადასხვა ინვესტირების შედეგად წარმოებულ ღირებულებას, მეორენი, განსაზღვრავენ საკუთრივ საგანმანათლებლო ღირებულებას მიღებული შემოსავლებით, ამასთან, ადგენენ სხვადასხვა გამანაწილებელ ფაქტორებს და ერთმანეთს ადარებენ განათლების მისაღებად გაწეულ დღევანდელ ძალისხმევას იმ ძალისხმევასთან, რომელიც გარკვეული პერიოდის წინ იმავე რაოდენობის ცოდნის მისაღებად იქნა გაწეული. ამის საფუძველზე საგანმანათლებლო ღირებულების მაჩვენებელი სხვადასხვა კვალიფიკაციით მიღებული შემოსავლების სიდიდეების ტოლფასი ხდება.

¹¹ А. Маршалл, Принципы политической экономии. т.1. М., Прогресс. 1983. с. 294.

§3. ახალი ასექტები ადამიანისეული

კაპიტალის თეორიაში

ეკონომისტებს, რომლებიც მე-19 საუკუნეში გამოთქვამდნენ თავიანთ შეხედულებებს განათლებიდან მიღებული სარგებლის შესახებ, დღემდე სერიოზულ ყურადღებას არ აქცევდნენ. მხოლოდ მე-20 საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო განათლებაში ინვესტიციების, ადამიანისეული კაპიტალის ფორმირების, ეკონომიკური განვითარებისა და ერების კეთილდღეობის ურთიერთობების პრობლემების აქტიური შესწავლა. ადამიანისეული კაპიტალის ფორმირების სფეროში ყურადღება გამახვილდა როგორც საზოგადოების, ასევე ინდივიდისათვის განათლებიდან მიღებული სარგებლის გაზომვის საკითხებზე.

თეოდორ შულცი იყო პირველი მათგანი, ვინც ყურადღება მიაქცია განათლებასა და ინვესტიციებს შორის კავშირს. მან განათლებიდან მიღებული სარგებელი დაჰყო ორ კატეგორიად: პირველი გულისხმობდა სოციალურ სარგებელს, რომელიც გამომდინარეობდა განათლების, როგორც ეკონომიკური ზღის წყაროს ფუნქციიდან. მეორე კი - იმ სოციალურ სარგებელს, რომელიც დაკავშირებულია უნივერსიტეტებისა და ინსტიტუტების კვლევით ფუნქციებთან. მან შენიშნა, რომ სასწავლო დაწესებულებები ავითარებენ პოტენციურ ნიჭს და ამადღებენ ადამიანების შრომით შესაძლებლობებს, რომლებიც ასოცირებულია ეკონომიკის ზრდასთან. მთავარი პრობლემაა განათლებაში ჩადებული ინვესტიციებით მიღებული უკუგების გაზომვა, მაგრამ ეს ამოცანა საკმაოდ რთული გადასაწყვეტია, რადგან ძნელია ყოველი ღირებულებისათვის გამოიძებნოს ადეკვატური ადგილი.¹²

განათლებასა და შემოსავლებს შორის თანაფარდობის კვლევას მიექდვნა მრავალი ნაშრომი და ბევრი მათგანი სოფისტიკურ მეთოდოლოგიაზე იყო აგებული. მეცნიერთა უმრავლესობა იკვლევდა განათლებაში ინვესტირების შედეგად მხოლოდ პირდაპირი გზით მიღებულ ფულად შემოსავლებს. ეს თეორია ცნობილია მოგება-დანახარჯების ანალიტიკური მოდელის სახელით, რაც მიზნად ისახავს განათლების ზემოქმედებისა და მისი ეფექტის გაზომვას შემოსავლების მისაღებად. ამისათვის გამოყენებული იყო განსხვავებული ინსტრუმენტები, მათ შორის წლოვანება-გამომუშავების, გამომუშავების დიფერენციაციის, მიმდინარე

¹² T.W. Schultz, The Economic Value of Education. New York, Columbia University Press. 1963. p.40.

შემოსავლების დიფერენციაციისა და სხვ. 1970-1980 წლებში განათლებისა და შემოსავლების ურთიერთობების საკითხის კვლევის ტექნიკა უფრო გაუმჯობესდა და დაიწყო შერეული ეფექტების - ბუნებრივი ნიჭის, პროფესიების შესწავლის, ოჯახის, სკოლების ხარისხის და სხვ. გათვალისწინება.

განათლებიდან “სრული” უკუგების გასაზომად ძირითადი პრობლემები ეფუძნება სარგებლის ღირებულების რაოდენობრივად გამოხატვის შეუძლებლობას, რომელიც დაკავშირებული არ არის მონეტარულ სიდიდეებთან, მაგრამ ასოცირებულია განათლებისაგან მიღებულ ეფექტთან. უახლესი კვლევა ადამიანისეული კაპიტალის ფორმირებაში კონცენტრირებულია სწორედ განათლებიდან მიღებულ არასაბაზრო ფორმის უკუგებაზე. იგი ძირითადად ეხება არასაბაზრო მოხმარებას და ხორციელდება დასვენებისა და თავისუფალი დროის პერიოდში. ეს თეორიები იკვლევენ ურთიერთდამოკიდებულებას სასწავლო დაწესებულებებში მიმდინარე სწავლებასა და ჯანდაცვას, მართვის განხორციელებასა და მოხმარებით ქცევებს, სწავლებასა და მიგრაციას შორის. ამ თეორიის ერთ-ერთი ასპექტია სწავლების ზემოქმედება ოჯახის განვითარებაზე, კერძოდ, ოჯახის ფორმირებაზე, მოზარდებს შორის ურთიერთობაზე და ბავშვების კეთილდღეობაზე.

უახლესი კვლევების პრაქტიკული მნიშვნელობა ის არის, რომ ისინი აღგენენ როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური განათლების მნიშვნელობას ადამიანისეული კაპიტალის ფორმირებაში, განსაზღვრავენ განათლების ხელშეწყობასა და შემოსავლების განაწილებას (გამომუშავებას) შორის კავშირს, განმარტავენ განათლების ზემოქმედების ბუნებას სხვადასხვა სასიცოცხლოდ აუცილებელი სფეროების განვითარებაში და ამიერიდან მოძღვრებას ადამიანის სულიერი და მატერიალური ღირებულების შესახებ.

§4. შრომის ნაყოფიერება და ადამიანისეული

კაპიტალის თეორია

ადამიანისეული კაპიტალის თეორია განმარტავს ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ დონეებს შორის შესაბამისობას და ინდივიდების შრომითი უნარის სრულყოფის მოტივით ასაბუთებს ეროვნული ეკონომიკის ზრდის გარდუვალობას. იგი ეყრდნობა პრინციპს: განათლების მიღებით ინდივიდებში

ხდება სოციალური ცვლილებები და მათი ძალისხმევის შედეგად ძლიერდება პროცესები, რომლებიც განაპირობებენ სოციალურ და ეკონომიკურ აღმავლობას.

ადამიანისეული კაპიტალის თეორიას აქვს სხვა ინტერპრეტაცია, კერძოდ, განათლება არის თანამედროვე საზოგადოების ის ძირითადი ინსტიტუტი, რომელსაც შეუძლია გახდეს მრავალი სოციალური პრობლემის გადაწყვეტის "პანაცეა". ეს თეორია პასუხობს აგრეთვე კითხვას, თუ რატომ უყურებენ ინდივიდები განათლებას, როგორც მათი მომავლის ცენტრალურ ძალას და რატომ არიან ისინი ასე ერთგულნი ამ ინსტიტუტისადმი.¹³

ადამიანების მთავარი მოტივაცია განათლების შექენაში და საერთოდ ადამიანისეული კაპიტალის გაზრდაში არის შემოსავლების სახით მიღებული სარგებელი, რომლის გამოვლენის კონკრეტულ ფორმას წარმოადგენს შრომის ანაზღაურება.

შრომის ანაზღაურებას განსაკუთრებული ადგილი უკავია შრომითი ურთიერთობების რეგულირებაში. ეკონომისტები შრომის ანაზღაურებას განიხილავენ როგორც აუცილებელ ინსტრუმენტს, რომლის მეშვეობით შეიძლება მუშაკის შრომის ნაყოფიერების უზრუნველყოფა. "ვინც კარგად მუშაობს, ის მეტსაც ღებულობს და თუ მეტს ღებულობს, მაშინ იგი უნდა ცდილობდეს, რომ უკეთესად იმუშაოს". ეს ფორმულა ძალაშია იმ შემთხვევაში, თუ შრომის სხვა მოტივაციას არ აქვს ადგილი, მაგრამ რეალურად ამ ფორმულის პრაქტიკაში უზრუნველყოფა არ არის ადვილი.

მართალია, შრომის ბაზარზე სამუშაო ძალის ფასს განსაზღვრავს მასზე მოთხოვნა-მიწოდება, მაგრამ ფასის ფორმირებაზე გავლენას ახდენს არა მარტო ეს ურთიერთობა. არსებობს სხვა გარემოებებიც, რომლებსაც შეაქვთ კორექტივები ამ კლასიკურ კანონში. ეს შეიძლება იყოს საზოგადოების განწყობა, ისტორიული ღირებულებების გათვალისწინება, მოტივაცია და სხვ.

საერთოდ, საბაზრო ეკონომიკაში შრომის მთავარი სტიმული არის არა ხელფასის ზრდა, არამედ თვით ხელფასის სიდიდე. ადამიანს აინტერესებს ხელფასის სიდიდე. საწარმოების შემოსავლები დამოკიდებულია ინდივიდების შრომითი შესაძლებლობების გამოყენებაზე, ხოლო მათი ანაზღაურება - საწარმოს შემოსავლებზე.

¹³ J. Meyer, The Social Construction of Motives for Educational Expansion. Political Construction of Education. Ed. by B. Fuller and R. Rubinson. New York, Praeger. 1992. pp.225-238.

რამდენადაც მუშაკები ღებულობენ ანაზაურებას შრომის ზღვრული მწარმოებლობის მიხედვით, იმდენად უმაღლესი ზღვრული ხელფასი უნდა შეესაბამებოდეს მათ უმაღლეს განათლებას, რომელიც, თავის მხრივ, ზრდის ზღვრულ მწარმოებლობას. განათლების გამოყენებით მიღებული უკუგება მეცნიერების მიერ გამოყენებულია, როგორც ეკონომიკურ ზრდაზე განათლების ზემოქმედების საზომი ერთეული. განათლება დახასიათებულია როგორც ინვესტირების ობიექტი, რომელიც მოიტანს უკუგებას პერსპექტივაში, ამიტომ ინდივიდებსა და საზოგადოებას აქვს ეკონომიკური სტიმული საგანმანათლებლო ხარჯების გასაწევად. ამ დებულებიდან გამომდინარე, რამდენადაც განათლებაში მოსახლეობის ხარჯების ზრდა იწვევს ეკონომიკაში ადამიანისეული კაპიტალის ზრდას, იმდენად ეროვნულ ეკონომიკაში იზრდება შრომის ნაყოფიერება და შემოსავლები.¹⁴

დასკვნა

ეკონომიკური და სოციოლოგიური აზრის ისტორიაში (60-იანი წლებიდან მოყოლებული) გ. ბეკერის მიერ ადამიანისეული კაპიტალის კონცეფციის დასაბუთების შემდეგ კიდევ უფრო ნათელი გახდა ტრივიალური აზრი: რაც უფრო განათლებულია ერი, მით უფრო მეტ წარმატებას აღწევს იგი ეკონომიკურ ასპარეზზე. სწორედ ეს პოზიცია დაედო საფუძვლად იმასაც, რომ აღმოსავლეთ აზიისა და სხვა ქვეყნების ეკონომიკური წარმატება კარგად აწყობილი საგანმანათლებლო სისტემის საფუძველზე განხორციელდა. განათლების სისტემაში კაპიტალდაბანდებისაგან მიღებული უკუგება ყოველ ქვეყანაში პერსპექტივაში ქმნის ამ ქვეყნის წინსვლის პირობებს, ხოლო ასეთ ინვესტიციაზე უარის თქმა იწვევს სახელმწიფო ხარჯების გაზრდას, რადგანაც მომავალში, ცუდად განათლებული ინდივიდებისა თუ უმუშევრების რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში, საჭირო გახდება მათზე სახელმწიფო ხარჯების გარკვეული ნაწილის გადანაწილება.

განათლების ეკონომიკური ფუნქცია გულისხმობს ადამიანის შეიარაღებას აქტიური მონაწილეობის უნარით ეროვნული და პირადი სიმდიდრის შექმნაში. ამ სისტემის წარმატება კი შეიძლება შეფასდეს ადამიანისეულ კაპიტალში

¹⁴ G. Becker, Human Capital. New Yourk, Columbia University Press. 1964. T. W. Schults, Investment in Human Capital. "American Economic Review". 1996. #151, pp.1-16; I. Sobel, The Human Capital Revolution in Economic Development its Current History and Status. "Comparative Education Review". 1978, # 46, pp. 278-308.

ჩადებული ინვესტიციების ეფექტიანობით (სახელმწიფოს მიერ სწორი საგანმანათლებლო პოლიტიკის გატარების საფუძველზე). შესაბამისად, განათლებულ, კვალიფიციურ სამუშაო ძალაზე ხდება დამოკიდებული ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ზრდა.

თაზო III

სახელმწიფოს როლი ბანათლებაში

განათლების სისტემის ინსტიტუციური მოწყობის საკითხი ფრიად აქტუალურია როგორც სოციალურ ეკონომიკაში, ასევე პოლიტიკაში. მრავალი წელია მიმდინარეობს კამათი სახელმწიფოს როლის შესახებ განათლების სისტემის განვითარებაში.

უნდა აღინიშნოს, რომ საგანმანათლებლო მომსახურებაში თავისებურად მოქმედებს საბაზრო კონკურენცია და მისი კანონები, რაც იწვევს იმის აუცილებლობას, რომ დაგეგმვა განხორციელდეს რესურსების ოპტიმალური გამოყენების მიზნით. ასეთ პირობებში ჩნდება კითხვა: რა როლი უნდა შეასრულოს სახელმწიფომ განათლების სისტემის ეფექტიანობის გაზრდისათვის და როგორ უნდა განხორციელდეს მისი უზრუნველყოფა?

§1. ადრინდელი შეხედულებები სახელმწიფოს როლზე

ისტორიულად სახელმწიფოს როლი ფასდებოდა იმის მიხედვით, თუ რა ადგილი უნდა დაეკავებინა განათლებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. კლასიკური მიმართულების ეკონომისტები არ განიხილავდნენ მასობრივ განათლებას, როგორც კაპიტალის დაბანდებას ეკონომიკურ ზრდაში, მაგრამ აღიარებდნენ, რომ განათლებას შეუძლია შეიტანოს ირიბი წვლილი ეკონომიკის განვითარებაში. ა. სმიტის აზრით, შრომის დანაწილებას გააჩნია ზოგიერთი არასასურველი თანამდევი ეფექტი, რომელიც შეიძლება გაანეიტრალოს განათლების სახელმწიფო სისტემამ. იგი განათლებას აკისრებს უფრო მეტად ზნეობრივ სრულყოფას, ვიდრე კვალიფიკაციის ამაღლების როლს და ამაში მას ეთანხმება თითქმის ყველა კლასიკური ტრადიციის მიმდევარი.

მაღალუსიანელობის იდეების ფართო გავრცელებამ კეთილგანწყობა შექმნა განათლების, როგორც მასების ხელმომჭირნეობისა და განვითარების საშუალებების მიმართ. მიუხედავად ამისა, აკრიტიკებდნენ იმ შეხედულებას, რომლის თანახმად, სახელმწიფომ მხარი უნდა დაუჭიროს კერძო სკოლებს

დოტაციებით, მაგრამ მე-19 საუკუნის 60-იანი წლების ბოლომდე იდეა საერთო სახელმწიფო განათლების შესახებ არ იყო გაზიარებული.

ადამ სმიტი ფიქრობდა, რომ უმაღლეს განათლებაში ანაზღაურება უნდა ხდებოდეს შედეგების მიხედვით, მაგრამ სახელმწიფომ მხარი უნდა დაუჭიროს დაწყებით და საშუალო სკოლებს შოტლანდიის საეკლესიო სისტემის ანალოგიურად. აქ მასწავლებლებს აძლევდნენ ძირითად ხელფასს მცირე ფიქსირებული დახმარებით. ანაზღაურება დამოკიდებული იყო სასწავლო დისციპლინებზე. ინგლისში კი, პირიქით, ეკლესიის მიერ გაიცემოდა ლიცენზია მასწავლებლობაზე და სწავლების პროცესში განსხვავებული რელიგიური აზრის წარმონაქონა აკრძალული იყო. მრავალი სკოლა და კოლეჯი ფინანსდებოდა შეწირულობებით. ასმიტმა სწორედ შეწირულობის ეს სისტემა გააკრიტიკა. მისი წინადადებით, სახელმწიფოს მხარდაჭერა განათლებაში უნდა გამოხატულიყო შენობებისა და ნაგებობების გადაცემით განათლების მესვეურთათვის, ხოლო მასწავლებლების შრომის ანაზღაურება უნდა ყოფილიყო დიფერენცირებული.¹⁵

ასეთ იდეურ ატმოსფეროში ჯ. მილი იყო პირველი, რომელმაც განათლება დაახასიათა ისეთ სფეროდ, რომელშიც საბაზრო მექანიზმი არაეფექტიანი იქნებოდა. მისი აზრით, მხოლოდ ხანგრძლივი გამოცდილებით შეიძლება განათლების ხარისხის შეფასება, ამიტომ მის მყიდველს წინასწარ არ შეუძლია იცოდეს, რას ყიდულობს იგი და რა ხარისხისაა ეს საქონელი¹⁶. ჯ. მილი განათლებას მიიჩნევდა ბუნებრივ მონოპოლიად, უარყოფდა საერთო სახელმწიფოებრივ განათლების სისტემის მნიშვნელობას და ფიქრობდა, რომ სახელმწიფოს შეუძლია ბავშვობიდანვე ჩაუნერგოს ადამიანს ყოველივე ის, რაც მას აწყობს, ამიტომ, ამ ვითარების თავიდან ასაცილებლად, იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საოჯახო განათლების სისტემას და კერძო სკოლებს, სადაც გარკვეული ასაკის მოსწავლეებისათვის ჩატარდებოდა სახელმწიფო გამოცდები შერეული სისტემით. მისი აზრით, თუ მოსწავლე ვერ შეძლებდა გამოცდების ჩაბარებას, მაშინ მშობელს უნდა გადაეხადა თანხა, რომლითაც დაიფარებოდა განათლების ხარჯები. იგი მიზანშეწონილად მიიჩნევდა ღარიბთა ფენებისათვის სოციალური დოტაციების გაცემასა და სახელმწიფო სკოლების არსებობას ქვეყნის შორეულ რაიონებში. მიუხედავად ამისა, განათლების

¹⁵ А.Смит, Исследование о природе и причинах богатства народов. т.2. М-Л., Соцекгиз, 1935, с.287-333.

¹⁶ Дж.Ст.Милл, Основы политической экономии. т. 3. М., Прогресс. 1981. с. 353-354.

ძირითად სისტემად იგი კერძო დაწესებულებებს მიიჩნევდა, რადგან თვლიდა, რომ ამით განათლება უფრო წარმატებული გახდებოდა.

ჟ. მილი ინგლისის განათლების სისტემას არასრულყოფილად მიიჩნევდა და მისი გამოსწორების პასუხისმგებლობას აკისრებდა სახელმწიფოს, რომელსაც უნდა უზრუნველყო დაწესებულებების განვითარება ფინანსური მხარდაჭერის გზით.¹⁷ აგრეთვე ფიქრობდა, რომ სახელმწიფოს არ უნდა ჰქონოდა განათლებაზე პრეტენზია არც მაღალ და არც დაბალ საფეხურზე. მას არ უნდა მიენიჭებინა არანაირი პრივილეგია იმათთვის, ვინც სწავლობდა სახელმწიფო სკოლებში.

შემდგომ პერიოდში დისკუსია უკვე ინსტიტუციური მოწყობის თვალსაზრისით წარიმართა და პრიორიტეტი მიენიჭა ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების დამოკიდებულებას განათლების სისტემის უზრუნველსაყოფად.

ქვეყნებში, სადაც არსებობს მთავრობათაშორისი ურთიერთობის სისტემა (მაგალითად, აშშ-ში), დისკუსია შედარებით ინტენსიურია. ძირითადად იგი ეხება სასწავლო დაწესებულებების დაფინანსების, ხელისუფლების სხვადასხვა დონის სასწავლო სისტემაში ჩარევის ფორმებსა და მეთოდებს. განსაკუთრებით მწვავე დებატებია იმის თაობაზე, რა პასუხისმგებლობა უნდა გაინაწილოს ფედერალურმა, შტატებისა და ადგილობრივმა ხელისუფლებამ სკოლების, ინსტიტუტებისა და უნივერსიტეტების ინვესტირებაში. ზოგიერთი ამერიკელი მეცნიერი ფიქრობს, რომ ფედერალურ ხელისუფლებას არანაირი წვლილი არ უნდა მიუძღვოდეს ქვეყნის განათლების სისტემაში. ამასთანავე, აშშ-ის ყველა შტატი, რომელსაც აკისრია კონსტიტუციური პასუხისმგებლობა საზოგადოებრივი საგანმანათლებლო სისტემის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, ანხორციელებს მნიშვნელოვან ცვლილებებს ამ მომსახურების სფეროში.

არსებობს საკმაოდ დამაჯერებელი პოზიცია იმის მტკიცებისათვის, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ უზრუნველყოს და კონტროლი გაუწიოს საზოგადოებრივ სასკოლო განათლებას. ადგილობრივი კონტროლი უნდა დარჩეს ამ სისტემის უდიდეს ღირებულებად. მაგრამ ამ იდეის ყველა ქვეყანაში ერთნაირად განხორციელება შეუძლებელია, მით უმეტეს იგი შეუძლებელია გარდამავალი პერიოდის საქართველოში, სადაც ჯერ კიდევ აუწყობელია ადგილობრივი გადასახადების სისტემა.

¹⁷ Дж.Ст.Милл, Основы политической экономии. т. 3. М., Прогресс. 1981. с. 355-358.

ამჟამად განათლების ეკონომიკის მკვლევართა მხოლოდ მცირე ნაწილი უჭერს მხარს შეხედულებას, რომლის თანახმად, სახელმწიფოს არანაირი როლი არ უნდა ჰქონდეს განათლების სისტემის განვითარებაში. უმრავლესობა კი იზიარებს მოსაზრებას სახელმწიფოს მიერ განათლების სფეროს დაფინანსების აუცილებლობის შესახებ, მაგრამ კვლავ საკამათო რჩება საკითხი, თუ როგორი უნდა იყოს მისი როლი განათლებაში. არსებითი უთანხმოებაა იმის თაობაზე, როგორ უნდა განაწილდეს პასუხისმგებლობა ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამების უზრუნველსაყოფად.

მართალია, თეორიულად ამ პრობლემებზე მსჯელობა შესაძლებელია, მაგრამ იგი არ არის მარტივი, რაკი საჭიროა ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა კითხვებზე: მთავრობამ უნდა უზრუნველყოს თუ არა განათლების სფერო ფინანსური რესურსებით? ვინ შეიძლება მიიღოს სუბსიდიები - ინდივიდებმა თუ სასწავლო ინსტიტუტებმა? რა ფორმით უნდა მოხდეს დახმარებების გაცემა - ნაღდი ფულის სახით, სესხებით თუ საგადასახადო შეღავათების ან კრედიტების გზით? მიზანშეწონილია თუ არა, რომ მთავრობამ მისცეს სხვადასხვა სახის ფასიანი ქაღალდი მშობლებს, რომლებსაც ექნებათ მისი გამოყენების შესაძლებლობა მათ მიერ არჩეულ სკოლებში? ამ კითხვებზე პასუხი არ შეიძლება იყოს მარტივი. იგი გულისხმობს ობიექტურ, არამიკერძოებულ ეკონომიკურ გააზრებას; იმ ღირებულების გამოკვეთას, რომელიც სახელმწიფოს როლსა და მისთვის დამახასიათებელ მიდგომებს შეეხება.

ისტორიული გამოცდილება

ისტორიას თუ გაეითვალისწინებთ, დასავლეთის ინდუსტრიულ განვითარებულ ქვეყნებში კერძო სკოლებს გააჩნდათ უპირატესობა საზოგადოებრივ სკოლებთან შედარებით. რიგ ქვეყნებში დღესაც ასეთი ვითარებაა. უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში ფართოდ განვითარდა კერძო სკოლები. მათ სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახელმწიფო დონეზე ჰქონდათ სერიოზული მხარდაჭერა.

საინტერესოა აშშ-ის ისტორია. ამ ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემისათვის დამახასიათებელი იყო მაღალი დეცენტრალიზაცია და ძირითადად მხოლოდ ადგილობრივი მთავრობა აფინანსებდა სკოლებს, მაგრამ პრაქტიკულად უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში ეს სკოლები ცენტრალიზებული გახდნენ,

რამდენადაც ცენტრალურმა ხელისუფლებამ იკისრა მათი შემოსავლებით უზრუნველყოფის პასუხისმგებლობის ძირითადი ტვირთი.

კოლონიური ამერიკის პერიოდში განათლება იყო ოჯახების კერძო პასუხისმგებლობის საგანი. სამართლებრივი უზრუნველყოფა განხორციელდა მე-17 საუკუნეში საერთო სკოლების დაარსებით. ფაქტობრივად შემოღებულ იქნა საკუთრებაზე გადასახადი, რომელიც მიმართული უნდა ყოფილიყო იქითკენ, რომ ქალაქებში სკოლები გამოეყენებინათ მათ მხარდასაჭერად. მე-18 საუკუნეში ფედერალური სახელმწიფო ჩაერთო ამ პროცესში და დაიწყო ფედერალური მიწების გაჩუქება იმ მოტივით, რომ მათ გამოიყენებდნენ საგანმანათლებლო მიზნებისათვის. აგრეთვე დაარსდა პერმანენტული სკოლის ფონდი, რომლის წყაროს შეადგენდა მიწებიდან მიღებული შემოსავლები, მაგრამ მალე ნათელი გახდა, რომ პერმანენტული სკოლების ფონდი არაადეკვატური იყო დასახული მიზნების განსახორციელებლად. შტატებისა და ადგილობრივი საგადასახადო სისტემებიდან აუცილებელი გახდებოდა სკოლებისათვის ფინანსური მხარდაჭერა. მე-19 საუკუნეში საერთო სკოლების სისტემა გაფართოვდა, რადგან შტატებმა შემოიღო აუცილებელი მინიმალური ადგილობრივი გადასახადი, რომელიც საგანმანათლებლო მიზნებისათვის იყო გათვალისწინებული. გადასახადები იკრიფებოდა მხოლოდ საერთო სკოლებისათვის. ამერიკაში უმაღლესი სკოლები გაჩნდა მაშინ, როდესაც გადასახადების აკრეფა დაიწყო კოლეჯებისა და უნივერსიტეტებისათვისაც. ყურადღება მიექცა აგრეთვე შტატებისა და ადგილობრივი ხელისუფლების თანამშრომლობას საზოგადოებრივი სკოლების დაფინანსებასა და მოწყობაში. უცილებელი მოთხოვნა იყო, შტატების ფინანსები გამოეყენებინათ ადგილობრივი სკოლების გასავეითარებლად. ეს პოლიტიკა გულისხმობდა გრანტების არსებობას, მინიმალური პროგრამის შემუშავებას, კადრების სრული დაფინანსების სქემების განსაზღვრას, რომლებიც ახლაც კი არსებობს, როგორც შტატების საბაზისო მოდელი.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მნიშვნელოვნად ამაღლდა სახელმწიფოს პასუხისმგებლობა განსაკუთრებით დაწყებით (ელემენტარულ) და საშუალო სკოლებზე. შტატებმა კიდევ უფრო გაზარდეს დაფინანსება და შემოიღეს ადგილობრივი სკოლებისათვის სწავლების სერტიფიკატი, პროგრამები, სკოლის ბიზნესისა და მენეჯმენტის პრაქტიკუმი და სხვ.

ამჟამად სკოლის დაფინანსების რეფორმების შედეგად გაიზარდა შტატების ზემოქმედება განსაკუთრებით იმ ადგილობრივ სკოლებზე, რომლებიც დროთა

განმავლობაში ეკონომიკური და ფინანსური პარიტეტის ცვლილებების გამო უთანაბრო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. შეიცვალა ადგილობრივი და შტატების დაფინანსების წილიც. ამ პროცესებში სულ უფრო გაიზარდა ფედერალური მთავრობის ფინანსების როლი, თუმცა პერიოდულად იგი მცირდება კიდევ, მაგალითად, რონალდ რეიგანის ადმინისტრაციამ შეამცირა ფედერალური დახმარება სკოლებზე და მის ნაცვლად ყურადღება გაამახვილა სხვადასხვა კატეგორიის პროგრამებსა და გრანტებზე, აგრეთვე დაიწყო შტატების ცენტრალიზებული სკოლის სისტემის კრიტიკა, განსაკუთრებით კი იმ მოთხოვნით, რომ როგორც პოლიტიკოსები და ზოგიერთი საფინანსო ექსპერტები ფიქრობდნენ, საზოგადოებრივ სკოლებს უნდა მისცემოდათ არჩევისა და თავისუფლების შესაძლებლობა. მთავრობა კი ნაკლებად უნდა ჩარეულიყო სასკოლო სისტემის მოწყობაში. ამ პერიოდში ყურადღება გამახვილდა სხვადასხვა პროგრამასა და სწავლების საკრედიტო სქემაზე; კამათი გამწვავდა აგრეთვე სახელმწიფო როლის შესახებ. სახელმწიფო სკოლის კრიტიკოსები მოითხოვდნენ მათ კერძო სკოლებთან საბაზრო კანონების შესაბამისად კონკურენტულ ურთიერთობას.¹⁸

სასწავლო დაწესებულებების ინსტიტუციური პრობლემები დამახასიათებელი იყო საქართველოს განათლების სისტემისათვისაც. თუ ისტორიულად საქართველოში სკოლების შენახვასა და მართვას ძირითადად ეკლესია ანხორციელებდა ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით, მე-19-20 საუკუნეში მასზე პასუხისმგებლობა ძირითადად ცენტრალურმა ხელისუფლებამ იკისრა. მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ კვლავ დადგა საკითხი ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების როლისა და ფუნქციების შესახებ სკოლების მართვასა და კონტროლის განხორციელებაში. ამჟამად პრობლემის გადაწყვეტა განათლების რეფორმის პროგრამის ფარგლებში არის დაგეგმილი.

¹⁸ E. Cohn, T. Geske, *The Economics of Education*. 3-rd edition. Pergamon Press. 1990. p.22-24.

§2. სახელმწიფოს თანამედროვე

როლი

განათლების სფეროში სახელმწიფო ინტერვენციის შესახებ დისკუსია ინტენსიური გახდა 60-იან წლებში. შემდგომ იგი კიდევ უფრო გამძაფრდა იმასთან დაკავშირებით, რომ დაიწყო მსოფლიოში “სიღარიბის წინააღმდეგ” პროგრამებისა და ღონისძიებების შემუშავება, შეიქმნა აზრი, რომლის თანახმად, საზოგადოებრივი სკოლების სისტემა მარტივია, იგი არ ხორციელდება დამაკმაყოფილებლად. განათლებაში სახელმწიფოს როლის აუცილებლობის მტკიცება სხვადასხვა ფილოსოფიური არგუმენტით ხდებოდა. ეს არგუმენტებია:

1. სახელმწიფოს მიერ უმცირესობის უფლებების დაცვა;
2. გარე ანუ "სამეზობლო" ეფექტების არსებობა;
3. განათლების როლის ზრდა დემოკრატიის განვითარებაში;
4. შესაძლებლობათა თანასწორობის უზრუნველყოფა;
5. “საერთო ღირებულებების” დადგენის აუცილებლობა;
6. განათლების ეფექტის განსაზღვრა ეკონომიკურ ზრდაზე.¹⁹

1. უმცირესობის უფლებების დაცვა

დაწყებით და საშუალო განათლებაში ჩაბმული არიან ბავშვები 17 წლის ასაკამდე. ისინი უმცირესობას წარმოადგენენ და თავისთავად ვერ ღებულობენ გადაწყვეტილებებს. მათი განათლების საკითხს მშობლები წყვეტენ. პრობლემა იმაშია, რამდენად არიან ისინი ინფორმირებული სწორი გადაწყვეტილების მისაღებად. შესაძლებელია თუ არა, რომ ნიჭიერი შვილების მშობლებმა მიიღონ არასწორი გადაწყვეტილება? შეუძლია თუ არა სახელმწიფოს, ჩაერიოს ბავშვის ბედის გადაწყვეტაში და უზრუნველყოს მისთვის ადეკვატური ზრდა? პრინციპული უთანხმოება იქმნება იმ საკითხთან დაკავშირებითაც, როდისაა მიზანშეწონილი, მშობელმა გამოხატოს თავისუფალი არჩევანი ბავშვის განათლების მიღებასთან დაკავშირებით.

ოპონენტები, რომლებიც ბავშვის დაცვის არგუმენტების წინააღმდეგი არიან, ცდილობენ დაამტკიცონ შემდეგი: თუ მშობლები შვილების განათლების

¹⁹ E.G. West, Education and the State, 2-nd ed. London, Institute of Economic Affairs. 1997. p.40-41.

მიღებასთან დაკავშირებით სწორი გადაწყვეტილების მისაღებად საკმარისად მომზადებული არ არიან, ისინი ვერ განსჯიან ბავშვის ზრდის ისეთ ასპექტებს, როგორცაა სათანადო კვება, რელიგიური რწმენის შთაგონება, ჰიგიენის დაცვა და სხვა. ამ ლოგიკის თანახმად, სახელმწიფომ უნდა გამოიყვანოს ბავშვი მშობლიური გარემოდან, მშობლების ჩვევებიდან და აღზარდოს, მაგრამ რამდენად მიზანშეწონილია ისეთი განათლების სისტემა, რომელიც მშობლებისა და ბავშვების ინტერესებს ერთმანეთს დაუპირისპირებს?

2. გარე ეფექტების არსებობა

მეცნიერებს შორის მთავარი უკმაყოფილება იქმნება იმასთან დაკავშირებით, რომ არსებობს პოზიტიური გარე ეფექტები, რომლებიც განათლების მიღებასთანაა ასოცირებული. თუ ასეთი გარე ეფექტები არსებობს, იგი განათლებაში თავისუფალი საბაზრო სისტემის შემოღებით შეამცირებს განათლების დონეს. ამიტომ ზოგიერთი საზოგადოებრივი ქმედება, მაგალითად, სახელმწიფოს პირდაპირი დაფინანსება, აუცილებელი გახდება. პრობლემის არსი იმაშია, რომ გარე ეფექტები ასოცირებულია ან მხოლოდ ეკონომიკურ აქტივობასთან, ან სუბსიდიებთან, ან კიდევ სხვა ქმედებებთან და არა საკუთრივ განათლებასთან. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ განათლება და დანაშაული ერთმანეთთან უკუდამოკიდებულებაშია. დაწყებითი და საშუალო განათლება არის სწავლება საბაზისო განათლების მისაღებად და იგი უზრუნველყოფს უფრო მეტად სოციალურ სარგებელს. თუ კანონები მას (ამ განათლების მიღებას) სავალდებულო ქმედებად აქცევენ, მაშინ იმ პოლიტიკის შერჩევა, რომელიც დამოკიდებული იქნება გარეგნული მხარეების მოქმედებასა და ეკონომიკურ ბერკეტებზე, მინიმუმამდეა დაყვანილი. ადმინისტრირება და ვალდებულება ხდება სწავლების განმსაზღვრელი. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ უმაღლეს განათლებაში სახელმწიფოს მხარდაჭერა ხშირად მოტივირებულია გარე ეფექტების მოქმედებით და ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება მაშინ, როცა გარე ეფექტების ცვლილებები მნიშვნელოვანი არ არის საზოგადოებისათვის.

3. განათლება და დემოკრატია

ექვს გარეშეა, რომ მყარი დემოკრატია არ შეიძლება არსებობდეს გაუნათლებლობის გვერდით. ეს დამოკიდებულება გარე ევექტების ერთ-ერთი სახეობაა. უფრო მეტიც, უმაღლესი განათლება უზრუნველყოფს ლიდერობას დემოკრატიული საზოგადოებისათვის, ხოლო განათლების ლიბერალური ხელოვნება უზრუნველყოფს მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების მრავალი ასპექტის ფართო გაგებას და ეხმარება ისეთი ყოველმხრივ განსწავლული ადამიანების ფორმირებას, რომლებიც მზად იქნებიან იბრძოლონ დემოკრატიის გადასარჩენად და გასაფართოებლად. ხელისუფლება მხარს უჭერს და უზრუნველყოფს სისტემურ განათლებას, როგორც დემოკრატიის გაძლიერების საშუალებას. ხელისუფლების ჩარევით იზრდება განათლების ინვესტირება. ეს უკანასკნელი განათლებაში სახელმწიფოს ინტერვენციის გამართლების არგუმენტი. გარდა ამისა სახელმწიფოს ჩარევა გამართლებულია იმით, რომ იგი სასარგებლოა პოლიტიკური და ეკონომიკური ერთიანობის დასამყარებლად, მაგრამ ყოველივე ეს არ ნიშნავს, თითქოს სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს განათლების სისტემის ყველა ნიუანსი.

4. შესაძლებლობების თანასწორობა

სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს თავისი პოლიტიკით თავისუფალი და სავალდებულო სწავლების შერწყმას, უზრუნველყოს საზოგადოების ყველა წევრის ხელმისაწვდომობა და მათი შესაძლებლობების თანასწორობა განათლებაში. ზოგიერთ ოჯახს არ შეუძლია უზრუნველყოს შვილებისათვის განათლების საჭირო დონე. ეს იწვევს ადამიანისეული რესურსების დაკარგვას არა მარტო ინდივიდებისათვის, არამედ საზოგადოებისათვისაც. დამატებითი განათლების შექმნა ნიშნავს ოჯახებისათვის დამატებითი ხარჯების გაწევას. ღარიბი ფენებისათვის ასეთი ხარჯები აღემატება მათ შემოსავლებს. ყველას კარგად აქვს გააზრებული, რომ ბავშვებისათვის განათლების მიცემა ნიშნავს მომავალში მათ მიერ მეტი სარგებლის მიღებას, ამიტომ ყველამ რომ შეძლოს განათლების მიღება, შემოსავლების განაწილება საზოგადოებაში სამართლიანი უნდა იყოს. ეს ურთიერთობა გამოხატავს შემოსავლები-განათლებასა და განათლება-შემოსავლებს შორის ორმხრივ კავშირს.

საზოგადოებაში შემოსავლების თანასწორი განაწილება ხელს უწყობს განათლების ზრდას, ხოლო, თავის მხრივ, განათლების ზრდასთან ერთად გადანაწილება თანაბარი ხდება. საერთოდ, თანასწორობის რაიმე ერთიანი განზოგადებული და ამასთან, ყველასათვის ერთნაირად მისაღები განმარტება არ არსებობს. როგორც წესი, თანასწორობის ცნებაში იგულისხმება შექნილი დოვლათის სამართლიანი განაწილება საზოგადოების წევრებზე. თანასწორობა არის განაწილებისა და გადანაწილების შედეგი. პოლიტიკური ფილოსოფიის ამოსავალი პრინციპის, ლიბერალიზმის თანახმად, სახელმწიფომ სამართლიანობის შენარჩუნების პოლიტიკა უნდა გაატაროს.²⁰ ამ თვალსაზრისით, რაც უფრო ძლიერია სახელმწიფო და განათლებულია ერი, მით უფრო მეტად თანასწორია სიმდიდრის განაწილება სამოქალაქო საზოგადოებაში, მაგრამ, განათლებიდან მიღებული სარგებელი ინდივიდისათვის ყოველთვის არ გულისხმობს მის სოციალურ კეთილდღეობას. ამავე დროს შემოსავლები-განათლების კავშირი იცვლება სხვადასხვა გარეგნული და ემპირიული ფაქტორების ზეგავლენით. ზოგიერთი თეორიის მიხედვით, შედარებით სუსტია განათლება-შემოსავლის კავშირი განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც განათლების შემდეგ გამომუშავებული თანხები არ არის საკმარისი სიღარიბის დონის შესამცირებლად. შესაბამისად ჩნდება ეჭვი სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკის როლზე შემოსავლების თანაბრობის შემცირებასთან დაკავშირებით.

5. საერთო ღირებულების ძიება

მე-19 საუკუნემდე იდგა იმის შესახებ, რომ განათლება არის საზოგადოებრივი ფუნქცია, მხოლოდ პრუსიაში იყო გავრცელებული. საქართველოში იგი განიხილებოდა ელიტარული ფენების ქცევათა პრესტიჟულ ფორმად ან კიდევ საეკლესიო საქმიანობისათვის აუცილებელ პირობად. აშშ-ში იგი აღიქმებოდა, როგორც კერძო საწარმო, რომელიც უნდა დაფინანსებულიყო ეკლესიის ან მშობლების მიერ. სახელმწიფო კი მოიაზრებოდა, როგორც დამხმარე და არა განათლების უზრუნველყოფი ორგანიზაცია. მე-19 საუკუნეში საყოველთაოდ დაიწყო სკოლების, ძირითადად კი დაწყებითი და საშუალო

²⁰ ვ. პაპავა, საბაზრო თანასწორობის დოქტრინა. თბ., საქართველოს მოქალაქეთა კავშირი. 1999. გვ. 3, 4, 21.

სკოლების, გავრცელება. მან თანდათანობით მასობრივი ხასიათი მიიღო. საქართველოში გაჩნდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ხალხის კულტურული დონის ამაღლებას.

აშშ-ში ისტორიულად, სახელმწიფო სკოლების შექმნის სასარგებლოდ ერთ-ერთი არგუმენტი იყო სხვადასხვა ქვეყნიდან ემიგრანტთა მზარდი მასის აშშ-ში საცხოვრებლად გადმოსვლა. ემიგრანტებს ჰქონდათ განსხვავებული ენა, კულტურა და ა.შ. სახელმწიფოს ერთიანობის დასამყარებლად ხელი უნდა შეეწყო ერების ერთიერთობაში "ყინულის გადნობისათვის". აშკარა იყო, რომ საზოგადოებრივ სკოლებს შეეძლოთ უზრუნველყონ "საერთო ღირებულების" ფორმირება, რომელიც აუცილებელი იყო ამერიკელების, როგორც ერის, გადასარჩენად.

აშშ-ში სახელმწიფო სკოლების ფორმირების სხვა არგუმენტები დაკავშირებული იყო ეკლესიისა და სახელმწიფოს ერთმანეთისაგან იზოლირების აუცილებლობასთან. რამდენადაც კერძო განათლება ხდებოდა ეკლესიას დაქვემდებარებულ სკოლებში, იქმნებოდა საშიშროება იმისა, რომ ეკლესიის დაშორება სახელმწიფოსაგან არ შეიძლებოდა დიდხანს გაგრძელებულიყო.

დღეს ყველა ეს არგუმენტი საკმაოდ სუსტად გამოიყურება. ემიგრაცია ნებისმიერ ქვეყანაში ზეგავლენას ახდენს ხალხის მხოლოდ მცირე რაოდენობის ცნობიერებაზე. ეკლესიისა და სახელმწიფოს გამოყოფის პრობლემები მხოლოდ ლიტერატურაშია შემორჩენილი. ამასთან, ნათლად ვერ გამოიკვეთა ის გარემოება, განათლების სისტემის სახელმწიფო მოწყობა რა ზეგავლენას უნდა ახდენდეს "საერთო ღირებულების" ჩამოყალიბებასა თუ ადამიანების რელიგიურ რწმენაზე. ამჟამად სკოლებმა წარმატებით გაუძლეს პროგრამების ჰომოგენიზაციის ცდებს და ყველა რაიონის სკოლაში მოსწავლეები ღებულობენ ერთი და იმავე ღირებულების კომპლექსს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დღის წესრიგში დარჩა პრობლემა, უნდა შემოიღოს თუ არა სახელმწიფომ "საერთო ღირებულებები" ყველა მოსწავლისათვის? უნდა უკარნახოს თუ არა მან თავისი ვერსიები ნამდვილი ღირებულების შესახებ იმ მშობლებს, რომლებსაც განსხვავებული აზრის იქნებიან ღირებულების შესახებ? დაბოლოს, ცვალებადია თუ არა ის ღირებულება, რომელიც ცივილიზებული კულტურიდან მომდინარეობს? თუ პირველ ორ კითხვაზე პასუხი იქნება "არა" და ბოლო კითხვაზე კი - "დიახ", მაშინ "საერთო ღირებულების" პოზიციებიდან

სახელმწიფოს ინტერვენციის გამართლება განათლების სისტემაში საკმაოდ ძნელი იქნება.

6. განათლების ზეგავლენა ეკონომიკის განვითარებაზე

თუ განათლება აძლიერებს ეკონომიკას, ეკონომიკის ზრდა კი არის ერის მიზანი, მაშინ სახელმწიფოს ჩარევა განათლების სფეროში მიზანშეწონილია. მაგრამ ეს არ გულისხმობს სკოლებზე სახელმწიფოს ტოტალურ კონტროლს. ასეთი მიზანი შეიძლება მიღწეულ იქნეს მხოლოდ სკოლების დაფინანსების გზით.

როგორც ჩანს, არგუმენტი იმის შესახებ, რომ სახელმწიფოს როლი განათლებაში აქტიური უნდა იყოს, ყოველთვის არ არის გამართლებული, თუმცა თანასწორობის უზრუნველყოფა საყოველთაოდ არის აღიარებული, როგორც სახელმწიფოს განათლებაში ჩარევის აუცილებელი პირობა.

განათლების სისტემის მომსახურების მრავალფეროვან არჩევანზე მოთხოვნის საპასუხოდ, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა საგადასახადო, საკრედიტო გეგმებისა და პროგრამების შექმნას, ზოგიერთი ავტორი, მაგალითად, ამერიკელი მეცნიერი ჰ. ლევინი, მოითხოვს საზოგადოებრივი განათლების სისტემის განვითარებას იმ არგუმენტებით, რომლებიც უპირისპირდება დემოკრატიას, თანაბარი შესაძლებლობების შექმნასა და საერთო ღირებულებას.²¹

ჰ. ლევინის აზრით, აშშ-ში წლების განმავლობაში საერთო სახელმწიფო სკოლა უზრუნველყოფდა ახალგაზრდების საერთო სწავლებას. ეს გარემოება აღიქმებოდა, როგორც სახელმწიფოს ჩარევა სწავლების არჩევანში და პასუხობდა საზოგადოების მიერ სარგებლის მიღების მოთხოვნას იმის მიუხედავად, თუ რა სურვილი ჰქონდათ ოჯახში ინდივიდებს. კოლექტიური ღირებულების სწავლება, საერთო ენა და უნიფიცირებული საზოგადოებისათვის დამახასითებელი პოლიტიკური პრაქტიკა აფართოებდა ერის პოტენციურ შესაძლებლობებს. ეს ეფექტი ვლინდებოდა ეკონომიკურ ზრდაში, ქვეყნის დემოკრატიის განვითარებაში, სოციალური მიზნების გაერთიანებასა და ეროვნული სახელმწიფოს ფორმირებაში.

²¹ H.M. Levin, Educational Choice and the Pains of Democracy. In T. James and H. Levin, Public Dollars for Private Schools, Philadelphia. Temple University Press. 1983. pp.17-38.

პრაქტიკული გამოცდილების შედეგი

მართალია, ისტორიულად საერთო სკოლები მიზნად ისახავდა ერის ინტერესების გაერთიანებასა და უნიფიცირებას, მაგრამ იგი არ პასუხობდა ინდივიდების მიერ არჩევანისა და თავისუფლების მოთხოვნებს. იქმნებოდა აზრი ხალხის კერძო ინტერესების საზოგადოებრივ ინტერესებთან ადაპტაციის შესახებ. მართალია, კომპრომისების გზით დაცულ იქნა კერძო სკოლები, მაგრამ პარალელურად ფართოვდებოდა სახელმწიფოს მიერ კარგად რეგულირებადი საზოგადოებრივი სკოლები..

უკანასკნელ წლებში აშშ-ში ჩატარდა სახელმწიფო სკოლების დემოკრატიზაციის ცდები და შემცირდა სკოლების დიფერენციაცია ადგილობრივი მმართველობის დონეზე, მაგრამ ეს დემოკრატიის საწინააღმდეგო ქმედებას წარმოადგენდა, რისთვისაც კრიტიკა დაიმსახურა. მიუხედავად ამისა, შეიცვალა სკოლის დაფინანსების სტრუქტურა და შემცირდა განათლების მიღებისათვის უთანასწორო შესაძლებლობები. მაგალითად, შემოდებულ იქნა სექსუალური სწავლების და ადამიანთა ურთიერთობების კურსი, რომელიც შეიჭრა რელიგიური და ლოგიკური ქცევების ჩვევებში და გააუქმა სკოლების რასობრივი ნიშნით დაყოფა. ამ ცვლილებებმა შეამცირა განათლების მომსახურებაზე არჩევანის შესაძლებლობა, რომელსაც ყველაზე მეტად იყენებდნენ ქალაქის პრივილეგირებული ფენები და ამავე დროს გააფართოვა მომსახურება ნაკლებად პრივილეგირებული სტუდენტებისათვის. საერთო ცვლილებები განხორციელდა იმ მიზნით, რომ შექმნილიყო ისეთი საზოგადოებრივი სკოლები, რომლებიც გაათანაბრებდა ინდივიდებისათვის განათლებაზე არჩევანის შესაძლებლობებს და განახორციელებდა საზოგადოების დემოკრატიულ მიზნებს განათლებაში. ამ ორ გარემოებას შორის ბალანსის დაცვა გახდა მოქმედების მთავარი პრინციპი. ერთი მხარის იგნორირება ნიშნავდა მეორე მხარის იგნორირებასაც. საზოგადოებრივი ინტერესების იგნორირება არჩევანის უზენაესობის სასარგებლოდ ნიშნავდა საზოგადოების მიზნების იგნორირებას განათლებაში. სოციალური კონსენსუსი დამყარდა პოლიტიკური პროცესის გზით, იმის დადგენით, თუ რა უნდა იყოს გამოცდილებით დემოკრატიული განათლების არსებითი საფუძველი და რას უნდა გულისხმობდეს იგი. ამასთანავე, დადგინდა, რომ ინდივიდებსა და ოჯახებს

უნდა ჰქონდეთ ალტერნატივების უფლება მხოლოდ განათლების ზოგადი საფუძვლების შემდეგ დამატებითი ცოდნის მისაღებად.

დასავლეთის ქვეყნების სახელმწიფო სკოლებში საგანმანათლებლო არჩევანის გაფართოების მიზნით ჩამოყალიბდა რამდენიმე პოლიტიკური გზა: სახელმწიფო სტრუქტურის დეცენტრალიზაცია ინდივიდუალური სკოლებისათვის და სკოლების სპეციალიზაცია, რომლებსაც ექნებათ გამდიდრებული პროგრამები და დამატებითი დაფინანსება ნაწილობრივი ავტონომიის პირობებში; კონტრაქტების ფართოდ გამოყენება სხვა არატიპური პროგრამების შემუშავებისა და განხორციელებისთვის ზოგადი საფუძვლების პროგრამის გარდა; სწავლების სხვადასხვა ფინანსურ და საკრედიტო პროგრამების კერძო არჩევანის გაფართოება.

§3. საზოგადოებრივი საქონელი

და მოთხოვნა

მრავალი ქვეყნის ეკონომიკური სისტემა არის შერეული სისტემა, რომელიც გულისხმობს კერძო და სახელმწიფო სექტორების თანაარსებობას. საბაზრო და სახელმწიფო სტრუქტურები გადაწყვეტილებას იღებენ, როგორ დააკმაყოფილონ საზოგადოების შეზღუდული რესურსებით ადამიანის მოთხოვნილებები.

კერძო სექტორში მთავარი ფიგურაა მომხმარებელი. მისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ემსახურება ყიდვის პროცესი, რომელსაც ახორციელებს თვითრეგულირებადი ეკონომიკა. ასეთ ეკონომიკაში რესურსების განაწილება ემყარება კონკურენციას, მოთხოვნასა და მიწოდებას, ფასების სისტემასა და ბიზნესის მოგების მოტივაციას. საზოგადოებრივ სექტორში მოქალაქეები იყენებენ შესაძლებელ საარჩევნო აპარატს იმისათვის, რომ მათ მიერ არჩეულმა ოფიციალურმა წარმომადგენლებმა მიიღონ ისეთი ეკონომიკური გადაწყვეტილებები, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების გამოყენებას მათი ინტერესების გათვალისწინებით განახორციელებს.

სახელმწიფო გადაანაწილებს რესურსებს და ახდენს დარგების სტაბილიზაციას. იგი პასუხისმგებელია საქონლისა და მომსახურების გადაანაწილებაზე საზოგადოებაში, რადგან კერძო ბაზრის ფასების მექანიზმი ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს რესურსების ეფექტიან განაწილებას. ამიტომ

სახელმწიფოს განაწილებით და გადანაწილებით ფუნქციას ენიჭება მნიშვნელოვანი როლი სოციალური ეფექტების მისაღწევად.

ამერიკელი მეცნიერის რ. მისგრეივის აზრით, მთავრობამ უნდა უზრუნველყოს საზოგადოების ორი ტიპის მოთხოვნა: სოციალური სურვილი და კერძო სურვილი. სოციალური სურვილის დაკმაყოფილება ხდება ჩვეულებრივი საქონლის შესყიდვისაგან განსხვავებით. სოციალური ანუ საზოგადოებრივი საქონლის მოხმარება ერთნაირად შეუძლია ყველას, მიუხედავად იმისა, გადაიხადა თუ არა ამ საქონლით მიღებული სარგებლის საფასური. რ. მისგრეივმა ამ გარემოებას უწოდა "არამეტოქეობრივი მოხმარება", კერძო საქონლის მოხმარებისაგან განსხვავებით, რომელიც გულისხმობს "მეტოქეობას". ასე რომ, საზოგადოებრივი საქონელი ან უნდა იყოს უზრუნველყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტის მეშვეობით, ან საერთოდ არ უნდა იყოს უზრუნველყოფილი.²²

თუ კერძო სექტორში ინდივიდები მონიღომებენ თავისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, მაშინ უნდა გადაიხადონ საქონლის ან მომსახურების საფასური. თუ ისინი მოიწადინებენ, იყიდონ ავტომობილი ან ტყავის პალტო, მაშინ გამოიყენებენ გამორიცხვის (ექსკლუზიურობის) პრინციპს. იურიდიული სისტემა იცავს ადამიანის უფლებებს კერძო საკუთრების მიმართ და ინდივიდების მიერ შესყიდული საქონლის ექსკლუზიური გამოყენებისა და მომხმარების შესაძლებლობებს. ამავე დროს, საბაზრო მექანიზმის ან კონკურენციის "უხილავი ხელის" მიუხედავად, ადამიანები განახორციელებენ კერძო სურვილებს და ყიდულობენ იმ საქონელს, რომლის რაოდენობას ან ხარისხსაც ანიჭებენ უპირატესობას. ეს არ არის სახელმწიფო სექტორი, სადაც პოლიტიკური პროცესები ცვლიან საბაზრო პროცესებს; სადაც ძნელია განისაზღვროს მოქალაქეების მიერ საზოგადოებრივი საქონლის მიმართ უპირატესობების არჩევა.

ბაზარზე მომხმარებლები ამოწმებენ, სინჯავენ და უპირატესობას ანიჭებენ სუვერენიტეტის ბატონობას. ამას ყველაზე კარგად საბაზრო სისტემა ახორციელებს. სახელმწიფოს ჩარევა მიზანშეწონილია განხორციელდეს მომხმარებელთა მოთხოვნილების ეფექტიანი განსაზღვრის მიზნით. თუ მომხმარებელს არ შეუძლია საკმარისად შეაფასოს განათლების სისტემა,

²² R.A. Musgrave, Public Finance in Theory and Practice, 5-th ed. New York., McGraw-Hill. 1989.p. 12-16.

კლასიკური მუსიკა, ჯანდაცვის ინსტიტუტების საიმედოობა და ა.შ., საზოგადოებას პასუხისმგებლობა ეკისრება მომხმარებელთა გემოვნების "გვერდის ავლით", უკარნახოს ინდივიდებს "შესაბამისი" მოთხოვნები, რომელიც დადგენილია მმართველი ელიტის მიერ, თუმცა ეს დებულება შეიძლება საკამათოც იყოს.

მართალია, მთავრობის სუბსიდიები ხშირად ცვლის მოთხოვნას ისეთ საქონელზე, როგორცაა ხელოვნების ნიმუშები ან განათლების დონე, მაგრამ ეს არ არის პირდაპირი აზრით ინტერვენცია მომხმარებლის მოთხოვნებებსა და მის მიერ უპირატესობების მინიჭებაში. რეალურად სურვილის დაკმაყოფილება დაფუძნებულია ერთობლივი ინტერესების არსებობაზე და ასეთი ინტერესი წარმოიშვება მაშინ, როცა არსებობს ერთობლივი ფასეულობა და ამ ერთობლივი მნიშვნელობის ფასეულობაში ყოველი ადამიანის არჩევანია გაბატონებული.

§4. სახელმწიფოს სხვა ფუნქციები

სახელმწიფო განათლების ორგანიზაციის ერთ-ერთი მთავარი ინსტიტუტია, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნულ საგანმანათლებლო სტანდარტებს და განათლების მიღებაში ქმნის მოსახლეობის ყველა ფენის თანასწორ პირობებს განათლების სისტემის დეცენტრალიზაციისა და სასწავლო დაწესებულებების დაფინანსების გზით.

სახელმწიფოს ხელთ არსებულ განათლების სფეროს რეგულირების ძირითად ბერკეტებს მიეკუთვნება საგანმანათლებლო სტანდარტები და პროგრამები, საგანმანათლებლო დაწესებულებათა ლიცენზირება (licentia- უფლება, ნებართვა), მონიტორინგი (monitoring - კონტროლი, დაკვირვება), ატესტაცია (attestatio - მოწმობა) და აკრედიტაცია (acredo - ვენდობი), დაფინანსება, სახელმწიფო დაკვეთა, სპეციალობათა და პროფესიათა ნუსხის განსაზღვრა და სხვ.

სახელმწიფო ახდენს სხვადასხვა სასწავლო დაწესებულების საქმიანობის მონიტორინგს და იცავს სწავლის სტანდარტებს. საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პეროდში საგანმანათლებლო დაწესებულებების სისტემის დეცენტრალიზაცია და დივერსიფიკაცია მოითხოვს სტანდარტების დადგენის აუცილებლობას, მისი შესრულების საგაღდებულობას და წესების დარღვევის შემთხვევებში სანქციების გამოყენებას. სტანდარტების და გამოცდების

ეროვნული სისტემის დანერგვა საშუალებას იძლევა, განისაზღვროს სწავლის ხარისხის და პროფესიული მომზადების დონე. ერთი ტიპის სასწავლებლების ურთიერთშედარების გზით იგი ავლენს მათ წარმატება-წარუმატებლობას. სასწავლებლების რეიტინგი კი უზრუნველყოფს მოსახლეობის სწორ არჩევანს მომავალი განათლების მისაღებად. სტანდარტების ეროვნული სისტემა ქმნის სასწავლებლების პასუხისმგებლობისა და მოთხოვნების გაზრდის საფუძველს და ადგენს რეფორმების აუცილებლობას იმ შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო სისტემა ვერ აკმაყოფილებს ამ სტანდარტებს. ეს უკანაკსენელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ მოხდეს კერძო სასწავლო დაწესებულებების რეგულირება.

სტანდარტების, აკრედიტაციისა და მონიტორინგის გზით სახელმწიფომ უნდა დაიცვას მოსახლეობა არასწორი ორიენტაციისაგან და გამოიყენოს სასწავლო დაწესებულებების მართვის ეს შესაძლებლობები. ეროვნული სერტიფიკაცია და მონიტორინგი შესაძლებლობას იძლევა გამჭვირვალე გახდეს ინფორმაცია სასწავლო დაწესებულებების შესახებ, ხოლო სამუშაოს დამქირავებლებს გაუადვილებს კვალიფიციურ სამუშაო ძალაზე არჩევანის გაკეთებას. ცხადია, სერტიფიცირება, აკრედიტაცია და მონიტორინგი არ უნდა იყოს სახელმწიფოს მონოპოლია. მასში მონაწილეობას უნდა იღებდნენ კერძო მეწარმეებიცა და საზოგადოებაც. კერძო სექტორს კი უნდა ჰქონდეს თავისი მონიტორინგის ჩატარების საშუალება, რათა გაარკვიოს, თუ რამდენად მოიპოვებენ წარმატებას მის მიერ მომზადებული სტუდენტები შრომის ბაზარზე.

კრიტიკული ასპექტი საქართველოს განათლების პრაქტიკიდან და სამომავლო ამოცანები

საქართველოში, სტანდარტიზაცია-მონიტორინგის და ატესტაცია-აკრედიტაციის საკითხები დღესდღეობით არ არის მოგვარებული. მართალია, სტანდარტები და პროგრამები უნდა იყოს განათლების სფეროს პროდუქტის შეფასების მთავარი კრიტერიუმი, მაგრამ იგი ჯერ არ არის შემუშავებული. მიუხედავად იმისა, რომ შეიცვალა ეკონომიკური სისტემა, მისი დარგობრივი სტრუქტურა, აგრეთვე ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მოთხოვნები, არ არის შემუშავებული სპეციალობათა და პროფესიათა ახალი ნუსხა, რომელთა მიღება დადასტურდება სახელმწიფო საგანმანათლებლო სერტიფიკატებით. მოქმედებს

ძირითადად ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში მიღებული სპეციალობათა ჩამონათვალი.

მდგომარეობას ამწვაებს კერძო, ფასიანი უმაღლესი სასწავლებლებში სწავლების დაბალი დონე. ნორმალურ ვითარებაში, საბაზრო ეკონომიკის კანონების შესაბამისად, მდგომარეობას კონკურენცია და მოთხოვნა აბალანსებს. მართალია, კონკურენციამ უნდა გამოავლინოს სიცოცხლისუნარიანი დაწესებულებები, მაგრამ, რამდენადაც დეფორმირებულია, განსაკუთებით უმაღლესი განათლებისადმი, საზოგადოებრივი დაკვეთის ხარისხობრივი მოთხოვნები, მშობლებსა და სტუდენტებს კი ხშირად დიპლომი აინტერესებს და არა ცოდნა და პროფესიონალიზმი, ამდენად იგი ხდება კორუფციის წყარო.

სასწავლებლების ლიცენზირების მექანიზმს შეუძლია შეასრულოს ხარისხის გაკონტროლების ფუნქცია, რამდენადაც ლიცენზიის მიმღებთ მოეთხოვებათ კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სპეციალობების წარმოდგენა, რომელთა მიხედვითაც მოხდება სტუდენტების მომზადება. კერძო უმაღლეს სასწავლებლებზე გაცემულია 300-მდე, ხოლო საშუალო პროფესიულ სასწავლებლებზე 200-მდე ლიცენზია. ლიცენზირების დღევანდელი მექანიზმი ვერ აკონტროლებს სასწავლებლების მუშაობის ხარისხს, ახალისებს არაკეთილსინდისიერ კონკურენციას და აზარალებს სახელმწიფო სასწავლებლებს.

არც ცალკეული სასწავლებლების ხარისხობრივი კონტროლის ადეკვატური მექანიზმებია შემუშავებული და ასეთ პირობებში ძნელია იმის დადგენა, თუ რამდენად ასრულებს ესა თუ ის სასწავლებელი სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაკვეთას. ამის შემდეგ გზა ეხსნება ყოვლად მიუღებელ "საგანმანათლებლო ბიზნესს". ამდენად, უადრესად მნიშვნელოვანია საქართველოში ამ პრობლემის მოგვარება. არც ისაა განსაზღვრული, თუ როგორი მეთოდით ჩატარდება აკრედიტაცია, ვინ იქნება ამის ორგანიზატორი; რა მიმართებაა ატესტაციასა და აკრედიტაციას შორის; რამდენად სავალდებულოა ეს პროცესი და სხვ.

აკრედიტაცია ერთიანი სახელმწიფო-საგანმანათლებლო პოლიტიკის გატარების აუცილებელი პირობაა, ამიტომ, არსებობს მოსაზრება, რომ აკრედიტაციას სახელმწიფო სტრუქტურა უნდა ახორციელებდეს. ამასთან, საჭიროა უმაღლესი განათლების სტანდარტების შემუშავება. სიტყვა "სტანდარტი" უნიფიკაცია არ იგულისხმება და იგი არ ქმნის ავტონომიური

უფლებების შელახვის საშიშროებას. სტანდარტების გარეშე არ შეიძლება ერთიანი მოთხოვნების შემუშავება. პარალელურად უნდა დამუშავდეს ხარისხის შეფასების პარამეტრები, მონიტორინგის მეთოდოლოგია და გაზომვის ტექნოლოგიური მექანიზმი. სხვა პრობლემაა, თუ ვინ აწარმოებს "გაზომვას" - სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი სტრუქტურა.

აქვე შევნიშნავთ, რომ დაწყებით და საშუალო განათლებაში სტანდარტების უზრუნველყოფის ამოცანა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან იგი ქმნის ინდივიდის თვისებების ფორმირების საფუძვლებს. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ განათლების ამ საფეხურებზე მაღალია ინვესტიციების უკუგება და იგი არ შეიძლება შევადაროთ სხვა რომელიმე სფეროს, მაშინ მით უფრო მნიშვნელოვანი იქნება ის გარემოება, რომ სახელმწიფო სტანდარტიზაციამ და აკრედიტაციამ უზრუნველყოს მათი მოდერნიზაცია და ამით საფუძველი შეუქმნას მომდევნო საფეხურზე სწავლების წარმატებას.

დასკვნა

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ფართო ეკონომიკურ დებატებში იმის თაობაზე, თუ რა როლი უნდა შეასრულოს სახელმწიფომ განათლებაში, არსებობს მრავალი გარემოება, რომელიც ამართლებს სახელმწიფოს ჩარევას განათლების სფეროში. თუ სახელმწიფოს ინტერვენციის ეკონომიკური გამართლება მიზანშეწონილია, მაშინ ხელისუფლების მიერ სკოლების მართვა შეიძლება არ მივიჩნიოთ გამართლებულად. საგანმანათლებლო სისტემის განვითარება ყოველ ქვეყანაში სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ძალების ზემოქმედების შედეგია, ამიტომ მისი ეფექტიანობის დასადგენად არ შეიძლება მხოლოდ ეკონომიკური მიზანშეწონილობის მიხედვით მსჯელობა.

განათლებაში მთავრობის როლის შესახებ კამათი დაიწყო საუკუნეების წინ და იგი დღესაც გრძელდება. დისკუსიის პრობლემები იგივე დარჩა, მაგრამ ამჟამად მისი სფერო კიდევ უფრო გაფართოვდა. სახელმწიფოს მიერ განათლებაში გაწეული ინვესტირების გამმართლებელი მთავარი არგუმენტი განათლება, როგორც თანასწორობის, ეფექტიანობის, არჩევითობის, ადეკვატურობის და სხვა პრინციპების განხორციელების აუცილებელი პირობა

საზოგადოებაში. ამასთან, თუ სახელმწიფოს ინვესტიციების სასარგებლოდ არსებულ არგუმენტებს მივიღებთ მხედველობაში, მაშინ ეკონომიკის თეორიული კანონებით ვერ შევძლებთ, დავასაბუთოდ მთავრობის მიერ სკოლების მართვისა და კონტროლის სფეროში რაციონალური საბაზრო-ეკონომიკური პრინციპების გამოყენება, მიუხედავად იმისა, როგორი გამართლებულიც არ უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ მათი ფინანსებით უზრუნველყოფა.

დაბოლოს, ისე ჩანს, რომ განათლებაში სახელმწიფოს როლის შესახებ ეკონომიკური პრინციპები არ არის კონცეპტუალურად გააზრებული, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად უფრო სრულყოფილი ხდება ეს თეორიებიცა და სახელმწიფოს ქცევის მექანიზმებიც. ამასთან, ადამიანისეული რესურსების შესახებ ცოდნა ინტენსიფიცირებულია (რაც თანამედროვე ეკონომიკურ განვითარებაში რევოლუციური ცვლილებების მჩვენებელია).

თაზო IV

განათლების სარგებლიანობა

განათლების დიდი მნიშვნელობის შესახებ ჯერ კიდევ ძველი დროიდან მიუთითებდნენ. მას ხშირად განიხილავდნენ, როგორც ადამიანის ეკონომიკური და სოციალური წარმატებების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს. მაღალი განათლება პიროვნებას საზოგადოება ყოველთვის აყენებდა სოციალური კიბის თავში.

ჩვენი ამოცანა არ არის ეჭვის ქვეშ დაგაყენოთ განათლების შინაგანი (მორალური, რელიგიური, ისევე როგორც მატერიალური) ღირებულება. ჩვენი მიზანია შევაფასოთ განათლებიდან მიღებული ეკონომიკური სარგებელი. ასევე აუცილებელად მიგვაჩნია ობიექტურად შევაფასოთ ის შეხედულებები, რომლებიც არ ეთანხმებიან ღებულებას იმის შესახებ, რომ განათლება მჭიდროდაა დაკავშირებული შემოსავლებთან და წარმატებებთან. ამისათვის აუცილებელია საგანმანათლებლო სარგებლიანობის კლასიფიკაცია, სარგებლიანობის ცვლილებების განსაზღვრა გამომდინარე განათლებიდან და ყველა იმ საკითხის განხილვა, რომლებიც ეხება განათლების სარგებლიანობის სრულ და საიმედო გაზომვას.

§1. ადამიანისეული კაპიტალისადმი


მიდგომა

განათლების სარგებლიანობის გამომხატველი ურთიერთობები იმანენტურად არის დაკავშირებული ადამიანისეული კაპიტალის ცნებასთან, ამიტომ მისი განსაზღვრა მოითხოვს ადამიანისეული კაპიტალისადმი სხვადასხვა მიდგომების ახსნას.

ადამიანისეული კაპიტალისადმი მიდგომის ძირითადი საფუძვლები იმაში მდგომარეობს, რომ შრომით შემოსავლებში არსებული ცვლილება ნაწილობრივ განპირობებულია შრომის ხარისხში განსხვავებით, რაც, თავის მხრივ დამოკიდებულია ადამიანისეული რესურსების ღირებულებაზე. თუ ჩვენ გვინდა შევამციროთ უთანაბრობა შემოსავლებში, ამის მიღწევის ერთ-ერთი მეთოდია

უთანაბრობის შემცირება იმ ინვესტიციებში, რომელსაც აბანდებენ ადამიანისეულ კაპიტალში (ჯანმრთელობა, განათლება, პროფესიონალური მომზადება და სხვა). ამ პროცესის მარტივი აღწერა მოცემულია 4.1 სქემაში.

სქემა 4.1



ამ სქემის მიხედვით განათლებაში დაბანდებული ინვესტიციები (A) განსაზღვრავს შრომის ნაყოფიერებას (B). ეს უკანასკნელი კი - გამომუშავებას (C). ეს სქემა პასუხობს ორთოდოქსულ, სხვანაირად, ზღვრული ნაყოფიერების ეკონომიკურ თეორიას, რომლის თანახმად, ხელფასი განისაზღვრება მუშის ზღვრული წვლილით ფირმის შემოსავლებში და უფრო ნაყოფიერი შრომისათვის, სხვა თანაბარ პირობებში, მუშები მიიღებენ მეტ ანაზღაურებას.

ადამიანისეული კაპიტალის მიდგომის სხვა მნიშვნელოვანი ასპექტები დაკავშირებულია ინვესტიციებთან და იმ პრობლემასთან, თუ ვინ უნდა გადაიხადოს სწავლისათვის და ვინ მიიღებს ამით სარგებელს. გ. ბეკერის შრომებზე დაყრდნობით, განასხვავებენ ფუნდამენტურ და სპეციფიკურ სწავლებას.²³ არსებითია ისეთი სწავლება, რომელიც უზრუნველყოფს მუშაკში იმ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, რომელსაც გამოიყენებს იგი როგორც დასაქმების ადგილზე, ასევე სხვა საქმიანობაში. მეორეს მხრივ, სპეციფიკური სწავლება ღირებულია მხოლოდ კონკრეტულ საქმიანობასთან მიმართებაში და არ შეიძლება გამოყენებული იქნას სხვა საქმიანობაში. ამ თეორიის თანახმად, პირველ შემთხვევაში, დასაქმებულს სხვა თანაბარ შემთხვევაში, უფრო მეტი სურვილი ექნება გადაიხადოს „ფუნდამენტური“ სწავლების საფასური. მართალია, სწავლების პერიოდში იგი მიიღებს შემცირებულ შემოსავალს, მაგრამ სწავლის დამთავრების შემდეგ მეწარმე ვაღდებული იქნება გადაუხადოს მას მაღალი ხელფასი. მეორეს მხრივ, დასაქმებული არ მოისურვებს გადაიხადოს

²³ G.S.Becker, Investment in Human Capital: A Theoretical Analysis. "Journal of Political Economy" , 1962, # 70 (October), pp.9-49; G.S Becker, Human Capital - A theoretical and empirical Analysis, with special reference to Education. New York, National Bureau of Economic Research.

განსაზღვრული გადასახადი სპეციფიკური სწავლებისათვის, რადგან იგი უფრო მეტად მეწარმის ინტერესებშია, ხოლო მეწარმეს კი ასეთი სწავლის გარეშე შეიძლება არ უღირდეს გადაუხადოს მუშაკს მაღალი ხელფასი. ეს დამოკიდებულება ნაწილობრივ შეიცვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მეწარმე იძულებული იქნება გაიღოს დამატებითი კაპიტალდაბანდება მუშაკის სპეციალური მომზადებისათვის. ამის შემდეგ იგი არ მოინდომებს მის სხვა სამუშაოზე გაშვებას. მეწარმე გადაუხდის მუშაკს იმაზე მაღალ ხელფასს, ვიდრე კონკურენტის ხელფასი შეიძლება ყოფილიყო. თუ რამდენად მაღალი იქნება ეს ხელფასი, დამოკიდებულია ორივე მხარის შეთანხმებაზე და მათი მოთხოვნებზე.

დასაშვებია, რომ დასაქმებულებმა თვითონვე გადაიხადონ მათი სპეციალური მომზადების საფასურის ნაწილი. ამ შემთხვევაში ისინი დარწმუნებული უნდა იყვნენ იმაში, რომ ასეთი მომზადება მათ უკუგებას მოუტანს და არ დაკარგავენ სამუშაო ადგილს.

§2. განათლების სარგებლიანობის

სტრუქტურა

ტ. შულცმა, თავის ცნობილ წიგნში „განათლების ეკონომიკური ღირებულება“, დაახასიათა განათლების სარგებლიანობის მრავალი ტიპი. განსაზღვრა სარგებლიანობის სტრუქტურა იმის მიხედვით, თუ რომელი საქმიანობით იქმნება იგი: საგანმანათლებლო მუშაობით, კვლევითი საქმიანობით, ტალანტების პოტენციური აღმოჩენითა და აღზრდით, ადამიანის სამუშაო პირობებისადმი შეგუების უნარით, მასწავლებლების მომზადებითა და ეკონომიკური ზრდისათვის ადამიანისეული რესურსებით უზრუნველყოფით.²⁴ განათლება უზრუნველყოფს მოქალაქეობას, კულტურასა და საერთოდ საზოგადოებრივი შეფასებისა და მსოფლმხედველობის ფართო დიაპაზონს. იგი იძლევა იმის შანსს, რომ მომავალ თაობას მიეცეს უკეთესი განათლება და, შესაბამისად, უკეთესი მომავალი.

²⁴ T.W. Schults, The Economic Value of Education. New York, Columbia University Press, 1963, pp. 39-42.

მოხმარებისა და ინვესტიციების კომპონენტები

სარგებელი, რომელიც განათლებას მოაქვს ადამიანისათვის, აისახება მოხმარების ხასიათში და ინვესტიციების რაოდენობაში. მოხმარების კატეგორიას მიეკუთვნება პროდუქცია და მომსახურეობა. ისინი აკმაყოფილებენ ადამიანის მოთხოვნებს მხოლოდ განსაზღვრული პერიოდით და არის ინვესტიციების განხორციელების შედეგი. ინვესტიციების განხორციელებასა და მოხმარებას შორის შუალედური რგოლია საგანმანათლებლო მომსახურეობა. იგი უზრუნველყოფს სტუდენტის სურვილის დაკმაყოფილებას განათლების მიღებაში და ზრდის მისი შრომის ნაყოფიერებასა და მოხმარების კულტურას.

სარგებლობას განათლებიდან ღებულობენს პატარა ბავშვებიც, რომლებიც დადიან სკოლაში. მათ შეიძლება აღიარონ, რომ სძულთ სკოლა, მაგრამ როცა სკოლას ადარებენ სხვა ალტერნატივებს, მაინც სკოლა ურჩევნიათ. სკოლაში სიარული მათი მოხმარების ელემენტია და საკმაოდ დადებითი მნიშვნელობისაა. მისი მნიშვნელობა, სავარაუდოა, რომ უფრო გაიზრდება განათლების შემდეგ ეტაპზე გადასვლასთან ერთად. ჩვენ ამ მომენტზე ყურადღებას ვამახვილებთ იმიტომ, რომ განათლების სარგებლიანობის განსაზღვრისას მოხმარების ეს ეფექტიც უნდა გვქონდეს მხედველობაში.

განათლების ეკონომიკური სარგებლიანობის შესახებ მეცნიერების თანამედროვე გამოკვლევების უმრავლესობა ყურადღებას ამახვილებენ ინვესტიციებზე. რეალურად შემოსავლის მიღების მოლოდინი წარმოადგენს განათლების რეალური სარგებლიანობის განსაზღვრის საფუძველს. განათლება ზრდის ადამიანის შრომის ნაყოფიერებას და უფრო მაღალი ხელფასის მიღების შანსებს. იგი ზრდის მის წვლილს საზოგადოებრივ პროდუქტში. ინდივიდს, რომელსაც სერიოზული ფუნდამენტური განათლება აქვს მიღებული, უფრო პერსპექტიულია ახალი სამსახურის მიღებაში და მეტად არის დაცული უმუშევრობისაგან.

განათლებაში ინვესტირების ერთ-ერთი შედეგია „მოხმარების“ კულტურის ზრდა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ განსაზღვრული რაოდენობის განათლების მიღების შემდეგ. განათლება აფართოებს სტუდენტების ჰორიზონტს და გააცნობს მათთვის აქამდე უცნობი ლიტერატურის, მუსიკის, ხელოვნების ნაწარმოებებს, რითაც მათ საშუალება ეძლევა თავისუფალ დროს მიიღონ სიამოვნება კაცობრიობის მიერ შექმნილი შემოქმედებისაგან. თავისუფალ დროს

მიღებული სარგებელი არის კომპენსაცია იმ ენერჯისა, რომელიც იხარჯება ფორმალური დასაქმებისას სამუშაო ადგილზე. როგორც ჯ. მორგანი და მ. დევიდი ამტკიცებენ, მეტი განათლების მქონე ხალხს აქვთ ტენდენცია მიიღონ მეტი სიამოვნება თავისუფალი დროის გამოყენებით.²⁵ მთლიანობაში სარგებელი, რომელიც იქმნება თავისუფალი დროის გამოყენებით ან ფორმალური დასაქმების ადგილზე (სამსახურში), სრულიად განსხვავებული მნიშვნელობებისაა. მათ განსხვავებას ქცევის სხვადასხვა მოტივაცია და განათლების დონე უდევს საფუძვლად.

კერძო და საზოგადოებრივი სარგებელი

განათლებიდან სარგებელს ღებულობს როგორც ინდივიდი, ასევე საზოგადოება. რადგან ყოველი ადამიანი, რომელიც იღებს განათლებას, არის საზოგადოების წევრი, მის მიერ მიღებული კერძო სარგებელი არის საზოგადოებრივი სარგებელის ნაწილი. ამიტომ საზოგადოებრივი სარგებელი წარმოადგენს კერძო სარგებელისა და იმ სხვა სარგებელის ჯამს, რომელსაც ინდივიდი ვერ მიითვისებს.

შესაბამისად, არსებობს სარგებლიანობის ორი ტიპი: ერთი მიეკუთვნება საზოგადოებრივს და გულისხმობს განათლებასთან დაკავშირებული იმ ხარჯებიდან მიღებულ უკუგებას, რომელსაც ინდივიდი იხდის თავისი შემოსავლიდან. მეორე კი შეადგენს "გარე" სარგებელს, რომელიც იქმნება განათლებაში გაწეული სახელმწიფო ინვესტიციებით და მას ინდივიდები უშუალოდ ვერ მიითვისებენ.

განათლების "გარე" სარგებლიანობის მაგალითია, სახელმწიფოს ინტერესი შემოსავლების დაბეგვრიდან მიღებული იქნეს ისეთი უკუგება, რისი მიღწევაც შეუძლებელი იქნებოდა მოსახლეობისათვის გარკვეული განათლების მიღების გარეშე. წიგნებისა და ჟურნალების გამოშვება, ინფორმაციის მასიური გავრცელება, რეალური ღირებულების პროპაგანდა, საზოგადოებრივი აზრის ფორმირება და სხვ. არაქმედითი და აზრს მოკლებულია თუ მოსახლეობა შესაბამისად არ არის მომზადებული. მოსახლეობისათვის ასეთი სახით განათლების მიცემის შედეგად იზრდება მათი ინფორმირების ხარისხი და

²⁵ J.N. Morgan, M.A. David, Education and Income. 'quarterly Journal of Economics' 1963, #77, (August), pp.424-437.

იქმნება მნიშვნელოვანი "გარე" სარგებელი, რომლის გარეშე დემოკრატიული ინსტიტუტები ვერ იარსებებდნენ.

შედარებით უფრო რთულია მსჯელობა დაწყებით და საშუალო განათლებასთან დაკავშირებული "გარე" სარგებლიანობის შესახებ. განათლების ამ საფეხურზე მიღებული სარგებელი ინდივიდისათვის და საზოგადოებისათვის მცირედით თუ განსხვავდება ერთმანეთისაგან, რადგან ორივე შემთხვევაში განათლების მთავარ მიზანს წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოებაში ადგილის დამკვიდრება.

უნდა ვაღიაროთ, რომ უმაღლესი განათლებით მიღებული "გარე" სარგებელი უფრო მეტია იმ სარგებელთან შედარებით, რომელიც არ არის დაკავშირებული განათლებასთან. ემპირიული თვალსაზრისით ამის მაგალითია ის, რომ სამოქალაქო საზოგადოებაში დანაშაული უფრო ნაკლებია იმ ადამიანებში, რომელთაც მეტი განათლება აქვთ მიღებული.

შესაძლებელია ინდივიდის მიერ განათლების მიღება ყოველთვის არ გულისხმობდეს საზოგადოების სხვა წევრისათვის სარგებლობის მოტანას. ამიტომ პრაქტიკაში საზოგადოებრივ და კერძო სარგებელს შორის განსხვავება არის იმ დანახარჯების ტოლი, რომელსაც გაიღებენ ინდივიდები, ხოლო საზოგადოება კი უბრუნებს მას ისეთი განათლების სახით, რომელიც უშუალოდ არ პასუხობს ინდივიდის კერძო მოთხოვნებს, მაგრამ არის სამოქალაქო საზოგადოების განმტკიცების აუცილებელი პირობა.

განათლების სხვა სახის სარგებელი

განათლების მიღებით იქმნება სხვადასხვა სახის სარგებელი. ერთ-ერთი ასეთი სარგებელი იქმნება სტუდენტებისათვის მისაწვდომი ფინანსური არჩევანით. ეს არჩევანი დაკავშირებულია იმასთან, რომ განათლების ერთი საფეხურის დასრულების შემდეგ ინდივიდს ეძლევა საშუალება განაგრძოს სწავლა უფრო მაღალ საფეხურზე. განათლების სხვადასხვა საფეხურიდან მიღებული უკუგება განსხვავებულია გაწეული ხარჯების შესაბამისად. საერთოდ, დაწყებითი განათლებიდან მიღებული სარგებელი ფაქტიურად უფრო მაღალია იმ თვალსაზრისით, რომ შემდგომში, უმაღლესი და სპეციალური პროფესიული განათლებიდან მიღებული უკუგების ნაწილი დაფუძნებულია დაწყებითი განათლების საფეხურზე მიღებულ ცოდნაზე. ყოველი ინდივიდის

გადაწყვეტილება, თუ განათლების რომელ საფეხურზე გააკეთოს ინვესტირება, დამოკიდებულია მის მიერ აღიარებული ფასეულობების არჩევანზე.

სხვა სახის სარგებელი იქმნება არაფინანსური არჩევანით. მაგალითად, უნივერსიტეტის პროფესორს გააჩნია რამოდენიმე არაფინანსური არჩევანის საშუალება, რომელიც დაკავშირებულია მის სტატუსთან და დასაქმების ადგილთან. ესენია: სამსახურში თავისუფლებისა და მოქნილობის ხარისხი, ყოველდღიური კონტაქტი სტუდენტებთან, ლექციების კითხვისა და მეცნიერული გამოკვლევებიდან მიღებული კმაყოფილება და სხვ. სწორედ ამ გარემოებებისათვის პრიორიტეტების მინიჭებით შეიძლება ავხსნათ ის, რომ მრავალი სახელმძოხვეჭილი ადამიანი, რომელიც კომპეტენტურია თავის სპეციალობაში, ირჩევს უნივერსიტეტში პედაგოგობას, მიუხედავად იმისა, რომ ღებულობს უფრო დაბალ ხელფასს (ფინანსურ უკუგებას), ვიდრე მას შეეძლო მიეღო სხვა სამუშაოზე დასაქმებით. არაფინანსური არჩევანის ფასეულობა ფულით გამოხატული იზომება სხვაობით რეალურ ხელფასსა და პოტენციურ სამუშაო ადგილზე შემოთავაზებულ ხელფასს შორის.

განათლების ერთ-ერთი სარგებელი დაკავშირებულია ყოველი მომდევნო თაობაში განათლების ზრდასთან. რაც უფრო განათლებულია მშობლები, მით უფრო მეტ განათლებას ღებულობენ მომდევნო თაობები. განათლების ზრდის შედეგად იზრდება პოტენციური შემოსავლებიც. ამიტომ უფრო მაღალი შემოსავლის მიღების საფუძველად შეიძლება ვაღიაროთ მშობლების მიერ განათლებაში გაღებული ინვესტიციები. შესაბამისად, დაწყებით და საშუალო განათლებიდან უკუგება საგრძნობლად გაიზრდება, თუ მხედველობაში მივიღებთ თაობათაშორის გადაცემულ სარგებელსაც. ამასთან, სარგებლიანობის სხვა ფორმას შეადგენს ის კმაყოფილება, რომელსაც პირველ თაობა ღებულობს იმის რწმენისაგან, რომ მეორე თაობა მიიღებს მასზე უფრო უკეთეს განათლებას.

§3. განათლების სარგებლიანობის გაზომვის

მეთოდები

არსებობს განათლების სარგებლიანობის გაზომვის 4 მეთოდი:

1. მარტივი კორელაციური (შეფარდებითი) მეთოდი;
2. ნარჩენის (ნაშთის) მეთოდი;
3. განათლების პირდაპირი უკუგების მეთოდი;

4. განათლების ირიბი უკუგების მეთოდი.

მარტივი კორელაციური მეთოდი განსაზღვრავს განათლების დონესა და შემოსავალს შორის თანაფარდობას. მაღალი შემოსავალი საშუალებას აძლევს ქვეყანას ან ინდივიდს მეტი დახარჯოს განათლებაზე იმ შემთხვევაში, თუ კი განათლებაში ინვესტიციების ზრდა მომავალში უფრო მეტ შემოსავალს მოიტანს. უფრო მაღალი შემოსავლის მოლოდინი სტიმულს აძლევს ადამიანს მიიღოს მეტი განათლება, ხოლო განათლების ზრდა უზრუნველყოფს უფრო დიდ შემოსავალს. ამასთან, ამ ურთიერთქმედებაში უნდა იქნეს გათვალისწინებული ისიც, რომ განათლების დონის ზეგავლენა შემოსავლებზე შეიძლება შედარებით სუსტი იყოს, ვიდრე შემოსავლების ეფექტია განათლებაზე.


კორელაციური მოდგომა გულისხმობს, აგრეთვე, მუშაკების განათლების დონის გავლენას საწარმოს მწარმოებლურობაზე. განათლებასა და მწარმოებლურობას შორის პოზიტიურ კავშირი ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

ნარჩენის (ნაშთის) მეთოდი განსაზღვრავს განათლებასა და ეკონომიკას შორის ურთიერთმქმედებას. ეკონომიკური ზრდა ბოლომდე ვერ იქნება ახსნილი მარტო კლასიკური დანახარჯების (მიწა, შრომა და კაპიტალი) საფუძველზე, რადგან კლასიკური დანახარჯები ითვალისწინებენ მხოლოდ შრომის რაოდენობას და არა ხარისხს. ეკონომიკურ ზრდაში განათლების როლის გათვალისწინება და განათლებიდან უკუგების განსაზღვრა მოითხოვს საგანმანათლებლო ღირებულების, სარგებლიანობისა და სხვა ფაქტორების ანალიზს.

განათლებიდან პირდაპირი უკუგების მეთოდი ეფუძნება განათლებიდან ინდივიდისთვის და საზოგადოებისთვის პირდაპირი უკუგების გაზომვას. საყოველთაოდ აღიარებულია უკუგების შეფასება მხოლოდ შრომითი გამომუშავების ან შემოსავლების რაოდენობის გაზომვით.

ყოველი ინდივიდის შემოსავლები იცვლება წლების განმავლობაში ასაკთან ერთად. იქმნება განსხვავება შემოსავლებში ცხოვრების მანძილზე. როცა ადამიანი ახალგაზრდაა და გამოუცდელი, მაშინ იგი შედარებით ნაკლებს გამოიმუშავებს ვიდრე, მაშინ როცა იგი აღწევს პიკს ცხოვრების შუა პერიოდში.

ასაკი-გამომუშაების მრუდი



განათლებიდან ირიბი უკუგება. განათლებიდან პირდაპირი უკუგების მიდგომა ემყარება ცხოვრების განმავლობაში მიღებულ დამატებით შემოსავალს, როგორც განათლების ეკონომიკური სარგებლიანობის უმარტივეს საზომს. მაგრამ იგი არ არის სრული, რადგან არსებობს საკმაოდ დიდი კერძო არაფულადი და მნიშვნელოვანი სოციალური გარე სარგებელ, რომელიც აგრეთვე დაკავშირებულია განათლებასთან. ამიტომ მნიშვნელოვანია განათლებიდან ირიბი შედეგების დადგენაც. ამასთან, დაკავშირებით წარმოიშვება კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური ხასიათის საკმაოდ დიდი პრობლემები.


ცნობილია, რომ განათლებას აქვს განსხვავებული ზემოქმედება საბაზრო და არასაბაზრო ფქტორებზე. იგი გავლენას ახდენს შრომის ბაზრის ანაზღაურების არახელფასით გამოხატულ განზომილებებზე, მაგალითად, ზღვრულ სარგებელზე, მუშაობის პირობებზე, გამომუშაების სტაბილურობაზე და სხვ. განათლებას აქვს წმინდა სამომხმარებლო შედეგები. მაგალითად, სწავლითა და კვლევით მიღებული სულიერი კმაყოფილება. ამასთანავე, განათლება გავლენას ახდენს არასაბაზრო საქმიანობებზე. ურთიერთმოქმედების ეს მხარეები ყოველთვის არ გამოირიცხავენ ერთმანეთს და ზოგჯერ პიოპითად უნდა იქნეს განსხვავებული ისინი ერთმანეთისაგან, რადგან მათი შედეგების გაზომვა ძალიან ძნელია. მიუხედავად ამ კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური პრობლემებისა, არსებობს ხერხები განათლების არაფულადი სარგებლიანობის დასადგენად, გასაზომად და შესაფასებლად.

§4. განათლების სარბიზიანობის შეფასების პრობლემა

განათლებიდან პირდაპირი უკუგების მეთოდი გულისხმობს იმ გარემოებას, რომ ჩვენ შეგვიძლია გამოვიანგარიშოთ ცხოვრების განმავლობაში ფაქტიურად არსებული ან მოსალოდნელი შემოსავლები, რომელიც განპირობებულია მიღებული განათლების დონით. განათლებიდან ეკონომიკური უკუგების შეფასება ეფუძნება ჯვარედინ-სექციურ ანალიზს, რომელიც გულისხმობს შემოსავლების, ასაკის და განათლების ურთიერთთანაფარდობას მოცემულ პერიოდში. თავდაპირველად ხდება დაკვირვება სხვადასხვა ასაკის, განათლებისა და შემოსავლის მქონე ინდივიდებზე და დგება შემოსავლების ჯვარედინი კლასიფიკაციის ცხრილი ასაკის და განათლების მიხედვით. ამის მერე იანგარიშება ცხოვრების განმავლობაში შემოსავლების სხვაობა, რომელიც დაკავშირებულია განათლების მოცემულ დონესთან, იმ მიზნით, რომ ჯვარედინ-სექციური კლასიფიკაციის პროექტირება განხორციელდეს მომავალი პერიოდისათვისაც. მაგალითად, თუ 60 წლის ადამიანს, რომელსაც 4 წლიანი კოლეჯი აქვს დამთავრებული და აქვს წლიური შემოსავალი 4 000 ლარი 2000 წლისათვის, ჩვენ ვუშვებთ, რომ ადამიანმა, რომელსაც 2000 წელს შეუსრულდა 20 წელი, შეიძლება გამოიმუშაოს ამდენივე როცა იგი მიაღწევს 60 წლის ასაკს 2040 წელს იმ პირობით, თუ ის მიიღებს 4 წლიან განათლებას კოლეჯში.

ცხოვრების ციკლის ეს მიდგომა ეფუძნება ცხოვრების განმავლობაში მიღებული შემოსავლების მონაცემებს. ამ მეთოდს აქვს უპირატესობები და ნაკლოვანებები. ჯვარედინ-სექციური მიდგომა არ არის სრულყოფილი იმიტომ, რომ მის წინაპირობას წარმოადგენს მუდმივი თანაფარდობა ასაკი-განათლება-შემოსავალს შორის, რომელიც დროში არ იცვლება. რეალურად კი ეს თანაფარდობა დროთა განმავლობაში იცვლება კვალიფიციურ შრომაზე მოთხოვნა-მიწოდების ცვლილებების გამო.

ჯვარედინ-სექციური და ჯგუფური მეთოდების შედარება ცხოვრების განმავლობაში გამომუშავების შესაფასებლად



ჯვარედინ-სექციურმა გამოკვლევამ შეიძლება არასრულყოფილად შეაფასოს განათლების როლი ცხოვრების განმავლობაში გამომუშავებული სახსრების საშუალებით, იმიტომ რომ ეს მეთოდი ვერ ითვალისწინებს საერთო ეკონომიკური ზრდის ცვლილებებს. ამავე დროს, არ გაგვანჩნია ადამიანის მთელი სიცოცხლის განმავლობაში შესაძლო სრულყოფილი მონაცემები, იმისათვის რომ ავაგოთ მრუდი სრული ცხოვრების ციკლის შესახებ შემოსავალი-ასაკის მიხედვით.

ამის გარდა, არსებობს სხვა მნიშვნელოვანი კონცეპტუალური პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ამ მონაცემების გამოყენებასთან: 1) საჭიროა შემოსავლები დავუკავშიროთ ფასების დონის ცვლილებებს. რაც უფრო დიდია ის პერიოდი, რომლისთვისაც ფასების ინდექსებს გამოვიყენებთ, მით უფრო ნაკლებ საიმედო იქნება მისი გაანგარიშება; 2) ცხოვრების მონაცემებზე ზეგავლენას ახდენს მერყეობები ბიზნესის ციკლში, ომები, შინაგანი კრიზისები და სხვა ცვლილებები, რომელთა შეფასება ადვილი არ არის. ამიტომ ცხოვრების მონაცემები შეიცავს შეცდომის დაშვების მნიშვნელოვან შესაძლებლობას,

რომელიც არ გააჩნია ჯვარედინ-სექციურ მონაცემებს.

განათლება, უნარი და გამომუშავება

თუ დავუშვებთ, რომ შეგვიძლია შევაფასოთ ცხოვრების განმავლობაში მიღებული ის შემოსავალი, რომელიც დაკავშირებულია განათლების დონესთან, მაშინ შეგვიძლია თუ არა დავამტკიცოთ, რომ სხვაობა შემოსავლებში განპირობებულია განათლების მიღებით? შესაძლებელია თუ არა, ვამტკიცოთ, რომ გამომუშავებაში სხვაობა გამოწვეულია ნაწილობრივ ან მთლიანად ინდივიდების უნარით, მოტივაციით, სოციალურ-ეკონომიკური და გარე სამყაროს ნიშან-თვისებებით ან სხვა არასაგანმანათლებლო ფაქტორებით, რომლებიც დაკავშირებულია იმ პერიოდთან, როდესაც ხდებოდა განათლების მიღება?

გამომუშავების ფუნქცია წარმოადგენს მათემატიკურ გამოხატულებას, რომელიც გამომუშავებას უკავშირებს იმ ცვლილებებს, რომლებმაც შეიძლება იმოქმედოს მასზე. ეს ფუნქცია განისაზღვრება აპრიორული ფორმულით და ეფუძნება ადამიანისეული კაპიტალის თეორიას.

დაუშვათ y - გამოხატავს გამომუშავებას. განზოგადებული გამომუშავების ფუნქცია მოცემულია ფორმულაში: $y = f$ (ასაკი, სქესი, რასა, განათლება, გამოცდილება, უნარი, მოტივაცია, სოციალ-ეკონომიკური ფონი, რელიგია, ვეტერანის სტატუსი, დაბანდების ადგილი და ახლანდელი საცხოვრებელი ადგილი, მიღებული განათლების ხარისხი, მშობლების განათლება, ჯანმრთელობის მდგომარეობა და სხვა შესაბამისი მონაცემები).

ამ განტოლების შეასაფასებლად ძნელია მოიპოვო სრულყოფილი ინფორმაცია. ამიტომ აპრიორულად კეთდება დასკვნები, რომლის თანახმად, არსებობს ურთიერთკავშირი ინტელექტუალურ უნარსა და შრომის ბაზარს შორის, ინტელექტუალურ უნარსა და მაღალ ხელფასს შორის. რადგან სხვა სიცოცხლისუნარიანი ალტერნატივები ჯერჯერობით არ არის ხელმისაწვდომი, ამიტომ უნდა იქნეს გამოყენებული ინტელექტუალური უნარის აღნიშნული კრიტერიუმები.

ეს შეფასება ემყარება განათლება-უნარი-გამოცდილება-შემოსავალი ურთიერთქმედებას. თუ მხედველობაში მივიღებთ განათლების, გამოცდილების, უნარის და შემოსავლის ურთიერთქმედებას, მაშინ განათლების შედეგი

შეიძლება განსხვავებული აღმოჩნდეს იმისაგან, რომელსაც მარტივი ჯვარედინი ცხრილის შედგენის დროს ვიღებთ.

ფაქტია, რომ სინამდვილეში არავინ იცის, განათლება-შემოსავლის ურთიერთობის რომელი ნაწილი არის გამოწვეული თვით განათლებით. მიუხედავად ამ დარგში ჩატარებული მრავალი გამოკვლევისა, ჩვენ მაინც შორს ვართ ჭეშმარიტებიდან და საეჭვოა, რომ ეს პრობლემა როდესმე გადაწყდება ერთაზროვნად, სანამ არ გახდება ცნობილი გამომუშავების სხვაობის ის ნაწილი, რომელიც გამოწვეულია მოცემული საგანმანათლებლო ინვესტიციებით. უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა განათლების ეკონომიკური ფასეულობის (ღირებულების) გაანგარიშებისას გამოვიყენოთ ადამიანების უნარს შორის სხვაობის დაბალი და მაღალი შეფასებები. ასეთ შეფასებას შეუძლიან გააკეთოს ნებისმიერმა მომხმარებელმა პირადი შეხედულების თანახმად.

არჩევითობის სხვაობა

განათლების სარგებლიანობის შეფასება ცხოვრების განმავლობაში გამომუშავებულ შემოსავლებში სხვაობის მეთოდით გულისხმობს ადამიანების მიერ გაკეთებული არჩევანთა შორის განსხვავების არსებობას. ყოველი არჩევანი ზემოქმედებს განათლებიდან მიღებული სარგებლიანობის შეფასებაზე, რომლის ასახსნელად ერთმანეთს უნდა შევადაროთ კოლეჯისა და საშუალო სკოლადამთავრებულთა განათლებიდან მიღებული სარგებელი. როგორც უკვე ითქვა, ამისათვის კოლეჯის კურსდამთავრებულების მიერ ცხოვრების განმავლობაში მიღებულ გამომუშავებას უნდა გამოვაკლოთ საშუალო სკოლადამთავრებულების მიერ ცხოვრების მანძილზე გამომუშავებული სახსრები. ამისათვის კი კოლეჯის კურსდამთავრებულების გამომუშავება უნდა განსხვავდებოდეს საშუალო სკოლადამთავრებულების გამომუშავებისაგან, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველა ან კოლეჯში ისწავლიდა, ან სკოლის მერე სწავლას აღარ გააგრძელებდა. თვით ის ფაქტი, რომ ზოგიერთები ამთავრებენ კოლეჯს, მაშინ როცა სხვები ამას არ აკეთებენ, მიუთითებს ამ ჯგუფების განსხვავებაზე ერთმანეთისაგან, თუმცა ამ შემთხვევაში გამომუშავების ფუნქციის გამოყენებამ, თუ მას მაღალი პრიორიტეტი გააჩნია საზოგადოებაში, შეიძლება შეამციროს არჩევითობის სხვაობაზე იმ სხვა ფაქტორების ზეგავლენა, რომელიც განათლებასთან არ არის დაკავშირებული.

საშუალო და ზღვრული სარგებელი

ცხოვრების განმავლობაში განათლების დონის შესაბამისად მიღებულ შემოსავლებს შორის სხვაობის გაანგარიშება გვაძლევს განათლებიდან „საშუალო“ სარგებლიანობის შეფასების საშუალებას. ასეთი საშუალო სარგებელი მართებული იქნებოდა „საშუალო“ თვისებების მქონე ინდივიდისთვის. უფრო დიდი უნარის, მოტივაციის ან სხვა დადებითი თვისების მქონე სტუდენტები, სავარაუდოდ, უფრო მეტს მიიღებენ, ვიდრე საშუალოზე დაბალი თვისებების მქონე სტუდენტები. გამომუშავების ფუნქციის გამოყენება შესაძლებლობას მოგვცემს შევაფასოთ განსხვავებული მონაცემების მქონე ინდივიდების "ასაკი – გამომუშავების" მახასიათებლები.

საზოგადოებრივი და კერძო მოგება

ცხოვრების განმავლობაში მიღებულ შემოსავლებს შორის სხვაობა გამოიყენება განათლებიდან მიღებული მოგების მაჩვენებელად იმ აზრით, რომ უფრო მაღალი გამომუშავება ასახავს შრომის უფრო მაღალ ნაყოფიერებას. ეს დასკვნა ეფუძნება შემოსავლების განაწილების ნეოკლასიკურ თეორიას, სახელდობრ, იმ თეზისს, რომლის თანახმად, შრომის ნაყოფიერება გამოიხატება პროდუქციაში მისი ზღვრული წილის ღირებულების ეკვივალენტური ხელფასით. ზოგჯერ ეჭვის ქვეშ დგება თეზისი იმის შესახებ, რომ განათლება ზრდის ადამიანის შრომის ნაყოფიერებას, აგრეთვე შემოსავლების განაწილების ნეოკლასიკური თეორია იმ არგუმენტით, რომ ბიუროკრატიული ხელფასების შკალა ხშირად სულ არ არის დაკავშირებული ინდივიდის შრომის ნაყოფიერებასთან. ეს არგუმენტები მართებულია გასაკუთრებით ისეთი ქვეყნების მიმართ, სადაც კერძო სექტორი შედარებით სუსტადაა განვითარებული.

წლიური გამომუშავება და საათობრივი

ხელფასი

განათლებიდან მიღებული სარგებელი გულისხმობს შრომის ნაყოფიერების ზრდას, რომელიც აისახება ხელფასის რაოდენობაში, ასევე დასაქმების ხანგრძლიობით, რომელიც განისაზღვრება სამუშაო საათების რაოდენობით.

დასაქმების ხანგრძლიობა არის თავისუფალ დროსა და შემოსავალს შორის ინდივიდის არჩევანის შედეგი და მას შეიძლება არავითარი კავშირი ჰქონდეს განათლებიდან მიღებულ სარგებელთან.

შეიძლება ითქვას, რომ განათლება არა მარტო შანსს აძლევს ადამიანს იშოვოს სამსახური, არამედ უქმნის მას მთელი განაკვეთით დასაქმების შესაძლებლობას. ამდენად, განათლება ზემოქმედებს როგორც შრომის ნაყოფიერებაზე, ასევე სამუშაო პირობების ინდივიდუალურ არჩევანზე. თუ ეს ასეა, მაშინ ხელფასის რაოდენობა სრულად ვერ ასახავს განათლებიდან მიღებულ ყველა სარგებლობას.

ამ ორი გარემოებით, რომლებიც მართალია ერთმანეთის საპირისპიროა და გამოხატავს თავისუფალ დროსა და სამუშაო პირობებს შორის არჩევანს, უნდა მოხდეს სიცოცხლის განმავლობაში მიღებული გამომუშავების შეაფასება და ერთმანეთთან შედარება.

განათლების ხარისხი და რაოდენობა

განათლების ეკონომიკური ღირებულების შესაფასებლად გამოიყენება სწავლების ხანგრძლიობის ან განათლების მოცემული დონის მონაცემები, აგრეთვე, ის, თუ მოცემული საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხი რამდენად ახდენს გავლენას ცხოვრების განმავლობაში გამომუშავების სიდიდეზე. სხვა მეთოდებია: ერთ სტუდენტზე სწავლებაზე გაღებული ხარჯებისა და სწავლების ხანგრძლიობის შედარება გამომუშავების სიდიდეზე. ყველა ეს მიდგომა გვიჩვენებს სასწავლო დაწესებულების ხარისხის ზეგავლენას მომავალ შემოსავლებზე. შეიძლება ითქვას, რომ მოსწავლეებს, რომლებიც სწავლობენ მაღალხარისხიან სკოლებში, უფრო მეტი შესაძლებლობა ეძლევათ დამატებითი ინვესტიციები ჩადონ თავიანთ მომავალ განათლებაში. სასწავლო დაწესებულების ხარისხს აქვს დიდი მნიშვნელობა შემოსავლების გაზრდაში. შემოსავლის გაუმჯობესება დიდად არის დამოკიდებული სკოლის ხარისხის გაუმჯობესებაზე.

სასწავლო დაწესებულების ხარისხი მნიშვნელოვან ცვლად სიდიდეს წარმოადგენს და სწავლების რაოდენობის (სწავლების წლების) საპირისპირო ფაქტორია. იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სხვადასხვა უნარის მქონე სტუდენტთათვის. კარგი სკოლა იზიდავს კარგ სტუდენტებს. სასწავლო

დაწესებულების მაღალი ხარისხი საშუალებას აძლევს სტუდენტებს უფრო მაღე გახდნენ კვალიფიციური სპეციალისტები და გავიდნენ შრომის ბაზარზე.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ სტუდენტთა შემეცნებითი უნარ-ჩვევების განვითარებაზე არ მოქმედებს ცვლილებები სასწავლო დაწესებულების ხარისხში, მაგრამ საშუალო დონის შემეცნებითი უნარ-ჩვევები კი ნამდვილად იცვლება სწავლების ხარისხთან ერთად.

განათლება და შემოსავლების განაწილება

განათლება ეკონომიკური და სოციალური ცვლილებების მამოძრავებელი ძალაა. განათლებასთან მიმართებაში სოციალური პოლიტიკა ნაწილობრივ ეფუძნება იმ შეხედულებას, რომლის თანახმად, სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა დარიბების განათლება, რათა მათ შეძლონ საკუთარი თავისთვის დახმარების გაწევა. ამ თვალსაზრისის საპირისპიროდ ზოგიერთი ავტორი ამტკიცებს, რომ განათლება სრულყოფს შემოსავლების განაწილებას, მაგრამ ამით არ მცირდება უთანასწორობა. იგი ზრდის შემოსავლების უთანაბრობას, ამიტომ განათლებას უბრალოდ არ გააჩნია უნარი გაამართლოს ის იმედი, რომელსაც საზოგადოება უკავშირებს მას²⁶.

მიუხედავად ამისა, გაბატონებულია მაინც აზრი იმის შესახებ, რომ განათლებამ უნდა შეასრულოს შემოსავლების გამათანაბრებლის როლი, რადგან კარგი განათლება პოზიტიურად არის დაკავშირებული შემოსავლების განაწილებასთან და ინვესტიციები განათლებაში კი ზრდის შემოსავლებს.

საერთოდ, განათლების საზოგადოებრივი სარგებელი არ არის შეზღუდული ცხოვრების განმავლობაში იმ დამატებითი შემოსავლებით, რომელიც განათლებით იქმნება. საზოგადოებრივი სარგებელი ასევე დაკავშირებულია დარიბების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის შემოსავლების განაწილების პოლიტიკასთან და საზოგადოების სურვილთან გამოიყენოს განათლების სისტემა შემოსავლების უთანაბრობის შესამცირებლად.

²⁶ L.G.Thurow, *Generating Inequality*. New York, Basic Books. 1975.

დისკონტირება (ფასდაკლება)

ცხოვრების განმავლობაში გამომუშავების სიდიდის გაანგარიშებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დისკონტირების სიდიდე. მომავალში მოსალოდნელი მოგება უნდა შეჯამდეს, მიუხედავად იმისა, თუ როდის გაიზრდება იგი. ეს ნიშნავს იმას, რომ ერთი დოლარის მოგება, რომელიც შეიძლება მიღებული იქნეს 50 წლის შემდეგ, უდრის იმ ერთი დოლარის მოგებას, რომელიც მოსალოდნელია გაისად. გასაგებია, რომ სხვადასხვა პერიოდში მიღებული მოგება არ იქნება ერთმანეთის თანაბარი. უფრო ადრე მიღებული მოგება გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე შორეულ მომავალში მოსალოდნელი მოგება. პროცესი, რომლის მეშვეობით განსხვავებული სახის ეს მოგებები შეიძლება გავაერთმნიშვნელიანოთ, ცნობილია დისკონტირების (ფასდაკლება) სახელწოდებით. ამ პროცესში მთავარ პრობლემაა ფასდაკლების კოეფიციენტის შერჩევა, რომელიც იმოქმედებს იმაზე, თუ დროის გარკვეულ პერიოდში რამდენად შემცირდება ერთ დოლარზე მოსალოდნელი მოგება ეხლანდელ ღირებულებასთან შედარებით.

ზოგიერთი სხვა პრობლემა

განათლების სარგებლიანობის ანალიზისას წარმოიშვება სხვა პრობლემებიც. ერთ-ერთი მათგანი დაკავშირებულია არაფორმალურ განათლებასთან. არაფორმალურ განათლებას მიკუთვნება, მაგალითად, სახლში, სამსახურში ან სხვაგან მიღებული განათლება, საიდანაც შეიძლება რაიმე უკუგების მიღება. განათლების სარგებლიანობის შეფასებისას ამის გათვალისწინება საჭიროა, თუმცა ეკონომიკურ მეცნიერებაში იგი ჯერ კიდევ ემპირიონალურ მდგომარეობაში რჩება.

მეორე პრობლემა დაკავშირებულია ცვლად სიდიდეებთან. ისეთი რაოდენობრივი ცვლადი სიდიდე, როგორიცაა, მაგალითად, ინტელექტი, იმდენად ძნელია გასაზომად, რომ შეცდომები თითქმის გარდუვალი იქნება. ამიტომ განათლებისა და სხვა ცვლადი სიდიდეების კავშირი შემოსავალთან სრულყოფილად ვერ ახსნის შემოსავლების ცვლილებებს. ამდენად, განათლება-შემოსავლის ურთიერთობაში შეიძლება მცდარი დასკვნები იქნეს გაკეთებული.


სხვა პრობლემაა თავისუფალი დროის გამოყენების გათვალისწინება განათლების სარგებლიანობის შეფასებისას. ცხადია, რომ განათლება ცვლის ადამიანის საქმიანობაში თავისუფალი დროის გამოყენებას. ის, თუ როგორ ვატარებთ თავისუფალ დროს, ეკონომიკის ფარგლებს მიღმა რჩება, ხოლო განათლების ცვლილების შედეგად თავისუფალი დროის გამოყენებაში ასახული ცვლილებები ეკონომიკურად არ გამოხატავს განათლების სარგებლიანობას. ამ მოტივით ადამიანისეული კაპიტალის კონცეფციას, რომელიც განათლებასა და ადამიანის შრომას ერთმანეთთან აკავშირებს, ზოგჯერ აკრიტიკებენ მისი ვიწრო კრიტერიუმებისათვის.

§5. ადამიანისეული კაპიტალის კრიტიკული ჰიპოთეზები

რეკომენდაციის ანუ "გაცრის" ჰიპოთეზა

1970 წელს ი. ბერგმა გამოაქვეყნა წიგნი, რომელშიც ადამიანისეული კაპიტალის მიდგომას უწოდებს „განათლების დიდ ძარცვას“.²⁷ მისი მიმდევრები ამტკიცებენ, რომ განათლებასა და შემოსავალს შორის შეიძლება არსებობდეს სხვანაირი კავშირი, ისეთი, რომელიც ნაჩვენებია 4.4 სქემაზე.²⁸

სქემა 4.4



მთავარი სხვაობა 1 და 2 სქემებს შორის არის „შემაკავშირებელი“ ეტაპი. ადამიანისეული კაპიტალის მიდგომაში ეს არის უფრო მაღალი შრომის ნაყოფიერება, ბერგის მიმდევრების შეხედულებით კი - უფრო მაღალი რეკომენდაცია. რეკომენდაცია ნიშნავს დიპლომის (ან მანდატის) მიღებას. ამ

²⁷ I. Berg, Education and Jobs: The Great Training Robbery. New York, Praeger, 1970.

²⁸ J.E. Stiglitz, The Theory of "Screening" Education and the Distribution of Income. "American Economic Review", 1975, #65 (June), pp. 283-300.

მიდგომის თანახმად, განათლებაში მიღწევებმა ან განათლების მიღებამ შრომის ნაყოფიერებაზე შეიძლება არ იმოქმედოს მნიშვნელოვნად, რადგან ადამიანებს, რომლებიც შერჩეულები არიან გარკვეული სასწავლო პროგრამისათვის, გააჩნიათ ის თვისებები, რომლებსაც ეძებს სამუშაოს დამქირავებელი და ისინი მათ უხდებიან უფრო მაღალ ხელფასს მიუხედავად მათი შრომის ნაყოფიერებისა. ამრიგად, განათლებას აქვს მხოლოდ სასელექციო ან სასიგნალო ფუნქცია, ამიტომ განათლებასა და გამომუშავებას შორის კორელაციურ კავშირს ადამიანისეული კაპიტალის თეორია ვერ ასაბუთებს.

რეკომენდაციის ჰიპოთეზას ეწინააღმდეგება განათლება-შემოსავლის ურთიერთობის კონცეფცია. თუ სასიგნალო ან სასელექციო ფუნქციის არგუმენტს მივიჩნევთ მართებულად, მაშინ ამ კონცეფციით უფრო მარტივად მოხდება ინდივიდის უნარისა და თვისებების გამოვლენა.

70-ანი წლების ბოლოდან დახასიათებისა და რეკომენდაციის სხვადასხვა მოდელებს დიდი ყურადღება დაეთმო. შემუშავდა სხვადასხვა ტესტი ამ ფენომენებთან დაკავშირებული ჰიპოთეზის შესამოწმებლად. ემპირიული ტესტების უმრავლესობა ეხებოდა განათლებასა და გამომუშავებას შორის ურთიერთობის გამოვლენას განათლების საინფორმაციო ღირებულების ანალიზის გზით შრომის ბაზრის კონტექსტში. ამ პროცესში საკმაოდ ძნელი აღმოჩნდა დახასიათების ჰიპოთეზის ემპირიულად დამტკიცება (შემოწმება) და იმის გაზომვა, თუ სინამდვილეში რეკომენდაცია რამდენად ქმედითია.

რეკომენდაციის ჰიპოთეზის თანახმად, განათლების დონე უნდა იყოს უფრო მაღალი ისეთი შრომის ბაზრის პირობებში, სადაც დამქირავებელს აქვს ძალიან მცირე ინფორმაცია დასაქირავებელი მუშაკის უნარისა და პოტენციური ნაყოფიერების შესახებ და პირიქით, იგი უნდა იყოს უფრო დაბალი ისეთი შრომის ბაზრის პირობებში, სადაც დამქირავებელს გააჩნია მეტი ინფორმაცია დასაქირავებელი მუშაკის შესახებ. პირველ შემთხვევაში ინდივიდებს უწევთ მეტი ინვესტიციების გაღება განათლებაში იმისათვის, რომ აგრძნობინონ დამქირავებელს თავიანთი უნარის შესახებ და მიიღონ სამუშაო ან დაწინაურდნენ სამსახურში. მეორე შემთხვევაში კი ეს სიგნალი ნაკლებად მნიშვნელოვანია. ამის მსგავსად, რეკომენდაციის ჰიპოთეზაზე დაფუძნებით, განათლებიდან უკუგება უნდა იყოს უფრო დაბალი იმ სიტუაციებში, როდესაც ვრცელი ინფორმაცია არსებობს მუშაკის უნარის შესახებ და - უფრო მაღალი იმ სიტუაციებში, როცა ასეთი ინფორმაცია ნაკლებია. პირველ შემთხვევაში

დამქირავებელი არ არის იძულებული გასამრჯელო მისცეს მუშაკს განათლებისათვის, მეორე შემთხვევაში კი მას უხდება ამის გაკეთება.

ჰიპოთეზის სუსტი და ძლიერი ვერსიები

რეკომენდაციის ჰიპოთეზა ინტუიციურად მიმზიდველია და აშკარაა, რომ განათლება ასრულებს რაღაც სიგნალის ან ფილტრის ფუნქციას. ამ ჰიპოთეზას გააჩნია „სუსტი“ და „ძლიერი“ ვერსიები. სუსტი ვერსია ეხება ისეთ პრაქტიკას, როცა დამქირავებელი დასაწყისში უფრო მაღალ ხელფასს უხდის განათლებულ მუშაკებს იმიტომ, რომ მას არ გააჩნია ინფორმაცია მათი პოტენციური ნაყოფიერების შესახებ, მაშინ როდესაც ძლიერი ვერსია ეხება უფრო განათლებულ მუშაკებისათვის უფრო მაღალი ხელფასის უწყვეტ მიცემას, თუმცა დამქირავებელს ჰქონდა დრო შეეფასებინა მათი მუშაობა. თუ ამ ჰიპოთეზის სუსტი ვერსია ადვილად დასაჯერებელია, იგივე არ შეიძლება ითქვას ძლიერი ვერსიის შესახებ, რადგან ამ შემთხვევაში დამქირავებელი დროთა განმავლობაში შეამოწმებდა მუშაკის სამუშაოზე აყვანის თავის თავდაპირველ გადაწყვეტილებას და შეიტანდა შესაბამის ცვლილებას. ამიტომ არარაციონალური იქნებოდა დამქირავებელს განემტკიცებინა დაქირავების საწყის ეტაპზე დაშვებული შეცდომა და გაეგრძელებინა მაღალი ხელფასის მიცემა დაბალნაყოფიერი მუშაკებისათვის.

განათლების დამადასტურებელი საბუთების გამოყენება დაქირავების პროცესში წარმოადგენს სტატისტიკური დისკრიმინაციის სტრუქტურის ნაწილს, რომელსაც დამქირავებლები იყენებენ ხელფასის შესამცირებლად. სტატისტიკური დისკრიმინაცია ხდება მაშინ, როცა დამქირავებლები, რომლებსაც გააჩნიათ საკმარის ინფორმაცია პოტენციური მუშაკების შესახებ, იყენებენ სქესს, რასას, ასაკს, ოჯახურ მდგომარეობას, მუშაობის გამოცდილებასა და განათლებას, როგორც სანდო მაჩვენებლებს იმისათვის, რომ წინასწარ განსაზღვრონ სამუშაოს შესრულების ხარისხი. ამ თვალსაზრისით რეკომენდაციის ჰიპოთეზა წარმოადგენს შრომის ბაზრის ისეთ კლასიკურ საინფორმაციო პრობლემას, როცა დამქირავებელი ეყრდნობა ჯგუფურ ნიშან-თვისებებს და სტერეოტიპებს პოტენციური მუშაკების გამოსაცნობად და დისკრიმინაციას ახდენს სოციალური ჯგუფის არატიპიურ წევრებზე. განათლება გახდა ყველაზე გონივრული ფაქტორი, რომელიც გამოიყენება სტატისტიკური დისკრიმინაციის სტრუქტურაში

თავდაპირველი დაქირავების მიზნით და იგი ხელს უწყობს დამქირავებლების მიერ მუშაკების "გაცრას" განათლების დონის გათვალისწინებით.

ასეთი "გაცრა" ხდება შიდა ბაზარზეც. კომერციული და სახელმწიფო ორგანიზაციები, კადრების დენადობით გამოწვეული ხარჯების შესამცირებლად, სამუშაო ვაკანსიების უმეტესობას შეავსებენ შიდა სელექციითა და დაწინაურებით. ასეთი სამენეჯმენტო პრაქტიკა კარიერის გაკეთების სტიმულს აძლევს მუშაკებს ორგანიზაციის შიგნით და ზრდის დაქირავების ეფექტინობას. მუშაკები იმედოვნებენ, რომ ისინი მომავალში დაწინაურდებიან, ამიტომ, მუშაკების სამუშაოზე აყვანა იმთავითვე გულისხმობს გარკვეული კარიერის კეთების საშუალებას. უპირატესობა, რომელიც ამ მუშაკებს აქვთ დაქირავებისას, გადაიქცევა მუდმივ უპირატესობად ამ ორგანიზაციაში მათი საქმიანობის მანძილზე. ამრიგად, დაქირავების დროს საგანმანათლებლო კვალიფიკაციის გამოყენება მუშაკების "გაცრის" მიზნით ხდება მუშაკების დასაქმების ეფექტური საშუალება ამ საწარმოში მთელი მათი საქმიანობის განმავლობაში.

ემპირიული ტესტები

"გაცრის" ჰიპოთეზის რაციონალური ტესტის შედგენის მიზნით მიზანშეწონილია თვითდასაქმებულთა, როგორც საკონტროლო ჯგუფის გამოყენება. თვითდასაქმებულები მუშაობენ თავიანთ საწარმოებში და მათ მიმართ "გაცრის" პროცესი არ გამოიყენება. ასეთ მუშაკებს, ჩვეულებრივ აქვთ განათლების უფრო დაბალი დონე, რადგან მათ არ სჭირდებათ თავიანთი შრომის შესაძლებლობების მტკიცება. ამ შემთხვევაში, მხოლოდ მათი პროდუქციის პოტენციურმა მომხმარებლებმა შეიძლება შეასრულონ ე.წ. "გაცრის" ფუნქცია, რაც სტიმულს მისცემდა თვითდასაქმებულებს შეიძინონ ან აიმაღლონ განათლების დონე. გარდა ამისა, ამ მუშაკებმა შეიძლება იფიქრონ განათლების დონის ამაღლებზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი ცდილობენ არ შემოიფარგლონ თვითდასაქმებულთა სტატუსით და ჰქონდეთ სხვაგან ხელფასიანი სამსახურის შოვნის იმედი.

თვითდასაქმებულთა ჯგუფიდან მიზანშეწონილია გამოირიცხოს ისეთი სპეციალობის მქონე ადამიანები, როგორცაა, მაგალითად, ბუღალტრები, ექიმები, იურისტები, რადგან ამ ჯგუფში შეიძლება აღმოჩნდეს მაღალი ხელფასის მქონე ისეთი პროფესიონალები, რომლებსაც აქვთ უფრო მაღალი

განათლება, ვიდრე მათ, ვინც მუშაობს დაქირავებით და შეადგენენ მაღალხელფასიანების ჯგუფს.

თუ განათლების დონეებში თვითდასაქმებულთა და დასაქმებულებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობა არ არის, მაშინ "გაცრის" ჰიპოთეზა უარყოფილი იქნება. საერთოდ კი "გაცრის" ფენომენი უფრო შესაძლებელია ზოგიერთ ისეთ პროფესიებში, როგორცაა, მასწავლებლები და მეცნიერები, ვიდრე, მენეჯერები და ინჟინრები.

"გაცრის" მიზნით შედგენილი ემპირიული ტესტები მიზნად ისახავენ იმის შემოწმებას, თუ რამდენად ახდენს განათლება გავლენას დაქირავებულზე სამუშაოზე დაქირავების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს.

მუშაკის დასაქმება ემყარება მისი ცოდნისა და მისი მოსალოდნელი შრომის ნაყოფიერების შესახებ ინფორმაციას. ორივე შემთხვევაში თვითდასაქმებულთა განათლებაში და პროფესიონალურ მომზადებაში დაბანდებული ინვესტიციებიდან მიღებული მოგება განსხვავდება იმ მოგებისაგან, რომელიც მიიღო დაქირავებულმა მუშაკებმა მათ მიერ დაბანდებული ინვესტიციებისაგან. ამ სიდიდეების შედარებით განსხვავებული დასკვნები კეთდება იმის შესაბამისად, თუ რომელი თეორია – ადამიანისეული კაპიტალის თუ "გაცრის" ჰიპოთეზა უფრო კარგად ახსნის მიღებულ შედეგებს.

სამუშაოსათვის კონკურენციის მოდელი

სამუშაოსათვის კონკურენციის მოდელი ეფუძნება შეხედულებას, რომლის თანახმად, შრომის ბაზარზე ადამიანები ეჯიბრებიან ერთმანეთს არა უპირატესად ხელფასისათვის, არამედ იმ საწყისი თანამდებობის მისაღებად, რომელიც მათი დაწინაურებისა და კარიერის საფუძველს შექმნის. შრომის ბაზარზე, სადაც წარმოებს ასეთი შეჯიბრი, განათლების ეკონომიკური როლი ნაკლებად მნიშვნელოვანია. აქ მთავარია არა ის, რომ განათლების მიღებით მუშაკმა შეიძინა შესაბამისი უნარ-ჩვევები და განათლება არის მისი შრომის ნაყოფიერებისა და ხელფასის ზრდის პირობა, არამედ ის, რომ განათლება უპირატესად ადასტურებს მუშაკის „სწავლის უნარს“ და აძლევს მას გარკვეული სტატუსის მიღების უფლებას.

სამუშაოსათვის კონკურენციის მოდელის მიხედვით, მუშაკების პოტენციურ შემოსავალს ქმნის სამსახურის შოვნის შედარებითი შესაძლებლობები და

ეკონომიკაში სამუშაო ადგილების განაწილების არსებული მდგომარეობა. მუშაკები შრომის ბაზარზე ეჯიბრებიან ერთმანეთს არსებული სამუშაოს მისაღებად და მათი შესაძლებლობები განისაზღვრება სხვადასხვა მონაცემებით: სქესით, უნარ-ჩვევებით, გამოცდილებით, რასით, ცოდნითა და განათლებით. ამასთან, შრომის უნარ-ჩვევები შეიძლება გამოიყენებოდეს სამუშაო ადგილზე, რაც თვალნათელს გახდის დამქირავებლისათვის იმ სწავლის ღირებულებას, რომელიც დასჭირდება მსურველებს მოცემულ ადგილზე მუშაობისათვის. რადგან დამქირავებელი ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს თავისი ხარჯები, ამიტომ სამსახურის მიღების შანსი არსებითად განისაზღვრება მუშაკების ადგილით შრომის ბაზარზე. ისინი, ვინც მომზადებული არიან და ნაკლებ ხარჯებს საჭიროებენ სწავლაზე, მათ უკეთესი სამსახურის მიღების მეტი შანსი აქვთ.

ამ თვალსაზრისით, განათლება ასრულებს უბრალოდ ერთ-ერთი მონაცემის როლს, რომელიც გამოიყენება დამქირავებლის მიერ შრომის ბაზარზე ინდივიდების შესაფასებლად. იმდენად, რამდენადაც განათლება გამოიყენება როგორც "გაცრის" ხერხი, სამუშაო ძალის კვალიფიკაციაში ცვლილებებს შეუძლიათ შეცვალონ შრომის ბაზრის ფორმა, მაგრამ ეს ცვლილებები აუცილებელ გავლენას არ მოახდენს შემოსავლების რეალურ განაწილებაზე. შემოსავლების განაწილება წარმოადგენს სამუშაო ადგილების განაწილების ფუნქციას. სამუშაო ადგილების განაწილება კი რეგულირდება რიგი ფაქტორების რთული ურთიერთმოქმედებით, ტექნოლოგიური პროცესების ხასიათის, ხელფასის განსაზღვრისა და საგანმანათლებლო ღირებულების ჩათვლით.

შრომის ბაზარზე უმაღლესი განათლების მქონე მუშაკების ჭარბი რაოდენობა აიძულებს მათ დათანხმდნენ უფრო დაბალ სამსახურზე და შეცვალონ სასკოლო განათლების მქონე მუშაკები ამ უკანასკნელებისათვის ხელმისაწვდომ საუკეთესო სამუშაო ადგილებზე. ამ პირობებში არ ხდება უმაღლესი განათლების მქონე მუშაკების ხელფასების მკვეთრი შემცირება, არამედ იგი თანდათან მცირდება, მაგრამ მაინც მაღალი რჩება საშუალო განათლების მქონე მუშაკების ანაზღაურებასთან შედარებით. ამის შედეგად, იმისათვის, რომ საშუალო სკოლადამთავრებულებმა შეინარჩუნონ თავიანთი შედარებითი პოზიციები შრომის ბაზარზე, იძულებული ხდებიან ინვესტიციები გაიღონ დამატებითი განათლების მისაღებად. ქცევის ეს ტიპი სტიმულირებს განათლების დონის აბსოლუტურ ზრდას შესაბამის სამუშაო ადგილებზე.

ორნაწილიანი (დუალისტური) შრომის ბაზრის ჰიპოთეზა

შრომის ბაზრის სეგმენტაციის თეორიის მომხრეები ადამიანისეული კაპიტალის მიდგომას კიდევ ერთ პრეტენზიას უყენებენ. მათი აზრით, ადამიანისეული კაპიტალის თეორია სწორია მხოლოდ შრომის ბაზრის გარკვეული სეგმენტების მიმართ. სხვა სეგმენტებისათვის, ძირითადად უმცირესობებისათვის და ღარიბი ინდივიდებისათვის, ეს თეორია არ მუშაობს. სეგმენტაციის ჰიპოთეზა, რომელიც თავისი ყველაზე მარტივი ფორმით ცნობილია როგორც „ორნაწილიანი თეორია“, ამტკიცებს, რომ შრომის ბაზარი გაყოფილია ორ ნაწილად: „პირველად“ და „მეორად“ შრომის ბაზრებად. პირველადი შრომის ბაზარი შედგება იმ ინდივიდებისაგან, რომლებსაც საშუალება აქვთ ისწავლონ, უზრუნველყონ ეკონომიკური და სამსახურებრივი მოტივების იმედი და უზრუნველყოფილნი არიან კარიერით. მეორადი ბაზარი შედგება ისეთი მუშაკებისაგან, რომლებიც დაქირავებულები არიან დროებით, არა აქვთ არავითარი შანსი ისწავლონ და კარგი ადგილი დაიკავონ სამსახურში მიუხედავად იმისა, რა განათლებაც არ უნდა ჰქონდეთ მიღებული მათ.

დუალისტების (ან სეგმენტისტების) მიხედვით, კავშირი განათლებასა და შემოსავალს შორის, როგორც ის ზემოთ აღწერილია სქემაში, არ არის დაკავშირებული მუშაკის შრომის ნაყოფიერებასთან, არამედ ისეთ თვისებასთან, რომლითაც განსხვავდება პირველადი შრომის ბაზრის მუშაკები იმათგან, ვინც ნაკლებად იღბლიანია. იგი ისევ „გაცრის“ მაგვარი პროცესის შედეგია, მაგრამ მისი შინაარსი (მნიშვნელობა) განსხვავებულია. "გაცრის" ჰიპოთეზაში განათლება და შემოსავალი დაკავშირებულია ერთმანეთთან არა შრომის ნაყოფიერების საშუალებით, არამედ უპირატესად იმის გამო, რომ დამქირავებელი გამოიყენებს დიპლომებს სელექციისათვის.

სოციალური თეორია

სოციალური თეორიის თანახმად, არათანასწორი შემოსავლების არსებობა დაკავშირებულია ინდივიდის სოციალურ წარმოშობაზე. განათლება განიხილება როგორც მამოძრავებელი ძალა, რომლის მეშვეობითაც ზედა კლასები თავიანთ სიმდიდრეს გადასცემენ თაობიდან თაობას. სახელმწიფო განათლება არ

ათანასწორებს ინდივიდების შესაძლებლობებს, არამედ ამზადებს მასებს, რათა იმოქმედონ კაპიტალისტების სურვილების შესაბამისად, ამიტომ სკოლებში ისწავლება დისციპლინა, პუნქტუალობა და კარგი მანერები და ნაკლებად ექცევა ყურადღება დამოუკიდებელი აზროვნებისა და შემოქმედების სწავლებას. ელიტის წარმომადგენლები ჩვეულებრივ დადიან ისეთ კერძო სკოლებში, სადაც ასეთ ნორმებს ხაზს არ უსვამენ, ამიტომ სახელმწიფო განათლება ემსახურება ელიტის ინტერესებს და იგი არ შეიძლება აღიარებული იქნას როგორც სოციალური და ეკონომიკური თანასწორობის მიღწევის საშუალება. ამ თეორიის თანახმად, განათლების ზეგავლენა შემოსავლებზე ძალიან უმნიშვნელოა და იგი უპირატეს ყურადღებას აქცევს „სოციალურ კლასის“ ქცევას.

თეორიული სინთეზის შესაძლებლობა

ადამიანისეული კაპიტალის თეორია და "გაცრის" ჰიპოთეზა ერთმანეთის საპირისპირო თეორიებია, მაგრამ ისინი ვერ ცვლიან ერთმანეთს, თუმცა გარკვეული აზრით ერთმანეთის დამატებად შეიძლება წარმოვიდგინოთ. "გაცრის" იდეა და მისი კავშირი სხვა თეორიების სხვადასხვა ვერსიებთან, როგორც არის რადიკალური სოციალიზმის მიდგომა ანდა ორმაგი შრომის ბაზრის ჰიპოთეზა, გეთავაზობს იმის რეალისტურ შეფასებას, თუ სინამდვილეში როგორ ფუნქციონირებს შრომის ბაზარი, რაც გვაძლევს განათლებასა და შემოსავლებს შორის ურთიერთკავშირის ახლებურად გააზრების საშუალებას. "გაცრის" ჰიპოთეზა განმარტავს იმ ფაქტს, რომ გამომუშავება იზრდება დამატებით განათლებასთან ერთად და ხსნის იმასაც, თუ მაღალი კვალიფიკაცია საბოლოო ჯამში რატომ არ შეესაბამება სამსახურის იმ ტიპს, რომელსაც იღებენ შესაბამისი სკოლის კურსდამთავრებულები. ამით პასუხობს იმ კითხვასაც, თუ ბოლო 40 წლის განმავლობაში საზოგადოების "აფეთქებამ" განათლებისადმი რატომ ადექვატურად არ იმოქმედა შემოსავლების თანასწორ გადანაწილებაზე.

განათლების ეკონომიკაში ეს ახალი მიმართულებები, იმ ტრადიციული კონცეფციებისაგან განსხვავებით, რომლის თანახმად, განათლება მუშაკებს უფრო ნაყოფიერს ხდის და დამჭირავებლები მათ უფრო მეტს უხდიან მათი შრომის მარალი შედეგების გამო, განათლების ეკონომიკურ ფასეულობას (ღირებულებას) სრულიად სხვა ასპექტში წარმოადგენენ.

აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ადამიანისეული კაპიტალის თეორიის ძლიერ

მხარეს წარმოადგენს სწორედ ის არგუმენტები, რომლებიც ასაბუთებენ განათლებასა და გამომუშაებასა და ნაყოფიერებას შორის კავშირს, მაშინ როცა ამ ასპექტს სხვა თეორიები ემპირიულადაც კი არ ამტკიცებენ.

სხვადასხვა თეორიების ღირსებების დაპირისპირება და გამოვლენა სასარგებლოა მათი მომავალი სიცოცხლისუნარიანობისათვის. ყველა აღნიშნული თეორია შეიცავს ჭეშმარიტების ელემენტს და მათი შედარებითი ძალა იცვლება დროში და სივრცეში.

თაზო V

საგანმანათლებლო ღირებულება

უკანასკნელ პერიოდში მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში განათლებაზე ხარჯები მნიშვნელოვნად გაიზარდა, ამიტომ მეტი ყურადღება დაეთმო საგანმანათლებლო ღირებულების საკითხს, რომელიც უშუალოდ სასწავლო დაწესებულებების საქმიანობას უკავშირდება.

საგანმანათლებლო ღირებულების შესახებ შეფასებები ეხება ოფიციალურ, ლეგალურ განათლებას. მასში იგულისხმება დაწესებითი და საშუალო (კერძო და სახელმწიფო) სკოლები და სახელმწიფო და კერძო უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების დაწესებულებები.

სწავლების ღირებულება არ არის მასზე გაწეული ხარჯების იდენტური. განათლებაზე ხარჯები შეიცავს არა მარტო დანახარჯებს მიმდინარე (ეხლანდელ) საქმიანობაზე (როგორც არის მასწავლებლების ხელფასი), არამედ აგრეთვე ხარჯებს მომავალ საქმიანობაზე. ხარჯები ახალ შენობებზე და მოწყობილობებზე, ანდა ძველი შენობების გაუმჯობესებაზე და განახლებაზე არ შეიძლება ჩაითვალოს მიმდინარე დანახარჯებად, თუ ამ ხარჯების ნაწილი ან მთლიანი თანხა არ გამოიყენება მიმდინარე პერიოდის განმავლობაში. ამავე დროს, შენობისა და ინვენტარის ამორტიზაციას (ფაქტიური ცვეთისა და სიძველით გამოწვეული ამორტიზაციის ჩათვლით) მიმდინარე პერიოდში უნდა დავუმატოთ მიმდინარე დანახარჯებს. კაპიტალის ხარჯების ჩართვა მიმდინარე პერიოდის ხარჯებში იწვევს მიმდინარე დანახარჯების გადაჭარბებით შეფასებასა და სკოლების მატერიალური ქონების ღირებულების გაზრდას.

საგანმანათლებლო ღირებულება რთული ცნებაა და მისი მთლიანად გაზომვა შეუძლებელია. იგი უნდა შევადაროთ განათლებიდან მიღებული მოგების ამა თუ იმ ვარიანტს მანამ, სანამ გავაკეთებდეთ დასკვნებს ამ სფეროში გაწეული ინვესტიციების სარგებლიანობის შესახებ.

პირდაპირი დანახარჯები

საგანმანათლებლო ღირებულება შეიცავს როგორც პირდაპირ ხარჯებს (სკოლის, სტუდენტის და სტუდენტის ოჯახის მიერ), ისე ირიბ (არაპირდაპირ) ხარჯებს (როგორც არის შესაძლო შემოსავალზე უარის თქმა). პირდაპირ ხარჯებს დიდ ყურადღება ექცევა იმიტომ, რომ ასეთი ხარჯების შედეგებს უშუალოდ ხედავენ გადასახადების გადამხდელები და სკოლის პირდაპირი ხარჯების სტატისტიკა მათთვის ხელმისაწვდომია და ადვილად შეიძლება შეფასდეს, მაშინ როცა ირიბი ხარჯები ახსნას საჭიროებენ.

პირდაპირი ხარჯების უმეტესობას განათლების სისტემა თვითონ იხდის. ეს განსაკუთრებით მისაღებია სახელმწიფო სკოლებისათვის, რადგან სწავლება და ჰონორარი დაწყებით და საშუალო სკოლებში ფაქტობრივად ნულის ტოლია. და მაინც, პირდაპირი ხარჯების ნაწილს გაიღებენ მოსწავლეები და მათი ოჯახები. მაგალითად, (1) ოთახის, კვების, ჩაცმის დამატებითი ხარჯები; (2) სკოლაში და სკოლიდან მგზავრობის სატრანსპორტო ხარჯები; (3) მომარაგების ხარჯები: წიგნები, სპორტული ინვენტარი და ა.შ. რადგან მოსწავლეების ხარჯები შედის სკოლის ხარჯების კატეგორიაში, ამიტომ არ არის საჭირო განვაცალკევოთ კერძო და საზოგადოებრივი დანახარჯები ერთმანეთისაგან. გარდა ამისა, ზოგიერთი პირდაპირი ხარჯების სტატისტიკა არ არის ადვილად ხელმისაწვდომი, ამიტომ ისინიც ახსნას საჭიროებენ.

გამომუშავება (მოგება), რომელიც უარყოფილია სტუდენტების მიერ

დრო, რომელსაც სტუდენტები ხარჯავენ სასწავლო დაწესებულებაში ან სასწავლო პროცესისათვის მომზადებაზე, არ არის უფასო, რადგან ალტერნატიულად შესაძლებელია სამუშაო ადგილისა და შესაბამისი გამომუშავების მიღება განათლების არმქონე ან შედარებით დაბალი განათლების მქონე ინდივიდებისათვის. სტუდენტებს შეეძლოთ მიეღოთ გარკვეული შემოსავალი, თუ იგი უნივერსიტეტში სიარულის ნაცვლად სამუშაოზე დასაქმდებოდა. რადგან მრავალი სახის სამუშაო 16 წლამდე მოზარდებისათვის კანონით აკრძალულია (გარდა ზოგიერთი შეზღუდული, არასრული სამუშაო დღით საქმიანობისა), ამიტომ შემოსავალი, რომელიც უარყოფილი ამ ასაკის ჯგუფის მიერ, პრაქტიკულად არ არსებობს. თუ

სტუდენტებს შეუძლიათ სწავლის მაგივრად გაუწიონ დახმარება სახლში, ფერმაში, ანდა ზოგიერთ შემთხვევაში, მშობლის სამსახურში, მაშინ ამ შემთხვევაში გარკვეული შემოსავალი მათ მიერ იქნებოდა უარყოფილი.

ამ პრობლემის კომპრომისული გადაწყვეტის სახით გამოიყენება შულცის მეთოდი. ამ მეთოდის თანახმად, უნდა ვივარაუდოთ, რომ დაწყებითი სკოლის მოსწავლეები არანაირ შემოსავალს არ უარყოფენ, ხოლო საშუალო სკოლის და კოლეჯის ანდა უნივერსიტეტის სტუდენტები კარგავენ შემოსავლის იმ გარკვეულ ნაწილს, რომელსაც გამოიმუშაებენ მათი ასაკობრივი ჯგუფის ინდივიდები. სტუდენტების მიერ დაკარგული შემოსავალი დაანგარიშებული იყო იმ ვარაუდით, რომ საშუალოდ სტუდენტები კარგავენ ასეთი გამოიმუშაების 40 კვირას. ეს თანხა შედარებული იყო ამავე პერიოდის იმ გამოიმუშაებასთან, რომელიც აქვთ შეერთებულ შტატებში წარმოებაში დასაქმებულ ინდივიდებს. აღმოჩნდა, რომ საშუალო სკოლის მოსწავლეები კარგავენ ასეთი გამოიმუშაების 11 კვირის ეკვივალენტურ და კოლეჯის ან უნივერსიტეტის სტუდენტები – დაახლოებით 25 კვირის ეკვივალენტურ თანხას.²⁹

შულცის მეთოდის გამოყენების დროს დგება მთელი რიგი პრობლემა. პირველი, შეიძლება მართებულიც იყოს იმის მტკიცება, რომ ინდივიდუალურ სტუდენტს, ანდა სტუდენტების შედარებით პატარა ჯგუფს შეეძლოთ სავარაუდოდ გამოიმუშაებინათ წარმოებაში დასაქმებულთა საშუალო კვირეული ხელფასის ეკვივალენტი, მაგრამ სტუდენტების მოზღვავება შრომის ბაზარზე ალბათ შეცვლიდა ხელფასების მთელ სურათს შრომის ბაზრის გარკვეულ ნაწილში (რაც, სავარაუდოდ იმოქმედებდა მთლიანად შრომის ბაზრის სტრუქტურაზე). საერთოდ, კი საშუალო სკოლების და კოლეჯების ან უნივერსიტეტების სტუდენტთა წილი შრომის ბაზარზე მცირეა, ამიტომ მათი დასაქმების სურვილის შემთხვევაში იგი დიდ ზეგავლენას ვერ მოახდენს საშუალო ხელფასების სიდიდეზე. უფრო შესაძლებელია, რომ ასეთი სტუდენტების მოზღვავება შრომის ბაზარზე გამოიწვევს იმ მუშაკების შეცვლას (ყოველ შემთხვევაში დროებით), ვისაც საშუალო სტუდენტზე ნაკლები უნარი და განათლება გააჩნია.

მეორე პრობლემა დაკავშირებულია სტუდენტების ინტელექტის და უნარის საერთო დონესთან. თუ ვაღიარებთ, რომ სტუდენტთა ინტელექტი და უნარი

²⁹ T.W Schults, Capital Formation by Education. Journal of Political Economy, 1960, # 68, (December), pp.571-583.

უფრო მაღალია, ვიდრე ამავე ასაკის იმ ინდივიდებისა, რომლებიც წარმოებაში დასაქმებული, მაშინ ამ უკანასკნელთა შემოსავლების სიდიდის, როგორც ეკვივალენტის გამოყენება იმის გასარკვევად, თუ რის გამომუშავებას შეძლებდნენ სტუდენტები, მათ მიერ უარყოფილი შემოსავლებზე არასწორ და შემცირებულ შეფასებას მოგვცემდა.

მეორეს მხრივ, ჩვენ უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ სასწავლო წლის განმავლობაში სტუდენტები მთელი დღით ვერ იქნებიან სამსახურში დასაქმებულნი. ამიტომ, ნებისმიერი ხანმოკლე დასაქმებით მიღებული გამომუშავება უნდა გამოაკლდეს ზემოთ შეფასებულ უარყოფილ გამომუშავებას. ამ მოვლენას უფრო სერიოზული ხასიათი აქვს უმაღლესი სკოლის სტუდენტთა დაკარგული შემოსავლების შეფასებისას.

და ბოლოს, უმუშევრობის გათვალისწინება მოითხოვს სპეციალურ ყურადღებას. უპირველეს ყოვლისა, არ არის ნათელი, თუ საშუალო სკოლის მოსწავლეების მიმართ უმუშევრობის რომელი ასაკობრივი ჯგუფის კოეფიციენტი უნდა იყოს გამოყენებული: 16-19 წლის ასაკის თუ მოზრდილების - 20 და ზევით ასაკის კოეფიციენტი? შეიძლება ამ ორიდან 16-19 წლის ასაკის კოეფიციენტი უფრო მართებული იყოს, რადგან დასაქმებაში დისკრიმინაცია ასაკის გამო უფრო მჭიდროდ დაკავშირებულია სოციალურ კლასებთან და შრომის უნართან. ამასთან, 16-19 წლის ასაკობრივი ჯგუფის დასაქმება ძირითადად შეზღუდულია სასწავლებლების მიტოვებულებით და როგორც ჯგუფი, წარმოადგენენ უმუშევრობის უფრო მაღალ კოეფიციენტს, ვიდრე კურსდამთავრებულები. რადგან კოლეჯისა და უნივერსიტეტის სტუდენტები წარმოადგენენ საზოგადოების ელიტას, მოზრდილთა უმუშევრობის საშუალო კოეფიციენტი ძალიან მაღალი იქნება. საერთოდ, უმუშევრობა პროფესიონალ მუშაკებში საგრძნობლად დაბალია ახალგაზრდებთან შედარებით. ამ გარემოებების გათვალისწინებით, უმუშევრობის ზემოთაღნიშნული ორი კოეფიციენტიდან ერთ-ერთის არჩევა მხოლოდ პირობითად შეაფასებს სტუდენტების მიერ დაკარგულ და უარყოფილ შემოსავალს.

ფარული რენტა და ამორტიზაცია

ფარული რენტა არის სასწავლო დაწესებულებების შენობის, მიწისა და ინვენტარის გაქირავების დაკარგული შესაძლებლობა, რომელიც არა საგანმათლებლო მიზნით ხორციელდება, ხოლო ამორტიზაცია ასახავს იმ

მატერიალური ქონების ცვეთას ან მოძველებას, რომელსაც საგანმანათლებლო სისტემა ფლობს. ფარული რენტა და ამორტიზაცია შეადგენენ მიმდინარე საგანმანათლებლო ღირებულებას.

როდესაც თავი გვინდა დავადწიოთ "ორმაგ ანგარიშს" და ერთხელ უკვე დახარჯული სახსრები აღარ განმეორდეს ყოველწლიურად, მაშინ კაპიტალური დანახარჯები, ამორტიზაციაზე ხარჯები და ფარული რენტა არ მიემატება მიმდინარე ხარჯებს. განათლების რეალური ღირებულების შესაფასებლად, მიუხედავად იმისა, თუ რაში მოხდა ინვესტიციების დაბანდება: ადამიანისეულ რესურსებში თუ მატერიალურ ქონებაში, აუცილებელია განვსაზღვროთ: (1) საგანმანათლებლო ღირებულება ძველი რესურსების გამოკლებით, რისთვისაც საჭირო გახდება ფარული რენტისა და ამორტიზაციის გამოთვლა; (2) საგანმანათლებლო ღირებულება იმ ახალი რესურსების გამოკლებით, რომელიც იხარჯება ახალი სტრუქტურების მშენებლობაზე და მოწყობილობაზე, განათლებაზე მიმდინარე ხარჯების (მასწავლებლებისა და მომსახურე პერსონალის ხელფასები და სხვა) დამატებით. ასე, რომ კაპიტალური ხარჯების, ამორტიზაციისა და ფარული რენტის შეჯამება არ ნიშნავს ამ შემთხვევაში "ორმაგ ანგარიშს". მეორეს მხრივ, თუ ჩვენ გვინტერესებს ინვესტიციები მხოლოდ ადამიანისეულ კაპიტალში, კაპიტალური ხარჯების (ინვესტიციები ახალ ფიზიკურ კაპიტალში) და ამორტიზაციისა და ფარული რენტის (ინვესტიციის ნაწილი განათლებაში) შეჯამება იქნებოდა არასწორი. ამ შემთხვევაში თ. შულცის აზრით, საჭიროა კაპიტალური ხარჯებიდან აბსტრაქცირება. განათლებაში მთლიანი ხარჯების გასარკვევად კი დაშვებულია როგორც კაპიტალური ხარჯებისა და ამორტიზაციის, ასევე ფარული რენტის გათვალისწინება.

ზოგიერთი საერთაშორისო შედარება

სხვადასხვა ქვეყანაში განათლებაში დაბანდებული ინვესტიციების შედარება მართალია, საინტერესოა, მაგრამ ასეთი შედარებებს საკმაოდ ფრთხილად უნდა მივუდგეთ, რადგან ქვეყნების ეროვნული სტატისტიკა შედგენილია სხვადასხვა მეთოდით. ამის გარდა, ბევრ ქვეყანაში გაანგარიშებები არ შეიძლება შესრულდეს მონაცემების სიმცირის გამო. ერთადერთი უტყუარი და შესაძლო

მაჩვენებელი, რომლის შედარებაც ნაწილობრივ მაინც არის შესძლებელი, არის სახელმწიფოს მიერ გაწეული ხარჯები განათლებაზე.

იუნესკო არის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც პერიოდულად აქვეყნებს ამ ინფორმაციას. მისი მონაცემების თანახმად, მთელ მსოფლიოში 1975-1990 წლებში ერთ სულ მოსახლეზე საშუალოდ განათლებაზე ხარჯები გაორმაგდა. რეგიონებსა და ქვეყნებს შორის ამ მაჩვენებელში არსებობს დიდი სხვაობა. მაშინ როცა ამ პერიოდის განმავლობაში ჩრდილოეთ ამერიკაში მოსახლეობის ერთ სულზე საგანმანათლებლო ხარჯები გასამმაგდა, აფრიკაში მისი ზრდა იყო უმნიშვნელო და ფაქტობრივად, 1980-1990 წლებში კლებულობდა კიდევ. საერთოდ, ერთ სულ მოსახლეზე განათლებაზე ხარჯების ზრდა გაცილებით მაღალი იყო განვითარებულ ქვეყნებში ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით. როგორც ჩანს, მდიდარი ქვეყნები როგორც აბსოლუტურად, ისევე ეროვნულ შემოსავალთან მიმართებაში განათლებაზე უფრო მეტს ხარჯავენ, ვიდრე სხვა ქვეყნები. განათლებაზე ხარჯები ყველაზე დაბალგანვითარებულ ქვეყნებში ძალიან უმნიშვნელოა. მაგალითად, 1990 წელს აფრიკაში ერთ სულ მოსახლეზე მოდიოდა 15 დოლარი, მაშინ როდესაც ჩრდილოეთ ამერიკაში იგივე მაჩვენებელი შეადგენდა 1200 დოლარს.

ანალოგიურ კანონზომიერებას აქვს ადგილი განათლებაზე ხარჯების ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაშიც. განვითარებული ქვეყნები განათლებაზე ხარჯავენ მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 7-10 პროცენტს (მაგ., კანადა, შეერთებული შტატები, ნორვეგია და სხვ.), რაც სამ-ოთხჯერ მეტია, ვიდრე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში (მაგ., მექსიკა, არგენტინა, პერუ, ბანგლადეში და სხვ.).

ამავე პერიოდში განათლებაში შედარებით დიდი ინვესტიციები იქნა დაბანდებული ყოფილ საბჭოთა კავშირში, ნავთობის მწარმოებელ ქვეყნებში (საუდის არაბეთი და ისრაელი). საერთოდ, სახელმწიფოს როლი საგანმანათლებლო ინვესტიციებში ძალიან ცვალებადია და პირდაპირ არ შეიძლება იყოს დაკავშირებული ეკონომიკური განვითარების დონესთან. მაგალითად, მაშინ როცა ეთიოპიამ და არგენტინამ განათლებაში დააბანდეს სახელმწიფო ხარჯების 10%-ზე ნაკლები, შესაბამისი მაჩვენებლები სხვა ნაკლებადგანვითარებული ქვეყნებისათვის (ტოგო, მექსიკა და პერუ) წარმოადგენდა 16-20%-ს. ამავე პერიოდში სახელმწიფო ხარჯები განათლებაზე მაღალი იყო კორეაშიც.

1990-2000 წლებში აღნიშნული ძირითადი ტენდენციები უცვლელი დარჩა მაღალგანვითარებულ და დაბალგანვითარებულ ქვეყნებში. შეიცვალა ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში განათლებისადმი დამოკიდებულება. მნიშვნელოვნად შემცირდა დანახარჯები განათლებაზე. განათლების სფეროში აუცილებელი გახდა რეფორმების გატარება და ამ სისტემის საბაზრო ეკონომიკისადმი ადაპტირება.

განათლების არაოფიციალური ხარჯები და სხვა საკითხები

განათლებაზე ხარჯების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს ქმნის ისეთი ე.წ. არაოფიციალური ხარჯები, როცა საგანმანათლებლო მოღვაწეობა აზარალებს ან ეკონომიკურ სისტემას, ან ინდივიდებს და ეს დანაკარგები არ არის გათვალისწინებული საზოგადოებრივ ან პირად ბიუჯეტში. ასეთ ხარჯებს ადგილი აქვს, მაგალითად, როდესაც სკოლა გადაიქცევა ახალგაზრდა ბანდიტების თავშესაფრად, რომლებიც ატერორებენ უბანს; როდესაც მოსწავლეები, მასწავლებლები და მოქალაქეები დანაშაულის მსხვერპლნი არიან სკოლის ტერიტორიაზე და სხვ. ასეთი დანაშაულის ღირებულება შეიძლება მივაწეროთ განათლების სისტემას. ამის მსგავსია ხმაური, უმსგავსო შენობები, ჭუჭყიანი ტერიტორია და სხვა არასასურველი მოვლენები, რომლებიც შეიძლება ასოცირებული იყოს სკოლებთან. ეს გარემოებები უნდა იყოს გათვალისწინებული სკოლების შეფასებისას.

გარდა ამისა, გათვალისწინებული უნდა იყოს ისეთი სხვადასხვა მომსახურეობის ღირებულებაც, რომელიც უშუალოდ მოსწავლეთათვის არის განკუთვნილი და აუცილებელია სასწავლო პროცესის ნორმალური წარმართვისათვის. მაგალითად, სკოლა სპეციალური პოლიციის დაცვით (თუ ეს სამსახური გაწეულია ადგილობრივი პოლიციის მიერ, მაშინ ამ სამსახურის ღირებულება არ შეადგენს საგანმანათლებლო ღირებულების ნაწილს), ან კიდევ სამედიცინო მომსახურეობა, რომელიც უშუალოდ სკოლებში არის ორგანიზებული. მართალია ისინი არ ქმნიან საგანმანათლებლო ღირებულებას, მაგრამ შედაგენენ სასწავლო ორგანიზაციის ხარჯებს.

სპეციალურად უნდა ითქვას კვების შესახებ. არსებობს დამაჯერებელი არგუმენტებისა იმისა, რომ კარგი კვება აუმჯობესებს სწავლის უნარს, ამიტომ

სასურსათო პროდუქტების ღირებულება, რომელიც ეძლევა ბავშვებს, შეიძლება არაპირდაპირ განხილული იყოს როგორც საგანმანათლებლო ხარჯების ნაწილი. თუმცა, ანალოგიურად, ისიც შეიძლება ვიფიქროთ რომ, რამდენადაც კარგი ჯანმრთელობა ხელს უწყობს სწავლის უნარის გაუმჯობესებას, ამიტომ სამედიცინო ხარჯებიც ნაწილობრივ მაინც უნდა შევიტანოთ საგანმანათლებლო ხარჯებში. როგორც პრაქტიკა მეტყველებს, თუ ასეთ ხარჯებს გაიდებს სკოლა ღარიბი და სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის, მაშინ ისინი აუცილებლად შედის საგანმანათლებლო ხარჯებში, მაგრამ სკოლაში ორგანიზებული საზოგადოებრივი კვებისა და სამედიცინო მომსახურების ხარჯებს გაიდებს თვით ინდივიდები, ამიტომ ისინი არაოფიციალურ ხარჯებს მიეკუთვნება.

საგანმანათლებლო ხარჯების შეფასებისას სრული სურათის მისაღებად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არა მარტო ფორმალური განათლების ორგანიზაცია, არამედ არაფორმალური განათლებაც, რომელსაც მოსწავლეები ღებულობენ სახლში, სამსახურში, საზოგადოებაში და ა.შ., მაგრამ ამ მონაცემების შეგროვება დაკავშირებულია ძირითადად მეთოდოლოგიურ სირთულეებთან. საკამათოა განვასხვაოთ ერთმანეთისაგან არაფორმალური განათლება და თავისუფალი დრო. მაგალითად, რომელს შეიძლება მივაწეროთ საინტერესო მხატვრული ლიტერატურის კითხვა, განათლებასა თუ თავისუფალი დროის გამოყენებას? ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მიზანს ისახავს ადამიანი, რომელიც ასეთ წიგნს კითხულობს.

არაფორმალური განათლება, როგორცაა ზოგადი და სპეციალური მომზადება, ძალიან მნიშვნელოვანია სამუშაო ადგილის მოსაძებნად. ხშირ შემთხვევაში სამსახურში ახალ მუშაკს იღებენ ცოტა ხნით ადრე იმ ადამიანის წასვლამდე, რომელიც ახალმა მუშაკმა უნდა შეცვალოს. ძველმა მუშაკმა უნდა გადასცეს ახალს აუცილებელი ინფორმაცია მისი სამუშაო ადგილის შესახებ. ეს არის საგანმანათლებლო საქმიანობა, რომლის ღირებულებაც არის სხვაობა ახალი თანამშრომლის ზღვრულ ნაყოფიერებასა (მის მიერ ფირმაში შეტანილ წილსა) და მის ხელფასს შორის სწავლების პერიოდში, პლიუს იმ დროის ნაწილის ღირებულება, რომელსაც ძველი მუშაკი ანდომებდა არაფორმალური განათლების მიღებას, პლიუს იმ მარაგისა და მასალების ღირებულება, რომელიც გამოიყენება სწავლების პროცესში. ასეთი სასწავლო საქმიანობის შეფასების მონაცემების მოპოვება ძალიან ძნელია და ფაქტიურად არც არსებობს.

დასკვნა

საგანმანათლებლო ღირებულების შეფასება ემყარება არა მარტო მასზე გაწეულ პირდაპირ ან ირიბ დანახარჯებს, არამედ ისეთ საზოგადოებრივ პრიორიტეტებსაც, როგორცაა ჯანმრთელობა, შემოსავლის შენარჩუნება, ენერჯია და სხვ. სხვა საგანმანათლებლო ხარჯებს მიეკუთვნება დანახარჯები ბიბლიოთეკაზე, განათლებაზე სახლში, რელიგიურ და სამოქალაქო დაწესებულებებში, წიგნებზე, ჟურნალებზე და სხვა. ამდენად საგანმანათლებლო ხარჯები მრავალფეროვანია და ყველა ისინი წარმოადგენენ საგანმანათლებლო ღირებულების შეფასებას. მათი დეტალიზაცია მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ განვსაზღვროთ, თუ რა მიზნით იხარჯება ეს თანხები; როგორ შეიძლება შევამციროთ ხარჯები განათლებაზე ისე, რომ შევინარჩუნოთ განათლების ხარისხი, ან როგორ უნდა განაწილდეს ინვესტიციები იმისათვის, რომ გაიზარდოს განათლების დონე და სხვ. საერთოდ, განათლებაზე გაწეული დანახარჯები შემდგომში კომპენსირდება განათლებიდან მიღებული მოგებით და საგანმანათლებლო ღირებულება და მისგან მოსალოდნელი უკუგება არის განათლებაზე გაწეული ინვესტიციებისა და მისგან მოსალოდნელი სარგებლიანობის თანაფარდობა. ამ ურთიერთობების გარკვევაში კი საგანმანათლებლო ღირებულების შეფასება არის მნიშვნელოვანი დეტერმინანტი.

თაზო VI

განათლების სარგებლიანობის შეფასების თეორიული მოდელები

საზოგადოებისა და მისი წევრების მიერ განათლებიდან მიღებული სარგებელის განსაზღვრა დაკავშირებულია განათლების ეფექტიანობის საკითხთან.

ინვესტიციები განათლებაში, ისევე როგორც მეცნიერებასა და კულტურაში, იძლევა უკუგებას, რომელსაც გრძელვადიანი ეფექტის ფორმა აქვს და აისახება დახელოვნებული, მაღალხარისხიანი სამუშაო ძალის ფორმირებაში, ხოლო საკუთრივ განათლების ხარისხი ვლინდება ინდივიდუალური მუშაკის მიერ შრომითი ოპერაციების შესრულებასა და პროდუქციის სამომხმარებლო თვისებების გაუმჯობესებაში. განათლება ამზადებს ადამიანს აქტიური ცხოვრებისათვის და ქმნის მისი შემდგომი სრულყოფის საფუძვლებს, ამიტომ, როგორც აღფრედ მარშალი აღნიშნავდა, კაპიტალებს შორის ყველაზე ღირებულია ის, რაც ინვესტირებულია ადამიანში.³⁰

განათლება, მართალია, მომგებიანი სფეროა, მაგრამ არა ყველასათვის. მას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა ეკონომიკური ღირებულება მასში დაბანდებული განსხვავებული სიდიდის ინვესტიციების გამო. გარდა ამისა, განათლებიდან მიღებული უკუგება განსხვავებულია საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლების დონეების, ინვესტიციების ტიპის მიხედვით. უკუგების სიდიდეები განსხვავებულია აგრეთვე ქვეყნების, ეროვნული წარმოშობის, სქესისა და რასის მიხედვით.

§1. უკუგების კვლევის პრინციპები

განათლებაში

უკუგების მიღების შესახებ კვლევის ტრადიციულ გზას განათლებაში შეადგენს განათლების სხვადასხვა დონის შედარება ადამიანის ფულადი

³⁰ А. Маршалл, Принципы политической экономии. т.2. М., Прогресс. 1984. с.270.

შემოსავლების კლასიფიკაციის ისეთ ელემენტებთან, როგორცაა ასაკი და სქესი.

მე-19 საუკუნის ბოლოს გამოჩნდნენ მეცნიერები, რომლებიც შეეცადნენ, ცალკე გამოეყოთ საგანმანათლებლო ეფექტი გამომუშავებული სიდიდისაგან (ხელფასისაგან). ისინი ერთმანეთს ადარებდნენ სხვადასხვა განათლების მქონე სამუშაო ძალის ხელფასის სიდიდეებს, მაგრამ მათ ვერ შეძლეს სასწავლო დაწესებულებებში მიღებული ცოდნის საფუძველზე გამომუშავებული ანაზღაურების გამოყოფა სხვა ფაქტორებისაგან, რომლებიც ზემოქმედებენ მათი ხელფასის სიდიდეზე და არ ემყარებიან ინდივიდის განათლების დონეს. თუ მთლიანობაში შევადარებთ უფრო განათლებულ ადამიანებს ნაკლებად განათლებულ ადამიანთა ჯგუფს, სადაც გაერთიანებული იქნებიან იდენტური ასაკის, საცხოვრებელი ადგილმდებარეობის, ოჯახური სტატუსის და სხვ. ადამიანები, ადვილად დავინახავთ, რომ, მარტივი სტატისტიკით, ამ ორი ჯგუფის ადამიანების შემოსავლები მნიშვნელოვნად განსხვავებული იქნება. უფრო განათლებული ადამიანები მიიღებენ მეტ შემოსავლებს ნაკლებად განათლებულებთან შედარებით.

ფული, რომელიც დახარჯულია სწავლა-განათლებაზე, გარკვეული აზრით, არის ინვესტიციები მოგების მისაღებად. ამ ტრივიალური დებულების საპირისპიროდ არსებობს სხვა გარემოებაც: პირველადი განათლების მიღების მიზანშეწონილობა არ შეიძლება განპირობებული იყოს მხოლოდ ეკონომიკური უკუგებით, რადგან საზოგადოების მიზანია პოლიტიკური და კულტურული განათლების ფართოდ გავრცელება. სკოლის შემდგომი პროფესიული განათლება უმეტესწილად ეკონომიკური მოსაზრებით ხორციელდება. ზოგიერთი ინდივიდი განათლებას დებულობს ჩვევების, სოციალური პრესტიჟის, ეფექტისა და სხვა მოტივაციის გამო. განათლების ხარჯები კი იზრდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ითვალისწინებს ინდივიდის გადაწყვეტილება დამატებითი განათლების მიღებასა და სწავლის გაგრძელებას.

"მაქსიმალური სოციალური მომგებიანობის (სარგებლიანობის)" პრინციპი

განათლების სფეროში ინვესტიციებიდან მიღებული შედეგების განსაზღვრის საფუძველია უნივერსალური თეორია, რომელიც ასახავს დანახარჯებსა და საქონლის წარმოებისა და მომსახურების შედეგებს. მისი პირველ გადაწყვეტა მოცემულია ფრ. კენეს "ეკონომიკურ ცხრილში" (1758წ) და მოგვიანებით კი - კ.

მარქსის "კაპიტალის" II ტომში. მე-20 საუკუნის დასაწყისში ვ. ლეონტიევმა შექმნა "დანახარჯები-გამოშვების" მოდელი. (ამ მოდელისათვის ავტორმა 1973 წელს მიიღო ნობელი პრემია). 60-იან წლებიდან მოყოლებული ამ მოდელს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა და შეიქმნა მისი სხვადასხვა ვარიანტები.³¹ ეს თეორია გულისხმობს სასურველი წარმატების მიღწევას იმ შემთხვევაში, თუ გათვალისწინებული იქნება მისგან მიღებული უკუგების სიდიდე როგორც გრძელვადიან, ასევე მოკლევადიან პერიოდში და ამავე დროს მხედველობაში იქნება მიღებული მისი ის თანამდევი ფაქტორები, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანთა აქტივობის შედეგებთან. ასეთი ანალიზი არსებითად გულისხმობს დანახარჯებისა და სარგებლის შეფასებას.

ამ თეორიის ერთ-ერთი ვარიანტის თანახმად, საზოგადოების დანახარჯების ეფექტიანობის გაზომვა მოითხოვს ინვესტიციებიდან მიღებული სარგებლის განსაზღვრის ისეთი მექანიზმის არსებობას, რომელიც დაფუძნებული იქნება "მაქსიმალური სოციალური მომგებიანობის (სარგებლიანობის)" პრინციპზე.³²

თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტები - საზოგადოება და ინდივიდები – ცდილობენ, მიიღონ მაქსიმალური სოციალური სარგებელი და კეთილდღეობა, მაშინ მაქსიმალური სოციალური მომგებიანობის პრინციპის შესაბამისად პერსპექტიული სარგებელი უნდა აჭარბებდეს მოსალოდნელ ხარჯებს. რაც მთავარია, სარგებლის გადამეტება ხარჯებზე უნდა იყოს მაქსიმიზებული. ინვესტიციებიდან მიღებული უკუგების შეფასების პოპულარული მეთოდი გულისხმობს სარგებლის შეფარდებას ერთობლივ ხარჯებთან.

სარგებლისა და დანახარჯის ანალიზი გამოიყენება იმისათვის, რომ შეფასდეს ალტერნატიული სახელმწიფო დანახარჯები. სახელმწიფოს მიერ გაწეული ხარჯები, მაგალითად, სოფლის განვითარებისათვის, ჯანდაცვისა და განათლებისათვის მნიშვნელოვნად მოქმედებს ადამიანის კეთილდღეობაზე, მაგრამ ყოველი ინდივიდი ამ დანახარჯებიდან განსხვავებულ სარგებელს ღებულობს.

³¹ ეს თეორია ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში დეტალურად გამოკვლეულია ვ. პაპავას ნაშრომებში: В. Папава, Эффективность общественного производства и межотраслевые модели. Тб., Мецниერება, 1988. ვ. პაპავა, ნ. მიქიაშვილი, კაპიტალისა და შრომის მწარმოებლურობა (მაკროეკონომიკური მოდელირება). თბ., მეცნიერება. 1999. და სხვ.

³² E.Cohn, T. Geske, The Economics of Education. 3-rd Ed. Pergamon Press.1990. pp.95-96.

ცხადია, რომ განათლებიდან მიღებული სარგებლის პირდაპირი გაზომვა საკმაოდ რთულია. განათლების ყველა პარამეტრის შეფასება, რომელსაც ისეთი არასასწავლო მეთოდოლოგიური ხასიათის ფაქტორები განაპირობებენ, როგორცაა ნიჭი, მოტივაცია და სხვა, შეუძლებელია. ამიტომ ასეთი პრობლემები ვერ გადაიჭრება დანახარჯებისა და სარგებლის მოდელის საფუძველზე.

დისკონტირება

სხვა პრობლემაა დისკონტირების სიდიდე, რომელიც განსაზღვრავს იმ ინვესტირებული თანხის მოსალოდნელი უკუგების დონეს, რომელსაც შეიძლება ალტერნატიული ვარიანტიც გააჩნდეს. ადამიანებს შეუძლიათ თანხა დააბანდონ არა განათლებაში, არამედ სხვა სფეროებში. ასეთი ალტერნატივა კი მრავალგვარია. სარგებლის მიღების თვალსაზრისით, განათლების სფეროში სწავლების ყოველი შემდგომი დონე ზრდის რისკს როგორც საზოგადოებისათვის, ასევე ინდივიდისათვის. ყოველი ინდივიდი, როდესაც იგი ცდილობს, დააბანდოს თავისი კაპიტალი განათლებაში, დგას შემდეგი არჩევანის წინაშე: ან უსაფრთხო ინვესტირება მცირედი უკუგებით, ან კიდევ რისკი მაღალი სარგებლით გარკვეული პერიოდის შემდეგ. ინვესტირების ამ ფორმების არჩევანში კონსენსუსი არ შეიძლება არსებობდეს. რისკის შესახებ ყოველი გადაწყვეტილების მიღება ხდება ინდივიდის მიერ მომავალში სარგებლის მიღების სურვილით, მაგრამ შეიძლება ყოველი სურვილი არ იქნეს მატერიალიზებული ან შედეგები განსხვავდებოდეს მოსალოდნელისაგან. ამიტომ რისკის ხარისხი გამოსატავს მოსალოდნელი შედეგების რეალობას და იგი არჩევითობისა და შესაძლებლობების გამოყენების შედეგია.

განათლების ეფექტიანობის პრინციპები

საბჭოთა პერიოდში

საბჭოთა პერიოდში განათლების ეფექტიანობის განსაზღვრას მეცნიერები ცდილობდნენ ეროვნული შემოსავლის მატებაში განათლების ხვედრითი წონის

განგარიშებით;³³ კვალიფიციური კადრების მომზადებაზე გაწეული დანახარჯების ეფექტიანობას ადარებდნენ მატერიალური წარმოების სფეროს კაპიტალდაბანდებათა ეფექტიანობასთან.³⁴ ყველა ასეთი გამოკვლევა ეყრდნობოდა ხარჯებისა და ღირებულების პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებას. კვალიფიციური შრომით შექმნილი ღირებულება იყო ის ეკონომიკური ეფექტი, რომელსაც განათლებაზე გაწეული დანახარჯებიდან ღებულობდა საზოგადოება. რაც უფრო მაღალი იყო მუშაკთა განათლებისა და კვალიფიკაციის დონე, მით უფრო დიდი უნდა ყოფილიყო ეკონომიკური უკუგება, რასაც ღებულობდა საზოგადოება კვალიფიციური შრომის გამოყენების შედეგად. შესაბამისად, მარტივად მტკიცდებოდა კავშირი განათლებასა და მის უკუგებას შორის. შრომის ნაყოფიერების ზრდა და მატერიალური წარმოების ეფექტიანობის ამაღლება ქმნიდა მატერიალურ წანამდგრებს განათლების სფეროში დაბანდებათა გადიდებისათვის. თავის მხრივ, განათლებისა და მშრომელთა კვალიფიკაციის დონის ზრდა იყო წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების არსებითი ფაქტორი.³⁵

§2 განათლების ეკონომიკური სარგებლიანობის შეფასება

განათლების სისტემაში ინვესტირება იძლევა გარკვეულ უკუგებას იმის მიხედვით, თუ რომელ სფეროსა და განათლების რა დონის მისაღებად განხორციელდა კაპიტალდაბანდება.

ზოგიერთი თანამედროვე მეცნიერის მოსაზრებით, განათლებიდან მიღებული სარგებლის ანალიზი შესაძლებლობას ქმნის წინასწარ შეფასდეს მამაკაცებისა და ქალების მოსალოდნელი გამოიმუშავების სიდიდე მიღებული ცოდნის დონის შესაბამისად. დღევანდელი ხარჯებისა და მისგან მოსალოდნელი სარგებლის ურთიერთშედარების მოდელები ეფუძნება სოციალური ინვესტირების ეფექტს განათლების სხვადასხვა დონეზე.

³³ С.Г. Струмилин, О цене "даровых благ" природы. "Вопросы Экономики". 1967, № 8, с. 275.

³⁴ В.А. Жамин., Г.А. Егизарян, Эффективность квалифицированного труда. М., 1968, с. 275.

³⁵ ლ. ჩიქავა. არამატერიალური წარმოების სფეროს პოლიტეკონომიური ასპექტები. თბ., მეცნიერება, 1987, გვ. 216, 219.

გენდერული განსხვავებები

განათლების სარგებლიანობის შეფასების ერთ-ერთ აუცილებელ პირობად აღიარებულია გენდერული განსხვავებები გამომუშავებაში. ცნობილია, რომ მამაკაცებს აქვთ შემოსავლების უფრო ხანგრძლივი გამომუშავების პერიოდი, ვიდრე ქალებს. მამაკაცების განათლებაში ინვესტიციებიდან უკუგება უფრო მაღალია, ვიდრე ქალებისა, თუმცა განათლების მიღების შემდეგ მუშაობის საწყის ეტაპზე გამომუშავებაში ასეთი დისკრიმინაცია ხელშესახები და გამოკვეთილი არ არის.

აღნიშნული მოდელის მიხედვით, ხელფასის ზრდასთან ერთად იზრდება განათლებით მიღებული სარგებელი. ეს არის მონეტარული ფაქტორებით სარგებლიანობის შეფასების ერთ-ერთი მეთოდი.³⁶ ამასთან, უკუგება განათლების დონეების (დაწყებითი, საშუალო, კოლეჯი), ტიპებისა (მომზადება, გადამზადება³⁷ და სხვ) და სპეციფიკური ჯგუფების (რასა, სქესი) მიხედვით სხვადასხვანაირია.

განსხვავებები საკუთრების ტიპისა და დონის მიხედვით

როდესაც კერძო კაპიტალდაბანდებები არ არსებობდა და დაწყებითი და საშუალო სკოლების ფუნქციონირება მთლიანად სახელმწიფო დაფინანსებით ხორციელდებოდა, უკუგების შიდა დონე ძალიან მაღალი იყო.

კერძო სკოლების სტუდენტთა წმინდა უკუგება დაბალია და დამოკიდებულია სწავლის გადასახადზე. მაგრამ მთლიანად სწავლების ამ დონეზე კაპიტალდაბანდებები მომგებიანია როგორც ინდივიდის, ასევე მთლიანად საზოგადოებისათვის. როგორც მკვლევრები აღნიშნავენ, კერძო განათლების სისტემის საშუალო სკოლებში უკუგება ნაკლებია დაწყებითი განათლების სკოლებთან შედარებით იმ შემთხვევაში, თუ სწავლის ქირის გადახდა არ ხდება მხოლოდ მშობლების მიერ. ამასთან, კერძო სასწავლებლებში განსხვავებული

³⁶ J. Duncan, Earnings Functions and Nonpecuniary Benefits. "Journal of Human Resources" 1976, #11(fall), pp. 462-483.

³⁷ აქ და შემდეგ ყველგან ტექსტში გადამზადება გულისხმობს კვალიფიკაციის ამღებებას ან ხელახალ მომზადებას ახალი ვიწრო სპეციალობის შესაძენად.

სასწავლო პროგრამები ზემოქმედებს უკუგების სიდიდების ცვლილებებზე. საერთოდ კი საყოველთაოდ აღიარებულია ინვესტიციების მაღალი მომგებიანობა საშუალო სკოლებში საზოგადოებისა და ინდივიდისათვის. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში დაწყებით და საშუალო სკოლებში სწავლა სავალდებულოა, რაც თავისთავად მის მაღალ უკუგებაზე მეტყველებს.

უმაღლეს განათლებაში, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, ეკონომიკური უკუგება დაბალია საშუალო და დაწყებით განათლებასთან შედარებით. ამასთან, სხვადასხვა პერიოდში მისი უკუგება ცვალებადია.

არსებობს განსხვავებული მოსაზრებები იმის თაობაზე, კოლეჯში მიღებული განათლების ეკონომიკური სარგებლიანობის შეფასება პერმანენტული უნდა იყოს თუ დროებითი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბიზნეს ციკლის ზემოქმედებას გამომუშავებაზე კორექტივები შეაქვს საშუალო სპეციალური განათლებით მიღებულ სარგებელიზე, რაც ხორციელდება შრომის ბაზარზე კოლეჯდამთავრებულთა მოთხოვნა-მიწოდების ცვლილებების გზით.

გ) განსხვავებები განათლების ხარისხის, ინსტიტუტის ტიპისა და სპეციალობების მიხედვით

განსხვავებები არსებობს უკუგებაში არა მარტო განათლების ხარისხის მიხედვით, არამედ მისი სფეროების, სპეციალობებისა და ინსტიტუტების ტიპის მიხედვითაც. სტუდენტებს, რომლებიც ემზადებიან საინჟინრო სპეციალობებისათვის, მომავალში ხელფასი გაცილებით მეტი უნდა ჰქონდეთ, ვიდრე იმ სტუდენტებს, რომლებიც სკოლის მასწავლებლობას ირჩევენ. მაგრამ საგეგმო და საბუღალტრო სპეციალობებზე საშუალო სპეციალურ კურსდამთავრებულებს გაცილებით ნაკლები ხელფასი ექნებათ, ვიდრე ხელოვნების კოლეჯდამთავრებულ სპეციალისტებს.

სხვა გამოკვლევების მიხედვით (რომლებიც უმაღლესი და კოლეჯდამთავრებული სპეციალისტების ხელფასებს ადარებენ ერთმანეთს) მტკიცდება, რომ კოლეჯდამთავრებულთა ხელფასი და გამომუშავება არ იზრდება და მცირდება იმ პერიოდში, როდესაც იმატებს მათი რიცხვი, მაგრამ, ამის საპირისპიროდ, კოლეჯდამთავრებულთათვის უმაღლესი უკუგება იწყება

მაშინ, როცა მცირდება მათი რაოდენობა ერთობლივ სამუშაო ძალაში და ამავე პერიოდში იზრდება მათზე მოთხოვნა.³⁸

მეცნიერები, რომლებიც უმაღლესი საგანმანათლებლო ღირებულებიდან უკუგებას იკვლევენ, ამტკიცებენ, რომ უმაღლეს განათლებაში მაგისტრის ხარისხით მიღებული ეკონომიკური უკუგება დაბალია ბაკალავრის ხარისხით მიღებულ უკუგებასთან შედარებით. სხვადასხვა გამოკვლევის მიხედვით, მათ შორის ვარიაციები დიდია. ამ საკითხზე კამათი დღესაც გრძელდება.³⁹

ამერიკელი მეცნიერების მაკმაჰონისა და ვაგნერის გამოკვლევების თანახმად, უკუგება კერძო ტიპის უმაღლესი სასწავლებლებისათვის იცვლება მინუს 0,7-დან პლიუს 9,6 პროცენტამდე, მაგისტრის (MA) ხარისხის მფლობელებისათვის - მინუს 1,8-დან პლიუს 19,3 პროცენტამდე, ხოლო დოქტორის (PH D) ხარისხის მფლობელებისათვის - მინუს 0,1-დან პლიუს 16,4-მდე.⁴⁰

ცხრილი 6.1

კერძო და სოციალური უკუგების მოსალოდნელი დონე განათლების ხარისხისა და ინსტიტუტის ტიპის მიხედვით აშშ-ში⁴¹

ინსტიტუტის ტიპი										
	კვლევათი ინსტიტუტი				ზოგადი კოლეჯი				ხელოვნების სასწავლებელი	
	სახელმწიფო		კერძო		სახელმწიფო		კერძო		კერძო	
	კუ*	სუ*	კუ	სუ	კუ	სუ	კუ	სუ	კუ	სუ
ბაკალავრი	19.0	15.5	-	-	21.0	17.7	18,5	15.9	8.7	7.1
მაგისტრი	9,6	8.0	-	-	6,2	4,8	-0,7	-1,4	7,7	6,9
დოქტორი	19,3	17,9	11,6	10,5	9.0	9.3	-1,8	-5,0	10,3	10,1

*შენიშვნა: კუ - კერძო უკუგება; სუ - სოციალური უკუგება

³⁸ K. Murphy, F. Welch, Wage Premiums for Colledge Graduates: Recent Growth and Possible Expanations. "Educational Resarch" 1989. #18(4). pp.24-25.

³⁹ E.Cohn, T. Geske, The Economics of Education. Second Editioin Oxford-New York. Pergamon press. pp.110-111.

⁴⁰ W.W. McMahan, A.P. Wagner, Monetary Returns to Education in the Developing Countries and the Parents Expected Contribution. "Economics of Education Review". 1982. #7(1) pp.135-152.

⁴¹ წყარო: W.W. McMahan, A.P. Wagner, Monetary Returns to Education as Partial Social Effeciency Criteria. In W. W. McMahan, T. G. Geske, Financing Education: Overcoming Inefficiency and Inequity. Urbana. IL, University of Illinois Press. 1982. pp,167-168.

განათლებიდან მიღებული კერძო უკუგება ძალიან მაღალია იმ სტუდენტებისა, რომლებიც აღწევენ წარმატებას სამეცნიერო სარბიელზე და იძენენ სამეცნიერო ხარისხებს. მაღალია სოციალური უკუგება სხვადასხვა ტიპის ინსტიტუტებისთვისაც.

აშშ-ში მაღალია კაპიტალდაბანდების უკუგება შემდეგი სპეციალობების მიხედვით: მედიცინა, იურიდიული სპეციალობები, საინჟინრო საქმე და ბიზნესი: მისი დონე შეადგენს 12-16,4 პროცენტს. კერძო უკუგება დაბალია ბუნებისმეტყველებაში, საზოგადოებათმცოდნეობასა და მასწავლებლების სპეციალობებში. იგი მერყეობს მინუს 0,8 დან პლუს 8,9 პროცენტამდე.

ცხრილი 6.2

სხვადასხვა პროფესიების მონეტარული უკუგება აშშ-ში ⁴²

ხარისხი						
	ბაკალავრი		მაგისტრი		დოქტორი	
	კერძო უკუგება	სოციალური უკუგება	კერძო უკუგება	სოციალური უკუგება	კერძო უკუგება	სოციალური უკუგება
დოქტორი /კბილის ექიმი					14	12,2
იურისტი					16,4	15,5
ინჟინერი	25,5	18,9	12	10	8,6	7,4
ფინანსისტი	22,8	17,8	12,7	10,7		
ბუნებისმეტყველი			8,9	7,4	4,5	3,2
საზოგადოებათმცოდნე					-0,1	-4,8
სკოლის მასწავლებელი	12,3	10,3	-0,8	-0,8	1,8	2,0
კოლეჯის პროფესორი					5,4	5,2

⁴² W.W. McMahon, A.P. Wagner, Monetary Returns to Education as Partial Social Efficiency Criteria. In W. W. McMahon, T.G. Geske, Financing Education: Overcoming Inefficiency and Inequity. Urbana. IL. University of Illinois Press. 1982. pp,170-172.

უკუგების დონეებზე სპეციალობების მიხედვით ვარიაციები განპირობებულია მათზე განსხვავებული მოთხოვნა-მიწოდებით სხვადასხვა პერიოდში, მაგრამ მთლიანად უმაღლეს განათლებაში ეფექტიანობის ზღვარი დროთა განმავლობაში იზრდება.

დ) სხვა მიდგომები

არსებობს სხვა გამოკვლევები, რომლებიც შეისწავლიან მუშაკების შრომითი უნარის შეფასებას განათლების დონისა და მათი შრომის ანაზღაურების დიფერენციაციის მიხედვით. ასეთი მუშაკების ანაზღაურებაში სხვაობა მიჩნეულია განათლებით მიღებული შრომის თვისებების მაჩვენებლად. როგორც ზოგიერთი მკვლევარი აღნიშნავს, ხანგრძლივ პერიოდში განათლებაში ჩადებული ინვესტიციებიდან მიღებული უკუგება უფრო სტაბილურია, ვიდრე ფინანსურ აქტივებში დაბანდებული იმავე რაოდენობის საინვესტიციო თანხებიდან მიღებული, რაც განათლების ერთგვარ უპირატესობაზე მეტყველებს ფინანსურ ქონებასთან შედარებით.⁴³

სხვა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ ზოგიერთ სპეციალობაზე უმაღლესდამთავრებულთა მიერ თავიანთი შრომით მიღებული ზოგჯერ არასაკმარისი უკუგება აჩენს კითხვას, თუ რა იყო მათთვის უმაღლესი განათლების მიღების მოტივი, ანუ რატომ განხორციელდა ასეთ სპეციალობებში კაპიტალდაბანდებები. საერთოდ, სუბსიდიებისა და სხვადასხვა სახის დახმარების გარეშე უკუგება უმაღლესი განათლებიდან იქნებოდა ძალიან დაბალი და ნეგატიური.⁴⁴ ყოველი ინდივიდი ვარაუდობს, რომ განათლების გაგრძელების საშუალებით მომავალში იგი მეტ ხელფასს მიიღებს. დათმობა და ხარჯების გაწევა განათლების მისაღებად ინდივიდების მომავალი შემოსავლების გაზრდის პირობაა, მაგრამ აქ საჭიროა არამონეტარული ფაქტორების გათვალისწინება. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს განათლების გაღრმავებით მიღებული სოციალური პრესტიჟი, "წარმტაცი სამუშაო გარემო", მეტი

⁴³ W.W. McMahon, T.G Geske, Financing Education; Overcoming Inefficiency and Inequity. Urbana, University of Illinois Press. 1982. pp.150-187.

⁴⁴ თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტში საბჭოთა პერიოდში ერთი სტუდენტის მომზადებაზე სახელმწიფო ხარჯავდა დაახლოებით 5 ათას მანეთს, ხოლო სპეციალობის მიღების შემდეგ უმაღლესდამთავრებულთა საშუალო ხელფასი 120 მანეთს შეადგენდა. დღევანდელ პირობებში ერთი სტუდენტის მომზადება დაახლოებით 1250 ლარი ჯდება, ხოლო მასწავლებლის ხელფასი 40-60 ლარია.

თავისუფალი დრო და სხვ., რომლებიც სტიმულს აძლევს ინდივიდებს, ცოდნის მისაღებად გაიღონ კაპიტალდაბანდებები.

უმაღლესი განათლების სოციალური ღირებულება, საზოგადოების მიერ გაწეული მაღალი ხარჯების გამო, განათლების სხვა დონესთან შედარებით დაბალია. მთლიანად უმაღლეს განათლებაში დაბანდებული ინვესტიციები მომგებიანია ინდივიდისა და საზოგადოებისათვის, მაგრამ თუ მხედველობაში გვქმნება ინსტიტუტის ტიპები და ზოგიერთი სპეციალობა, მაშინ უმაღლესი განათლება ყოველთვის უნივერსალურად მომგებიან სფეროდ ვერ ჩაითვლება.

საინტერესოა ამ პრობლემის კიდევ ერთი ასპექტი. აშშ-ში გავრცელებულია სხვადასხვა სპეციფიკური მომზადების პრაქტიკა. იგი მიმართულია იქითკენ, რომ სტრუქტურული უმუშევრობა, რომელიც დაკავშირებულია მუშაკის შრომითი თვისებების, ცოდნისა და გამოცდილების შეუსაბამობასთან იმ მოთხოვნებთან, რომელსაც აყენებს შრომის ბაზარი, შეიძლება თავიდან იქნეს აცილებული, თუ შრომის სახეობებზე მოთხოვნის შესაბამისად მოხდება მუშაკების გადამზადება. ფაქტობრივად ასეთი სწავლების ეფექტი მაღალია იმ ინდივიდებში, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული შრომის ბაზრის მოთხოვნასთან და განათლების მიღების შემდეგ ადვილად შოულობენ სამუშაო ადგილს, მაგრამ თუ სწავლება არ არის სათანადო დონეზე, მაშინ მისი ეფექტიანობა ძალიან დაბალია. განათლების სისტემის შრომის ბაზართან დაკავშირების შედეგად თვიური ხელფასი იზრდება დაახლოებით 2 პროცენტით, უმუშევრობა მცირდება და შრომა ხდება უფრო მწარმოებლური.⁴⁵

საერთოდ სასწავლო დაწესებულების ტიპის განსაზღვრაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ისეთი პროგრამები, რომლებიც ნაკლები დანახარჯებით მაღალ უკუგებას იძლევა. ასეთი პროგრამები კი დამოკიდებულია იმაზე, თუ შრომის ბაზარი რა მოთხოვნებს წაუყენებს სამუშაო ძალას და მთლიანად განათლების სისტემას ყოველ კონკრეტულ ვითარებაში.

⁴⁵ J.N. Bishop, Occupational Training in High School: When Does it Pay off. "Economics of Educational Review". 1989. # 8(11), pp.1-2.

§3. შრომის ბაზრის როლი განათლებიდან მიღებული სარგებლიანობის შეფასებაში

სხვადასხვა კვალიფიკაციისა და სპეციალობის მუშაკების შრომის ანაზღაურება დიფერენცირებულია. განსხვავებული შრომის სახეები მოითხოვენ შესაბამის კვალიფიკაციას, განათლების დონეს, ჩვევებს, გამოცდილებას ან საბაზრო რისკისათვის მზადყოფნას. კლასიკური მოდელით, სამუშაო ძალის ფასი განისაზღვრება შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნისა და მიწოდების დონეებით, ანუ სხვანაირად, იგი არის ინვესტიციების შეფარდება, რომელიც გაწეულია რომელიმე სპეციალობის მისაღებად იმ მოთხოვნასთან, რომელსაც შრომის ბაზარი უყენებს ინდივიდებს დასაქმების მიზნით.

შრომაზე მოთხოვნა წარმოებული მანქანებელია და დამოკიდებულია იმ პროდუქტების მოთხოვნაზე, რომლის წარმოებას სჭირდება ესა თუ ის კვალიფიკაცია. მაღალკვალიფიციურ მუშაკებს ქირაობენ არა იმისათვის, რომ მათ მაღალი კვალიფიკაცია და პროფესიული მომზადება აქვთ, არამედ იმიტომ, რომ მოთხოვნა მათ შრომასა და განათლებაზე განისაზღვრება მათ მიერვე წარმოებულ პროდუქტზე არსებული მოთხოვნით. სწრაფად ცვალებად გარემოში მუშაკები სიცოცხლის განმავლობაში რამდენიმეჯერ იმაღლებენ კვალიფიკაციას და იცვლიან სპეციალობას. ამასთანავე, მათი ხელფასის დიფერენციაცია არის შრომაზე მოთხოვნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორიც. მაღალი განათლება მოითხოვს მეტ ხარჯებს, მაღალი კვალიფიკაციის შრომა კი - მეტ ანაზღაურებას. სხვა თანაბარ პირობებში დასაქმებული მუშაკების უმრავლესობა მიიღებს შედარებით დაბალ ხელფასს.

ამასთან, კიდევ ერთი ფაქტორი, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია სპეციალისტთა მომზადებისა და მათზე მოთხოვნის ურთიერთობის დასამყარებლად, ესაა შრომის ნაყოფიერების ზრდა. როგორც უკვე აღინიშნა, მაღალკვალიფიციური შრომა შესაბამის პირობებში უფრო მაღალმწარმოებლური უნდა იყოს, მაგრამ ამ დამოკიდებულებას ყოველთვის არ აქვს აბსოლუტური ხასიათი.

სამუშაო ძალის მობილურობა

ყველა აღნიშნული ფაქტორი სხვადასხვა მოტივაციის საფუძველზე ქმნის ინდივიდების დაინტერესებას საქმიანობის ერთი სფეროდან გადაინაცვლოს მეორე სფეროში. შრომის ასეთი მობილურობა დაკავშირებულია მიღებული განათლების გამოყენებასთან ან იგი იმის პირობაა, რომ ინდივიდებმა განსაზღვრონ ინვესტიციების მიმართულება განათლების ამა თუ იმ სფეროში, რაც შესაბამისად აისახება მათი შრომის ანაზღაურებაზე. მობილურობას ძირითადად ადგილი აქვს დაბალხელფასიანიდან მაღალხელფასიან სამუშაო ადგილებზე, დაბალხელფასიანი პროფესიებიდან მაღალხელფასიან პროფესიებზე გადაინაცვლების მიზნით.

სამუშაო ძალის მობილურობას ახასიათებს წინააღმდეგობები. იგი იმავდროულად განათლების სისტემაში ინვესტიციების შეზღუდვის მიზეზიც არის. ეს კი ხდება შემდეგ შემთხვევებში:

1. განათლების ზოგიერთი სფერო მოითხოვს ბუნებრივ ნიჭსა და უნარს, რაც შეიძლება მხოლოდ ადამიანთა მცირე რაოდენობას აღმოაჩნდეს. ამიტომ ნიჭიერი მათემატიკოსების, სპორტსმენების, მუსიკოსებისა და სხვათა შრომის მიწოდება შეზღუდულია და შესაბამისად, ანაზღაურებაც მაღალია. არც ერთი რაციონალურად მოაზროვნე ადამიანი არ იფიქრებს დააბანდოს თანხა განათლების ისეთ სფეროში, რომლის ათვისების ნიჭიც მას არ გააჩნია.

2. ზოგი სპეციალობა მოითხოვს განსაკუთრებით ხანგრძლივ მომზადებას და სპეციალურ განათლებას. უმაღლესი კვალიფიკაციის მისაღებად საჭიროა ხანგრძლივი სწავლება, რაც პროფესიის დაუფლების სერიოზულ დაბრკოლებას შეიძლება წარმოადგენდეს. ასეთი კვალიფიკაციის მქონე ადამიანთა შრომის მიწოდება მხოლოდ ხანგრძლივი დროის გასვლის შემდეგ შეიძლება გაიზარდოს.

3. რიგ შემთხვევაში, ფინანსური რესურსების ნაკლებობა ცოდნის მიღების მსურველთათვის უმაღლესი განათლების გასაგრძელებლად დიდ ბარიერად იქცევა.

იმ პროფესიების შესაბამისი სახეობის შრომის მიწოდება, რომლის დაუფლება აღნიშნული წინააღმდეგობების გამო რთული და შეფერხებულია, არაელასტიკურია. ამ შემთხვევებში ხელფასის არსებითი ზრდა ვერ იწვევს შრომის მიწოდების გადიდებას, მაგრამ ხანგრძლივ პერსპექტივაში შრომის სახეობების მიწოდება მაინც იძენს გარკვეულ ელასტიკურობას, რადგან

ინდივიდები შეეცდებიან აუცილებელი კვალიფიკაციის მიღებას. ხოლო მუშაკების მიწოდება იმ სპეციალობების მიხედვით, რომლებიც არ მოითხოვენ ხანგრძლივ სწავლებას და მათთვის შრომითი ჩვევები არ არის ძნელად დასაუფლებელი, ელასტიკურია. ამ შემთხვევაში პროფესიის შეცვლა საკმაოდ მარტივად ხდება. როდესაც ასეთი პროფესიების შრომის ანაზღაურება იზრდება, ინვესტიციები მოიმატებს ამ სპეციალისტების მომზადებაზე, ასევე გაიზრდება არაკვალიფიციური და ნახევრადკვალიფიციური მუშაკების რიცხვი. ტექნიკური და ტექნოლოგიური პროცესების ცვლილებები ზემოქმედებენ განათლების ამ სახეობის ცვლილებებზე და ახალ მოთხოვნებს უყენებენ სამუშაო ძალას, ამიტომ ასეთი კვალიფიკაციის სამუშაო ძალის გადამზადებაზე მოთხოვნაც შედარებით უფრო ცვალებადი იქნება, შესაბამისად, შემცირდება მოთხოვნა არაკვალიფიციურ შრომაზე, ხოლო მაღალკვალიფიციურზე - გაიზრდება.

§4. არაფულადი სარგებელი

როგორც ზემოთ აღინიშნა, განათლებასთან დაკავშირებული არაფულადი გამოხატულების სარგებლის გაანგარიშება რთულია. უკანასკნელ პერიოდში ამ მიმართულებით მრავალი კვლევა ჩატარდა. გაჩნდა საპირისპირო შეხედულებები. ერთნი შეუძლებლად მიიჩნევენ ასეთი შეფასებების გაკეთებას ან მას მხოლოდ ემპირიული წარმოდგენებით ხსნიან. სხვები კი შესაძლებლად მიიჩნევენ სწორი დასკვნების გაკეთებას. არაფულად სიდიდეში გამოხატული სარგებელი დიფერენცირებულია სამომხმარებლო ღირებულების შეფასების თვალსაზრისით. თავდაპირველად ინდივიდის მიერ პროფესიაზე არჩევანი კეთდება იმის მიხედვით, თუ რამდენად წარმტაცია იგი მისთვის და რამდენად დააკმაყოფილებს იგი მის სურვილებს. განათლება გავლენას ახდენს ადამიანების ცხოვრების სტილზე და სხვა არასაბაზრო ინსტიტუტების ქცევის პროდუქტიულობაზე. იგი გულისხმობს განათლების სხვადასხვა არასაბაზრო ეფექტს, რომლებიც აისახება მომხმარებლის ქცევაში, ჯანმრთელობაზე, ოჯახურ გარემოზე, ქონებაზე, მიგრაციაზე და სხვ.

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, განათლებული ადამიანი უფრო პროდუქტიულია არასაბაზრო ურთიერთობებში. განათლება პოზიტიურად მოქმედებს მის, როგორც მომხმარებლის, ქცევაზე. იგი უფრო მომზადებული მოიხმარს ახალ

პროდუქტებს, ფართოდ გამოიყენებს საკრედიტო ბარათებს, ეფექტიანად მოიხმარს კონტრაცეპტივებს, ტექნიკას და ა.შ. განათლებული დიასახლისი უფრო რაციონალურად იყენებს საოჯახო ბიუჯეტს, უფრო ხილდება მეუღლისა და შვილების ჯანმრთელობას და სხვა. უმაღლესი განათლების დონე ვლინდება შრომის მაღალ კულტურასა და არადისკრიმინაციულ ქცევებში. განათლებული ადამიანების საქორწინო არჩევანი შედარებით უფრო გონივრულია და მათი ოჯახი უფრო მყარია. ცოდნის დონის ამაღლებასთან ერთად იზრდება ადამიანების სოცოცხლის ხანგრძლივობაც. განათლებული ოჯახის წევრები, ოჯახის გაუნათლებელ წევრებთან შედარებით, მეტ დროს ანდომებენ შვილებთან ურთიერთობას. განათლების ზრდასთან ერთად იზრდება ინდივიდების შრომითი მობილურობაც.

ყველა ამ მსჯელობაში, რომელიც მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევებში ვლინდება და არ არის აუცილებელი, იგი განზოგადებული იყოს ყველა ქვეყნისა და ყველა ინდივიდის პირობებისათვის (ამ აზრს შეიძლება ყველა არ ეთანხმებოდეს), მხოლოდ ერთი საერთო პრინციპი მტკიცდება, რომლის თანახმად, განათლების დონე ამაღლებს არასაბაზრო აქტივობას და ქმნის არაფულად სპეციფიკურ სარგებელს ინდივიდებისათვის. ამასთან, ამ ფაქტორის რაოდენობრივ სიდიდეებში გამოსახვის შეუძლებლობის გათვალისწინებით, სარგებელი-ინვესტიციების ეკონომიკური შეფასება შეიძლება მოიცავდეს მხოლოდ იმ ღირებულების ნახევარს, რომელსაც განათლება აძლევს ინდივიდებსა და საზოგადოებას.⁴⁶

საერთოდ განათლებიდან მიღებული სოციალური სარგებელი ასოცირებულია საზოგადოების ქმედებასთან და გულისხმობს ინდივიდების პირად სარგებელსაც, მაგრამ განათლების სოციალურ სარგებელს ინდივიდები ვერ მიაკუთვნებენ მხოლოდ საკუთარ პიროვნებას. მაგალითად, პოლიტიკური და სამოქალაქო ფუნქციების შესრულებისათვის განათლება ააქტიურებს ადამიანს, მაგრამ ამ შემთხვევაში მისი აქტივობა მიეწერება მთელ საზოგადოებას. ეს არის გარე სარგებელი, რომელიც აუცილებელია ეფექტიანი დემოკრატიისა და დემოკრატიული ისტრუქტების განვითარებისათვის; ბაზრებისა და ტექნიკური ცვლილებების ეფექტიანი განხორციელებისათვის. იგი ამცირებს კრიმინალურ

⁴⁶ R. H. Haveman, B.L Wolfe, Schooling and Economic Well-being: The Role of Nonmarket Effects. "Journal of Human Resources XIX". 1984. #3, pp.377-407.

დანაშაულებრიობას და ჯარიმებს სამოქალაქო საზოგადოებაში, სამედიცინო, უმუშევრობისა და ჯანმრთელობის დაკარგვისათვის კომპენსაციებს, არასრულყოფილი საფონდო ბირჟის შედეგებს და სხვ.⁴⁷

ყველა აღნიშნული ფაქტორის რაოდენობრივი გაანგარიშება შეუძლებელია, მაგრამ გარკვეული შედარებები, მაგალითად, კრიმინალურ ქმედებებთან, სრულიად შესაძლებელია. განათლების ზრდასთან ერთად მცირდება კრიმინალური შემთხვევები და საზოგადოების ხარჯებიც მის აღსაკვეთად, მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ პოზიტიური ეფექტები შეიძლება განეიტრალოს ნეგატიური ეფექტებით. განათლების დონის ზრდამ, თუ იგი არ შეესაბამება სამუშაო ადგილების მოთხოვნებს, შეიძლება გააწვილოს ინდივიდები და მიიყვანოს ისეთ მდგომარეობამდე, რომელიც არსებითად უარყოფითად განაწყოებს მათ დადგენილი ფასეულობებისადმი. შესაბამისად, განათლებით მიღებულის გარე სარგებელი შეიცვლება ნეგატიურით. ასეთი შესაძლებლობა საზოგადოებაში ყოველთვის არსებობს და რაც უფრო დაბალგანვითარებულია იგი, მით უფრო მეტად ხდება უმაღლესი განათლების ნეგატიური ეფექტების გამოვლენაც.

§5. ძველებს შორის განსხვავებები

აქვე დავახასიათებთ განათლების სარგებლიანობის კიდევ ერთ ასპექტს. განათლებაში ინვესტიციებიდან მიღებული უკუგება სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია. არ შეიძლება ერთმანეთს შევუდაროთ მათი საგანმანათლებლო სტრუქტურა, მონაცემების ბაზა. განსხვავებულია კვლევის მეთოდოლოგიაც, ამიტომ განათლებაში დაბანდებული კაპიტალის უკუგების სიდიდეების შედარება გართულებულია. დასკვნების უმრავლესობა გაკეთებულია სხვადასხვა პროფესიის მუშაკთა მიერ გამომუშავებული თანხების საფუძველზე. ამასთან, სხვადასხვა ქვეყანაში კერძო განათლების სისტემასა არა აქვს ერთნაირი როლი და იგი ყოველთვის არ შეესაბამება საზოგადოების მიზნებს.

⁴⁷ W. W. McMahon, The Relation of Education and R&D to productivity Growth. "Economics of Education Review "1982. # 3(4), pp.299-313.

ქვეყნების მიხედვით შეიძლება წარმოვადგინოთ ასეთი მონაცემებიც: ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა დიდი ბრიტანეთი, ისრაელი, იაპონია, საბერძნეთი და ნორვეგია, საშუალო განათლებიდან მიღებული უკუგება დაბალია, რაც გამოწვეულია ამ ქვეყნების სპეციფიკური სოციალურ-ეკონომიკური კონდიციებით. ისრაელში უმაღლესდამთავრებულთა გამომუშავება ეგალიტარულია და იგი არ აღემატება საშუალო სკოლადამთავრებულის გამომუშავებას. ამასთან, ამ ქვეყანაში "შევირდობის" სკოლა, დანახარჯების თვალსაზრისით, გაცილებით უფრო ეფექტიანია, ვიდრე სხვა სკოლები, სადაც განათლებაზე დანახარჯები გაცილებით მაღალია.

აქვე ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ასეთი შედარებისას შეუძლებელია აისახოს და შეფასდეს არაფულადი ფაქტორები, რადგან იგი განსხვავებულია ქვეყნებისა და სოციალური ჯგუფების მიხედვით. აღსანიშნავია ისიც, რომ შედარებისას არ არის გათვალისწინებული სკოლების რაოდენობა და სწავლის ხარისხი, გრანტების ხარჯები და მისგან მიღებული უკუგება. ამ პარამეტრების მიხედვით, სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული კოეფიციენტები. რაოდენობრივი და ხარისხობრივი პარამეტრების ცვლილებები იწვევს განათლების დონის ცვლილებებსაც, მაგრამ ასეთი შედარებების შეფასება ქვეყნების მიხედვით ერთობ პირობითი შეიძლება იყოს. მიუხედავად სირთულეებისა, ზოგიერთი მეცნიერი მაინც ცდილობს შედარებების გაკეთებას. ამის მაგალითია ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი.

ცხრილი 6.3

განათლებიდან მიღებული უკუგების საშუალო სიდიდეები ქვეყნებისა და საგანმანათლებლო დონის მიხედვით ⁴⁸

ქვეყნები	სოციალური (კერძო) უკუგება (%)		
	დაწყებითი	საშუალო	უმაღლესი
აფრიკა	26(45)	17(26)	13(32)
აზია	27(31)	15(15)	13(18)
ლათინური ამერიკა	26(32)	18(23)	16(23)
ხმელთაშუა ზღვის ქვეყნები	13(17)	10(13)	8(13)

⁴⁸ G. Psacharopoulos, Returns of Education; A Further International Update and Implications. "Journal of Human Resources". 1985, # 20(4), pp. 593.

მოწინავე ქვეყნები	-	11(12)	9(12)
-------------------	---	--------	-------

ცხრილი 6.4

განათლებიდან მიღებული უკუგების სიდიდეები ქვეყნებისა
და საგანმანათლებლო დონის მიხედვით ⁴⁹

		კერძო (სოციალური) უკუგება (%)		
ქვეყნები	წლები	დაწყებითი	საშუალო	უმაღლესი
განვითარებადი ქვეყნები				
ეთიოპია	1972	20(35)	19(23)	10(27)
კენია	1971	22(28)	19(33)	9(31)
მალავი	1982	15(16)	15(17)	12(47)
სომალის	1983	21(60)	10(13)	20(33)
აზია				
ინდოეთი	1978	29(33)	14(20)	11(13)
პაკისტანი	1978	13(20)	9(11)	8(27)
ფილიპინები	1971	7(9)	7(7)	(9)10
სამხრეთ კორეა	1971	-	15(16)	9(16)
ტაილანდი	1970	31(56)	13(15)	9(16)
ტაივანი	1972	27(50)	12(13)	18(16)
ლათინური ამერიკა				
ბრაზილია	1980	-	- (18)	- (180)
კოლუმბია	1973	- (15)	-(15)	-(21)
მექსიკა	1963	25(32)	17(23)	23(29)
პუერტო რიკო	1959	24(68)	34(52)	16(29)
ვენესუელა	1984	18(24)	11(12)	9(15)
საბერძნეთი	1977	17(20)	6(6)	5(6)
ირანი	1976	15(-)	18(21)	14(19)

⁴⁹ G. Psacharopoulos, Time Trends of the Returns of Education: Cross-national Evidence. "Economics of Educational Review". 1989. # 8(3), pp.229.

ისრაელი	1958	17(27)	7(7)	7(8)
ესპანეთი	1971	17(32)	9(10)	13(16)
კანადა	1961	--	12(16)	14(20)
საფრანგეთი	1976	-(14)	-(11)	-(9)
დიდი ბრიტანეთი	1978	--	9(11)	7(23)
იაპონია	1976	10(13)	9(10)	7(9)
ახალი ზელანდია	1966	--	19(20)	13(15)
შვედეთი	1967	--	11(-)	9(10)

აღნიშნული შედეგები იძლევა შემდეგი დასკვნების გაკეთების საშუალებას:

1. დაწყებით განათლებაში უკუგება მაღალია განათლების სხვა დონეებთან შედარებით;
2. საუნივერსიტეტო დონეზე უკუგება უფრო მაღალია ინდივიდებისთვის, ვიდრე საზოგადოებისათვის;
3. განათლებიდან მიღებული უკუგება უფრო მაღალია განვითარებად ქვეყნებში, ვიდრე განვითარებულში. ეს დებულებები, რომლებიც ქვეყნების პრაქტიკულ მაგალითებზეა დაფუძნებული, ახასიათებენ განათლებაში ჩადებულ ინვესტიციებსა და მისგან მიღებულ უკუგებას შორის კავშირს განათლების სისტემის სხვადასხვა საფეხურზე.

თაზო VII

განათლება და ეკონომიკური ზრდა

ემპირიულად ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ განათლებაში ინვესტირება არის მომგებიანი როგორც ინვესტორისათვის, ასევე საზოგადოებისათვის. ნათელია ასევე, რომ განათლებაში კაპიტალდაბანდებები ხელს უწყობს ეკონომიკის ზრდას. მაგრამ ჩნდება კითხვები, თუ განათლებაში ინვესტირების სიდიდე როგორ ზემოქმედებს ეკონომიკურ ზრდაზე და რა მნიშვნელობისაა ეს ეფექტი? ამ კითხვებზე პასუხი განსაზღვრავს იმას, თუ პოლიტიკოსებმა რამდენად უნდა აიღონ ორიენტაცია განათლებაში ინვესტირებზე, რათა დააჩქარონ ქვეყნის ეკონომიკური განვითარება.

წინდაწინ უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერთა კვლევების უმრავლესობა ფოკუსირებულია მეორე კითხვაზე, ხოლო პირველ კითხვაზე პასუხი თვით ეკონომიკური ზრდის ბუნებიდან გამომდინარეობს.

§1. ეკონომიკური ზრდა

რა არის ეკონომიკური ზრდა? ეკონომიკურ მეცნიერებაში იგი ცნობილია როგორც მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა ფიქსირებულ ფასებში. იმისათვის რომ გაიზომოს ეკონომიკური ზრდა, ამისათვის ვიდებთ ეროვნულ პროდუქტს მოცემულ წლებში მუდმივ ფასებში და განვსაზღვრავთ მის პროცენტულ ცვლილებებს.

ამჟამად ეკონომიკურ მეცნიერებაში არსებობს ეკონომიკური ზრდის მოდელირების სამი ძირითადი მიმართულება: ეკონომიკური ზრდის კეინსური მოდელები, ნეოკლასიკური მოდელები და ე.წ. ისტორიულ-სოციოლოგიური მოდელები.

კეინსური მოდელები ეყრდნობა მოთხოვნის მთავარ როლს მაკროეკონომიკურ წონასწორობაში და მისი გადამწყვეტ ელემენტს - ინვესტიციებს, რომელიც ზემოქმედებს მოგების ზრდაზე. შემდგომში ეს მიდგომა განავითარეს ნეოკეინსელებმა და განსაკუთრებით ცნობილი გახდა დომარისა და ჰაროდის მიერ შექმნილი მათივე სახელწოდების მოდელი.

ნეოკლასიკურ მოდელებში მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა განიხილება აგრეგირებული საწარმოო ფუნქციის მეშვეობით, რომელიც გულისხმობს მის ზრდას შრომის, კაპიტალისა და მიწის ფაქტორების გამოყენებით. ამ თეორიის თანახმად, ეკონომიკური ზრდა ხორციელდება კაპიტალის დაგროვებისა და სამუშაო ძალის ზრდის გაძლიერებით (როგორც წილი ეროვნულ შემოსავალში) ან კიდევ ტექნიკური შეიარაღების გაუმჯობესებით. აღნიშნული ფაქტორების ფუნქციების ანალიზი კობა-დუგლასის თეორიის სახელწოდებით არის ცნობილი. ეს თეორია ერთმანეთს უკავშირებს მთლიან პროდუქტს ძირითად საწარმოო ფაქტორებს და განსაზღვრავს თითოეულის ზემოქმედებას მთლიან პროდუქტზე. კობა-დუგლასის თეორიაზე არის დაფუძნებული სხვა თანამედროვე თეორიაც. მისი ერთ-ერთი მოდიფიკაცია გულისხმობს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ზეგავლენის გათვალისწინებას ეკონომიკურ ზრდაში. სხვა მოდიფიკაციის ავტორები კი მოითხოვენ ამ ფორმულაში სამუშაო ძალის განზომილებაში აქცენტი გადატანილი იქნეს განათლებაზე, სწავლების პერიოდზე და სხვ. საგანმანათლებლო ფაქტორებზე.

დღევანდელ პრაქტიკაში მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშება ეყრდნობა მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული ეროვნული ანგარიშების სისტემას. ამ სისტემაში გამოიყენება შემდეგი მეთოდები: 1. დამატებული ღირებულების მეთოდი; 2. სამომხმარებლო ხარჯების (მოხმარების) მეთოდი. იგი გულისხმობს შინამეურნეობების გამოკვლევას, რომლის ინფორმაციულ წყაროს შეადგენს სოციოლოგიური დაკვირვებები; 3. ღირებულების მიხედვით კი მთლიანი შიდა პროდუქტი იანგარიშება მიმდინარე ფასებში დარგების მიერ გამოშვებული პროდუქციის შესაბამისად. ამ სისტემაში განათლების სფერო აღებულია ფასეულობების წარმოებისა და მისი მოხმარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი.

ეკონომიკური ზრდის შესაფასებლად სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისეთ მაჩვენებლებს, როგორცაა თავისუფალი დროის სიდიდე, სიცოცხლის ხანგრძლივობა და სხვ. საგანმანათლებლო ფასები ცხოვრების დონის შედარების ერთ-ერთი ინდიკატორია და იმის მიხედვით, თუ რა დონეზე დგას საგანმანათლებლო მომსახურება, შეიძლება ვიმსჯელოთ ქვეყნის განვითარების პერსპექტივებზე.

§2. განათლების სტრატეგია

როგორ ზემოქმედებს განათლება ეკონომიკის ზრდაზე და როგორ გაიზომება იგი რაოდენობრივად? სხვანაირად რომ ვთქვათ, რას ველოთ განათლებისაგან?

ცხადია, რომ არა ყოველი განათლება ზემოქმედებს ეკონომიკის ზრდაზე. განათლება არის ეკონომიკის ზრდის ფაქტორი, მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ასწავლის ადამიანს, თუ როგორ და რატომ უნდა შექმნას მოთხოვნა მისი შრომის შედეგზე. ამ მიზნით განათლების სტრატეგია მოიცავს ოთხ მიმართულებას:

1. ეკონომიკური პროგრესის ხელშემწყობი ძირითადი გარემოს განვითარებას. ეს გულისხმობს სამუშაო ძალის მობილურობის, ზოგადი განათლების ზრდას, რაც აუცილებელია კომუნიკაციების გასაუმჯობესებლად, ელემენტარული ეკონომიკური განათლების გასავრცელებლად.

2. იმ ცოდნის შექმნას, რომელიც ადამიანს შეზღუდული რესურსების გამოყენების გაფართოების საშუალებას მისცემს. შესაბამისი განათლების გარეშე ადამიანი ვერ შეძლებს სხვადასხვა რესურსის გამოყენებაში ეკონომიკურად მიზანშეწონილი არჩევანის გაკეთებას.

3. განათლებაში ფიზიკურ კაპიტალთან შედარებით ინვესტიციებიდან უკუგება უფრო ხანგრძლივი და მყარია და ადამიანისეული რესურსებიც უფრო ნელა ცვდება ტექნიკასთან შედარებით, ამიტომ განათლება ისეთ ცოდნას უნდა იძლეოდეს, რომელიც მყარი იქნება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში.

4. განათლება არის მოხმარების ან სხვა სფეროში კაპიტალდაბანდების ალტერნატივა, რომელსაც სახელმწიფო ან ინდივიდები გაიღებენ. ამიტომ მაღალი უკუგების მოლოდინი დამახასიათებელია როგორც საზოგადოებისათვის, ასევე ინდივიდისათვის.

განათლების ზემოქმედება ეკონომიკაზე ხორციელდება სხვადასხვა ფორმებით:

- განათლება არის დამატება ფიზიკურ კაპიტალზე იმ აზრით, რომ ფიზიკური კაპიტალი ვერ მოვა მოძრაობაში, თუ მას არ ამუშავებს შესაბამისად მომზადებული კადრი. ამდენად იგი პროგრესის საშუალებაა;

- განათლება უზრუნველყოფს ეფექტიანობის ზრდას ყველა დარგში. მაღალპროფესიული კადრები ეფექტიანობის ზრდის კარგი რესურსია;

- განათლება პირდაპირ ზემოქმედებს სოფლის მეურნეობის მწარმოებლურობაზე. შესაბამისი ცოდნის გარეშე არ შეიძლება მოსავლიანობის ზრდა;

- ქალების განათლების ზრდა მათი შრომაში ჩაბმის შესაძლებლობას იძლევა. განთლებულ ქალებს აქვთ უფრო ნაკლები ფერტილურობის პერიოდი (შვილების შედარებით ნაკლები რაოდენობა) და ხანგრძლივი სამუშაო პერიოდი;

- განათლებული ადამიანები ღებულობენ რაციონალურ გადაწყვეტილებებს როგორც პირად ცხოვრებაში, ასევე საზოგადოებრივ საქმიანობაში;

- განათლება პირდაპირ კავშირშია ადამიანის ჯანმრთელობის უზრუნველყოფასთან და ბავშვების მოკვდაობის შემცირებასთან და სხვ.

საერთო დასკვნა

განათლება ზემოქმედებას ახდენს ეკონომიკურ და სოციალურ პროგრესზე, განსაზღვრავს ადამიანების მატერიალური და სულიერი ცხოვრების წესს და მისი სტრატეგია არსებითად მიმართულია ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობების განვითარებისაკენ. იმის მიხედვით, თუ რამდენად ორიენტირებულია სახელმწიფო პოლიტიკა განათლების სფეროზე, ადამიანისეულ რესურსებში განხორციელებული კაპიტალდაბანდებების უკუგებაც შესაბამისად აისახება ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებში.

§3. განათლება და ეკონომიკური ზრდა:

მეთოდოლოგიური ასპექტები

თანამედროვე პერიოდში ეკონომისტები და სოციოლოგები ძირითადად იკვლევენ იმას, თუ რა ურთიერთობა არსებობს განათლებასა და ეკონომიკურ განვითარებას შორის და რამდენად საჭიროა განათლების გაფართოება ცვალებადი ეკონომიკური მოთხოვნებიდან გამომდინარე.

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ ორგვარი მიდგომა: ერთი, რომელიც გულისხმობს მიზეზ-შედეგობრივ დამოკიდებულებას, ხოლო მეორე - ანალიზის დონეების განსხვავებას.

მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულება მოიცავს განათლებასა და ეკონომიკას

შორის ორმხრივ ურთიერთობას, მიზეზისა და შედეგების კომპონენტების ანალიზს. განათლების ზემოქმედება ეკონომიკურ ზრდაზე შესწავლილი უნდა იქნეს იმ მიზნით, რომ განისაზღვროს, რამდენად საჭიროა განათლების სფეროს განვითარება ეკონომიკური მოთხოვნებიდან გამომდინარე. მისი მიზანი უნდა იყოს ორმხრივი ინტერესის განხორციელება: პირველი, განათლების სისტემის ცვლილებების მნიშვნელობა მთლიანად ეროვნული ეკონომიკისათვის და მეორე - ცალკეული ინდივიდებისათვის. ბუნებრივია, რომ ამ ინტერესთა განსხვავებიდან გამომდინარე, ეროვნული ეკონომიკისა და ცალკეული ინდივიდების ინტერესები შეიძლება წინააღმდეგობრივიც კი აღმოჩნდეს, მაგრამ საერთო ღირებულების აღიარებიდან და გრძელვადიანი თუ მოკლევადიანი პარამეტრების გათვალისწინებით საერთო ინტერესების არსებობა აბსოლუტურად რეალურია. ეს კი სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ რაც სასარგებლოა საზოგადოებისათვის და ეროვნული ეკონომიკისათვის, ყოველთვის სასარგებლო იქნება ცალკეული ინდივიდისათვის და, პირიქით. ასეთი დისკარმონიის თავიდან აცილება სწორედ განათლების სისტემის ცვლილებებში უნდა ვეძებოთ, ამიტომაც პრბლემის შესწავლაც ზემოთ აღნიშნულ ორ სიბრტყეზე უნდა წარიმართოს.

ყოველი საზოგადოების ეკონომიკური წარმატებები პირდაპირ არის დამოკიდებული განათლების სისტემის მიზანდასახულ განვითარებაზე. სწორედ განათლების სისტემა ამზადებს საზოგადოებისათვის სამეცნიერო-ტექნიკურ კადრს, რაც ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების პირობაა. განათლების ეკონომიკური ფუნქცია შეიძლება დავახასიათოდ, როგორც ახალგაზრდების მომზადება მომავალი პროფესიული საქმიანობისათვის საზოგადოების მოთხოვნის შესაბამისად, განათლების ეკონომიკური ეფექტიანობა კი განისაზღვრება იმით, თუ რამდენად არის მზად განათლების სისტემა ამ მიზნის შესასრულებლად და რა დანახარჯებით ახერხებს სამუშაო ძალაზე მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

განათლებისადმი საზოგადოების მოთხოვნა განისაზღვრება წარმოების ეკონომიკური და სოციალური ცვლილებებით. ადამიანისათვის განათლების შექმნის სურვილი არანაკლებ პირველხარისხოვანი მნიშვნელობისაა, ვიდრე საკვებზე და ძილზე, ხოლო საზოგადოებისათვის განათლების დონე არის მისი სიმდიდრის მაჩვენებელი და ამ სიმდიდრის ზრდის აუცილებელი პირობა. განათლების ერთიანი სისტემა სოციალურ-კულტურული ურთიერთობების რთულ ჯაჭვს გულისხმობს. იგი ემყარება საზოგადოებაში დაგროვილ მატერიალურ და

სულიერ ფასეულობებს, რომლებიც მეცნიერებისა და წარმოების განვითარების შედეგს წარმოადგენენ. თავისთავად ეს ფასეულობები პასიურია, რამდენადაც მისი მოხმარება და წარმოება ადამიანების მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით შეიძლება იმ ზომით, რა ზომითაც ხდება ამ ღირებულების ათვისება. განათლების ეკონომიკური ასპექტი გულისხმობს იმ გზების გამოვლენას, რომლებიც დაეხმარება საზოგადოებას, ეფექტიანად აითვისოს ყველანაირი რესურსი, რომლის გამოყენებაც გაზრდის მატერიალურ და სულიერ ფასეულობებს, უზრუნველყოფს ადამიანის მიერ ამ ფასეულობების მოხმარებას.

ვიწრო გაგებით, განათლების მიზანი არის ადამიანის, როგორც წარმოების სუბიექტისა და მისი პროდუქტის მრავალმხრივი მომხმარებლის ფორმირება. კადრების მომზადება სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ისეთივე მნიშვნელოვანი ფაქტორია, როგორც საწარმოების ტექნიკური შეიარაღება, შრომის მეცნიერული ორგანიზაცია და ეკონომიკური სტიმულები. ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება უმაღლესი განათლების კვალიფიციური კადრების მომზადებას. მაგრამ განათლების როლი არ შემოიფარგლება მხოლოდ ადამიანების აღჭურვაში ცოდნითა და შრომის უნარით. იგი მოსახლეობაში აყალიბებს ახალ მოთხოვნებს განათლების მიღებაზე და ამით ქმნის შრომის ბაზრის გაფართოების შესაძლებლობებს. ამავე დროს იგი ასტიმულირებს წარმოების სრულყოფასა და განვითარებას.

მე-20 საუკუნის დასაწყისში მეცნიერების ამოსავალ დებულებას წარმოადგენდა ტრივიალური ჭეშმარიტება, რომლის თანახმად, განათლება არის ეკონომიკური ზრდისა და განვითარების გასაღები, მაგრამ შემდგომ მრავალმა სოციოლოგიურ-ეკონომიკურმა კვლევამ ამ დებულებაში შეიტანა ცვლილებები. სისტემატური კვლევა დაიწყო სოციოლოგიასა და ეკონომიკაში ადამიანისეული კაპიტალის თეორიების შემუშავების მიზნით. განათლება განისაზღვრა, როგორც ეროვნული ეკონომიკის განვითარების პირობა, რომელიც ცალკეული ინდივიდის შრომის ნაყოფიერების ამაღლების გზით ხორციელდება. შესაბამისად სამეცნიერო გამოკვლევებიც წარიმართა ინდივიდების შრომითი ძალისხმევის გაზომვისა და მისი ეკონომიკაზე ზემოქმედების ეფექტიანობის გაანგარიშებისაკენ. შემდგომში გარკვეულწილად მოხდა თეორიების სტრატეგიკაცია და გაჩნდა შეხედულებები, რომლებიც განათლებას მხოლოდ უმნიშვნელო როლს აკისრებდა ეკონომიკური სარგებლის მიღებაში. მკვლევართა

უმრავლესობა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ განათლება არის სოციალურ ჯგუფებს შორის კონკურენციის ან კიდევ კლასთა რეპროდუქციის პროცესი.

ამჟამად შედარებით დაიხვეწა მიდგომები და პრიორიტეტი მიენიჭა მაკროდონეზე განათლებისა და ეკონომიკის ურთიერთობების კვლევას, რომელიც გულისხმობს განათლების ზემოქმედების ეფექტის განსაზღვრას ეროვნულ ეკონომიკაზე და ეროვნული ეკონომიკის შემხვედრ ზემოქმედებას განათლებაზე. შესაბამისად ეფექტების შესწავლამაც შედარებით უფრო კონკრეტული სახე მიიღო.

§4. განათლებისა და წარმოების ურთიერთკავშირის ბუნება თანამედროვე პერიოდში

სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა მნიშვნელოვნად შეცვალა თანამედროვე წარმოების მატერიალურ-ტექნიკური პირობები და საკუთრივ საზოგადოებრივი ცხოვრების წესი. ამის შედეგი გახდა სამუშაო ძალის შრომის უნარისა და საერთოდ, ცოდნის შინაარსის სტრუქტურისა და ხასიათის ცვლილებები. წარმოების პროცესის გართულებისა და სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ნაკადების გაფართოების პირობებში, რომელიც წარმოების განვითარებაზე უშუალო ზემოქმედებას ახდენს და მოითხოვს მისი პროდუქციის მასობრივად გამოყენებას წარმოებაში, მნიშვნელოვნად გაიზარდა განათლების როლი წარმოებაში. სანამ მრეწველობა და სოფლის მეურნეობა არ მოითხოვდა კვალიფიციური სამუშაო ძალის გამოყენებას, განათლების სისტემა სუსტად უკავშირდებოდა წარმოებას. მე-19 საუკუნეში ინჟინრებისა და სხვა კვალიფიციური სამუშაო ძალის მომზადება არ ხდებოდა საზოგადოებრივად ორგანიზებული გზით, ხოლო მეცნიერება ცალკეული ადამიანის ინტერესს შეადგენდა და იგი სუსტად ზემოქმედებდა წარმოების განვითარებაზე. განათლებას ჰქონდა საზოგადოებრივი კულტურის ხასიათი. მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა მაშინ, როდესაც წარმოების შემდგომი განვითარება შეუძლებელი აღმოჩნდა მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალის გამოყენების გარეშე. ამ პერიოდში განათლება იქცა წარმოების განვითარების ძირითად ფაქტორად. წარმოებისა და განათლების ურთიერთდამოკიდებულების ცვლილებებთან ერთად მეცნიერებაში გაჩნდა და განვითარდა ახალი თეორიები.

პირველი სისტემატური კვლევა განათლებისა და ეკონომიკის ურთიერთმოქმედების შესახებ დაფუძნებული იყო ტექნიკურ-ფუნქციონალურ და შემდგომში მოდერნიზებულ თეორიებზე. ორივე თეორია შედარებით მარტივია, მაგრამ განსხვავდება იმით, რომ პირველი ასახავს მაღალგანვითარებული ქვეყნების კანონზომიერებებს, ხოლო მოდერნიზებული თეორიები ფოკუსირებულია განვითარებად ქვეყნებზე.⁵⁰ ეს თეორიები აგებულია განათლებისა და ეკონომიკის თვითგანვითარებადი პროცესების მტკიცებაზე. მათი ურთიერთხემოქმედების ეფექტი განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ როგორ ხდება საზოგადოების სრულყოფა. რამდენადაც საზოგადოება პერმანენტულად ვითარდება, ხოლო ეკონომიკური ორგანიზაცია და ტექნიკის მწარმოებლობა სულ უფრო რთულდება, იმდენად სოციალური ურთიერთობები მოითხოვენ ეკონომიკური აქტივობის, ორგანიზაციისა და ეკონომიკური აგენტების მონაწილეობის დიფერენციაციას, რაციონალიზაციას და უნივერსალიზაციას. ამასთან, ეს თეორიები უგულებელყოფენ ახალი სოციალური როლისათვის ინდივიდების მომზადების ისეთ ტრადიციულ ინსტიტუტებს, როგორცაა ოჯახი, ეკლესია და ნათესაობა. შესაბამისად მიიჩნევენ, რომ მხოლოდ განათლების სისტემის ფორმალურად ორგანიზებულ და ბიუროკრატიულ მექანიზმს შეუძლია თანამედროვე ურთიერთობების სოციალიზაციის განხორციელება და ისეთი ხელშეწყობის ფორმირება, როგორცაა თანამედროვე შრომის წესი მოითხოვს საზოგადოებისაგან.⁵¹

თანამედროვე პერიოდში წარმოების განვითარებამ ახალი მოთხოვნები წაუყენა განათლებას. ეს მოთხოვნები ყალიბდება წარმოების ტექნიკური და ორგანიზაციული დონისა და მასშტაბების შესაბამისად. ძირითადი ფაქტორი, რომელიც ზემოქმედებს ინდივიდის განათლებაზე, არის ცვლილებები წარმოების ტექნიკურ და ორგანიზაციულ ბაზაში. სწორედ ამ ბაზის ცვლილებები მოითხოვს წარმოების მუშაკების შემადგენლობისა და ფუნქციების ცვლილებებს და განსაზღვრავს ახალი პროფესიების, სპეციალობებისა და სამუშაო ადგილების შექმნას.

თანამედროვე წარმოება ახალ მოთხოვნებს უყენებს არა მარტო მუშაკის ტექნიკურ შეიარაღებას, არამედ - მისი ახალი ცოდნით აღჭურვასაც. იგი

⁵⁰ M. Bowman, C. Anderson, Concerning The Role of Education in Development. Old Societies and New States. Glencoe. IL. Free press. 1963. pp. 247-279.

⁵¹ E. Durkheim, Education and Society. Translated by S. Fox. Glencoe, IL, Free press, 1922, 1956; F. Harbinson and C. Mayers, Education, Manpower and Economic Growth. New Yourk, McGray-Hill. 1964.

მოითხოვს "განათლების ფონდის" ზრდას. "განათლების ფონდი" თავისი ეკონომიკური შინაარსით შეიძლება შევადაროთ ძირითად საწარმოო ფონდებს. ისევე როგორც წარმოებაში დაბანდებული თანხების მატერიალიზაცია ხდება მანქანა-იარაღებსა და შენობებში, ასევე შრომის ფაქტორზე დანახარჯების მატერიალიზაცია მიმდინარეობს ერთობლივი მუშაკის კვალიფიკაციის დონის მიხედვით, რომელიც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გამოიყენება და ასრულებს არანაკლებ როლს, ვიდრე კაპიტალდაბანდებები ახალ ტექნიკასა და ძირითადი საწარმოო ფონდების სხვა ელემენტებში.

ადამიანის განათლება წარმოების პროცესის თვალსაზრისით შეიძლება განვიხილოთ, როგორც ძირითადი კაპიტალის წარმოება (მარქსი), რომელიც არსებობს ცოცხალ შრომაში. ეს არის მისი სპეციფიკა. ინდივიდების განათლებაზე, მისი კვალიფიკაციის ამადლებაზე გაწეული ხარჯები ქმნიან "განათლების ფონდს", ამ ფონდის ფორმირება კი ერთობლივი კელავწარმოების შემადგენელი ნაწილია.

თანამედროვე პერიოდში შრომის საგანი, შრომის იარაღები და თვით ადამიანები თვისებრივად იცვლებიან. მათთან ერთად იცვლება წარმოების მეთოდები და მოთხოვნები მუშაკებისადმი. ეს უკანასკნელნი საწარმოო პროცესის მთავარი ელემენტებია. წარმოების მეცნიერებათგვადობა მოითხოვს წარმოების ინტელექტუალიზაციას. პარალელურად ხდება შრომის გართულებაც. ეს ტენდენცია აისახება მრეწველობის სხვადასხვა სექტორში არა მარტო კონსტრუქტორებისა და გამომგონებლების რაოდენობის ზრდის მიხედვით, არამედ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისა და მომსახურების ფუნქციების ცვლილებებშიც. ახალი მოწყობილობებისა და ახალი ტექნოლოგიური პროცესების ათვისება მუშების, ეკონომისტების, ინჟინრებისა და ტექნიკოსებისაგან მოითხოვს მათი საზრიანობის, ანალიტიკური უნარის, ტექნიკური აზროვნების განვითარებას და სპეციალურ მომზადებას. ამ თვისებებს ავითარებს ძირითადად უმაღლესი განათლების სისტემა.

1900-1960 წლებში აშშ-ში, რომელიც მსოფლიოს მოწინავე ქვეყანაა, ყოველ ათი ათას კაცზე უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტების რაოდენობით, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების რიცხვი გაიზარდა 2266-ჯერ, ხოლო მეცნიერ-მუშაკებისა - 73-ჯერ. საქართველოში ყოველ 1000 კაცზე უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტების რაოდენობა 1940-1980 წლებში

გაიზარდა 5,5 ჯერ.⁵²

არსებობს სხვა ასპექტიც. უმაღლესი განათლების მქონე კადრების ხვედრითი წონის ზრდა არის წარმოების ტექნიკური გადაიარაღებისა და მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების შესაბამისად ახალ პროდუქციაზე მისი ორიენტაციის აუცილებელი პირობა. თანამედროვე წარმოების პროდუქციის რეალიზაციისათვის საჭიროა საკმაოდ განათლებული და მომზადებული მომხმარებელი. განათლება მონაწილეობს ასეთი სახის მომხმარებლისა და მისი მოთხოვნების ფორმირებაში, ამ გზით აფართოებს ბაზარს და გამოდის უფრო ხარისხიანი საქონლის წარმოების განვითარებისა და სრულყოფის სტიმულატორის როლში.

ამდენად, განათლება და წარმოება კვალიფიციური სამუშაო ძალის კვლავწარმოების ერთიანი პროცესის ორი მხარეა. განათლება სტიმულს აძლევს სამეცნიერო-ტექნიკურ განვითარებას და აჩქარებს მას.

ცხრილი 7.1

სხვადასხვა პროფესიის სპეციალისტების ზრდა აშშ-ში

1950-1960 წლებში და საბჭოთა კავშირში 1960-80 წლებში (ათასებში) ⁵³

	1950 (აშშ)	1960 (სსრკ)	1960 (აშშ)	1980 (სსრკ)	ზრდა (%)(აშშ)	ზრდა (% (სსრკ)
მეცნიერი მუშაკები (ბუნებისმეტყველება)	116,9		149,3		27,7	
მათემატიკოსები	1,7		7,5		345,1	
ფიზიკოსები	7,4		13,9		87,7	
ქიმიკოსები	74,6	12,7	83,4	30,7	11,8	41,7
ინჟინრები	526,2		860,9		63,6	
მექანიკოსები	112,4	26,1	158,2	74,1	40,7	183,9
მეტალურგები	12,3	9,5	18,5	20,7	49,5	117,8
ელექტრიკოსები	105,9	17,5	183,9	76,5	73,7	337,1
ავიაინჟინრები	17,6		51,7		192,9	
მშენებლები	124,2	51,9	155,2	144,3	24,9	178
წარმოების ეკონომიკისა და	40,3		97,5		142,0	

⁵² Народное Хозяйство СССР За 70 лет. М., Финансы и Статистика, 1987, с. 525, 696.

⁵³ В.И. Марцинкевич, Образование в США: Экономическое значение и эффективность, 1967 г. М., Наука, с.58., Народное Хозяйство СССР За 70 лет. М., Финансы и Статистика, 1987, с. 552-554.

ორგანიზაციის ინჟინრები						
------------------------	--	--	--	--	--	--

ტექნიკურ-ფუნქციონალური თეორია ამ ასპექტებს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს და ასაბუთებს, რომ განათლება ხელს უწყობს საზოგადოების შემდგომ მოდერნიზაციას, განსაკუთრებით კი ეკონომიკურ ზრდას, რომელიც ინდივიდებზე ორმხრივი ზემოქმედების გზით ხორციელდება: პირველი, თანამედროვე განათლება ახდენს სტუდენტთა სოციალიზაციას კონკურენციის უმაღლეს დონეზე და აძლევს მათ თანამედროვე ღირებულების შემეცნებისა და ორიენტაციის საშუალებას, რომელსაც შემდგომში ისინი დამოუკიდებლად განავითარებენ და შექმნიან საკუთარ პროფესიულ თუ პოლიტიკურ იმიჯს (ინდივიდების ეს კუმულაციური ეფექტი ხდება საზოგადოების განვითარების, განახლებისა და გაძლიერების მიზეზი); მეორეც, განათლება ასწავლის ინდივიდებს, იყვნენ კონკურენტუნარიანი, განვითარონ შრომითი თვისებები და დაოსტატება, რაც მათ შემდგომში მისცემს შესაძლებლობას, გახდნენ ეკონომიკურად უფრო მწარმოებლური, გაზარდონ ტექნიკური ეფექტიანობა და ამ გზით გააძლიერონ ეკონომიკა.⁵⁴ დღეს მხოლოდ განათლების გარკვეული ზომით შეძენის შედეგად ყალიბდება ინდივიდი, როგორც სამუშაო ძალა.

**სამუშაო ძალის ახალი თვისებები და
მომსახურების სფერო**

სამუშაო ძალაში ჩვენ ვგულისხმობთ ფიზიკური და სულიერი უნარის ერთობლიობას, რომელსაც ფლობს ადამიანი და მას იყენებს მოხმარებისათვის აუცილებელი სახმარი ღირებულების წარმოებაში.

როგორც კ. მარქსი აღნიშნავდა, სამუშაო ძალა განუყოფელია თვით ადამიანისაგან. სამუშაო ძალის წარმოება და კვლავწარმოება ნიშნავს თვით ადამიანის კვლავწარმოებას, მისი ნორმალური სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებას. იგი არსებობს, როგორც ცოცხალი ინდივიდის უნარი. მისი

⁵⁴ C. Anderson, M. Bowman, Education and Economic Modernization in Historical Perspective . "Schooling and Society". Ed. by L. Stone, Baltimore., John Hopkins University Press. 1976. pp.3-19. J. Meyer, The Effects of Education as an Institution. "American Journal of Sociology". 1977, # 83, pp.340-363.

კვლავწარმოება იმავდროულად არის არა მარტო შრომის უნარის განახლების, არამედ მუშაკების მიერ ცოდნისა და შრომის ახალი უნარის შექმნისა და განვითარების პროცესი.⁵⁵ ამდენად განათლება არის სამუშაო ძალის კვლავწარმოების შემადგენელი ელემენტი, რომელიც გულისხმობს ინდივიდისათვის განათლებისა და სპეციალობის მიცემას. მისი კვლავწარმოებისა და განათლების მიღების პროცესში იგი ყიდულობს მასწავლებლების მომსახურებას და ეწევა საგანმანათლებლო ხარჯებს. თავის მხრივ, იგი არის საქონლის ფორმირების ისეთი პროცესიც, რომელიც მისცემს მის მფლობელს შესაძლებლობას, გაყიდოს იგი შრომის ბაზარზე.

სამუშაო ძალის კვლავწარმოების მთავარი წყაროა საოჯახო შემოსავლები, რომლებიც ამჟამად საქართველოში მოსახლეობის საშუალო რეალური შემოსავლების 3/4-ს შეადგენს, ხოლო მათი შემოსავლების 1/4 სხვადასხვა საზოგადოებრივი და სახელმწიფო ფონდებიდან გაცემული დახმარებაა. განათლების დონის ზრდა და განსაზღვრული სპეციალობების ათვისება, თავის მხრივ, ხელს უწყობს შრომითი უკუგებისა და ინდივიდის შემოსავლების ზრდას. სამუშაო ძალის კვლავწარმოება უწყვეტი პროცესია და იგი არის ადამიანისეული ფაქტორის სუბიექტური საფუძველი, რაც შრომითი საქმიანობის შედეგებში ვლინდება.

სამუშაო ძალა საწარმოო ძალების მთავარი ელემენტია. სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესთან ერთად იცვლება შრომის საშუალებები, სამომხმარებლო პროდუქტის ხასიათი და მალდება მეცნიერებისა და მასთან დაკავშირებული განათლების სისტემის როლი. შესაბამისად იზრდება მოთხოვნა განათლებულ, ინტელექტუალურ სამუშაო ძალაზე. კვალიფიკაციის ამაღლების ახალი მოთხოვნები უნდა უზრუნველყოფილ იქნეს სპეციალური და უმაღლესი განათლების სისტემის განვითარებით.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ განათლება არის მომსახურების სფერო, რომელიც, ერთის მხრივ, ამზადებს სამუშაო ძალას შრომითი პროცესებისათვის, ხოლო, მეორეს მხრივ, ამზადებს კადრებს თვითგანათლებისა და მეცნიერების სფეროს განვითარებისათვის.

თანამედროვე ცხოვრებაში სულ უფრო იზრდება მომსახურების სფეროს მნიშვნელობა. შრომის ხასიათის ცვლილებები მკვეთრად ზრდის ადამიანის

⁵⁵ კ. მარქსი, კაპიტალი. ტ.1. თბ., სახელმწიფო გამომცემლობა. 1954. გვ. 218-220.

ფსიქიკური და გონებრივი ენერჯის მოხმარების შესაძლებლობებს და ამცირებს ფიზიკური ძალების გამოყენების აუცილებლობას. შესაბამისად, ინდივიდის კვლავწარმოებისათვის სულიერი დანიშნულების მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ისევე აუცილებელი ხდება, როგორც კვება.

მომსახურების სფეროს განვითარების ნაწილი დაკავშირებულია მატერიალურ წარმოებასთან. იგი მონაწილეობს ახალი ღირებულების შექმნაში. მომსახურების სფეროში იზდება იმ ადამიანების რიცხვი, რომლებსაც მიღებული აქვთ უმაღლესი განათლება, თუმცა შესაძლებელია არსებობენ ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებულნიც, რომლებსაც ძალუძთ, მაგალითად, თავიანთი პარაფსიქოლოგიური თვისებებით ადამიანების განკურნება, მაგრამ ეს მხოლოდ ცალკეული შემთხვევებია. მეცნიერება მოითხოვს მაღალგანვითარებულ ადამიანებს ფართო მსოფლმხედველობით. იუნესკოს ერთ-ერთი დებულების თანახმად, თანამედროვე პერიოდში მეცნიერება და ტექნოლოგია ისე სწრაფად ვითარდება, რომ ფუნდამენტურ და გამოყენებით მეცნიერებაში არსებული ტექნიკა არანაკლებ სწრაფად ცვდება, ვიდრე წარმოება. ინდივიდებისა და მკვლევარების გონივრული საქმიანობა ქმნის რიტმული და უწყვეტი მუშაობის გარანტიას, რაც მათი დიდი განათლებულობის მაჩვენებელია.⁵⁶

სამეცნიერო-ტექნიკური ცვლილებების შედეგად წარმოება გადაიქცა ისეთ სფეროდ, რომელიც სამუშაო ძალისაგან მოითხოვს დიდ ინტელექტუალურ და ფსიქიკურ ენერჯიას. ეს პროცესი, თავის მხრივ, განაპირობებს სულიერი სიკეთის მომხმარებლების როლის ზრდას ინდივიდების კვლავწარმოებაში. შესაბამისად, არასაწარმოო სფეროს, თავისი სოციალურ-კულტურული მნიშვნელობით, დიდი როლი მიენიჭა ინდივიდების კვლავწარმოებაში, ხოლო სასწავლო-საგანმანათლებლო მომსახურება გახდა ახალი სამომხმარებლო და შრომითი თვისებებით დაჯილდოებული ადამიანების წარმოების სფერო. გარდა ამისა, კვალიფიციური სამუშაო ძალის მომზადება ხორციელდება მომსახურებათა ისეთი ფართო წრის მონაწილეობით, რომელთა სამომხმარებლო თვისებები უზრუნველყოფენ ინდივიდების საერთო კულტურული და პროფესიონალური დონის ამაღლებას, მათი ჯანმრთელობის განმტკიცებას, ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებას, აქტიურად დასვენებას.⁵⁷

⁵⁶ ЮНЕСКО “Статистический ежегодник “. 1970. с.7.

⁵⁷ ლ. ჩიქავა, არამატერიალური წარმოების სფეროს პოლიტეკონომიური ასპექტები. თბ., მეცნიერება, 1987. გვ. 194.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ახლადფორმირებული შრომითი და სამომხმარებლო თვისებების მქონე ინდივიდების ერთ-ერთი განმსაზღვრელი თავისებურებაა მათ მიერ საკუთარი სამუშაო ძალის განკარგვის თავისუფლება. ყოველ ინდივიდს შეუძლია თავისი შეხედულებით იგი განკარგოს, გაყიდოს და გამოიყენოს სამუშაოზე. სამუშაო ძალის ყიდვა-გაყიდვით ხდება ინდივიდების იმ ინტერესის რეალიზაცია, რომელიც გულისხმობს მათ მიერ ცოდნის მისაღებად გაწეული დანახარჯების ანაზღაურებას. ამიტომ დამქირავებლისა და დაქირავებული ინდივიდების ცივილიზებული ურთიერთობები მოითხოვს შრომის, როგორც ეკონომიკის ყველაზე აქტიური ფაქტორის, ანაზღაურების განსაზღვრისას გათვალისწინებულ იქნეს ინდივიდების მიერ გაწეული ის დანახარჯები, რაც დასჭირდა კვალიფიკაციის შექმნას.

შრომის ბაზარზე ადამიანი გამოდის როგორც განსაკუთრებული საქონელი, რომლის ღირებულების სტრუქტურულ შემადგენლობაში შედის მისი კვლავწარმოებისათვის საჭირო საშუალებების ღირებულებაც. სამუშაო ძალა განუყოფელია თვით ადამიანისაგან, მისი კვლავწარმოება კი ნორმალური სიცოცხლისუნარიანობის გაგრძელებაა. სიცოცხლისათვის აუცილებელი საშუალებების ღირებულება განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით და განსაზღვრულია სხვა გარემოებებთან ერთად: კლიმატური, ისტორიული, ეთნიკური და სხვ. მაგალითად, საქართველოსა და ნორვეგიაში მცხოვრებ ადამიანებს სხვადასხვა რაოდენობით სჭირდებათ გათბობა, თბილი ტანსაცმელი და ა.შ. ამასთან, სიცოცხლისათვის აუცილებელი საშუალებები არ მოიცავს მხოლოდ ბუნებრივი მოთხოვნილების საგნებს, იგი გულისხმობს იმ სულიერ დოვლათსაც, რასაც არანაკლები მნიშვნელობა აქვს ადამიანის არსებობისათვის. ასეთია, მაგალითად, მოთხოვნები ინფორმაციაზე, გართობაზე და სხვ. სასიცოცხლი არსებობისათვის აუცილებელ ღირებულებაში შედის აგრეთვე სხვადასხვა დარგში მუშაობისათვის აუცილებელი უნარის, ცოდნის შექმნის ღირებულებაც.

ამდენად, განათლებას, შრომის ხარისხსა და, შესაბამისად, სამუშაო ძალის ღირებულებას შორის არსებობს უშუალო კავშირი. კვალიფიკაციის ზრდა სამუშაო ძალის ღირებულების ზდის ერთ-ერთი არსებითი ფაქტორია. ცხადია, რომ საწარმოო პროგრესთან ერთად იზრდება მუშაკის დახელოვნება და შრომის უნარი. ადამიანის მოთხოვნები განათლებისადმი საზოგადოებრივი განვითარების პროდუქტია, ამიტომ საზოგადოების განვითარების ყოველ ეტაპს უნდა

შესაბამებოდეს საზოგადოებრივად ნორმალური სამუშაო ძალის ხარისხი და კვალიფიკაცია.

ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში ფართოდ არის გავრცელებული თეორია რაოდენობრივი თანაფარდობის შესახებ სამუშაო ძალის კლავწარმოებასა და მის მიერ ახლად შექმნილ ღირებულებას შორის. ამ თეორიის თანახმად, რაც უფრო მაღალია ადამიანის კვალიფიკაცია (რომელშიც იგულისხმება არა მარტო სპეციალური მომზადების, არამედ ინტელექტუალური განვითარებისა და განათლების დონე), მით უფრო რთულია მისი შრომა. რთული შრომა უფრო მეტ ღირებულებას აწარმოებს საშუალო ან მარტივ შრომასთან შედარებით და მის მომზადებას სჭირდება მეტი ხარჯი და დრო, ამიტომ ასეთი სამუშაო ძალის ღირებულებაც მაღალი უნდა იყოს. ამ მარქსისტულ კანონზომიერებებს აპრიორულად დასავლური თეორიების მიმდევრებიც იზიარებენ, მაგრამ მათ შორის აზრთა სხვაობა ვლინდება რთული და მარტივი შრომის შეფასების კრიტერიუმებისა და ინსტიტუტების განსაზღვრისას. ცხადია, რომ მხოლოდ შრომის ბაზარი ვერ იქნება მათი შეფასების ერთადერთი პირობა, თუმცა მისი კანონები ზოგადად ამ შრომის რედუქციას ვერ უარყოფენ და განსხვავებულ ასპექტში ახასიათებენ ადამიანის კვალიფიკაციასა და მისგან მიღებულ სარგებელს შორის დამოკიდებულებას. მთავარი ისაა, რომ როდესაც შრომის ბაზარზე სამუშაო ძალის ღირებულება მცირდება, მაშინ საჭირო ხდება შრომის ხასიათში ცვლილებების შეტანა და კვალიფიკაციის დონის ამაღლება. ეს ასპექტი გამოხატავს განათლებასა და შრომის მოთხოვნა-მიწოდებას შორის პირდაპირ ურთიერთკავშირს და კვალიფიკაციის ზრდის მოთხოვნას საბაზრო კონიუნქტურის შესაბამისად.

ამ ასპექტში არანაკლებ მნიშვნელოვანია თვით ინდივიდის დამოკიდებულება განათლებისადმი და საკუთრივ განათლების სისტემის მდგომარეობაც, მაშასადამე, სასწავლო დაწესებულებებს რამდენად შეუძლია უზრუნველყოს ახალი კვალიფიკაციის დანერგვა სწავლებაში. ყოველი ასეთი ცვლილება სწორედ შრომითი თვისებების შექმნის გართულების შედეგია, ამიტომ პროგრესის ზრდასთან ერთად შრომაც რთულდება.

როგორც ჩანს, სამუშაო ძალის ღირებულება, სხვა ფაქტორებთან ერთად, განსაზღვრულია განათლების არსებული სტანდარტებით სამუშაო ძალის ნორმალური ფუნქციონირებისათვის. ამასთან, სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესთან ერთად ამ სტანდარტების მოთხოვნები იზრდება. რაც უფრო მაღალია

განათლების დონე, მით უფრო მაღალია სამუშაო ძალის ღირებულება და შრომის ფასი. განათლება, წარმოება და სამუშაო ძალის ღირებულება ერთმანეთთან დაკავშირებული ეკონომიკური ურთიერთობებია. ისინი ერთმანეთის განვითარების ხელშემწყობი ფაქტორებია.

§5. განათლებისა და ეკონომიკური ზრდის ურთიერთმიმართება ადამიანისეული კაპიტალისა და ტექნიკურ-ფუნქციონალური თეორიებში

ადამიანისეული კაპიტალისა და ტექნიკურ-ფუნქციონალურ თეორიებში განათლება და ეკონომიკა წარმოდგენილია როგორც ურთიერთმოქმედი თვითგანვითარებადი ურთიერთობები. ხანგრძლივ პერიოდში განათლების დონის ამაღლება ხდება ტექნიკური ეფექტიანობისა და ეკონომიკაში განხორციელებული მოდერნიზაციის შედეგად, განათლება კი სანაცვლოდ ხელს უწყობს ეკონომიკის ზრდას სასწავლო დაწესებულებებისა და ინდივიდების ახალ ღირებულებებზე ორიენტაციის გზით.

ადამიანისეული კაპიტალი და ტექნიკურ-ფუნქციონალური თეორიები ინტუიციურ თვალთახედვაზე დაფუძნებული. იგი განათლებასა და ეკონომიკას შორის ნათესაობას აქსიომატურად აღიქვამს და მიიჩნევს, როგორც თავისთავად გასაგებ მოვლენას. მაგრამ არის თუ არა ეს თეორია სარწმუნო მაკროდონეზე? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა ემპირიულად იქნეს განხილული განათლების ზემოქმედება ეკონომიკაზე და შემდეგ კი - ეკონომიკის ეფექტი განათლების ზრდაზე.

განათლების ზემოქმედებას ეკონომიკურ ზრდაზე შეისწავლის რაოდენობრივი თეორია. იგი იკვლევს განათლების ხარჯების ზემოქმედებას ეკონომიკური განვითარების დონეზე.⁵⁸ ეს თეორია ასაბუთებს პოზიტიური ურთიერთობების არსებობას ამ ორ ცვალებად ფაქტორს შორის, მაგრამ მას გააჩნია სუსტი მხარეებიც, კერძოდ, იგი საგანმანათლებლო ეფექტს (ეკონომიკურ ზრდაზე) ვერ აცალკევებს ეკონომიკის განათლებაზე ზრდის ზემოქმედებისაგან. მეორეც, ამ თეორიაში ეკონომიკისა და განათლების ურთიერთზემოქმედების ანალიზი არ

⁵⁸ M. Bowman, C. Anderson, Concerning the Role of Education in Development. Old Societies and New States. Glencoe. IL, Free press. 1963. pp. 247-279.

არის სრულყოფილი, რადგან ყურადღების გარეშე რჩება სხვა ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებიც განათლებისა და ეკონომიკის ურთიერთობებზე ახდენს ზეგავლენას. მათ გარეშე კი ეფექტების სრული ანალიზი არ იქნებოდა შესაძლებელი.

შედარებით უფრო მნიშვნელოვანია ამ პრობლემის მაკროეკონომიკური თეორიები, რამდენადაც ისინი განსაზღვრავენ განათლების ზემოქმედებას ეკონომიკურ ზრდაზე საწარმოო ფუნქციის მეშვეობით და ასახავენ მოდელს, რომელშიც გამოშვებული პროდუქცია წარმოდგენილია, როგორც კაპიტალისა და შრომის ფუნქცია.⁵⁹

ე. დენისონისა და სხვ. თეორიები

60-იან წლებში ადამიანისეული კაპიტალი და ტექნიკურ-ფუნქციონალური თეორიები მნიშვნელოვნად განავითარა ამერიკელმა მეცნიერმა ედვარდ დენისონმა.⁶⁰ მან მაკროეკონომიკურ ასპექტში განათლების ზემოქმედება ეკონომიკურ ზრდაზე განსაზღვრა საწარმოო ფუნქციის მეშვეობით და გამოშვებული პროდუქცია წარმოადგინა, როგორც კაპიტალისა და შრომის ფუნქცია. ედვარდ დენისონმა გაიანგარიშა, თუ რამდენად მოქმედებს განათლება პროდუქციის გამოშვებაზე, რამდენად იწვევს შრომის ხარისხობრივ (რაც მუშაკების საგანმანათლებლო დონის მაჩვენებელია) და შრომის პროდუქტის რაოდენობრივ ცვლილებებს. მან განათლების ზემოქმედების რაოდენობრივი სიდიდე განსაზღვრა პროფესიებისა და განათლების დონის ადეკვატურად ანაზღაურებული შრომის გასამრჯელოს საშუალებით. ამის შედეგად გააკეთა დასკვნა, რომლის თანახმად, აშშ-ში 1929-1957 წლებში განათლების საფუძველზე შრომის საშუალო ხარისხი ყოველწლიურად გაიზარდა 0,93 პროცენტით. ამ პერიოდში ეროვნული პროდუქტის ყოველწლიური ზრდა შეადგენდა 2,93 პროცენტს, განათლებაში კი დაბანდებული იყო ამ ზრდის 23 პროცენტი. ამდენად, - ასკენის იგი, - აშშ-ში ეკონომიკურ ზრდას ხელი შეუწყო სწორედ განათლების სფეროს განვითარებამ.

⁵⁹ M. Nadiri, Some Approaches to the Theory and Measurement of Total Factor Productivity. "Survey Journal Of Economic Literature".1970. # 8, pp. 1137-1178.

⁶⁰ E. Denison, The Sources of Economic Growth in the United States and the Alternatives Before US. New Yourk, Committee for Economic Development. 1962; E. Denison, Why Growth Rates Differ: Postwar Experience in Nine Western Countries. Washington DC, Brookings Institution. 1967.

ე. დენისონის სახელთან არის დაკავშირებული განათლების ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასების სხვა არგუმენტიც. მან რაოდენობრივად შეადარა სხვადასხვა ეკონომიკური ზრდის ფაქტორების ზემოქმედება აშშ-ის რეალური ეროვნული შემოსავლის ზრდას. ეს შედარებები მოყვანილია 7.2 ცხრილში.

ცხრილი 7.2

ფაქტორები, რომლებიც მოქმედებს აშშ-ის რეალური ეროვნული შემოსავლის ზრდაზე 1929-1982 წლებში

	ზრდის ფაქტორი	თითოეული ფაქტორის ხვ. წონა (%)
1.	შრომითი დანახარჯების ზრდა	32
2.	შრომის ნაყოფიერების ზრდა	68
3.	ტექნიკური პროგრესი	28
4.	კაპიტალის დანახარჯები	19
5.	განათლება და პროფესიული მომზადება	14
6.	წარმოების მასშტაბებით გამოწვეული ეკონომია	9
7.	რესურსების განაწილების გაუმჯობესება	8
8.	საკანონმდებლო-ინსტიტუციური და სხვ. ფაქტორები	9

დენისონის შეფასებით, სამუშაო ძალის ხარისხის გაუმჯობესებამ გამოიწვია აშშ-ის რეალური ეროვნული შემოსავლის ზრდა 14 პროცენტით. სამუშაო ძალის მდგომარეობის ყველაზე მარტივი მაჩვენებელია მისი განათლების დონე. შესაბამისად, უნდა დავასკვნათ, რომ ნებისმიერ საზოგადოებაში საკუთრივ განათლება არის ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი მძლავრი წყარო.

გარდა ამისა, განათლების დონესა და ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის შემოსავლებს შორის კავშირის განსაზღვრისას ე. დენისონმა დაადგინა, რომ ერთნაირი ასაკის ინდივიდების საშუალო შემოსავლებში სხვაობის 3/5 განპირობებულია განათლების დონით, ხოლო დანარჩენი - ინდივიდის პირადი თვისებებით და სხვა გარემოებებით. ისეთი პირადი თვისებები, როგორცაა ნიჭი, სიახლის აღქმის უნარი, სწრაფი აზროვნება და სხვ. არის დამატებითი საშუალება ადამიანთა შემოსავლების გასაზრდელად.

80-იან წლებში დეიდ ჯორგენსონმა გამოიყენა საწარმოო ფუნქციის მოდელი და გააკეთა დასკვნა, რომლის თანახმად, განათლების ზემოქმედება ეკონომიკის ზრდაზე ხდება ინდივიდუალური სამუშაო ძალის ნაყოფიერების ზრდის გამო. მან ფაქტორებად აიღო როგორც თანამდებობრივი განსხვავებები (მუშაკების წლოვანება და სქესი) ასევე განათლების მიღებაზე დახარჯული დრო. მკვლევრის აზრით, ხელფასი, რომელსაც მუშაკები ღებულობენ თავიანთი ცოდნის განსხვავებული დონის შესაბამისად, ასახავს განათლების ზემოქმედებას მათ ნაყოფიერებაზე. ამით მან უჩვენა, რომ 1948-1973 წლებში შრომის ხარისხის 0,72 პროცენტით ზრდაში განათლების წილი იყო 0,67 პროცენტი, ხოლო შრომის პროდუქტის ყოველწლიური 1,09 პროცენტით ზრდის პირობებში შრომის ხარისხი შეადგენდა 0,45 პროცენტს. ამ გაანგარიშების მიხედვით მტკიცდება, რომ განათლება არის ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორი.⁶¹

დენისონის მოდელისაგან განსხვავებით პეტერ ლუნდგრინმა პრუსიის მაგალითზე შეისწავლა განათლების ზემოქმედების ეფექტი ეკონომიკურ ზრდაზე 1861-1913 წლებში და დაასკვნა, რომ განათლების გაზომვა შრომისა და კაპიტალის სტანდარტული შედეგების მიხედვით არ აუმჯობესებს ამ მოდელს, ხოლო განათლების ეფექტი არ არის საკმარისი იმის დასამტკიცებლად, რომ პრუსიაში ამ პერიოდში ეკონომიკის ზრდა ხდებოდა განათლების სისტემის განვითარების გამო.⁶²

მართალია, საწარმოო ფუნქციის გზით განათლების ეკონომიკაზე ზემოქმედების მტკიცება იძლეოდა საკმაოდ ოპტიმისტური მსჯელობის საბაბს, მაგრამ შემდგომში ასეთი მიდგომა მკაცრად იქნა გაკრიტიკებული და მისი ემპირიული დასკვნებიც ეჭვის ქვეშ დადგა. არსებითად კი საკამათო გახდა ორი საკითხი:

პირველი, აღნიშნული თეორია ემყარება მეთოდოლოგიურ პრინციპს, რომლის თანახმად, განათლების ზემოქმედება ეროვნულ ეკონომიკაზე გამომდინარეობს ინდივიდების მიერ ცოდნის მიღებასა და ამ ცოდნით გამოიმუშავებულ თანხას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირიდან. ამ ლოგიკით, ადამიანებს, რომლებსაც

⁶¹ D. Jorgenson. The Contribution of Education to US Economic Growth. Education and Economic Productivity. Ed. by Edwin Dean .Cambridge. 1984. MA: Ballinger. pp. 95-162.

⁶² P. Lundgreen. Educational Expansion and Economic Growth in Nineteenth Century Germany: A Quantitative Study. in *Scolling and Society*. Ed. by L. Stone. Baltimore, John Hopkins University Press. pp. 20-66.

აქვთ უფრო მეტი ცოდნა, ექმნებათ თანამდებობების დაკავებისა და ხელფასის გამომუშავების უფრო მეტი შესაძლებლობები. ეს თეზისი თითქოს იძლევა იმის მტკიცების შესაძლებლობას, რომ იმ ინდივიდების ერთობლივი შრომა უნდა იყოს უფრო ნაყოფიერი, რომლებმაც მიიღეს მეტი განათლება. სწორედ ასეთი ადამიანები ავითარებენ ეკონომიკას. თუმცა ამგვარი დასკვნის გაკეთება ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება არასწორი აღმოჩნდეს ეკონომიკურ ზრდაზე მოქმედი სხვადასხვა "გადამკვეთი" ფაქტორისა და "თანამდევნი ეფექტების" გამო, რაც ეჭვის ქვეშ აყენებს ზემოთ აღნიშნულ თეორიას.

ადამიანისეული კაპიტალის თეორიაში აღიარებულია შეხედულება, რომლის თანახმად, ინდივიდებს ხელფასი ეძლევათ ცოდნის შესაბამისად. იგი ზემოქმედებს ეკონომიკურ ზრდაზე, მაგრამ ასეთი დასკვნა უფრო ინტუიციური და ცოდნის, როგორც მიზეზის გარდუვალი ზემოქმედების მტკიცება ერთობლივი შრომის ნაყოფიერების ზრდაზე ემპირიული ხასიათისაა.

ერთობლივი მწარმოებლობის თეორია

არსებობს სხვა გზაც იმის ასახსნელად, თუ რატომ აქვთ განათლებულ მუშაკებს მაღალი შრომის სტატუსი და ხელფასი. განათლება ზრდის შრომით შესაძლებლობებს. კვალიფიციური სამუშაო ძალის პრესტიჟი მაღალია. ადამიანები სამუშაო ადგილებზე გადანაწილდებიან განათლების დონეებისა და შრომითი შესაძლებლობების მიხედვით. ყოველივე ეს კი არ არის საკმარისი პირობა ერთობლივი შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის და მას არ აქვს ეკონომიკის ზრდაზე აუცილებელი ზემოქმედების ხასიათი, მაგრამ, რამდენადაც არსებობს სამუშაო ძალის ასეთი განაწილება, იმდენად ადამიანები, რომლებიც ცდილობენ შესაფერისი სამუშაოს პოვნას, მოთხოვნებს უყენებენ განათლების სისტემას. ამიტომ განათლების ხარჯზე ეკონომიკის ზრდა და ერთობლივი მწარმოებლობა მხოლოდ ამ ურთიერთგადამკვეთი ფაქტორების ზემოქმედების შედეგად შეიძლება აიხსნას.

ეკონომიკაზე განათლების ზემოქმედების ახსნა ერთობლივი მწარმოებლობის ზრდის საშუალებით მხოლოდ ემპირიულად მტკიცდება. ზოგიერთი თეორია ამ გარემოებას იყენებს იმისათვის, რომ დაასაბუთოს, თითქოს განათლება ეფექტს ვერ ახდენდეს ეკონომიკის განვითარებაზე, მაგრამ აქვე უნდა დავაზუსტოთ, რომ ეს თეორიები არ უარყოფენ განათლების ეკონომიკაზე პოზიტიურ ზემოქმედებას

და ამტკიცებენ მხოლოდ იმას, რომ ინდივიდების ხელფასსა და განათლებას შორის კავშირი არ შეიძლება ყოველთვის ასეთი ეფექტის გამომხატველი იყოს⁶³

საკმაოდ გავრცელებულია აზრი იმის შესახებ, რომ ქვეყანაში განათლების სისტემა განსაზღვრავს მისი ეკონომიკის მდგომარეობას.⁶⁴ ამ აზრში, მართალია, არის ჭეშმარიტების მარცვალიც, მაგრამ არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ განათლების დონის ზრდა ავტომატურად ვერ უზრუნველყოფს წარმოების ეფექტიანობის ზრდას. შესაბამისად სასწავლო დაწესებულებებში სწავლის ხარისხის ამაღლებასა და შრომის ნაყოფიერებას შორის პირდაპირი კავშირის რაოდენობრივი განსაზღვრა არ შეიძლება. ზოგიერთი ქვეყანა, მართალია, ეკონომიკურად სწრაფად მიდის წინ, მაგრამ განათლების სისტემა შედარებით უფრო სუსტადაა განვითარებული, ვიდრე დაბალგანვითარებულ ქვეყნებში. მრავალი მაჩვენებლით ასეთად შეიძლება მივიჩნიოთ ყოფილი საბჭოთა ქვეყნები, სადაც მოსახლეობის განათლების დონე მაღალია. წერა-კითხვის უცოდინართა რაოდენობა ძალიან მცირეა და ზრდასრული მოსახლეობის 20 პროცენტზე მეტს აქვს მიღებული უმაღლესი განათლება. მათი ეკონომიკა კი დაბალგანვითარებულია.

ზოგიერთი მეცნიერი იმის დასამტკიცებლად, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და წარმოების განვითარებას შორის არ არსებობს არავითარი კავშირი, იყენებს არგუმენტს, რომლის თანახმად, 60-იან წლებში აშშ-ში შემცირდა მოსწავლეთა აკადემიური წარმატება, განსაკუთრებით მათემატიკაში, ეს დღემდე გრძელდება, მაგრამ ამავე პერიოდში განუხრელად გაიზარდა ეკონომიკა. თუ, სულ მცირე, მოსწავლეთა 20 პროცენტი მიიღებს კარგ განათლებას, იგი საკმარისი იქნება ქვეყანაში ტექნიკურ-ეკონომიკური პოტენციალის გასაზრდელად.⁶⁵

აშშ-ში, ასევე რიგ ევროპულ ქვეყნებში, ჩამოყალიბდა შემდეგი კანონზომიერება: მუშაკები საშუალო განათლებით გამოიმუშავენ 1,5-2-ჯერ ნაკლებს, ვიდრე მათი თანატოლები ბაკალავრის დიპლომით და თითქმის 3-ჯერ ნაკლებს, ვიდრე დოქტორები. ყველგან არსებობს განათლების მიღების გარკვეული სტიმულები. განათლება გახდა უმუშევრობისაგან თავის დაღწევის

⁶³ R. Rubinson, B. Fuller, Specifying the Effects of Education on National Economic Growth. Political Construction of of Education. Ed. by B. Fuller and R. Rubinson. New York Praeger. 1992. pp. 101-15.

⁶⁴ ამის მაგალითია კორეას, ტაივანისა და სხვა აზიური ქვეყნების განათლების სისტემა.

⁶⁵ Б.Л. Вульфсон, Стратегия развития образования на западе на пороге XX1 века. М., Урао, 1999. с. 18.

გარანტია. როგორც პრაქტიკა ადასტურებს, უმუშევრობის პირველი კანდიდატები ყოველთვის დაბალი განათლების მქონე მუშაკები არიან.

ადამიანისეული კაპიტალისა და ერთობლივი მწარმოებლობის თეორიების თანახმად, განათლებული სამუშაო ძალა უფრო მწარმოებლურია შრომაში, ხოლო შრომის ნაყოფიერების საზომი შეიძლება იყოს გამომუშავებული ხელფასი. ამ თეზისს აქვს მხოლოდ ემპირიული მხარდაჭერა, რამდენადაც მრავალი ეკონომისტი სვამს კითხვას, თუ რა შემთხვევაში შეიძლება ხელფასი გამოყენებულ იქნეს როგორც ზღვრული მწარმოებლობის საზომი და როდის არის შრომის ბაზარი კონკურენტული და გაწონასწორებული. თუ კონკურენცია სამუშაო ძალას შორის დამყარებულია მათ მიერ მიღებული განათლების დონეზე, მაშინ ხელფასის სიდიდე არ იმოქმედებს ზღვრულ მწარმოებლობაზე და შრომის ბაზარიც არასრულყოფილი იქნება.⁶⁶

ადამიანისეული კაპიტალის თეორიის კრიტიკა ეფუძნება სამუშაოს მძებნელთა რიგის არსებობას ანუ მუშაკთა "უპირატესობის მიცემის" პრინციპს შრომის ბაზარზე, რაც ანალოგიურია იმ კრიტიკისა, რომელიც დამყარებული იყო განაწილებით პროცესებზე. ხელფასების უთანასწორობის ემპირიული თეორია კი ვერ ადგენს მყარ კავშირს განათლებასა და შრომის ნაყოფიერებას შორის. ადამიანისეული კაპიტალის თეორიის თანახმად, ხელფასების უთანასწორობა გამომდინარეობს ინდივიდების ცოდნისა და მუშაობის გამოცდილების განსხვავებიდან. ხელფასები კი განსხვავებულია როგორც სქესისა და წლოვანების, ასევე ეთნიკური წარმოშობის მიხედვით. ეს უკანასკნელნი სისტემატურად მოქმედებენ ხელფასების სიდიდეზე, ამიტომ არ შეიძლება მხოლოდ ზემოთაღნიშნული ფაქტორით გაიზომოს შრომის ნაყოფიერება.

გარდა ამისა, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრდა ფსიქოლოგია, რომლის მიხედვით ადამიანები, განსაკუთრებით ინფლაციის შემდგომ პერიოდში, შრომის ანაზღაურების ზრდას მიიჩნევენ საქონლის და მომსახურების ფასთან მათი მოთხოვნილებების შესაბამისობის დამყარების პოლიტიკად და არა შრომის ეფექტიანობის ზრდის სტიმულად. ხელფასი იქცა ისეთ დროებით სტიმულად, რომელიც უწყვეტად უნდა იქნეს განახლებული. რამდენადაც ხელფასის შემცირებას ჩვენს ქვეყანაში იშვიათად გამოიყენებენ როგორც დასჯის საშუალება ცუდი შრომისათვის, ამდენად, იგი პრაქტიკულად

⁶⁶ J. B. Knight, R. H. Sabot, The Rate of Return on Educational Expansion. "Economics of Educational Review" . 1987. # 6, pp.255-262.

არ იწვევს შრომის ხარისხისა და ეფექტიანობის ზრდას. საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ფასეულობების დამკვიდრებასთან ერთად, მართალია, ეს გარემოება იცვლება, მაგრამ ფაქტობრივად მხოლოდ ხელფასის სიდიდით არ შეიძლება ეფექტიანობაზე მსჯელობა. ამას ადასტურებს ერთი და იმავე კვალიფიკაციის მუშაკთა შრომის განსხვავებული სარგებლიანობა სხვადასხვა ინსტიტუტებში, რაც გარდამავალ პეროდში კონკურენციის მდგომარეობის თავისებურებებით უნდა აიხსნას.

საქართველოში ერთი და იგივე განათლების მქონე სპეციალისტების შრომის ანაზღაურებაში არსებობს საკმაოდ დიდი სხვაობა სპეციალობისა და სამუშაო ადგილის მიხედვით,⁶⁷ რაც ერთი და იმავე ცოდნისა და კვალიფიკაციის განსხვავებულ საბაზრო შეფასებას გულისხმობს. უმაღლესი კვალიფიკაციის ინდივიდების შეფასების დღევანდელი კრიტერიუმია უცხო ენების ცოდნა, კომპიუტერზე და სპეციალობაში მუშაობის გამოცდილება.

უცხოური კაპიტალით შექმნილ კომპანიებში მუშაობას პრიორიტეტები გააჩნია.⁶⁸ როგორც გარდამავალი ქვეყნების გამოცდილება გვეუბნება, სიტუაცია იცვლება.⁶⁹ მოსალოდნელია, რომ შრომის ბაზარზე გაჩნდეს მაღალკვალიფიციურ სამუშაო ძალაზე კონკურენციის ახალი ტალღა და კონკურენციის სრულყოფის ნიადაგზე ხელფასების უთანასწორობის შერბილებასთან ერთად გაძლიერდეს მაღალკვალიფიციური მუშაკების მიწოდება. მართალია, საქართველოს, და საერთოდ, გარდამავალი ქვეყნების ეს თავისებურებები სრულად ვერ თავსდება ადამიანისეული კაპიტალის დასავლურ კონცეფციაში, მაგრამ იგი არ უარყოფს განათლებასა და შრომის ფასის შესახებ ხელფასებსა და შრომის ნაყოფიერებას შორის დეტერმინაციულ კავშირს.

განათლების დონის ზემოქმედება ეკონომიკაზე ყველაზე ნათლად ვლინდება ინდივიდუალურ მუშაკებზე და მათი შრომის ნაყოფიერებაზე

⁶⁷ მაგალითად, უმაღლესდამთავრებული, რომელმაც იცის უცხო ენა და მუშაობს უცხოეთის რომელიმე ორგანიზაციაში, დებულობს ანაზღაურებას წელიწადში 5-9 ათას დოლარს, საფინანსო ან აღმასრულებელი დირექტორები - 12-15 ათას დოლარს და ა.შ., ამავე დროს იმავე განათლებისა და კვალიფიკაციის შრომის ანაზღაურება ადგილობრივ კომპანიებში და სახელმწიფო დაწესებულებებში 8-12 ჯერ დაბალია.

⁶⁸ ფართო გაგებით ამ ცნებაში ჩვენ ვგულისხმობთ არა მარტო უცხოური კაპიტალით შექმნილ საწარმოებს, არამედ უცხოური კრედიტებისა და გრანტების საფუძველზე დაფინანსებულ იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ქართულ მხარეს წარმოადგენენ და უზრუნველყოფენ სხვადასხვა პროექტის განხორციელებას საქართველოში.

⁶⁹ ზოგიერთი ადგილობრივი წარმოება მაღალკვალიფიციურ მუშაკებს უკვე აძლევს სერიოზულ ანაზღაურებას და ახდენს ადგილობრივი კადრების გადმოზიდვას უცხოური კომპანიებიდან.

დაკვირვების შედეგით. კონკრეტულ სფეროებში შრომის სახეობის მიხედვით ცვლილებები მოითხოვს დახელოვნების სხვადასხვა დონეს; დახელოვნების ზრდა მოითხოვს შესაბამისი სამუშაო ადგილების არსებობას; სამუშაო ადგილები - შესაბამის ცოდნას; საგანმანათლებლო წარმატებები - თანამდებობრივი წინსვლის შესაძლებლობების ზრდას და ა.შ. ამასთან, განათლებაში ინვესტირება არის ინდივიდების შრომის ნაყოფიერების ზრდის კარგი პირობა. ეს თეორია არ ეწინააღმდეგება იმ აზრს, რომ ზოგიერთი კაპიტლადბანდება განათლებაში შეიძლება არ იყოს შრომის ნაყოფიერების ზრდის ადეკვატური. საინტერესოა, რომ განათლებასა და შრომის ნაყოფიერებას შორის პირდაპირი კავშირი, ზოგიერთი გამოკვლევით, სწორედ განუვითარებელი და დაბალგანვითარებული ქვეყნების მაგალითზე მტკიცდება.⁷⁰

მოთხოვნა მაღალკვალიფიციურ შრომაზე

ტექნიკურ-ფუნქციონალური თეორია ამტკიცებს, რომ თუ ეკონომიკა განვითარებულია, მაშინ არსებობს მოთხოვნა მაღალგანვითარებულ შრომაზე და პროფესიულ დახელოვნებაზე, ამიტომ განათლებაში ხარჯების ზრდა გამართლებულია, მაგრამ ზოგიერთი ემპირიული კვლევა ეწინააღმდეგება ამ თეზისს შემდეგი არგუმენტებით:

ჯერ ერთი, ისტორიული დაკვირვების თანახმად, ელიტარული და პრესტიჟული მასობრივი სწავლება ვითარდება უფრო სწრაფად, ვიდრე წარმოიშვება მოთხოვნა მაღალ ინდუსტრიულ, დახელოვნებულ შრომაზე.⁷¹

მეორე, განვითარებულ ქვეყნებში ინდუსტრიალიზაციის ტენდენციები მეტ-ნაკლებად ზღუდავს საგანმანათლებლო ხარჯების წინასწარ გაწევის მიზანშეწონილობას. გარდამავალი პერიოდის ქვეყნებში კი ასეთი ხარჯების გაწევა პრაქტიკულად შეუძლებელია.⁷²

მესამეც, ზოგჯერ სწავლების ადრეული განვითარება ტიპურია პოლიტიკური, რელიგიური და კულტურული ელიტისათვის და იგი მიმართულია სახელმწიფო

⁷⁰ M. Lockhed, D. Jamison, L. Lau, Farmer Education and Farmer Efficiency: a Survey. Education and Income. Ed. by T. King. Washington DC. World Bank. 1988. pp. 111-152.

⁷¹ B. Fuller. Growing up Modern: The Western State Builds Third World Schools. New York, Routledge, 1991. pp.50-52.

⁷² B. Fuller, Youth Job Structure and School Enrollment 1890-1921. "Sociology of Education". 1983.# 56, pp. 145-156.

ბიუროკრატის, სამხედრო ლიდერებისა და რელიგიური მოძღვრების ფორმირებისაკენ და არა ეკონომიკური დახელოვნების ზრდისაკენ.⁷³

ტექნიკურ-ფუნქციონალური და ადამიანისეული კაპიტალის თეორიების თანახმად, განათლება ხელს უწყობს ეროვნული ეკონომიკის ზრდას და ეკონომიკური განვითარება ხდება ინდუსტრიალიზაციის რიტმის შესაბამისი. მიუხედავად ზოგიერთი ემპირიული არგუმენტისა, ამ თეორიების ძირითადი ასპექტები აღიარებულია მრავალ აკადემიურ მოძღვრებაში. ეს ქმნის იმის რწმენას, თუ რა უნდა იყოს საზოგადოების განვითარების გზა, რამდენად ძლიერია განათლების, როგორც ინსტიტუტის იდეოლოგიური ზემოქმედება და მისი ხელშეწყობა ეკონომიკურ ზრდაზე. ეს ჭეშმარიტება კი ემპირიულად არ იწვევს არავითარ ეჭვს.

გარდა აღნიშნულისა, არსებობს სხვა თეორიებიც, რომლებიც, შეიძლება ითქვას, ახალი ტალღაა განათლების ეკონომიკასა და სოციოლოგიაში. ისინი ახასიათებენ სასწავლო დაწესებულებებს ტექნიკურ-ფუნქციონალური თეორიების პრინციპების სოციალურ ჭრილში წარმოსახვის თვალსაზრისით. ამასთანავე, განმარტავენ იმას, თუ როგორ მიმდინარეობს ევოლუცია სკოლებსა და მის განახლებულ კურსებში.

§5. უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების კურსდამთავრებულებზე მოთხოვნა-მიწოდების პრობლემა

განათლების სისტემის ფუნქციონირების გასაუმჯობესებლად, განათლებაზე მოთხოვნის გაფართოებისა და მიწოდების მრავალფეროვნების ზრდის, აგრეთვე რესურსების ეფექტიანად გამოყენების სტიმულირების მიზნით გათვალისწინებული უნდა იქნეს საბაზრო ძალების მოქმედება.

საკამათო არ არის, რომ ეკონომიკის განვითარებასთან ერთად იზრდება მოთხოვნა უმაღლესდამთავრებულ სპეციალისტებზე. იმაზე, თუ რამდენად აკმაყოფილებს საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლების სისტემა ბაზრის მოთხოვნებს, შეიძლება მსჯელობა მხოლოდ კუსდამთავრებულთა

⁷³ J. Boli, *Institutions, Citizenship and Schooling in Sweden. Political Construction of Education*. Ed. by B. Fuller, R. Rubinson. New Yourk, Praeger.1992. pp. 61-74.

სამუშაოზე მოწყობის მაჩვენებლებით ცალკეული სპეციალობების მიხედვით, მაგრამ სამწუხაროდ, საქართველოში ასეთი სტატისტიკა ჯერჯერობით არ არსებობს, ხოლო რაც არის, არ იძლევა წარმოდგენას რეალური მდგომარეობის შესახებ. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ დასაქმებულთა რაოდენობაში თვითდასაქმებულები 70 პროცენტს შეადგენენ, მაშინ საფიქრელია, რომ საქართველოს განათლების სისტემაში მომზადებულ სპეციალისტებზე მოთხოვნა შრომის ბაზარზე ძალიან დაბალია.

მსოფლიო ბანკის ერთ-ერთ მოხსენებაში მოყვანილი მონაცემების თანახმად, საქართველოში უმაღლესდამთავრებული სპეციალისტების ხვედრითი წონა რეგისტრირებულ უმუშევართა რაოდენობაში 1991-1996 წლებში შეადგენდა 71-80 პროცენტს, მაშინ როდესაც ამავე პერიოდში ბელორუსიაში ეს მაჩვენებელი იყო 8-17 პროცენტი, რუსეთში - 3-4, ყირგიზეთში - 10-30, თურქეთში - 5-7, პოლონეთში - 3-7, უნგრეთში - 1-2, ბულგარეთში - 5-7, ხოლო ჩეხეთში 1-2 პროცენტია.⁷⁴

დაბალი და უმნიშვნელოა ქართული კადრების საექსპორტო შესაძლებლობები. განათლების სისტემა არ არის საექსპორტო დარგი, პირიქით, რიგ სერიოზულ დაწესებულებებში ხდება უცხოეთის სასწავლებლებში მომზადებული კადრების იმპორტზე მოთხოვნა.

მიუხედავად ამისა, იზრდება სტუდენტების რაოდენობა უმაღლეს სასწავლებლებში. ამის ერთ-ერთი მაჩვენებელია ის, თუ ახალგაზრდობის რა რაოდენობას მოიცავს უმაღლესი განათლების დაწესებულებები.

საქართველოში 1994-2000 წლებში, სტუდენტების ხვედრითი წონა იმავე ასაკის ახალგაზრდებში შეადგენდა საშუალოდ 30 პროცენტს, რაც გაცილებით მეტია, ვიდრე წინა პერიოდში. ზრდა განპირობებულია, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკური მიზეზებით: კვალიფიციური სამუშაო ძალის მაღალი მნიშვნელობით და დაბალი განათლების მქონე ინდივიდების მიერ სამუშაოს შოვნის მცირე შანსით. ამასთანავე, უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვის წესების გაიოლებით.

⁷⁴ Hidden Challenges to Education Systems in Transition Economies. The World Bank. Europe and Central Asia Region. Human Development Sector. pp.121-122.

უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტების რაოდენობა ახალგაზრდების საერთო რაოდენობასთან შედარებით (%)

	1956	1966	1973
აშშ	18,7	26,6	35,5
კანადა	6,8	16,2	35,4
იტალია	3,8	8,7	20,3
საფრანგეთი	4,1	8,8	16,7
ინგლისი	3,5	5,1	15,6
დანია	3,3	6,4	25,5
ავსტრია	3,0	6,4	15,1
ჰოლანდია	2,3	5,9	21,0
საქართველო	0,7 (1940 წ.)	1,3 (1960 წ.)	16,9 (1980-87 წ.)

გარდამავალ პერიოდში გამოვლინდა რამდენიმე თავისებურება: რიგ შემთხვევაში მოთხოვნა კვალიფიციურ სამუშაო ძალაზე წინ უსწრებს მათ მიწოდებას. თანამედროვე პირობებში ინფორმაციულმა ტექნიკამ შეცვალა ადამიანი. კომპიუტერები ასრულებენ ადამიანებს შორის კოორდინაციის, დიზაინის, გაანგარიშებების, დროის კონტროლის ფუნქციას. შრომის ბაზარზე უპირატესობა ენიჭება ადამიანებს კარგი განათლებით, სპეციალისტებს კომპიუტერისა და უცხო ენების ცოდნით.

მოთხოვნა კვალიფიციურ სამუშაო ძალაზე დაექვემდებარა შრომის ბაზარზე თეორიულად არსებულ თავისებურ უკუკავშირს შრომის მიწოდებასა და მოთხოვნას შორის. როდესაც უმაღლესი განათლების სპეციალისტებზე მოთხოვნა მიწოდებასთან შედარებით უფრო სწრაფად იზრდება. ამ კატეგორიის მუშაკთა ხელფასი უფრო სწრაფი ტემპით იმატებს, ვიდრე ქვეყნის მასშტაბით ხელფასის საშუალო დონე. ამის შედეგად სტუდენტების რაოდენობა ამ სახის კვალიფიკაციასა და სპეციალობებზე იზრდება. იმ შემთხვევაში, როდესაც მაღალკვალიფიციურ სამუშაო ძალაზე მოთხოვნა ჩამორჩება მის მიწოდებას, მათი ხელფასის ზრდაც ჩამორჩება საშუალოდ ქვეყანაში ხელფასის ზრდას. მაღალკვალიფიციური სპეციალისტები ვერ შოულობენ სამუშაოს და უმაღლეს სასწავლებლებში მცირდება ამ სპეციალობებზე სტუდენტების რაოდენობაც.

უკანასკნელ პერიოდში საქართველოში მკვეთრად შემცირდა ისტორიის სპეციალობებზე შემსვლელი აბიტურიენტების რაოდენობა, მაშინ როდესაც დამოუკიდებლობის აღდგენამდე იგი ერთ-ერთი პრესტიჟული სპეციალობა იყო, რადგან ამ სპეციალობის კურსდამთავრებულები დასაქმდებოდნენ სხვადასხვა დონის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე. ხოლო უცხო ენების სპეციალისტები ფარული უმუშევრების რიგებს შეადგენდნენ. ამჟამად "ღია ეკონომიკურ სივრცეში" საქართველოს შესვლამ მოითხოვა უცხო ენების სპეციალისტების რაოდენობის ზრდა. ამასთან, უნდა შევნიშნოთ, რომ შემცირდა საინჟინრო სპეციალობებზე სტუდენტების რაოდენობა, რამდენადაც იგი არაპოპულარული გახდა ქვეყნის დაბალი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამო.

პროფესიის პრესტიჟულობის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი ხდება ეკონომიკური მიზანშეწონილობა, კერძოდ, ხელფასის სიდიდე და სოციალურ "კიბეებზე" დაწინაურების პოტენციური შესაძლებლობები.

თანამედროვე პერიოდში მატერიალური წარმოების სფეროს დარგებთან შედარებით გაიზარდა მომსახურების სფეროში დასაქმებულთა რაოდენობა. ეს კი აისახება უმაღლესი განათლების სტრუქტურაში. იზრდება მოთხოვნა საბანკო სფეროს მუშაკებზე, მდივან-რეფერენტებზე, იურისტებზე, მენეჯერებზე და სხვ.

ცხადია, სამუშაო ადგილებისათვის კონკურენციაში ჩაბმული შრომითი რესურსებიდან იმარჯვებენ მხოლოდ ყველაზე განათლებულნი და შრომის მოყვარულნი. ყველაზე მსხვილი კორპორაციები და ფირმები ადამიანისეულ რესურსებს მიიჩნევენ ეფექტიანობის უზრუნველყოფის ძირითად მიმართულებად. ამიტომ ისინი ქმნიან საკუთარ სასწავლო ცენტრებს, კოლეჯებს, აკადემიებს, ეწვიან ხარჯებს თანამშრომლების გადამზადებისათვის და იზიდავენ წამყვან მეცნიერებსა და პედაგოგებს. ეს ორგანიზაციები ხელშეკრულებას დებენ უმაღლეს სასწავლებლებთან, რომლებიც პასუხისმგებელნი ხდებიან ამ ორგანიზაციის მიზნების განხორციელებისათვის სტუდენტების არჩევასა და მომზადებაზე. განათლებული ადამიანი არის ნებისმიერი ორგანიზაციის ფასეულობა.

საქართველოში ბაზრის ერთ-ერთი სეგმენტია უცხოური კაპიტალით შექმნილი კომპანიები, რომელთა საქმიანობაც გაცილებით უფრო სტაბილურია ადგილობრივ ორგანიზაციებთან შედარებით. უცხოურ კომპანიებში განათლება ვერ ხდება ერთადერთი გარანტია წარმატებული მუშაობისა და შრომის აუცილებელი უნარის თუ თვისებების სწრაფად შექენისათვის. ადგილობრივი

უმაღლესდამთავრებული ახალგაზრდები ხვდებიან სრულიად ახალ გარემოში, ხოლო უცხოური კომპანიებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია მუშაკების საქმიანი თვისებები, რომლებიც კურსდამთავრებულებს ნაკლებად გააჩნიათ.

მრავალ ოგანიზაციაში შემოიღეს მუშაკების სამუშაოზე აყვანა ან მასთან სამუშაო ხელშეკრულების გაგრძელება ტესტირების საფუძველზე, როგორც ეს არის დასავლეთის ქვეყნებში. სამუშაოზე მიღების ეს წესი უმაღლეს სასწავლებლებში აბიტურიენტების შერჩევის მსგავსია. ცოდნის შემოწმების ასეთი კრიტერიუმები მომავალში შესაძლებლობას მოგვცემს ურთიერთშედარების საფუძველზე მოვახდინოთ მუშაკების კვალიფიკაციის ზრდისა და უმაღლეს სასწავლებელთა მიერ კადრების მომზადების შეფასება.

ეკონომიკური ზრდის დონე და ტემპები მთავარი ფაქტორებია, რომლებიც განსაზღვრავენ დასაქმების ხასიათს, ხოლო განათლებაზე მოთხოვნა იცვლება იმასთან დაკავშირებით, რომ, ერთის მხრივ, იცვლება ეკონომიკის სტრუქტურა, ხოლო, მეორეს მხრივ, იზრდება კონკურენცია დასაქმების სფეროში.

ცნობილია, რომ კონკურენცია არის პროგრესის წყარო. ეს ეხება როგორც წარმოებას საერთოდ, ასევე სამუშაო ძალას. კონკურენციისას უპირატესობა ენიჭება კარგი განათლების მქონე ადამიანებს, რომლებიც წარმოების ეფექტიანობის გარანტს წარმოადგენენ.

თანამედროვე ეკონომიკა ვერ განვითარდება უმაღლესი განათლების მქონე ადამიანების ხვედრითი წონის ზრდის გარეშე ერთობლივ სამუშაო ძალაში, მაგრამ განვითარებად ქვეყნებში უმუშევრობის საფრთხეც დიპლომირებულ მუშაკებში დიდია, რაც ამ ეკონომიკის ზრდის ტემპებზე უარყოფით გავლენას ახდენს. ამდენად, ეს გარემოება დამატებით მოითხოვს განათლებისა და საბაზრო კონიუნქტურის ურთიერთკავშირის გათვალისწინებას.

დასკვნა

განათლებისა და ეკონომიკური ზრდის ურთიერთობა ეკონომისტ-სოციოლოგების კვლევის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა. პროგრესი ეკონომიკასა და პოლიტიკაში არ შეიძლება მიღწეულ იქნეს, თუ ქვეყანაში არ არის გამართული განათლების სისტემა და იგი არ პასუხობს ტექნიკური და ეკონომიკური განვითარების მოთხოვნებს, თუ საშუალო და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების მიერ გამოშვებული სპეციალისტები ვერ უზრუნველყოფენ

ეკონომიკურ ზრდას. ამ ძირითადი პოსტულატიდან გამომდინარე მსოფლიო ეკონომიკური და სოციოლოგიური აზრის განვითარება, ემპირიულ მეთოდებზე დაყრდნობით, განათლების ადგილს საზოგადოებაში შეისწავლის მიკრო და მაკრო ასპექტებით.

თაზო VIII

განათლების საწარმოო და ღირებულებითი

ფუნქცია

საზოგადოების განვითარებასთან ერთად უმჯობესდება მისი საქმიანობის ყველა ფორმა. მეცნიერების, ტექნიკის, ტექნოლოგიების, მედიცინისა და ადამიანის სასიცოცხლოდ აუცილებელი სხვა სფეროების განვითარება მოითხოვს განათლების სისტემის განსაკუთრებულ ხელშეწყობას. ადამიანს ადრეული ასაკიდანვე (საბავშვო ბაღში და დაწყებით სასწავლო დაწესებულებებში) უყალიბდება აზროვნების საფუძვლები. უმაღლესი განათლების სასწავლებლებში ხდება ცოდნის უფრო გაღრმავება და პროფესიული დაოსტატება. შემდგომ პერიოდში კი ინდივიდები, თავისი აქტიური ცხოვრების მანძილზე, აფართოებენ და სრულყოფენ მიღებულ ცოდნას.

როგორ აწარმოებენ სკოლები განათლების შედეგებს ანუ სკოლების როგორი საქმიანობაა ეფექტური? რა ეკონომიკური პრინციპები უდევს განათლების ორგანიზაციას საფუძვლად? ამ კითხვებზე პასუხს იძლევა განათლების საწარმოო და ღირებულებითი ფუნქციები.

§1. განათლების საწარმოო ფუნქცია

განათლების საწარმოო ფუნქცია ზოგადად საწარმოო ფუნქციაა. ეს უკანასკნელი არის მათემატიკური თანაფარდობა რესურსებსა და მისგან მიღებულ შედეგებს შორის, გულისხმობს რესურსების შედეგებად გარდაქმნას. განათლებაში იგი ნიშნავს იმას, თუ საგანმანათლებლო რესურსებიდან როგორ იქმნება საგანმანათლებლო შედეგები. სხვანაირად, ესაა დანახარჯებისა და გამოშვების ურთიერთობა.

გამოშვება განათლების სფეროში არის მრავალი რესურსის ფუნქცია. იგი მოიცავს სტუდენტების დახასიათებას, სკოლის ორგანიზაციის სხვადასხვა ფაქტორსა და სხვა კომუნიკაციურ მოქმედებას. ეკონომიკური თვალსაზრისით, გამოშვების დასახასიათებლად უნდა გამოიყოს სკოლასთან დაკავშირებული ის

რესურსები, რომლებიც შეადგენენ დანახარჯების კატეგორიას და რომლებსაც სკოლის ადმინისტრაცია მართავს და ანაწილებს განათლების გასაგრძელებლად.

სკოლის რესურსებისაგან განსხვავებით საგანმანათლებლო რესურსებს ფართო გაგებით მიეკუთვნება ადამიანთა ინტერესები, სახელმწიფო პოლიტიკა და სხვა, რომლებიც ზემოქმედებენ სკოლის გამოშვებაზე. ცხადია, განათლებაში არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს ისეთ რესურსებს (როგორცაა მაგალითად, კითხვის ხელოვნების ან მათემატიკის შესწავლის ბუნებრივი უნარი), რომელიც არ არის დაკავშირებული მის წარმოებასთან საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ამიტომ ამ საკითხის განხილვა გულისხმობს დანახარჯებისა და შედეგების ერთ სისტემად წარმოდგენას.

სასკოლო რესურსებში ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ რესურსები, რომლებიც პირდაპირ მოქმედებენ მოსწავლეებზე და რომლებიც არაპირდაპირ მოქმედებენ მათზე. უშუალოდ სკოლასთან დაკავშირებული რესურსების გამოყოფა ძნელია, რადგან იგი გულისხმობს ჰუმანური და ფიზიკური რესურსების ერთიანობას. თვითეული მათგანის ცალკე გამოყოფა იმ მიზნით, რომ განვსაზღვროთ, თუ რომელმა ფაქტორმა განსაკუთრებით იმოქმედა შედეგების მიღებაზე, არის საკმაოდ რთული იმდენად, რამდენადაც არ შეიძლება ერთმნიშვნელოვანი პასუხი გავცეთ მაგალითად, შემდეგ კითხვებს: საჭიროა თუ არა სკოლის დამამთავრებელი კლასის გამოშვების ანალიზის დროს მხოლოდ იმ მასწავლებლების დახასიათებების შეფასება, რომლებიც მხოლოდ მე-11 კლასში ასწავლიდნენ მოსწავლეებს, თუ აუცილებელია წინა წლებში მასწავლებელთა დახასიათებების შეფასებაც? საკმარისია თუ არა ამისათვის საშუალო დონის მასწავლებლის დახასიათება, თუ აუცილებელია მასწავლებელთა კადრების დეტალიზება სხვადასხვა კომპონენტებად (ენის, სპეციალობის და ა.შ.) და თვითეული მათგანის დახასიათების შეფასება? თუ მასწავლებელი ასწავლიდა სხვადასხვა პერიოდში, უნდა მიიღოს თუ არა მან მხედველობაში მოსწავლეების მხოლოდ მე-11 კლასში მიღებული შეფასებები, თუ წინა წლების მათი მოსწრებაც?

მასწავლებელთა დახასიათებები არის მხოლოდ განათლებაზე გაწეული ძალისხმევის (დანახარჯების) შეფასების შემცველი მაჩვენებელი, რომელიც რეალურად გამოხატავს არა მასწავლებელთა შრომის დანახარჯებს, არამედ მათ პოზიციას მოსწავლეების მიმართ. საწარმოო ფუნქციაში იგი გამოიყენება როგორც აბსტრაქცია, რომლის თანახმად, მასწავლებელთა შეფასებები უნდა

შეესაბამებოდნენ მათ მიერ გაწეულ დანახარჯებს. ამიტომ საშუალო სასწავლო მომზადება გამოიყენება როგორც შემნაცვლელი მაჩვენებელი სწავლების ორგანიზაციისა და იმ ცოდნის რაოდენობისა, რომელსაც მასწავლებლები გადასცემენ მოსწავლეებს. ეს რა თქმა უნდა განსხვავებულია დანახარჯების იმ მაჩვენებლებისაგან, რომელიც ორდინარული წარმოების ანალიზისას გამოიყენება, სადაც რესურსები გაიზომება რეალურ მაჩვენებლებში (მაგალითად, ტონებში ან კილოგრამებში) და არა მისი შემნაცვლელი მაჩვენებლის სახით. ამდენად, საკამათო არ უნდა იყოს ის, რომ ხარჯების შემნაცვლელი მაჩვენებელი სტატისტიკურად ვერ მოახდენს ზეგავლენას გამოშვებაზე და აქედან გამომდინარე, არ შეიძლება ვიფიქროთ, თითქოს რესურსების გამოყენება (მასწავლებელთა ძალისხმევა) არაეფექტურია. სხვანაირად რომ ვთქვათ, მოსწავლეების მოსწრება არ არის დამოკიდებული მხოლოდ მასწავლებლების პროფესიულ ოსტატობაზე და მათ მიერ გაწეულ შრომაზე, ან კიდევ მათ მიერ გაკეთებულ შეფასებებზე.

სასკოლო რესურსები მოიცავენ როგორც ადამიანისეულ, ასევე ფიზიკურ რესურსებს. ფიზიკურ რესურსებში შედის შენობები, მოწყობილობები (კომპიუტერები, აუდიოტექნიკა და სხვ) და სხვ. ადამიანისეულ რესურსებში შედის თვით სასწავლო პროცესის აქტიური მონაწილე სუბიექტები: მასწავლებლები, ადმინისტრაცია, მომსახურე პერსონალი და სხვ. სასკოლო ბიუჯეტის დიდი ნაწილი მასწავლებლებზე იხარჯება და განსაკუთრებული ყურადღებაც მასწავლებელთა შრომის ეფექტიანობას ეთმობა, რომლის გაზომვისათვის მრავალი მეთოდი არსებობს.

მასწავლებელთა შრომის შეფასების ყველაზე პოპულარული გზა არის მათი ხელფასების სიდიდე. ეს მეთოდი ნაკლოვანია მრავალი ასპექტით. საშუალო დონის მასწავლებელთა ხელფასი ემყარება მასწავლებელთა ტიპურ გამოცდილებას. მართალია იგი მასწავლებელთა შრომის ნაყოფიერებისა და მათი დანახარჯის კარგი მაჩვენებელია, მაგრამ რეალურად იგი არ შეიცავს ისეთ მნიშვნელოვან მახასიათებლებს, როგორცაა მასწავლებელთა ენთუზიაზმი, ტალანტი, პროფესიონალური თავგანწირვა და სხვ. ეს აღნიშნული თითოეული ფაქტორი განსხვავებულ პირობებში სხვადასხვა დანახარჯის ფორმას ატარებს. მაგალითად, კლასების სხვადასხვა ზომა ზემოქმედებს მასწავლებლის შრომის ნაყოფიერებაზე, ამიტომ მასწავლებელთა შრომის შეფასებისას

გათვალისწინებული უნდა იქნეს სკოლის ტიპები, პროგრამების მდგომარეობა, ბიბლიოთეკებით უზრუნველყოფა და ა.შ.

გარდა ამისა, განსხვავება მასწავლებლთა გამოცდილებაში არის მათი დანახარჯების განსხვავების მიზეზიც. უფრო გამოცდილი მასწავლებელი ნაკლებ დროს ანდომებს გაკვეთილის მომზადებას და ნაკლებ ენერგიას ხარჯავს გაკვეთილების წარმართვაში.

მოსწავლეთა მომზადებაზე ზემოქმედებს სკოლისგარეშე ფაქტორებიც. მათ შორის: მშობელთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა (ოჯახების შემოსავლები, მშობელთა განათლების დონე, ოჯახში წიგნების რაოდენობა და სხვ.), ოჯახის სიდიდე, საკომუნიკაციო გარემო, სტუდენტების საწყისი განათლების დონე სწავლის დაწყების მომენტამდე და სხვ..

ცხადია, რომ მრავალი ასეთი საგანმანათლებლო რესურსი არ შეიძლება იმართებოდეს სკოლის ან სახელმწიფოს მიერ. სახელმწიფოს მიერ რეგულირდება მაგალითად, ოჯახური შემოსავლები, ხოლო სკოლების მიერ კი - მასწავლებლთა რაოდენობა, სასწავლო საგნების რაოდენობა ერთ მასწავლებელზე, მოსწავლეთა რაოდენობა კლასებში, პროგრამების რაოდენობა და სხვ. ამიტომ საგანმანათლებლო სისტემაში არსებობს არჩევანი კლასების ზომასა და მასწავლებლთა დატვირთვას შორის, სასწავლო პროგრამებსა და ერთ მასწავლებელზე საგნების რაოდენობას შორის და ა.შ.

საგანმანათლებლო შედეგი (გამოშვება) ორ კატეგორიად შეიძლება დაიყოს. ესაა მოხმარება და ინვესტირება. მოხმარება ეხება ყოველ იმ სარგებელს, რომელსაც მიიღებს ინდივიდი ან ოჯახი. მასში იგულისხმება აგრეთვე თავისუფალი დროის სხვადასხვა ფორმით გამოყენება, რაც გარკვეულწილად დაკავშირებულია განათლების შექენასთან. სარგებელი შეიძლება მიიღოს საზოგადოებამაც, მაგალითად, ქვეყანაში განათლების გავრცელების შედეგად ახალგაზრდებში კრიმინალური ქმედების შემცირებით.

ინვესტირება კი გულისხმობს ინდივიდისა და საზოგადოების ნაყოფიერების ზრდას. განათლებით მიღებული ზოგიერთი შედეგი (ნიჭი, დახელოვნება და სხვ.) უზრუნველყოფს სარგებელს სხვადასხვა დროში, ზოგჯერ ადრე, ზოგჯერ კი გარკვეული წლების შემდეგ. საერთო კლასიფიკაციით საგანმანათლებლო შედეგს (გამოშვებას) მიეკუთვნება:

1. საბაზისო ცოდნა, რომელსაც დებულობენ მოსწავლეები. იგი ფასდება ტესტების საფუძველზე;

2. პროფესიული ცოდნა. ტესტები ამ სფეროში ნაკლებად საიმედოა. უკეთესი მაჩვენებელია საბაზრო-ორიენტაცია, დამსაქმებლის მოთხოვნა და ხელფასის სიდიდე;

3. შემოქმედებითობა. ეს მაჩვენებელი დიდი ხნის განმავლობაში უგულბელყოფილი იყო დანახარჯი-გამოშვების მოდელში. იგი შეიძლება გაიზომოს შემოქმედებითი შედეგით (სამომხმარებლო სარგებლის ზომით) და შემოქმედებითი პოტენციის გაზრდით (ინვესტიციური სარგებელით);

4. მოქალაქეობრივი პოზიცია. იგი ყალიბდება როგორც სკოლაში, ასევე ოჯახში და საზოგადოებრივ გარემოში. ზოგიერთის მოსაზრებით, ესაა სკოლის ჩარევა ინდივიდის ცხოვრების სტილში, რომელიც სხვა გარემოებასთან ერთად გულისხმობს კარიერისაკენ მისწრაფებას, ჯანმრთელი ცხოვრების წესის წარმართვას, უსაფრთხო სექსს და სხვა თვისებების გამომუშავებას. მოქალაქეობრივი პოზიციის რაოდენობრივი გაზომვა საკმაოდ ძნელია და საგანმანათლებლო შედეგების (გამოშვების) რაოდენობრივი შეფასებაც სხვადასხვა სირთულეებთან, კერძოდ, კი შემეცნების შეფასების ტესტების სრულყოფასთან არის დაკავშირებული. ფსიქოლოგებმა დააგროვეს კარგი გამოცდილება მოტივაციის, შრომით დაკმაყოფილების და სხვა პოზიციის შესაფასებლად. ეს პრინციპები შეიძლება გამოყენებული იქნეს განათლება-მიღებული ადამიანის ქცევებისა და საქმიანობის შესაფასებლად.

5. ჰუმანიზმი. სკოლები გარკვეულწილად ასრულებენ ადამიანისათვის ისეთ აუცილებელ ფუნქციებს, როგორცაა ღარიბთა ოჯახის შვილებისთვის შემწეობების მიცემა, ადგზნებული ბავშვების დამშვიდება და სხვ. საგანმანათლებლო გარემო ადამიანის ჰუმანური, ეთიკური და სხვა ქცევების გამოვლენის საშუალებაა.

ამდენად, საგანმანათლებლო შედეგი მოიცავს ცოდნას ჰუმანიტარულ, სოციალურ, საბუნებისმეტყველო და ეთიკურ მეცნიერებებში. სარგებელი, რომელსაც ინდივიდები ღებულობენ მუსიკიდან, სპორტიდან, ხელოვნებიდან, უგულბელყოფილია სკოლების შეფასებისას. ეს სფეროები აძლევენ მოსწავლეებს საკმაოდ მაღალ სამომხმარებლო სარგებელს. შესაბამისად, ყოველივე ის, რაც საბაზისო განათლებას აღემატება, რაოდენობრივად სწავლების შედეგებში (გამოშვებაში) არ პოულობს ადგილს.

დანახარჯი-გამოშვების მახასიათებლები

დანახარჯებისა და შემოსავლების აღწერა მართალია, აუცილებელია საგანმანათლებლო პროცესის დასახასიათებლად, მაგრამ არასაკმარისია მისი სრულყოფილი ანალიზისათვის თუ კი არ იქნება განსაზღვრული ის, თუ ხარჯები როგორ მოქმედებს შედეგის მიღებაზე, სხვანაირად, ჩვენ გეჭირდება განათლების საწარმოო ფუნქციის შესახებ ცოდნა. ეკონომიკურ თეორიაში მრავალი საშუალება არსებობს საწარმოო ფუნქციის გასანალიზებლად, მაგრამ მათი გამოყენება განათლების სფეროში დაკავშირებულია იმასთან, რომ განათლებაში, სხვა დარგისაგან განსხვავებით, წარმოებული შედეგების შეჯამება და გამრავლება საკმაოდ დიდ პრობლემას შეადგენს. ამიტომ განათლების სფეროს ანალიზისას მხოლოდ რამდენიმე გამოდგება იმ უამრავ საშუალებას შორის, რომლებიც გამოიყენება სხვა დარგების გასანალიზებლად.

დანახარჯები-გამოშვების მახასიათებლები

(პენსილვანიის შტატის უნივერსიტეტის (აშშ) მაგალითზე)

დანახარჯები	შედეგი (გამოშვება)
<p>საშუალოდ ერთ მოსწავლეზე მომზადებულ პროგრამებზე დანახარჯი;</p> <p>საშუალოდ ერთ მოსწავლეზე ადმინისტრაციის მიერ დახარჯული საათები;</p> <p>ერთი მოსწავლის მიერ საშუალოდ ბიბლიოთეკის წიგნებით სარგებლობა;</p> <p>მასწავლებელზე კლასების რაოდენობა;</p> <p>საშუალოდ კლასების ზომა;</p> <p>ერთ მოსწავლეზე ზედამხედველის რაოდენობა;</p> <p>სკოლის მიერ ინოვაციების გამოყენება;</p> <p>ბიბლიოთეკისადმი ხელმისაწვდომობა;</p> <p>მასწავლებელთა სპეციალიზაციის კოეფიციენტი;</p> <p>მასწავლებელთა განათლება</p> <p>მასწავლებელთა გამოცდილება</p> <p>მასწავლებელთა დატვირთვა</p> <p>მასწავლებელთა ხელფასი</p>	<p>თვითკონტროლი;</p> <p>სხვების გაგება;</p> <p>ზეპირი საბაზისო ცოდნა;</p> <p>მატემატიკური საბაზისო ცოდნა;</p> <p>სკოლისადმი ინტერესი;</p> <p>ჯანმრთელობის უზრუნველყოფის თვისებები;</p> <p>შემოქმედებითი პოტენციალი;</p> <p>შემოქმედებითი შედეგი;</p> <p>პროფესიული განვითარება;</p> <p>ჰუმანური ღირებულებების დაცვა;</p>

აღნიშნული მაჩვენებლები თავისი მნიშვნელობით განსხვავებულია. მაგალითად, კლასების სიდიდეს (მოსწავლეთა რაოდენობას კლასებში) უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს დაბალ კლასების, ვიდრე მაღალი კლასების მოსწავლეთა სწავლებაში. დაბალ კლასებში მოსწავლეთა დიდი რაოდენობა ამცირებს სწავლების შედეგიანობას. მცირე მოსწავლეების რაოდენობა კი პოზიტიურად მოქმედებს განათლების ეფექტიანობაზე.

ერთი და იმავე დანახარჯი სხვადასხვა საგანმანათლებლო შედეგს გამოიღებს სხვადასხვა სკოლებში. შედეგზე მოქმედებს ისეთი საგარეო ფაქტორებიც, როგორცაა მშობლების მიერ შვილების განათლებისათვის დათმობილი დრო, მოსწავლისა და მასწავლებლის მიერ სკოლაში გატარებული საათები და სხვ.

სწავლების ორგანიზაციაზე არის დამოკიდებული საგანმანათლებლო რესურსების გადაცემა მოსწავლეებზე. მაგალითად, ზოგიერთი მასწავლებელი, განათლების უკუგების მაქსიმიზაციისათვის, ცდილობს თავისი შეზღუდული სასწავლო რესურსის ინვესტირებას მხოლოდ იმ მოსწავლეებზე, რომლებსაც აქვთ სწავლის ნიჭი და მიდრეკილება.

მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ურთიერთობის ტექნიკა, ორგანიზაცია და ხელოვნება მნიშვნელოვნად განსაზღვრავს სწავლების ეფექტიანობას, რომელიც ხშირად ასოცირებულია კარგ კლასთან ან კარგ მასწავლებელთან. კარგი კლასი კი შეიძლება ოყოს მხოლოდ ის, რომელიც წარმატებით ჩააბარებს ტესტებს, ექნება წარმატებები მათემატიკაში ან ხელოვნებაში. ამ პრინციპებით განსაზღვრავენ აგრეთვე სკოლების წარმატებებს, რაც გულისხმობს მოსწავლეების მაღალ მოსწრებას, მათი ცოდნის მაღალ შეფასებას, წარმატებების მაღალ ნორმებსა და მასწავლებლების ოპტიმისტურ მოლოდინს მათი აღზრდილებისგან. სხვა ასპექტით ასეთ სკოლას უნდა გააჩნდეს: 1. მკაცრი მენეჯმენტი და ხელმძღვანელობა; 2. მართვის ინსტრუქციების მაღალი ხარისხი; 3. სწავლების საშემსრულებლო კლიმატი; 4. მასწავლებლების გამოკვეთილი მოლოდინი ყველა მოსწავლის შემდგომი საქმიანობისაგან; 4. მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების სისტემური შეფასება.

§2. ბანათლების საწარმოო უზუნძვიის

უზუნძვიის

ბანათლების ეფექტიანობის განსაზღვრისას დ. მაკკენზი გამოყოფს ეფექტიანობის სამ განზომილებას: - ლიდერობას, ეფექტურობას და ეფექტიანობას.⁷⁵ ეს განზომილებები ასახავენ მოძრობას ლიდერობიდან ეფექტიანობისაკენ, სასკოლო სწავლებას ინდივიდუალური ურთიერთობების მეშვეობით.

მ. სმიტი და ს. პურკეი ყურადღებას ამახვილებენ სწავლების სხვადასხვა ტიპზე და გამოყოფენ რამდენიმე ორგანიზაციულ-სტრუქტურულ მხრეს, რომელიც ახასიათებს ეფექტურ სკოლას:

1. სკოლებს, სადაც პრიორიტეტი ენიჭება სასკოლო მენეჯმენტისა და კადრების ავტონომიურობას;
2. ხელმძღვანელობის სტილი მკაცრად ინსტრუქციურიზებულია და მას მხარს უჭერენ მასწავლებლები და ადმინისტრაცია;
3. კადრების მდგომარეობა სტაბილურია და იგი უზრუნველყოფილია ხანგრძლივი პერიოდით;
4. პროგრამების ცვლილებები და ორგანიზაცია ხელს უწყობენ მიზნების მღწევას და მისი ინსტრუქციებისათვის გამოყოფილია საკმარისი დრო;
5. სკოლის კადრების გადამზადების პროგრამა დაფუძნებულია მასწავლებელთა საჭიროებებზე, მას აქვს კადრების ყოვლისმომცველი ხასიათი და უკავშირდება სკოლის მიზნებს;
6. მშობლები კარგად არიან ინფორმირებულნი სკოლის მიზნებზე და პასუხისმგებლობის განაწილებაზე;
7. მოსწავლეების აკადემიური წარმატებების მისაღწევად არსებობს საკმარისი სტიმულები;
8. სასწავლო დრო არის ოპტიმალურად განაწილებული. მეტი დრო ეთმობა აკადემიურ საგნებს და ნაკლები - არაკადემიურ სწავლებას;
9. სკოლის საქმიანობას აქვს მხარდაჭერა ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან;

⁷⁵ D.E. Mackenzie Research for School Improvement: An Appraisal of Some Recent Trends. Educational research, 1983.12 (April), pp. 5-17.

ამ ავტორების მიერ დახასიათებული ეფექტური სკოლის სხვა ასპექტებს წარმოადგენს:

1. კოლეგიური ურთიერთობები და კადრების ერთიანობა დაგეგმაში და მიზნების განხორციელებაში;
2. ერთიანობის მყარი ატმოსფერო და პასუხისმგებლობა სკოლის საქმიანობაზე;
3. ნათელი მიზნები, პრიორიტეტებში ერთსულოვნება და შედეგების ოპტიმისტური მოლოდინი;
4. ნათელ და ყველასათვის მისაღებ წესებზე დაფუძნებული დისციპლინა, რომლის განხორციელებას აქვს მუდმივი და სტაბილური ხასიათი.⁷⁶

აღნიშნული მხარეების ერთ ნაწილი ადმინისტრაციული და ბიუროკრატიული მართვის საშუალებებით ხორციელდება, მაგრამ სხვა მხარეები კი დაკავშირებულია სკოლის კლიმატთან და კულტურასთან და იგი არ შეიძლება ადმინისტრაციული წესით განხორციელდეს. ცალ-ცალკე აღებული ეს მაჩვენებლები არასაკმარისია სკოლის დახასიათებლად და მათ შესაძლებელია სწავლებაზე სოციალური კლასების ან მშობლების კონტროლის საპირისპირო შედეგიც კი გამოიღონ. ამასთან, არ შეიძლება ზოგიერთი ფაქტორების კორელაციური კავშირის მტკიცება, ისევე როგორც არ შეიძლება ერთმნიშვნელოვანი პასუხი გაეცეს კითხვებს: შეიძლება თუ არა მასწავლებელთა მოლოდინი იყოს მოსწავლეთა წარმატების მიზეზი, ან კიდევ, მოსწავლეთა მაღალი წარმატების შედეგი იყოს მასწავლებლის მაღალი მოლოდინი?

გარდა აღნიშნულისა, სკოლის დახასიათებისას მნიშვნელოვანია სტუდენტების წარმატების შეფასებაც. ამ თვალსაზრისით, მასთან დაკავშირებულია ისეთი ორგანიზაციულ-სტრუქტურული მხარეები, როგორცაა სკოლის ხელმძღვანელობა, აკადემიური პროგრამები, სასკოლო კლასების გამოყენება, კადრების განვითარების პროგრამები და სხვ. ამ მხარეებსა და მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებას შორის კავშირის ანალიზი კიდევ უფრო გააღრმავებს და ნათელს გახდის კარგი სკოლის დახასიათებას, თუმცა ამ ფაქტორებს შორის კავშირის შესაძლებლობის შესახებ შეხედულებები განსხვავებული შეიძლება იყოს.

⁷⁶ S.C. Purkey, M.S. Smith, Effective Schools: A Review " The Elementary School Journal", 1983, 23(4) pp. 427-452.

განათლების საწარმოო ფუნქციის შეფასება სხვადასხვა ქვეყანაში

სხვადასხვა ქვეყანაში სკოლების შეფასებისას სხვადასხვა ფაქტორს ენიჭება პრიორიტეტი. ს. ჰეინემანის აზრით, საგანმანათლებლო წარმატებები ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში სხვა კრიტერიუმით უნდა შეფასდეს, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში. რაც უფრო ინდუსტრიული ხდება ქვეყანა, სკოლის წარმატებებზე უფრო მეტად მოქმედებს მოსწავლეების სოციალურ-ეკონომიკური პირობები და სხვა არასასკოლო ფაქტორები.

ს. ჰეინემანმა ვ. ლოქსლეისთან ერთად ერთმანეთს შეადარა 16 დაბალ განვითარებული ქვეყანა 13 მაღალგანვითარებულ ქვეყანას სოციალურ-ეკონომიკური სტატუსით და იმ სასკოლო ფაქტორებით, რომლებიც განსაზღვრავენ მოსწავლეების წარმატებებს დაწყებით კლასებში და მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ოჯახის ფაქტორი განათლებაში იცვლება ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის განვითარების პარალელურად. მოსწავლეთა წარმატებაში ცვალებადია მასწავლებლებისა და სკოლების ფაქტორის მნიშვნელობა და ნეგატიურ კორელაციურ ურთიერთობაშია ქვეყნის განვითარების დონესთან. ამდენად, მათი აზრით, მოსწავლეებისა და სკოლების ხარისხი მთელ მსოფლიოში უპირატესად ზემოქმედებს მოსწავლეთა სწავლებაზე და რაც უფრო ღარიბულია ეროვნული ეკონომიკური გარემო, მით უფრო ძლიერი ეფექტი გააჩნია სკოლების ზემოქმედებას.⁷⁷

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განვითარებად ქვეყნებში განათლების სისტემაში იჭრება დასავლეთური ზემოქმედება და სხვადასხვა ქვეყანაში ეს სისტემა განსხვავებულად უმჯობესდება, შესაბამისად, ნათლად ვლინდება განსხვავება ამ ორი ქვეყნის განათლების სისტემაში. განვითარებულ ქვეყნებში დასავლეთის განათლება ნაკლებად "თავსმომხვევია", ამიტომ ოჯახური წარმოშობა ზეგავლენას ახდენს მოსწავლეების წარმატებებზე, თუმცა მათი სწავლება შეიძლება იყოს იმის მსგავსი, რაც ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებშია.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დაბალგანვითარებულ ქვეყნებში განათლებაზე დანახარჯი საკმაოდ დაბალია და ის, რა სარგებლობაც შეიძლება

⁷⁷ S.P. Heyneman, W.A. Loxley, The Effect of Primary-School Quality on Academic Achievement Across Twenty nine High and Low -Income Countries. American Journal of Sociology. 1983, 88(6). p1184. (pp, 1162-1194

მიიღონ მოსწავლეებმა, განსხვავებულია განვითარებული ქვეყნების სკოლებიდან მიღებული სარგებლიანობისაგან. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ დაბალგანვითარებულ ქვეყნებში სახელმძღვანელოსა და სხვა მასალებში ინვესტირებიდან უკუგებას აქვს მნიშვნელოვანი ეფექტი სტუდენტების წარმატებაზე. სახელმძღვანელოების ეფექტი მაღალია იმ მოსწავლეებზე, რომლებიც ცხოვრობენ სასოფლო-სამეურნეო რაიონებში, დაბალი შემოსავლების მქონე ოჯახებისათვის და იმ მოსწავლეებისათვის, რომელთა მშობლებსაც აქვთ მიღებული დაბალი განათლება. ამ სოციალური ფენებისათვის მასწავლებელთა კადრების ხარისხი დაბალი პრიორიტეტისაა. სკოლების ეფექტიანობის განსაზღვრისას მაღალი პრიორიტეტების რიგში შედის ბიბლიოთეკების ზომა და მისი გამოყენების მაჩვენებლები. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ განვითარებულ ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო რაიონებში, სადაც სკოლებთან მისასვლელი გზა გართულებულია, საგანმანათლებლო რადიოსა და დისტანციურ სწავლებას ენიჭება მნიშვნელოვანი როლი. სკოლების მთლიანი ეფექტის მისაღებად სახელმძღვანელოებისაგან მიღებულ ეფექტი უნდა დაემატოს მასწავლებლების შესაბამისი სწავლებით, მომზადებითა და პროგრამებით უზრუნველყოფას.

სხვა მაჩვენებლები

განთლების პრაქტიკაში გავრცელებულია შემდეგი მაჩვენებლები: 1. მასწავლებელი-მოსწავლეთა შეფარდების დონე; 2. მასწავლებელთა განათლება; 3. მასწავლებელთა გამოცდილება; 4. მასწავლებელთა ხელფასი; 5. ერთ მოსწავლეზე დანახარჯები. ეს მაჩვენებლები მოსწავლეთა წარმატებებთან არის დაკავშირებული და მათ მეშვეობით შესაძლებელია გამოვლინდეს სკოლების ეფექტიანობის ამსახველი შედეგები. თუმცა, უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ არ არსებობს მკაცრი კავშირი სკოლის დანახარჯებსა და მოსწავლეთა მოსწრებას შორის.

განათლების ეფექტიანობის კვლევისას დანახარჯები-გამოშვების ანალიზში სკოლის კომპონენტებს თანაბარი შედეგების მიღების შემთხვევაში ერთნაირი როლი არ ენიჭებათ. ზოგიერთი კომპონენტი, მაგალითად, მასწავლებელთა ხელფასები, გამოცდილება ან სკოლის მოწყობილობები, საკმაოდ დიდ ზემოქმედებას ახდენენ პოზიტიური შედეგების მიღებაზე, მაგრამ რიგ შემთხვევაში მათი როლი ნეგატიური შეიძლება იყოს.

ცნობილია, რომ რაც უფრო მაღალია მასწავლებელთა საშუალო დონე, მით უფრო შთამბეჭდავია მოსწავლეთა მოსწრება. მასწავლებელთა გამოცდილების წილი მოსწავლეების მომზადებაში შეადგენს 50-60 პროცენტს. მაგრამ არ შეიძლება იმის დაბეჯითებით მტკიცება, რომ უფრო მეტი გამოცდილი მასწავლებლის მოზიდვა ან კლასებში მოსწავლეთა რაოდენობის შემცირება გააუმჯობესებს მოსწავლეთა მოსწრებას.

უმაღლესი სასწავლებლების საწარმოო ფუნქცია

უმაღლესი სასწავლებლების საწარმოო ფუნქცია პრინციპში ისეთივეა, როგორც საშუალო სკოლებისათვის, მაგრამ დანახარჯების, სარგებლისა და უკუგების (შედგის) ბუნება განსახვავებულია. უმაღლეს განათლებაში საწარმოო ფუნქციის ძირითადი პრობლემა არის გამოშვების განსაზღვრა და გაზომვა.

უნივერსიტეტების საქმიანობის ეფექტიანობის განმსაზღვრელია არა მარტო ის, თუ რამდენი სპეციალისტი გამოუშვა მან, არამედ რამდენად შეესაბამება მათი მომზადება მოთხოვნას. საერთოდ, შედეგის გაზომვა ხდება მრავალი მაჩვენებლით: უმაღლეს სკოლაში მიღებული ცოდნის გრადაციით (ბაკალავრი, მაგისტრი, ასპირანტი), ტესტირების შედეგებით, არააკადემიური წარმატებებით (პრიზები, არჩევნებში გამარჯვება და სხვ.), კარიერის არჩევანით და ა.შ. ამასთან, ამ მაჩვენებლებზე ზემოქმედებს სოციალურ-ეკონომიკური გარემო (მშობლების განათლება, მამის პროფესია და სხვ.).

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების ხარისხის მაჩვენებლებია: პროფესორებისა და მეცნიერებათა დოქტორების რაოდენობის შეფარდება სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მთელ რაოდენობასთან, პროფესორ-მასწავლებელთა შეფარდება სტუდენტთა კონტინგენტთან, ბიბლიოთეკებში წიგნების რაოდენობა, წიგნების რაოდენობა ერთ სტუდენტზე, უმაღლესი სამეცნიერო ხარისხის მქონე კადრების ხვედრითი წილი, კონკურსის ხარისხი სპეციალობებზე, სასწავლო შენობების საერთო ფართისა და სასწავლო პროცესში გამოყენებული ხელსაწყო-დანადგარების საერთო ღირებულების შეფარდება სტუდენტებისა და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების ჯამურ რაოდენობასთან, ხარჯები ერთ სტუდენტზე, კომპიუტერების რაოდენობის შეფარდება სტუდენტებისა და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების ჯამურ

რაოდენობასთან, კონტროლის ტიპი, ინსტიტუტის ტიპი, გეოგრაფიული მდებარეობა, დამთავრებულთა საერთო რაოდენობა და სხვ.

ამ სფეროში განთლების მაჩვენებლები, ისევე როგორც საშუალო სკოლებში, იყოფა სამ ნაწილად, საზოგადოებრივი, ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო დარგების მიხედვით და თითოეულ დარგში შედეგები და სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლები სხვადასხვა მნიშვნელობისაა, მაგალითად, საზოგადოებრივ მეცნიერებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ბიბლიოთეკების ზომას, ჰუმანიტარულ მეცნიერებებში - ხარჯებს, ხოლო ბუნებისმეტყველებაში კი - ნიჭიერებას, აკადემიურ მოსწრებას და კონკურსს.

ამდენად, უმაღლესი სკოლის საქმიანობის შესაფასებლად განათლების ზოგიერთი კოეფიციენტი შესაძლებელია არ იყოს მნიშვნელოვანი სტატისტიკურად, ამიტომ თუ ერთ ჯგუფში მიზანშეწონილია რომელიმე რესურსის შეცვლა რაციონალური სურათის მისაღებად, სხვა ჯგუფებში სხვა მაჩვენებლის შეცვლას მიენიჭება მნიშვნელოვანი როლი. მაგალითად, მაღალი და საშუალო მოსწრების ჯგუფებში სტუდენტთა რაოდენობის შემცირება 20-30 სტუდენტამდე მნიშვნელოვნად იმოქმედებს დაბალი და მაღალი წარმატების მქონე სტუდენტების მოსწრებაზე, მაგრამ უმნიშვნელო გავლენა ექნება საშუალო მოსწრების სტუდენტებზე. ამ უკანასკნელისათვის უფრო მნიშვნელოვანი იქნება მასწავლებელთა კვალიფიკაცია.

სკოლების ობტიმალური ზომა

სხვადასხვა მოსაზრებით ობტიმალური რაოდენობის სკოლის ზომა განსხვავებულია სხვადასხვა ტერიტორიაზე და სასკოლო ჯგუფებისათვის. აშშ-ში უფრო ხშირია სკოლები, სადაც 800-11000 მოსწავლეა. საქართველოში კი - 200-800.

სკოლების ობტიმალური ზომა დაკავშირებულია მასწავლებელი/მოსწავლეთა თანაფარდობაზე და ადმინისტრაციის მიერ სკოლის მართვაზე. თუ პატარა სკოლებს აქვთ მეტი ხარჯი დიდ სკოლებთან შედარებით, ეს სრულად არ ნიშნავს იმას, რომ ნაკლები უნდა იყოს მათი წარმატებები დიდ სკოლებთან შედარებით. მცირე სკოლებს აქვს თავისი უპირატესობები და უარყოფითი მხარეებიც. მაგალითად, მცირე სკოლებში შესაძლებელია უკეთ იქნეს გამოყენებული მასწავლებელთა მობილურობა, მშობელთა დახმარებები და სხვ.

ღირებულების თვალსაზრისით, ხარჯების შემცირება შესაძლებელია საშუალო სკოლებში მასწავლებელთა და შენობების უფრო უკეთ გამოყენებით. დიდ სკოლებს აქვთ კარგი შესაძლებლობები შეამცირონ დანახარჯები. რაც უფრო დიდია სკოლა, მით უფრო ნაკლები იხარჯება ერთ მოსწავლეზე. მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ სკოლების გამსხვილება ყოველთვის რაციონალური იყოს საზოგადოებისათვის, რადგან ამ შემთხვევაში გაიზრდება ტრანსპორტის ხარჯები, რომლებიც შესაძლებელია უფრო მეტიც კი აღმოჩნდეს, ვიდრე სკოლების გამსხვილებით მიღებული ეკონომიაა.

§ 3. განათლების სისტემის ზოგიერთი მაჩვენებელი საქართველოში

მასწავლებელი/მოსწავლეთა თანაფარდობა

საქართველოში განათლების სისტემის სტრუქტურა არსებითად ყოფილ საბჭოთა მოდელზეა დაფუძნებული: სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები - 2-დან 5 წლის ასაკის ბავშვებისათვის, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები - 6-დან 16 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის, აგრეთვე ინტერნატები - ინვალიდი და ობოლი ბავშვებისათვის, სკოლისგარეშე დაწესებულებები - ხელოვნების, მუსიკის, დრამის სპორტისა და სხვა სფეროებისათვის, პროფტექნიკური და საშუალო სპეციალური სასწავლებლები - მუშების მომავალი სწავლებისათვის, ტექნიკუმები - ტექნიკური პერსონალის აღსაზრდელად, უნივერსიტეტები - უმაღლესი განათლებისათვის.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, რომელთა უმრავლესობაც მთლიანად მოიცავს 11 კლასს, დაწყებითიდან საშუალო განათლების მაღალ კლასებამდე, წარმოადგენს სისტემის საფუძველს.

1990-98 წლებში საქართველოში სკოლამდელ დაწესებულებათა საერთო რაოდენობა შემცირდა ორჯერ (2479-დან 1224-მდე), მათში ბავშვთა რიცხვი – 2,7-ჯერ (199982- დან 74879-მდე), ხოლო პედაგოგებისა – 4,2-ჯერ (22538-დან 5397-მდე). მიუხედავად ასეთი მკვეთრი შემცირებისა, ერთ პედაგოგზე ამჟამად მოდის 14 (იყო 8,5) აღსაზრდელი, მაშინ როცა მოწინავე ქვეყნებში ანალოგიური მაჩვენებელი 19-დან 24-მდე მერყეობს.

იმავე პერიოდში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საერთო რაოდენობა შემცირდა 463 ერთეულით (3686-დან 3223-მდე), მათში მოსწავლეთა რიცხვი – 156,4 ათასით (878,2 ათასიდან – 721,8 ათასამდე), ამასთან, განსაკუთრებით შესამჩნევია მე-10, მე-11 კლასების მოსწავლეთა რიცხვის შემცირება თითქმის ორჯერ (60,7 ათასით). პედაგოგთა რიცხვი შემცირდა 1,4-ჯერ (100932-დან 71405-მდე), რამაც გამოიწვია ერთ მასწავლებელზე მოსწავლეთა რიცხვის 8,7-დან 10,1-მდე გაზრდა, თუმცა ეს მაჩვენებელიც არსებითად უფრო დაბალია სხვა ქვეყნის მაჩვენებელზე.

ცხრილი 8.1

ერთ მასწავლებელზე მოსწავლეთა რაოდენობა
დაწყებით სკოლებში⁷⁸

	საქართველო	საფრანგეთი	გერმანია	იტალია	იაპონია	რუსეთი	პოლონეთი	სლოვენია	უნგრეთი	ჩეხეთი
1960		34,1		22,1			32,2		24,3	
1970		26		21,6	26,4		23		17,7	
1980		24		16,2			21,3		15,4	
1990				11,5	20,7		16,3		12,5	23,1
1991		12		11,8	20,2		16,8		12,1	22,1
1992		18,5	16,6				16,7	17,6	11,7	19,2
1993		18,7	16,2	10,2	19,1	19,3	16,4	15,7	9,7	19,6
1994	16,2	18,8	17,5	11	18,5		15,8	15,1	11,4	20,2
1995	16,1		17	11,2			15,4	14		19,1
1996	17,7							13,6		

⁷⁸ წყარო: World Development Indicators. 2000. World Bank. 2000. On CD-ROM.

ერთ მასწავლებელზე მოსწავლეთა რაოდენობა საშუალო სკოლებში⁷⁹

	საქართველო	საფრანგეთი	გერმანია	იაპონია	პოლონეთი	უნგრეთი	ჩეხეთი	ინგლისი
1960		25,8				11,3		
1970		15,8		18,2		10,4		
1980		19,6		17,2	17,9			
1990				16,7	18,2			
1991		12,5		16,1	18,6			
1992		12,1	14,9		20,7			15,9
1993		12,8	15,3	14,7	20,8	10,4	11,3	16,1
1994	6,4	12,7	15,1	14,1	20,9	10,3	11,8	14,8
1995	6,4	12,5	15,3				10,4	14,1
1996	7,7	12,4	15,5					14,1

როგორც ამ ცხრილებიდან ჩანს, საქართველოში საკმაოდ დიდი სხვაობაა დაწყებით და საშუალო სკოლებში ერთ მასწავლებელზე მოსწავლეთა რაოდენობის მხრივ. თუ დაწყებით სკოლებში ერთ მასწავლებელზე მოდის 16-17 მოსწავლე, საშუალო სკოლებში ერთ მასწავლებელზე უკვე მოდის 6-7 მოსწავლე, რაც მასწავლებელთა სიტყარბეზე მეტყველებს. ამგვარი ვითარება დღესაც გრძელდება.

საქართველოში მოსწავლეთა რაოდენობის მაჩვენებელი ერთ მასწავლებელზე არის დაბალი ევროპულ ქვეყნებთან შედარებით, სადაც დაწყებით სკოლებში ერთ მასწავლებელზე მოდის 17 მოსწავლე და საშუალო სკოლებში კი 15 მოსწავლე. საქართველოში კი რაიონების მიხედვით ეს მაჩვენებელი განსხვავებულია.

მაღალ მთიან რეგიონებში ერთ მასწავლებელზე მოდის 5 მოსწავლე და სკოლის საშუალო ზომაა 56 ბავშვი. თბილისში კი ერთ მასწავლებელზე მოდის 13 მოსწავლე და სკოლის საშუალო ზომა 782 მოსწავლეა. საერთაშორისო

⁷⁹ წყარო: World Development Indicators. 2000. World Bank. 2000.

სტანდარტებით ეს მაჩვენებელიც (მოსწავლეთა რაოდენობა მასწავლებელზე) დაბალია. კლასის საშუალო ზომა 18 ბავშვია, მაგრამ არის რეგიონები, სადაც კლასის საშუალო ზომა 15-ზე დაბალია.

ცხრილი 8.3

მოსწავლეები და მასწავლებლები რაიონების მიხედვით

	სკოლა	მოსწავლეები	მასწავლებლები	კლასები
თბილისი	201	157 342	11 724	5 597
აჭარა	401	68 363	7 219	4 125
გურია	154	21 962	2 756	1 492
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	117	6 560	1 380	881
სამეგრელო და ზემო სვანეთი	415	67 152	7 747	4 228
იმერეთი	522	109 558	11 952	6 064
კახეთი	252	62 671	6 848	3 241
მცხეთა-თიანეთი	201	20 580	2 614	1 616
სამცხე-ჯავახეთი	256	39 650	4 941	2 798
ქვემო ქართლი	349	85 820	8 292	4 519
შიდა ქართლი	252	53 441	5 497	2 825
საქართველო	3 120	693 099	70 970	37 386

ცხრილი 8.4

მოსწავლე/მასწავლებლების შეფარდება და სხვა მაჩვენებლები


	სკოლის ზომა	კლასების ზომა	ერთ მასწავლებელზე მოსწავლეების რაოდენობა	ერთ კლასზე მასწავლებლების რაოდენობა
თბილისი	782,80	28,11	13,42	2,09
აჭარა	170,48	16,57	9,47	1,75
გურია	142,61	14,72	7,97	1,85
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	56,07	7,45	4,75	1,57
სამეგრელო და ზემო სვანეთი	161,81	15,88	8,67	1,83
იმერეთი	209,88	18,07	9,17	1,97
კახეთი	248,69	19,34	9,15	2,11
მცხეთა-თიანეთი	102,39	12,74	7,87	1,62
სამცხე-ჯავახეთი	154,88	14,17	8,02	1,77
ქვემო ქართლი	245,90	18,99	10,35	1,83
შიდა ქართლი	212,07	18,92	9,72	1,95
საქართველო	222,15	18,54	9,77	1,90

მსოფლიო ბანკისა და განათლების სამინისტროს დღევანდელი პოლიტიკი თანახმად, საქართველოში უნდა გაიზარდოს ერთ მასწავლებელზე მოსწავლეების რაოდენობა, რომლის მიღწევის გზაც არის მასწავლებელთა გამონთავისუფლება, თუმცა დღევანდელი უმუშევრობისა და დაბალი ეკონომიური ზრდის პირობებში ეს საკმოდ მწაფავე პრობლემაა. სხვა გზაა სკოლების გაერთიანება და კლასების ზომის ზრდა. ისმის კითხვა, თუ რამდენად ხარჯიანი იქნება იგი და რამდენად მიზანშეწონილი იქნება მისი გაკეთება მთიან რაიონებში, სადაც უგზობობა და უტრანსპორტობა შემაფერხებელ გარემოებად შეიძლება იქცეს სკოლების გასაერთიანებლად.

კიდევ ერთ გზა, ესაა მასწავლებლების დატვირთვის გაზრდა. ამ შემთხვევაში მასწავლებლების ხელფასები უნდა გაიზარდოს, მაგრამ არც ერთ შემთხვევაში არ უნდა განხორციელდეს სასწავლო პროგრამების საათების შემცირება.


გრაფიკი 8.1

კლასების ზომა და მოსწავლე/მასწავლებლების თანაფარდობა




გრაფიკი 8.2

სკოლებისა და კლასების ზომა




გრაფიკი 8.3

მასწავლებლების რაოდენობა ერთ კლასზე
 მოსწავლე/მასწავლებელთა შეფარდება




გრაფიკი 8.4

კლასების ზომა და მასწავლებლების რაოდენობა
 ერთ კლასზე




გრაფიკი 8.5


ერთ კლასზე მასწავლებლების რაოდენობის შეფარდება სასწავლო
 საათებთან



ერთ კლასზე მასწავლებელთა რაოდენობის შეფარდება ერთ მასწავლებელზე მოსწავლეების რაოდენობასთან (ქ. თბილისში)



კლასების ზომა სასწავლო საათების რაოდენობასთან შეფარდებით



ზემოთ მოყვანილი გრაფიკები არის ცვალებადი სიდიდეების - საქართველოში სკოლების კლასის ზომასა და მოსწავლე/მასწავლებელთა შეფარდებას შორის, სკოლისა და კლასის ზომას შორის, ერთ კლასზე მასწავლებელთა რაოდენობასა და მოსწავლე/მასწავლებელთა შეფარდებას შორის, კლასის ზომასა და ერთ კლასზე მასწავლებელთა რაოდენობას შორის, სასწავლო საათების - ერთმანეთთან კორელაციური კავშირის გამოხატულება და მთლიანობაში კი - აუცილებელი მაჩვენებლები სწავლების ხარისხის გამოსავლენად.

ამ გრაფიკებიდან შეიძლება შემდეგი დასკვნების გაკეთება:

- რაც უფრო მეტია კლასზე მასწავლებელი, მით უფრო ნაკლებია მოსწავლეებზე მასწავლებელთა რაოდენობა
- რაც უფრო დიდი ზომისაა კლასი, მით უფრო მეტია მასწავლებელთა რაოდენობა, პატარა სკოლებში კი მცირეა კლასები და მასწავლებელთა სრული

დასაქმებაც ძნელია, ისინი არასრულად არიან დასაქმებულნი, ამიტომ მათი რაოდენობაც დიდია.

- მცირე სკოლებში მცირეა კლასებიც და მასში არის გაერთიანებული ჯგუფები, სადაც ერთ კლასში ასწავლიან სხვადასხვა საფეხურის მოსწავლეებს, რაც ამცირებს მასწავლებელთა დასაქმებას.

- დიდ სკოლებში დიდია კლასებიც და ზოგიერთ საგნებში ჯგუფები გაყოფილია (უცხო ენები, ქართული ენა და სხვ.). დაყოფილი ჯგუფები მოითხოვს მეტი მასწავლებლის დასაქმებას.

- დიდ სკოლებში მეტია არა მარტო პედაგოგიური პერსონალი (მაგ. ბიბლიოთეკარი, ფსიქოლოგი და სხვ) და მეტია მასწავლებელი ადმინისტრაციული ფუნქციით (დირექტორის მოადგილეები და სხვ.), რაც ზრდის მასწავლებელთა და კლასების შეფარდების მაჩვენებელს.

- დიდ კლასებში სასწავლო საათები დაყოფილია, რაც გაზრდის მთლიანად სასწავლო საათების რაოდენობას.

- ერთ კლასზე მასწავლებელთა რაოდენობის ცვლილებები იწვევს სასწავლო საათების რაოდენობის ცვლილებებს, რაც შესაბამისად მოქმედებს განათლების ხარისხზე.

- დაწყებით სკოლებში მასწავლებელთა კვირეული დატვირთვა არის 20 საათი, ხოლო მაღალ კლასებში კი - 18 საათი, ამიტომ ერთ კლასზე მოდის მცირე რაოდენობის მასწავლებელი. ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ მთიან რეგიონებში და სასოფლო რაიონებში კლასები და სკოლები არიან მცირე ზომის, მაღალ კლასებში მასწავლებლები ნაკლებად დადიან სკოლებში და ელემენტარული განათლების წილი კი მაღალია. ეს ამცირებს მასწავლებელთა რაოდენობას ერთ კლასზე.

- ქალაქებში დიდი სკოლები მოსწავლეებს აძლევენ უკეთეს განათლებას. ასეთ სკოლებში კლასებში მასწავლებელთა რაოდენობა იზრდება იმის გამო, რომ იქ სადაც 30 კლასზე მეტია, არსებული წესის თანახმად, სკოლის დირექტორის განკარგულებით შეიძლება დამატებით 36 საათი დაემატოს კვირაში.

- მცირე სკოლებს მცირე კლასებით აქვთ იმ მასწავლებლების ანაზღაურების პრობლემები, რომელთა რაოდენობის გაზრდა აუცილებელია განათლების ხარისხის ასამაღლებლად, ამიტომ ასეთ სკოლებში ადმინისტრაცია იძულებული არის შეამციროს სასწავლო საათები.

სასწავლო გეგმა
 (უცხო ენების სპეციალური სასწავლებლებისათვის ყველა სკოლისათვის
 საერთოა
 ზოგადი სასწავლო გეგმითა და საათებით)

საკნები	საათობრივი დატვირთვა											სულ
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	
დღეა ენა	8	9	8	8	4	3	3	3	2	1	1	50
მშობლიური ლიტერატურა					4	3	3	2	3	4	4	23
მათემატიკა	5	5	5	5	5	5	5	5	5	4	4	53
რუსული			4	4	3	3	2	3	2	2	2	25
ინგლისური		3	3	4	4	5	5	5	4	4	4	41
გერმანული					2	3	3	3	3	2	2	18
საქართველოს ისტორია					2		2	2	2	2	2	12
მსოფლიო ისტორია						2	2	2	1	3	3	13
საქართველოს გეოგრაფია								2	1			3
ადამიანის უფლებები				1					1		1	3
გეოგრაფია						2	2		1	1		6
ბიოლოგია						2	2	2	2	1	1	10
ფიზიკა-ასტრონომია								2	2	3	3	13
ქიმია							2	2	2	2	2	10
ბუნება		1	1	2	2							6
ხელოვნება	2	1	1	1	1							6
მითოლოგია						2						2
მუსიკა	2	2	2	1	1							8
შრომა	1	1	1	1								4
საქართველოს კონსტიტუცია (საქართველოს კანონმდებლობის საფუძვლები)									1			1
ინფორმატიკა										1	1	2
საზოგადოებათმცოდნეობა										1	1	2
სამხედრო მომზადება										2	2	4
ფიზკულტურა	2	2	2	2	2	1	1	1	1	1	1	16
სულ	20	24	27	29	30	31	34	34	34	34	34	331

საქართველოში 90-იან წლებიდან დემოგრაფიული ვითარების, შობადობის შემცირების გამო სასწავლო დაწესებულებებში მცირდება მოსწავლეთა რიცხვი. მოსწავლეთა რიცხვი შემცირდა აგრეთვე, საშუალო სპეციალურ და უმაღლესი განათლების სფეროში. პროფესიულ სასწავლებლებში – 2,4 ჯერ (42,2 ათასიდან 17,8 ათასამდე), სახელმწიფო საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში – 1,4-ჯერ (42,9 ათასიდან 30 ათასამდე), სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში – 1,2-ჯერ (103,9 ათასიდან 87,3 ათასამდე), ამასთან, ამ უკანასკნელთა ფასიან ჯგუფებში სწავლობს 22,8 ათასი სტუდენტი ანუ 26 პროცენტი.

ამ ტენდენციის საპირისპიროდ არასახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში 1991-92 სასწავლო წლიდან 10,6 ათასიდან სტუდენტთა რიცხვი გაიზარდა 43 ათასამდე (1996-97 წლებში), თუმცა ბოლო პერიოდში ადგილი აქვს მათ კლებას.

საშუალო სპეციალიზებული და პროფესიული სწავლება მოიცავს დაწესებულების ორ ტიპს: ტექნიკუმებს (სპეციალიზებული საშუალო დაწესებულება) და პროფტექნიკურ სასწავლებლებს. პროფტექნიკური სწავლების საბჭოთა სისტემა, რომელიც დიდი წარმატებით ამზადებდა ვიწრო სპეციალიზაციის მუშებს კონკრეტულ საწარმოებში სპეციფიკური საქმიანობისათვის, განსაკუთრებით რთულად ეგუება გარდამავალი ეკონომიკის პირობებს იმის გამო, რომ მცირდება მოთხოვნილება შესაბამისი პროფესიის მუშებზე. საქართველოში უკვე აღარ არსებობს მოთხოვნილება იმ კვალიფიკაციასა და ჩვევებზე, რომლებსაც პროფტექნიკური სასწავლებლები აძლევდნენ მოსწავლეებს. ტექნიკუმებმა შედარებით უკეთ გაუძლეს დროის ცვლილებას. უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში პროფტექნიკუმებში სტუდენტთა რაოდენობა შემცირდა 70 პროცენტით, ტექნიკუმებში - 30 პროცენტით, პარალელურად შეიქმნა კერძო სპეციალური სასწავლებლები.

ცხრილი 8.5

სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო მომსახურების მოსწავლეების, სტუდენტებისა და მსმენელების რაოდენობა⁸⁰

	2000 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით (1000 კაცი)	%
სკოლამდელი დაწესებულებების აღსაზრდელები	83,6	7,3
ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, გიმნაზიების, ლიცეუმების მოსწავლეები	732,4	63,7
სასწავლებლების მოსამზადებელი განყოფილების მსმენელები	5,9	0,5
კოლეჯების, ტექნიკუმების, პროფესიული სასწავლებლების სტუდენტები	74,1	6,4
რეპეტიტორებთან მომზადება	59,2	5,2
უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები	181	15,8
კვალიფიკაციის ამაღლების კურსების,	7,9	0,7

⁸⁰ განათლების მომსახურება საქართველოში. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. თბ., 2001. გვ 10.

ავტოსკოლების მსმენელები		
საზღვარგარეთ მოსწავლეები და სტუდენტები	4,9	0,4
სულ	1149	100,0

გაიზარდა სტუდენტთა რაოდენობა პროფესიული განათლების ისეთ სახეობებში, როგორცაა ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, ეკონომიკა, სამართალი, ჯანდაცვა და პედაგოგიკა, მაგრამ შემცირდა სხვა სახეობებში: მრეწველობა, მშენებლობა და სოფლის მეურნეობა. ამავე დროს უმაღლესი განათლების სტუდენტების რაოდენობის შემცირება შეიმჩნევა მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობისა და ჯანდაცვის სექტორებში, მაგრამ გაიზარდა პედაგოგიური, ეკონომიკის, სამართლის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სფეროებში. მდგომარეობა განსხვავებულია სახელმწიფო და კერძო სექტორებს შორის. მაგალითად, ჯანდაცვის, სამართლისა და ეკონომიკის სფეროში აშკარად გამოიხატა სტუდენტთა რაოდენობის აშკარა ზრდა კერძო სექტორში, ხოლო მასწავლებელთა მომზადების სფეროში სახელმწიფო სასწავლებლები დარჩა პრიორიტეტული. საერთოდ პროფესიული განათლების სფეროში ცვლილებები უფრო მკვეთრია, ვიდრე უმაღლეს განათლებაში. თუ პროფესიულ განათლებაში სტუდენტთა რაოდენობა თითქმის ერთი მესამედით შემცირდა, უმაღლესი განათლების სფეროში - მხოლოდ ერთი მეექვსედით.

ამჟამად უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა რაოდენობამ 181 ათასს მიაღწია, რომელთა 85 პროცენტი განათლებას სახელმწიფო უმაღლეს დაწესებულებებში ღებულობს და ყოველწლიურად 20 ათასი კურსდამთავრებული ემატება შრომის ბაზარს.

უმაღლესი განათლების კერძო სექტორში ჩარიცხულია სტუდენტთა საერთო რაოდენობის მესამედამდე. იზრდება იმ სტუდენტების წილი, რომლებიც სწავლების გადასახადს იხდიან სახელმწიფო უნივერსიტეტებში.

სახელმწიფო სექტორში სტუდენტთა დაახლოებით ორი მესამედი დასწრებულ განყოფილებაზე სწავლობს. დანარჩენი ერთი მესამედი დაუსწრებელზეა, რაც საქართველოს უპირატესობას აძლევს სხვა ზოგიერთ ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, სადაც სწავლების ეს ფორმა მხოლოდ ახლა იწერება. სტუდენტთა ორ პროცენტზე ნაკლები საღამოს განყოფილებაზე სწავლობს. კერძო სექტორში სწავლა ყველგან დასწრებულია.

ამასთან, მდედრობითი სქესის სტუდენტთა წილი უფრო მაღალია, ვიდრე საბჭოთა პერიოდის ბოლოს იყო. ეს კი განსაკუთრებით შეიმჩნევა კერძო სექტორში, რაც აიხსნება, ერთის მხრივ, ქალთა განათლების ტრადიციულად მაღალი დონით საქართველოში და, მეორეს მხრივ, ვაუების თვითდასაქმების აუცილებლობით სკოლის დამთავრებისთანავე ოჯახის რჩენის მიზნით.

სახელმწიფო სექტორში სტუდენტ-პედაგოგთა საერთო შეფარდება არის 8:1, ხოლო კერძო სექტორში 4:1. აქვე ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ პედაგოგები მუშაობენ რამდენიმე ადგილას, მათ 43 პროცენტს 1992 წელს ჰქონდა სამეცნიერო ხარისხი, შემდეგ პერიოდში ხარისხიანი პედაგოგების რაოდენობა შემცირდა, მაგრამ უკანასკნელ წლებში იგი კვლავ გაიზარდა და ამჟამად შეადგენს დაახლოებით 40 პროცენტს. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან ერთად იზრდება პედაგოგების ალტერნატიული დასაქმების შესაძლებლობებიც, ამიტომ ადგილი აქვს უმაღლესი განათლების სფეროდან კვალიფიციური სპეციალისტების დენადობას.

"კარგი სკოლის" კრიტერიუმი და რეპეტიტორობა

სასწავლო დაწესებულებების შეფასების მთავარი კრიტერიუმი არის სწავლის ხარისხი, რომელიც სამი გარემოებით განისაზღვრება:

1. გარკვეული საგნების სიღრმისეული შესწავლა. კერძო სკოლებში ასეთი საგნები სტანდარტულია. ძირითადად იგი ეხება უცხო ენებს. ზოგიერთ სკოლას აქვს საზღვარგარეთ პრაქტიკაზე გაგზავნის შესაძლებლობაც, თუმცა საქართველოში სწავლის გაღრმავების ასეთი საუკეთესო ხერხის გამოყენება შეზღუდული და არასისტემატურია. კერძო სკოლებში ასწავლიან სხვა საგნებსაც და ინდივიდის შესაძლებლობებიდან გამომდინარე, თითოეული მოსწავლისათვის ადგენენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს.

2. მასწავლებლების მაღალი პროფესიული დონე. რაც უფრო მეტია სკოლაში მაღალი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებელი, მით უფრო მაღალია სწავლის დონეც.

3. მოსწავლეების რაოდენობა კლასში. რაც უფრო ცოტა მოსწავლეა კლასში (სპეციალისტების რჩევით ოპტიმალურია ჯგუფში 10-15 მოსწავლე), სხვა თანაბარ პირობებში, მით უფრო ეფექტიანია ასეთ სკოლაში სწავლება, რადგან

მოსწავლეებს ეძლევათ შანსი, უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღონ გაკვეთილების მსვლელობაში.

აქვე უნდა შევნიშნოთ კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც ეხება სკოლების შეფასების კრიტერიუმს. ჩვენს სინამდვილეში ასეთად შეიძლება მივიჩნიოთ რეპეტიტორობა. საქართველოს ყველა სკოლაში მოქმედებს ზოგადი სასწავლო გეგმა, რომლის შესრულებაც აუცილებელი და სავალდებულოა. ამ გეგმის ზემოთ დამატებითი საათების რაოდენობა განსხვავებულია სხვადასხვა სკოლაში.

მაღალი კლასის იმ მოსწავლეებისათვის, რომლებიც ემზადებიან უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად, დამატებითი საათები მეტი უნდა იყოს და თუ იგი სადმე შედარებით მცირეა ან კიდევ გაზრდილია ჯგუფებში მოსწავლეთა რაოდენობა, რომელიც არაეფექტურს ხდის სასწავლო პროცესს, მაშინ ხდება კერძო რეპეტიტორების ძებნა.⁸¹ სწავლების არაეფექტიანი სისტემა იწვევს ინდივიდუალურად კერძო მასწავლებლებზე მოთხოვნის ზრდას. რაც უფრო მეტია დამატებითი საათები, მით უფრო მაღალია მოსწავლეების შანსი, გახდნენ სტუდენტები.

დასკვნა

ამდენად, განათლების სისტემის ეკონომიკური ანალიზის დილემა არის იმის საჭიროება, რომ შედარებები გააკეთდეს არა მხოლოდ მოცემული სკოლისათვის ან ინდივიდისათვის, არამედ სხვადასხვა სკოლებისათვის სხვადასხვა გარემოს პირობებში. ამ თვალსაზრისით საწარმოო და ღირებულებითი ანალიზი მნიშვნელოვანია იმ შედეგების მისაღებად, რომლებიც დამოკიდებულია არა მარტო ეკონომიკურ, არამედ არაეკონომიკურ ფაქტორებზე (დემოგრაფიული მდგომარეობა, სოციალური გარემო, ეროვნულ მენტალიტეტი და სხვ.), რომლის გარეშეც განათლების, როგორც განსაკუთრებული ეკონომიკური ფენომენის გააზრება შეუძლებელია.

⁸¹ შერჩევითი გამოკვლევების შედეგად გამოვლინდა, რომ მოსწავლეების 5-6 პროცენტი მიმართავს კერძო რეპეტიტორებს მოსამზადებლად (იხ.: განათლების მომსახურება საქართველოში. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. თბ., 2001. გვ. 10.)

თავი IX

განათლების დაზღვევა

საბაზრო ეკონომიკაში მოთხოვნის ცვლილებების ადექვატური მაჩვენებლებია შემოსავლების ღონე, საქონლისა და მომსახურების ფასები, ხოლო მიწოდებას კი განსაზღვრავს დანახარჯები, საქონლისა და მომსახურების ფასები, საწარმოო შესაძლებლობები. საგანმანათლებლო ბაზარი განსხვავებულია სხვა ბაზრებისაგან, ამიტომ ის მაჩვენებლები, რაც ჩვეულებრივი ბაზრისათვის ძირითადია (ფასები, მოგება და სხვ.), განათლების სისტემისათვის არ არის ტიპიური და არც საგანმანათლებლო მოსახურებაზე მოხონა-მიწოდების შეფასება (კალკულაცია) შეიძლება ჩვეულებრივი საბაზრო ფორმით. მართალია, თუ მოთხოვნა-მიწოდების შეფასება არ შეიძლება, ან კიდევ ძალიან ძვირი ჯდება ან არაპრაქტიკულია, მაშინ არც რესურსების ოპტიმალური განაწილების გარანტია შეიძლება არსებობდეს. ეს გარემოება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ შემთხვევაშიც, როცა სახელმწიფო აფინანსებს, იძლევა სუბსიდიებს, სესხებს, კრედიტებს. ამ დროს აღნიშნულ სირთულეებთან ერთად მხედველობაში უნდა გვქონდეს საგარეო ეფექტებიც, შემოსავლების განაწილების მიზნები და სხვ ფაქტორები.

რესურსების ოპტიმალური განაწილება შეუძლებელია, თუ კი არ არსებობს ინფორმაცია განათლებაში ინვესტიციების მომგებიანობის შესახებ. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ როცა ადამიანი აკეთებს გაანგარიშებებს, მან წინასწარ არ იცის ამ სპეციალობაზე ან პროფესიაზე მოთხოვნა. საგანმანათლებლო ინვესტიციები მოქმედებს ხანგრძლივი პერიოდით. ამ პერიოდში მოსალოდნელია ფინანსების მნიშვნელოვანი "გაჟონვა", ან უყაირათო ხარჯვა, რომლის მაკორექტირებელ ღონისძიებასაც წარმოადგენს დაგეგმვა. ყოველ ინდივიდს აქვს თავისი სპეციალობით და დაკავებული თანამდებობით მომავალში სარგებლის მიღების მოლოდინი. ისინი ცდილობენ ახლანდელი შემოსავლების მაქსიმიზაციას თავიანთი გამომუშავების გაზრდით. ეს კი შეიძლება ყოველთვის არ ემთხვეოდეს საზოგადოების ეკონომიკურ თუ სოციალურ მიზნებს. ამასთანავე, საგანმანათლებლო გადაწყვეტილებები ხშირად ექვემდებარებიან პოლიტიკურ მიზნებს, ხოლო საზოგადოებამ კი უნდა

არეგულიროს განათლებაზე მოთხოვნა და მიწოდება იმისათვის, რომ მაქსიმალურად განახორციელოს ეს მიზნები, მაშინაც კი, როდესაც ზოგიერთი საგანმანათლებლო გეგმით, ინდივიდის არჩევანის თავისუფლება განათლების სფეროში იზღუდება საზოგადოების ინტერესების რეალიზაციის სანაცვლოდ.

აქვე შევნიშნავთ, რომ საგანმანათლებლო ღირებულებისა და სარგებლიანობის შესახებ საბაზრო ინფორმაცია თავისი ბუნებით არის შეზღუდული ხასიათის. საბაზრო ინფორმაციის ნაკლებობა ზღუდავს რესურსების განაწილების ოპტიმალურ შესაძლებლობებს, მიუხედავად ამისა, დაგეგმვა მაინც რჩება ძირითად სტრატეგიულ იარაღად საგანმანათლებლო მიზნების მისაღწევად.

§1. განათლების სისტემის დაგეგმვის პრინციპები

განათლების სისტემის დაგეგმვა ემყარება სამუშაო ძალაზე მოთხოვნის, სოციალური მოთხოვნის, ინვესტიციური უკუგებისა და სხვა პრინციპებს.

ა) სამუშაო ძალაზე მოთხოვნა

დაგეგმვის მიზანია ცოდნისა და ხელოვნების მოსალოდნელ მოთხოვნასა და მოწოდების გათვალისწინებით განათლების მწარმოებლობის გაზრდა. დაგეგმვისას კეთდება სამუშაო ძალაზე მოთხოვნის პროგნოზირება სხვადასხვა სპეცილობების კატეგორიების მიხედვით და ამის შესაბამისად ხორციელდება საგანმანათლებლო პროცესის ტრანსფორმაცია.

სამუშაო ძალაზე მოთხოვნის პროგნოზირება ტიპურად ხორციელდება ძირითადად მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის, სამუშაო ძალის საშუალო მწარმოებლობის, დარგობრივი სრუქტურების განვითარებითა და სხვა მაჩვენებლების საფუძველზე. ამასთან, კეთდება განვლილი პერიოდის ანალიზიც სხვა ეკონომიკური და სოციალური ტენდენციების გასარკვევად.

განათლების ორგანიზაციის მთავარი ღერძი არის სამუშაო ძალის პროფესიული განვითარებისათვის ხელისშეწყობა ეკონომიკური განვითარების მიზნების შესაბამისად, იმ პროფესიების სწავლება, რომელზედაც წარმოება ქმნის მოთხოვნას. ამის პროგნოზირება კი შესაძლებელია როგორც ქვეყნის

ეკონომიკური ტენდენციების შესწავლისა და გამოვლენის გზით, ასევე სხვა ქვეყნების ანალოგებით. პროგნოზირება ეფუძნება აგრეთვე, შრომის ბაზრის ანალიზის საფუძველზე გამოტანილ იმ დასკვნებს, რომლებიც განათლების სისტემისადმი მოთხოვნებს გამოხატავს. მაგრამ როდესაც შრომის ბაზრის ინფორმაცია არ არის მყარი, მისი პერსპექტივის გათვალისწინება დაგეგმვისას შეზღუდულია, რადგან იგი სრულად ვერ დაახასიათებს მომავალ მოთხოვნას განათლებაზე.

დაგეგმვისას მიზანშეწონილია აგრეთვე, დამქირაველების გამოკითხვაც სამუშაო ძალის დაქირავეების სტანდარტების, ცალკეული შრომის სახეობაზე მინიმალური ან მაქსიმალური მოთხოვნების, მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ. ყოველივე ამის შედეგად გამოიკვეთება განათლების სისტემისადმი საბაზრო მოთხოვნები.

ისიც უნდა გაითვალისწინოთ, რომ სამუშაო ძალის კვალიფიკაციასა და სრუქტურაში ცვლილებების პროგნოზირება უფრო მეტად შესაძლებელია დაბალგანვითარებულ მცირე ქვეყნებში, ვიდრე დიდ განვითარებულ ქვეყნებში, რადგან, ჯერ ერთი, მცირე მასშტაბის მქონე ქვეყნებში სამუშაო ძალის სტრუქტურული ცვლილებები უფრო ელასტიურად მოქმედებს საგანმანათლებლო მოთხოვნებზე, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში. მეორეს მხრივ, კი, მათი განვითარების პროგნოზი არის განვითარებული ქვეყნებისათვის ისტორიული გამოცდილება, რომლის გამოყენების შესაძლებლობაც აქვს დაბალგანვითარებულ ქვეყნებს.

ბ) სოციალური მოთხოვნა

საბაზრო მოთხოვნისაგან განსხვავებით, დაგეგმვა შეიძლება განხორციელდეს იმის მიუხედავად, თუ რა მოთხოვნები აქვს სწავლის მიღების მსურველებს კონკრეტულ ადგილას და სხვადასხვა დონის საგანმანათლებლო სისტემაში. ეს არის სოციალური მოთხოვნა, რომელიც დაფუძნებულია ინდივიდების კერძო სურვილებზე. დაგეგმვის ეს ამოსავალი პირობები მნიშვნელოვანია კაპიტალის დანახარჯების, მასწავლებელთა ხელფასების, გადასახადების და სხვა ურთიერთობების დასაგეგმად. მშობლების შემოსავლები, თანამდებობები და სხვა სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებიც თამაშობენ მნიშვნელოვან როლს დაგეგმვაში, რადგან ისინი განსაზღვრავენ ინდივიდების სურვილის

განხორციელების რეალობას. ამიტომ ადგილმდებარეობის გეოგრაფიული და სოციალური სურათის ანალიზი სოციალური დაგეგმვის საფუძველს შეადგენს.

გ) უკუგების დონე

დაგეგმვა შეიძლება განხორციელდეს წმინდა მოგების მიღების თვალსაზრისით. ყოველი საგანმანათლებლო პროგრამის დღევანდელი ღირებულება ფასდება მაღალი შემოსავლების მიღების გათვალისწინებით. თუ სასწავლო პროგრამის დღევანდელი ღირებულება ოპტიმისტური და პოზიტიურია, მაშინ მისი დაგეგმვა ამოდის რესურსული უზრუნველყოფისა და უკუგების მაქსიმიზაციის ამოცანებიდან, მაგრამ როდესაც სასწავლო პროგრამის დღევანდელი ღირებულება დაბალია და მცირდება, მაშინ მასზე ნაკლები რესურსები უნდა გამოიყოს.

დაგეგმვის ეს პრინციპი ეყრდნობა დღევანდელი სარგებლის პერსპექტივების განსაზღვრას და გულისხმობს სამუშაო ძალაზე მოთხოვნის, შემოსავლების ცვლილებებისა და საერთოდ, ბაზრის სეგმენტების ცოდნას.

დ) სხვა პრინციპები

ზემოთ აღნიშნული სამუშაო ძალაზე მოთხოვნის, სოციალური მოთხოვნის და უკუგების დონის პრინციპები სინთეზურად მათემატიკური მოდელით გამოიხატება, რომელიც საშუალებას იძლევა განათლების სისტემის დაგეგმვა და მისი რესურსების განაწილება გახდეს რაციონალური. კომპლექსური დაგეგმვის მიზანია საგანმანათლებლო მომსახურეობის სფეროს წარმატებების მაქსიმიზაცია და განათლების ეფექტიანობის გაზრდა.

§2. ჰარბანათილება

დაგეგმვაში ყველაზე მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო ინსტიტუტების მიერ გამოშვებული სპეციალისტების დეფიციტის ან კიდევ ჭარბი სპეციალისტების გამოშვების თავიდან აცილება. ასეთ ვითარებაზე შრომის ბაზარი უშუალოდ ახდენს რეაგირებას. სპეციალისტთა ნაკლებობის დროს

იზრდება ამ სპეციალისტთა შრომითი ანაზღაურება, რაც ასტიმულირებს განათლების სისტემას გაზარდოს მათი გამოშვება და, პირიქით. როდესაც ანაზღაურება ფიქსირებულია და არ ექვემდებარება საბაზრო მოთხოვნას (მაგალითად, მასწავლებელთა ხელფასები სახელმწიფო სკოლებში), მაშინ მათი დეფიციტის შემცირება შესაძლებელია მოხდეს კადრების გამოშვების ზრდით.

საგანმანათლებლო სისტემის მართვისა და დაგეგმვის ეფექტიანობა ფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენი ჭარბი ან დეფიციტური სპეციოლოგები არსებობს ქვეყანაში ხანგრძლივი პერიოდით. საერთოდ, კი ჭარბი ან დეფიციტური პროფესიების არსებობა ხანმოკლე პერიოდით ყოველი ქვეყნის ეკონომიკაში გარდუვალია.

სამეცნიერო ლიტერატურაში პერიოდულად არის კამათი ჭარბი განათლების შესახებაც. მეცნიერთა ერთი ნაწილი ამოდის იმ ფაქტიდან, რომ ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში, 70-იან წლებში, ხდებოდა ეკონომიკური ღირებულების შემცირება სასკოლო განათლებაში. სხვები კი ამის საპირისპიროდ ამტკიცებდნენ, რომ განათლების სისტემამ დიდ წარმატებებს მიაღწია, რაც ფრიად მნიშვნელოვანია დასაქმების თვალსაზრისით და პასუხობს თანამედროვე პროგრესის მოთხოვნებს. 80-იან წლებში დისკუსია დაიწყო ჭარბი განათლების გარშემო. გაჩნდა მტკიცება იმის თაობაზე, რომ გაზვიადებულმა განათლებამ შეიძლება უფრო დიდი ზიანი მიაყენოს საზოგადოებას, ვიდრე ჭარბი საქონლის გამოშვებამ, რამდენადაც მაღალგანათლებული ადამიანები ვერ შეძლებენ თავიანთი ტალანტისა და განსწავლულობის მიხედვით სამუშაოს შოვნას.

სამუშაო ძალის რაოდენობა იზრდება უმაღლესი განათლების მისაღებად ინდივიდების შესაძლებლობების მიხედვით. პერიოდულად უმაღლესდამთავრებულ სპეციალისტთა რაოდენობა შეიძლება აჭარბებდეს მათზე მოთხოვნას. ეს კი აიძულებს შრომის ბაზარზე გამოსულ სპეციალისტებს იფიქრონ გადამზადებაზე იმ მოთხოვნების შესაბამისად, რომელსაც ბაზარი უყენებს მათ. ეს გარემოება შეიძლება აიხსნას უმაღლესდამთავრებულთა მომზადებასა და ბაზრის მოთხოვნას შორის შეუსაბამობით. სხვანაირად, ეს არის "ჭარბგანათლების" შედეგი, რაც ნიშნავს იმას, რომ არ ხდება მიღებული განათლების სრულფასოვნად გამოყენება. ამჟამად ტერმინი "ჭარბგანათლება" ფართოდ გამოიყენება დასავლურ ლიტერატურაში. მას შემდეგნაირად განმარტავენ:

1. "ჭარბგანათლება" წარმოიშობა მაშინ, როდესაც განათლებიდან მიღებული მატერიალური უკუგება მცირდება მის ისტორიულად არსებულ დონეზე ქვემოთ, ან კლებულობს ინვესტიციების სხვა სახეებთან შედარებით;

2. იგი არსებობს მაშინ, როცა ინდივიდის შრომის ბაზრიდან მათი სარგებლის მიღების მოლოდინი მის მიერ განათლებაში დაბანდებულ კაპიტალთან შედარებით არ მართლდება;

3. "ჭარბგანათლება" წარმოიშობა მაშინ, როდესაც ინდივიდები დასაქმების ადგილზე სრულად ვერ იყენებენ მიღებულ ცოდნას.⁸²

ამერიკელი მეცნიერები გ. ჰოფმანი და ს. დუნკანი ამტკიცებენ, რომ აშშ-ში სამუშაო ძალის დაახლოებით 40 პროცენტს ისეთი განათლება აქვს მიღებული, რომლის გამოყენებაც არასრულფასოვანია ამერიკის ეკონომიკაში. მათი ცოდნა არ შეესაბამება შრომის ბაზრის მოთხოვნებს.⁸³ ანალოგიურ დასკვნებს აკეთებენ ჰოლანდიელი მეცნიერები ჯ. ჰერტოჯი და კ. ოსტერბერგი.⁸⁴

ეს განმარტებები აბსოლუტურად მიესადაგება საქართველოში უმაღლესდამთავრებულთა მდგომარეობას და პრაქტიკაში მათი ცოდნის გამოყენების შესაძლებლობებს.

საქართველოში, ჩვენი გაანგარიშებით, უმაღლესდამთავრებულთა შეუსაბამობის მაჩვენებელი ნეგატიურია და იგი 70 პროცენტზე მეტია, რაც ამტკიცებს შრომის ბაზრის მოთხოვნასა და განათლების სფეროში მომზადებული სპეციალისტების მიწოდებას შორის შეუსაბამობას.⁸⁵ ამ

⁸² R.W. Rumberger, *Overeducation in The U.S Labor Market*. New Yourk. Praeger. 1981. pp.8-18.

⁸³ G. J. Duncan, S.D. Hopman, *The Incidence and Wage Effects of Overeducation*. "Economics of Education Review". 1981.# 1(1), pp.75-86.

⁸⁴ J. Hartog, H. Oosterberg, *Education, Allocation and Earnings in the Netherlands: Overschooling?* "Economics of Education Review". 1988.# 7(2). pp.185-194.

⁸⁵ აშშ-ში ჭარბგანათლებული სამუშაო ძალის 40 პროცენტია, და უმუშევრობა 5 პროცენტზე ნაკლებია. საქართველოში უმუშევრობის დონე (ოფიციალურად) 17-19 პროცენტია, 1999 წელს უმაღლეს დამთავრებულები დასაქმებულთა 26 პროცენტს შეადგენდა, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების დამთავრებულები კი 6-8 პროცენტს, ანუ საერთო ჯამში 32 პროცენტია (საშუალო სკოლა დამთავრებულები, (რომელთაც არ შეიძლება მიეღოთ პროფესიული ცოდნა - 40 პროცენტს აღწევს. ამასთან, უმუშევრებში უმაღლესდამთავრებულები 35-37 პროცენტს აღწევენ, საშუალო სპეციალური განათლების მუშაკები - 18 პროცენტს, რაც ჯამში 50 პროცენტზე მეტია. აქედან გამომდინარე, დასაქმებულთა ნახევარზე ნაკლები და უმუშევართ ნახევარზე მეტი პროფესიული სამუშაო ძალაა. ამას თუ იმასაც დავუმატებთ, რომ არა ყველა პროფესიამიღებულ (დიპლომიანი) მუშობს თავისი სპეციალობით, (დავუშვათ, ყოველი მეორე ან მესამე), მაშინ გამოდის, რომ მათი რაოდენობა 70 პროცენტია. ეს მიახლოებითი გათვლაა, რადგან არ არსებობს მონაცემები თუ რამდენი დიპლომიანი დასაქმდა თავისი პროფესიით და სასწავლებლის დამთავრებიდან რომელ წელს.

პრობლემას ვერ წყვეტს სპეციალისტების გადამზადების პასიური სისტემა.

ჭარბგანათლების მიღება არასასურველია, იგი ქმნის პრობლემებსა და არასახარბიელო, მტრულ კონკურენციას სამუშაო ადგილებისათვის, რაც საბოლოოდ ამცირებს შრომის ნაყოფიერებას. ფსიქოლოგების დაკვირვებით, ადამიანებს, რომლებსაც მიღებული აქვთ ჭარბი განათლება, ეუფლება დაუკმაყოფილებლობის გრძნობა თავიანთ სამუშაო ადგილთან დაკავშირებით და ამის კომპენსაციას ცდილობენ აბსენტიზმით ანუ თავის არიდებით მრავალი აქტიური საქმიანობისაგან, სამუშაოს ხშირი გაცდენებით, ნარკოტიკების მოხმარებით, კადრების დენადობით, ინდუსტრიული საბოტაჟით და სხვა. აშკარაა, რომ სამუშაოთი დაუკმაყოფილებლობა ასოცირებულია ჯანმრთელობის პრობლემებთან. ასეთი განათლება შრომის ძალისხმევის შემცირებისა და მაღალი საგანმანათლებლო ხარჯების გამო ასრულებს ნეგატიურ როლს შრომის ნაყოფიერების ამაღლებაში.

მართალია, ჭარბი განათლება საყოველთაოდაა გავრცელებული ყველა ქვეყანაში, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ მას არ ჰქონდეს გარკვეული ეკონომიკური ღირებულება ინდივიდებისათვის. გ. ჰოფმანმა და ს. დუნკანმა გამოიანგარიშეს, რომ ჭარბი განათლება ახდენს პოზიტიურ და მნიშვნელოვან გავლენას ყველა სახის დემოგრაფიული ჯგუფის ხელფასებზე.⁸⁶

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჭარბი განათლების შინაარსს შესაძლებელია სხვა აზრობრივი დატვირთვაც ჰქონდეს. თუ დამატებით განათლებას მოითხოვს სამუშაო ადგილი და ამ მიზნით ინდივიდი მიდის სარგებლის დათმობაზე მონეტარული თვალსაზრისით, მაშინ ასეთი ჭარბი განათლება ღირებულია მუშაკისათვის და იგი არ შეიძლება ჩაითვალოს "ჭარბად" მიუხედავად იმისა, რომ განათლებაზე გაწეული ხარჯები აღემატება მისგან მიღებულ სარგებელს. ამით ფაქტობრივად მცირდება განათლებით მიღებული უკუგება და სარგებლის ოდენობა.

ჭარბი განათლების მიღება განპირობებულია ინდივიდების მისწრაფებით, აიმაღლონ თავიანთი კვალიფიკაცია და მიიღონ მაღალი ხელფასები. თუმცა, როგორც ზოგიერთი მკვლევარი ასახულებს, კონკრეტული საწარმოების

⁸⁶ G. J. Duncan, S.D. Hopman, The Incidence and Wage Effects of Overeducation. "Economics of Education Review". 1981.# 1(1), pp.75-86.

მაგალითზე ასეთი ვითარება მაინც მიუღებელია, რადგან იგი ნეგატიურად მოქმედებს ამ საწარმოების განვითარებაზე და საერთოდ წარმოებაზე.⁸⁷

ჭარბგანათლების ერთ-ერთ ნაირსახეობად შეიძლება მივიჩნიოთ სახელმწიფო ინვესტირების შედეგად მომზადებული სპეციალისტების არამიზნობრივი გამოყენება, რასაც ადგილი ჰქონდა დირექტიული გეგმიანი მეურნეობის ქვეყნებში. ამ პერიოდში საბჭოთა მეცნიერები შენიშნავენ, რომ წარმოების ეფექტიანობა ეცემა იმის გამო, რომ უმაღლესი განათლების მქონე კადრების გარკვეული ნაწილი არასპეციალობით მუშაობს. დ.კომაროვის შეფასებით, უმაღლეს განათლებაზე გაწეული დანახარჯების ერთი მეხუთედი, ხოლო საშუალო სპეციალურ განათლებაზე გაწეული ხარჯების ერთი მეოთხედი გამოიყენება არასრულად და ვერ იძლევა იმ უკუგებას, რომლის მიცემაც მას შეუძლია.⁸⁸

ყოველი ახალი უმაღლესგანათლებული სპეციალისტის გამოშვება შრომის ბაზარზე იწვევს შრომის ფასის შეფარდებით შემცირებას იმ შემთხვევაში, თუ იგი კონკურენტულ გარემოში აღმოჩნდება დასაქმებულ იმ კადრებთან, რომელთა შრომის უნარი, ჩვევები და მიღებული განათლება შედარებით მოძველებულია, მაგრამ უკავიათ მაღალანაზღაურებადი ადგილები. ახალი კადრების შრომის ფასის შემცირება მათი კონკურენციაში გამარჯვების პირობაა, მაგრამ გარკვეული პერიოდის შემდეგ მათი გამოცდილება მოითხოვს შრომის ფასის ზრდასაც. შრომის ბაზარზე კონკურენცია და შრომის დახელოვნების ზრდით გამოწვეული მოთხოვნა შრომის ანაზღაურებაზე წინააღმდეგობრივი მოვლენებია. იგი გადაიჭრება, ერთის მხრივ, საბაზრო კონიუნქტურისა და, მეორეს მხრივ, შრომის ნაყოფიერების ზრდით მიღებული სარგებლიანობის ამადლების საშუალებით. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ეს ფაქტორები ურთიერთდომინირებულია. საერთოდ, როგორც გამოკვლევები ადასტურებს, დისბალანსი შრომის ბაზარზე კვალიფიციურ ძალაზე მოთხოვნასა და განათლების დონის ამადლებას შორის იზრდება. ამის შედეგად იბადება კითხვა, მაინც რატომ ცდილობენ ინდივიდები განათლებაში ინვესტირების გაგრძელებას, თუკი იციან, რომ შეიძლება გაძნელდეს დასაქმება?

⁸⁷ M.C. Tsang, The Impact of Underutilization of Education on Productivity: A Case of Study of The U.S. Bell Companies. "Economics of Educational Review". 1987.# 6(3). pp.239-254.

⁸⁸ Д.И. Комаров, Экономическая эффективность образования. "Вопросы Экономики". 1977. № 9.с. 65.

ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას უნდა გამოიყოს ის გარემოება, რომ უმაღლესი განათლებით მიღებული უკუგების დონე მაღალი რჩება იმ შემთხვევაში, თუ უფრო დაბალი დონის განათლებაში დაბანდებული კაპიტალის უკუგება იგივე დარჩება ან უმნიშვნელოდ გაიზრდება, ვიდრე გაიზრდება უმაღლესი განათლებით მიღებული უკუგება. მეორე, კაპიტალდაბანდებები უმაღლეს განათლებაში არის უმაღლესი შემოსავლების მიღების პოტენციური წყარო. მესამე, ინდივიდები უმაღლესი განათლებიდან მიღებული უკუგების შემცირებას ხშირად მიიჩნევენ დროებით მოვლენად და კანონზომიერად თვლიან ასეთი ინვესტიციებიდან სარგებლის მიღებას.

§3. განათლების დაგეგმვის მაკრო და მიკრომოდელები

განათლების დაგეგმვის ერთ-ერთი მაკრომოდელი ეფუძნება საგანმანათლებლო სისტემისა და სამუშაო ძალაზე მოთხოვნის ურთიერთობებს და ამოდის იქიდან, რომ ეკონომიკა განსაზღვრავს სამუშაო ძალაზე მოთხოვნას, შესაბამისად, საგანმანათლებლო სისტემის განვითარებას და, პირიქით, საგანმანათლებლო სისტემაში მომზადებულ კადრი (გამოშვება) არის ეკონომიკის განვითარების განმსაზღვრელი ძალა. ეს მოდელი გულისხმობს სამუშაო ძალაზე მომავალი მოთხოვნის პროგნოზირებას, ანუ იმის წინასწარ გათვლას, თუ როგორი დახელოვნება და კვალიფიკაცია იქნება საჭირო მომავალი წარმოებისათვის.

სხვა მოდელი გულისხმობს განათლებაში ინვესტიციების როგორც აგრეგირებული ეროვნული ინვესტიციების კომპონენტის პროგრამირებას.

განათლების დაგეგმვის მიკრომოდელები დაფუძნებულია შედარებით მცირე ერთეულების დაგეგმვაზე, მცირე მასშტაბის გეგმების შემუშავებაზე საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის გამომდინარე თითოეული დაწესებულების მიზნებიდან და შესაძლებელი დანახარჯებიდან. შესაბამისად, იგი წყვეტს ხარჯების მინიმიზაციისა და მიზნების მაქსიმიზაციის პრობლემებს, სტუდენტების ოპტიმალური ოდენობის საკითხებს, კადრების განაწილებას სასწავლო პროცესისათვის, მათ დასაქმებას კვლევებზე და სხვა საქმიანობებზე,

მატერიალური რესურსების განაწილების ოპტიმალურ ზომებს. ამისათვის გამოიყენება მათემატიკური პროგრამირების მეთოდები.

რაც უფრო ცენტრალიზებულია განათლების სისტემა, მით უფრო მეტად აქტუალურია მაკროეკონომიკური მოდელირება, მაგრამ დეცენტრალიზაციის პირობებში კი მიკრომოდელირებას ენიჭება მნიშვნელოვანი როლი.

თაზო X

მასწავლებელთა ხელფასები

§1. ძირითადი პრობლემები

ხელფასები არის შრომის სტიმული და სახელმწიფო სექტორში იგი განისაზღვრება ცენტრალიზებულად ნორმატივების მიხედვით, რომელიც დადგენილია საბაზო ხელფასისა და მასწავლებელთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესაბამისად, ხოლო კერძო სექტორში კი მასწავლებელთა ხელფასები დამოკიდებულია მათზე მოთხოვნა-მიწოდების საბაზრო კანონების მოქმედებაზე.

ხელფასი არის მასწავლებელთა შრომის საზოგადოებრივი შეფასების მაჩვენებელი. იმისათვის რომ ეს შრომა უფრო წარმატებული და დაფასებული იქნეს, აუცილებელია მათი ანაზღაურების სიდიდე იყოს დახარჯული შრომის ადეკვატური, ზრდადი და ბაზრის აგრეგატებისადმი მგრძობიარე. იგი ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა წარმატებების მიღწევას პედაგოგიური გზებით და სტიმულს აძლევდეს მასწავლებელთა ავტონომიური შემოქმედებით მუშაობას.

როგორ უნდა განისაზღვროს მასწავლებელთა ხელფასები? როგორ უნდა იყოს იგი დაკავშირებული მოსწავლეების აკადემიურ წარმატებებთან, მასწავლებელთა მოზადებისა და გადამზადების პროგრამების შესრულებასთან?

საკამათო არ არის, რომ შრომის ანაზღაურების განსაზღვრის საუკეთესო პრინციპად ითვლება შრომის შედეგები. როგორ უნდა გამოიხატოს რაოდენობრივად მასწავლებლის შრომის ნაყოფიერება - დახარჯული საათების რაოდენობით, მომზადებული მოსწავლეების რაოდენობით თუ მათ მიერ დაწერილი ნიშნებით? როგორ უნდა გაიზომოს მასწავლებელთა შრომის შედეგი და რამდენად საფუძვლიანია მოსწავლეთა აკადემიური წარმატებები მივიჩნიოთ მასწავლებელთა შრომის შედეგის მაჩვენებლად? რა სტიმულები უნდა განხორციელდეს იმისათვის, რომ მასწავლებლები დაინტერესებულნი იქნენ მოსწავლეთა წარმატებებით და, ამასთანავე, მათ მიერ მოსწავლეების წარმატებების სუბიექტური შეფასება არ გახდეს ხელფასების გაზრდის მოტივაციის საფუძველი? ან კიდევ, რამდენად შესაძლებელია მოსწავლეების წარმატებები მივიჩნიოთ მასწავლებელთა მიღწევად, როდესაც სწავლების

ეფექტიანობაში მოსწავლეების ბუნებრივი ნიჭიც თამაშობს დიდ როლს?

ყველა ეს კითხვა მასწავლებელთა შრომის შეფასების სირთულეებთან არის დაკავშირებული. დღევანდელ პრაქტიკაში ამ პრობლემის გადაწყვეტა დაფუძნებულია მასწავლებლის გამოცდილებაზე, მუშაობის სტაჟზე, ხარისხზე.

შედარებითი ანალიზი

მასწავლებელთა ხელფასები შესადარისია ეკონომიკის სხვა სექტორებში მომუშავეთა ხელფასებთან და იგი ასახავს მასწავლებელთა პროფესიის სტატუსს. ეს შედარებები ახასიათებს იმას, თუ რამდენად გაუარესდა ან გაუმჯობესდა მასწავლებელთა მდგომარეობა როგორც სხვა პროფესიის მუშაკებთან, ასევე საბაზისო პერიოდან შედარებით. ამასთან, გათვალისწინებული უნდა იქნეს ის გარემოებაც, რომ მასწავლებლები არ შრომობენ სრული 12 თვის განმავლობაში, მათი შრომა შედარებით უსაფრთხოა, სამუშაო გარემო და პირობები ხელსაყრელი, ხელფასები გათანაბრებულია სხვა პროფესიის ადამიანებთან და ა.შ., რაც მასწავლებლის შრომის თავისებურებებს შეადგენს.

შედარებისას შერჩეული უნდა იქნეს მასწავლებლების შრომის ხასიათთან დაახლოებული შემოქმედებითი პროფესიის ადამიანების შემოსავლები (მაგალითად, საშუალო სკოლისა და უმაღლესი სკოლის მასწავლებლები, ხელოვნების მუშაკები და სხვ.). ასეთი შედარება მიზანშეწონილია იმ თვალსაზრისით, თუ გვინდა რომ დავინახოთ შრომის დიფერენციაცია ერთი კატეგორიის მქონე შრომის სახეობებში, მაგრამ პარალელურად, შრომის საზოგადოებრივი ღირებულების გამოსავლენად საჭიროა განსხვავებული პროფესიების მქონე მუშაკების შრომის ანაზღაურებასთან შედარებაც. ამასთან, სრული სურათის მისაღებად ხელფასების ცვილებები უნდა იქნეს დაკავშირებული მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპთან, მოსახლეობის შემოსავლებთან და სხვ. ფაქტორებთან.

ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელია მასწავლებელთა საშუალო ხელფასების შეფარდებას ერთ სულ მოსახლეზე წარმოებულ მთლიან შიდა პროდუქტთან. სხვა მაჩვენებელია წლების მიხედვით ხელფასისა და საშუალო ინდექსის შედარება შემოსავლების ზრდის საშუალო ინდექსთან.

მასწავლებელთა შემოსავლების საერთაშორისო შედარებები კი

მნიშვნელოვანია იმის გასარკვევად, თუ რა ეროვნული პრიორიტეტი ეძლევა განათლებას სხვადასხვა ქვეყანაში.

ცხრილი 10.1

საშუალო სკოლის მასწავლებელთა ხელფასები 90-იანი წლებში

ქვეყანა (1)	მასწავლებელთა საშუალო ხელფასი (წლიური, აშშ დოლ) (2)	მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლ) (3)	კოეფიციენტი (2/3-ზე) (4)
აშშ	22667	15707	1.44
კანადა	31 956	14899	2.14
გერმანია	21 681	11073	1.96
ინგლისი	17731	10496	1,69
იაპონია	22406	11041	2.03
სამხრეთ კორეა	11947	4497	3.32
საქართველ ო	350	650	0,53

მასწავლებელთა ხელფასის სიდიდეზე მოქმედებს სხვადასხვა ფაქტორი. მისი ძირითადი დეტერმინანტებია: გამოცდილება, კვალიფიკაცია განათლების ორგანიზაცია, სასწავლებლის ადგილმდებარეობა, რეგიონი, მასწავლებლისა და მოსწავლის თანაფარდობა, სქესი, მუშაობის ხანგრძლიობა, სასწავლებლების სიდიდე და ინფრასტრუქტურა და სხვ. ეს ფაქტორები ერთობლიობაში ზემოქმედებენ ანაზღაურების სიდიდეზე.

მასწავლებელთა ხელფასები განსხვავებულია აგრეთვე, მონოპსონიური ეფექტის მოქმედების გამო. "მონოპსონია" ნიშნავს ერთი ან ძალიან მცირე რაოდენობის მიყიდველის არსებობას. ეს ვითარება მხოლოდ აგრარულ სექტორებში არსებობს. დიდ ქალაქებში მონოპსონიური ეფექტი არ შეიძლება წარმოიშვას, რადგან განათლების მიღების მსურველები და მათი მომსახურე ორგანიზაციებიც შედარებით უფრო მრავალია. მრავალფეროვანი

საგანმანათლებლო დაწესებულებების გამაერთიანებელი ეფექტი დიდი ქალაქებისათვის არის დამახასიათებელი და იგი მონოპსონური ეფექტის საპირისპიროა.

ხელფასებს სიდიდეზე მოქმედებს მასწავლებელთა პროფესიული გაერთიანებები. როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნების გამოცდილება მეტყველებს, გაცილებით მაღალია იმ მასწავლებლების ხელფასები, რომლებიც გაერთიანებული არიან პროფესიულ კავშირებში და ეს უკანასკნელი ზედამხედველობს კოლექტიური ხელშეკრულებების დადებაზე მასწავლებლებსა და ადმინისტრაციას შორის, თუმცა ზოგიერთი მკვლევარი აქვე აღნიშნავს, რომ ასეთი ინსტიტუციური ეფექტი მხოლოდ ხანმოკლე პერიოდისათვის არის თვალსაჩინო, ხანგრძლივ პერიოდში კი პროფესიულ კავშირებში გაერთიანებული და არაგაერთიანებული მასწავლებლების ხელფასებში სხვაობა მცირეა.⁸⁹

ხელფასების დიფერენცირებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მასწავლებელთა კატეგორიას, ხარისხსა და სქესს. მაღალი კატეგორიისა და ხარისხის მქონე მასწავლებლები ყოველთვის მეტს ღებულობენ უფრო დაბალი კატეგორიისა და ხარისხის მქონე მასწავლებლებთან შედარებით. კერძო სასწავლებლებში სახელმწიფო სასწავლებლებთან შედარებით მაღალია მასწავლებელთა გამომუშავება. უმაღლესი საწავლებლების პედაგოგ-მასწავლებლების ანაზღაურება უფრო მაღალია საშუალო სკოლის მასწავლებლებზე. მართალია, მასწავლებელთა გამოცდილება არის ხელფასის ზრდის პირობა, მაგრამ მასთან ერთად სასწავლებლების ადგილმდებარეობა, სიდიდე და პრესტიჟი მოქმედებს ხელფასის სიდიდეზე. შედარებით უფრო ნაკლები ზემოქმედება აქვს სასწავლო საგნების განსხვავებას ხელფასზე. მისი ეფექტი ვლინდება იმ ეკონომიკური გარემოს მიხედვით, სადაც ეს სასწავლებელი მდებარეობს. საერთოდ, კი მასწავლებლების ხელფასი შედარებით ნელა იზრდება, ვიდრე სახელმწიფო მოხელეების, მრეწველებისა და სხვა დარგის მუშაკთა ხელფასი. ეს კანონზომიერება დამახასიათებელია არა მარტო საქართველოსათვის, არამედ მსოფლიოს მრავალი ქვეყნისათვის. აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ სხვა პროფილის სპეციალისტებთან შედარებით მასწავლებელთა შრომის პირობები, დატვირთვა და გარემო შედარებით უკეთესი

⁸⁹ D.R. Morgan, R.C. Kearney, Collective Bargaining and Faculty Compensation: A Comparative analysis. *Sociology of Education*, 1977, 50(january).

და უსაფრთხოა. ყოველივე ეს კი ფულად სიდიდეში არ გამოიხატება.

ბოლოს უნდა ითქვას, რომ მასწავლებელთა შრომის სტიმულირების თანამედროვე სისტემები ძალიან შორსაა იდეალურისაგან და დროთა განმავლობაში საზოგადოება სულ უფრო მეტ მნიშვნელობას მიანიჭებს მაღალმწარმოებლური შრომის სტიმულირებას, ვიდრე უბრალოდ ხელფასების პროგრამებს.

§2. მასწავლებელთა ხელფასები

საქართველოში

საქართველოს საგანმანათლებლოსისტემაში მასწავლებელთა ხელფასის სკალა კი განსაზღვრულია ცენტრალური ხელისუფლების მიერ, პრეზიდენტის განკარგულებით. ადგილობრივი ხელისუფლება ვერ ერევა სკოლის პედაგოგიური გადაწყვეტილებების მიღებაში. ეს პრობლემა და მასწავლებელთა დასაქმება წყდება განათლების სამინისტროს მიერ დადგენილი წესების თანახმად. ადგილობრივი მოქალაქეების ან რეგიონის ხელისუფლების ცდები ყურადღება გაამახვილონ სწავლების ხარისხზე ან სასკოლო საგანმანათლებლო პროცესებზე, შეზღუდულია და მათი აქტივობაც ამ მიმართულებით სუსტია. სწავლების ხარისხზე და მასწავლებელთა მომზადებაზე პასუხისმგებელი ცენტრალური ხელისუფლებაა.

1997-99 წლებში არსებობდა ცდა მასწავლებლების სერტიფიკაციისა 4 კატეგორიად, რომელიც შეფასების ობიექტური კრიტერიუმების დადგენასა და შრომის ანაზღაურების მოწესრიგებას ისახავდა მიზნად, მაგრამ ტესტირების პროცესში წარმოიშვა წინააღმდეგობები ტესტებით მასწავლებელთა შეფასებებისა და მათი კვალიფიკაციის გამოვლენასთან დაკავშირებით. კატეგორიზაციის პრაქტიკა მიხნეულ იქნა ფორმალურად და აღიარებული იქნა მისი თავისუფალი გამოყენება, რის გამოც ტესტირების პრაქტიკა დროებით შეჩერდა. მასწავლებელთა ხელფასები კატეგორიების მიხედვით განისაზღვრა შემდეგნაირად: კატეგორიის გარეშე - 35 ლარი, I კატეგორია 45,5 ლარი; II კატეგორია - 25,5 ლარი; უმაღლესი კატეგორია - 70 ლარი.

საქართველოში არსებობს განსაკუთრებული წესები მთიან რეგიონებში მასწავლებელთა ხელფასების გაზრდისა სკოლის ადგილმდებარეობის მიხედვით.

1500 მეტრზე ზემოთ მასწავლებელთა ხელფასის სტანდარტი მრავლდება 1,2-ზე, ზღვის დონიდან 2000 მეტრზე ზემოთ - 1,3-ზე და 2500 მეტრზე ზემოთ კი - 1,4-ზე. მასწავლებელთა ხელფასების ზრდა სტანდარტებს ზემოთ შესაძლებელია ქალაქების საკუთარი შემოსავლებიდანაც განხორციელდეს

ხელფასის ზრდის მიუხედავად, პედაგოგთა შრომის ინტენსივობის, საარსებო მინიმუმისა და ინფლაციის დონის გათვალისწინებით, ანაზღაურება მცირე დარჩა. საქართველოში, განსაკუთრებით მის რეგიონებში, განათლების სისტემაში კვლავ დარჩენილია ხელფასების დავალიანება. დავალიანების მიზეზია როგორც ცენტრალური ბიუჯეტიდან ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებისათვის გადასაცემი ტრანსფერტების შეფერხება, ასევე ადგილობრივი ბიუჯეტის პრობლემები.

ამ პრობლემის გადაწყვეტა ამჟამად მსოფლიო ბანკის განათლების პროექტის ფარგლებში უნდა განხორციელდეს. მსოფლიო ბანკის პროექტი "განათლების სისტემის გარდაქმნა და განმტკიცების პროგრამა," განათლების სისტემაში რეფორმების განხორციელების ფინანსური წყაროა, რომლის მიზანია გადაწყვიტოს განათლების სისტემაში არსებული პრობლემები, კერძოდ შემოდებული იქნეს ახალი სასწავლო პროგრამები, შეფასების სისტემები, მასწავლებლების პროფესიული განვითარების ინსტიტუტები, შეიცვალოს დაფინანსების ფორმულა, განახორციელოს თანასწორობა განათლების მიღებაში. სხვა გარემოებებთან ერთად იგი ითვალისწინებს 4 მლნ. დოლარის გამოყოფას ჭარბი მასწავლებლების გასანთავისუფლებლად სკოლებიდან, რაც ნიშნავს სახელმწიფო ვალის აღებას ხელფასებისა და იმ საკომპენსაციო თანხების გასაცემად, რომელმაც უნდა შეუმსუბუქოს მასწავლებლებს უმუშევრობის ტვირთი. ეს პოლიტიკა სოციალური თვალსაზრისით ჰუმანურია, ეკონომიკური თვალსაზრისით კი - დაბალეფექტიანი.

განათლების სოციალურ-კლასობრივი თეორიები

§1. განათლების სტრატეგიკაციული
თეორიები

კონფლიქტის თეორია სოციალურ ფენებსა და
ინსტიტუტებს შორის ⁹⁰

ტექნიკურ-ფუნქციონალური და ადამიანისეული კაპიტალის თეორიები დაფუძნებულია ტრადიციულ მოსაზრებაზე, რომლის თანახმად, სკოლა არის სოციალური ორგანიზაცია. სასწავლო პროგრამები, ინსტიტუტების ხელმძღვანელობა, მასწავლებლები და საერთოდ მთელი სასწავლო სისტემა უზრუნველყოფს ცოდნისა და გამოცდილების "გადადენას" სტუდენტებში. შემდგომში სტუდენტები თვითონ ავითარებენ, ცვლიან და აფართოებენ მიღებული ცოდნის დონეს, რაც მათ შესაძლებლობას აძლევს მონაწილეობა მიიღონ საზოგადოების საქმიანობაში და გახდნენ ამ საზოგადოების სტრუქტურული ნაწილი.

შეხედულება, რომლის თანახმად, სკოლა არის სოციალური ორგანიზაციის ფორმა, შემდგომში წარმოდგენილი იქნა, როგორც სტრატეგიკაციის ორგანიზაცია. სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ განათლების სოციალური თვალსაზრისი ემყარება განათლებაში სოციალურ კლასთა ურთიერთგავლენას.

ამ მიმართულებით კვლევებმა მეცნიერები მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ სტუდენტებისათვის წინსვლის უფრო მნიშვნელოვანი პირობა არის სოციალური წარმოშობა და არა ინსტიტუტების სტრუქტურა, სასწავლო სისტემა და რესურსები. სოციალური იერარქია განსაზღვრავს სტუდენტების წარმატების ხარისხს და იგი მისი მთავარი დეტერმინანტია. სოციალური წარმოშობა

⁹⁰ ეს თეორია ცნობილია "სტატუს კონფლიქტის" თეორიის სახელწოდებითაც. "სტატუსი" ლათინური სიტყვაა და ნიშნავს საზოგადოებრივ მდგომარეობას. წარმოდგენილ თეორიებში "სტატუსი" იხმარება მაღალელიტარული ჯგუფების დასახასიათებლად. ფართო გაგებით იგი გულისხმობს არა მარტო ადამიანის სოციალურ მდგომარეობას, არამედ მის საქმიანობას, ქონებრივ მდგომარეობასა და საერთოდ, ადამიანთა ურთიერთობის მთელ სოციალურ სპექტრს. ამის შესახებ დაწვრილებით იხილეთ პაატა გუგუშვილის "სოციოლოგიური ეტიუდები", თბ., საბჭოთა საქართველო, 1970, გვ. 174-178.

ზემოქმედებს სტუდენტის განვითარებაზე საბავშვო ბაღიდან დაწყებული უმაღლესი განათლების ჩათვლით. იგი ქმნის მისი შემდგომი კარიერის საფუძველს. ამდენად სასწავლო დაწესებულებების ზემოქმედება შედარებით სუსტია, ვიდრე სოციალური კლასის ეფექტი, შესაბამისად, განათლების სოციალიზაციის პროცესიც არ არის საკმარისი სოციალური წარმოშობით განპირობებული უთანაბრობის დასაძლევად.⁹¹

თუ სასწავლო დაწესებულებებს, განსაკუთრებით კი სკოლებს, არ აქვთ ორგანიზაციის სოციალური ეფექტი, მაშინ იბადება კითხვა, რა ფუნქცია უნდა ჰქონდეთ მათ? ინდივიდები, იმისდა მიუხედავად, თუ რა განათლება მიიღეს მათ სკოლებში, გადანაწილდებიან სამუშაო ადგილებზე საგანმანათლებლო მოწმობებისა და დიპლომების საფუძველზე. მართალია, სკოლები შეიძლება არ იყოს სოციალიზებული, მაგრამ ხდება მათი არჩევა სხვადასხვა სოციალური ჯგუფების მიერ. თუ სკოლები და უნივერსიტეტები მხოლოდ მარტივად მოახდენენ ინდივიდების კატეგორიზაციას მათ მიერ მიღებული ცოდნის საფუძველზე და სოციალურ წარმოშობას დაუქვემდებარებდნენ გაცემულ მოწმობებსა და დიპლომებს, მაშინ ეს სასწავლო ინსტიტუტები და აქ მიღებული განათლება ვერ მოახდენს ჯეროვან ეფექტს ეკონომიკაზე და საზოგადოებაზე მთლიანად. შესაბამისად, სკოლები და სასწავლო დაწესებულებები განსხვავდებიან იმით, თუ რომელ სოციალურ ფენებს მიუწვდებთ მათზე ხელი და რამდენად პრესტიჟულია ესა თუ ის უნივერსიტეტი საზოგადოებაში. კონკურენცია პრესტიჟისათვის არის კონკურენცია სოციალური ელიტის მისაზიდად.⁹² განათლების პრესტიჟული დიპლომები კი არის კარგი გარანტია ხელსაყრელი სამუშაო ადგილების მისაღებად, მაგრამ გადანაწილების ასეთი მექანიზმი ვერ შეცვლის სოციალურ სტრუქტურას და ვერ უზრუნველყოფს ეკონომიკის ზრდას. შესაბამისად სასწავლო დაწესებულებების გადანაწილებითი ფუნქცია ეწინააღმდეგება ტექნიკურ-ფუნქციონალური და ადამიანისეული კაპიტალის თეორიების ძირითად პრინციპებს, კერძოდ, ინდივიდის დონეზე სოციალიზაციისა და ეროვნული ეკონომიკის დონეზე ეფექტების გაძლიერების აუცილებლობას. შესაბამისად, ეს თეორია უარყოფს განათლების მნიშვნელოვან

⁹¹ J. Meyer, The Effects of Education as an Institution. "American Journal of Sociology". 1977. # 83, pp.340-363.

⁹² "ელიტა - ესაა კვალიფიციური უმცირესობა" (პ. გუგუშვილი, სოციოლოგთა IV მსოფლიო კონგრესი. ჟურნალი "მნათობი", 1960, № 3. გვ. 152.)

როლს ეკონომიკის ზრდაში.⁹³

სოციალური განაწილებითი მოდელის შესახებ თეორიები განსხვავებულია იმის მიხედვით, სოციალური ფენები თუ კლასები როგორ ნაწილდებიან სხვადასხვა იერარქიის დონეზე. ეს თეორიები ამტკიცებენ ტექნიკურ-ფუნქციონალური და ადამიანისეული კაპიტალის თეორიებში დასაბუთებული თეზისების საპირისპიროს.

სოციალურ ფენებს შორის კონფლიქტის თეორია ამტკიცებს, რომ უფრო მაღალ სოციალურ ჯგუფებში ადგილის დასამკვიდრებლად პირველადი მნიშვნელობისაა განათლება და არა სამუშაო უნარი, დახელოვნება, კვალიფიკაცია ანდა კომპეტენცია. სამუშაო ადგილის მისაღებად ჩამოყალიბებული საგანმანათლებლო მოთხოვნები ზემოქმედებს მაღალი რანგის სოციალური ჯგუფების ინტერესებსა და მათ პროფესიაზე, რამდენადაც ამ ჯგუფის ინდივიდებს სურვილი აქვთ ფლობდნენ იმ ძალაუფლების ხარისხს, რომელიც აღასრულებს ადეკვატურ საგანმანათლებლო მოთხოვნებს. ამასთან, სტატუს-ჯგუფების წევრები ინარჩუნებენ მაღალ კომპეტენტურობას და ამით ზღუდავენ სხვა ჯგუფების მონაწილეობას სოციალური იერარქიის მათთვის განკუთვნილ საფეხურზე. შეზღუდვის მექანიზმს ისინი ქმნიან საგანმანათლებლო მოთხოვნების გაძლიერებით. სკოლებისა და სასწავლო დაწესებულებების მთავარ საქმიანობად რჩება არა ინდივიდების ტექნიკური შრომითი უნარის აღიარება, არამედ პრაქტიკულად იმ კულტურის დამოწმება, რომელიც გულისხმობს სოციალური ღირებულებების არსებობას. საგანმანათლებლო მოთხოვნა იქმნება იერარქიულად მათთვის, ვინც უნდა იქნეს არჩეული ელიტარულ თანამდებობებზე და აგრეთვე მათთან დაქვემდებარებულთათვის, რომლებიც პასუხისმგებელნი იქნებიან კულტურის მატარებელი ორგანიზაციის ღირებულებაზე. განათლების დამმოწმებელი დიპლომები კი აუცილებელი და არსებითია იმდენად, რამდენადაც შესაძლებლობას მისცემს ინდივიდებს, განაწილდნენ და დაიკავონ თავისი თანამდებობრივი პოზიციები.

იმის დასამტკიცებლად, რომ განათლების ზემოქმედება ეკონომიკაზე ძალიან სუსტია, სოციალურ ფენებს შორის კონფლიქტის თეორია აქცენტირებას ახდენს საგანმანათლებლო მოთხოვნებზე სამუშაო ადგილის მისაღებად. ამასთან, განათლებას ან კიდევ ტექნიკურ-მწარმოებლურ შრომის უნარს არა აქვს

⁹³ R. Robinson, J. Ralph. Technical Change and the Expansion of Schooling in the United States, 1890-1970. "Sociology of Education" 1984.# 57. pp.134-152.

არსებითი მნიშვნელობა, რადგან დროთა განმავლობაში სხვადასხვა სტატუსის მქონე ინდივიდებს შორის კონკურენცია აუფასურებს განათლების დიპლომებს საგანმანათლებლო მოთხოვნების გაზრდით სამუშაო ადგილის მისაღებად. საერთოდ კონკურენცია პროფესიული უნარის მქონე ინდივიდებში ძნელად შესადარისია და სამუშაოზე მიღების მოთხოვნები სულ უფრო იზრდება მათთვის, ვინც პრეტენზიას აცხადებს უფრო მაღალ თანამდებობებზე.

ყველაზე ძნელია იმის გამოაშკარავება, თუ როგორ ხდება ცვლილებები შრომის დახელოვნების დონეში, რადგან, ჯერ ერთი, როგორც ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებს, დახელოვნების დონე დროთა განმავლობაში მცირდება. ეს შეხედულება ემყარება თანამდებობების ცვლილებებზე ისტორიულ დაკვირვებებს.⁹⁴ დროთა განმავლობაში მრავალი პროფესია ცვდება და შრომის მრავალი სახეობა განცალკევდება, იყოფა უფრო დეტალურ ერთეულებად და მისი შესრულება მარტივდება. ეს ამცირებს მოთხოვნებს შრომით დახელოვნებაზე, მაგრამ ამ გარემოების საპირისპიროდ ხდება მრავალი პროფესიის გართულება. იმისათვის რომ ვამტკიცოთ, თუ რამდენად გართულდა ან გამარტივდა შრომის სახეობები, უნდა შეიძლებოდეს მათი შედარება და რაოდენობრივი გამოსახვა როგორც დროის მიხედვით, ასევე განათლების დონის შესაბამისად. ეს კი ერთობ ძნელია, თუ შეუძლებელი არა.

ფაქტიურად მეცნიერების ყველა ცდა, რომ გააკეთონ ასეთი შედარებები, ემყარება შრომის სახეობათა საგანმანათლებლო დონეების, როგორც დახელოვნებისა და შრომის უნარის ინდიკატორების, განსხვავებას, რაც ფაქტობრივად განათლების ტექნიკურ-ფუნქციონალური თეორიის პირობების დაშვებას ნიშნავს. მაგრამ როგორც სოციალურ ფენებს შორის კონფლიქტის თეორიის მიმდევრები აღიარებენ, აშშ-ში სასწავლო-საგანმანათლებლო მოთხოვნები უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე ტექნოლოგიური პროცესების განახლება მოითხოვს ამას სასწავლო ინსტიტუტებისაგან. მართალია, ეკონომიკაში ხდება დახელოვნების ზრდა, მაგრამ თუ რამდენად და რა რაოდენობით იზრდება იგი, ამას თანამედროვე კვლევები ვერ ასაბუთებენ.

⁹⁴ K. Stone, *The Origins of Job Structures in the Steel Industry. Labour Market Segmentation*. Ed. by R. Edwards, M. Reich. D. Gordon. Lexington, MA: D.C. Heath .1975. pp. 27-84; M. Wallace, S. Kalleberg, *Industrial Transformation and the Decline of Craft*. "American Sociological Review." 1982. # 47, pp.307-324.

გენდერული და რასობრივი პრობლემები

სოციალურ ფენებს შორის კონფლიქტის თეორიის ძირითადი პრინციპის თანახმად, ადამიანები გადანაწილდებიან შრომის სახეობებზე ორგანიზაციული პროცესების მეშვეობით. მათ გადანაწილებას განსაზღვრავს სოციალური ჯგუფების უთანაბრობა. ამ თეზისს მხარს უჭერენ ხელფასების განაწილების თეორიის მიმდევრებიც. განათლებისა და ადამიანისეული კაპიტალის ცვლილებებს ნაწილობრივ ახასიათებს არსებითი განსხვავებები ხელფასებში, სქესის, ეთნიკური წარმოშობისა და სხვ. მაჩვენებლებში. მაგალითად, მოსახლეობის ცალკეული სქესობრივ-რასობრივი ჯგუფებისათვის არსებობს მყარად ჩამოყალიბებული პროფესიული და დარგობრივი ორიენტირები და უპირატესობები. მამაკაცები, განსაკუთრებით ახალგაზრდულ ასაკში, ორიენტირებულნი არიან ინდუსტრიული შრომის სახეობებზე. ქალები კი უფრო მეტად მიისწრაფვიან მომსახურების, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, განათლებისა და ჯანდაცვის ობიექტებისაკენ.

ქალთა სამუშაო ძალის განსხვავება მამაკაცის სამუშაო ძალისაგან ქალისა და მამაკაცის ფუნქციათა განსხვავებულობითაა განპირობებული. ამას მიეყვარათ შრომით საქმიანობაში გენდერულ თავისებურებებთან.

დიდი ხნის განმავლობაში საქართველოში გაბატონებული იყო შეხედულება, რომელიც უარყოფდა მამაკაცებისა და ქალების თანასწორუფლებიანობის პირობებში სქესობრივი ნიშნით განსხვავებებს შრომის ანაზღაურების სფეროში, მაგრამ ამჟამად ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებს არსებით განსხვავებებს მამაკაცთა და ქალთა ხელფასებში, კერძოდ, ქალთა შრომის ანაზღაურების მნიშვნელოვნად ჩამორჩენას მამაკაცების საშუალო ხელფასთან შედარებით.

ამ პრობლემისადმი დამოკიდებულება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არაერთგვაროვანია. სოციალური ორიენტაციის საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში, სადაც დიდია სახელმწიფოს როლი ეკონომიკის რეგულირებაში, ქალებსა და მამაკაცებს შორის ხელფასებში განსხვავება შედარებით მცირეა.

მნიშვნელოვანი განსხვავებაა ქალისა და მამაკაცის მატერიალური უზრუნველყოფის მაჩვენებლებში დასაქმების სახეობათა მიხედვით. საბაზრო ეკონომიკის გარდამავალ პერიოდში შრომის ანაზღაურების ყველაზე მაღალი დონე ჩამოყალიბდა ვაჭრობასა და საშუაშალო საქმიანობაში, ხოლო განათლების, ჯანმრთელობის, მეცნიერების სფეროებში, სადაც ქალთა დიდი

კონტინგენცია დასაქმებული (და რომლებიც ქალთათვის ყოველთვის ხელმისაწვდომ პროფესიებს წარმოადგენდნენ), ხელფასების დონე ძალიან დაბალია.

ასეთი განსხვავება არ გამომდინარეობს ადამიანების განათლების დონიდან, ანდა სასწავლო დაწესებულებაში სწავლების ხანგრძლივობიდან, რამდენადაც მამაკაცი და ქალი - ორივენი თანაბარ დროს ატარებენ სასწავლებელში ცოდნის მისაღებად. ადამიანისეული კაპიტალის თეორია ამტკიცებს, რომ ქალსა და მამაკაცს შორის ასეთი სხვაობა გამომდინარეობს მათი განსხვავებიდან შრომის გამოცდილებასა და ქალის შრომაში ჩაბმის თავისებურებებიდან მამაკაცისაგან განსხვავებით. ქალს დროთა განმავლობაში, რეპროდუქციის პერიოდში, უხდება შრომის პროცესიდან მოწყვეტა და შემდეგ ისევ ხელმეორედ ჩაბმა, მაგრამ ყველა როდი ეთანხმება მათი შრომის დისკრიმინაციის გამამართლებელ ამ არგუმენტს⁹⁵

საერთოდ ქალსა და მამაკაცს შორის განათლებიდან მიღებული განსხვავებები უკუგებაში არ ნიშნავს აუცილებლად დისკრიმინაციის არსებობას. კონკრეტულ შემთხვევებში განსხვავებები შეიძლება გამოწვეული იყოს ქალების ნაკლები გამოცდილებით, დახელოვნების საერთო ხარისხით, პროფესიული თვისებებით და ა.შ.

ამასთან, იმ შემთხვევაში, როცა გამოცდილების განსაზღვრა აბსოლუტურად შესაძლებელია, ხელფასების განსხვავება რასის მიხედვით (სამხრეთ აფრიკის ქვეყნებში და სხვ.) არ შეიძლება აიხსნას ადამიანისეული კაპიტალის თეორიით.

ისევე როგორც ინდივიდუალური ხასიათისაა სხვაობა მამაკაცსა და ქალს შორის, ასევეა - მათი შრომის ანაზღაურებაშიც. ქალი უფრო მეტად კონცენტრირებულია მომსახურებაზე, რაც ნაკლებად ანაზღაურებადია, ვიდრე მამაკაცური თანამდებობები, რომელიც იმავე დახელოვნების დონესა და განათლებას მოითხოვს. ეს კი ზოგჯერ გენდერული დისკრიმინაციის გამომხატველ მოვლენადაა მიჩნეული.

საინტერესოა, რომ ამ თეორიებში "დისკრიმინაციული ეფექტი" განმარტებულია, როგორც თავისთავად მიღებული განსხვავება, რომლის ახსნაც პირობითად შეიძლება სასწავლო სისტემაში ქალის თავისთავადი მისწრაფებით,

⁹⁵ R. Oaxaca, The Persistence of Male-Female Earnings Differentials. Distribution of Economic Well-being. Ed. by T. Juster. Cambridge, MA, Ballkinger. 1977.pp. 303-53. M. Corcoran, G. Duncan, Work History, Labor Force Attachment and Earnings Differences Between Men and Women. "Journal of Human Resources". 1979. #14(1). pp.3-20.

მიიღოს იმ რაოდენობის ცოდნა, რომელიც უზრუნველყოფს მისთვის ქალური პროფესიის ათვისებას.

შრომის სახეობებში განსხვავება ზოგჯერ გამოყენებულია იმის ასახსნელად, რომ განათლებიდან მიღებული უკუგების სიდიდე შავკანიან მუშაკებში უფრო ნაკლებია, ვიდრე თეთრკანიანებში. განათლების ყველა დონეზე შავკანიანები უფრო ნაკლებს ღებულობენ თეთრკანიანებთან შედარებით. ღებატები მიმდინარეობს იმის გასარკვევად, ასეთი განსხვავება რასობრივი დისკრიმინაციის შედეგია თუ ეს არის განსხვავება თეთრკანიანი და შავკანიანი ინდივიდების მიერ მიღებულ კვალიფიკაციაში. გარკვეულ არგუმენტად არის გამოყენებული ის ფაქტი, რომ 1970 წლიდან აშშ-ში, ზოგიერთი გამოკვლევის თანახმად, შავკანიანები შრომის ბაზარზე შესვლის შემდეგ მეტ უკუგებას ღებულობენ თავიანთი დახარჯული შრომიდან, ვიდრე იგივე განათლების მქონე თეთრკანიანები და მათი ხელფასების შეფარდება სულ უფრო უმჯობესდება.⁹⁶

დასავლეთის ეკონომიკურ ლიტერატურაში ადამიანისეული კაპიტალის თეორიის საპირისპიროდ გამოყენებულია ის ფაქტიც, რომ თუ ბოლო პერიოდში იზრდება შავკანიანების განათლების დონე, პარალელურად იზრდება მათი უმუშევრობის დონეც.⁹⁷

თეზისი იმის შესახებ, რომ რასობრივი ჯგუფების მიხედვით განსხვავება დასაქმების დონეში ეკვივალენტურია მათ მიერ მიღებული განათლებისა, გამოყენებულია როგორც დისკრიმინაციის მაჩვენებელი დაქირავებაში, მომზადებასა და თანამდებობრივ წინსვლაში.

ზოგიერთ თეორიაში დისკრიმინაცია არ არის უშუალოდ განსაზღვრული რაოდენობრივად, მაგრამ ამოსავალ პირობად მიჩნეულია ხელფასებს შორის განსხვავება, ან კიდევ ის დროითი მონაკვეთი, რომელსაც განსხვავებული რასისა და სქესის ადამიანები ანდომებენ სამუშაოს ძებნას. ამოსავალი პირობა არის, აგრეთვე, საცხოვრებელი ადგილი, სასწავლო დაწესებულების პრესტიჟი და სხვ., რაც ფაქტობრივად უკუღებელყოფილია ადამიანისეული კაპიტალის თეორიაში.

⁹⁶ J. Smith, F. Welch, Black Economic Progress After Myrdal. "Journal of Economic Literature." 1989. # 27, pp.519-564.

⁹⁷ W. A. Darity, R. Mayers, Changes in Black White Income Inequality: A Decade of Progress? "Review of Black Political Economy" 1980. #11; pp.355-379.

ისტორიული თვალსაზრისი

ეკონომიკის განათლებაზე ზეგავლენის ანალიზისას სოციალურ ფენებს შორის კონფლიქტის თეორია კონცენტრირებულია ხანგრძლივ პერიოდში სწავლების გაფართოებით გამოწვეულ ეფექტზე. ტექნიკურ-ფუნქციონალური თეორია ამტკიცებს, რომ ეროვნული განათლების გაფართოება არის შრომის ჩვევებსა და ხელოვნებაზე მთელი ეკონომიკის მოთხოვნის შედეგი. შესაბამისად ცოდნის ამადლება იწვევს ტექნოლოგიური პროცესების ცვლილებებსაც. სოციალურ ფენებს შორის კონფლიქტის თეორიის თანახმად, კი განათლების დონის ზრდა არის კონკურენციის შედეგი.

ისტორიული თვალსაზრისით, მრავალ ქვეყანაში ადამიანის ცოდნის ამადლება იყო სოციალური ფენების ღირებულების ანუ საზოგადოებაში მათი ადგილის დამკვიდრების პირობა. განათლებულ ადამიანებს ეჭირათ გამორჩეული ადგილი, რაც სხვა ფენებსაც სტიმულს აძლევდა განათლების შესაძენად. ეს პროცესი ზოგიერთ ქვეყანაში მემკვიდრეობით შემორჩა, სხვაგან კი უფრო გაძლიერდა ახალი სოციალური ჯგუფების წარმოშობის გზით. ყოველი ახალი ასეთი ჯგუფის გამოჩენა იწვევდა ძველი განათლების გაუფასურებას. ამიტომ საჭირო ხდებოდა მუდმივად განათლებაზე ზრუნვა, რათა ელიტარულ ინდივიდებს შეენარჩუნებინათ თავიანთი ადგილი საზოგადოებაში. ამდენად განათლება გახდა თავისებური "სათამაშო არენა", სადაც უფრო დაბალი კლასისა და კულტურის მატარებელი ჯგუფები ცდილობდნენ თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესებას სასწავლო დაწესებულებებში სწავლების გაფართოებით. პერიოდულად უფასურდებოდა ადრინდელი განათლებით მიღებული მათი ცოდნა, სხვები კი ცდილობდნენ არსებული სტატუსის შენარჩუნებას. საგანმანათლებლო კონკურენცია გარდაიქმნა სოციალურ კონკურენციად და საგანმანათლებლო მოთხოვნებიც შრომაზე განუწყვეტლივ იზრდებოდა, რაც სრულებით არ იყო აუცილებელი, შესაბამისობაში ყოფილიყო ეკონომიკაში განხორციელებულ ტექნოლოგიურ ცვლილებებთან.

შეიძლება ვაღიაროთ, რომ კონკურენცია სხვადასხვა სოციალურ ჯგუფს შორის ნამდვილად არის იმის სტიმული, რომ გაფართოვდეს და განვითარდეს განათლების სისტემა. ისტორიულ ასპექტში ყოველი ევოლუციური ცვლილება მოითხოვდა ახალი სოციალური ჯგუფებისათვის ფართო განათლების მიცემას. ყოველი ახალი ემიგრაციული ტალღა იწვევდა სოციალურ სტატუსში

ცვლილებებს. დემოკრატიისა და რელიგიური თავისუფლების განვითარება წარმოშობდა ახალი რელიგიებისა და განსხვავებული აზროვნების ადამიანების დაპირისპირებას ტრადიციულთან და ასეთი ცვლილებები არ შეიძლება განხორციელდეს უკონფლიქტოდ. ყველა ამ მოვლენას ჰქონდა როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური მხარე. იგი მოითხოვდა ქცევების მეტ არგუმენტირებას, ღირებულების დასაბუთებას და, შესაბამისად, უფრო მეტ განათლებას, მაგრამ ახალ ემიგრაციულ ნაკადს შეეძლო ასევე არსებული კულტურისა და ცოდნის ნგრევა. მაგალითად, აშშ-ში 1870-1930 წლებში კათოლიკურმა და ანგლო-პროტესტანტული კულტურის მქონე ჯგუფებმა ერთმანეთის საპირისპირო ზემოქმედება მოახდინა სკოლების განვითარებაზე. როგორც ამ პრობლემის მკვლევრები აღნიშნავენ, კათოლიკურმა ეკლესიამ შეამცირა საზოგადოებრივი სკოლების რაოდენობა, ჩამოაყალიბა თავისი კერძო სასწავლებლები, რათა კონკურენცია გაეწია ტრადიციული განათლების სისტემისათვის, ხოლო ანგლო-პროტესტანტული კულტურის მქონე სოციალურმა ჯგუფებმა გააფართოვა ეს სკოლები.⁹⁸

საქართველოს ისტორიაში ცნობილია კათოლიკური სკოლების დრამატული ისტორია, რომელიც მართლმადიდებლურ იდეოლოგიასთან აღმოჩნდა დაპირისპირებული. ადამიანის გონებაზე გაბატონების რელიგიური ბრძოლის პროცესი საქართველოში დღესაც მიმდინარეობს. მას ემატება დასავლეთის ენობრივი და იდეოლოგიურ-კულტურული ღირებულებების დანერგვის ცდებიც.

§2. სოციალური კონფლიქტის თეორიის

სხვა ასპექტები

სოციალურ ფენებს შორის კონფლიქტის თეორია, ტექნიკურ-ფუნქციონალური თეორიის მსგავსად, არკვევს იმას, თუ რამდენად მოითხოვს განათლების განვითარებას ტექნოლოგიური ცვლილებები. ამ თეორიის თანახმად, სასწავლო სისტემების სრულყოფა არის ინდუსტრიალიზაციისა და ურბანიზაციის პროცესების შედეგი. ეს პროცესები ქმნის მოთხოვნას ტექნოლოგიურ განვითარებაზე, რაც ხორციელდება შრომის უნარისა და დახელოვნების

⁹⁸ J. Ralph, and R. Rubinson. Immigration and the Expansion of Schooling in the US 1880-1970. "American Sociological Review". 1980. #45, pp.943-954.

სრულყოფით ეკონომიკაში. სოციალურ ფენებს შორის კონფლიქტის თეორიის მიმდევრები ამტკიცებენ, რომ ინდუსტრიალიზაცია და ურბანიზაცია პრაქტიკულად კი არ ფართოვდება, არამედ იკვეცება.⁹⁹ ეს პოზიცია მიუღებელი რამდენიმე მიზეზის გამო. ჯერ ერთი, იგი არ არის ტექნიკურ-ფუნქციონალური თეორიის ღირებულების ტოლფასი. მეორეც, ინდუსტრიალიზაცია და ურბანიზაცია არ წარმოადგენენ კარგ ინდიკატორებს იმისათვის, რომ განისაზღვროს ტექნოლოგიური პროცესების განახლების მაჩვენებელი, რადგან ტექნოლოგიური ეფექტების გაზომვა უნდა ხდებოდეს შრომისა და კაპიტალის ეკონომიკურ ზრდაზე ზემოქმედების შემაჯამებელი ინდიკატორების ფორმირების გზით. განათლების სისტემის განვითარებისათვის ტექნოლოგიური ზრდის, როგორც შედეგის, გასარკვევად საჭიროა ტექნიკური ეფექტის (რომელიც კაპიტალისა და შრომის ხელშეწყობით ხორციელდება) პირდაპირი გაზომვა.

რიჩარდ რუბინსონი და ჯონ რალფი შეეცადნენ ტექნიკური ზემოქმედების პირდაპირ გაზომვას.¹⁰⁰ ამ მიზნით მათ გააანალიზეს დაწყებითი და საშუალო სკოლის მოსწავლეთა რაოდენობა 1890-1970 წლებში და დაადგინეს, რომ ტექნიკური ეფექტიანობა სისტემატურად ახდენს ზეგავლენას სასწავლებლების ქსელის გაფართოებაზე. ამასთან, თუ 1890-1992 წლებში ტექნიკური ეფექტის შედეგად გაიზარდა მოსწავლეთა რაოდენობა დაწყებით სასკოლო განათლებაში, 1923-1970 წლებში უკვე გაფართოვდა საშუალო და არადაწყებითი სასკოლო სისტემა. ეს კი, ამ ავტორების აზრით, იმის მაჩვენებელია, რომ ტექნიკური ეფექტის ზრდა ხდება პერმანენტულად და იგი იწვევს თავდაპირველად დაწყებითი და შემდგომ კი საშუალო და უმაღლესი განათლების ზრდას. ამით ეს თეორია დაუახლოვდა ტექნიკურ-ფუნქციონალურ თეორიას, მაგრამ, მისგან განსხვავებით, იგი ამტკიცებს, რომ დაწყებით და საშუალო სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობა იზრდება მანამ, სანამ იგი ზემოქმედებას მოახდენს ტექნიკური ეფექტიანობის ზრდაზე. ამდენად განათლების ზრდა წინ უსწრებს ტექნიკურ პროგრესს. აღნიშნულ მოვლენას ეს თეორია ასაბუთებს მოსწავლეთა რაოდენობრივ ცვლილებებზე სოციალურ ფენებს შორის კონფლიქტის

⁹⁹ B. Fuller, Youth Job Structure and School Enrollment, 1890-1920. "Sociology of Education". 1983. #56, pp.145-156; P. Wallters, Holly McCammon, D. James, Schooling or Working? Public Education, Racial Politics and The Organization of Production in 1910. "Sociology of Education". 1990. #63, pp.1-26.

¹⁰⁰ R. Rubinson, J. Ralph, Technical Change and the Expansion of Schooling in The United States, 1890-1970. "Sociology of Education". #57, pp.134-152.

ზემოქმედებით. ამით ამ თეორიის მიმდევრები ამტკიცებენ, რომ აშშ-ში სასწავლო დაწესებულებების განვითარება არის როგორც ტექნიკური პროგრესის, ასევე სოციალურ ფენებს შორის კონფლიქტის ზემოქმედებისა და მათი კონკურენციის შედეგი. დაწყებითი და საშუალო განათლების ზრდა თავდაპირველად იყო სოციალურ ფენებს შორის კონკურენციის შედეგი, მაგრამ შემდგომში სასწავლებლების მასობრივი გაფართოება მოხდა როგორც კონკურენციის, ასევე ტექნიკური ცვლილებების ფუნქციის შედეგად. მართალია, სტუდენტთა რაოდენობის ზრდა ხდება ტექნოლოგიური ცვლილებებისაგან დამოუკიდებლად, მაგრამ მათზე მოთხოვნა ყალიბდება ტექნოლოგიური ცვლილებების გამო, რაც ფრიად მნიშვნელოვანია განათლების სისტემის გაფართოების მიზანშეწონილობის დასადგენად. ამასთან, რამდენადაც განათლების დამადასტურებელმა დიპლომებმა შეიძინეს არსებითი სტატუსი, იმდენად განათლების სისტემის განვითარება კვლავ ავტომატურად წარიმართა, მიუხედავად იმისა, იგი რაციონალურია ეკონომიკისათვის თუ არა.

ამ ემპირიული შეხედულების მიმდევრები, სოციალურ ფენებს შორის კონფლიქტის თეორიიდან გამომდინარე, ამტკიცებენ, რომ შრომის უნარისადმი საგანმანათლებლო მოთხოვნები იზრდება უფრო სწრაფად, ვიდრე შრომის გამოცდილება და დახელოვნება, რაც განპირობებულია ადრეულ პერიოდში ანგლო-პროტესტანტული ჯგუფის მიერ საზოგადოებრივ სკოლებზე კონტროლის დაწესებით და კათოლიკური თუ სხვა ემიგრაციული ჯგუფების მიერ მათთან კონკურენციით განათლების სფეროში, ამიტომ ამ პერიოდში სკოლების გაფართოება უფრო სწრაფად მოხდა, ვიდრე ტექნიკური ეფექტიანობის ზრდა.

ეს თეორია აღიარებს ზოგიერთ იმ თეზისს, რომელიც ტექნიკურ-ფუნქციონალურ თეორიაშია დასაბუთებული, კერძოდ კი, იზიარებს იმ აზრს, რომ საგანმანათლებლო მოთხოვნების ზრდა გამომდინარეობს საზოგადოების მოთხოვნიდან შრომის დახელოვნებასა და სკოლების გაფართოებასთან დაკავშირებით, რაც გამოწვეულია ეკონომიკის ტექნიკური ეფექტიანობის ზრდის აუცილებლობით. მართალია, სოციალურ ფენებს შორის კონფლიქტისა და ტექნიკურ-ფუნქციონალური თეორიები ერთმანეთის საპირისპიროა, მაგრამ მათი შეერთება და კომბინირება არ უნდა იყოს აზრს მოკლებული. ფაქტობრივად ასეთი სინთეზის ცდა უკვე არის წარმოდგენილი უახლოეს თანამედროვე

ნაშრომებში.¹⁰¹ იგი გამართლებულია განათლების ეკონომიკაზე ზემოქმედების პერსპექტივების შედარებით უფრო ზუსტად განსაზღვრის მოტივით.

§3. განათლების კლასობრივი

თეორიები

განათლების სოციალურ ფენებს შორის კონფლიქტის თეორია ენათესავება განათლების კლასობრივ თეორიებს. ამ თეორიების მიმდევრები ამოდიან არა საზოგადოების შრომითი უნარისა და შრომის ნაყოფიერების, არამედ ეკონომიკური, კერძოდ კაპიტალიზმის იძულებითი ხასიათის მოთხოვნებიდან, რაც გულისხმობს განათლების როლის გაზრდას იმ მიზნით, რათა გაძლიერდეს კაპიტალისტური ხელისუფლება, განმტკიცდეს მუშათა კლასის დისციპლინა, შესრულდეს შესაბამისი შრომითი საქმიანობები და შეიზღუდოს ანტიკაპიტალისტური მოძრაობა. განათლებამ, მარტივად რომ ვთქვათ, უნდა უზრუნველყოს ჩამოყალიბებული კლასობრივი სტრუქტურა და მოახდინოს გაბატონებული კლასის უპირატესობების რეალიზაცია, მათდამი დანარჩენი კლასების დაქვემდებარება. შესაბამისად, განათლება ხდება სახელმწიფო სისტემის იძულებითი და ფორმალური ხასიათის შემადგენელი ნაწილი.

ისტორიულად განათლების სისტემის განვითარება უზრუნველყოფდა მუშათა კლასის ჩაბმას კაპიტალისტურ საწარმოებში და მათ მიერ შესაბამისი სამუშაოების შესრულებას; სუბორდინაციას ხელმძღვანელობასთან, მესაკუთრეებსა და ხელისუფლებასთან. განათლების სტრუქტურა პასუხობდა იძულებითი შრომისა და გაბატონებული ფენების პოლიტიკის მოთხოვნებს. სასწავლებლების ბიუროკრატიული ორგანიზაცია აგებული იყო კაპიტალისტური შრომისათვის დამახასიათებელ თვისებებზე და ინდივიდუალური ფასეულობები გათანაბრებული იყო ინდივიდუალური ჯგუფებისათვის ხელსაყრელ პოლიტიკასთან. მუშაკების შრომისათვის მომზადება ხდებოდა მათი სოციალიზაციისა და პოლიტიკური თუ ეკონომიკური ხელისუფლების ინტერესებთან დაქვემდებარების გზით. ამიტომ სასწავლო დაწესებულებების განვითარებას არ ჰქონდა კავშირი ტექნოლოგიურ ცვლილებებთან და არ იყო

¹⁰¹ B. Fuller, R. Rubinson, Does the State Expand Schooling? Review of the Evidence. The Political Construction of Education. Ed. by B.Fuller and R. Rubinson. New-York, Praeger. 1992. pp. 1-28.

აუცილებელი შრომის უნარისა და ხელოვნების უპირატესი განვითარება ეკონომიკური ზრდისა თუ შრომის ნაყოფიერების ამაღლების უზრუნველსაყოფად. ასეთი კლასობრივი შეხედულებები დამახასიათებელი იყო მე-19, მე-20 საუკუნეებისათვის და არსებობდა საბჭოთა პერიოდის საქართველოშიც.

კლასობრივი თეორია, სოციალურ ფენებს შორის კონფლიქტის თეორიის მსგავსად, ტექნიკურ-ფუნქციონალური თეორიის საპირისპირო მოძღვრებაა და მიმართულია იმის დასამტკიცებლად, რომ განათლების ზრდა არ გამომდინარეობს ტექნიკური ცვლილებებიდან და არ აისახება მუშაკის დახელოვნებაზე.¹⁰² იგი შრომის ნაყოფიერებასა და საგანმანათლებლო მოთხოვნებს შორის დამოკიდებულებას არ თვლიდა პირველხარისხოვან ურთიერთობად და სუსტად განმარტავდა ტექნოლოგიური ცვლილებების ზემოქმედებას განათლების განვითარებაზე.

განათლების კლასობრივ ურთიერთობებზე მოქმედებიდან გამომდინარე კლასობრივი თეორია ამტკიცებს შემდეგს: 1. საზოგადოებრივი სკოლების განვითარება ხდება ინდუსტრიალიზაციასთან ერთად; 2. სასწავლო დაწესებულებები უფრო განვითარებულია ინდუსტრიულ რეგიონებში, ვიდრე აგრარულში; ქალაქებში - ვიდრე სოფლებში, მამაკაცებში - ვიდრე ქალებში და თეთრკანიან მოსახლეობაში - ვიდრე შავკანიანებში; 3. იგი იზრდება პოლიტიკური ბრძოლისა და კლასობრივი კონფლიქტების გამო.

დროთა განმავლობაში ეს თეორია სულ უფრო ძველდება და აღნიშნული დებულებებიც ნაკლებ მხარდაჭერას იმსახურებს.

ყველა ქვეყანაში მუშათა კლასი ტიპურად მისდევს განათლების დონის ზრდის მოთხოვნებს. ეს გარემოება მოტივირებულია იმით, რომ ცოდნის ზრდა საზოგადოებაში იძლევა საშუალო კლასის პოზიციების დაკავების შესაძლებლობას. ამდენად განათლება კარგავს მუშათა კლასზე კონტროლის განხორციელების ფუნქციას. მასზე სახელმწიფო კონტროლის დაწესება და იდეოლოგიური ფორმების გაბატონება ისტორიულად სპეციფიკურ პერიოდში ხორციელდებოდა. განათლების სისტემა მის მარწუხებში იყო მოქცეული, რაც გულისხმობდა იმ აუცილებელი პოლიტიკური პოსტულატების სწავლებას,

¹⁰² საბჭოთა პერიოდში ეს თეორია შედარებით შერბილებული იყო და როგორც ყველა კლასობრივი მოძღვრება, ყურადღებას ამახვილებდა სწავლების იდეოლოგიურ მხარეზე. აღნიშნული თეორიის პრინციპები დამახასიათებელია ადრეული კაპიტალიზმის პერიოდისათვის და მისი ინტერპრეტაცია დღესაც გრძელდება მრავალი მეცნიერის მიერ.

რომლის გარეშე პროფესიის მიღება და სამუშაოზე მოწყობა არ შეიძლებოდა.

კლასობრივი თეორია მეორეხარისხოვან ყურადღებას უთმობს განათლების ეკონომიკაზე ზემოქმედებას. სოციალურ ფენებს შორის კონფლიქტის თეორიის მსგავსად იგი უგულებელყოფს განათლების მეშვეობით ინდივიდების შრომის ნაყოფიერების ამღლების ეკონომიკაზე პირდაპირი და აუცილებელი ზემოქმედების ხასიათს. განათლების ზემოქმედება ხორციელდება არაპირდაპირ სახელმწიფოს, კაპიტალისტების, ლეგიტიმური ხელისუფლებისა და შრომის ორგანიზაციის განმტკიცების გზით.

უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს მრავალი თეორია, რომელიც იკვლევს განათლებასა და სახელმწიფოს ლეგიტიმური ძალუფლების გაძლიერებას შორის კავშირს, განათლების ზემოქმედებას კლასობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბებაზე და სტუდენტთა სოციალიზაციის პრობლემებს კაპიტალისტების კლასთან ურთიერთობებში, მაგრამ ეს თეორიები ტრადიციულად ყურადღებას ამახვილებენ იდეოლოგიურ პოსტულატებზე და სასწავლო პროგრამებზე. ისინი იკვლევენ განათლების ეფექტს ცალკეულ სტუდენტებზე და შემდეგ ცდილობენ ამ ეფექტების განზოგადებას ეროვნული ეკონომიკის მასშტაბით. ამდენად მათ მეთოდოლოგიურად ისეთივე სუსტი მხარეები გააჩნიათ, რაც ტექნიკურ-ფუნქციონალურ თეორიას აქვს.

თანამედროვე პერიოდში ამ თეორიის მრავალი მიმდევარი ცდილობს გარდაქმნას იგი და ჩამოაყალიბოს განათლების ეკონომიკაზე ზემოქმედების ახალი ფორმულა. მათ ტრადიციულ კლასობრივ თეორიასთან შედარებით აქვთ უფრო განსხვავებული თეორიული და მეთოდოლოგიური მიდგომა. ისინი ყურადღებას ამახვილებენ განათლებაში კლასების ორგანიზაციულ სტრუქტურაზე, მათ ზემოქმედებაზე ეკონომიკურ ზრდასთან დაკავშირებით, რაც ფაქტობრივად კლასობრივი თეორიის ინსტიტუციონალურ თეორიად გარდაქმნას ნიშნავს.

თაზო XII

განათლების ინსტიტუციური თეორიები

§1. ინსტიტუციური თეორიის ძირითადი ასექტები

ტექნიკურ-ფუნქციონალური თეორიები დაფუძნებულია განათლების სოციალური ორგანიზაციის პრინციპზე, ხოლო განაწილებითი თეორიები - განათლების სტრატეგიკაციის ორგანიზაციის პრინციპზე. აღნიშნული თეორიების საპირისპიროდ ინსტიტუციური თეორიები ბადებს აპრიორულ კითხვას: რატომ ითვლება განათლება ცენტრალურ და ეფექტურ ორგანიზაციად სოციალიზებული ან სტრატეგიკაციული აზრით?

ინსტიტუციური თეორია თავისი პრინციპების დასაბუთებას ცდილობს ისტორიული მიდგომის გამოყენებით, რომლის თანახმად, მე-19 საუკუნეში სწავლების სისტემა როგორც ინდივიდუალური, ასევე ეროვნული განვითარების დონეზე განიხილებოდა ფუნქციონალურ აუცილებლობად და სოციალურ იმპერატივად. სახელმწიფოს და ინდივიდებს განათლების შესახებ პროფესიის ათვისებასთან დაკავშირებით ამჟამად აქვთ რწმენა, აგრეთვე სწამთ ეკონომიკის განვითარება, კლასობრივი სისტემის დაცვა და სახელმწიფოს ლეგიტიმირება. მაგრამ ჩნდება კითხვა, თუ რატომ ასრულებს ამ ფუნქციას მაინცდამაინც სასწავლო დაწესებულებები და არა სხვა ინსტიტუტები? ამ კითხვაზე ეს თეორია შემდეგნაირად პასუხობს: სასწავლებლები წარმოადგენენ გლობალურ ფენომენს და მათი ძალაუფლების შესახებ არსებობს მტკიცე იდეოლოგიური რწმენა. საზოგადოებაში საყოველთაოდ არის აღიარებული სასწავლებლების ორგანიზაციული სტრუქტურის მნიშვნელობა, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო სისტემის მუშაობას არა მარტო ლოკალურ და ეროვნულ დონეზე, არამედ მსოფლიო მასშტაბით. იდეოლოგიურ რწმენასა და სასწავლო დაწესებულებების ორგანიზაციულ სტრუქტურაში იგულისხმება განათლების, როგორც საზოგადოებრივი ინსტიტუტის არსებობა, სადაც ხდება სწავლების შედეგის, როგორც თანამედროვე საზოგადოების სოციალური სტრუქტურის

აუცილებელი კომპონენტის, წარმოება.¹⁰³

ინსტიტუციური თეორიის თანახმად, სასწავლებლების განვითარება დაკავშირებულია არა ეკონომიკურ ზრდასა თუ სტრატეგიკაციის სოციალურ სისტემასთან, არამედ ეროვნული სახელმწიფოებრიობის განვითარებასა და მოქალაქეობასთან. ისტორიულად იგი წარმოადგენდა გლობალურ პროცესს, რომელმაც შექმნა კაპიტალისტური ეკონომიკა და ვითარდებოდა რაციონალიზმისა და ინდივიდუალიზმის დასავლური ტრადიციების მიხედვით. ინსტიტუციური თეორიის მიხედვით, განათლება იმის გამო გახდა ღირებულების მქონე კოლექტიური საქონელი, რომ პოლიტიკური და ეკონომიკური ელიტა ცდილობდა ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნას. აქ იგი წააწყდა წინააღმდეგობას პოლიტიკური, რელიგიური, ეკონომიკური და კულტურული ცენტრებიდან. გაბატონებისათვის ბრძოლაში თანამედროვე სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი მექანიზმია ეროვნული სავალდებულო საგანმანათლებლო სისტემის შექმნა, რაც ეხმარება მათ ერთიანი ლეგიტიმური სახელმწიფოს ფორმირებასა და მასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტაში. განათლების სისტემამ "შექმნა" ახალი მოქალაქეობა ახალი საზოგადოებისათვის. მან არსებითად ინდივიდისათვის დამახასიათებელი თვისებების შესაბამისად, შექმნა საზოგადოებაში მათი ადგილის დამკვიდრების შესაძლებლობები და ნაკლებად შეუწყო ხელი საზოგადოების კერძოუწყებრივი მობილური სტრუქტურების ფორმირებას. ინსტიტუციური თეორიის მიხედვით, მასობრივი სასწავლო დაწესებულებები იქცა თანამედროვე საზოგადოებაში მონაწილეობის სიმბოლურ ფორმად. განათლება კი გახდა ის ორგანიზაციული მექანიზმი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს, ერთის მხრივ, ინდივიდების ჩამოყალიბება მოქალაქეებად;¹⁰⁴ მეორეს მხრივ, კი - ინდივიდების ლეგიტიმური ადგილი საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში, რაც ინსტიტუციური თეორიის მიერ განათლების, როგორც სტრატეგიკაციის ორგანიზაციული თეორიის კომპონენტის, აღიარებას წარმოადგენს.

¹⁰³ J. Boli, Institutions, Citizenship and Schooling in Sweden. The Political Construction of Education. Ed by B. Fuller and R. Robinson. New York, Praeger. 1992. pp.61-74; J. Mayer. The Social Construction of Motives for Education Expansion. The Political Construction of Education. Ed by B. Fuller and R. Rubinson. New York, Praeger. 1992. pp.225-238; F. Ramirez, M. Ventresca, Building the Institution of Mass Schooling: Isomorphism in the Modern World. The Political Construction of Education. Ed. by B. Fuller and R. Rubinson. New York. Praeger. 1992.pp.47-59.

¹⁰⁴ ამ დებულების აღიარებით ინსტიტუციონალურმა თეორიამ გაიზიარა განათლების სოციალიზებული ორგანიზაციის თეორიის პრინციპები.

ინსტიტუციური თეორია ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სწავლების პროცესი საგანმანათლებლო სასწავლებლებში ისეთია, რასაც მოითხოვს საზოგადოების სოციალური დაყოფა. სასწავლო დაწესებულებები არიან მხოლოდ ის რიტუალური ორგანიზაციები, რომლებიც ქმნიან რწმენას განათლების ძალაუფლების შესახებ. სასწავლებლები შეიძლება არ წარმოადგენდეს ეფექტურ დაწესებულებებს ინდივიდების სოციალიზაციისათვის (ანუ მათი მომზადებისათვის საზოგადოებაში ადგილის დასამკვიდრებლად), მაგრამ იგი შინაგანად შეიცავს სოციალიზაციის თეორიის იმ პრინციპებს, რომლებიც ხელს უწყობენ ინდივიდების ტრანსფორმაციას თანამედროვე ადამიანებად და მწარმოებლურ მუშაკებად. იგი განმარტავს, თუ რამდენად ქმნის განათლება ინდივიდისათვის დამახასიათებელი თვისებების ადეკვატურ შესაძლებლობებს მათი საზოგადოებაში ადგილის დამკვიდრებისათვის სტრატეგიული სტრუქტურის ფორმირებით. შესაბამისად, განათლება არის მთავარი ინსტიტუტი, რომელიც აკანონებს როგორც პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ სტრუქტურებს არა ინდივიდების ტრანსფორმირების, სოციალიზაციის ან განაწილების გზით, არამედ - მათი ინსტიტუციური დაქვემდებარების უზრუნველყოფით; სასწავლო დაწესებულებებში ცოდნით შეიარაღებისა და მომზადების გზით მოქალაქეების მიერ გამომუშავებული პოზიციების სტრატეგიული სისტემაში განთავსებით.

რამდენადაც ინსტიტუციური თეორია ძირითადად ეფუძნება თანამედროვე საზოგადოების, სახელმწიფოსა და მოქალაქეობის ფორმირების გლობალურ პროცესებს, იმდენად იგი თვლის, რომ ეკონომიკურ პროცესებს აქვს მცირე ზემოქმედების უნარი განათლების განვითარებაზე. ამიტომ სოციალურ ფენებს შორის კონფლიქტისა და განაწილების თეორიების მსგავსად, ინსტიტუციური თეორიის მიმდევრები მიიჩნევენ ტექნიკურ-ფუნქციონალურ თეორიას არასაკმარისად ამ ურთიერთზემოქმედების ასახსნელად. იგი აქცენტირებას ახდენს ეროვნული და ისტორიული თეორიების შედარებით ანალიზზე.

ინსტიტუციური თეორიის მიმდევრებს მოაქვთ რამდენიმე არგუმენტი:

პირველი, სასკოლო დაწესებულებაში სტუდენტთა და მოსწავლეთა რაოდენობის ეროვნული შედარებების საფუძველზე გამოაქვთ დასკვნა ეკონომიკური ზრდისა და ინდუსტრიალიზაციის ტემპის უფრო სუსტი ზემოქმედების შესახებ დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი განათლების

სისტემაზე, ვიდრე ამას ტექნიკურ-ფუნქციონალური თეორია ამტკიცებს.¹⁰⁵ შედარებითი ანალიზის თანახმად, სამუშაო ძალა და ეკონომიკა მთლიანად მცირედი ზემოქმედებს განათლების მხოლოდ კონკრეტულ ტიპებზე. ძირითადად ზემოქმედება ხდება არასასკოლო სწავლების პერიოდში. კვლევამ უჩვენა, რომ ეკონომიკა ზემოქმედებს აგრეთვე ეროვნული საგანმანათლებლო სისტემის სხვადასხვა სტრუქტურაზე, როგორცაა ეროვნული პოლიტიკური კონტროლის ხარისხი.¹⁰⁶

მეორე, თუ ეკონომიკური პროცესები არ განსაზღვრავენ ეროვნული ეკონომიკური განვითარების ზრდას, მაშინ რა არის მისი ზრდის მთავარი ფაქტორები ინსტიტუციური ასპექტებიდან გამომდინარე? ინსტიტუციური თეორიის მიმდევრები ამტკიცებენ, რომ სხვადასხვა ქვეყანაში განათლების განვითარება და გაფართოება არის ცალსახა და მარტივი. იგი ეროვნული პროცესებისაგან დამოუკიდებელია. სახელმწიფო ავითარებს ყველა საგანმანათლებლო საქმიანობას, მის ორგანიზაციულ სტრუქტურას. იგი აყალიბებს ეროვნული სახელმწიფოებრიობისა და მოქალაქეობის გლობალურ კულტურულ მოდელს, რაც ასევე დამოუკიდებელია ადგილობრივი პირობებისაგან. შესაბამისად ხდება საგანმანათლებლო სტრუქტურების სტანდარტიზაცია. ყველა ქვეყანაში განათლების სისტემისათვის დამახასიათებელია: 1. ეროვნული განათლების სამინისტროს ხელისუფლების არსებობა; 2. მასობრივი სწავლების სავალდებულო წესი და კანონმდებლობა; 3. ასაკის მიხედვით სასწავლო სისტემებისა და სტრუქტურების გრადაცია; 4. ზრდადი კერძო ინსტიტუტები და სასწავლო პროგრამები. შესაბამისად, ეროვნული საგანმანათლებლო მოღვაწეობა ემყარება ინსტიტუციური იზომორფიზმის პროცესებს, რომლებიც დაფუძნებულია არსებითად ეროვნული სახელმწიფოებრიობისა და მოქალაქეობის გლობალურ კულტურულ მოდელზე და ნაკლებად არის დამოკიდებული ტექნიკურ ცვლილებებზე ან კლასთა დომინაციის ძალების მოქმედებაზე¹⁰⁷.

¹⁰⁵ J. Mayer, F. Ramirez, Y. Soysal, World Expansion of Mass Education. 1870-1980. "Sociology of Education", 1992. #65, pp. 128-49.

¹⁰⁶ F. Ramirez, R. Rubinson, Creating Members: The Political Incorporation and Expansion of Education. National Development and the World-System. Ed by J. Meyer and M. Hannan. Chicago, University of Chicago Press. 1979. pp. 72-84. Y. Soysal, D. Strang, Construction of the First Mass Education Systems in Nineteenth Century Europe. "Sociology of Education". 1989. # 62, pp.277-288.

¹⁰⁷ F. Ramirez, R. Rubinson, Creating Members: The Political Incorporation and Expansion of Education. National Development and the World-System. Ed by J. Meyer and M. Hannan. Chicago, University of

აღნიშნულ თეორიას რამდენიმე სუსტი მხარე აქვს: მისი დებულებები ემყარება ტექნიკურ-ფუნქციონალურ და სოციალური სტრატეგიკაციის თეორიების ურთიერთგამომრიცხავ მტკიცებებს. მაგალითად, თეზისი განათლებაზე ეკონომიკის სუსტი ზეგავლენის შესახებ დამყარებულია ტექნიკურ-ფუნქციონალური და კლასთა თეორიების ურთიერთსაპირისპირო დებულებების ხელოვნური და შუალედური სინთეზის გამოყენებაზე, ხოლო მისი დასკვნები მხოლოდ აპრიორულად არის მისაღები. ამასთან, ამ თეორიული დასკვნების არგუმენტია სხვადასხვა ქვეყანაში განათლების სისტემის ორგანიზაციული ერთგვაროვნება. ამდენად, სხვა თეორიების სუსტი არგუმენტები წარმოადგენს ინსტიტუციური თეორიის დებულებების მტკიცების პირობას, მაგრამ იგი არ ახასიათებს იმას, თუ რა უნდა იყოს განათლებაზე ინსტიტუციური ზემოქმედების რაოდენობრივი საზომი.

ისმის კითხვა: თუ ეკონომიკა სუსტად ზემოქმედებს განათლებაზე, მაშინ რა ეფექტი უნდა ჰქონდეს განათლების ზემოქმედებას ეკონომიკაზე? სოციალურ ფენებს შორის კონფლიქტისა და კლასთა თეორიის მსგავსად, ინსტიტუციური თეორია თვლის, რომ განათლება პირდაპირ მცირედ ზემოქმედებს ეკონომიკაზე. პრაქტიკულად იგი ხორციელდება ინდივიდუალურ დონეზე ადამიანისეული კაპიტალის განვითარებით და ინდივიდების უნარისა და შესაძლებლობების გაძლიერებით. თუ განათლება ზემოქმედებს ეკონომიკაზე, მაშინ, ინსტიტუციური თეორიის არგუმენტებით, იგი ხორციელდება ეკონომიკურ საქმიანობაზე ზემოქმედებით შრომითი საქმიანობების სხვადასხვა სახეობის ან კიდევ მოსახლეობის, როგორც პროფესიული ეკონომიკური მოთამაშეების, ლეგიტიმიზაციის გზით¹⁰⁸

ინსტიტუციური თეორიის მიმდევრებმა, მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, აღიარეს განათლების გარკვეული ზემოქმედება ეკონომიკაზე, რაც არ არის გათვალისწინებული ტექნიკურ-ფუნქციონალური ან კიდევ ადამიანისეული კაპიტალის თეორიებში ორი მიზეზის გამო: 1. ეს არ არის ფართო მასშტაბის ზემოქმედება მწარმოებლობის თეორიებთან შედარებით; 2. ეს ზემოქმედება არ არის ერთგვაროვანი და განსხვავებულია სწავლების ხარისხის, ხანგრძლივობისა და ეკონომიკის განვითარების დონეების მიხედვით. საერთოდ განათლების

Chicago Press. 1979. pp. 72-84.

¹⁰⁸ J. Meyer, The Social Construction of Motives for Educational Expansion. The Political Construction. Ed by B. Fuller and R. Rubinson. New York, Praeger. 1992. pp. 225-238.

ეკონომიკური ეფექტი ინტერპრეტირებულია ინსტიტუციური თეორიის პრინციპებით.

მაგალითად, ბენავოტის თეორიაში, რომელიც სქესობრივ განსხვავებაზე არის ორიენტირებული, ნაჩვენებია, რომ ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში დაწყებით ეტაპზე განათლებას ქალებში უფრო აქვს (ვაჟებთან შედარებით) მკაცრი ზემოქმედების ეფექტი ხანგრძლივი პერიოდის ეკონომიკურ განვითარებაზე.¹⁰⁹ ამ გარემოებას ინსტიტუციური თეორია აღიარებს იმდენად, რამდენადაც დაბალგანვითარებულ ქვეყნებში განათლება აძლიერებს მოქალაქეობრივ მონაწილეობას საზოგადოებაში ტრადიციული ზღვრული სეგმენტების გაფართოებით, რის გამოც ბავშვები და ქალები ემზადებიან ეკონომიკასა და პოლიტიკაში მონაწილეობისათვის. განათლება ხელს უწყობს საზოგადოებაში მათ ინტეგრაციას. მეორეც, განათლება ლეგიტიმურს ხდის ახალ ეკონომიკურ ღირებულებებს, როგორცაა ქალების აგრარული საქმიანობა და ბავშვთა აღზრდა, რამდენადაც ხდება მათი სტატისტიკური აღრიცხვა. ეს საქმიანობა თანამედროვე საზოგადოების ღირებულების ერთ-ერთი მაჩვენებელია. შესაბამისად განათლება ხელს უწყობს ეკონომიკის პირდაპირ ზრდას ინსტიტუციური მექანიზმების გამოყენების გზით ნებისმიერი ინდივიდუალური ხასიათის ძალისხმევისა და ეფექტების მიუხედავად.

ფრანცისკო რამირესმა და მოლი ლიიმ გააანალიზეს მეცნიერებისა და განათლების ზემოქმედების ეფექტები ეკონომიკაზე.¹¹⁰ ამ მიზნით მათ გამოიყენეს მრავალი ქვეყნის მაგალითი და დაასკვნეს, რომ მეცნიერებასა და უმაღლეს ტექნიკურ განათლებაში სტუდენტთა რაოდენობის ცვლილებები მოქმედებს ეკონომიკის ზრდაზე. ამ დებულების მტკიცებისას მათ მხედველობაში ჰქონდათ მხოლოდ განვითარებადი ქვეყნები. მათი აზრით, ადამიანისეული კაპიტალის თეორიის მიერ აღიარებული ეფექტი, არ არის გამოწვეული შრომის ბაზარზე მეცნიერებისა და საინჟინრო კადრების ცვლილებებით. იგი განპირობებულია ინსტიტუციური ცვლილებებით, რასაც იწვევს მეცნიერებისა და ტექნიკური განათლების ლეგიტიმიზაცია და არა მაღალი მეცნიერული და ტექნიკური განათლების მქონე ადამიანების მომზადება.

¹⁰⁹ A. Benavot, Education, Gender and Economic Development: A Cross-National Study. "Sociology of Education". 1989. # 62, pp.14-32.

¹¹⁰ F. Ramirez, M. Lee, Education, Science and Economic Development. Paper Presented at U.S. Department of Education Conference on the Comparative Study of Educational Systems. Washington, DC. 1990.

აარონ ბენავოტმა განაზოგადა ყველა დონის განათლების ზემოქმედების ეფექტი სხვადასხვა განვითარების მქონე ქვეყნებში 1913-1985 წლების მიხედვით და დაახასიათა განათლების განსხვავებული ხასიათის ზემოქმედების ბუნება ეკონომიკაზე. ამის შედეგად მან დაასკვნა, რომ: 1. დაწყებით სასწავლო განათლებაში მოსწავლეთა რაოდენობის ცვლილებებს აქვს შედარებით უფრო პირდაპირი და მკაცრი ზემოქმედების ხასიათი; 2. საშუალო განათლება ხელს უწყობს მსოფლიოს ეკონომიკურ ზრდას, რომლის ეფექტი იგრძნობა მხოლოდ ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ; 3. უმაღლეს განათლებას აქვს ნეგატიური ან არანაირი ეფექტი ეკონომიკურ ზრდაზე.¹¹¹ ეს დასკვნები მას ინსტიტუციური ასპექტებიდან აქვს გამოტანილი და არა - ადამიანისეული კაპიტალის თეორიის პოზიციებიდან. დაწყებითი განათლების უპირატესობა უმაღლეს განათლებასთან შედარებით ახსნილია შემდეგი არგუმენტებით: დაწყებითი და საშუალო განათლების მიღების შემდეგ მოსახლეობის გაცილებით ფართო ჯგუფები ერთიანდებიან საზოგადოებაში და მათი საქმიანობა იქნეს პოლიტიკური და ეკონომიკური ლეგიტიმურობის უფლებას იმ ჯგუფებისაგან განსხვავებით, რომლებიც ღებულობენ უმაღლეს განათლებას. უმაღლესი განათლების ნეგატიური ეფექტი იმაში მდგომარეობს, რომ ამ ჯგუფის ადამიანები შეადგენენ ელიტას, რომელთა მოხმარების ლეგიტიმურობა ამუხრუჭებს ეკონომიკურ ზრდას.

განათლებაზე ეკონომიკის ზემოქმედების მსგავსად ინსტიტუციური თეორია ეფუძნება იმ ეფექტების უგულებელყოფას, რომლებსაც ადამიანისეული კაპიტალის თეორია აღიარებს. მაგრამ ის გარემოება, რომ განათლების მიმღებთა რაოდენობრივი ცვლილებები, შრომის ბაზარზე მათი მონაწილეობის გათვალისწინების გარეშე, ზემოქმედებს ეკონომიკის ზრდაზე, მხოლოდ ინსტიტუციური ასპექტებით მტკიცდება, მაგრამ ეს კონცეფცია ვერ ადგენს ინსტიტუციური პროცესების ზემოქმედების ხარისხს და უგულებელყოფს სამუშაო ძალის ეფექტის არსებობას, რაც ერთობ სუსტი არგუმენტი უნდა იყოს იმისათვის, რომ უარყოფილ იქნეს ადამიანისეული თეორიის პრინციპები.

¹¹¹ A. Benavot, Education Expansion and Economic Growth in the Modern World, 1913-1985. The Political Construction of Education. Ed by B. Fuller and R. Rubinson. New York. Praeger. 1992.pp.117-134.

§2. განათლების სოციალურ-ეკონომიკური თეორიების სინთეზის მიზანშეწონილობა

განათლება, როგორც ეკონომიკური დარგი (განათლება და შრომის ნაყოფიერება, ხელფასი და სხვ.) და სოციალური ურთიერთობები (განათლება და სოციალური ფენები, კლასები) ერთმანეთთან დაკავშირებული პრობლემების სპექტრია და მიუხედავად ამ თეორიებში აღიარებული განსხვავებული დასკვნებისა, ისინი ერთიანობაში ქმნიან მოძღვრებას, რომელიც მრავალფეროვან სოციალურ მოვლენას უქვემდებარებს, ერთის მხრივ, ადამიანის სრულყოფის მიზნებს, მეორეს მხრივ, სოციალური განვითარების ამოცანებს და ეკონომიკის საბაზრო მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

რამდენადაც განათლების სოციალურ-ეკონომიკური თეორიები მხოლოდ ერთობლიობაში ახასიათებენ განათლების სფეროს მრავალფეროვან მხარეებს, იმდენად თეორიულად უშედეგოა რომელიმე მათგანის პოზიციებიდან სხვა თეორიების კრიტიკა.

მკვლევართა უმრავლესობისათვის განათლება არის სწავლების პროცესის განხორციელება. თუ ადრე მეცნიერები აქცენტირებას განათლების მიზნებზე აკეთებდნენ, სოციალური მეცნიერება ამჟამად არკვევს მის მნიშვნელობას, ხოლო ეკონომიკური მეცნიერება - მის სარგებლიანობას, თუმცა ეს ასპექტები არ შეიძლება ერთმანეთს მოვწყვიტოთ. იგი განათლების კვლევის ერთ-ერთი თავისებურებაა და, შესაბამისად, მისი მეთოდოლოგიაც ემპირიული და რაციონალური ხერხების ერთობლიობას გულისხმობს.

სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური და ურთიერდაპირის-პირებული ინსტიტუციური თეორიები ასაბუთებენ, ერთი შეხედვით, ცხად და საყოველთაოდ მიღებულ ემპირიულ ჭეშმარიტებას განათლებისა და ეკონომიკის ურთიერთგავლენის აუცილებლობის შესახებ, მაგრამ იგივე პოსტულატები ამ თეორიების ურთიერთსაპირისპირო კონსტრუქციებსაც წარმოგვიდგენს და განსხვავებული ასპექტებიდან განმარტავენ სოციოლოგიურ და ეკონომიკურ მოდელებს, რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია განზოგადებული დასკვნების გამოტანის მიზნით.

რამდენადაც აღნიშნული თეორიები აქცენტირებას ახდენენ აბსოლუტურ, უნივერსალურ ურთიერთმოქმედებაზე, იმდენად ემპირიული ეფექტების მაგალითები თეორიული თვალსაზრისით არამყარია. ცნობილმა ქართველმა

მეცნიერმა პ. გუგუშვილმა ემპირიული ანალიზი დასავლეთის სოციოლოგიური მეცნიერების დამახასიათებელ თვისებად მიიჩნია ჯერ კიდევ 60-იან წლებში. იგი წერდა: "ბურჟუაზიულ მეცნიერებს თანამედროვე ამერიკული სოციოლოგიის უმნიშვნელოვანეს მიღწევად მიაჩნიათ სწორედ ემპირიული და აღწერილობითი მეთოდის გაბატონება საზოგადოებრივ მოვლენათა შესწავლაში. -- ემპირიული გამოკვლევები, ფაქტოლოგია მთავარი დამახასიათებელი ნიშანია თანამედროვე ფრანგული სოციოლოგიისა, სადაც ამა თუ იმ სოციალური ფაქტის აღწერა, ციფრობრივი გაანგარიშებანი და მათი ურთიერთშედარება, თითქმის ყოველგვარი განზოგადების გარეშე, ყველაზე მეტადაა მოწონებული ბურჟუაზიულ მეცნიერთა შორის".¹¹²

სოციოლოგიური კვლევების ამ მიმართულებამ ფართოდ დაიმკვიდრა ადგილი დასავლეთის მეცნიერებაში. ზემოთ აღნიშნული თეორიები საკმაოდ დეტალურად განიხილავენ ემპირიულ პრობლემებს. ტექნიკურ-ფუნქციონალური თეორიები ამტკიცებენ მკაცრი ერთგვაროვანი ეფექტების არსებობას განათლებასა და ეკონომიკას შორის ურთიერთმოქმედებაში, ხოლო სტრატეგიკაციული და ინსტიტუციური თეორიები ასაბუთებენ თეორიული თვალსაზრისით ნაკლებად მნიშვნელოვან ურთიერთობებს. შესაბამისად არც ერთ თეორიას არ შეუძლია დიდი რაოდენობის ემპირიული კვლევის შედეგების მარტივად ინტერპრეტაცია, რომლის მიხედვით განათლების ზემოქმედება ეკონომიკაზე არც აბსოლუტური იქნება და არც ინვარიანტული. ეს ინტერპრეტაციები ძალიან მნიშვნელოვანია სწავლების მრავალფეროვანი ასპექტების გასაანალიზებლად განათლების სხვადასხვა დონეზე განსხვავებულ ქვეყნებსა და პერიოდში.

თუ ჩვენ ამ თეორიებს განვიხილავთ როგორც პროცესებს და არა როგორც დეტერმინირებული და უნივერსალური პრინციპული დებულებების ჯამს, მაშინ აღმოჩნდება, რომ თეორიულად ურთიერთშეუსაბამო ეფექტები შეიძლება აიხსნას სისტემატური ვარიაციების სახით. ამიტომ, იმის მაგივრად, რომ დავსვათ კითხვა ეკონომიკის განვითარებაზე განათლების ხელის შეწყობის შესახებ, შემდეგნაირად ვსვამთ საკითხს: რა პირობებში უწყობს ხელს განათლება ეკონომიკის განვითარებას? შესაბამისად, უნივერსალური თეორიის ძიების ნაცვლად ჩვენი აზროვნება მიმართული იქნება იმის ასახსნელად, თუ რა მიმართულებით განვითარდება ეს სოციალური პროცესები: ადამიანისეული

¹¹² პ. გუგუშვილი, სოციოლოგთა IV მსოფლიო კონგრესი. ჟურნ. "მნათობი", 1960, № 3, გვ. 146-147.

კაპიტალის ფორმირების, სოციალურ ფენებს შორის კონკურენციის, კლასთა ბრძოლის მიხედვით თუ ინსტიტუციური პროცესების განვითარების შესაბამისად. შეიძლება ვამტკიცოთ, რომ განათლების ზემოქმედება ეკონომიკის ზრდაზე ისტორიული (როდის?) და სიტუაციური (სად? როგორ?) პროცესების მართვის ფუნქციაა. ამ ზემოქმედების სხვადასხვა ასპექტი უნდა მივიჩნიოთ ამ პროცესების მართვის შედეგად. თითოეული პროცესისათვის დამახასიათებელი სხვადასხვა ასპექტისათვის პრიორიტეტის მინიჭებით შეიძლება განვაზოგადოთ ეს ერთიანი სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა. ასეთი მეთოდოლოგიური მიდგომა საშუალებას მოგვცემს, მოვახდინოთ ამ თეორიების კონცეპტუალიზაცია არა ურთიერთგამომრიცხავი, არამედ სხვადასხვა ინსტიტუციური პირობებით მართვადი პროცესების ასახვის გზით. უახლესი თანამედროვე კვლევები სწორედ ამ მიმართულებით წარიმართა¹¹³.

აღნიშნული თეორიები გვიჩვენებენ, რომ განათლების სისტემის ერთ-ერთი ძირითადი ინდიკატორია სტუდენტების რაოდენობა. მისი ცვლილებები მოქმედებენ ეკონომიკურ ზრდაზე, მაგრამ ეს ეფექტი სუსტია, როდესაც წინა პლანზე ვაყენებთ სოციალურ ფენებს შორის კონკურენციისა და კლასთა რეპროდუქციის პროცესებს. მაგალითად, როდესაც სასწავლო დაწესებულებებში სტუდენტთა რაოდენობა იზრდება ეკონომიკურ ზრდასთან ერთად, მაშინ, საშუალო და დაწყებითი განათლება რეფლექსურად პასუხობს ტექნიკური ცვლილებების მოთხოვნებს, მაგრამ მოსწავლეთა და სტუდენტთა რაოდენობის ცვლილებების ზემოქმედება ეკონომიკურ ზრდაზე სუსტია იმ შემთხვევებში, როდესაც მათი რაოდენობრივი ცვლილებები რეფლექსურად ასახავს სოციალურ ფენებს შორის კონკურენციის მოთხოვნებს.

საბჭოთა კავშირის დაარსებიდან პირველი 50 წლის განმავლობაში ეკონომიკის ზრდასთან ერთად იზრდებოდა მოსწავლე-ახალგაზრდობისა და სასწავლო დაწესებულებების რაოდენობა. სოციალური ფენების ეგალიტარიზაციამ თავიდანვე დათრგუნა კონკურენციის შესაძლებლობები და განათლების სოციალური გარემო ერთგვაროვანი გახადა.

საფრანგეთში, სადაც ჩამოყალიბებულია განვითარებული კლასობრივი სტრუქტურა, ხანგრძლივი (1825-1975 წწ.) დაკვირვებით აღმოჩნდა, რომ საშუალო

¹¹³ B. Fuller, R. Rubinson, Does the State Expand Schooling? Review of the Evidence. The Political Construction of Education. Ed by B. Fuller and R. Rubinson. New York, Praeger. 1992. pp.1-28; B. Fuller, R. Rubinson, Specifying the Effects of Education on National Economic Growth. The Political Construction of Education. Ed by B. Fuller and R. Rubinson. New York, Praeger. 1992. p. 101-15.

სკოლის მოსწავლეთა რაოდენობის ზრდასთან ერთად მოხდა ეკონომიკის ზრდაც, მაგრამ ეს პროცესები კლასთა რეპროდუქციითაა განპირობებული, რადგან ასეთი ზრდა მოხდა იმიტომ, რომ გაიზარდა მხოლოდ მუშათა კლასისა და არა საშუალო კლასის ფენების წარმომადგენლობა სასწავლო დაწესებულებებში.¹¹⁴

გერმანიაში საშუალო და უმაღლესი სკოლები საფრანგეთის მსგავსად დახვეწილი და ფორმირებულია. მათი კვლევისას, საფრანგეთის ანალოგიურად, იგივე შედეგი გამოვლინდა. საშუალო სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობის ზრდასთან ერთად მოხდა ეკონომიკის ზრდაც, მაგრამ ეს ეფექტი განპირობებული იყო მასების საშუალო განათლებისაკენ მისწრაფებით (და არა დაბალი ან ელიტარული ფენების მისწრაფებით განათლების მიღებისათვის), რაც იმას ასაბუთებს, რომ კლასთა რეპროდუქციის სისტემა, მიუხედავად ელიტარული სკოლების ხასიათისა, ზღუდავს განათლების ეკონომიკურ ეფექტს.¹¹⁵

ამ გამოკვლევებმა ცხადყვეს, რომ განათლების ეკონომიკურ ზრდაზე ზემოქმედების ეფექტი შეიძლება აიხსნას იმ პირობების გათვალისწინებით, რომ სტატუს-კონკურენცია და კლასთა რეპროდუქციის პროცესები წარმოადგენს ნათლად გამოკვეთილ ოდენობებს ამ ურთიერთობებში. მეორეც, ცოდნა სწავლების ხარისხისა და მოსწავლეთა რაოდენობის კონტროლის შესახებ საშუალებას გვაძლევს, გამოვსახოთ ის პირობები, რომლებითაც განათლება მოქმედებს ეკონომიკის ზრდაზე. მაგალითად, მექსიკაში 1988-1940 წლებში აღმოჩნდა, რომ სწავლების ხარისხი განსხვავებულია ეკონომიკური სექტორების მიხედვით. განათლების სისტემის ცვლილებები ზრდის წარმოების სფეროს, მაგრამ ნაკლებად უწყობს ხელს აგრარული სექტორის განვითარებას¹¹⁶.

ანალოგიურმა კვლევამ საფრანგეთში დაამტკიცა, რომ განათლება მოქმედებს ეკონომიკაზე იმ პერიოდში, როცა მხოლოდ მუშათა კლასის წარმომადგენლობა იზრდება სკოლებში და არა საშუალო კლასისა, რომელიც ყველაზე მეტადაა მიჯაჭვული თავის პროფესიაზე. ეს დამახასიათებელი იყო საბჭოთა პერიოდის საქართველოსთვისაც. იგივე გამოვლინდა გერმანიაშიც. განათლება ზემოქმედებს

¹¹⁴ J. Hage, M.Garnier, B. Fuller, The Active State Investment in Human Capital and Economic Growth: France, 1825-1975. "American Sociological Review". 1988. #53, pp.824-837.

¹¹⁵ J. Hage, M. Garnier, Education and Economic Growth in Germany. "Research in Sociology of Education and Socialization" 1990. #92, pp.5-53.

¹¹⁶ B. Fuller, J. Edwardsand, K Goman, When does Education Boost Economic Growth? School Expansion and Quality in Mexico. "Sociology of Education". 1986. #59, pp.167-181.

ეკონომიკაზე მხოლოდ იმ სექტორებში, სადაც განათლება მჭიდროდაა დაკავშირებული მუშაობის სახეობასთან. ამ თეორიების მიხედვით, არსებობს სხვა პირობებიც, რომლებიც განსაზღვრავენ განათლების ეფექტს ეკონომიკის ზრდაზე. ეს პირობებია: 1. სწავლებას ეკონომიკის ზრდისათვის არ აქვს არავითარი მნიშვნელობა, მაგრამ ადამიანისეული კაპიტალის ეფექტს შეუძლია განავითაროს მხოლოდ ის, რაც შესაბამისობაში მოიყვანს საგანმანათლებლო სისტემასა და სამუშაო ძალაზე ეკონომიკის მოთხოვნებს; 2. კლასობრივ სტრუქტურაში განათლების ზემოქმედების ეფექტს ადგილი აქვს იმ სექტორებში, სადაც განათლება მჭიდროდაა დაკავშირებული დასაქმების სტრუქტურასთან; 3. კვლევა, რომელიც კონცენტრირებულია ეკონომიკის განვითარებაზე, ავლენს იმ პირობებს, რომელთა საშუალებითაც განათლება ხელს უწყობს ეკონომიკის ზრდას. ეს კვლევები ასახავენ, თუ რამდენად ქმნის ადამიანისეული კაპიტალის ფორმირებისა და მართვის პირობებს ეკონომიკის სტრუქტურა და მისი კავშირი განათლებასთან. იგი ახასიათებს განათლების ზემოქმედებას ეკონომიკის ზრდაზე, როგორც ეკონომიკის სტრუქტურული თავისებურებებისა და განათლების სხვადასხვა დონის შესაბამისობის შედეგს. 1955-1985 წლებში კორეაში დაწყებითი განათლების ზემოქმედება წარმოებაზე და საშუალო სკოლის განათლების ზემოქმედება აგრარული ურთიერთობის ზრდაზე ახსნილი იყო ინდუსტრიალიზაციის იმ პოლიტიკით, რომელიც აქცენტირებას ახდენდა დაბალ ხელფასებზე, მასობრივი ინტენსიური შრომის უნარის განვითარებასა და აგრარულ სექტორში დასაქმებულთა რაოდენობის შემცირებაზე.¹¹⁷

ანალოგიურმა კვლევამ ტაივანში მეცნიერები მიიყვანა იმავე აზრამდე. მასობრივი დაწყებითი და საშუალო სკოლების ეკონომიკური ეფექტი გამოკვეთილია მაშინ, როდესაც უმაღლეს, საშუალო და საშუალოს შემდგომ განათლებას არ აქვს ეფექტი ეკონომიკაზე, რაც შეიძლება აიხსნას მხოლოდ იმ სამრეწველო პოლიტიკით, რომელიც აქცენტირებას ახდენს შრომის ინტენსიურ ორგანიზაციაზე როგორც წარმოებაში, ასევე აგრარულ სექტორში;¹¹⁸ დაბოლოს, კვლევებმა გერმანიაში დაამტკიცა, რომ განათლების ზემოქმედება ეკონომიკაზე უფრო ეფექტიანია იქ, სადაც სწავლება მჭიდროდ არის დაკავშირებული ეკონომიკის მოთხოვნებთან. მაგალითად, სტუდენტთა

¹¹⁷ J. Insook, Educational Effects on Economic Growth in the Republic of Korea 1955-1985. Master,s Thesis, Department of Sociology, Florida State University. Tallahassee. 1988.

¹¹⁸ Liu Chien, M. Amer, Education and Ecoomic Growth in Taiwan. "Comparative Education Review." 1993. #37,pp.304-321.

რაოდენობა უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში (და არა უნივერსიტეტებში) ხელს უწყობს ეკონომიკის ზრდას, რადგან იგი დაკავშირებულია მრეწველობასა და კომერციაში სამუშაო ადგილების ხასიათთან, მაშინ როდესაც საუნივერსიტეტო სწავლება დაკავშირებულია სამოქალაქო მომსახურებასა და საუნივერსიტეტო დასაქმებასთან.¹¹⁹

ეს კვლევები გვიჩვენებს, რომ განათლების ეკონომიკური ეფექტი განპირობებულია სწავლების დონისა და შრომითი უნარის პრაქტიკულ მოთხოვნებთან შესაბამისობით, რომელიც არსებობს დახელოვნებისა და კვალიფიკაციის ეკონომიკის სექტორებში.

დაბოლოს, განათლების ეკონომიკური ეფექტი განპირობებულია იმით, რომ ინსტიტუციური სტრუქტურები უზრუნველყოფენ უკუკავშირს ეკონომიკასა და სკოლებს შორის და ამით ქმნიან ამ ორ სფეროს შორის აუცილებელ შესაბამისობას. განათლების ზრდამ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გავლენა მოახდინოს ეკონომიკურ კვლავწარმოებაზე, თუ არსებობს ასეთი უკუკავშირი. ისეთი ქვეყნები, როგორცაა აშშ, ინგლისი, იტალია დაფუძნებულია ადგილობრივ საგანმანათლებლო სისტემებზე, რომლებიც კოორდინირებულია ადგილობრივი ბაზრების მოქმედებით, მაგრამ ისეთ ქვეყნებში, როგორცაა საფრანგეთი და გერმანია, საგანმანათლებლო სისტემა უფრო მეტად ცენტრალიზებულია და ამდენად დამოკიდებულია მკაცრ სახელმწიფო პოლიტიკაზე. ყოველი საგანმანათლებლო ურთიერთობა მიმდინარეობს გარკვეულ ეკონომიკურ გარემოში და მათ შორის კოორდინაცია, დაქვემდებარება და შესაბამისობა მყარდება კლასთა კვლავწარმოებითა და იერარქიის დამმოწმებელი დიპლომებით.

ამასთან, განათლებასა და ეკონომიკის პრაქტიკულ მოთხოვნებს შორის შესაბამისობაში შეფერხებები შეიძლება აიხსნას ინსტიტუციური თეორიის პრინციპების ანალიზის გზით. საგანმანათლებლო სისტემას აქვს ერთგვაროვანი მოდელისა და ერთიანი სტანდარტიზაციისაკენ სწრაფვის ტენდენცია. ეს პროცესი კი მრავალ ქვეყანაში მეტად მნიშვნელოვანია სწავლების სტრუქტურის სრულყოფისათვის. ამასთან, ეროვნულ საგანმანათლებლო სისტემაში იზრდება მოსწავლეთა რაოდენობა და ხდება მარტივი პროგრამების დამოუკიდებელი განვითარება ეროვნული ეკონომიკისათვის დამახასიათებელი თავისებურებების

¹¹⁹ J. Hage, M.Garnier, Education and Economic Growth in Germany. "Research in Sociology of Education and Socialization" 1990. #9, pp.25-53.

შესაბამისად, ხოლო მთლიანად განათლების სტრუქტურა და შინაარსი ვითარდება ინსტიტუციური იზომორფიზმის გზით, რაც სრულებით არ არის აუცილებელი, აიხსნას მხოლოდ განათლებასა და ეკონომიკას შორის ურთიერთობების არსებობით.

§3. სოციალურ-ეკონომიკური თეორიების ბავრცელება

პოსტკომუნისტურ სივრცეში განათლების სოციალურ-ეკონომიკური თეორიები დღემდე აღიარებული არ იყო. ეს გასაგებიცაა, რადგან ექსკომუნისტურ სისტემას ტოტალური სახელმწიფო მართვის პირობებში არ სჭირდებოდა სოციალურ-კლასობრივი და ინსტიტუციური ეფექტების შესწავლა. ბაზრის ადგილს სახელმწიფო დაგეგმვა ასრულებდა, ხოლო საზოგადოება სოციალურად ერთგვაროვანი იყო. ამიტომ დასკვნები განათლების შესახებ შედარებით პრიმიტიულად კეთდებოდა. გარდამავალმა პერიოდმა მოიტანა ახალი კანონზომიერებები და მოითხოვა განათლების სფეროს მიმართ ახლებური მიდგომა. დადგა პრობლემა სახელმწიფოს ტრანსფორმაციისა და განათლების სისტემის მოწყობის შესახებ საბაზრო ეკონომიკის პრინციპების შესაბამისად, რაც არსებითად ინსტიტუციური და სოციალურ-კლასობრივი თეორიების გავრცელებას გულისხმობს პოსტკომუნისტურ სივრცეში.

სხვა დასკვნები

განათლების სფეროს მდგომარეობა ემპირიულად ეკონომიკის განვითარების მაჩვენებელია, ამიტომ ბოლო ხანებში მეცნიერული კვლევები წარმართა უპირატესად იქითკენ, თუ რა მიმართულებით უნდა მოხდეს სწავლების ხელშეწყობისა და პროგრამების სრულყოფა. 60-იანი წლებიდან განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ადამიანის უფლებებსა და მათ თანასწორობას. განათლების, მეცნიერების ყურადღების ცენტრში მოექცა კითხვა, თუ რამდენად შეეძლო სახელმწიფოს საზოგადოებაში თანასწორობის უზრუნველყოფა და რამდენად ხორციელდებოდა ადამიანის ინდივიდუალური თავისუფლება განათლების არჩევანში. შესაბამისად დღის წესრიგში იდგა პროგრამების საკითხიც.

კლასობრივი და სოციალური განსხვავებები განათლების მიღების შესაძლებლობების დიფერენცირების მთავარ მოტივად იქნა დასახელებული. შემდგომში თანასწორობის იდეამ თანდათანობით გადაინაცვლა განათლების სფეროში, რესურსების თანასწორობიდან - შედეგის თანასწორობისაკენ. რაციონალურად იქნა მიხნეული არათანაბარი რესურსების ხარჯვა ერთნაირი შედეგების მისაღწევად. ამის შედეგად სახელმწიფოს ინტერვენციას განათლების სფეროში წინააღმდეგობრივი განმარტებები მიეცა. თუმცა ყველასათვის ნათელია ის გარემოება, რომ განათლების სისტემისა და ეკონომიკის რაციონალურ უკუკავშირს ხშირად აფერხებს პოლიტიკური პროცესები, რაც შეიძლება აიხსნას უფრო მეტად ეროვნული სახელმწიფო მოდელის ხასიათით, ვიდრე ეკონომიკური ზემოქმედებით. იმის გასარკვევად, თუ საგანმანათლებლო სისტემამ რა გზებით უნდა დაუჭიროს მხარი ეკონომიკის ზრდას, არ არის საკმარისი, ვიცოდეთ მხოლოდ განათლების სტრუქტურა. საჭიროა იმის ცოდნაც, თუ რა საშუალებითაა შესაძლებელი ეროვნული განათლების სისტემის სრულყოფა, რომელზედაც მოქმედებს არა მარტო ეროვნული ეკონომიკის იმპერატივები, არამედ მსოფლიო პოლიტიკური გარემოც. ამ თვალსაზრისით, მეცნიერების ყურადღების ცენტრში ექცევა სახელმწიფოს ინსტიტუციური როლი განათლების სისტემის წარმართვაში, მისი პოლიტიკური საქმიანობის ფორმები განათლებაში.

უნდა აღინიშნოს, რომ განათლების პოლიტიკა ორიენტირებულია სამართლიანობის, ეფექტიანობისა და განხორციელების რეალურობის პრინციპებზე.

სოციალური სამართლიანობა ყოველი პოლიტიკის საფუძველი უნდა იყოს. იგი ყველა ადამიანისათვის არის საბაზისო განათლებითა და კონკრეტული სპეციალობით უზრუნველყოფის აუცილებელი გარანტი, რომელიც თითოეულ ადამიანს მისცემს მომავალში შემოსავლის მიღების შესაძლებლობას.

ეფექტიანობა დაკავშირებულია განათლების პროგრამების მაქსიმალურ ათვისებასთან, მაღალხარისხიანი სპეციალისტების მომზადებასთან, თუმცა იგი, პოპულისტური გაგებით, დაკავშირებულია ფულად პარამეტრებთან.

განხორციელების რეალობა კი ნიშნავს განათლების სფეროში სპეციალისტთა მომზადებას ეკონომიკური ზრდის მოთხოვნებთან ერთად არსებული შესაძლებლობების ფარგლებში. ეკონომიკური ზრდის გარეშე განათლების სფეროს არ ექნება საკმარისი ადამიანისეული და მატერიალური რესურსები,

მაღალკვალიფიციური სპეციალისტების გარეშე კი ეკონომიკური ზრდა არ განხორციელდება. ეს "მოჭადლოებული" წრე გადაილახება მხოლოდ ადამიანისეული კაპიტალის განვითარებით, სოციალური კონფლიქტების რეგულირებითა და ინსტიტუციური სრულყოფის გზით. შესაბამისად, ადამიანისეული კაპიტალის, განათლების ტექნიკურ-ფუნქციონალური და სოციალურ-ინსტიტუციონალური ასპექტების შესწავლაც მნიშვნელოვან ადგოვას იკავებს ახალი სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებაში.

თაზი XIII

გლობალიზაცია და უმაღლესი ბანათლების როლი სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებაში

გლობალიზაცია ისევე ძველია, როგორც ადამიანის ცივილიზაცია. 2000 წლის წინ მარკუს ავრელიუსი წერდა: მე ვარ მარკუს ავრელიუსი, რამდენადაც ვარ რომის მოქალაქე, ხოლო როგორც ადამიანი, მე მსოფლიოს მოქალაქე ვარ. თანამედროვე გაგებით ეს გამონათქვამი ნიშნავს პასუხისმგებლობას როგორც მსოფლიოს კაცობრიობის, ასევე ეროვნული სახელმწიფოს მიმართ.

გლობალიზაცია არის ცივილიზაციის მშენებლობის პროცესი, რომელიც დამოკიდებულია პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ-კულტურულ ურთიერთობებზე. იგი არის ეკონომიკური ინტეგრაციის, სტანდარტიზაციისა და ურთიერთკულტურული პროცესების განხორციელება (იდეების, ცოდნისა და ადამიანისეული რესურსების გადადენის გზით სხვადასხვა ქვეყანაში). გლობალიზაცია სხვადასხვა ქვეყნის კოლექტიური პასუხისმგებლობის იდეოლოგიური წარმოჩენაა. იგი გამოხატავს ადამიანთა შრომითი ურთიერთობების ინტეგრაციას, ცოდნისა და ტექნოლოგიების გავრცელებას საერთაშორისო მასშტაბით და აგრეთვე, - საერთაშორისო კოოპერაციას. ეს ტერმინი ბრუნვაში 1980 წლიდან შემოვიდა და დაკავშირებულია საერთაშორისო ურთიერთმოქმედებებით (კერძოდ, ვაჭრობისა და ფინანსური ნაკადების გზით) ტექნოლოგიების განვითარებასთან. იგი გულისხმობს ეროვნული საზღვრების ნგრევას იმავე სავაჭრო ძალების მოქმედებით, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში მართავდნენ ეკონომიკისა და ადამიანის აქტივობის სხვადასხვა დონეს - ბაზრებს, ქალაქის ინდუსტრიასა და საფინანსო ცენტრებს. ამჟამად ტერმინში "გლობალიზაცია" მოიაზრება, ერთის მხრივ, ისეთი ძალების მოქმედება, რომლებიც სასარგებლოა მსოფლიოსათვის და იგი მისი მომავალი ეკონომიკური განვითარების გარდუვალი გზაა, მეორეს მხრივ, კი მასში იგულისხმება საპირისპირო მოძრაობა, ერებისა და ქვეყნების ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო უთანაბრობის გაღრმავება, რაც დასაქმებისა და ცხოვრების დონის გაურესების საშიშროებას წარმოადგენს. იგი ანგრევს სოციალურ პროგრესს.

რეალურად გლობალიზაცია განვითარების ხელსაყრელ შესაძლებლობებს გვთავაზობს, მაგრამ იგი არ არის ყვლასათვის ერთნაირად პროგრესული. ზოგიერთი ქვეყანა გაცილებით სწრაფად ახერხებს გლობალურ ეკონომიკასთან ინტეგრაციას, სხვები კი - შედარებით ნელა. ქვეყნები, რომლებიც ინტეგრირებულია გლობალურ ეკონომიკაში, უფრო სწრაფად ვითარდებიან. საგარეო ვითარებაზე ორიენტირებულმა პოლიტიკამ დინამიზმი და სიცოცხლე შესძინა დასავლეთ აზიის ქვეყნებს, რომლებიც ამ ორმოცი წლის წინ უღარიბეს ქვეყნებს წარმოადგენდნენ. იქ ცხოვრების დონის ზრდასთან ერთად განვითარდა დემოკრატია, მნიშვნელოვანი ყურადღება მიექცა გარემოს დაცვას, შეიქმნა განათლების პროგრესული ფორმები, განვითარდა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, დაინერგა შრომის საერთაშორისო სტანდარტები.

გლობალიზაციის პროცესი ორგანულად დაკავშირებულია განათლების ინტეგრაციასა და სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებასთან. მათ გარეშე გლობალიზაცია ვერ განვითარდება.

უმაღლესი განათლების ინტეგრაციის მნიშვნელოვან ასპექტებს გამოხატავს ტრანსნაციონალური განათლება, მასთან ერთად უნივერსიტეტების გლობალიზაცია ემსახურება ეროვნული და მსოფლიო მოქალაქეობის კულტურული და იდეოლოგიური საფუძვლების ჩამოყალიბებას, სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებას.

§1. გლობალიზაცია და განათლების ინტეგრაცია

სწორია თუ არა აზრი იმის თაობაზე, რომ ინტეგრაცია და გლობალიზაცია ერთი და იმავე ფენომენის ასახვაა? ამ მოსაზრებას ალბათ ბევრი არ დაეთანხმება, რადგან ისინი (ინტეგრაცია და გლობალიზაცია) ერთმანეთისაგან განსხვავებულ პროცესებადაც შეიძლება წარმოვიდგინოთ. თუმცა, ეჭვს გარეშეა, რომ გლობალიზაცია უმაღლეს განათლებაზე, სწავლებაზე, პედაგოგთა კადრებზე, სახელმწიფოს როლზე, სასწავლო დაწესებულებების პარტნიორულ ურთიერთობებსა და უმაღლესი სკოლის კულტურაზე პირდაპირ ზემოქმედებს. მასთან არის დაკავშირებული უმაღლესი განათლების განვითარების ისეთი ასპექტები, როგორცაა სტრატეგიის ინტერნაციონალიზაცია, განათლების

აღიარების საერთაშორისო გარანტიები, რეგიონალური და რეგიონთაშორისი კოოპერაცია, ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიები, ვირტუალური უნივერსიტეტები და სხვ. ფაქტია, რომ გლობალიზაციის პროცესი მიმდინარეობს, მიუხედავად იმისა, იგი ჩვენ გვინდა თუ არა.

გზა გლობალიზაციისაკენ მხოლოდ უნივერსიტეტების სასწავლო პროცესების ინტეგრაციით მიიღწევა და იგი გულისხმობს სასწავლო პროგრამებსა და სწავლების მეთოდებში საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას; სასწავლო საგნების შინაარსის, მიზნებისა და ამოცანების დაახლოებას; საერთაშორისო დისციპლინების სტრუქტურის, სახელმძღვანელოებისა და პედაგოგთა კადრების გამოყენებას და სხვ. აქედან კი ერთი ნაბიჯია ტრანსნაციონალურ განათლებამდე, რომელსაც, სხვანაირად, გლობალურ საუნივერსიტეტო განათლებასაც უწოდებენ.

უმაღლესი განათლების გლობალიზებას მოითხოვს თანამედროვე მსოფლმხედველობა. ეს პროცესი ყველაზე განვითარებული და ძალაუფლების მქონე ქვეყნებიდან და ორგანიზაციებიდან იწყება და ეკონომიკური თუ არა, კულტურული იმპერიალიზმის ფორმით მაინც ვითარდება. მასთან არის დაკავშირებული უმაღლესი განათლების განვითარების ეკონომიკური, პოლიტიკური, ტექნოლოგიური და სხვ. მიმართულებები.

განათლების ინტეგრაცია და გლობალიზაცია იზრდება ქვეყნებს შორის ეკონომიკური და კულტურული კავშირურთიერთობების განვითარებასთან ერთად. საერთაშორისო ვაჭრობისა და მომსახურების გენერალური შეთანხმების (GATS - General Agreement on Trade and Services) თანახმად, რომელიც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ეგიდით ხორციელდება, განათლება ამ ხელშეკრულების ერთ-ერთი ნაწილია. მსოფლიო საგანმანათლებლო ბაზარი კი ერთ-ერთი უდიდესია სხვა საქონლისა და მომსახურების ბაზართან შედარებით. კულტურული გლობალიზაციის მეშვეობით ხდება მრავალი კულტურული ფასეულობის ინტერნაციონალიზაცია (მაგალითად, მხატვრული ფილმების თარგმნა და გავრცელება, ხელოვნების ნიმუშების საერთაშორისო გამოფენების მოწყობა, მოდების ჩვენება და ა.შ.). თითოეული მათგანის წარმოება და გავრცელება ემყარება იმ ქვეყნების საგანმანათლებლო მოღვაწეობას, რომელიც ამზადებს ხელოვნებისა და კულტურის “მეწარმეებს”.

განათლების ტექნოლოგიური გლობალიზაცია კომუნიკაციის, სწავლების, კვლევის, ინფორმაციის მოპოვების, შეგროვებისა და გადამუშავების

ტექნოლოგიურ პროცესებზეა დამყარებული. იგი განსაზღვრავს განათლების როგორც საერთაშორისო წარმოების განვითარებას, დაცვასა და ხარისხის გაუმჯობესებას.

§2. გლობალიზაცია და სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკა

გლობალიზაციის საშუალებითა და განათლების სისტემის განვითარებით ყოველი ქვეყანა ცდილობს, განახორციელოს თავისი ეროვნული მიზნები. განათლება არის პოლიტიკის ნაწილი და იმის მიხედვით, თუ რა ამოცანები აქვს ხელისუფლებას დასახული, იგი (განათლება) ორიენტირებულია ეკონომიკის კონკრეტულ სფეროებზე და ჰარმონიზებულია მასთან (ეკონომიკასთან).

ეკონომიკა ვითარდება სწრაფად, კონკურენციისა და შრომის დანაწილების მეშვეობით. სამუშაო ძალის სპეციალიზაცია საშუალებას აძლევს ხალხს მოახდინოს ეკონომიკის ფოკუსირება იმ სფეროებზე, რომლებშიც მათ სხვაზე უკეთესად შეუძლიათ მუშაობა. გლობალური ბაზრები საშუალებას აძლევენ ერებს, უფრო ფართოდ ჩაერთონ მთელი მსოფლიოს დიდ ბაზრებში. ეს კი ნიშნავს, რომ მათ აქვთ შესაძლებლობა, გამოიყენონ უფრო იაფი იმპორტი, მეტი ტექნოლოგიები და კაპიტალური ნაკადები, გააფართონ ექსპორტი, მაგრამ ამით ბაზრები ყველასათვის სარგებელის მიღების გარანტიას არ იძლევა, თუ მათ შესაბამისი სამეცნიერო და საგანმანათლებლო სისტემა არ აქვთ ჩამოყალიბებული. ქვეყნები მზად უნდა იყვნენ, რომ შეიმუშაონ ისეთი პოლიტიკა, რომელიც გლობალიზაციიდან მისცემს სარგებელს და გადაანაწილებს მას თანასწორად. ასეთი პოლიტიკა კი სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებასა და განათლების ინტეგრაციის ხელშეწყობას გულისხმობს.

როდესაც ეკონომიკური მიზნების განხორციელება არ არის უზრუნველყოფილი შესაბამისი საგანმანათლებლო პოტენციალის განვითარებით, მაშინ ეს მიზნები, როგორც გამოცდილება მეტყველებს, ვერ სრულდება და ეკონომიკის განვითარებაც ფერხდება, მიუხედავად იმისა, რა მდიდარი რესურსებიც არ უნდა გააჩნდეს ამისათვის ქვეყანას. შესაბამისად, პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის

მოწივობას, განათლების სახელმწიფო პოლიტიკის როლს სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაში.

თანამედროვე გაგებით "სამოქალაქო საზოგადოებაში" იგულისხმება ცივილიზებული საზოგადოება, მოქალაქეების პოლიტიკური აქტივობა, ეთნიკური ცხოვრების წესი და სხვ. იგი ისეთი საზოგადოებაა, რომელიც შეიძლება დაუპირისპირდეს სახელმწიფოს, წარმოშვას ეთნოკონფლიქტები. იგი მოიცავს სოციალური ინსტიტუტების (სკოლა, ეკლესია, ოჯახი და სხვა) საქმიანობასაც. სამოქალაქო საზოგადოების საფუძველია მოქალაქეების განათლება და კულტურა. იგი არის მოქალაქეების პასუხისმგებლობა თავისი და კოლექტიური ინტერესების განსახორციელებლად. აქ კი სადაც სახელმწიფოს მარეგულირებელი როლი შედარებით შეზღუდულია. ასეთ პირობებში ინდივიდის პასუხისმგებლობა თავის და საზოგადოების ბედზე განისაზღვრება მისი სოციალური მომზადების ხარისხით.

ბუნებრივია, განათლება და კულტურა სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების სუბსტანციური პირობა და ეთნოკონფლიქტების განმუხტვის საშუალებაა. იგი ხორციელდება ეკონომიკის განვითარების პრიზმაში, ამიტომ ეკონომიკური განათლების კულტურას ენიჭება დიდი როლი სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაში. ეკონომიკური განათლების გარეშე შეუძლებელია ქვეყნებს შორის ნორმალური ურთიერთობების დამყარება, ღია საზოგადოების მშენებლობა, ინტეგრაციული პროცესების სრულყოფა და ბოლოს, გლობალიზაციის მიღწევების გამოყენება.

სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის პოლიტიკის ელემენტებია უნივერსიტეტის ტიპების, სწავლების ეროვნული და საერთაშორისო ფორმებისა და მიმართულებების განსაზღვრა. მასთან ერთად განათლების ხარისხის ზრდა ინტეგრაციული და გლობალური პროცესების ასახვაა და ეფუძნება ისეთ პროცესებს, როგორცაა:

- ერებს შორის კონკურენცია გლობალურ ბაზრებზე განათლების ექსპორტისათვის;
- სამუშაო ძალის საერთაშორისო მობილურობა, რომლის აუცილებელი პირობაა ქვეყნის განათლების დამადასტურებელი დიპლომებისა და მოწმობების საერთაშორისო აღიარება, რაც მნიშვნელოვანია, აგრეთვე, საგანმანათლებლო ინდუსტრიის სტიმულირებისათვის;

- ადგილობრივ და უცხოელ სტუდენტთა რაოდენობის ზრდა. იგი უნდა იყოს განათლების ხარისხის ზრდისა და მისი საერთაშორისო აღიარების შედეგი. ამ საქმეში დიდია სახელმწიფოს მიზანმიმართული პოლიტიკის როლი.

სახელმწიფო პოლიტიკა მიმართულია განათლების მომსახურების საექსპორტო დარგად გადაქცევისა და მისგან შემოსავლების მიღებისაკენ, სწავლებაში ინტერნაციონალიზაციის პრინციპების გაფართოების, განათლების, როგორც ეკონომიკის დარგის ზრდისა და საერთოდ ქვეყნის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის მხარდაჭერისაკენ, რომელიც საგანმანათლებლო მოწმობების საერთაშორისო აღიარებით უნდა განხორციელდეს. ამასთანავე, გლობალიზაციის საშიშროება, რომელიც განათლების ეროვნული ტრადიციების იგნორირებას იწვევს და უპირატესობა, რომელიც განათლების ინტეგრაციის შედეგად პროგრესული ცოდნის გავრცელებას უწყობს ხელს, ქმნიან სახელმწიფოს მიერ უმაღლესი განათლების კონტროლისა და რეგულირების გაფართოება-გაძლიერების აუცილებლობას. სახელმწიფო პოლიტიკა, განათლებაში ეროვნული და საერთაშორისო ნიშნების ერთიანობის შენარჩუნებისა და სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების ხელშეწყობის მიზნით, ყურადღებას უნდა ამახვილებდეს განათლების ყველა სუბიექტზე: უნივერსიტეტებზე, პედაგოგებზე, სტუდენტებსა და პარტნიორებზე. იგი სხვადასხვა ფორმით უნდა არეგულირებდეს მათ შორის ურთიერთობებს.

§3. სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების ძირითადი სუბიექტები

სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებაში ძირითადად მონაწილეობას იღებენ სახელმწიფო, უნივერსიტეტები, პედაგოგები და სტუდენტები. მათ შორის ყალიბდება ახალი ურთიერთობები, რომლებიც, ერთის მხრივ, არის ტრადიციული ეროვნული განათლებისა და კულტურის გამოხატულება, ხოლო, მეორეს მხრივ, საერთაშორისო კოოპერაციის განვითარების საფუძველზე, ასახავს განათლების გლობალურ პროცესებს.

უნივერსიტეტები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სწავლების ფორმებით, მიზნებით, როლით. უნივერსიტეტები, რომლებიც სწავლების უახლეს ტექნოლოგიებზე ამხვილებენ ყურადღებას, ძვირადღირებულია. უნივერსიტეტს (სტუდენტის სურვილის მიხედვით, თუ რა დონის სწავლება აინტერესებს მას და როდის შეეცდება იგი კვალიფიკაციის მიღებას) უნდა ჰქონდეს სწავლების მრავალგვარი ფორმა: მოკლევადიანი, გრძელვადიანი, მოკლევადიანი-ეფექტური და გრძელვადიანი-პროფესიონალური და ა.შ.

სწავლების აქტიური ფიგურები არიან პედაგოგები. მათი განათლების დონე მნიშვნელოვნად განსაზღვრავს უნივერსიტეტების პრესტიჟსა და საზოგადოების მომავალი მოქალაქეების ქცევის სახეს. პედაგოგი, რომელიც მხოლოდ ასწავლის, მაგრამ არ ეწევა კვლევას, ემსგავსება დაბალკალორიულ რძეს ბავშვებისათვის. მას ნაკლები სარგებლობა მოაქვს. თუ უმაღლესი განათლების პედაგოგი არ აწარმოებს მეცნიერულ კვლევას, მაშინ იგი ვერ მიიღებს აქტიურ მონაწილეობას სასწავლო პროგრამებისა და მასალების მომზადებაში. შესაძლებელია, ასეთი განცალკევება გარკვეულწილად მიზანშეწონილია საგანმანათლებლო სისტემის რომელიმე კონკრეტულ შემთხვევაში, მაგრამ პედაგოგთა ერთიანი გუნდი უნდა იყოს განათლების სრულყოფილი ფუნქციის მატარებელი მთლიანობაში. იმისათვის, რომ პედაგოგმა შეასრულოს საზოგადოების ინტეგრაციისა და სამოქალაქო საზოგადოების განმტკიცების ფუნქცია, უნდა გაიზარდოს მისი, როგორც მასწავლებლისა და მკვლევრის, საერთაშორისო მობილურობა.

სტუდენტები არიან საერთაშორისო სწავლების სისტემის სუბიექტები. მნიშვნელოვანია მათი ახალი როლის, პასუხისმგებლობისა და უფლებების გარკვევა სამოქალაქო საზოგადოებაში, განსაკუთრებით ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების შენახვასა და განვითარებაში.

საერთაშორისო სწავლება საერთაშორისო ღირებულების მატარებელია. იგი ადგილობრივი ფასეულობების აღტერნატივაა. განათლების სისტემის მრავალფეროვნებამ უნდა გაანეიტრალოს ეს უარყოფითი ეფექტი და გლობალიზაციის მიღწევებში ეროვნულ კულტურას თავისი ადგილი დაუპყვიდროს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებთან ერთად. საერთაშორისო სწავლების სისტემასთან ეროვნული კულტურის შერწყმა სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების ერთ-ერთ მიმართულებას უნდა შეადგენდეს.

ყველა ამ შემთხვევაში სახელმწიფოს როლი იცვლება და კვლავ იბადება ისტორიული კითხვა: რა როლი უნდა ჰქონდეს სახელმწიფოს განათლებაში, რისი გაკეთება შეუძლია მას უკეთ და რის გაკეთებას ვერ შეძლებს იგი ეფექტურად? სახელმწიფო შეიძლება იყოს როგორც ეროვნული, ასევე კეთილდღეობის უზრუნველყოფი ინსტიტუტი. იგი არ არის მომსახურების და სერვისის უშუალო მწარმოებელი, მაგრამ არის მისი რეგულატორი, ხელშემწყობი და პარტნიორი. მის მიერ ეროვნული ან გლობალური პოლიტიკის გატარების მიზანშეწონილობა საკამათოა, მაგრამ ცხადია, რომ მას თავისი შეზღუდული ფინანსური რესურსებით შეუძლია სერიოზული არჩევანი გააკეთოს გლობალიზაციის, ეროვნულობის ან მათი ჰარმონიის მიმართულებით. იგი შეიძლება კეთილდღეობის წყარო გახდეს და ერთდროულად ეროვნული ფასეულობების განვითარებასაც შეუწყოს ხელი. ყოველ შემთხვევაში ეროვნულობა და გლობალიზაცია “ბერლინის კედლით” არ გაყოს და არ დაუპირისპიროს ერთმანეთს. ეროვნული კულტურის განვითარებასთან ერთად გლობალური ტენდენციები ეთნოკონფლიქტების თავიდან აცილების ერთ-ერთი საშუალებაა, რამდენადაც ყოველი საზოგადოების მოქალაქე თავს იგრძნობს არა მხოლოდ თავისი ერის შვილად, არამედ ინტეგრაციული პროცესების აქტიურ მონაწილედაც.

განათლების პოლიტიკაც შესაბამისად ეროვნული იდეოლოგიის დანერგვისა და კეთილდღეობის პირობას შეადგენს. უნივერსიტეტების როლი ამ რთულ ურთიერთდაპირისპირებულ და ერთმანეთთან სინთეზირებულ პროცესებში წინააღმდეგობრივი იქნება და მისი სახე განისაზღვრება იმით, რაც ერს აქვს და იმ ბუნებით, რაც სამოქალაქო საზოგადოებას გააჩნია.

უნივერსიტეტები სამოქალაქო საზოგადოების განმტკიცების ასაღ მთხოვნებს წააწყდნენ თანამედროვე პერიოდში. მისი აუცილებლობა არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე თავის დროზე ტოტალიტარული სახელმწიფოს მოსპობა იყო ჩვენს ქვეყანაში. არც იმის გამორიცხვა შეიძლება, რომ სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაში განათლების ინტეგრაციულ და გლობალურ პროცესებს შეუძლია განათლების ეროვნული პრინციპების დაქვემდებარება, რაც ყველაზე თვალნათლივ საერთაშორისო სწავლებაში ეროვნული ენის გამოყენებით ვლინდება.

უნივერსიტეტები ვალდებულნი არიან, პასუხისმგებელნი იყვნენ გლობალური რესურსების გამოყენებასა და ეროვნულ კულტურაზე, რადგან მათზე უკეთესად

ვერავინ შეძლებს კულტურის შენარჩუნებას. თუ სწავლებისას ეროვნული ენა დროთა განმავლობაში მეორეხარისხოვანი ხდება, ეს ემსგავსება ნაღმის აფეთქებას მუზეუმში. ენის გადარჩენა მხოლოდ განათლების რაციონალური ფორმების შემოდებითაა შესაძლებელი. საერთაშორისო სწავლებისას უცხოელი სტუდენტები ადგილობრივ კულტურასაც უნდა იზიარებდნენ, რაც შესაძლებელია შესაბამისი ინტერნაციონალური სასწავლო პროგრამების გზით. ასეთი პროგრამები ეროვნული ღირებულებების გლობალურ პროცესებში ჩართვის საწინდარი უნდა იყოს. ინტერნაციონალიზაცია და ინტეგრაცია არ არის მხოლოდ ხალხთა კულტურის წარმოჩენის საკითხი, არამედ იგი ერთი კულტურის დანახვის შესაძლებლობაა სხვა კულტურის ადამიანების თვალთ, აგრეთვე ხალხთა დაახლოებისა და ეთნოკონფლიქტების პროფილაქტიკის საშუალებაა.

სამოქალაქო საზოგადოების განმტკიცებასთან ერთად უნივერსიტეტები, ისევე როგორც ეკონომიკა, ნაკლებად დამოკიდებული ხდებიან პოლიტიკოსებზე, რადგან პოლიტიკაც და ეკონომიკაც ცივილიზაციასთან ერთად იცვლება. უნივერსიტეტები, როგორც სოციალური ინსტიტუტები, დროთა განმავლობაში მომხმარებელზე ორიენტირებულ კორპორაციებს ემსგავსებიან და ისინი, სხვა ბიზნესის მსგავსად, ორიენტირებულნი არიან მომსახურებაზე, მაგრამ, ამავე დროს, თანდათანობით გარდაიქმნიებიან ფინანსურად დამოუკიდებელ კორპორაციებად, რომლებიც სწავლების პროცესს წარმართავენ სწრაფად, იაფად, ეფექტურად. ამიტომ იცვლება მათი სოციალური როლიც. მათი შემეცნებითი და კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქცია კი კვლავ მნიშვნელოვანი რჩება ცივილიზებული საზოგადოების მშენებლობაში.

უნივერსიტეტი არის თანამედროვე სახელმწიფოს კეთილდღეობის ნაწილი. ამიტომ სახელმწიფოს, სამოქალაქო საზოგადოებასა და უნივერსიტეტებს შორის ურთიერთობაც გლობალური პროცესების პარალელურად ყალიბდება.

§4. გლობალიზაციის ზოგიერთი საშიშროება სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაში პოსტკომუნისტური ქვეყნების მახალითა

საქართველოსათვის, ისევე როგორც გარდამავალი პერიოდის ქვეყნებისათვის, გლობალიზაცია ახალი ფენომენია. საბაზრო ეკონომიკაზე

ტრანსფორმაციასთან ერთად ძლიერდება ის სტიმულები, რომლებიც ეროვნული უნივერსიტეტების მშენებლობის პარალელურად სასწავლო ქსელს დაუქვემდებარებს მსოფლიოს საგანმანათლებლო ინდუსტრიის მოთხოვნებს. ამ პროცესში მათი ჩართვით კიდევ უფრო გაძლიერდება საგანმანათლებლო პოტენციალი და საქართველოს ეძლევა შესაძლებლობა განამტკიცოს სამოქალაქო საზოგადოება. ამისათვის კი აუცილებელია რეფორმები, მაგრამ ჯერჯერობით გლობალიზაციის პროცესები მტკივნეულად მიმდინარეობს. გარდაქმნის პირველ ეტაპზე გაძლიერდა ეროვნული უნივერსიტეტების სახე. მართალია, მათ გვერდით იმთავითვე აღმოცენდა საერთაშორისო უნივერსიტეტებიც, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ შორს არიან გლობალური ფასეულობების სრულყოფილი გამოყენებისაგან. ამ ფასეულობებს კი ქმნიან უცხო ენების გაძლიერებული სწავლებისა და ტექნოლოგიური კომუნიკაციების საშუალებების განვითარებით. კომპიუტერიზაცია და ინტერნეტიზაცია ვითარდება სახელმწიფო ეროვნულ უნივერსიტეტებშიც. სამწუხაროდ, სტუდენტთა ინტერნაციონალიზაცია და საერთაშორისო კადრების გამოყენება, რაც ერთობ აუცილებელია ინტერნაციონალიზაციის გასაღრმავებლად, ჯერჯერობით სუსტადაა განვითარებული. ეს კი საქართველოს მსოფლიო ეკონომიკაში ჩართვის წინააღმდეგობებთან თავისებური ასახვაა.

უკანასკნელ პერიოდში საქართველო დაბალგანვითარებული ქვეყნების სიაში აღმოჩნდა. შესაბამისად მას შეზღუდული შესაძლებლობები გააჩნია ინფორმაციული ტექნოლოგიებისადმი ხელმისაწვდომობაში. ამის გარეშე კი შეუძლებელია საუნივერსიტეტო სწავლებაში გლობალიზაციის პერსპექტივების განხორციელება; ასევე შეუძლებელია ერებმა გაარკვიონ კულტურული განსხვავებანი და ითანამშრომლონ საზოგადოების სრულყოფისათვის, შეცვალონ ცხოვრების სტილი და მოხმარების კულტურა გარემოს დაცვის გათვალისწინებით. ამიტომ არსებობს საშიშროება, რომ გლობალიზაციის დადებითი მუხტი ყველა ქვეყანაში ერთნაირად ვერ იმოქმედებს. ამიტომ მსოფლიოს საზოგადოება მზად უნდა იყოს, რათა თავიდან აიცილოს იგი.

დღეს მწვავედ დგას საკითხი საერთაშორისო ეკონომიკური კრიზისების ზეგავლენისა და შიდა ეთნოკონფლიქტების შესახებ. ძლიერი განვითარებული ქვეყნები ადვილად ართმევენ თავს კრიზისებს, დაბალგანვითარებულ ქვეყნებში კი იგი მოქმედებს მთელი სიმკაცრით. ცხადია, რომ არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია დარჩეს მსოფლიოს გლობალური მოვლენებისაგან იზოლირებულად.

საერთაშორისო ორგანიზაციები უნდა დაეხმარონ ღარიბ ქვეყნებს მსოფლიოს ეკონომიკაში გაერთიანებისათვის, განათლების სისტემის ინტეგრაციისათვის. ეს კი არის გზა იქითკენ, რომ გლობალიზაციისაგან ყველამ მიიღოს სარგებელი.

დასკვნა

ამდენად, გლობალიზაცია არ არის მარტივი პროცესი. იგი საშუალებაა, რათა ყოველმა ერმა მიიღოს სარგებელი, თუ საგანმანათლებლო სისტემას განავითარებს როგორც ეროვნულ ნიადაგზე, ასევე საერთაშორისო ინტეგრაციის გზით და შეძლებს მყარი სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობას. შესაბამისად, საგანმანათლებლო პოლიტიკას გლობალური თვალსაზრისით ორი მიზანი აქვს: 1. სამოქალაქო საზოგადოების განმტკიცება; 2. განათლების ინტეგრაციული პროცესების განვითარებისათვის ხელის შეწყობა.

განათლების საერთაშორისო ინტეგრაცია არის სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების პირობა. იგი ეთნოკონფლიქტების გადაჭრის გზაა. რაც უფრო განვითარებულია ერი, მით უფრო დაცულია მისი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესები, მით უფრო მეტად ერწყმის მისი ინტერესები სხვა ერის ინტერესებს, მით უფრო ნაკლებია მცირე ერების უფლებების დარღვევის შემთხვევები და ეთნოკონფლიქტები, მით უფრო მყარია სამოქალაქო საზოგადოება, უფრო მყარია დემოკრატიული მენტალიტეტი. მეორეს მხრივ, სტაბილური სამოქალაქო საზოგადოების მიღწევა შეუძლებელია გლობალური და ინტეგრაციული პროცესების გარეშე, ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ გლობალიზაცია არის განათლების საერთაშორისო ინტეგრაციისა და სამოქალაქო საზოგადოების განმტკიცების საფუძველი. მხოლოდ განათლების ინტეგრაციისა და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის საშუალებით შეიძლება გლობალური წარმატებების მიღწევა. ასეთი დიალექტიკური წრე, გლობალიზაციის საფუძველზე ინტეგრაციისა და ეროვნული კულტურის განვითარება, და პირიქით, ეროვნული კულტურისა და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობიდან განათლების საერთაშორისო ინტეგრაციისა და გლობალიზაციისაკენ გზა არის თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოების განვითარების თავისებური ასახვა.

დაბოლოს, განათლების სისტემა დიდ როლს ასრულებს ისეთი სამოქალაქო ქცევების ჩამოყალიბებაში, როგორცაა თავისუფლების აუცილებლობა, სოციალური თანასწორობა, პასუხისმგებლობა, ცალკეული ადამიანის უფლებები

და ვალდებულებები. შეიძლება ითქვას, რომ ეროვნული განვითარების იდეა საერთო-ეროვნულ ფასეულობებზე არის დამყარებული, რომლის გადაცემა, განვითარება და შენახვა განათლების სისტემის ამოცანაა. მისი ფუნქცია ინტეგრაციულია განათლების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული მიზნები უზრუნველყოფენ ხალხთა ურთიერთმხარდაჭერას. ხელოვნების, ჰუმანიტარული მეცნიერებების განვითარება კი ქმნის საფუძველს იმ ფასეულობების ჩამოსაყალიბებლად, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს სამართლიანი, დემოკრატიული და ეკონომიკურად განვითარებული, მრავალეროვანი საზოგადოების ფორმირებისათვის.

ბანათლების სისტემა და პრობლემები საქართველოში

§1. ბანათლების სისტემის სოციალური ევოლუცია საქართველოში

I ეტაპი - საეკლესიო-სამონასტრო სკოლები

საქართველოში აღზრდა-განათლების ტრადიციები უხსოვარ დროიდან იღებს სათავეებს. იგი ერთ-ერთი უძველესი კულტურის ქვეყანაა, სადაც მიწათმოქმედებასთან ერთად ვითარდებოდა ხელოსნობა, მესაქონლეობა და თაობიდან თაობას გადაეცემოდა შრომის კულტურის საიდუმლოება. აქ ძირითადად განვითარებული იყო საოჯახო სწავლება. ბერძნული წყაროების მიხედვით, საქართველოში სასკოლო სწავლებაც უნდა ყოფილიყო, რასაც ადასტურებს კოლხეთში არსებული გიმნაზიონები და დისკოები. ახ. წ. III-IV საუკუნეებიდან კოლხეთში უმაღლესი რიტორიკულ-ფილოსოფიური განათლების კერებიც არსებობდა.¹²⁰

ახ. წ. აღ. IV საუკუნიდან საქართველოში საფუძველი ეყრება ახალ სოციალურ ურთიერთობას - ფეოდალიზმს, რასაც მოჰყვა ქრისტიანული რელიგიის გავრცელება. IV საუკუნის 30-იანი წლებიდან სწავლებას უმთავრესად ინდივიდუალური ხასიათი ჰქონდა, მაგრამ, ამასთანავე, არსებობდნენ სკოლები უმთავრესად მონასტრებთან. საქართველოში გაბატონებული ყოფილა ნიზიბინის ტიპის სკოლა.¹²¹ ამ სკოლისათვის დამახასიათებელი იყო პრაქტიციზმი და მთავარ საგნებად ითვლებოდა ეგზეტიკა (ბიბლიური ტექსტის შესწავლა), ჰომილეტიკა (ეკლესიაში საჯარო სწავლა-მოძღვრების წარმოება), ლიტურგია (ღვთისმსახურების შესრულება და საეკლესიო გალობა). მისი უმთავრესი მიზანი იყო ეკლესიის მსახურთა მომზადება. რელიგიის განმტკიცებას წიგნიერება სჭირდებოდა. იქმნებოდა ჰაგიოგრაფიული თხზულებანი, როგორცაა იაკობ ცურტაველის "უშუანიკის წამება", იოანე საბანისძის "აბო თბილელის წამება" და სხვა. ამ ტიპის ნაწარმოებები

¹²⁰ მ. ბერძნიშვილი, ქალაქ ფაზისის ისტორიისათვის. თბ., 1969, გვ.47-49.

¹²¹ ნიზიბინი - ქალაქი მესოპოტამიაში

ემსახურებოდა ქართველთა შორის სარწმუნოებრივი, პატრიოტული და ეროვნული თვითშეგნების გაღვივებას.

მე-6 საუკუნეში საქართველოში ჩამოვიდნენ სირიის ქართული ფილოსოფიური სკოლის აღზრდილები ე.წ. "სირიელი მამები" და ხელი მიჰყვეს სამონასტრო მშენებლობას. მათ მშენებლობის იდეებთან ერთად ცოდნა-გამოცდილებაც ჩამოჰყვათ. სირიელი მამების მიერ დაარსებული სამონასტრო ცენტრები ქართული განათლების უმნიშვნელოვანეს კერებად იქცა. შიომღვიმე, გარეჯი, ალავერდი, ზედაზენი და სხვა სამონასტრო სკოლები ამზადებდნენ მთარგმნელებს, გადამწერებს, წიგნის მკაზმველებსა და სხვ.

საეკლესიო-სამონასტრო სკოლების მთავარი ღირსება ის იყო, რომ ისინი ემსახურებოდნენ ქართული წერა-კითხვის გავრცელებას, ამზადებდნენ არა მარტო ღვთისმსახურებს, არამედ წიგნის შემქმნელებს. გარდა ღვთისმსახურებისა, ასწავლიდნენ ენებს, გრამატიკას, რაც აუცილებელი იყო მართლწერისა და საღვთო წიგნების ტექსტის უკეთ გაგებისათვის. აქ ეუფლებოდნენ ისეთ შრომით ჩვევებსაც, რომლებიც მონასტრის მკვიდრთ თავის სარჩენად სჭირდებოდათ. მონასტრებთან და ეკლესიებთან არსებულ სკოლებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა გალობის შესწავლასაც. ორიგინალურ და თარგმნილ თხზულებებთან ერთად ქმნიდნენ აგრეთვე ჰიმნოგრაფიულ ლიტერატურას, საგალობლებს, აყალიბებდნენ საგუნდო კაპელებს და ამზადებდნენ მგალობლების ხელმძღვანელებს. მონასტრებმა თავის დროზე დიდი როლი შეასრულეს არა მარტო მწიგნობრული ცოდნის დაგროვება-გავრცელებაში, არამედ მედიცინის, მხატვრობის, არქიტექტურისა და მეურნეობის განვითარებაში.

განათლებას ქართველები საზღვარგარეთ - პალესტინის, ბიზანტიისა და სხვა საგანმანათლებლო კერებშიც ღებულობდნენ. ჯერ კიდევ მე-5 საუკუნეში სირიაში არსებობდა ქართველთა განათლების ცენტრი, რომლის დამაარსებელი იყო პეტრე იბერი. განათლების კერები საქართველოს კულტურის განვითარებას ემსახურებოდა. ცოდნის მიღების შემდეგ ახალგაზრდები საქართველოში ბრუნდებოდნენ სამოღვაწეოდ.

მე-12 საუკუნეში საქართველოში გაჩნდა აკადემიებიც (გელათის და იყალთოს), სადაც მსმენელები, თეორიული ცოდნის გარდა, ღებულობდნენ პრაქტიკულ ცოდნას და სწავლობდნენ ისეთ საგნებს, როგორცაა ფილოსოფია, გრამატიკა,

ასტრონომია, არითმეტიკა, გეომეტრია, მუსიკა, მედიცინა, სამართალმცოდნეობა, ხელოსნობა, სოფლის მეურნეობა.

მე-13, მე-14 საუკუნეებში სასკოლო განათლება შეფერხდა, მაგრამ არ შეწყვეტილა. სკოლები კვლავინდებურად არსებობდნენ ეკლესია-მონასტრებთან, საეპისკოპო კათედრებთან, სამეფო-სამთავროთა რეზიდენციებსა და მსხვილ ფეოდალთა სასახლეებთან.

სწავლა-განათლების ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი კერები საქართველოში მე-13, მე-15 საუკუნეებში იყო აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ ქართლში. მონღოლთა ბატონობის პერიოდშიც კი თბილისი რჩებოდა მძლავრ კულტურულ-სამეცნიერო ცენტრად და იგი კვლავინდებურად იზიდავდა უცხოელ სწავლულებს. აგრეთვე სომეხი და ქართველი მეცნიერები სიტყვებსა და ქადაგებებს წარმოთქვამდნენ. აგრეთვე იწერებოდა, და მრავლდებოდა ხელნაწერები, ითხზებოდა სიმღერები, ისტორიები.

საგანმანათლებლო კერას წარმოადგენდა ქსნის ხეობაში მდებარე სამონასტრო ცენტრი - ლარგვისი. ლარგვისის მონასტერს დიდ დახმარებას უწევდნენ ქსნის ერისთავის საგვარეულო სახლის წევრები.¹²² აგვაროზ ბანდაისძის (მე-14 საუკუნის მეორე ნახევარი) “პარაკლიტონის” მინაწერში აღნიშნულია: “წყალობითა ღმერთისაითა მმეცი თვნიერ მოძღურისა, ხელოვნებაი ესევეითარი: პირველად --სწავაი ხუცობისაი, --მეორე მწიგნობრისაი, -- მესამე წერაი ხუცურისაი, --შექმნა ეტრატისაი --შეკერვაი წიგნისაი, მეექუსე მხატვრობისა --- მკერვალობისაი--- ტყევის კერვისაი---ხუროვნობისაი--მეათე მსოფლიო მუშაობისაი”. მწიგნობრობა ამ შემთხვევაში წიგნის გადაწერის ცოდნას კი არ ნიშნავს, არამედ - ორიგინალური თხზულების შექმნას. ეს მინაწერი იმით არის საინტერესო, რომ იგი გვამცნობს, თუ რას სწავლობდნენ საქართველოში ძველად, როდესაც მათ კულტურულ საგანმანათლებლო მუშაობის ჩასატარებლად ამზადდებდნენ.¹²³

ქართული ეკლესია ეწეოდა სამისიონერო მოღვაწეობას კავკასიის მთიანეთში, დაღესტანში (მე-13 საუკუნეში), მაგრამ შემდგომ ქართული კულტურის გავლენა თანდათანობით მცირდება. XIV საუკუნეში თემურ ლენგის მიერ წარმოებული რელიგიური პოლიტიკის წყალობით დაღესტანში ისლამი ვრცელდება.

¹²² ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები. ტ.1., ნაკვ.1. თბ., 1962. გვ. 218.

¹²³ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. რვა ტომად, ტ.3. თბ., საბჭოთა საქართველო, 1979, გვ. 821.

განათლება დაქვემდებარებული იყო რელიგიურ იდეოლოგიას და იგი სხვადასხვა პოლიტიკური ძალების ბრძოლის ასპარეზს წარმოადგენდა. ეს განსაკუთრებით იგრძნობოდა ქართულ საზღვარგარეთულ ცენტრებში, პეტრიწონის მონასტერში (ბულგარეთში), ჯვრის მონასტერში და სხვ.

რელიგიური პოლიტიკის ბრძოლის შედეგად მე-13 საუკუნეში ჯვრის მონასტრიდან გააძევეს ქართველი ბერები, ხოლო შემდეგ მონასტერი მიიტაცეს მუსულმანებმა (მამლუქებმა). მე-14 საუკუნეში მოხერხდა მისი კვლავ უკან დაბრუნება. ამ მონასტრის განვითარებაზე ზრუნავდნენ ქართველი მეფეები გიორგი ბრწყინვალე, იმერთა მეფე კონსტანტინე I, რომელმაც გაიღო სახსრები მისი რეკონსტრუქციისათვის და სხვები. ქართული სახელმწიფოს მესვეურნი ზრუნავდნენ აგრეთვე სხვა საზღვარგარეთული კულტურის ცენტრებისათვის და ცდილობდნენ მათ შენარჩუნებას. ყოველი რელიგიური ცენტრი სასწავლო დაწესებულება იყო და ამზადებდა მონაზვნებს.¹²⁴

მე-16 საუკუნიდან იწყება ქართული განათლების ისტორიის ახალი პერიოდი, რომელიც ქართულ ლიტერატურაში “აღორძინების” სახელითაა ცნობილი. ამ პერიოდში მოქმედების მთავარი მოტივი ეროვნულ-პატრიოტული იყო. მართალია, მონღოლთა ბატონობის დროს სწავლა-განათლების საქმე დაქვეითების გზას დაადგა, რადგან მტრების განუწყვეტელი შემოსევებისას სწავლა-განათლებისათვის პირობები არ არსებობდა და მოსახლეობის ძირითადი ნაწილი გაუნათლებელი და წერა-კითხვის უცოდინარი იყო, წიგნები ხელნაწერების სახით ვრცელდებოდა სიძვირის გამო, მაგრამ გაბატონებული კლასის წარმომადგენლები სწავლა-აღზრდის საქმეს დიდ ყურადღებას უთმობდნენ. განათლების სისტემა მოიცავდა საერო და სასულიერო სწავლა-აღზრდას. ამ პერიოდშიც განათლების საქმე ეკლესიის ხელში იყო და მათი სწავლება რელიგიურთან ერთად ცხოვრებისეულ საკითხებსაც მოიცავდა. ღვთისმეტყველებასთან ერთად ყურადღება ეთმობოდა ფილოლოგიის, ისტორიის, ფილოსოფიის, მათემატიკის, ასტრონომიის, სამართლის, გეოგრაფიისა და სხვა საგნების შესწავლას, აგრეთვე ფიზიკური აღზრდის ისეთ სახეობას, როგორიცაა ნადირობა. მართალია, ნადირობა ელიტარული კლასის თავშესაქცევი იყო,

¹²⁴ საინტერესოა, რომ რელიგიურ ცენტრებში სიტყვა "მოძღვარი" ნიშნავდა მასწავლებელს და არა მხოლოდ იმ პირს, რომელიც ვისიმე სულიერი დამრიგებელი (მოძღვარი) იყო (საქართველოს ისტორიის ნარკვევები. რვა ტომად, ტ.3. თბ., საბჭოთა საქართველო, 1979, გვ. 833).

მაგრამ იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა რაინდული თვისებების ჩამოყალიბებაში.

მე-17 საუკუნიდან საქართველოში კათოლიკე მისიონერებიც აარსებდნენ სკოლებს. მათი მიზანი იყო კათოლიკობის პროპაგანდისტთა აღზრდა და ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის რომის კათოლიკურ ეკლესიასთან შეერთებისათვის ნიადაგის მომზადება. თბილისში 1668 წელს კათოლიკე მისიონერების სკოლაში 25 მოსწავლე სწავლობდა, ხოლო 1675/76 წლებში - 40-50. სკოლაში მომზადებული ყმაწვილებიდან ყველაზე ნიჭიერებს რომში აგზავნიდნენ სწავლის გასაგრძელებლად.

მე-18 საუკუნის დასაწყისში საქართველო ირანისა და თურქეთის ძლიერ პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ზეგავლენას განიცდიდა. ქართველი საზოგადოებრივი მოღვაწენი (ვახტანგ VI, სულხან-საბა ორბელიანი და სხვ.) კარგად ხედავდნენ ამ საშიშროებას. ქართველების ეროვნული სახის შესანარჩუნებლად, გარდა ფიზიკურ არსებობაზე ზრუნვისა, საჭირო იყო მის კულტურასა და იდეოლოგიაზე ზრუნვაც. ვახტანგ VI-ის გარშემო შემოკრებილმა საზოგადოებამ დაიწყო ბრძოლა ქართული კულტურის, მეცნიერების, ენისა და ლიტერატურის ასაღორძინებლად. ეს იყო საკმაოდ რთული ხანა. ივ. ჯავახიშვილი წერდა: “თითქმის ყველა იმდროინდელი მოღვაწის აზრი და გონება იმ ფიქრისაკენ იყო მიმართული, რომ ქართველი ხალხის შემოქმედებითი ნიჭის მრავალი საუკუნის ნამუშევარი და ნაჭირნახულევი შეეკრიბათ, შეესწავლათ და შთამომავლობისთვის დამთავრებული, ყოველმხრივი წარმოდგენა და ცოდნა გადაეცათ.”¹²⁵

მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოში სამეფო-სახელმწიფო სასწავლებლები დაარსდა და სწავლას ორგანიზებული, გეგმიანი ხასიათი ჰქონდა, მაგრამ ამავე საუკუნის დამდეგისათვის საქართველოში სასწავლო-საგანმანათლებლო კერათა რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა. შესაფერისი განათლების მიღებას მხოლოდ სამეფო ოჯახისა და დიდ ფეოდალთა შვილები ახერხებდნენ. ვახტანგ მეექვსემ გაატარა სათანადო ღონისძიებები განათლებისა და ცოდნის გასავრცელებლად. აღმოსავლეთ საქართველოში გაიზარდა განათლების კერათა რაოდენობა. ამ საქმეს ემსახურებოდა ქართულ სტამბებში სახელმძღვანელოების გამოცემა, რაც ისტორიულ სიახლეს წარმოადგენდა.

¹²⁵ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, ტ.1, 1928, გვ.116.

პირველი ქართული მეთოდური სახელმძღვანელო იყო “სწავლა თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლება მოწაფისა,” რომელიც 1711 წელს დაიბეჭდა თბილისის სტამბაში.¹²⁶

ამ პერიოდში განათლებისა და წიგნთა გამრავლება-გავრცელების მნიშვნელოვან ცენტრებად კვლავ ეკლესია-მონასტრები რჩებოდა. ასეთი იყო დავით გარეჯის უდაბნო და ნათლისმცემლის უდაბნოები კახეთში, შიომღვიმე და მცხეთა - ქართლში, გელათი - იმერეთში, მარტვილი (ჭყონდიდი) - სამეგრელოში, შემოქმედი, თეთროსანი და ნათლისმცემელი - გურიაში და სხვ.

მე-18 საუკუნეში ქართლ-კახეთის ცენტრალურმა ხელისუფლებამ დიდი ყურადღება დაუთმო განათლების საქმეს. 1755 წელს ქ. თბილისში დაარსდა სასულიერო სემინარია, სადაც უმთავრესად მაღალი წოდების წარმომადგენელთა შვილებს იღებდნენ და ასწავლიდნენ ღვთისმეტყველებას, ქართულ ენას, გრამატიკას, ფილოსოფიას, გალობას, ლოგიკას, ფიზიკასა და მათემატიკას. 1758 წელს სასულიერო სემინარია ჩამოყალიბდა თელავშიც და მოგვიანებით იგი გადაკეთდა ფილოსოფიურ სემინარიად. თელავის სემინარია სახელმწიფო ხარჯზე არსებობდა. შემწეობას კერძო პირებიც უწევდნენ და ეკლესიის შემოსავლიდანაც დებულობდნენ. ამ სემინარიაში, დავით ბატონიშვილის ცნობით, ყველა წოდების წარმომადგენელი სწავლობდა. სწავლებას ლექციური ხასიათისა იყო. მოსწავლეები ჯერ ისმენდნენ ლექციებს, ხოლო შემდეგ პედაგოგები მათ ცოდნას ამოწმებდნენ გამოცდების გზით. სტიმულის მიზნით წარჩინებულ მოსწავლეებს აჯილდოებდნენ.

სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებათა გარდა ქართლ-კახეთში კერძო სასწავლებლებიც არსებობდა. თბილისის კერძო სკოლებში განათლებას იღებდნენ არა მარტო ქართველები, არამედ სომხები და მაჰმადიანებიც.¹²⁷

ქართულ კერძო სკოლებში ასწავლიდნენ საღვთო სჯულს, ქართულ ენას, გრამატიკასა და არითმეტიკას. ამავე პერიოდში არსებობდა კათოლიკეთა კერძო სკოლებიც, რომლებმაც 1755 წელს, თეიმურაზის მერ კათოლიკეების ქართლ-კახეთიდან განდევნის შემდეგ, თავისი არსებობა შეწყვიტა. მართალია, კათოლიკური გავლენა უპირისპირდებოდა მართლმადიდებლურ იდეოლოგიას და

¹²⁶ სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში. ტ. I. მასალების კრებული. თბ., პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გამომცემლობა. 1937. გვ. 36.

¹²⁷ ა. როგავა, სახალხო განათლება ერეკლე მეორის ხანის ქართლ-კახეთში და ანტონ პირველი. თბ., 1950. გვ. 61-75.

ბრძოლა ამ ორ რელიგიურ მიმდინარეობას შორის საგანმანათლებლო სფეროების გავლენის მოსაპოვებლად წარიმართა, მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ კათოლიკურ სკოლას პოზიტიური მხარეებიც გააჩნდა. იგი იყო დასავლური ენების გამავრცელებელი საქართველოში. მე-18 საუკუნის 60-იანი წლებისათვის ერეკლე შეეცადა, დაებრუნებინა კათოლიკები ქართლში და მათი საშუალებით აღედგინა უცხო ენების სწავლება ქართულ სკოლებში. თბილისის კეძო სკოლებში რუსულ ენასაც ასწავლიდნენ, რაც შეესატყვისებოდა სამეფო კარის პოლიტიკურ ორიენტაციას. ერთმორწმუნე რუსებთან დაახლოება ამ ენის დაუფლებას მოითხოვდა. საერთოდ უცხო ენების შესწავლა არ იყო შემეცნებითი მნიშვნელობის. უცხოეთთან დიპლომატიური ურთიერთობა აუცილებელს ხდიდა თურქული, რუსული, ფრანგული და სხვა ენების ცოდნას. უცხო ენების ცოდნა სჭირდებოდა სამეფო კარის დიდ მოხელეებსა და ვაჭრებსაც. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა მე-18 საუკუნის ბოლოს შედგენილი "ქართულ-თურქული სასწავლო წიგნი".

შეიძლება დავასკვნათ, რომ მე-19 საუკუნემდე საქართველოში განათლების საქმიანობა ეფუძნებოდა: 1. მართლმადიდებლობის განმტკიცებას, 2. სამეფო კარის პოლიტიკურ-დიპლომატიური ორიენტაციის გაძლიერებასა და 3. საერთო კულტურისა და ფილოსოფიური შემეცნების განვითარებას. ამ მიზნების მისაღწევად სკოლებს აფინანსებდა როგორც ეკლესია, ასევე მეფის კარი და კერძო პირებიც. საინტერესოა ისიც, რომ მონასტრებსა და ეკლესიებთან არსებული სკოლების დაფინანსებაში მშობლებიც მონაწილეობდნენ.

საქართველოში განათლების საქმე ძირითადად ეკლესიის ხელში იყო. სკოლები მსხვილ საეკლესიო ცენტრებთან არსებობდა და განათლებას ღებულობდნენ ის ფეოდალები, რომლებიც სასულიერო სარბიელზე მოღვაწეობას აპირებდნენ.

ფეოდალთა შვილებისათვის აღზრდა - განათლების საწყის საფეხურს გაძიძავება წარმოადგენდა. ძიძის ხელიდან გამოსული ბავშვი ცნობილ სასულიერო პირს ან ფეოდალს მიეპარებოდა გასანათლებლად. განათლება ფეოდალური ზედა ფენის პრივილეგია იყო, მაგრამ ფეოდალები იშვიათად იყენებდნენ მას. 1770 წლის ერთ-ერთი ცნობით, იმერეთში წერა-კითხვა თავადაზნაურთა მხოლოდ ერთმა ნაწილმა იცოდა. ამასთან, "კეთილშობილი" ქალები ვაჟებთან შედარებით უფრო მეტად ცდილობდნენ წერა-კითხვის შესწავლას. ვაჟები გაუთავებელი ომიანობის გამო სამხედრო საქმეებით იყვნენ

დაკავებულნი.¹²⁸ საქართველოში სათანადო ყურადღება ეთმობოდა ქალთა განათლების საქმეს, საერო ცხოვრებაში წერა-კითხვის გამავრცელებელ უმთავრეს ძალას ქალი წარმოადგენდა. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ქალი მარტო ვიწრო საოჯახო მეურნეობას არ ეწეოდა. მე-17 საუკუნის მოგზაურის - არქანჯელო ლამბერტის ცნობით, "ქართული წერა-კითხვა სულ მოსპობილი იქნებოდა აქ, რომ ქალებს არ შეენახათ იგი. ასე რომ, თუ ვისმე უნდა კითხვა შეისწავლოს, უნდა რომელსამე ქალს მიებაროს სასწავლებლად"¹²⁹

მე-19 საუკუნეში, საზოგადოებრივი წყობის გარდამავალ პერიოდში, ქართველი თავადაზნაურები და ფეოდალები კარგავენ თავიანთ მდგომარეობას კულტურულ და ეკონომიკურ ცხოვრებაში, მაგრამ ვერც ქართული ბურჟუაზია იკიდებს ფეხს რუსული, სომხური და ევროპული ბურჟუაზიის გვერდით. განათლების სისტემა აქამდე ემყარებოდა ქართველი ხალხისათვის დამახასიათებელი ისეთი თვისებებისა და თვითმყოფადობის დამკვიდრებას, როგორცაა რელიგიური რწმენის განვითარება, მშობლიური მიწა-წყლისა და ენის სიყვარული, სიბრძნისმოყვარეობა. სწორედ ეს თვისებები ასაზრდოებდა ქართულ საგანმანათლებლო პოლიტიკას, კულტურასა და იდეოლოგიას.

II ეტაპი - ეროვნული და რუსული ორიენტაციის დაპირისპირება განათლებაში

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, ახალი ბურჟუაზიული ურთიერთობების წარმოშობასთან ერთად, შეიცვალა განათლების მიმართულებები. ეკონომიკური განვითარების შესაბამისად დაარსდა ისეთი ახალი სასწავლო კერები, როგორცაა სახელოსნო სასწავლებლები, სადაც ოსტატებს შეგიძლებოდა ჰყავდათ აღსაზრდელად მიბარებული და მათი მომზადება უშუალოდ სამუშაო ადგილებზე ხდებოდა. ამის პარალელურად დაიწყო განათლების სისტემის გარდაქმნა რუსულ ყაიდაზე. რუსეთთან შეერთების შემდეგ მეფის მთავრობამ გააუქმა ქართული ეროვნული სასწავლებლები და რუსული ორიენტაციის მქონე სასწავლებლების დაარსებას შეუდგა. პირველი ასეთი სკოლა იყო ორკლასიანი დაწყებითი სასწავლებელი, რომელიც თბილისში

¹²⁸ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. რვა ტომად, ტ.4. თბ., საბჭოთა საქართველო, 1973, გვ. 781.

¹²⁹ არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938, გვ.174.

დაარსდა 1802 წელს და მალე დაიხურა, რადგან მოსწავლეებმა რუსულად სწავლა ვერ შეძლეს. შემდეგ გაიხსნა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი, რომელიც მოგვიანებით გიმნაზიად გადაკეთდა. ეს იყო პირველი ოფიციალური საერო სკოლა. ასეთი სკოლა ქუთაისშიც გაიხსნა 1850 წელს. იხსნება აგრეთვე ქალთა პირველი სკოლა-პანსიონი (1840 წ.) და დაწყებითი საერო სასწავლებლები სხვადასხვა მაზრაში (1830 წ.).

ეკლესიის მსახურთა მოსამზადებლად ცარიზმი აარსებდა სასულიერო სასწავლებლებსაც. სემინარიებში ღებულობდნენ ყველა წოდების ახალგაზრდებს. იგი პრაქტიკულად უფრო მეტ ცოდნას იძლეოდა, ვიდრე გიმნაზია, ამიტომ ხალხიც მას უფრო ეტანებოდა. ამ სასწავლებლებს ხელისუფლება არ აფინანსებდა. იგი ადგილობრივი სახსრებით არსებობდა.

ამავე პერიოდში აღმოცენდა კერძო სკოლებიც, სადაც მხოლოდ შეძლებულთა შვილები სწავლობდნენ. 1860 წელს ყველა ტიპის 145 დაწყებითი და საშუალო სასწავლებელი არსებობდა, რომელიც 7850 მოსწავლეს აერთიანებდა, ე.ი. ყოველი ათასი მცხოვრებიდან მხოლოდ 9-10 კაცი სწავლობდა¹³⁰.

სასწავლო პროცესი არადაამაკაყოფილებელი იყო იმ თვალსაზრისით, რომ სახელმწიფო, საეკლესიო თუ კერძო სკოლებს არ ჰყავდა კვალიფიციური მასწავლებლები, რადგან მათი მოსამზადებელი სპეციალური სასწავლებელი ჯერჯერობით არ არსებობდა.¹³¹ მასწავლებლობა ძირითადად მინდობილი ჰქონდათ კანცელარიის მოხელეებს, დიაკვნებს, სამხედროებს. სასწავლებლებში გამეფებული იყო პოლიციური რეჟიმი და უაზრო ზეპირობა.

ხალხის ფართო ფენებში უწინდებურად საშინაო განათლება ვითარდებოდა, სადაც მთავარი ადგილი ეკავა ოსტატს, მღვდელს ან მეოჯახე ქალს, მაგრამ ეს ტრადიციული სწავლის ფორმა ამ პერიოდისათვის უკვე მოძველებული იყო.

მე-19 საუკუნის ბოლოს სასწავლებლებიდან, მათ შორის დაწყებითი სკოლებიდან, საბოლოოდ განდევნეს ქართული ენა. ამ პერიოდში განათლების მთავარი მიზანი იყო რუსული იდეოლოგიის დამკვიდრება საქართველოში. ამ პოლიტიკის შედეგად ფართოდ გავრცელდა სკოლების სისტემა, გამრავლდა

¹³⁰ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, რვა ტომად, ტ.5. თბ., საბჭოთა საქართველო, 1970, გვ. 813.

¹³¹ გ. თავზიშვილი, სახალხო განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების ისტორია საქართველოში. ტ. 2. 1948, გვ. 146.

ელემენტარული და დაწყებითი სკოლები, პანსიონები, შეიქმნა სკოლამდელი და სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებები (საბავშვო ბაღები და საკვირაო სკოლები), პედაგოგიური სასწავლებლები. სხვანაირად რუსული იდეოლოგიის დამკვიდრება საქართველოში არ განხორციელდებოდა.

1865 წლის დამლევსათვის არსებობდა ყველა ტიპის 151 სკოლა, სადაც 11868 მოსწავლე სწავლობდა. მე-19 საუკუნის დასასრულისათვის მოსწავლეთა რაოდენობა კიდევ უფრო გაიზარდა. 1901-1902 წლებში საქართველოში არსებობდა 420 დაწყებითი სკოლა და 10-ზე მეტი საშუალო სასწავლებელი, 1913 წელს კი მათი რიცხვი შესაბამისად 773-მდე და 34-მდე გაიზარდა.¹³²

მეფის რუსეთის დროს ქართველ მოსახლეობას განათლების დარგში მოწინავე ადგილი ეკავა, რაც აიხსნება ქართველი ხალხის ძველი კულტურით, მოსახლეობის ლტოლვით განათლებისაკენ და “ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების” (ილია ჭავჭავაძე, ი. გოგებაშვილი და სხვ.) მოღვაწეობით. ეს საზოგადოება შექმნილი იყო ქართველი განმანათლებლების მიერ და მიზნად ისახავდა, რუსული ორიენტაციის სანაცვლოდ ქართული ენის ტრადიციების დამკვიდრებას საქართველოში.

მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში საქართველოს განათლების სისტემა ძირითადად რუსული რჩებოდა. მას უპირისპირდებოდა ეროვნული მსოფლმხედველობა. მიხაკო წერეთელი თავის ცნობილ ნაშრომში "ერი და კაცობრიობა" წერდა: "ქართველი, რომელიც ყოველისმხრივ შებოჭილია, რომელიც ეროვნული სიცოცხლით არ ცოცხლობს, რასაკვირველია, სხვაგან ეძებს თავისი რწმენის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად საშუალებას. მისი აღზრდა რუსულია, ე.ი. უცხოა, რომელიც არა თუ აკავშირებს მას ეროვნულ წარსულთან და კულტურასთან, არამედ სრულიად უწყვეტს მასთან შემაერთებელ ძაფებსა და აზიარებს სხვა, უცხო რუსულ ან ევროპულ კულტურულ სფეროსთან, მაგრამ მხოლოდ მახინჯად. მეორეს მხრივ, ქართველი ინტელიგენციაც კაცია, მასაც აქვს მოთხოვნილება რწმენისა და დიადი იდეალისა, რომელიც უნდა აღიაროს უმაღლეს ჭეშმარიტებად, მთელი თავისი მოქმედება ზედ დაამყნას და უმაღლესი, ადამიანური მიზანი დაისახოს ცხოვრებაში. მისი სული რომ გადამახინჯებულია და დაშორებულია სამშობლო

¹³² გ. თავზიშვილი, სახალხო განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების ისტორია საქართველოში. ტ.2. თბ., 1948. გვ. 416; საქართველოს ისტორია. ნ. ბერძენიშვილის რედ., ტ.2. თბ., 1962. გვ. 400.

ნიადაგს, სამშობლოს პრობლემებსაც ვეღარ აქცევს ყურადღებას, იგი მისთვის აღარც კი არსებობს. იგი აღარ არსებობს მისი აზრით, აღარც სხვისთვის, აღარც საზოგადოდ და მით უმეტეს იგი ითვისებს ან ისეთ იდეალებს, რომელიც პირდაპირ მავნებელია მისი სამშობლოსათვის, ან და, თუმცა დიადს, მაგრამ ბევრის მხრივ შემცდარს. ქართველიც მას კრიტიკულად ვერ მოპყრობია"¹³³ საქართველოში არსებული ყველა მიმართულება რუსული იყო, ხოლო საკუთარი ეროვნული იდეალი დიდი წინააღმდეგობებით ვითარდებოდა.

ამ პერიოდში განათლების საკითხები უკავშირდებოდა ახლად აღმოცენებული ბურჟუაზიის როლს ერის კულტურის განვითარებაში. ამ თემაზე დისკუსიები საკმაოდ მწვავედ მიმდინარეობდა. 1902 წელს ჟურნალ "კვალში" დაბეჭდილ სტატიაში - "სხვაგან და ჩვენში" - ა. წულუკიძე აყენებდა საკითხს, თუ რა შეუძლია გააკეთოს ბურჟუაზიამ ქართველი ერისათვის. ნ. ნიკოლაძე კი წერდა, რომ ბურჟუაზიას შეუძლია ერი გამოიყვანოს უმეცრებისა და უსწორმასწორობისაგან. ასევე ფიქრობდა "საერთო მოქმედების ნიადაგის თეორიის" ავტორი - არჩილ ჯორჯაძეც. მისი სიტყვებით, "ჩვენი ბურჟუაზია ყველაფერს გააკეთებს, რაც კი სხვაგან გაუკეთებია (ბურჟუაზიას): განავითარებს ენას, შექმნის სამშობლო ლიტერატურას, დაამკვიდრებს ეროვნულ თვითცნობიერებას".¹³⁴

ა. წულუკიძე საპირისპირო შეხედულებისა იყო. იგი წერდა: "რა აკეთა, რას შვრებოდა ევროპის ბურჟუაზია ეროვნული კულტურის გასავითარებლად, დედა ენის გასავითარებლად, სამშობლო მწერლობის ასაღორძინებლად?". იქვე იგი იძლევა პასუხს: "ენის განმავითარებლად, წინ წამწვევად აქ უმთავრესად ბურჟუაზია უნდა ჩაითვალოს. ის ავითარებდა ეროვნულ ნიადაგზე მეცნიერებას, აფაჩიხებდა მწერლობას, ზრდიდა და ამდიდრებდა მას. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან მხოლოდ ეს კლასი იყო უზრუნველყოფილი ცხოვრებაში. მას მოეპოვებოდა საშუალება და თავისუფალი დრო სწავლა-განათლებისათვის".¹³⁵ იგი აგრეთვე წერდა: "ჩვენში ეს მისია ნაკლებ არგუნა ბედმა ჩვენს ბურჟუაზიას. ქართველი ბურჟუაზიისათვის ქართული ენა აუცილებელ საჭიროებას არ წარმოადგენს.. მართლმსაჯულებას იგი სხვა ენაზე დაედებს.. მეცნიერებას სხვაგან ეწაფება.. მის ბავშვებს ევროპელი

¹³³ მიხაკო წერეთელი, ერი და კაცობრიობა, თბ., თსუ, 1990. გვ.19-20.

¹³⁴ ა. წულუკიძე, თხზ., თბ., საბჭოთა საქართველო, 1967. გვ. 29.

¹³⁵ ა. წულუკიძე, თხზ. თბ., საბჭოთა საქართველო, 1967. გვ. 132-133.

"გუვერნანტები" თავს ევლებიან, რომელიმე ქართულ გაზეთს მხოლოდ საქველმოქმედო მიზნით თუ გამოიწერენ.. თავისუფალი პროფესიები - ვეკილობა, ექიმობა და სხვა უცხო ენის ცოდნას მოითხოვენ და რამდენადაც უფრო მეტს სხვა ენაზე მეცადინებენ, იმდენად უკეთესი სპეციალისტები ხდებიან, მეცნიერი, შთამომავლობით ქართველი, ნაწარმოებს უცხო ენაზე წერს და თუ პატრიოტული მოსახრებით ქართულ ენაზე მეცნიერული ნაშრომი დაწერა, წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თაროებზე წლიდან წლამდე ხელუხლებლად იჩიქნება".¹³⁶

ეროვნული საგანმანათლებლო სისტემის დამკვირვებლისათვის ბრძოლაში უდიდეს გამარჯვებას მოასწავებდა 1918 წელს ქართული უნივერსიტეტის დაარსება, სადაც თავდაპირველად მხოლოდ სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი იყო, შემდეგ საბუნებისმეტყველო, აგრონომიული და მათემატიკური ფაკულტეტებიც დაემატა. მაგრამ მიუხედავად ამისა, სასწავლებლების უმრავლესობაში სწავლება ძირითადად რუსულად მიმდინარეობდა. ქართული ენა საეკლესიო, სამრევლო სკოლებს აფარებდა თავს, ამიტომ მოსახლეობაც მას აძლევდა უპირატესობას.

ამდენად, უნდა ითქვას, რომ განათლების სისტემა ამ პერიოდში ეროვნულ და რუსულ ორიენტაციას შორის ურთიერთდაპირისპირებისა და ბრძოლის ასპარეზს წარმოადგენდა, სადაც ძალების თანაფარდობა მეფის რუსეთის პოლიტიკის მხარეს იყო.

მიუხედავად ამისა, მე-20 საუკუნის 20-იან წლებამდე საგანმანათლებლო სისტემა ჯერ კიდევ არ იყო მასობრივი. იგი მეფის რუსეთის პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. 1897 წელს წერაკითხვის მცოდნეთა რაოდენობა 9 წლისა და მომდევნო ასაკის ბავშვებში შეადგენდა მთელი მოსახლეობის 21,9 პროცენტს, 1926 წელს - 47,5 პროცენტს, 1939 წელს - 80,3 პროცენტს. 1914-1915 სასწავლო წლებში საქართველოში იყო 1768 სკოლა, 1921/22 - 1895, 1932/33 - 4 723, 1939-40 წლებში - 4934. ამდენად იგი გაიზარდა 2,8-ჯერ. მათ შორის საყოველთაო სწავლებისა მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში გაიზარდა 2,5-ჯერ, სოფლად - 2,9-ჯერ. ამავე პერიოდში დაწყებითი სკოლების რაოდენობა გაიზარდა 1,6-ჯერ, არასრული საშუალო სკოლებისა - 23,9-ჯერ, სოფლად საშუალო სკოლებისა - 15,7-ჯერ.¹³⁷

¹³⁶ ა. წულუკიძე, თხზ. თბ., საბჭოთა საქართველო, 1967. გვ. 133-134.

¹³⁷ Грузинская ССР за 20 лет. Стат.Сб., Тб., 1941. с. 98.

III ეტაპი - მასობრივი განათლება

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ საკუთრების მმართველობისა და განკარგვის უფლება გადაეცა სახელმწიფოს და ხელისუფლებაში მოსულ ფენებში დაიწყო განათლების კრიზისი. საგრძნობი გახდა როგორც მმართველი, ასევე ტექნიკური და ჰუმანიტარული კადრების უკმარისობა. ხელისუფლების სოციალური ფენა დაკომპლექტდა გაუნათლებელი და მართვისათვის გამოუცდელი ადამიანებით.

ტექნიკური კადრების პრობლემის გადაჭრის მიზნით შეიქმნა საფაბრიკო-საქარხნო სკოლები, მკვეთრად გაიზარდა საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების რაოდენობა.

ამ პერიოდიდან მოყოლებული რადიკალურად შეიცვალა დამოკიდებულება განათლებისადმი. ამჟამად უკვე საზოგადოებრივი წყობის გამარჯვება უმაღლესი სკოლებისაგან მოითხოვდა სრულიად განსხვავებული იდეოლოგიური და პოლიტიკურ-ეკონომიკური ხასიათის დაკვეთების შესრულებას. აღიარებულ იქნა პოსტულატები, რომლის თანახმად, ადამიანი შრომითი ჩვევებით, გამოცდილებით, კვალიფიკაციით, პროფესიონალიზმით პირველი საწარმოო ძალაა. წარმოების საშუალებების განვითარებასთან ერთად იზრდება ადამიანის კვალიფიკაცია, იგი ეუფლება მეცნიერებისა და ტექნიკის საფუძვლების ცოდნას, ზრდის საზოგადოების მატერიალურ დოვლათს, სულიერ სიმდიდრეს. ადამიანის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმი ხდება შრომის ნაყოფიერება, რომლის გაზრდის მნიშვნელოვანი პირობაა მოსახლეობის საგანმანათლებლო და კულტურული აღმავლობა. რაც უფრო აქტიურია საწარმოო ძალების ყველაზე მთავარი ელემენტი - მშრომელი ადამიანის პოზიციები, რაც უფრო მაღალია მისი განათლება და პროფესიონალიზმი, მით უფრო ენერგიულად მოქმედებს იგი საზოგადოების განვითარებაზე, უფრო ეფექტიანად იყენებს იგი წარმოების საშუალებებს და ამით აუმჯობესებს მთელი საწარმოო ძალების განვითარებას. ადამიანი და მისი შრომა ხდება საზოგადოების წარმმართველი ძალა. სწორედ ეს პოსტულატები დაედო საფუძვლად არსებული წყობის გამარჯვებას და მისი რეალიზაციის მიზნით განათლების სისტემამ მასობრივი ხასიათი მიიღო. მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან საქართველოში იწყება განათლების განვითარების მესამე ეტაპი. მას

პოლიტიკურ მოტივებთან ერთად ეკონომიკური განვითარების მიზანშეწონილობა დაედო საფუძვლად.

ამ ეტაპის დამახასიათებელი ნიშანი გახდა წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის სალიკვიდაციო სკოლების ჩამოყალიბება. ამ სკოლებმა მოიცვა 14-50 წლის ასაკის ყველა ის მცხოვრები, რომელმაც წერა-კითხვა არ იცოდა. კულტურული რევოლუციის შედეგად მე-20 საუკუნის დასაწყისში საფუძველი ჩაეყარა მასობრივ განათლებას საქართველოში, რომლის გარეშე შეუძლებელი იყო შრომის ნაყოფიერების ამაღლება.

1921 წელს სახელმწიფოს გამოეყო ეკლესია და ეკლესიას - სკოლა. შესაბამისი დეკრეტით აიკრძალა რელიგიურ მოძღვრებათა სწავლება ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ სკოლაში. სხვა დეკრეტებით ყველა სკოლა დაექვემდებარა სახელმწიფო ხელისუფლებას და ყველა ტიპის სკოლაში დაწესდა სავალდებულო სწავლება მშობლიურ ენაზე.

მე-20 საუკუნის 20-იანი წლების შემდგომ სწრაფი ტემპით გაიზარდა სკოლების რაოდენობა. იზრდებოდა მასწავლებელთა და მოსწავლეთა რაოდენობაც. 1914/15 წლებში მოსწავლეთა რაოდენობა სულ იყო 156,7 ათასი, 1921/22 - 212,7 ათასი, 1932/33 - 561,9 ათასი, 1939-40 წლებში - 800,5 ათასი, ანუ იგი გაიზარდა 5,1-ჯერ, მათ შორის სოფლად - 5,5-ჯერ. ამავე წლებში მოსწავლეთა რაოდენობა დაწყებით სკოლებში გაიზარდა 1,1-ჯერ, აქედან სოფლად - 22,1-ჯერ. საშუალო სკოლაში - 17,6-ჯერ.¹³⁸

მოსწავლეების რაოდენობის ზრდასთან ერთად მატულობდა კვალიფიციურ მასწავლებელთა კონტინგენტი: 1939/40 სასწავლო წელს 1914/15 სასწავლო წელთან შედარებით იგი 6-ჯერ გაიზარდა.

მასობრივი განათლების შედეგად მზადდებოდა თვისებრივად ახალი საწარმოო ძალა და იმ სოციალური სისტემისათვის საჭირო სოციალურ და პოლიტიკურ იდეოლოგიაზე აღზრდილი მოქალაქეები. განათლების ფორსირება ხორციელდებოდა ქალაქად და სოფლად განსაზღვრული კანონზომიერებით. სოფლად სკოლების ზრდის ტემპი უპირატესობით ხასიათდებოდა, რასაც ჰქონდა როგორც სოციალური, ასევე პოლიტიკური მნიშვნელობა.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თუ მეფის რუსეთის პერიოდში სკოლები შედარებით ელიტარული იყო და მათ ვერ მიიღეს მასობრივი ხასიათი, 20-იანი

¹³⁸ Грузинская ССР за 20 лет. Стат.Сб., Тб., 1941. с. 99-100.

წლების შემდგომ პერიოდში ისინი მასობრივი გახდნენ და არ შეიძლებოდა სწავლა მხოლოდ რუსულად წარმართულიყო. მასობრიობამ მოითხოვა განათლების გავრცელება იმ ენაზე, რომელზედაც უპირატესად ლაპარაკობდა მოსახლეობა. ამდენად ქართული ენა დამკვიდრდა სასწავლო დაწესებულებებში.

1922-40-იან წლებში ვითარდება საბიბლიოთეკო ქსელი, კლუბები, მუზეუმები, იზრდება წიგნებისა და ჟურნალების ტირაჟი, რაც ხელს უწყობდა კულტურული რევოლუციის გატარებას და მოსახლეობის ცოდნის დონის ამაღლებას. ასეთი პოლიტიკა ტარდებოდა კომუნისტური რეჟიმის არსებობის პერიოდში. თავდაპირველად 4 კლასის და შემდეგ 8-10 კლასის ფარგლებში სწავლებამ მიიღო სავალდებულო ხასიათი. აუცილებელი იყო ყოველ ოჯახს ჰქონოდა ჟურნალები და გაზეთები. იმისათვის, რომ უზრუნველყო მასობრივი ინფორმირებისა და განათლების პოლიტიკა, სახელმწიფო გამოყოფდა საკმაოდ დიდ ფინანსებს.

საშუალო ზოგადი განათლების წარმატებით ორგანიზაცია ქმნიდა ბაზას უმაღლესი სასწავლებლების დაკომპლექტებისა და უმაღლესი განათლებით კადრების მოსამზადებლად. 1914/15 სასწავლო წელს საქართველოში იყო ერთი უმაღლესი სასწავლებელი, 1921/22 - 5, 1932/33 - 20, 1939/40 წელს - 21. ე.ი. ამ პერიოდში მათი რაოდენობა გაიზარდა 21-ჯერ. სტუდენტთა რაოდენობა შესაბამის წლებში შეადგენდა 0,3, 8,8, 17,6, 22,8 ათასს, ანუ გაიზარდა 72,4-ჯერ. 1914/15 წლებში არსებობდა ერთი უმაღლესი სასწავლებელი - თბილისის ქალთა უმაღლესი კურსები, სადაც სწავლობდა 314 სტუდენტი, 1940 წელს კი 21 უმაღლეს სასწავლებელში სწავლობდა 23 ათასი სტუდენტი.

ამავე პერიოდში საშუალო სპეციალური სასწავლებლების განვითარებაში მოხდა დიდი გარდატეხა. 1914/15 წლებში საქართველოში იყო ოთხი ტექნიკური და სპეციალური სასწავლებელი, 1921/28 - 9, 1932/33 - 204, 1939/40 - 197, ანუ გაიზარდა 39,4-ჯერ. ამ პერიოდში ამ სასწავლებლებში მოსწავლეთა რაოდენობა გაიზარდა 72-ჯერ.¹³⁹

საშუალო სპეციალური განათლების დაწესებულებების ზრდა დაკავშირებული იყო ეკონომიკის რეკონსტრუქციასა და მისი კადრებით უზრუნველყოფის აუცილებლობასთან. 1939 წლის აღწერის მასალებით საქართველოს ყოველ ათას

¹³⁹ Грузинская ССР за 20 лет. Стат.Сб., Тб., 1941. с. 99.

სულ მოსახლეზე მოდიოდა საშუალო განათლებით - 113,4, უმაღლესი განათლებით - 11,2 ადამიანი.

ამდენად იქმნება კადრი, რომელიც გადამწყვეტ როლს ასრულებს არსებული სისტემის განმტკიცებაში. კადრების მომზადების გარეშე ახალი სისტემის დაფუძნება შეუძლებელი იქნებოდა. ეს ამოცანა ამ ეტაპზე წარმატებით გადაიჭრა. კადრების მასობრივად მომზადებამ შექმნა სახელმწიფო სოციალისტური სისტემის განვითარების საფუძველი. ამ პერიოდში ხუთწლეულების მიხედვით იგეგმებოდა სპეციალისტების მომზადება და ყოველ შემდგომ ხუთწლეულში გათვალისწინებული იყო წინა წლების მაჩვენებლების გაუმჯობესება. თუ პირველ ხუთწლეულში (1928-1932 წლებში) გამოშვებულ იქნა 5868 სპეციალისტი, მორე ხუთწლეულში (1933-1937 წლები) - 12436, მესამე ხუთწლეულის სამ წელიწადში (1938-1940) - 10991. ამ პერიოდში სხვადასხვა სპეციალობებს შორის ყველაზე სწრაფად იზრდებოდა განათლების მუშაკთა (პედაგოგიური, სამასწავლებლო ინსტიტუტებისა და უნივერსიტეტების კურსდამთავრებულთა) რაოდენობა. I ხუთწლეულში იყო 735 სპეციალისტი, ხოლო მესამეში - 4439.¹⁴⁰ მათზე იყო დამოკიდებული საზოგადოების ახალი ადამიანების ფორმირება. განათლების ზრდის ასეთი ტემპი მხოლოდ სახელმწიფო სისტემის მიერ საგანმანათლებლო ბერკეტების ხელში აღებით იყო შესაძლებელი. მხოლოდ სახელმწიფო უზრუნველყოფით გახდა შესაძლებელი ტოტალური განათლების შემოღება. არსებული სისტემა ქმნიდა პირობებს მასობრივი განათლების უზრუნველსაყოფად, თვით განათლება კი იქცა სპეციალისტების მომზადების კერად, რომელიც პარალელურად უზრუნველყოფდა იდეოლოგიური და პოლიტიკური ზედნაშენის განმტკიცებას. ეს პოლიტიკა მომდევნო წლებში კიდევ უფრო დაიხვეწა. 1971 წელს არსებობდა 4571 სკოლა. 1973 წელს სწავლობდა 1035 ათასზე მეტი მოსწავლე და მუშაობდა 77 ათასი მასწავლებელი. ამავე პერიოდში იყო 20 საშუალო პროფტექნიკური სასწავლებელი სადაც სწავლობდა 6 ათასი მოსწავლე. აქვე აღვნიშნავთ, რომ 1976 წელს თბილისის ა.ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიურ უნივერსიტეტში იყო 9 ფაკულტეტი, 31 კათედრა, სწავლობდა 5700 ათასი სტუდენტი, მუშაობდა 260 პროფესორი და ამზადებდა 8 სპეციალობის მუშაკებს.

დასკვნა

¹⁴⁰ საბჭოთა საქართველო 40 წელი, თბ., 1961, გვ 158.

ამდენად, სასწავლო დაწესებულებების განვითარებამ საქართველოში განვლო სამი ეტაპი. უძველესი პერიოდიდან მე-19 საუკუნის დასაწყისამდე, მე-19 საუკუნის დასაწყისიდან მე-20 საუკუნის 20-იან წლებამდე და მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან 90-იან წლებამდე. თავდაპირველად განათლების სისტემა აღმოცენდა რელიგიურ ნიადაგზე და ემსახურებოდა მართლმადიდებლობის განვითარებასა და განმტკიცებას, სასწავლო პროცესი არსებითად შემეცნებითი მნიშვნელობისა იყო და მასზე ხელი მიუწვდებოდათ ძირითადად ელიტარულ ფენებს. სკოლები საეკლესიო საკუთრებას შეადგენდა და მას ნაწილობრივ აფინანსებდა სამეფო ხელისუფლება. მე-19 საუკუნის დასაწყისში, სასწავლო ინსტიტუტების განვითარების მეორე ეტაპზე, განათლება დაექვემდებარა საქართველოზე გაბატონებული ქვეყნის ორიენტაციას. განათლების სისტემა წარმოადგენდა, ერთის მხრივ, რუსული ორიენტაციის გაბატონებული იდეოლოგიის დამკვიდრების საშუალებას, მეორეს მხრივ, ელიტარული ფენების პრესტიჟისა და ინტერესების რეალიზაციის საშუალებას. სასწავლო დაწესებულებები იყო როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო. ამავე პერიოდში თანდათანობით სუსტდება ქართული საეკლესიო სკოლების როლი. მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან განათლებას ეძლევა მასობრივი ხასიათი და იგი ასრულებს, ერთის მხრივ, ახალი იდეოლოგიის განმტკიცების, ხოლო, მეორეს მხრივ, შრომის განვითარებისა და ეკონომიკის ზრდის ფუნქციას. განათლება მთლიანად სახელმწიფო დიქტატურას დაექვემდებარა. გაუქმდა კერძო და საეკლესიო სკოლები.

საქართველოს სასწავლო დაწესებულებების განვითარების ისტორიაში საეკლესიო სკოლების განვითარებისა და შემდეგ დასუსტების შედეგად მეორე ეტაპზე უპირატესობა ეძლევა კერძო სკოლებს. განვითარების მესამე ეტაპზე კი მათ მთლიანად ცვლის სახელმწიფო სკოლები. ამ ეტაპებზე განათლების სისტემა ნაკლებად იყო დაკავშირებული ეკონომიკასთან. იგი ახორციელებდა სახელმწიფოსა და ეკლესიების იდეოლოგიური და პოლიტიკური მოღვაწეობისა და ელიტარული ფენებისათვის სოციალური ადგილის შენარჩუნების ინტერესების რეალიზაციას. მხოლოდ მე-20 საუკუნის დასაწყისში შეიძინა მან ეკონომიკური განვითარების მოთხოვნის რეალიზაციის ფუნქცია, გახდა ადამიანისა და საზოგადოების შრომის ნაყოფიერების ზრდის პირობა, მაგრამ დაექვემდებარა ტოტალური სახელმწიფოს გაბატონებულ ინტერესებს.

საგანმანათლებლო სკოლების ევოლუციის მახასიათებლები
საქართველოში

ეტაპი	ინტერესები	სკოლების ხასიათი	საკუთრების ფორმა
I ეტაპი	რელიგიური	ელიტარული	
II ეტაპი	სახელმწიფო	რელიგიური, ელიტარული, ნაწილობრივ მასობრივი	კერძო (საეკლესიო) სახელმწიფო
III ეტაპი	სახელმწიფო	საყოველთაო მასობრივი	სახელმწიფო
IV ეტაპი :	სახელმწიფო ეროვნული საზოგადოებრივი რელიგიური გლობალური	საყოველთაო მასობრივი ელიტარული რელიგიური ინტერნაციონალური	კერძო (საეკლესიო) სახელმწიფო

განათლებას დღევანდელ საქართველოში მემკვიდრეობით მაღალი დონე აქვს, მაგრამ დროთა განმავლობაში იგი შეუსაბამობაში ექცევა თანამედროვეობის მოთხოვნებთან. მისი განვითარების მაჩვენებელი არ შეიძლება იყოს ტრადიციულად აღიარებული კავშირი ეკონომიკასა და განათლებას შორის. დღევანდელ ეტაპზე მემკვიდრეობით მიღებული საგანმანათლებლო პოტენციალი, როგორც მრავალი უცხოელი ექსპერტი ადასტურებს, შეუსაბამობაშია ეკონომიკურ ზრდასთან და იგი გამოუყენებელია საზოგადოების მიერ. განათლების სისტემის ისტორიული ევოლუცია კი სწორედ იმას ამტკიცებს, რომ ეკონომიკის მოთხოვნები ხდება პრიორიტეტული განათლების სისტემის განვითარებაში. თუ ადრე განათლება ექვემდებარებოდა რელიგიის, იდეოლოგიის, სახელმწიფო ძალაუფლებისა და სხვა ინტერესების განხორციელებას, ამჟამად მან უნდა უზრუნველყოს საზოგადოების ეფექტიანი განვითარება. ეკონომიკური სისტემის ყოველ ცვლილებასთან ერთად უნდა მოხდეს განათლების სისტემის ინსტიტუციური მოწყობის გარდაქმნაც.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ სოციალური ჯგუფებსა და ინსტიტუტებს შორის ურთიერთობა და ეკონომიკური ინტერესების განხორციელება მოითხოვს

სასწავლო ინსტიტუტებისაგან შესაბამისი ღირებულების დამკვიდრებას საზოგადოებაში. ეს კი პარალელურად იწვევს ძველი ღირებულებებისა და კულტურის გადაფასებას.

საქართველოში მე-20 საუკუნის განმავლობაში საგანმანათლებლო და კულტურული ღირებულებები სულ ცოტა ორჯერ რადიკალურად შეიცვალა. პირველად იგი განხორციელდა 20-იან წლებში ბოლშევიზმის გაბატონებასთან დაკავშირებით. მეორედ კი 90-იან წლებში - საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ. ამ პერიოდში ურთიერთსაპირისპიროდ იცვლებოდა დამოკიდებულება კერძო და საზოგადოებრივი განათლებისა და კულტურისადმი, რაც რეფლექსურად აისახებოდა სასწავლო პროგრამებში, კადრებსა და ა.შ. ყოველივე ეს კი იმის გამოხატულება იყო, თუ რომელი კლასი გახდებოდა დომინირებული საზოგადოებაში და ვის ექნებოდა კონტროლის უფლება განათლებაში.

ამდენად ცვლილებები განათლებაში არ იყო გამოწვეული თავისთავადი, მისთვის იმანენტური ევოლუციის გზით. მისი განვითარება ყოველთვის დაკავშირებული იყო სოციალური ჯგუფების ინტერესების დომინირების პოლიტიკასთან და მის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა.

§2. განათლების თანამედროვე

მოდერნიზაცია

განათლება საკმაოდ რთული და მრავალმხრივ ურთიერთობათა სისტემაა. იგი გულისხმობს ისეთ ნორმირებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციას, რომელიც უზრუნველყოფს კაცობრიობის მიერ შემუშავებული ცოდნის სისტემატურ გადაცემას მომდევნო თაობებზე და ხელს უწყობს მათ სოციალიზაციას. განათლების სისტემა სისტემატიზებული ცოდნის ათვისების, გონების, ნიჭის, შემეცნებითი უნარის ფორმირების პროცესია ინდივიდების მიერ მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების მიზნით. იგი ადამიანის სოციალური ფუნქციის განვითარების საშუალებაა. ადამიანების მსოფლმხედველობა და კრიტიკული უნარი ვლინდება მათი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში. ყოველივე ეს კი ეკონომიკურად უზრუნველყოფილია საზოგადოების მიერ განათლებაში ინვესტირების გზით.

განათლების მატერიალური და ფორმალური კონცეფციები წარსულიდან მოდის. ყოველი ისტორიული ეტაპი დაკავშირებული იყო საზოგადოების მოთხოვნების განხორციელებასთან, რომლის შესაბამისად განსხვავდებოდა განათლების სისტემები, ცოდნის გადაცემის მეთოდები, ორგანიზაციის წესები, მისი სოციალური ფუნქციები და ბუნებრივია, მასში ინვესტირების მიზნებიც.

განათლების ყოველი კონცეფცია სხვადასხვა მიზანს უსახავდა ადამიანის ფორმირებას. ერთ შემთხვევაში იგი შეიძლებოდა ყოფილიყო საზოგადოების მიზნის მიღწევის საშუალება, მეორე შემთხვევაში კი ადამიანი იყო საზოგადოების მიზანი. მიუხედავად განსხვავებული მიზნებისა, განათლება ყოველთვის იყო მეცნიერების პედაგოგიურად ადაპტირებული საფუძვლების სისტემა, რასაც სასწავლო დაწესებულებებში ასწავლიდნენ, მაგრამ ისტორიულად ადამიანის ისეთი თვისებები, როგორცაა შემოქმედებითი უნარის გამოვლენა, თავისუფალი არჩევითობის რეალიზაცია, სამართლიანი დამოკიდებულება და სხვ., დღემდე ყურადღების გარეშე რჩებოდა. ისტორიულად არსებულ განათლების სისტემებში სწავლება იყო ადამიანის, როგორც წარმოების ფაქტორის, ფორმირების პროცესი და არ გულისხმობდა მის მომზადებას დამოუკიდებელი, სრულყოფილი ცხოვრებისათვის. მას არ შეეძლო უზრუნველყო ინდივიდების ის თანასწორი და დემოკრატიული თვისებები, რომლებიც თანამედროვე ეპოქამ დააყენა დღის წესრიგში.

განათლების განვითარების კონფორმისტული გადაწყვეტა ხაზს უსვამდა ცოდნის მიწოდებას და გულისხმობდა ამ ცოდნის ათვისებით ადამიანების მიერ საკუთარი ადგილის ავტომატურად დამკვიდრების შესაძლებლობას საზოგადოების სტრუქტურაში. ამისათვის კი საკმარისი იყო მხოლოდ ცოდნის შექმნა და სხვა არაფერი. ამ შემთხვევაში განათლების სისტემა უზრუნველყოფდა მხოლოდ ცოდნის გადადენას მომავალ თაობებზე.

თანამედროვე პერიოდში ეს საკმარისი უკვე აღარ არის. საზოგადოების ცხოვრების პირობები მოითხოვს არა მარტო ცოდნის ათვისებას, არამედ ისეთი უნარის გამოვლენას, როგორცაა შემოქმედებითობა, დამოუკიდებლობა, თანამშრომლობა, პასუხისმგებლობა, ნებისყოფა, სამართლიანობა და სხვა. ამასთანავე, იგი ადამიანის სოციალური ფუნქციების განხორციელებას ითვალისწინებს. განათლების სფერო სოციალიზებული ხდება იმდენად, რამდენადაც განსაზღვრავს მომავალი ადამიანების ქცევის ხასიათს და საზოგადოების მზადყოფნას სოციალურ-ეკონომიკური პროგრესისათვის. იგი

უზრუნველყოფს ადამიანის პირადი თვისებების ტრანსფორმაციას სოციალურ ფენომენად სწავლების ფორმების ორგანიზაციული მოწყობის გზით.

სოციალური გამოცდილების ახალი ელემენტების ათვისება ადამიანს შესაძლებლობას აძლევს, არა მარტო წარმატებით დაიმკვიდროს ადგილი საზოგადოებაში, არამედ იყოს კარგი შემსრულებელი, იმოქმედოს დამოუკიდებლად და შეადგენდეს არსებული სოციალური სისტემის არა პასიურ ნაწილს, არამედ შეეძლოს მისი სრულყოფაც. ამისათვის კი განათლების სისტემა უნდა ამზადებდეს ისეთ სამუშაო ძალას, რომელსაც შეეძლება თავისი წვლილის შეტანა საზოგადოებაში.

ამდენად, განათლების სისტემა, ერთის მხრივ, უნდა უზრუნველყოფდეს სასწავლო-შემეცნებითი საქმიანობის ორგანიზაციას, რომელიც ასახავს საზოგადოების მიმდინარე და პერსპექტიულ მოთხოვნებს, მეორეს მხრივ, კი - წარმოადგენდეს ინდივიდების მიერ თავისი პირადი ინტერესების სოციალიზაციის გზით საზოგადოების განვითარების საქმიანობის განხორციელების საფუძველს.

განათლების წყარო ყოველ ქვეყანაში იყო არსებული კულტურის დონე და სოციალური გამოცდილება, ამიტომ განსხვავებული იყო ქვეყნების განათლების სისტემები. თანამედროვე პერიოდში კი ხალხთა კულტურისა და სოციალური გამოცდილების დაახლოება გახდა პროგრესული განათლების სისტემების დანერგვის საშუალება.

საქართველოს უახლოეს წარსულში განათლების სისტემაში ადამიანი აღიარებული იყო, როგორც მხოლოდ წარმოების ფაქტორი და მისი აქტიური ადამიანისეული პოზიციის ჩამოყალიბება განათლების სფეროს მიღმა ხდებოდა. განათლება მიჩნეული იყო ერთადერთ პროგრესულ სისტემად, რომელიც ადამიანების მომზადებასა და სწავლებას განიხილავდა ამ საზოგადოებაში ღირებულებების დამკვიდრების პირობად. თვით ადამიანი, როგორც მიზანი, დათრგუნული იყო. შესაბამისად, სწავლების სისტემაც განსხვავდებოდა მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებში არსებული სისტემისაგან. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამდე არ შეეძლო მსოფლიო გამოცდილების გაზიარება.

ამჟამად ახალი სოციალური ორიენტაციების გაბატონება მოითხოვს არსებული სისტემის ძირეულ ცვლილებას, ადამიანის ახალი ადგილის დამკვიდრებას საზოგადოებაში და მისი შრომასთან დამოკიდებულების ხასიათის, დემოკრატიისა და თანასწორობის შესაძლებლობების განვითარებას.

ეს კი მოითხოვს განათლების სისტემის ძირეულ რეფორმას და იმის გათვალისწინებას, თუ რა უპირატესობები ჰქონდა ამ სისტემას ახლო ისტორიულ წარსულში და რა ახალი ღირებულებების დამკვიდრება იქნება მიზანშეწონილი საზოგადოებისათვის.

§3. განათლების სისტემის უახლოესი მემკვიდრეობა და ახალი სისტემის ფორმირების წინაპირობები

საქართველოში, ისევე როგორც სხვა პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, განათლების სისტემა სოციალისტურამდელი პერიოდიდან მოყოლებული შედარებით განვითარებული იყო, თუმცა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში განათლების ძირითადი მაჩვენებლები ევროპის ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებთან შედარებით დაბალი იყო, მაგრამ, როგორც მრავალი დასავლელი მეცნიერი და განათლების მკვლევარი აღნიშნავდა, განათლების სახელმწიფო სისტემამ შექმნა საკმაოდ განვითარებული ინტელექტუალური პოტენციალი, რომლის გამოყენებას შესაბამისი საბაზრო ინსტიტუტების ფორმირების პირობებში დიდი უკუგების მიცემა შეუძლია საზოგადოებისათვის.¹⁴¹

საქართველომ მემკვიდრეობით მიიღო განვითარებული საგანმანათლებლო სისტემა, სადაც კადრების მომზადება ხდებოდა ცენტრალიზებული გეგმებით. პრაქტიკაში პრიორიტეტი ეძლეოდა კადრების მომზადებას საწარმოო დანიშნულებისათვის.

¹⁴¹ მსოფლიო ბანკმა შეიმუშავა პოსტკომუნისტური ქვეყნებისათვის განათლების სისტემის მომცველობის კოეფიციენტი, რომელიც გამოხატავს შესაბამისი განათლების საფეხურზე კონტინგენტის შეფარდებას შესაბამისი ასაკის მოსახლეობასთან. აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებში დაწყებით განათლებაში ეს კოეფიციენტი ტოლი იყო 92-99-ის, საშუალო განათლებაში კოეფიციენტი შეადგენდა 75-80-ს, ხოლო უმაღლესი განათლების მიერ ახალგაზრდობის მომცველობის კოეფიციენტი შეადგენდა 8-26 (World Bank. Historically Planned Economies: A Guide to the Data. Washington, D.C.1992). როგორც ვხედავთ, უმაღლეს განათლებაში კოეფიციენტის დიაპაზონი საკმაოდ მაღალია და თუ, მაგალითად, პოლონეთში იგი 9-ს, ბულგარეთში - 26-ს უდრიდა, ჩვენი გაანგარიშებით, საქართველოში დაწყებითი განათლების მომცველობის კოეფიციენტი 90-იანი წლების ბოლოს შეადგენდა 99-ს, საშუალო განათლებაში – 88, ხოლო უმაღლეს განათლებაში – 32-ს.

ტოტალურ სახელმწიფო სისტემაში განათლება მთლიანად დაექვემდებარა სახელმწიფო იდეოლოგიას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მას მრავალი ძლიერი მხარე გააჩნდა, რომელთაგან ზოგიერთმა დღემდე შეინარჩუნა თავისი არსებობა: საკმაოდ განვითარებული იყო საბაზო განათლება, რომელიც თითქმის საბავშვო ბაღიდან იწყებოდა; საყოველთაო საშუალო განათლებას ექცეოდა მნიშვნელოვანი ყურადღება. მას საყოველთაო ხასიათი ჰქონდა; პროფესიული განათლება ორიენტირებული იყო ვიწრო პროფესიულ სპეციალობებზე; პროფესიული სწავლება ხდებოდა უშუალოდ საწარმოებში და იგი ეფექტიანი იყო პროფესიული ტექნიკური კადრების მოსამზადებლად; უმაღლესი განათლება მხოლოდ საშუალო სკოლადაამთავრებულ ახალგაზრდებზე იყო გამიზნული და ძირითადად ჰქონდა საგნების შინაარსის ათვისების ხასიათი. საბჭოთა პერიოდის განათლება უფრო მეტად იძლეოდა ფაქტების შესახებ ინფორმაციას, მაგრამ განათლების არსებული სისტემა ვერ გამოუმუშავებდა სტუდენტებს ანალიზისა და განზოგადების ჩვევებს.¹⁴² კვლევითი და შემოქმედებითი მუშაობა სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების პრეროგატივა იყო. ინსტიტუტები ან სამინისტროების, ან მეცნიერებათა აკადემიების დაქვემდებარებაში იყვნენ.

საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენამდე განათლების სისტემის ძლიერი მხარე იყო საბაზო განათლება. განათლების დონე მთლიანად საქართველოში უფრო მაღალი იყო, ვიდრე სხვა ქვეყნებში, რომლებსაც ანალოგიური მთლიანი შიდა პროდუქტი გააჩნდა ერთ სულ მოსახლეზე.¹⁴³ საგანმანათლებლო სტანდარტები მთელ რიგ დარგებში (მათემატიკა, ფილოსოფია, მედიცინა, სპორტი და სხვ.) იყო საერთაშორისო დონეზე.

სოციალურ ფასეულობებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ მაღალი პედაგოგიური სტანდარტების მიღწევაში. განათლების ყველა დონეზე ქალებს მამაკაცებთან თანასწორი უფლებები ჰქონდათ. ამასთან, სტუდენტები დებულობდნენ სახელმწიფო სტიპენდიას, რაც ფრიად მიშვნელოვანი სტიმული იყო მათი აღზრდისათვის.

საბჭოთა პერიოდისათვის დამახასიათებელი განათლების სისტემის იმ

¹⁴² ამ არგუმენტით არ შეიძლება ვიმსჯელოთ იმის შესახებ, თუ რამდენად ეფექტიანი იყო არსებული განათლების სისტემა. იგი გამოხატავს იმ განსხვავებას, რომელიც არსებობდა საბაზრო და ცენტრალიზებული ეკონომიკის მოთხოვნებს შორის სამუშაო ძალის მიმართ.

¹⁴³ ასეთი შედარებები პირობითი შეიძლება იყოს ქვეყნების სტატისტიკურ ბაზაში არსებული სხვადასხვა მეთოდოლოგიური პრინციპის გამო.

თვისებებს შორის, რომლებიც გარდამავალ პერიოდში ნეგატიურად დახასიათდნენ, შეიძლება გამოიყოს შემდეგი:¹⁴⁴

- კომუნისტური პერიოდის განათლების სისტემაზე დაწესებული იყო სახელმწიფოს პოლიტიკური კონტროლი. საზოგადოებრივ მეცნიერებაში ხდებოდა იმ თეორიებისაგან თავის არიდება, რომლებიც არ თავსდებოდა მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ჩარჩოებში. სწავლის პროცესზე, ისევე როგორც ლექტორებსა და მასწავლებლებზე, დაწესებული იყო კონტროლი ცენტრიდან. სასწავლო პროგრამები და სახელმძღვანელოები ექვემდებარებოდა გაბატონებულ სტანდარტებს. ქვეყნის მასშტაბით ცოდნა უნიფიცირებული იყო.

- ცენტრალიზებული დაგეგმვა და პოლიტიკური კონტროლი პროფესორ-მასწავლებლებზე იწვევდა მათი აკადემიური თავისუფლების შელახვას, ინდივიდუალური არჩევითობის შესაძლებლობების შეზღუდვას, ავითარებდა დოგმატიზმს და ზღუდავდა ინფორმაციის ნაკადებს, უპირველეს ყოვლისა, ჰუმანიტარულ და საზოგადოებრივ მეცნიერებებში. განათლების სისტემა და კადრების მომზადება იყო სახელმწიფოს იდეოლოგიური და ეკონომიკური ზემოქმედების იარაღი; იდეოლოგიურ სფეროში იგი ემსახურებოდა ლოიალობის განვითარებას მარქსიზმის მიმართ, ხოლო ეკონომიკური თვალსაზრისით უზრუნველყოფდა ეკონომიკის მოთხოვნასა და კადრების მომზადებას შორის შესაბამისობას. ასეთი მიდგომის შედეგად წარმოიშვა ისეთი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია პოლიტიკურ ჩარევასთან, მეტისმეტ სპეციალიზაციასთან, ეფექტიანი სასწავლო საქმიანობის არასაკმარის სტიმულირებასთან, სასწავლო დაწესებულებათა დუბლირებასა და სამეცნიერო კვლევების ცუდ ორგანიზაციასთან და სხვ.

პოლიტიკური ჩარევა ხდებოდა სწავლების ყველა დონეზე და ძირითადად იგი ხორციელდებოდა უნივერსიტეტებში. მრავალი პედაგოგი ინიშნებოდა მისი პოლიტიკური მრწამსის მიხედვით ან იმის გამო, რომ იგი ოპოზიციაში არ იყო არსებულ რეჟიმთან (და არა მისი მეცნიერული წარმატებების მიხედვით). ეს კი ნეგატიურად აისახებოდა მის სამეცნიერო სტანდარტებზე. საზოგადოებრივი და ჰუმანიტარული მეცნიერებები იყო მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ და ისეთ დისციპლინებს, როგორცაა ეკონომიკა (ეკონომიკისი), მენეჯმენტი, სოციოლოგია

¹⁴⁴ ამ მხარეებზე აქცენტირებას ახდენენ განსაკუთრებით დასავლელი მეცნიერები, იხ.: Б. Лапорт, Дж.Швейцер, Образование и подготовка кадров. В кн: Рынок труда и социальная политика в центральной и восточной европе. Под ред. Н. Барра. М., ИКЦ ДИС., 1997. с. 351-353.

ყურადღება არ ეთმობოდა და მათი მნიშვნელობაც დაკნინებული იყო. ეს ვითარება სერიოზული აღმოჩნდა ეკონომიკური რეფორმების განვითარებისათვის. კვალიფიციური ეკონომისტების, ბუღალტრების, მენეჯერების, მარკეტოლოგების, იურისტებისა და სხვა პროფესიის ადამიანების დეფიციტი ამჟამად უარყოფითად მოქმედებს პრივატიზაციისა და საწარმოების გაჯანსაღების პროცესებზე. კარგად მომზადებული მენეჯერების დეფიციტი კი აფერხებს საწარმოების განვითარებას და შესაბამისად, ეკონომიკის ზრდას. ანალოგიური სიტუაციაა სოციალურ სისტემაში. რამდენადაც საზოგადოებრივ მეცნიერებაში არ ხდებოდა ისეთი უარყოფითი სოციალური მოვლენების შესახებ კვლევის წახალისება, როგორც კონფლიქტოლოგია, პოლიტოლოგია, კორუფცია და სხვ., ამდენად სოციალური დაძაბულობის პერიოდში ყველაზე სუსტი აღმოჩნდა ის ინსტიტუციური სტრუქტურები, რომლებიც შეიძლება აქტიურად დახმარებოდა ეროვნებებსა და სოციალურად ყველაზე დაუცველ ფენებს პრობლემების გადაჭრაში.

- საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამდე ცენტრალიზებული დაგეგმვა ზღუდავდა ინდივიდუალური არჩევანის შესაძლებლობებს. მართალია 60-იანი წლებიდან დაწყებული დაგეგმვის ეს წესი კრიზისს განიცდიდა, მაგრამ მისი მექანიზმი ადამიანისეული რესურსების მართვაში კიდევ დიდხანს მოქმედებდა. რამდენადაც ისევ სახელმწიფო დარგობრივი ინსტანციები განსაზღვრავდნენ ეკონომიკის მოთხოვნებს. შრომის ბაზარი, როგორც ასეთი, არ არსებობდა, ამიტომ ინფორმაცია სამუშაო ძალის მოთხოვნის შესახებ მხოლოდ სახელმწიფო ჩინოვნიკების სუბიექტური შეხედულებების ჭრილში იქმნებოდა. პარალელურად საწარმოებში ყალიბდებოდა ფარული ჭარბი სამუშაო ძალა და მათი გადადენა ერთი დარგიდან მეორეში შეზღუდული იყო.

- განათლების ყველა დონეზე დაფინანსება ხორციელდებოდა სახელმწიფოს მიერ. დაინერგა ხარჯების ნორმატიული გამოყენების მეთოდები, ნორმატიული წესით განსაზღვრული იყო ხელფასები, სასწავლო მოწყობილობები და ა.შ., რაც ფაქტობრივად ხორციელდებოდა “მიღწეულიდან” დაგეგმვის პრინციპით.

- ყოველი სახელმწიფო უწყება ცდილობდა, შეექმნა თავისი სასწავლო ცენტრი. ტექნიკური და საშუალო პროფესიული, უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების სასწავლო გეგმებზე კონტროლი ხორციელდებოდა შესაბამისი დარგობრივი სამინისტროების მიერ, ხოლო თვით სასწავლებლები ფუნქციონირებდნენ უშუალოდ ფაბრიკა-ქარხნებთან. ზოგად საშუალო

განათლებაზე კონტროლი დაწესებული ჰქონდა განათლების სამინისტროს. უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები ექვემდებარებოდნენ სხვადასხვა უწყებას. სწავლის პროცესში არ არსებობდა მოქნილი ფორმები და მექანიზმები, რომლებიც საშუალებას მისცემდა უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელობას, შემოეღოთ ახალი სასწავლო კურსი და საგნები.

-საქართველოსათვის, ისევე როგორც სხვა პოსტსოციალისტური ქვეყნებისათვის, დამახასიათებელი იყო მეტისმეტი სპეციალიზაცია, განსაკუთრებით საშუალო სპეციალიზებულ და ტექნიკურ-პროფესიულ სასწავლებლებში, სადაც მოსწავლეები ითვისებდნენ ვიწრო პროფესიებს. ამ გამოცდილების საპირისპიროდ საგანმანათლებლო სისტემა უმაღლეს სასწავლებლებში მიმართული იყო შედარებით უფრო ზოგადი უმაღლესი განათლების მისაღებად და 5 წლის განმავლობაში სტუდენტები სხვადასხვა ზომით ეუფლებოდნენ 60-ზე მეტ განსხვავებული პროფილის დისციპლინას. ეს ორი უკიდურესობა ნაკლებად ეფექტიანს ხდიდა მთლიანად საგანმანათლებლო სისტემას. სკოლის შემდგომ პერიოდში განათლების მიღების შესაძლებლობა უმაღლეს სასწავლებლებში არათანაბარი იყო. საზოგადოებრივ ცხოვრებაში გაბატონდა იდეალები, რომლის თანახმად, კადრების მომზადება უნდა ყოფილიყო მუშებისა და გლეხების ცხოვრების დონის ზრდის პირობა, მაგრამ ეს იდეალები არ იყო ეფექტურად რეალიზებული, რადგან, სხვა მიზეზებთან ერთად, უმაღლესი განათლების სისტემაში აბიტურიენტების შერჩევა პარტიული პრინციპისათვის ან კიდევ სამუშაო სტაჟისათვის უპირატესობის მიცემით ხდებოდა. მიუხედავად სასწავლებლების საერთო უნიფიცირებისა, არსებობდა პრესტიჟული სკოლები და უმაღლესი სასწავლებლები, სადაც არაპარტიულ ან კიდევ რუსული ენის, როგორც არამშობლიური, მეორე ენის არმცოდნე ახალგაზრდებს არ შეეძლოთ ადგილის დაკავებაზე ეოცნებათ (დიპლომატიის, პოლიტეკონომიის, ფილოსოფიისა და სხვა სპეციალობები). პრაქტიკულად შეუძლებელი იყო, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულებს ეფიქრათ უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელებაზე, იმის გამო, რომ აქ მიღებული ცოდნა ადეკვატური არ იყო უმაღლესი სასწავლებლების მოთხოვნებთან მიმართებაში.

- არსებობდა კიდევ ერთი უთანასწორობა. კორექციული გადახრების მქონე კონტინგენტს არ ჰქონდათ შესაბამისი პირობები განათლების მისაღებად, მაგალითად, ინვალიდებისათვის უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებთან

მისასვლელი სპეციალური გზა, ლიფტი, კიბეები და სხვ. ისინი იშვიათად სარგებლობდნენ შესაბამისი საგანმანათლებლო სპეციალური მომსახურებით.

- ანალოგიურად იყო ორგანიზებული სამეცნიერო მუშაობაც. მართალია, ცოდნის სტანდარტები მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო დარგებში საკმაოდ მაღალი იყო, მაგრამ იგი არ უკავშირდებოდა მათი პრაქტიკული რეალიზაციის შესაძლებლობებს და ქვეყნის შრომის ნაყოფიერების ზრდა არ გამოხატავდა მეცნიერებაში მიღწეულ შედეგებს. სამეცნიერო მუშაობა ძირითადად მიმდინარეობდა სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებში, რომლებიც ორგანიზაციულად და ფუნქციონალურადაც მოწყვეტილი იყვნენ სასწავლო დაწესებულებებს. მრავალი მეცნიერი არ ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას, უნივერსიტეტებში კი მრავალი პროფესიონალი პედაგოგი აქტიურად არ იყო ჩაბმული სამეცნიერო საქმიანობაში. ამასთან, რამდენადაც სამეცნიერო დაწესებულებები სხვადასხვა უწყებას შორის იყო განაწილებული, იმდენად მათ არ შეეძლოთ აქტიურად ემუშავათ დარგთაშორის პრობლემებზე. ნაკლები ყურადღება ეთმობოდა გარემოს დაცვის პრობლემებს. ეს პრობლემები სოციალისტურ პერიოდში უგულებელყოფილი იყო.

- არ ხდებოდა ახალგაზრდების გადამზადება მათი პროფესიული მობილურობის მიზნით, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია საბაზრო ეკონომიკაში. იგულისხმებოდა, რომ ერთხელ უკვე პროფესიას დაუფლებული ადამიანი პენსიაში გასვლამდე შესაბამის სამუშაო ადგილზე უნდა ყოფილიყო "მიჯაჭვული", ამიტომ ინდივიდებს არ ჰქონდათ საკუთარი ცოდნის გაგრძელებისა და გაღრმავების პასუხისმგებლობის სტიმული. საწარმოები უზრუნველყოფდნენ კვალიფიკაციის ამაღლებას სამუშაო ადგილზე მხოლოდ თავისი მუშაკებისათვის და მხოლოდ მათთვის, ვინც ამას საჭიროებდა.

- ხელფასი განსაზღვრებოდა ადამიანის კვალიფიკაციისა და საგანმანათლებლო ცოდნის დამმოწმებელი დიპლომების მიხედვით, ამიტომ საწარმოს ხელმძღვანელობას უხდებოდა, მხოლოდ ფორმალურად განეხორციელებინა შრომითი უნარისა და შესაძლებლობების შეფასების ღონისძიებები.

მიუხედავად ტოტალური სახელმწიფო სისტემისათვის დამახასიათებელი ამ თვისებებისა, რომელიც არსებული წყობის განმტკიცების საფუძველს წარმოადგენდა, განათლების საერთო დონე პროგრესული იყო მისი საყოველთაობის გამო.

განათლების საბჭოთა სკოლა უნიკალური იყო თავისი წყობით. მას ჰქონდა საერთაშორისო წარმატებები მსოფლიოს მასშტაბით. მრავალი საბჭოთა სკოლადამთავრებული გახდა ნობელი პრემიის ლაურეატი. საერთაშორისო აღიარება ჰქონდა საბჭოთა სამეცნიერო სკოლებს დაწყობული კოსმოსური კვლევებით, დამთავრებული მიკრობიოლოგიით. იგი გამოირჩეოდა ახალი ინოვაციებითა და ტექნოლოგიური წარმატებებით, მაგრამ პარალელურად ყოველივე ეს პარტიული კონტროლის ქვეშ იყო მოქცეული. არც ერთი სამეცნიერო დისერტაციის დაცვა არ შედგებოდა, თუ მასში, განურჩევლად იმისა, იგი ეხებოდა საკვლევ თემას თუ არა, არ იქნებოდა აღნიშნული პარტიის გადაწყვეტილებები და მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ციტატები. ეს განსაკუთრებით საზოგადოებრივ მეცნიერებაზე ითქმის.

საკმაოდ ძლიერი იყო მთლიანად საგანმანათლებლო სივრცეც. თანამედროვე სკოლები არსებობდა არა მარტო ცენტრებში, არამედ პერიფერიებში, თვით ციმბირშიც კი. სახელმწიფო უნივერსიტეტები არ ჩამოუვარდებოდნენ ნებისმიერ ვეროპულ თუ ამერიკულ უნივერსიტეტს და სამეცნიერო ცენტრს მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით. აკადემიის სამეცნიერო ინსტიტუტებს და წამყვან უნივერსიტეტებს გააჩნდათ უახლესი ტექნიკით შეიარაღებული საკუთარი კვლევითი ლაბორატორიები, წყალქვეშა გემები, თვითმფრინავები, რაკეტები. უდიდესი მიწის ფართობი იყო გამოყოფილი სამეცნიერო კვლევების ჩასატარებლად. ყოველივე ამას ჰქონდა მყარი სახელმწიფო დაფინანსება.

სახელმწიფო უზრუნველყოფდა ყველა ადამიანის თანასწორობას საბაზო და საშუალო განათლების მიღებაში. იგი აფინანსებდა სწავლების ყველა დონეს, უზრუნველყოფდა მის განვითარებას ამ წყობისათვის დამახასიათებელი არსებითი იდეოლოგიური პოსტულატების ჩარჩოებში, ზღუდავდა სხვა ქვეყნების, განსაკუთრებით დასავლეთის, ცოდნის ინტერვენციის შესაძლებლობებს და ამით იცავდა ქვეყნის "კარჩაკეტილობას".

საბჭოთა პერიოდის სახელმწიფოს ტოტალური ჩარევა განათლების სისტემაში არის იმის რადიკალური გამოვლენა, თუ რამდენად მნიშვნელოვანი შეიძლებოდა ყოფილიყო სახელმწიფოს როლი განათლების უზრუნველყოფაში. ეს ეტაპი ამჟამად ისტორიის კუთვნილება გახდა. საქართველოს თანამედროვე საბაზრო ორიენტაციამ მე-20 საუკუნის ბოლოს სრულიად ახალი მიზნები დაუსახა განათლების სისტემას.

§4. განათლების სისტემის ბარდაქმნის ამოცანები

და მისი მიმდინარეობა

საქართველოში

საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ რადიკალურმა ცვლილებებმა, ეროვნულობის გაღვივებამ და ეთნიკური დაძაბულობის ზრდამ დიდი ზეგავლენა მოახდინა საზოგადოებრივ ურთიერთობებზე, რაც თავისებურად აისახა განათლების სისტემაშიც. დამოუკიდებლობის პირველივე წლებიდან საქართველოს სასწავლო სისტემა განთავისუფლდა გაბატონებული მარქსისტულ-ლენინური დოგმებისაგან და დაიწყო ეროვნული კულტურული ფასეულობების დაფუძნება სასკოლო და უმაღლესი განათლების პროგრამებში, რაც შესაძლებლობას იძლეოდა, შეცვლილიყო საბჭოთა იდეალები. 70 წლიანი კარდახშული სისტემის შემდეგ აუცილებელი გახდა სხვა ქვეყნებისა და კულტურის ფასეულობების გაზიარება და ღია ეკონომიკური სივრცისათვის დამახასიათებელი ღირებულებების დაფუძნება.¹⁴⁵

საბაზრო ეკონომიკის პირობებში განათლების სისტემის ფუნქციები განხვავებულია იმასთან შედარებით, რაც მას ჰქონდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამდე. საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნაა, განათლების სისტემამ ახალგაზრდობა მოამზადოს მუდმივი პროფესიული მოტილურობისათვის, რადგან უნდა ვივარაუდოთ, რომ აქტიური ცხოვრების პერიოდში მუშაკებს მოუხდებათ პერიოდულად ერთი სამუშაო ადგილიდან მეორეზე გადასვლა და საქმიანობის შეცვლა წარმოების დინამიკის ცვალებადობის გამო.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში კურსდამთავრებულებმა უნდა იცოდნენ, როგორ გამოიყენონ ცოდნა შრომის ბაზრის დინამიკურობის დროს. ეს კი საჭიროებს განათლების სისტემის ფუნდამენტურ ცვლილებებს, რომელიც ადრე

¹⁴⁵ ამ მიზნით საქართველოში და სხვა პოსტკომუნისტურ ქვეყანაში შეიქმნა კიდევ უმაღლესი განათლებისათვის დახმარების ფონდები, რომლებიც ევროპული და ამერიკული უმაღლესი განათლების სისტემის მსგავსად ახორციელებენ სწავლების სტანდარტიზაციას. ასეთ ფონდებს აყალიბებენ როგორც ქვეყნის მთავრობები, ასევე საერთაშორისო საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

ორიენტირებული იყო სახელმწიფოს მიერ დადგენილ ფასეულობებზე, ამჟამად მან უნდა დააკმაყოფილოს ბაზრის მოთხოვნები.

განათლების სისტემის ამოცანაა ისეთი ადამიანების ფორმირება, რომლებსაც აქვთ ინოვაციური მიდგომები და მოქნილები არიან პროფესიული საქმიანობის ცვლაში. სწორედ ასეთი ახალი ტიპის სამუშაო ძალაზე იქნება მოთხოვნა სახალხო მეურნეობაში.

ამდენად, გლობალიზაციისათვის დამახასიათებელი ღირებულებების განვითარებამ, საქართველოს განათლების სისტემის საერთაშორისო ასპარეზზე მონაწილეობის აუცილებლობამ და საბაზრო ეკონომიკამ სრულიად განსხვავებული მოთხოვნები წაუყენა სამუშაო ძალის მომზადების ინსტიტუტებს (ვიდრე ეს იყო საბჭოთა პერიოდში), რაც რეფორმების გატარების გზით უნდა განხორციელდეს.

რეფორმები ნიშნავს ახალი ღირებულებების შემოტანას საზოგადოებაში და იმ ძველი ღირებულებების გაუქმებას, რომლებიც არ პასუხობს საზოგადოების მოთხოვნებს და თანდათანობით უფასურდება.

განათლების რეფორმის სახელით ხშირად მრავალი რაციონალური ღირებულების უარყოფა ხდება, რაც ერთგვარად რადიკალიზმის გამოხატულებაა. მაგალითად, იყო ცდები, მარქსისტული თეორიის უგულებელყოფისა და იგნორირების საფუძველზე, ახალი საზოგადოება წარმოედგინათ პოლიტიკური თავისუფლების სიმბოლოს განსახორციელებლად.¹⁴⁶ ასეთი წარმოდგენები უარყოფითად მოქმედებს რეფორმების მიზნებისა და მექანიზმების განსაზღვრაში.

განათლების მაღალი დონე და საყოველთაო პოსტკომუნისტურ სივრცეში იყო ის არგუმენტი, რომლის თანახმად, განათლების სისტემის რეფორმირება არ ითვლებოდა პრიორიტეტულად სხვა ისეთ გადაუდებელ ღონისძიებებთან შედარებით, როგორცაა პრივატიზება, საბანკო და ფინანსური სისტემის რეფორმები და სხვ. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ მის დიდ როლს ეკონომიკაში, მაშინ განათლების სისტემის გარდაქმნა საბაზრო ინსტიტუტად ერთ-ერთი გადაუდებელი ამოცანა უნდა ყოფილიყო ეკონომიკაში რეფორმების დაწყებისთანავე.

¹⁴⁶ ანალოგიურად 20-იან წლებში ბოლშევიზმის იდეოლოგები მოითხოვდნენ ყოველივე იმის უარყოფას, რაც დაკავშირებული იყო კაპიტალიზმის სახელთან. ამ სიაში აღმოჩნდნენ კლასიკური მუსიკისა და ლიტერატურის ცნობილი წარმომადგენლები.

ამჟამად ეჭვს გარეშეა, რომ რეფორმა განათლებაში პირველხარისხოვანი მნიშვნელობისაა და მისი განხორციელება საკმაოდ ხანგრძლივ დროს მოითხოვს. ახალი სასწავლო პროგრამების შემუშავებაზე შეიძლება წლები დაიხარჯოს, რამდენადაც პოსტკომუნისტური სივრციდან მოსული სპეციალისტების გამოცდილება არასაკმარისია, ფინანსური რესურსები კი მეტად მწირი. მასწავლებელთა მომზადებისა და გადამზადების სისტემა და მათი საკადრო ცვლილებების განხორციელება საკმაოდ ძვირადღირებული პროცესია. მრავალი ისეთი სპეციალობის სწავლება, რომელიც მაღალი მოთხოვნით სარგებლობს შრომის ბაზარზე, შეუძლებელია არასაკმარისი პროფესიონალი კადრების, დაბალი ხელფასისა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის წარმართვისათვის დღეს არსებული ცუდი პირობების გამო.

უნდა ითქვას, რომ, მართალია, ძველი მემკვიდრეობა ემყარება განათლების ტოტალურ სახელმწიფო რეგულირებას, მაგრამ ამ სისტემის გარდასაქმნელად არ შეიძლება საერთო "რეცეპტები" არსებობდეს პოსტკომუნისტურ სივრცეში. რაკი ყველა ქვეყანაში ყალიბდება განსხვავებული ინსტიტუციური გარემო, ამიტომ რეფორმების განხილვა უნდა მოხდეს საერთო განვითარების სპეციფიკური პირობებისა და ცალკეულ ქვეყანაში ტრანსფორმაციისას მიღწეული წარმატებების გათვალისწინებით.

იმისათვის, რომ განათლების სისტემამ უზრუნველყოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ამოცანები, საჭიროა, ადრე არსებული ტრადიციული სწავლებისა და დაზეპირების ნაცვლად განავითაროს ინოვაციური სასწავლო ტექნოლოგია და შემეცნებითი თვისებები. ეს კი მოითხოვს ინოვაციურ სასწავლო დაწესებულებების შექმნას. სწავლება უნდა გადაერთოს ფაქტების მარტივი დამახსოვრებიდან, რომელიც პრაქტიკულად არ მოითხოვს მუშაკის მობილურობის უნარის გამოჩენას, მის შემეცნებით, განზოგადებით აღქმაზე.

რეფორმის მთავარი მიზანი უნდა იყოს, ის, რომ სასწავლებლების კურსდამთავრებულები ფლობდნენ იმ ჩვევებს, რომლებიც საჭიროა საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის პირობებში კეთილდღეობის მისაღწევად.

XXI საუკუნის შესაბამისი დონის განათლებისა და გლობალური ეკონომიკისათვის აუცილებელი თვისებების დასაუფლებლად განათლების სისტემამ საზოგადოება უნდა უზრუნველყოს ცვალებადი ეკონომიკის სიახლეებისადმი სწრაფი ადაპტაციისა და უნარის მქონე კადრებით. სასწავლო

დაწესებულებები არ უნდა იყოს მხოლოდ სტუდენტებისათვის ცოდნის პასიური მიწოდების ინსტიტუტები. ისინი შეგნებულად უნდა ახდენდნენ მათ წვრთნას ეკონომიკის საჭიროებათა მიხედვით. ქვეყნები, რომლებიც მეტი ყურადღებით ეპყრობიან ეკონომიკის საჭიროებების მიხედვით განათლების სისტემის აგებას, მეტ წარმატებებს აღწევენ ეკონომიკაში.

საქართველოს განათლების სისტემაში აისახება საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის სირთულეები და მსოფლიო ეკონომიკასთან მისი ადაპტაციის პრობლემები. ამ სისტემის წარმატებების შემოწმების ერთ-ერთი გზაა შრომის ბაზარი. მისი სეგმენტების გამოკვლევა სწავლების დახვეწის აუცილებელი პირობაა. იგი პროფესიული ცვლილებებისა და ეკონომიკის მოთხოვნების გამოვლენის კატალიზატორია. ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის ფორმირება და მისი განვითარების ტენდენციები ავლენენ ერთობლივი სამუშაო ძალის პროფესიული სტრუქტურის ცვლილებებს. თვით ის ფაქტი, რომ იზრდება ეკონომიკის დარგების ხარისხობრივი მაჩვენებლები, კვალიფიციურ სამუშაო ძალაზე მოთხოვნის ზრდის გამოსატულებაა.

გარდა ამისა, ოჯახების შემოსავლების ზრდა უნდა იყოს კვალიფიკაციის ზრდის მანიშნებელი. ცნობილია, რომ მაღალშემოსავლიან ფენას მიეკუთვნებიან პირები უმაღლესი ან არასრული უმაღლესი განათლებით. სიღარიბის უკიდურესი ფორმები კი მეტია გაუნათლებელ და ნაკლებად განათლებულ ადამიანებში. იგი შედარებით იშვიათია უმაღლესი განათლების ადამიანებში. ის გარემოება, რომ უმაღლესი განათლების მქონე ადამიანთა ჯგუფში მაღალია შემოსავლების დიფერენციაცია, ზოგჯერ იძლევა იმის მტკიცების საფუძველს, რომ კორელაცია განათლებასა და შემოსავლებს შორის უარყოფითია, მაგრამ ამ შეხედულების დამამტკიცებელი სტატისტიკა შედარებით უფრო მცირე რაოდენობის ადამიანებზე მოდის, ვიდრე განათლებასა და შემოსავლებს შორის პირდაპირი კავშირის ამსახველი სტატისტიკა, რომელიც მთელ მსოფლიოში მსგავს პრინციპს ასაბუთებს.

საქართველოში უმაღლესი განათლების მქონე სოციალური ფენების აქტივობა დაბალია ისეთ დარგებში, რომლებსაც ეკონომიკის სტრუქტურაში მაღალი ხვედრითი წონა აქვს. ასეთი დარგებია სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, ტრანსპორტი, მაგრამ ადამიანთა ამ ფენების აქტივობა მაღალია სამთავრობო, ჯანდაცვის, კულტურისა და განათლების სფეროებში. პროფესიული განათლების მუშაკები კი აქტიურნი არიან იმ სფეროებში, რომლებიც არ

მიეკუთვნება უმაღლესი განათლები მქონე მუშაკების აქტივობის სფეროს. ამდენად განათლების ამ ორი საფეხურის აქტივობის სფერო არ გადაკვეთს ერთმანეთს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მხოლოდ ჯანდაცვის სფეროს. საერთოდ მაღალკვალიფიციური სპეციალისტების აქტივობის სფერო მრეწველობაში, ვაჭრობასა და სოფლის მეურნეობაში გაიზრდება მაშინ, თუკი ხელი შეეწყობა მაღალხარისხიანი და კონკურენტუნარიანი პროდუქტების წარმოებას. ეს თავის მხრივ გააძლიერებს მოთხოვნას მაღალკვალიფიციურ შრომაზე.

უნდა გავითვალისწინოთ დაქირაავების სპეციალური თავისებურებებიც საქართველოში. ხშირად დაქირაავებლებს ნათლად არ წარმოუდგენიათ, თუ რა ცოდნა ესაჭიროება მათ ორგანიზაციას, შრომის ბაზარი კი არ წარმოადგენს სამართლიანი კონკურენციის ადგილს, რადგან დასაქმებისას მოქმედებს სამუშაოზე მოწყობის "ნაცნობობის" დღემდე არსებული ტრადიცია. ამასთან, მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ მსოფლიოში არსებული ვერც ერთი უმაღლესი დაწესებულება ვერ გამოუშვებს სათანადოდ მომზადებულ სპეციალისტებს, რომელთაც არ სჭირდებოდეთ სამუშაო ადგილებზე თუნდაც მინიმალური ტრენინგი. გეგმური პერიოდის ნოსტალგია კი, რომელიც ერთხელ მიღებული პროფესიის სიცოცხლის ბოლომდე გაყოლას ითვალისწინებდა, ჯერ კიდევ შემორჩენილია ადამიანების წარმოდგენაში, თუმცა დროთა განმავლობაში იგი იცვლება, რადგან შესაბამისი ტიპის სამუშაო ადგილები, სადაც ადამიანები მთელი ცხოვრების განმავლობაში იქნებიან დასაქმებულნი, სულ უფრო მცირდება. ეს კი ნიშნავს იმას, რომ განათლების სისტემაში არა მარტო სასწავლებლებმა, არამედ დაქირაავებლებმაც უნდა მისცენ თანამშრომლებს სპეციფიკური ცოდნა.

განათლების რეფორმა არის იმ ცოდნის მიღების გზა, რომელიც სჭირდება კეთილდღეობის უზრუნველყოფას. იგი არის სწავლების უკმარისობის, ზედმეტი ან არასწორი სწავლების შემთხვევების აღმოფხვრის საშუალება.

ადვილი არ არის, გამოვიკვლიოთ შექმნილ ცოდნასა და მასზე მოთხოვნას შორის შეუსაბამობა. ეს საკითხი შეიძლება შესწავლილ იქნეს კურსდამთავრებულთა მდგომარეობის ანალიზით, მაგრამ არსებული ინფორმაციული ბაზა დღესდღეობით არ იძლევა ამის საშუალებას. ფაქტობრივად იმის გარკვევა, თუ რამდენად კარგად ხდება განათლების მიწოდება, რამდენად მაღალია სტუდენტთა გამოცდილება და სხვ., მოითხოვს,

ერთი მხრივ, სწავლების პროცესის, მისი პროგრამების, სწავლების პროცედურის და ა.შ. შეფასებებს, მეორეს მხრივ, ბაზრის შესაბამისი სემინტების ანალიზს, და, მესამე მხრივ, თვით სტუდენტთა მოტივაციის დადგენას, მაგრამ რამდენადაც ასეთი კვლევები დიდ ენერჯიასა და სახსრებს მოითხოვს, მსოფლიოში იგი კერძო შემთხვევებში ხორციელდება. ამასთან, ამ მეთოდს მრავალი ნაკლი გააჩნია და შეფასების სისტემებიც არასრულია. მიუხედავად ამისა, მისი მნიშვნელობა მაინც დიდია. საქართველოში ასეთი კვლევების ჩატარება-განხორციელება ამჟამად მხოლოდ ლოკალურად თუ შეიძლება.

საქართველოს განათლების სისტემის რეფორმის განხორციელებისას ჩვენ შეგვიძლია გავყვეთ უკვე გაკვალი დასავლეთის საგანმანათლებლო სისტემების პოზიტიური გამოცდილების გზას. ოპოზიციური თვალსაზრისი და ძალა, რომელიც ამ გამოცდილებას უარყოფს, არ არსებობს. მაგრამ სირთულე ისაა, რომ არ არსებობს განათლების სისტემის რეფორმისა და მენეჯმენტის ერთიანი მოდელი. არავითარი აზრი არ ექნება რომელიმე ქვეყნის განათლების სისტემის ბრმად გადაღებას. რეფორმის მონაწილეებმა უნდა შეისწავლონ ინსტიტუციური შეფასებისა და რეფორმების მართვის საერთაშორისო გამოცდილება. სხვანაირად განათლების რეფორმა ადამიანისეული რესურსების მოგვარების სტრატეგიული იარაღი ვერ გახდება.

ამჟამად არც ერთ უმაღლეს სასწავლებელს არ აქვს შესაძლებლობა, დამოუკიდებლად განახორციელოს რეფორმა. მას სახელმწიფოებრივი მიდგომა სჭირდება. რეფორმის განხორციელება უნდა ითვალისწინებდეს, განათლების მენეჯმენტის შესაძლო ბერკეტების გამოყენებით, განათლების დონის, სასწავლო პროგრამების ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლებას. ეს კი მოითხოვს ურთიერთკავშირის დამყარებას მეწარმეებს, განათლების დაწესებულებებსა და ხელისუფლებას შორის.

ახალ პირობებში საწარმოებს უხდებათ კონკურენტულ გარემოში საქმიანობა. ადამიანისეულ კაპიტალში პროფესიული მომზადების მიზნით დაბანდებულმა თანხებმა უნდა უზრუნველყონ შრომის ნაყოფიერების ზრდა. სასწავლო დაწესებულებებმა ადეკვატურად უნდა მოახდინონ რეაგირება ახალ ცოდნასა და პროფესიებზე წარმოშობილ მოთხოვნაზე, რომელიც კრიტიკულია გარდამავალი პერიოდის ეკონომიკისათვის.

საქართველოში დინამიური და აღმავალი მიმართულების განვითარებადი დარგების შიდა სტრუქტურული ცვლილებები უნდა გახდეს სწავლების დაგეგმვის პირობა, სტუდენტთა მომზადების საფუძველი. ამჟამად კურსდამთავრებულთა უმუშევრობა ნაწილობრივ შეიძლება აიხსნას მათ მიერ მიღებული განათლების არაადეკვატურობით ბაზრის მოთხოვნებთან, აგრეთვე სტუდენტთა რაოდენობის დაგეგმვის ნაკლოვანებებით, რაც მოითხოვს განათლების სისტემის ადაპტირებას შრომის ბაზრის პირობებთან. ბაზარმა წამოაყენა ახალი მოთხოვნები შრომის ამა თუ იმ სახეობაზე და მის ხარისხზე. ადამიანები იწყებენ საბაზრო მოთხოვნაზე რეაგირებას. ბაზარი აიძულებს მათ, დაეუფლონ ისეთ შრომით თვისებებს, რომლებიც მისცემს უფრო მაღალი ანზღაურების მიღების საშუალებას. საწარმოებიდან გამოთავისუფლებულ მუშაკებს კი ეძლევათ შესაძლებლობა, აითვისონ ახალი პროფესიები, რაც გაზრდის ახალი სამუშაო ადგილის შოვნის შანსს. ახალგაზრდა სპეციალისტების ცოდნასა და შრომის ბაზრის მდგომარეობას შორის შეუსაბამობა განათლების სისტემაში კრიზისის მაჩვენებელია.

გარდა აღნიშნულისა, ახალი ქცევის შემოქმედებითი ადამიანების მომზადება გულისხმობს ცვლილებებს სახელმწიფოს, სასწავლო დაწესებულებების, მასწავლებლებისა და მომხმარებლების (სტუდენტები, მშობლები, შრომის დამქირავებლები და სხვ.) ქცევებში. საჭირო ხდება ბალანსირებული პოლიტიკის წარმართვა, რომელიც მიმართული იქნება მაკროეკონომიკური სტაბილურობის განმტკიცებისაკენ რესურსების მიზნობრივი გამოყენების გზით, საჭირო ხდება დამატებითი ფინანსური რესურსების მობილიზაცია და ხარჯების რაციონალიზაცია, მოტივაციური სტრუქტურის სრულყოფა, საგანმანათლებლო პროდუქტების ბაზრის გაფართოება, განათლების მომსახურე დაწესებულებების კონკურენციის განვითარება-გაფართოება, საგანმანათლებლო სტანდარტების დაწესება და ყველასათვის თანაბარი უფლების მინიჭება ამ მომსახურების მისაღებად, აგრეთვე შესაბამისი ინსტიტუციური ბაზის შექმნა.

გარდამავალი პერიოდის დაწყებით ეტაპზე წარმოების ტემპების დაცემამ არსებითი ზეგავლენა მოახდინა სასწავლო დაწესებულებების დაფინანსებაში. განათლების დაფინანსებაში დაიწყო კრიზისი, გაჩნდა სერიოზული პრობლემები სახელმწიფოს ფისკალურ პოლიტიკაში, რომელიც დღემდე გრძელდება; გაიზარდა საგანმანათლებლო რესურსებზე ფასები, მოიშალა პროფესიული განათლების სისტემა; ბიუჯეტური შეზღუდულობის გამო საწარმოებმა უარი

განაცხადეს კადრების მომზადების ამ სისტემაზე; შემოსავლების შემცირების გამო ოჯახების სამომხმარებლო სტრუქტურაში შემცირდა დანახარჯების წილი განათლებაზე; სულ უფრო გაიზარდა კერძო დაფინანსების როლი განათლების სისტემაში და სხვ.

ადგილობრივი საგადასახადო ბაზის შეზღუდულობის პირობებში ცენტრალური მთავრობა კვლავ ასრულებს ძირითად როლს დაწყებითი და საშუალო სკოლების დაფინანსებაში. იგი გადაანაწილებს რესურსებს რეგიონებში, აგრეთვე სხვადასხვა სოციალურ ფენებს შორის და არეგულირებს სტანდარტებსა და ნორმებს იმისათვის, რომ უზრუნველყოს განათლების ხარისხი და თანასწორობა განათლების მისაღებად.

უნივერსიტეტებმა მიიღეს ავტონომიურობა და გაუქმდა ცენტრალიზებული მართვა. ისინი დამოუკიდებლად განსაზღვრავენ პოლიტიკას და აკონტროლებენ მათ განკარგულებაში არსებული რესურსების გამოყენებას.

კერძო სასწავლო დაწესებულებების ქსელი უფრო სწრაფად ფართოვდება სახელმწიფო სასწავლებლებთან შედარებით, რადგან განათლების მიცემა და სწავლის პროცესის ორგანიზება მომგებიანი დარგი ხდება. სახელმწიფო ლიცენზიებით კონტროლს უწევს, არეგულირებს კერძო უმაღლესი სასწავლებლების დაფუძნებას და აყენებს მოთხოვნებს მათ წინაშე. იქმნება კერძო სკოლები, აგრეთვე არასახელმწიფო საგანმანათლებლო ცენტრები და ორგანიზაციები.

საქართველოში განათლების სისტემის რეფორმებს, რომლებიც შეიძლება ითქვას, მხოლოდ საწყის სტადიაზეა, არაერთგვაროვანი შეფასება აქვს ქართველი პედაგოგებისა და განათლების სისტემის მოღვაწეებისაგან. უარყოფითად ფასდება განათლების სისტემის დღევანდელი მდგომარეობა. მკვლევართა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ "განათლების სისტემა საქართველოში მწვავე კრიზისს განიცდის".¹⁴⁷ მხედველობაში აქვთ განათლების ინსტიტუტების მძიმე ფინანსური და მატერიალური მდგომარეობა, პედაგოგთა დაბალი კვალიფიკაცია, კორუფცია, მმართველობის ცენტრალიზებული სტილი და სხვ. სხვები ყურადღებას ამახვილებენ რეფორმების ეროვნულ იდეოლოგიაზე, მისი განხორციელების მეცნიერულობაზე და აღნიშნავენ, რომ "საქართველოში განათლების რეფორმა თავიდანვე განწირული იყო, რადგან თავად

¹⁴⁷ თ. გრძელიძე, განათლების რეფორმა საქართველოში: რას წარმოადგენს იგი და როგორი უნდა იყოს სინამდვილეში. თბ., 1998. გვ. 26.

სახელმწიფოში არ არის ფორმირებული განათლების რეფორმის წარმატების ისეთი საფუძველი, როგორცაა ეროვნული იდეოლოგია, ეროვნულ ფასეულობათა იერარქია. რეფორმების განხორციელებას ჩამოაცილეს მეცნიერულობა".¹⁴⁸ არსებობს სხვა შეფასებებიც, რომლებიც ეხება რეფორმების განხორციელების ტემპს, მართვის ტიპს, სახელმწიფოს როლს და ა.შ.

საყოველთაოდ ცნობილი ანბანური ჭეშმარიტებაა, რომ კარგად ორგანიზებული განათლების სისტემა არის ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აუცილებელი პირობა. ეს დარგი პერმანენტულად უნდა განიცდიდეს გარდაქმნასა და განვითარებას, რათა შეასრულოს მასზე დაკისრებული ფუნქცია. ამ მიზნით გარკვეული გამიზნული მოქმედებაა საჭირო, რათა პროცესებმა უსისტემო, არათანმიმდევრული, სტიქიური სახე არ მიიღოს.

განათლების ინსტიტუციური გარემო ყალიბდება იმ ურთიერთობების ფონზე, რომელიც მემკვიდრეობით ძველი ეკონომიკური სისტემისაგან იქნა მიღებული და მისი გარდაქმნის პირობას, უპირველეს ყოვლისა, საბაზრო ეკონომიკის ადეკვატური განათლების სისტემის ახალი ინსტიტუტების ფორმირება წარმოადგენს.

საქართველოში განათლების სისტემის გარდაქმნა გარდამავალ ეტაპზე თანდათანობით საბაზრო ეკონომიკისთვის დამახასიათებელი მოთხოვნების შესაბამისად უნდა წარიმართოს. განათლების ინსტიტუციური რეფორმები უნდა ემსახურებოდეს ისეთი კადრების მომზადებას, რომლებიც შეძლებენ საბაზრო ეკონომიკაში ადგილის დამკვიდრებას. სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა ხდებოდეს განათლების რეფორმის შეფასება.

¹⁴⁸ ნ. ვასაძე, განათლების რეფორმის მეცნიერული მართვის აუცილებლობის შესახებ, სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის თეზისები, თბ., საქართველოს პარლამენტი. განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტი. 1999. გვ. 35.

თაზო XV

საქართველოს განათლების სისტემის ინსტიტუციური გარდაქმნები

მოქალაქეების ფუნდამენტური უფლებაა განათლებისადმი ხელმისაწვდომობის თანასწორობა. ეს კი მოითხოვს სახელმწიფო რეფორმების განხორციელებას, რათა თანაბრად განაწილდეს რესურსები და სარგებელი როგორც რეგიონებს, ასევე სოციალურ-ეკონომიკურ და ეთნიკურ ჯგუფებს შორის.

რეფორმა გულისხმობს განათლების სისტემის სტრუქტურულ გარდაქმნას განათლებასა და ეკონომიკას შორის ახალი კავშირის დამყარების მიზნით. მიმდინარე რეფორმები ხშირად ვერ წყვეტენ იმ დაგროვილ პრობლემებს, რომლებიც განაპირობებენ კრიზისს. ამიტომ პერიოდულად დგება ფუნდამენტური ხასიათის რეფორმების გატარების აუცილებლობა, რომლებიც საფუძველს ჩაუყრიან მომავალ განვითარებას. როგორც მსოფლიო პრაქტიკა ადასტურებს, ყოველ 10-15 წელიწადში განათლების დარგში არსებითი რეფორმა ტარდება. ასეთ ვითარებაში აუცილებელია მომავლის სწორი განჭვრეტა.

რეფორმა განათლების სფეროში მიმართულია ახალი ურთიერთობების დამკვიდრებისაკენ, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს საგანმანათლებლო დაწესებულებათა ალტერნატიული ფორმების ჩამოყალიბებას. ამ მიმართულებით სხვადასხვა დონის კერძო და სახელმწიფო სასწავლებლების ფორმირება და სამუშაო ძალის შრომის ბაზრისათვის მომზადება ხდება რეფორმის წარმატების ერთ-ერთი მაჩვენებელი. სასწავლო დაწესებულებები შეადგენენ ერთიან სისტემას, სადაც ყოველი მომდევნო წარმატება დამოკიდებულია წინა საფეხურის სასწავლო ინსტიტუტების მიერ წარმართულ მუშაობაზე, ხოლო საშუალო სპეციალური, პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლების მიერ მომზადებული კადრების მიერ მოპოვებული სამუშაო ადგილები მთლიანად ქვეყნის განათლების ეფექტიანობის უტყუარი მაჩვენებელია.

**§1. დაწყებითი და საშუალო სასწავლო დაწესებულებების ინსტიტუციური
ბარდაქმნის
მიმართულებები**

განათლების სისტემის რეფორმების ერთ-ერთი მიზანია ინსტიტუციური შესაძლებლობების გაზრდა, ცენტრალურ, ადგილობრივ და ცალკეულ საწარმოთა დონეზე ხელმძღვანელობის და მართვის განხორციელება. ამჟამად განათლების სისტემის მართვის აპარატს სრულიად განსხვავებულ პირობებში უხდება მუშაობა, ვიდრე ეს იყო 10 წლის წინ. დეცენტრალიზებული მეურნეობა საბაზრო ეკონომიკის ახლად აღმოცენებული კანონების შესაბამისად მოითხოვს დაგეგმვის, მარკეტინგის, ფინანსირების სფეროებში შესაბამის ცოდნას და განსაკუთრებით - მოქნილობას, რაც ესოდენ აუცილებელია სხვადასხვა კატეგორიისა და ინტერესის მქონე კონტინგენტთან მუშაობისას.

გარდამავალ პერიოდში საქართველოში გატარებულმა პოლიტიკურმა რეფორმებმა შეცვალა მრავალი ინსტიტუციური სტრუქტურა, რომელიც ადრე, ცენტრალიზებული დაგეგმვის პირობებში, ასრულებდა მნიშვნელოვან როლს საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვაში. ამჟამად ახალი შინაარსი შეიძინა დაგეგმვამ, ორგანიზაციამ, მართვამ. მხოლოდ გამონაკლისია ისეთი სასწავლო ორგანიზაცია, რომელიც აგროვებს ყველა სტატისტიკურ ინფორმაციას და ეწევა მარკეტინგულ გამოკვლევას, რომელიც საშუალებას აძლევს მას, გააანალიზოს თავისი საგანმანათლებლო შესაძლებლობები და მიღწევები. მრავალი დაწესებულება არ არის კომპიუტერებით უზრუნველყოფილი, რაც ხელს უშლის მათ დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღებაში. ამასთან, კვლევითი მუშაობის ორგანიზაციაც მოითხოვს რეფორმების გატარებას.

ამჟამად საქართველოს საგანმანათლებლო მომსახურებაში იზრდება დეცენტრალიზაცია და პარალელურად სხვადასხვა რეგიონს შორის ხარჯების უთანაბრო განაწილების რისკი. ადგილობრივ ხელისუფლებას უპირატესობები აქვს ისეთ სფეროებში, როგორცაა საბავშვო ბაღები და დაწყებითი სკოლები, მაგრამ საგადასახადო ბაზაში არსებული განსხვავების გამო ცენტრალურმა ხელისუფლების მიერ მინიმალური სტანდარტების უზრუნველყოფა და სოციალური ფუნქციის შესრულება ხდება მნიშვნელოვანი.

საბჭოთა პერიოდში დაწყებითი საშუალო სკოლების მართვა რაიონული ხელმძღვანელობის მიერ ხორციელდებოდა ცენტრში შემუშავებული ფინანსური და სხვა ნორმების მიხედვით. ყველა მომსახურება, მათ შორის სახელმძღვანელოების მთლიანი კომპლექტით, აგრეთვე კლასგარეშე არასავალდებულო საგნების სწავლება უფასო იყო. ამჟამად რაიონები ასევე პასუხისმგებელი არიან სკოლების ადმინისტრირებისა და ფონდების უზრუნველყოფაზე. ცენტრი პასუხისმგებელია სწავლების პროგრამაზე, სტანდარტებზე, მასწავლებელთა ატესტაციასა და სკოლის დირექტორების დანიშვნაზე.

განათლების ყველა სპეციალისტი, რომელსაც ჰქონია შეხება საქართველოს განათლების სისტემასთან, იზიარებს აზრს იმის თაობაზე, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ზოგადი განათლების ხარისხი გაუარესდა. იცვლება დამოკიდებულება განათლებისადმი. მაღალი კლასის მოსწავლეები, განსაკუთრებით ვაჟები, კარგავენ ინტერესს სწავლის მიმართ და შემოსავლების მიღების შესაძლებლობას უფრო კომერციაში ხედავენ, ვიდრე ცხრა კლასის შემდეგ სწავლის გაგრძელებაში.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საბაზო განათლება საფუძველს ქმნის პროფესიული თვისებების ფორმირებისათვის. ამ საფეხურზე ინვესტიციების ყოველი შეზღუდვა მომავალში მოითხოვს უფრო მეტი სოციალური დანახარჯის გაღებას, რამდენადაც გაიზრდება ცუდად განათლებული ადამიანებისათვის შესაბამისი ხასიათის სახელმწიფო მომსახურების ხარჯები, რომლებიც ტვირთად დააწვება დანარჩენ საზოგადოებას. ამასთან, ნახევრადგანათლებული ადამიანები არაკონკურენტული არიან შრომის ბაზარზე. ამჟამად დემოგრაფიული და სხვა ფაქტორების გამო მოსწავლეთა რაოდენობა მცირდება, რაც შესაძლებლობას იძლევა, შენარჩუნებულ იქნეს სწავლის ხარისხი დანახარჯების ზრდის გარეშე.

ამასთანავე, რეფორმების სტრატეგიის განხორციელებისასა მაღალი უკუგების გამო მიზანშეწონილია უფასო სრული საშუალო განათლების დაკანონებაც. ფინანსური ხასიათის სიძნელეების განმსაზღვრელია ქვეყნის მაკროგარემო, რომელიც ამის შესაძლებლობას ჯერჯერობით არ იძლევა.

პედაგოგები

განათლების სისტემის ინსტიტუციური მოწყობა არის რეფორმის ერთ-ერთი ძირითადი მხარე. მისი უმთავრესი ორიენტირია პედაგოგები, რამდენადაც მათ გარეშე ვერაფერი შეიცვლება. თანამედროვე პირობებში მკვეთრად იცვლება მასწავლებლებისა და სკოლის დირექტორის როლი. ისინი ხდებიან რესურსების მმართველები, ცოდნის გამავრცელებლები და ნაკლებად არიან აღნიშნული ინსტანციის დირექტივების შემსრულებლები. ეს კი კარგი პირობაა რეფორმის განსახორციელებლად. სკოლების დეცენტრალიზაცია, ახალი პროგრამების, გეგმებისა და სახელმძღვანელოების შედგენა დამოკიდებულია მასწავლებელთა კადრების მოტივაციაზე. საქმე ისაა, რომ ყოველი პროგრამის შეცვლა ნიშნავს იმ ზოგიერთი სპეციალობის მასწავლებელთა შემცირებას და სამუშაოდან განთავისუფლებას, რომელთა ცოდნასა და გამოცდილებაზე დაბალი მოთხოვნაა, მათ სანაცვლოდ კი - სხვების გაფართოებას. სასწავლო გეგმების გადამუშავება მოითხოვს მასწავლებელთა კადრების გადამზადებას. ბოულიოთეკები და საინფორმაციო ტექნოლოგიები ასევე საჭიროებენ რადიკალურ ცვლილებებს, განსაკუთრებით ჰუმანიტარული და საზოგადოებრივი მეცნიერებების სფეროში, ხოლო ამ პროცესების მართვის დეცენტრალიზაცია მოითხოვს სკოლის მასწავლებლებისა და უმაღლესი სასწავლებლების რექტორებისაგან სრულიად ახალ უნარისა და ცოდნის გონივრულად გამოყენებას.

რეფორმა ასევე გულისხმობს მასწავლებელთა მიმართ მიდგომისა და მათთან ურთიერთობების განახლებას (ცვლილებას), რაც ხელს შეუწყობს მათი სწორი ორიენტაციის ჩამოყალიბებას სასწავლო გეგმებისა და პედაგოგიური ტექნოლოგიის მოდერნიზაციასთან დაკავშირებით. ეს თავდაპირველად შეიძლება განხორციელდეს პედაგოგების გადამზადების სისტემის ორგანიზაციის გზით. მასწავლებელთა გადამზადებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რადგან ამან უნდა უზრუნველყოს ადრე ჩამოყალიბებული შეხედულებების შეცვლა და ახალი მეთოდების დანერგვა.

რეფორმირების პროცესში არ შეიძლება პედაგოგთა კადრების მომზადების სისტემის იგნორირება. მრავალწლიანმა სარეფორმო გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ სტრუქტურული და შინაარსობრივი ცვლილებები არავითარ შედეგს არ მოიტანს, თუ არ შეიცვალა პედაგოგების მომზადებისა და გადამზადების სისტემა. ყოველი სასწავლო პროცესის განხორციელება იწყება

მასწავლებლებით. მათი აქტივიზაციის გარეშე სასიკეთო შედეგის იმედი არ უნდა გვეკონდეს.

მთლიანობაში განათლების სისტემის რეფორმა მასშტაბური ღონისძიებაა, რომელმაც დაწვებით ეტაპზე საქართველოში მწვავე სოციალური პრობლემები წარმოშვა. განათლების სტრუქტურულ ცვლილებებს თან მოჰყვა სისტემაში მომუშავე სუბიექტების როლის შეცვლა. ამან, ერთის მხრივ, შექმნა პირობები განათლების თანამედროვე სტანდარტების დამკვიდრებისათვის, ხოლო, მეორეს მხრივ, გამოიწვია სოციალური ფონის გაუარესება, მასწავლებელთა უმუშევრობა. ყოველივე ეს ხელს უშლის რეფორმის წარმართვას. სოციალურ პრობლემებს კი შეუძლია რეფორმის პროვოცირება.

პროგრამების ოპტიმალური რაოდენობა

საგანმანათლებლო სისტემაში საშუალო განათლების ერთ-ერთ ძირითად პრობლემას შეადგენს პროგრამების ოპტიმალური რაოდენობის განსაზღვრა. ამჟამად შეინიშნება სპეციალური პროგრამების მიერ ზოგადი საერთო საგანმანათლებლო პროგრამების შეზღუდვა. განსაკუთრებით მაღალ კლასებში ხდება ორიენტაცია სპეციალურ საგნებზე და ჩრდილში რჩება ზოგადი განათლების პროგრამით გათვალისწინებული აუცილებელი საგნების სწავლება. მას ფორმალური ხასიათი აქვს. დღევანდელი ზოგადი საშუალო განათლების მოდელი ემსახურება იმას, რომ მოსწავლეები მხოლოდ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლებისათვის მოამზადოს. იგი არ გულისხმობს მოსწავლეთა აღჭურვას იმ ცოდნითა და ჩვევებით, რომელიც სამუშაოს ძებნის დროსაა გამოსადეგი. ამიტომ საჭირო ხდება საშუალო განათლების მოდელისა და მიზნების ხელახალი განსაზღვრა და შეცვლა სამუშაო ძალასთან დაკავშირებული ახალი მოთხოვნების შესაბამისად.

ამასთან, საშუალო სკოლების ცუდ ფინანსურ მდგომარეობას კრიზისამდე მიჰყავს სკოლების საქმიანობა. რეფორმის სტრატეგია გულისხმობს საშუალო საგანმანათლებლო პროგრამის შექმნას 16 წლამდე ასაკის მოსწავლეთათვის, რომლებიც კონცენტრირებული არიან ტექნიკური, ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო დარგების სპეციალიზებული საგნებისა და უცხო ენების შესწავლაზე. ამასთანავე, ამ ასაკის ჯგუფებისათვის უნდა იყოს შემუშავებული პროგრამები, რაც საშუალებას მისცემს მათ, აიღონ პროფესიული ორიენტაცია

და მიიღონ გადაწყვეტილება სწავლის გაგრძელების შესახებ აკადემიურ ან ტექნიკურ დონეზე.

კერძო სასწავლო დაწესებულებები

გარდამავალ პერიოდში საქართველოს განათლების სისტემის რეფორმის ერთ-ერთი მიმართულება გახდა კერძო სკოლების ფორმირება. უკანასკნელ წლებში საკმაოდ სწრაფად გაიზარდა კერძო სასწავლო დაწესებულებათა რაოდენობა და ჩამოყალიბდა მათი სახელმწიფო რეგულირებისა და სტანდარტიზაციის ინსტიტუტები. განათლების სისტემის კერძო დაფინანსება გახდა ხელშემწყობი ფაქტორი მაღალი საგანმანათლებლო პოტენციალის შესანარჩუნებლად.

სახელმწიფო სკოლებთან შედარებით კერძო სასწავლო დაწესებულებებს აქვთ რიგი უპირატესობანი, აგრეთვე რიგი უარყოფითი მხარეები: ცოდნა, რომელიც შეიძლება მიღებულ იქნეს კერძო სასწავლებლებში, ზოგიერთ შემთხვევაში აღემატება სახელმწიფო სისტემაში არსებული სკოლებიდან მიღებულ ცოდნას. მართალია, სახელმწიფო და კერძო სკოლების პროგრამები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაგრამ რამდენადაც კერძო სკოლების განვითარება მხოლოდ საწყის ეტაპზეა, მას, ბუნებრივია, გააჩნია სუსტი მატერიალური და ფინანსური ბაზა, აგრეთვე გამოცდილება, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ უკვე არსებულ შედეგებს და სხვა ქვეყნების გამოცდილებას, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ კერძო სკოლების ფორმირება პროგრესული მოვლენაა საქართველოში. იგი სიცოცხლისუნარიანია.

ამჟამად საქართველოში დაახლოებით 120 კერძო სკოლაა. ზოგიერთ მათგანს ჰქვია გიმნაზია, ლიცეუმი ან კოლეჯი. მათი უმრავლესობა თბილისშია განთავსებული.

კერძო სკოლები ლიცენზირებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ აქვთ გარკვეული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, იცავენ სანიტარულ ნორმებს და ა.შ., მაგრამ ლიცენზირების დღევანდელი სისტემა არ იძლევა სწავლის მაღალი დონის გარანტიას.

სხვა საქმეა, როცა სკოლას აქვს სახელმწიფო აკრედიტაცია, ე.ი. ასეთი სკოლა უზრუნველყოფს სახელმწიფო სტანდარტებს, უშვებს მაღალ დონეზე მომზადებულ ახალგაზრდებს, რითაც ამტკიცებს თავისი განვითარების მაღალ

ეფექტიანობას, მაგრამ ეს პოლიტიკა საქართველოში ჯერჯერობით არ ხორციელდება.

მიუხედავად იმისა, რომ რეფორმის მსვლელობაში კერძო სასწავლო დაწესებულებების ფორმირებაზე დიდი იმედები იყო დამყარებული, საქართველოში ისინი მინიმალურად აკმაყოფილებენ სახელმწიფო მოთხოვნებს და საზოგადოებაც, ოფიციალური რეიტინგისა და სოციალური სტატუსის უქონლობის პირობებში, “კარგ კერძო სკოლას” ხშირად მცდარად აფასებს აფასებს.

§2. საშუალო სპეციალური, პროფესიული და შმაღლესი ბანათლება

ურთიერთკავშირის პრობლემები

უნივერსიტეტები და საშუალო სპეციალური სასწავლებლები ძირითად როლს ასრულებენ განათლების განვითარებაში. ეს სასწავლებლები უზრუნველყოფენ უმაღლესი კვალიფიკაციისა და პროფესიული ცოდნის მქონე სპეციალისტების ფორმირებას, რაც აუცილებელია საბაზრო ეკონომიკაზე გადასასვლელად. მეორეც, ისინი უზრუნველყოფენ ინოვაციებისა და მეცნიერული ცოდნის განვითარებას და გავრცელებას კვლევითი მუშაობისა თუ საგანმანათლებლო სისტემის ორგანიზების გზით. დაბოლოს, სასწავლებლები საჯარო განხილვებით ახდენენ სოციალური და კულტურული ღირებულებების ფორმირებას, რაც ფრიად მნიშვნელოვანია რადიკალურად ცვალებადი გარდამავალი პერიოდის ქვეყნებისათვის.

საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლების სისტემის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა ის, რომ უნივერსიტეტები არ არიან დაკავშირებულნი პროფესიულ დაწესებულებებთან და უმაღლესი განათლების შესახებ არჩევანი სკოლის პერიოდში კეთდება. იშვიათია, როცა პროფესიული სასწავლებლების სტუდენტები აგრძელებდნენ სწავლას უნივერსიტეტებში. დღემდე აკადემიურ და პროფესიულ სასწავლებლებად მკაცრად გამიჯვნას საფუძვლად ჰქონდა გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის განსხვავების იდეოლოგიური პოსტულატები, რომლის თანახმად, წარმოებაში ადამიანები იყოფიან გონებრივ

და ფიზიკურ მომუშავეებად. ფიზიკური შრომის ადამიანები უსიტყვოდ უნდა ასრულებდნენ ხელმძღვანელების დავალებებს. ეს "დებულება" ისტორიას ჩაბარდა, მაგრამ მისი უარყოფითი შედეგები ისევ არის საზოგადოებაში. პროფესიული განათლების პრესტიჟი საზოგადოებაში დაბალია. ამ მენტალიტეტის შესაცვლელად პრაქტიკული და თეორიული მომზადების სრულყოფის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია პროფესიული განათლების უმაღლესი განათლების სფეროსთან შეჯერება. დამჭირავებლები ყოველთვის ვერ განსაზღვრავენ იმას, თუ რა კვალიფიკაციაა საჭირო კონკრეტული სამუშაოს შესასრულებლად. ამ პრობლემის გადაწყვეტის გზაა მობილური სამუშაო ძალის ფორმირება. ამ მიზნით აუცილებელია სპეციალური განათლების მიმართ ახლებური მიდგომები და განათლების ამ ორ დონეს შორის მჭიდრო კავშირის დამყარება, აგრეთვე პრობლემის დასმასთან ერთად გადაწყვეტის მექანიზმის ძიება. ეს კი დღესდღეობით ვერ ხერხდება, ხოლო სპეციალური პროფესიული განათლების პრესტიჟი სულ უფრო ეცემა.

საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში და კოლეჯებში მოსწავლეთა განათლება მოითხოვს მათ ხელშეწყობას როგორც განათლების გასაგრძელებლად, ასევე პროფესიული მომზადებისათვის. აუცილებელია ყურადღება მიექცეს ამ სისტემას და შესაბამისი რესურსებით იქნეს უზრუნველყოფილი. პროფესიული განათლების ხელშეწყობა სახელმწიფოს მხრიდან აუცილებელია, მაგრამ სახელმწიფო დაფინანსება არ შეიძლება ერთადერთი წყარო იყოს ამ სახის განათლების გასავითარებლად. მისი დამფინანსებლები უნდა გახდნენ კერძო ორგანიზაციები და ინდივიდები, მაგრამ მცირე ზომის ფირმები ვერ გასწევენ იმ ხარჯს, რაც საჭიროა თავისი თანამშრომლების პროფესიული განათლებით უზრუნველყოფისათვის. ეს კი შეიძლება საბედისწერო ფაქტორი გახდეს კონკურენტულ ბრძოლაში. არც იმის ვარაუდი შეიძლება, რომ კერძო სექტორი მასობრივი პროფესიული მომზადების წყაროა. არის მთელი რიგი სოციალურად დაუცველი ფენები, რომლებიც საჭიროებენ ასეთ მომზადებას: უმუშევრები, მოზარდები, რომლებმაც მიატოვეს სკოლა, ინვალიდები და სხვა.¹⁴⁹

¹⁴⁹ უნგრეთში და რუმინეთში შეიქმნა ეროვნული და რეგიონული საბჭოები პროფესიული განათლების სისტემის გასავითარებლად, კოორდინაციისათვის და ფინანსური წყაროების მოსაძიებლად. უნგრეთში ასეთი საბჭო აერთიანებდა მთავრობის, პროფკავშირებისა და საფინანსო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რომლებიც დებდნენ ხელშეკრულებებს სახელმწიფო და კერძო სასწავლო დაწესებულებებთან

სოციალურ პარტნიორებს შორის (ხელისუფლება, პროფკავშირები, დამქირავებლები) თანამშრომლობისას სახელმწიფოს ეკუთვნის დიდი როლი განსაკუთრებით პროფესიული განათლების სტანდარტების დადგენასა და მათ აკრედიტაციაში, სახელმწიფოსა და კერძო ორგანიზაციების მიერ ინდივიდების შერეული დაფინანსების უზრუნველყოფაში.

შეხედულებები უმაღლესი განათლების განვითარების შესახებ

საქართველოში დიდი მნიშვნელობა აქვს უმაღლეს განათლებას. იგი არის ერთ-ერთი ორგანიზმთაგანი, რომელიც არა უბრალოდ ფუნქციონირებს, არამედ ვითარდება და საკმაოდ დიდ საქმიანობას ეწევა. უმაღლესი სკოლა არის ის ერთ-ერთი ბურჟი, რომელზეც დგას დღევანდელი სახელმწიფო.¹⁵⁰

უმაღლესი განათლების სისტემის განვითარების შესახებ არსებობს სხვადასხვა შეხედულებები: ერთნი კომუნისტური მოდელის მომხრენი არიან, მეორენი კი ელიტარულ საგანმანათლებლო სისტემას ანიჭებენ უპირატესობას, ხოლო მესამენი შერეულ სისტემას უჭერენ მხარს. ეს წინააღმდეგობები ამჟამად შეინიშნება რეფორმატორებისა და პროფესორ-მასწავლებელთა განწყობაში. ამას თუ იმასაც დაუმატებთ, რომ სამეცნიერო კადრების განვითარება საქართველოში ძველებურად მიმდინარეობს და რადიკალური ცვლილებებისა და რეფორმების სტრატეგიის უქონლობის გამო კრიზისს განიცდის, მაშინ ადვილი გასაგები იქნება, რომ უმაღლესი სასწავლებლების დღევანდელი განვითარება, ერთის მხრივ, ემყარება დასავლეთიდან შემოტანილ ინფორმაციას,

სკოლის კურსდამთავრებულთა პროფესიული მომზადებისათვის, სამუშაოდან გამოთავისუფლებული მუშაკების გადამზადებისათვის და სხვ. მიუხედავად სირთულეებისა, ამ საბჭოს მუშაობის პირველი ნაბიჯები საკმაოდ შედეგიანი აღმოჩნდა. ამ ღონისძიებების შემდეგ გამოშვებულთა დაახლოებით 60 პროცენტმა შეძლო სამუშაოს შოვნა იმ რეგიონში, სადაც უმუშევრობა 20 პროცენტს შეადგენდა. ამასთან, თითოეული მუშაკის გადამზადებაზე დანახარჯი 25 პროცენტით მეტი იყო, ვიდრე ამავე პერიოდში უმუშევრობაზე გაწეული დახმარება (Б. Лапорт, Дж. Швейцер, Образование и подготовка кадров. В кн: Рынок труда и социальная политика в центральной и восточной Европе. Под ред. Н. Барра. М., ИКЦ ДИС., 1997. с. 382).

¹⁵⁰ უმაღლესი განათლების რეფორმა საქართველოში: მიღწევები, პრობლემები, პერსპექტივები. სამეცნიერო-მეთოდური კონფერენციის მასალები. თბ., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2001. გვ. 5.

სახელმძღვანელოებსა და სხვა, ხოლო, მეორეს მხრივ, იმ მეცნიერულ მიღწევებს, რომლებიც გარდაქმნამდე იყო დაგროვილი მეცნიერებაში.

განათლების სისტემის პრობლემაა უნივერსიტეტებისა და სახელმწიფოს ურთიერთდამოკიდებულება. ყველა ქვეყანაში დაობენ იმაზე, თუ რა უფლებებით უნდა სარგებლობდნენ ავტონომიური უმაღლესი სასწავლებლები და სახელმწიფომ უნდა მართოს თუ არა ისინი სტანდარტებით.

არსებობს მოსაზრება, სახელმწიფომ უნდა მისცეს უმაღლეს სასწავლებლებს თვითმართვის უფლება, რადგან სასწავლო დაწესებულების განვითარება საგანმანათლებლო სტანდარტების დაცვით ეფექტიანია მაშინ, როცა მას აქვს ინსტიტუციური დამოუკიდებლობა. ეს კი საშუალებას მისცემს მას გადაწყვეტილების მიღების ეფექტიანი მექანიზმის გზით განსაზღვროს ცვლილებები სასწავლო პროცესში, მაგრამ როდესაც საქმე ეხება აკადემიური სტანდარტების დაცვას, სახელმწიფომ იურიდიულად უნდა აკონტროლოს დამოუკიდებელი სასწავლებლები.¹⁵¹

კერძო უმაღლესი სასწავლებლები

საქართველოს განათლების სისტემას არეგულირებს 1997 წელს მიღებული კანონი განათლების შესახებ, რომელიც ეხება განათლების უზრუნველყოფის პრინციპებს, სტანდარტებს, სისტემის სტრუქტურას, მართვასა და იმ მემკვიდრეობას, რაც წარსულში მკაცრად ცენტრალიზებულმა სისტემამ დატოვა. კანონმა განსაზღვრა უმაღლესი განათლების სფეროში კერძო სექტორის განვითარება, ამჟამად საქართველოში ფუნქციონირებს 26 სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელი, 14 მათთან არსებული ფილიალი და 216 კერძო სასწავლებელი. ამ უკანასკნელის დაარსება კანონით საკმაოდ გაადვილებულია. მართალია, საგანმანათლებლო საქმიანობისათვის მათ სჭირდებათ ლიცენზია განათლების სამინისტროდან, სასწავლო პროგრამა, კვალიფიციური პედაგოგები და შესაფერისი ფართი, მაგრამ ეს მოთხოვნები არ გამოხატავს სახელმწიფო კონტროლის რეალურ დონეს ამ ინსტიტუტების საქმიანობის სერიოზული წარმართვის მიზნით. რეალური პროგრამა იმის თაობაზე, თუ რას მისცემს კერძო უმაღლესი სასწავლებელი სტუდენტებს, არ მოწმდება.

¹⁵¹ J. Barnes, N. Barr, Strategies for Higher Education: The Alternative White Paper. Aberdeen, Scotland. Aberdeen University Press. 1988.

საქართველოში ფართოდ გავრცელებულ არასახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში გამოიკვეთა რამდენიმე თავისებურება: კერძო სასწავლებლებს შორის არსებობს რადიკალური განსხვავება, უთანაბრობა სწავლების ხარისხში და ორგანიზაციული ხასიათის დანახარჯებში. ინვესტირებამ კერძო უმაღლეს განათლებაში ორგანიზაციის სახე მიიღო: ერთის მხრივ, შექმნილი დიპლომის საფუძველზე, ინდივიდები ძველებურად ვარაუდობენ, რომ უზრუნველყოფილი იქნებიან სამუშაო ადგილით, მეორეს მხრივ, კი დაბალსაფასურიანი უმაღლესი სასწავლებლების არჩევა ხდება საკუთარი ვიწრო ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე. ასეთი მოტივაციების შედეგად უმაღლეს სასწავლებელთა დიდი რაოდენობა ვერ აკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს და "დიპლომანიობის" ძველი მენტალიტეტიც თანდათანობით ქრება.

სამწუხაროდ, თანამედროვე ცხოვრების დაბალმა დონემ სიცოცხლისუნარიანი გახადა მრავალი ისეთი უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც გროშების საფასურად ზერელე განათლებას აძლევს ახალგაზრდას. ის კი, თავის მხრივ, დარწმუნებულია, რომ ამ სასწავლებლის დიპლომი მისცემს ერთგვარ გარანტიას სამუშაო ადგილის მისაღებად, მაგრამ დროთა განმავლობაში ასეთი უმაღლესი სასწავლებლების რაოდენობა მცირდება, რადგან შრომის ბაზარს არ სჭირდება ამგვარი სპეციალისტები. მოსახლეობის მიერ აღნიშნული გარემოების გაცნობიერების შედეგად ამ ტიპის სასწავლებლების ფინანსური ნიადაგი სულ უფრო ირყევა.

მართალია, კერძო სასწავლებლების დაარსება რეფორმის განხორციელებისა და სწავლის სტანდარტების გაზრდის კარგი პირობა უნდა ყოფილიყო, მაგრამ ფაქტობრივად ასეთი სტანდარტები ამ სასწავლო ორგანიზაციების მიმართ სახელმწიფოს მიერ მკაცრად არ იქნა განსაზღვრული. ამის შედეგად კერძო სასწავლებლების უმრავლესობაში სწავლება აბსოლუტურად არ შეესაბამებოდა სპეციალისტების ფორმირებისათვის მინიმალურ საბაზრო მოთხოვნებსაც კი.

არასახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლები გასცემენ სახელმწიფო ტიპის დიპლომებს და ფუნქციონირებენ სახელმწიფოს მიერ გაცემული ლიცენზიების საფუძველზე, რაც საერთოდ ვერ იძლევა გარანტიას ამ სასწავლებლების ხარისხის შესახებ და ვერ უზრუნველყოფს სახელმწიფო სტანდარტს. სახელმწიფოს მხრიდან არ ხდება უმაღლესი სასწავლებლების მკაცრი ექსპერტიზა. ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებელს, როგორც დამკვირვებლები ამტკიცებენ, არა აქვს სათანადო მატერიალური ბაზა, არა ჰყავს

მაღალკვალიფიციური კადრი და არა აქვს გამოცდილება, არ მუშავდება სწავლების მეთოდოლოგია, ხოლო სასწავლო დისციპლინების დადგენა ხდება შემდეგი პრინციპით: არის პედაგოგი, გეგმაში არის საგანი. ამ გარემოებას არ შეეღობა სახელმწიფო უნივერსიტეტებიდან მოწვეული პროფესორ-მასწავლებლები და წაკითხული კურსი ყოველთვის არ შეესაბამება არასახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების სპეციფიკას. საერთოდ პროფესურა შეადგენს სასწავლებლების მთლიანი საშტატო განრიგის 20 პროცენტს, ან უფრო ნაკლებს.

მიუხედავად ამისა, მრავალი კერძო სასწავლებლის სიძლიერეა უცხო ენის კვალიფიციური მასწავლებლების შემადგენლობა. ამ საგნის სწავლებას ეთმობა არსებითი ყურადღება.

უმაღლეს სასწავლებლებში აბიტურიენტთა შერჩევის ერთ-ერთი კრიტერიუმია გადახდისუნარიანობა. შესარჩევი გამოცდები თითქმის არ ტარდება, ან მას აქვს მხოლოდ ფორმალური ხასიათი. დიდი პოპულარობით სარგებლობს იურიდიული ფაკულტეტები, რომლებიც ფაქტობრივად ქმნიან ნებისმიერი უნივერსიტეტის ფინანსურ ბაზას და მის საფუძველზეა შენარჩუნებული სხვა სპეციალობებზე სწავლებაც, მაგრამ თუ უნივერსიტეტს ასეთი ფაკულტეტი არ გააჩნია, იგი ფინანსურად განწირულია.

არასახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში არა მარტო ადვილია ჩარიცხვა, არამედ ადვილია სწავლაც. ზოგიერთ ასეთ სასწავლებელში ლექცია-სემინარები მიმდინარეობს თვეში მხოლოდ 24 საათი, რაც დაახლოებით ის დროა, რასაც კვირაში საშუალო სკოლის პირველი კლასის მოსწავლე ატარებს სკოლაში. გარდა ამისა, შესაძლებელია ლექცია-სემინარების გაცდენაც, რის გამოც არ ხდება სტუდენტის გარიცხვა, რადგან გარიცხვა კომერციული სასწავლებლისათვის ნიშნავს შემოსავლების შემცირებას. გარიცხვა ხდება უკიდურეს შემთხვევაში ან კიდევ ძირითადად თანხების გადაუხდელობის გამო, მაგრამ მათი აღდგენა ისევ ფინანსურ გარიგებებს ემყარება. ფინანსური პრობლემების გადაწყვეტას არასახელმწიფო უნივერსიტეტების დიდი ნაწილი ცდილობს სასწავლო პროგრამების შეკვეცის გზით.

სტიპენდიები

თანასწორობის ფუნქციის შესრულების მიზნით უმაღლეს განათლებაში კერძო დაფინანსების ზდასთან ერთად მიზანშეწონილია შენარჩუნდეს საბჭოთა

სისტემის ერთ-ერთი უპირატესობა: სტუდენტებისათვის დახმარებებისა და სტიპენდიების გაცემა და შემოდებულ იქნეს საბაზრო ეკონომიკის ისეთი ფინანსური ბერკეტები, როგორცაა საკრედიტო სისტემები. ყოველივე ეს ნაწილობრივ ხელს შეუწყობს თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპის დანერგვას უმაღლესი განათლების სისტემაში. დასავლეთის ქვეყნებში სტუდენტებზე კრედიტების გაცემისას ითვალისწინებენ მისი მომავალი შესაძლებელი ხელფასის სიდიდეს, საიდანაც უნდა მოხდეს სესხის დაფარვა. ეს კი მოითხოვს უმაღლესი სასწავლებლების კერძო და სახელმწიფო ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირის დამყარებას. ამ პროცესებში მიზანშეწონილია სადაზღვევო სისტემების ჩართვაც. ამ პრინციპის საფუძველზე სტუდენტები თვითონ იხდიან თავიანთი სწავლის ქირას და ათავისუფლებენ მშობლებს ამ ტვირთისაგან. ამასთან, იგი ამცირებს სახელმწიფო ხარჯებს განათლებაზე, აფართოებს საგანმანათლებლო სისტემას და ზრდის სწავლის ხარისხს. დაბოლოს, იგი კერძო საბანკო სიტემისათვის ქმნის ხანგრძლივი პერიოდით კრედიტების გაცემის ინტერესს სახელმწიფო და კერძო გარანტიების გარეშე.

სახელმძღვანელოები და სპეციალობები

განათლების სისტემაში უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები უშუალოდ ახდენენ რეაგირებას მომხმარებლის ქცევაზე. მათ მომსახურებას უნდა ჰქონდეს მოქნილი ფორმა, გააჩნდეს ფართო სასწავლო ორიენტაცია ადამიანის სხვადასხვა კულტურული, სოციალური და საგანმანათლებლო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ანალოგიურად უნდა იყოს მოწყობილი პროფესიული განათლების სისტემაც, რომელიც კონკრეტულ-მიზნობრივი ჯგუფების ინტერესებს აკმაყოფილებს.

განათლებაზე არჩევითობის გაფართოება კი მოითხოვს სასწავლო პროგრამების ორგანიზაციის გარდაქმნას და ახალი სასწავლო სახელმძღვანელოების შექმნას. მართალია, სახელმძღვანელოს სტანდარტები სახელმწიფო დონეზე წყდება, მაგრამ მისი ცალკეული ელემენტები უნდა ითვალისწინებდეს ეთნიკური ჯგუფებისა და სხვა ლოკალურ ინტერესებსაც, მით უმეტეს, თუ ეს ისეთი მრავალეროვანი სახელმწიფოა, როგორც საქართველოა. სხვანაირად რომ ვთქვათ, ისტორიის ან ლიტერატურის ერთი და

იმავე სახელმძღვანელოებით სწავლება ვერ დააკმაყოფილებს აფხაზეთის, აჭარისა და საქართველოს სხვა კუთხის სტუდენტებს.

განათლების სისტემის სრულყოფის ერთ-ერთი გზაა ახალი სასწავლო დისციპლინების შემოტანა და კერძო სექტორთან კავშირის გაძლიერება. იქმნება ახალი სპეციალობებიც, რომლის თავდაპირველი ხარჯები მართალია მაღალია, მაგრამ მოთხოვნა ასეთ სპეციალობებზე იზრდება და მისი სწავლების სრულყოფა საჭიროებს საერთაშორისო კონტაქტების გაფართოებას, სასწავლო პროგრამებთან და მისი სწავლის მეთოდოლოგიასთან დაკავშირებული სამუშაოების ინტეგრაციასა და გამოცდილების გაზიარებას. განათლების სრულყოფის ძირითადი გზა მისი ინტერნაციონალიზაციაა. იგი ხელს უწყობს სტუდენტების სასწავლო გამოცდილებისა და კონტაქტების გაფართოებას.

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა

სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო სამუშაოების წარმართვაში მნიშვნელოვანია ნაყოფიერი ურთიერთობების ფორმირება უმაღლეს სასწავლებლებს, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და ეკონომიკის შესაბამის დარგებს შორის. გარდაქმნამდე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები შესაბამისი დარგების მაკონტროლებელი სამინისტროების დაქვემდებარებაში იყვნენ, უნივერსიტეტები კი ძირითადად პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდნენ. მრავალი ასეთი კვლევითი ინსტიტუტი ამჟამად გაკოტრებულია. ეს პრობლემა უნდა გადაწყდეს, უპირველეს ყოვლისა, რეფორმების განხორციელებით, როგორც მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში, ასევე უნივერსიტეტებში სამეცნიერო კვლევებისადმი დამოკიდებულების შეცვლით. მეცნიერებათა აკადემიის, სამინისტროებისა და უწყებების დაქვემდებარებაში არსებული ინსტიტუტების ძველი სახით შენარჩუნება საბაზრო ეკონომიკის დღევანდელ პირობებში უკვე არაეფექტიანია.

გარდაქმნამ და ახალი საზოგადოების ფორმირებამ შეცვალა ძველი იდეოლოგიური პოსტულატები. მრავალი სამეცნიერო მიმართულება აღმოჩნდა გაცვეთილი. ძველი სამეურნეო სტრუქტურების რღვევამ კი მოითხოვა სრულიად ახალი ხასიათის კავშირურთიერთობების დამყარება ეკონომიკურ, ტექნიკურ, ტექნოლოგიურ სფეროებში და შესაბამისად - მისი სამეცნიერო უზრუნველყოფა. საგანმანათლებლო დაწესებულებების ფორმირება უნდა დაემყაროს სამეცნიერო

ბაზის განვითარებას. ამ უკანასკნელის აღორძინების გარეშე სწავლის ხარისხის გაუმჯობესება შეუძლებელი იქნება.

სამეცნიერო კვლევითი მუშაობა ამჟამად ჰორიზონტალურად ვითარდება, რადგანაც გაიზარდა ინფორმაციის გავრცელების შესაძლებლობები. მისი დამკვიდრება ეროვნულ აზროვნებაში გარკვეულ პერიოდს მოითხოვს. შემდგომში მოსალოდნელია, რომ მეცნიერება კვლავ დაიწყებს სიღრმისეულად განვითარებას. ამასთანავე, ინფორმაციულმა ნაკადებმა შესაძლებლობა მისცა მკვლევარებს, უფრო ნაყოფიერად და მრავალმხრივ გამოიკვლიონ ობიექტები. აქ გადამწყვეტია საერთაშორისო კონტაქტების განვითარება უნივერსიტეტებსა და კვლევით ინსტიტუტებს შორის. თანამედროვე პერიოდში სერიოზული მეცნიერული მიღწევები შეუძლებელია დამოუკიდებელი და იზოლირებული კვლევებით განხორციელდეს. საჭიროა ურთიერთთანამშრომლობა. მხოლოდ საერთაშორისო გუნდური პრინციპით შეიძლება წარმატებების მიღწევა. განათლებისა და მეცნიერების ინტეგრაციის გადრმავება მოითხოვს შესაბამის რესურსებით უზრუნველყოფას და კადრების მოზიდვას, რაც გადამწყვეტი ფაქტორი გახდება განათლების რეფორმის სფეროში.

§3. უწყვეტი განათლება - რეფორმის ძირითადი მიმართულება

უწყვეტი განათლების აუცილებლობა

განათლების პროგრესი დაკავშირებულია როგორც სამეცნიერო-ტექნიკურ ცვლილებებთან, ასევე ქვეყნის განვითარების სოციალურ, იდეოლოგიურ და პოლიტიკურ განვითარებასთან. თანამედროვე პერიოდში განათლებაზე ძირითადად მოთხოვნას ქმნის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი. განსაკუთრებით იზრდება მოთხოვნა პროგრესული და ინოვაციური დარგების სპეციალისტებზე. ინტელექტუალური პროფესიები ხდება მასობრივი და იგი კარგავს იმ იდეოლოგიურ დატვირთვას, რაც მას ადრე ჰქონდა. შესაბამისად იცვლება კვალიფიციური სამუშაო ძალის ცნებაც. იმის გამო, რომ ინდივიდის მიერ მიღებული განათლება დროთა განმავლობაში ცვდება, მრავალ ქვეყანაში დროის შესაბამისი განათლების აღსანიშნავად გამოიყენება ისეთი ტერმინი,

როგორცაა ტექნოლოგიებზე ორიენტირებული მუშაკი, რომელიც ყურადღებას ამახვილებს არა მიღებული განათლების დონეზე, არამედ იმაზე, თუ რამდენად შეესაბამება მისი ცოდნა არსებულ ტექნოლოგიებს, ხოლო "თეთრსაყელოიანებისა" და "ლურჯსაყელოიანების" გვერდით გაჩნდა კიდევ ერთი ახალი ტერმინი - "ოქროსსაყელოიანები", რომლის ქვეშაც იგულისხმება მოწინავე სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნის მატარებელი მუშაკი. ყველა ამ ცნების მიღმა იგულისხმება ის, თუ რამდენად პასუხობს მუშაკის კვალიფიკაცია ტექნიკურ-ტექნოლოგიურ ცვლილებებს და რამდენად არის იგი თავისი ცხოვრების აქტიურ პერიოდში ორიენტირებული ეკონომიკის ცვალებად მოთხოვნებზე.

თუ მე-19 საუკუნეში ძირითადი პრობლემა იყო წერა-კითხვის უცოდინარობა და საგანმანათლებლო პოლიტიკა მის აღმოფხვრას ითვალისწინებდა, მე-20 საუკუნეში მასობრივად გავრცელდა საშუალო განათლება, XXI საუკუნე კი დაიწყო მასობრივი საშუალო განათლების შემდგომი უწყვეტი განათლების მოთხოვნით. უწყვეტი გადამზადების სისტემის ფართოდ განვითარება თანამედროვეობის აუცილებელი თვისება ხდება. მისი უგულვებელყოფის შემთხვევაში იქმნება ადრე მომზადებული სპეციალისტების სწრაფი მორალური გაუფასურების საშიშროება, რაც შექმნის ქვეყანაში საგანმანათლებლო კრიზისის პირობებს. ხელისუფლების ამოცანა განათლების სისტემის ეფექტიანობის ზრდაა. იგი მოითხოვს რეფორმების წარმართვას განათლებაში.

რეფორმას მრავალი მხარე აქვს. ერთ-ერთი მათგანია განათლების ახალი სისტემის ადაპტაცია უწყვეტი განათლების მისაღებად, რათა თავიდან იქნეს აცილებული ინდივიდების ცოდნის პერიოდული გაუფასურება სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესთან ერთად. დღემდე ეს პროცესი მიმდინარეობდა სტიქიურად, უპირატესად ინდივიდუალური თვითგანათლების ან პროფესიული სრულყოფის გზით. ამჟამად საკითხი ეხება ორგანიზებული სწავლების, პრინციპულად ახალი განათლების სისტემის ფორმირებას, რადგან ცხადია, რომ ადამიანის საგანმანათლებლო მარაგი არ ამოიწურება მხოლოდ საბაზო განათლების ან უმაღლესი განათლების მიღებით.

უწყვეტი განათლების კონცეფციის საერთაშორისო აღიარება

უწყვეტი განათლების კონცეფციამ საერთაშორისო აღიარება მოიპოვა, უპირველეს ყოვლისა, იუნესკოს აქტიური მოღვაწეობით. მას შეუერთდნენ განათლების საერთაშორისო ბიურო, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, არასამთავრობო ორგანიზაციების ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (ნაწილობრივ "რომის კლუბი"), აგრეთვე სხვადასხვა ქვეყნის სამეცნიერო-პედაგოგიური ორგანიზაციები.

საერთაშორისო აღიარებით განათლების უწყვეტობის იდეა ერთ-ერთია იმ ფუძემდებელ საგანმანათლებლო იდეებს შორის, რომლებიც ახლებურად გააზრებას საჭიროებენ. იგი მოითხოვს მოქნილი განათლების სისტემას და სწავლების სხვადასხვა მიმართულების განვითარებას, რაც დააკმაყოფილებს სოციალური ფენების სხვადასხვა ხასიათის მოთხოვნებს მათი ინდივიდუალური თვითგამოხატვისათვის. ამ მიზნით განათლების სისტემა უნდა სრულყოფილ იქნეს და განვითარდეს პროფესიული სწავლება ეკონომიკის ინტერესებთან შესაბამისობაში, განხორციელდეს მრავალდონიანი პროფესიული მომზადება როგორც სტაციონარულად სტუდენტებისათვის, ასევე - დასაქმებული მუშაკებისათვის. მან უნდა უზრუნველყოს არაპროფესიული მოთხოვნების დაკმაყოფილებაც, რაც გულისხმობს განათლების ტექნოკრატიულ, სოციალურ და ჰუმანიტარულ ორიენტაციას სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

სპეციალისტთა მომზადება

უწყვეტი განათლების სისტემის მოქმედება დიდადაა დამოკიდებული ერთ-ერთ მის სტრუქტურულ რგოლზე: სპეციალისტთა საუნივერსიტეტო მომზადებასა და დიპლომისშემდგომ პროფესიულ დაოსტატებაზე. ეს საკითხები ერთიან კომპლექსად მოქმედებათა სტრატეგიაში უნდა აისახოს. სათანადო კვალიფიკაციის გარეშე რეფორმის განხორციელება შეუძლებელია. ეს საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დგას გარდამავალ პერიოდში.

ამჟამად გარდამავალი პერიოდის თითქმის ყველა ქვეყანაში, მართალია, მეტ-ნაკლებად მიმდინარეობს განათლების რეფორმირება საბაზრო პრინციპებთან

ადაპტირების მიზნით, მაგრამ ნათელია, რომ უმაღლესი სასწავლებლები ვერ იჩენენ სათანადო ყურადღებას დიპლომის შემდგომი განათლების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მიმართ. სწავლების ამ ფორმაზე პრეტენზიას უმეტესწილად არასამთავრობო ორგანიზაციები აცხადებენ და მრავალი საერთაშორისო ორგანიზაცია და დონორი ქვეყნები მხარს უჭერენ ამ იდეას.

უნივერსიტეტების როლი

საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ გატარდა გარკვეული რეფორმები განათლების სისტემაში. შეიცვალა უმაღლესი სასწავლებლების სტატუსი, ისინი განთავისუფლდნენ სახელმწიფოს იდეოლოგიურ-პოლიტიკური ზეწოლისაგან და მიიღეს ავტონომიურობის უფლება. ყოველივე ეს კი მათ შესაძლებლობას აძლევს, განათლების სისტემა გარდაქმნან ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად. მათ მემკვიდრეობით დარჩათ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სამეცნიერო-პედაგოგიური პოტენციალი, რომელიც საკმაოდ დიდ უპირატესობას ანიჭებს ახლად ჩამოყალიბებულ იმ კერძო უმაღლეს სასწავლებლებსა და ნებისმიერ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც პერიოდულად და საკმაოდ მაღალი დანახარჯებით ახერხებენ მოკლევადიან სწავლების ორგანიზაციას, რის გამოც მათი ეფექტიანობა დაბალია.

ამასთან, თუ ადრე ფუნქციონირებდა მკაცრი რეგლამენტირების პირობებში არ იყო შესაძლებლობა სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებს გამოეჩინათ განსაკუთრებული ინიციატივა, ახლა, უნივერსიტეტების ავტონომიური უფლებების გაფართოების პირობებში, არსებობს საშუალება, გაფართოვდეს საუნივერსიტეტო სწავლების არეალი. ამიტომ უნივერსიტეტებმა უნდა მოახდინონ დიპლომის შემდგომი განათლების იდეის რეალიზაცია. მათ უნდა შეასრულონ სამეცნიერო ცენტრების როლი და შექმნან თეორიული ბაზა შემდგომი რეფორმებისა და საგანმანათლებლო ინიციატივებისათვის. ასეთი დებულება წამოაყენა ჟაკ დელორმა, "XXI საუკუნის განათლების საერთაშორისო კომისიის" ხელმძღვანელმა იუნესკოს ეგიდით მომზადებულ ერთ-ერთ შეკრებაზე XXI საუკუნის განათლების პერსპექტივებთან დაკავშირებით. საუნივერსიტეტო განათლება დასახელდა განათლების ერთ-ერთ ძირითად ინსტიტუტად, რომელსაც ხელეწიფება, უზრუნველყოს განათლების ახალი ფორმები თანამედროვე დონეზე. ამ მიზნით უნივერსიტეტები უნდა იქცნენ სპეციალისტთა

მომზადების უმთავრეს კერებად, სადაც ახალგაზრდობას შესაძლებლობა მიეცემა, თანამედროვე სასწავლო ტექნოლოგიის დონეზე დაეუფლოს პროფესიულ ცოდნას, განივითარონ ის სასიცოცხლო უნარ-ჩვევები, რაც მათ მისცემს ადაპტაციის შესაძლებლობებს სწრაფად ცვალებად ეკონომიკურ და სოციალურ რეალობათა შესაბამისად.

უნივერსიტეტების საქმიანობის საპროგრამო დოკუმენტს წარმოადგენს 1997 წლის ლისაბონის კონვენცია "ევროპის რეგიონში უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის აღიარების შესახებ", სადაც მოცემულია უმაღლესი განათლების შეფასების, კვალიფიკაციის, მოთხოვნილებებისა და აღიარების ძირითადი პრინციპები.¹⁵²

უნივერსიტეტებმა უნდა იტვირთონ უწყვეტი განათლების მოთხოვნილებათა პირობების შექმნა. მათ უნდა გაუღონ კარი მოზრდილთ, რომლებსაც უნდათ არა მარტო პროფესიული დონის სრულყოფა-ტრანსფორმაცია, არამედ აქვთ სურვილი, დაიკმაყოფილონ მოთხოვნილებები, შეიმეცნონ კულტურული ცხორების ყველა სფეროში არსებული სიახლე. უნივერსიტეტებმა უნდა შეასრულონ ძირითადი პარტნიორების როლი საერთაშორისო თანამშრომლობის სფეროში, რაც გამოიხატება სტუდენტებისა და პედაგოგების გაცვლით და საერთაშორისო კვლევებზე ორიენტირებული ინსტიტუტებისა და კათედრების დაფუძნებით.¹⁵³

უცხოური საგანმანათლებლო ტექნოლოგიები საქართველოში

აქვე შევეხებით ერთ აქტუალურ პრობლემას: ბოლო წლებში საქართველოში განსაკუთრებით პოპულარული გახდა უცხოური საგანმანათლებლო ტექნოლოგიები. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს მნიშვნელოვანია, ბევრი რამ ადრე მართლაც იგნორირებული იყო. ამჟამად საჭიროა მოვლენების ობიექტური შეფასება, მაგრამ აუცილებელია მხედველობაში გვქონდეს უმთავრესი: ყოველგვარი პროგრესული საგანმანათლებლო ტექნოლოგიის საფუძველია

¹⁵² Конвенция о признании квалификаций, относящихся к высшему образованию в Европейском регионе. Юнеско, Лиссабон, 1997.

¹⁵³ ამის ერთ-ერთი მაგალითია თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიურ უნივერსიტეტში 2000 წლის 5-7 მაისს იუნესკოს ეგიდით ჩატარებული კონფერენცია. შეიქმნა ამიერკავკასიის პედაგოგიური უნივერსიტეტების ქსელი - "პრომეთე", სადაც გაერთიანდა ბაქოს, ერევნისა და თბილისის შესაბამისი უნივერსიტეტები 2001 წლამდე თბილისის პედაგოგიური უნივერსიტეტის კოორდინატორის ფუნქციით.

ჰუმანიზმი. ჰუმანურობის გარეშე პიროვნება არ იქნება პოტენციური, პოლიტიკა - პოზიტიური და ხელიუფლება - პროდუქტიული, ადამიანი უნდა იყოს არა მარტო გონიერი, არამედ ჰუმანურიც. XXI საუკუნე უნდა იყოს ადამიანისა და ადამიანობის საუკუნე.¹⁵⁴ ჰუმანიზმია საერთო ძარღვი ქართული კლასიკური პედაგოგიური ცნობიერებისა. მართალია, სწავლების, მომზადებისა და გადამზადების პროცესში ყურადღება უნდა გამახვილდეს სწავლების თანამედროვე მეთოდებზე, უცხოეთის გამოცდილებაზე, მაგრამ აუცილებელია ქართული საგანმანათლებლო ტრადიციების შენარჩუნებაც, უცხოური გამოცდილების მასზე დაფუძნება. წინააღმდეგ შემთხვევაში მოვწყდებით ეროვნულ ფესვებს - ძირითად მასაზრდოებელ ძარღვს ეროვნული ცნობიერებისა.

ყოველი დასრულებული და პედაგოგიურად ღირებული საგანმანათლებლო ტექნოლოგია გარკვეულ ფილოსოფიურ თეორიას ემყარება და ამა თუ იმ ფსიქოლოგიური კონცეფციის პედაგოგიურ განვითარებას წარმოადგენს. უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებში პედაგოგის ცოდნისა და პრაქტიკული ჩვევების განვითარება ამგვარი მსოფლმხედველური თეორიების ზედნაშენია. ამდენად სათანადო თეორიული საფუძვლების გარეშე უცხოური პედაგოგიური ტექნოლოგიების შემოღებამ შეიძლება "პედაგოგიური ჟონგლიორობის" სახე მიიღოს. საჭიროა პრობლემების თეორიულ ჭრილში გააზრება და ახალი საგანმანათლებლო პრაქტიკის მასზე დაფუძნება. ამისათვის აუცილებელია, დამუშავდეს პროფესიული მომზადების ნორმატიული მახასიათებლები. იგი საშუალებას მოგვცემს ვიცოდეთ, თუ როგორი სპეციალისტი გვჭირდება. პროფესიული მახასიათებლების შემუშავება სცილდება ერთი უნივერსიტეტის კომპეტენციას. ეს ნორმატივები საერთო უნდა იყოს ყველასათვის. უადრესად მნიშვნელოვანია განათლების სისტემის ვერტიკალურ ჭრილში კავშირების გადრმავება და უწყვეტი განათლების დეკლარირებული პრინციპიდან რეალურ ურთიერთობებზე გადასვლა.

აღნიშნული პათოსით უნივერსიტეტებმა უნდა შეასრულონ თავისი პირველადი ინტელექტუალური და სოციალური მისია უნივერსალური ღირებულებისა და კულტურული მემკვიდრეობის გაგრძელების საქმეში.

¹⁵⁴ თ. ჭიაბრიშვილი, ადამიანი XXI საუკუნეში. I სამეცნიერო საზოგადოებრივი კონფერენცია: "დღევანდელი და სახელმწიფოებრივი ცნობიერების პრობლემები". ფრიდრიხ ებერტის ფონდი, 1998. გვ. 20-23.

დასკვნა

უწყვეტი განათლების სისტემის ინსტიტუციური ბაზის შემუშავებისათვის უმაღლესი სასწავლებლები უნდა გახდნენ უმთავრესი ინსტიტუტები. ორიენტირს უნდა წარმოადგენდნენ ის ტრადიციული სახელმწიფო უნივერსიტეტები, რომელთა მიმართ ნდობა და მენტალიტეტი მოსახლეობაში ძალიან მაღალია. ამ მიზნით რეფორმები უმაღლესი ინსტიტუტების საქმიანობაში ხელს შეუწყობს უწყვეტი განათლების იდეის განხორციელებას დიპლომისშემდგომი განათლების ორგანიზაციით.

თაზო XVI

ბანათლების დაზინანების პირითაღი პრინციპები და წყაროები

დაზინანება ეს არის წინააღმდეგობა თანასწორობას, ეფექტიანობას, თავისუფლებას, ადეკვატურობასა და კონტოლს შორის. საგანმანათლებლო პოლიტიკა რომელიმე მათგანის უპირატეს განხორციელებას ისახავს მიზნად, რადგან ისინი ერთმანეთის ალტერნატიულია და განსხვავებულ მიზნებს ემსახურება. თვითეული მათგანის განხორციელებიდან სარგებელს ღებულობს სხვადასხვა კატეგორიის მოსწავლეები და სტუდენტები. როდესაც მათი ერთი ნაწილი ღებულობს სარგებელს, მეორე ნაწილი კარგავს მას. მაგალითად, თანასწორობა სხვადასხვა შემოსავლების მქონე ოჯახებისათვის შეიძლება განხორციელდეს სწავლების ეფექტიანობის შემცირების ხარჯზე. ამით მოსწავლეები ღარიბი ოჯახებიდან მიიღებენ იმავე საგანმანათლებლო სარგებელს, რასაც ღებულობენ მოსწავლეები შეძლებული ოჯახებიდან, სამაგიეროდ ამ უკანასკნელთა მიერ მიღებული საგანმანათლებლო მომსახურება ნაკლები იქნება მათ მიერ ამ მიზნით გაწეულ ფინანსურ შესაძლებლობებთან შედარებით. რაც უფრო ნელა ვითარდება ეკონომიკა და სუსტია სახელმწიფო საფინანსო სისტემა, მით უფრო აშკარაა რესურსების გადანაწილებისათვის ინტერესებს შორის წინააღმდეგობები.

§1. თანასწორობა ბანათლების სწავროს დაზინანებაში

თანასწორობას საფუძვლად სამართლიანობის ფილოსოფიური კონცეფცია უდევს. მისი განხორციელება მრავალ ურთიერთდაპირისპირებულ ინტერპრეტაციას წარმოშობს და არის ცენტრალური ხელისუფლების მიერ რეგიონებისადმი ტრანსფერების გადაცემის ძირითადი მოტივი. თანასწორობის განსაზღვრა მოითხოვს შემდეგ კითხვებზე პასუხს: რა უნდა გამოთანაბრდეს: რესურსები თუ მოსწავლეების მიღწევები (გამოშვება)? ვის შორის ხდება გამოთანაბრება: რეგიონებს, სკოლებსა თუ სკოლის მოსწავლეებს შორის და რა

კრიტიკიუმებს ვიყენებთ გამოთანაბრების გასარკვევად? როგორ უნდა განხორციელდეს გამოთანაბრება? და სხვა.


ტიპიური საგანმანათლებლო პოლიტიკა ეფუძნება სკოლების საფინანსო სისტემის გამოთანაბრებას და, აქედან გამომდინარე, ყველასათვის განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას. საერთოდ კი გამოთანაბრებას საფუძვლად უდევს ღარიბთა დახმარება, რაც ძირითადად ხორციელდება ცენტრალური ტრანსფერტებით.¹⁵⁵

უმაღლეს განათლებაში თანასწორობა შეიძლება მიღწეული იქნეს ორი გზით: ერთი, სტუდენტებისათვის დახმარებითა და გრანტებით, განსაკუთრებით მათთვის, ვინც სოციალური იერარქიის დაბალ დონეზე იმყოფება და მეორე, სესხისა და საკრედიტო სისტემების გზით. საშიშროება ისაა, რომ ამ რესურსების განაწილების მრავალფეროვანი მოდელებისა და სხვადასხვა მოტივაციის, აგრეთვე საკრედიტო სისტემების განუვითარებლობის გამო აბსოლუტურად შესაძლებელია დარღვეული იქნეს თანასწორობის პრინციპი. საკითხი დგას იმის შესახებ, თუ რა იქნება უკეთესი: გრანტი მიეცეს უნივერსიტეტებს თუ სტუდენტებს? ვინ უნდა დაფინანსდეს - უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებლების ხელფასი თუ სტუდენტების სწავლება?

არსებობს თანასწორობის შეფასების მრავალი მოდელი. ჩვენ გამოვიყოფთ ფართოდ გავრცელებულ ლორენცის მრუდსა და ჯინის კოეფიციენტს. ამ მოდელებში ერთმანეთთან არის შედარებული სიმდიდრე და დანახარჯები, კერძოდ, კი სკოლის დანახარჯები მოსწავლეების კატეგორიების შესაბამისად, რომელიც, თავის მხრივ, განისაზღვრება ოჯახების სიმდიდრის (შექმებულობის) მიხედვით. ფაქტობრივად ასეთი შედარება ემყარება საგანმანათლებლო ხარჯების განაწილებისას "სიმდიდრის ნეიტრალიტეტის" პრინციპის აღიარებას.

¹⁵⁵ ტრანსფერტი არის ცალკეული ტერიტორიისათვის, ფირმისათვის, ოჯახისათვის ფულის გადაცემა სუბსიდიების (გრანტების) ფორმით.

ლორენცის მრუდი:
უთანასწორობა სკოლის დაფინანსებაში.



1

აღნიშნული გრაფიკში 16.1 ცენტრალური ხაზი არის ისეთი იდეალურ მდგომარეობის გამომხატველი, როდესაც თანაბარი რაოდენობის ფინანსები იხარჯება თანაბარი რაოდენობის მოსწავლეებზე. მაგალითად, დაბალი კატეგორიის მოსწავლეების 10 პროცენტზე მოდის იგივე დანახარჯები, რაც უმაღლესი კატეგორიის მოსწავლეებზე. იმ შემთხვევაში, თუ არ განხორციელდება შესაბამისი საფინანსო პოლიტიკა, მაშინ უმაღლესი კატეგორიის მოსწავლეებზე დაიხარჯება უფრო მეტი, ვიდრე დაბალი კატეგორიის მოსწავლეებზე.

ჯინის კოეფიციენტი განსაზღვრავს ლორენცის თანასწორობის მრუდსა და მის სხვა არეალს შორის შეფარდებას და ზემოთაღნიშნულ გრაფიკზე გამოიხატება შემდეგი თანაფარდობით: $B+C/A+B+C$.

ამ ფორმულების გამოყენება მიზნად ისახავს თანასწორობის დადგენას განათლების სფეროში და საფინანსო პოლიტიკის გზით სიმდიდრეში განსხვავებების ნეიტრალიზებას. იდეალურ შემთხვევაში მდიდარი ოჯახის მიერ გაწეული დანახარჯი განათლებაში უნდა უნდა აღემატებოდეს ღარიბ ბავშვებზე საბაზო განათლების მისაცემად მთავრობის მიერ გაწეულ ხარჯებს. საფინანსო რეფორმების ძირითადი პრინციპები სწორედ თანასწორობის აღიარებაა. ამ მიზნით გამოთანაბრების ღონისძიებები მოითხოვს სიღარიბის, საკუთრების, სიმდიდრისა და ურბანიზაციის ხარისხის ანალიზს.

§2. გადასახადები და საბიუჯეტო

სისტემა

საგანმანათლებლო მომსახურება, რომელიც სახელმწიფო დაწესებულებათა მეშვეობით შეიძინება, „უფასოა“ იმ აზრით, რომ საბაზრო ფასებს არ იხდის მასში მოსახლეობა, თუმცა აღნიშნული მომსახურება უფასო არ არის, მათი ანაზღაურება ხდება არა კერძო, არამედ სახელმწიფო სახსრებით, რომლებიც ძირითადად გადასახადებიდან იფარება. განათლების სისტემისათვის გადასახადებს იხდის როგორც მთელი საზოგადოება, ასევე ისინიც ვინც განათლებისაგან უშუალოდ ღებულობს სარგებელს.

სახელმწიფო ორგანოების მიერ განათლების მომსახურების გაწევის უზრუნველსაყოფად საჭიროა სამი სახის რესურსი: ფინანსური, ადამიანისეული და ინფრასტრუქტურული. ფინანსურ რესურსებს წარმოადგენს საბიუჯეტო სახსრები. ადამიანისეულ რესურსებს ქმნის საგანმანათლებლო კადრი და ადმინისტრაცია, ხოლო ინფრასტრუქტურას - განათლების დაწესებულებები და სასაწავლო პროცესთან დაკავშირებული მატერიალური უზრუნველყოფის საგნები. გადასახადებით შეგროვილი ფინანსური რესურსების უკმარისობის გამო შესაძლოა სირთულეები შეექმნას ინფრასტრუქტურის განვითარებას, როგორცაა შენობა-ნაგებობების მოვლა-პატრონობა, სკოლების ელექტროენერჯით, წყლითა და გათბობით უზრუნველყოფა და სხვ. ხოლო სკოლებში მასწავლებელ-მოსწავლეთა თანაფარდობის არაოპტიმალური რაოდენობა კი ვერ უზრუნველყოფს ადამიანისეული რესურსების ეფექტურად გამოყენებას.

განათლების სისტემის რესურსების მართვასა და დაფინანსებაში მონაწილეობს ხელისუფლების სამი დონე: ცენტრალური, რეგიონული და ადგილობრივი. როგორ უნდა განაწილდეს ხელისუფლების დონეებს შორის მართვის უფლებამოსილება განათლების სისტემის მოწყობაში? როგორ ნაწილდება პასუხისმგებლობა საგანმანათლებლო მომსახურებაზე? ვინ უნდა აგოს პასუხი საშუალო და დაწყებითი სკოლების მუშაობაზე, უმაღლესი სასწავლებლებში სტუდენტების პროფესიულ მოზადებაზე? და სხვა.

თეორიულად ამ კითხვებზე პასუხის გაცემა არც ისე იოლია. საშუალო განათლებიდან მიღებული სარგებელი მაღალია, ამიტომ განათლების ამ საფეხურზე მიზანშეწონილია "საფინანსო უზრუნველყოფა" ადგილობრივი

ხელისუფლებისაგან, რადგან საშუალო განათლება მიღებული ადამიანების დიდი ნაწილი რჩება ადგილზე, განსხვავებით იმათგან, რომლებმაც გააგრძელეს სწავლა უმაღლეს სკოლაში და დარჩნენ ან გადავიდნენ სამუშაოდ დიდ ქალაქში. თუმცა არც ის შეიძლება ვიფიქროთ, რომ ცენტრალურ ხელისუფლებას არ უნდა ჰქონდეს არავითარი როლი საშუალო განათლების ორგანიზაციაში. იბადება კითხვა, თუ საფინანსო ტვირთის რა ნაწილი უნდა აიღოს თავის თავზე ცენტრალურმა ხელისუფლებამ და რა ნაწილი - ადგილობრივმა ხელისუფლებამ?

დღევანდელ ეტაპზე საქართველოში ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების როლი განსხვავებულია საშუალო სკოლების ხელშეწყობაში. იგი ძირითადად ცენტრალური ხელისუფლების პასუხისმგებლობის სფეროა, განსხვავებით სხვა ქვეყნებისაგან¹⁵⁶.

სკოლების მართვის იერარქია გულისხმობს საგადასახადო სტრუქტურის ცვლილებებს, ფისკალურ ეფექტს და სხვა ისეთ ფაქტორებს, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია სკოლების განვითარებაში ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების როლის განსაზღვრისას.

განათლების სფეროს დაფინანსება დამოკიდებულია საგადასახადო სისტემის მოწყობაზე. საქართველოში მოქმედებს საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივ გადასახადები და საგადასახადო სისტემის ფორმირება კი ეფუძნება უფლებამოსილებათა გამიჯვნას ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის, შესაბამისად ფორმირდება ბიუჯეტები.

საქართველოში საბიუჯეტო სისტემა მოიცავს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებსა და სხვა ტერიტორიული ერთეულების (ქალაქების, რაიონების და ა.შ.) ბიუჯეტებს. ამ ბიუჯეტებს თავისი სპეციფიკური დატვირთვა გააჩნიათ, როგორც შემოსავლების, ასევე ხარჯების მხრივ. სახელმწიფო ბიუჯეტი კი აერთიანებს ცენტრალური ბიუჯეტისა და სპეციალური სახელმწიფო ფონდების სახსრებს.

ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლებს წარმოადგენს:

- სახელმწიფო გადასახადები;

¹⁵⁶ მაგალითად, აშშ-ში ადგილობრივი ხელისუფლება ასრულებს ძირითად როლს სკოლების მართვა-გამგებობაში, ხოლო ცენტრალურ ფედერალურ ხელისუფლებას კი ეკუთვნის "დამხმარე" როლი. ეს ურთიერთობა ემყარება იმ კონცეფციას, რომლის თანახმად, საგანმანათლებლო გადაწყვეტილებების მიღება უნდა ხდებოდეს ადგილობრივ დონეზე, რადგან ეს, უპირველეს ყოვლისა, მათ ბუნებრივ ინტერესებში შედის და ფედერალურ ხელისუფლებას მხოლოდ ადგილობრივი ხელისუფლების მეშვეობით შეუძლიათ მართონ სკოლები.

- ცენტრალური ბიუჯეტის არასაგადასახადო შემოსავლები;
- მოსაკრებლები, გრანტები და კრედიტები.

ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტები დამოუკიდებელია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისაგან. მათ გააჩნიათ საკუთარი შემოსავლები და ამ სახსრების ხარჯვის მიმართულებასაც დამოუკიდებლად განსაზღვრავენ. საქართველოს ხელისუფლების ზემდგომ ორგანოებს არ აქვთ უფლება ჩაერიონ ტერიტორიული ერთეულების სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების საბიუჯეტო უფლებამოსილებაში.

ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შემოსავლის წყაროებია:

- საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადები, რომელთა ნაწილი გრძელვადიანი ეკონომიკური ნორმატივებით არის განსაზღვრული;
- ადგილობრივი გადასახადები, მოსაკრებლები და არასაგადასახადო შემოსავლები;
- სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერტები;
- სესხები და სესხის დაბრუნებით მიღებული შემოსავლები.

ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების შემოსავლების გამოყენების საკითხს დამოუკიდებლად წყვეტენ ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოები, გარდა მიზნობრივი ტრანსფერტებისა და იმ სესხებისა, რომელიც გადაეცემა მათ სხვა დონის ბიუჯეტიდან, ძირითადად ცენტრალური ბიუჯეტიდან ბიუჯეტში სახსრები შემოდის საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადებიდან.

საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადებს განეკუთვნება: საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადი, აქციზი, საბაჟო გადასახადი, ქონების გადასახადი, მიწის გადასახადი, ავტოსატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრეთა გადასახადი, გადასახადი ქონების გადაცემისათვის, სოციალური გადასახადი, გადასახადი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის, გადასახადი მანე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის, გადასახადი საქართველოს ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემოსვლისათვის და ზენორმატიული დატვირთვისათვის.

ადგილობრივ გადასახადებს განეკუთვნება: გადასახადი ეკონომიკური საქმიანობისათვის, სათამაშო ბიზნესის გადასახადი, საკურორტო გადასახადი,

სასტუმროს გადასახადი, რეკლამის გადასახადი, მანქანების პარკირების გადასახადი, გადასახადი ადგილობრივი სიმბოლიკის გამოყენებისათვის.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი გადასახადებიდან მიღებული შემოსავლებისა, რომლებსაც საგადასახადო შემოსავლებს უწოდებენ, ბიუჯეტში ჩაირიცხება აგრეთვე, თანხები არასაგადასახადო შემოსავლებიდან, კერძოდ, ნებართვების, ლიცენზიების გაცემისა და სხვა სახის სახელმწიფო მომსახურების გაწევიდან მიღებული მოსაკრებელი და საფასური; შემოსავალი სახელმწიფო ქონების გაყიდვიდან და მისი იჯარიდან; სახელმწიფო ქონების მონაწილეობით შექმნილი საწარმოებიდან მიღებული დივიდენდები და სხვ.

ზემოთაღნიშნული საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადებიდან ცენტრალურ ბიუჯეტში მთლიანად ჩაირიცხება დამატებული ღირებულების გადასახადი და აქციზი.

შემოსავალი რომელიც აიკრიფება საერთო სახელმწიფოებრივი გადასახადებიდან - ქონების გადასახადიდან, მიწის გადასახადიდან, გადასახადიდან ქონების გადაცემისათვის და გადასახადიდან ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მთლიანად გადაეცემა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს.

საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკებისა და სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში მთლიანად ჩაირიცხება შემოსავლები შემდეგი გადასახადებიდან: მიწის გადასახადი; გადასახადი მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის; სახელმწიფო ბაჟი; გადასახადი ქონების გადაცემისათვის.

ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტები შემოსავლებს ღებულობენ აგრეთვე ისეთი ადგილობრივი გადასახადებიდან, როგორცაა: გადასახადი სამეწარმეო საქმიანობისათვის; სათამაშო ბიზნესის გადასახადი; საკურორტო გადასახადი; სასტუმროს გადასახადი; რეკლამის გადასახადი; გადასახადი ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირებისათვის; გადასახადი ადგილობრივი სიმბოლიკის გამოყენებისათვის.

ზემოთ ჩამოთვლილ გადასახადებთან ერთად, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებში ჩაირიცხება მოგების და ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადებიდან, დამატებული ღირებულების გადასახადიდან, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის გადასახადიდან, აგრეთვე, მათ ტერიტორიაზე განლაგებული საბაჟო ორგანოების მიერ საბაჟო

გადასახადიდან მიღებული შემოსავლების ნაწილი გრძელვადიანი ნორმატივების შესაბამისად.

საგადასახადო უფლებამოსილებათა გამიჯვნა ცენტრსა და ადგილობრივ ტერიტორიულ ერთეულებს (რეგიონებს) შორის ურთულესი პრობლემაა და მისი ერთიანი, ყველასათვის ერთნაირად მისაღები და უნაკლო მოდელი არ არსებობს. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ფუნქციების შესრულებას აპირებს ცენტრალური ხელსუფლება და რა ფუნქციების დელეგირება ხდება ტერიტორიულ ერთეულებზე. ამ პრობლემის გადასწავვეტად ამოსავალია ცენტრალური ხელისუფლების "მინიმალური ფუნქციათა" განსაზღვრა, რომლის რიცხვს შეიძლება განეკუთვნებოდეს განათლება, მაგრამ თუ ტერიტორიული ერთეულების საკუთარი საგადასახადო შემოსავლები იზრდება, მაშინ სახელმწიფოს მიერ განსახორციელებელი ფუნქციები განათლების სფეროში "გადადის" რეგიონების პასუხისმგებლობაში.

საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსების წყაროების დადგენა და უფლებამოსილების გამიჯვნა ცენტრსა და ადგილობრივ ტერიტორიულ ერთეულებს შორის ყოველთვის პოლიტიკური კამათის საგანს წარმოადგენდა. ცენტრალური ბიუჯეტის სახსრები ხმარდება საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების და მიზნობრივი პროგრამების დაფინანსებას. ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლებით ხდება აგრეთვე, ადგილობრივი ბიუჯეტებისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო სესხების და მიზნობრივი ტრანსფერტების დაფინანსება. ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებასთან ერთად ცენტრალური ხელისუფლება მეტ დამოუკიდებლობას აძლევს ტერიტორიულ ორგანოებს და ახდენს მისი მეტი ფუნქციის დელეგირებას, აგრეთვე აფართოებს სატრანსფერტო სისტემას, ხოლო ადგილობრივი ერთეულები კი ცდილობენ საგადასახადო შემოსავლების რეგიონში დასატოვებელი ნაწილის გაზრდას. შესაბამისად იზრდება განათლების სისტემაში ადგილობრივი ორგანოების როლის მნიშვნელობა და პასუხისმგებლობა.

§3. ტრანსფერტები

განათლების სფეროს დაფინანსება მოითხოვს სახელმწიფო ფინანსების დეცენტრალიზაციასა და სახელმწიფო ტრანსფერტების ისეთი სტრუქტურის ფორმირებას, რომელიც უზრუნველყოფს თანასწორობას განათლებაში.

სახელმწიფო დაფინანსება მნიშვნელოვანია სამი გარემოების გამო: 1. საქართველოში საგანმანათლებლო ხარჯები კონსოლიდირებული ბიუჯეტის ხარჯების დაახლოებით 33 პროცენტს შეადგენს, ხოლო რაიონებში (თბილისის გამოკლებით) იგი 47 პროცენტს აღემატება. ზოგიერთ რაიონში კი 70 პროცენტზე მეტია. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ხელისუფლების სხვადასხვა დონეზე განათლების დაფინანსებაზე პასუხისმგებლობა განსხვავებულია. დანახარჯების არაეფექტური გამოყენება კი შესაძლებელია თანასწორობს განხორციელების ერთ-ერთი რისკთაგანი გახდეს; 2. პოლიტიკურად განათლება არის ყველაზე მგრძობიარე და მნიშვნელოვანი პრობლემა ეკონომიკის სტაბილიზაციის პროცესში. განათლების სპეციფიკური პრობლემები, მთიან რაიონებში სერიოზული განათლების მიცემის წინააღმდეგობები და სკოლების მონიტორინგის არარსებობა ხელისუფლებას საშუალებას აძლევს მიიღოს განსხვავებული პოლიტიკური გადაწყვეტილებები; 3. განათლების დაფინანსების ძირითადი ტვირთი ფინანსთა სამინისტროზე მოდის, მაგრამ რამდენადაც მის მიერ დამატებითი ფინანსური რესურსების გამოყოფა ემყარება ემპირიულ და სუბიექტურ შეფასებებს, ამიტომ იგი არ შეიძლება გახდეს თანასწორობის განხორციელების პირობა განათლების სისტემაში.

რეგიონების დაფინანსებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ადგილობრივ ფინანსებს. რეგიონების საკუთრებაში რჩება ფიზიკურ პირთა გადასახადის 85 პროცენტი, საწარმოო მოეგების 85 პროცენტი და ადგილობრივი გადასახადების 100 პროცენტი, რომელთაგან მნიშვნელოვანია მიწის გადასახადი და საკუთრების გადასახადი. არასაგადასახადო შემოსავლებიდან კი მნიშვნელოვანია არენდა და ტრანსფერტები. ტრანსფერტები არის ცენტრალური ბიუჯეტიდან გრანტი, რომელიც მიმართულა დაგეგმილი ხარჯების დასაფინანსებლად. დღევანდელი პრაქტიკით იგი განისაზღვრება ფინანსთა სამინისტროსა და რეგიონის ხელმძღვანელობას შორის ინდივიდუალური მოლაპარაკების გზით. 2002 წლიდან იგი განისაზღვრება ფორმულით, სადაც გათვალისწინებულია რეგიონის შემოსავლების დონე და მისი წილი ერთ სულ მოსახლეზე. ამან მნიშვნელოვნად

შეამცირა ტრანსფერტების განაწილების სუბიექტური პრაქტიკა. ტრანსფერტების სუბიექტური განსაზღვრა რეალურად ეწინააღმდეგება ფინანსების ტრანსფარენტულობისა და ობიექტიურობის აუცილებლობას და პროტექციონიზმის ელფერს ატარებს. ტრანსფერტები რეგიონის შემოსავლების 8-12 პროცენტს შეადგენს.

ცხრილი 16.1

რაიონების შემოსავლები გადასახადის სახეების მიხედვით (ათასი ლარი)

	საშემოსავლო გადასახადი	მოგების გადასახადი	ტრანსფერტები	მიწის გადასახადი	საკუთრებიდან გადასახადი	შემოსავლები სულ
საქართველო	76 458	40 167	24 407	21 391	24 609	291 868
თბილისი	46 946	23 243	2 000	3 211	15 116	128 433
აჭარა	10 630	9 634	0	1 479	1 363	52 951
გურია	462	103	1 653	604	202	3 941
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	262	71	1 657	159	35	2 820
სამეგრელო და ზემო სვანეთი	3 320	2 287	4 404	2 096	1 390	18 483
იმერეთი	4 818	1 722	5 225	3 124	2 334	27 420
კახეთი	1 834	360	2 366	3 237	755	13 782
მცხეთა-თიანეთი	1 296	672	1 955	653	746	7 242
სამცხე-ჯავახეთი	880	169	2 177	1 455	337	7 088
ქვემო ქართლი	4 412	1 167	1085	3 453	1 556	20 630
შიდა ქართლი	1 598	740	1 884	1 920	775	9 078

ტრანსფერტების განაწილების მსოფლიოში ერთ-ერთ აპრობირებულ მეთოდს შეადგენს მოსახლეობის ერთ სულზე საბიუჯეტო მომსახურების მინიმალური სტანდარტის დაწესება. 2002 წელს ტრანსფერტების გაანგარიშება განხორციელდა ფორმულის მეშვეობით, რომელიც საშუალებას აძლევს ხელისუფლებას თავი დააღწიოს სუბიექტივიზმს, ხოლო რეგიონებმა კი დაგეგმონ და მართონ ხარჯვითი პარამეტრები დამოუკიდებლად, მათი შეხედულებისამებრ, რაც სრულად შეესაბამება თვითმმართველობის ევროპის ქარტიის მოთხოვნებს.

შემოთავაზებული "გამოთანაბრებითი" ტრანსფერტის გამოთვლის ფორმულა:

$T = [C_1 : (K_1 + K_2 + K_3 + K_4) - C_2] \times H$. სადაც T არის რაიონისათვის გამოსაყოფი ტრანსფერტის ოდენობა, C_1 - ერთ სულ მოსახლეზე საშუალო შემოსავალი ტრანსფერტის ჩათვლით, C_2 - 47 რაიონის საშუალო ხარჯი ერთ სულ მოსახლეზე კოეფიციენტების გათვალისწინებით, K_1 - მაღალმთიან ზოლში მცხოვრები მოსახლეობის ხვედრითი წონა რაიონის მოსახლეობაში, K_2 - ლტოლვილთა ხვედრითი წონა რაიონის მოსახლეობაში, K_3 - შემოსავლების ზრდის წამახალისებელი კოეფიციენტი, K_4 - საბიუჯეტო დაწესებულებებში დასაქმებულ მუშაკთა შეუმცირებლობის კოეფიციენტი, h - მოსახლეობის რიცხოვნობა. ტრანსფერტის აღმნიშვნელი T ასახავს რაიონისათვის შემოსავლების გამოთანაბრებისათვის საჭირო თანხის მოცულობას. ეს თანხა მრავლდება 0.51 (ანუ წილადზე, რომელიც მიიღება გამოყოფილი ტრანსფერტების ჯამის გაყოფით გამოთანაბრებისათვის საჭირო თანხაზე) და მიიღება თანხა, რომელიც დამატებით არის გასანაწილებელი.

ფორმულის მოქმედების შედეგად, იმ რაიონებს, რომელთა T უარყოფითი სიდიდეა და სჭირდებათ ცენტრალური ბიუჯეტის "ინექცია", გამოეყოფათ დამატებითი ტრანსფერტი, ხოლო რეგიონებს, რომელთა T დადებითი სიდიდეა წესისამებრ დამატებითი ტრანსფერტი არ გამოეყოფათ. უფრო მეტიც, მათ ტრანსფერტი უნდა შეუმცირდეთ, ვინაიდან მათი ხარჯები ერთ სულ მოსახლეზე აჭარბებენ "სტანდარტს" (36,4 ლარს). ამდენად, ტრანსფერტის გაანგარიშების მთავარ ფაქტორად გვევლინება ზემოთ ჩამოთვლილი კოეფიციენტები და რეგიონის მიერ გასაწევი ხარჯის გამოთვლა ხდება მისი სოცილურ-ეკონომიკური თუ გეოგრაფიული მდგომარეობის გათვალისწინებით. ამასთან, შემოღებული იქნა არა გაცხადებული ერთ სულზე ხარჯის "სტანდარტი", რაც ფრიად

მნიშვნელოვანია ადგილობრივი თვითმმართველობის საბიუჯეტო შემოსავლებისა და ხარჯების გამოთანაბრების კუთხით.

ცხრილი 16.2

რაიონების დანახარჯი (ათასი ლარი)

	საშუალო სკოლა	განათლება	სულ	% განათლებაზე.
საქართველო	81 987	95 311	291469	32,70%
თბილისი	23 373	28 510	128 512	22,18%
აჭარა	14 041	15 210	52 951	28,72%
გურია	1 903	2 054	3 941	52,11%
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	1 041	1 320	2 895	45,59%
სამეგრელო და ზემო სვანეთი	6 818	7 868	17 841	44,10%
იმერეთი	10 343	12 010	27 422	43,80%
კახეთი	5 132	6 524	13 785	47,33%
მცხეთა- თიანეთი	2 757	3 189	7 242	44,04%
სამცხე- ჯავახეთ	3 933	4 201	7 218	58,21%
ქვემო ქართლი	8 451	9 622	20 614	46,68%
შიდა ქართლი	4 194	4 804	9 049	53,09%

16.1 და 16.2 ცხრილებიდან ჩანს, რომ განათლებაზე ძირითადად რაიონების შემოსავლები ნაწილდება. რეგიონებში განათლების ხარჯების დელეგირება ხდება საკრებულოებზე, რომლებსაც აქვთ თავიანთი ბიუჯეტი და იგი რეგიონის

ბიუჯეტის ნაწილია.¹⁵⁷

რეგიონული ბიუჯეტების დამოუკიდებლობა არის შეზღუდული ცენტრალური ბიუჯეტით. კანონის თანახმად, ბიუჯეტი უნდა დაამტკიცოს გამგეობამ, მაგრამ ამ ბიუჯეტის კანონპროექტი კი განიხილება ფინანსთა სამინისტროში და მისი კარნახით მიმდინარეობს ხარჯებისა და შემოსავლების დაგეგმვა, რადგან მათ შორის სხვაობა უნდა დაიფაროს სახელმწიფო ტრანსფერტებით, თუმცა ზემოთაღნიშნული სატრანსფერტო ფორმულის გამოყენებით ეს პრაქტიკა უნდა შეიცვლოს და წახალისოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ინიციატივები.

საშუალო სკოლების დაფინანსება რეგიონების მიხედვით

საქართველოში განათლებაზე მოდის მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 2 პროცენტი. ეს დაბალი მაჩვენებელია, რადგან ევროპულ ქვეყნებში საშუალოდ იგი 4,8 პროცენტია.

სკოლების დაფინანსების ძირითადი ობიექტი მასწავლებელთა ხელფასებია. ინვესტიციები და კაპიტალდაბანდებები ძალზედ მცირე, ხოლო სკოლების ტექნიკური და მატერიალური მდგომარეობა კი სავალალოა.

ცხრილი 16.3

მოსახლეობა, სკოლები და მოსწავლეები რეგიონების მიხედვით

	მოსახლეობა	იძულებით გადასახლებული პირები	სკოლები	მოსწავლეები
საქართველო	4 604,2	282,1	3 120	693 099
თბილისი	1 186,0	90,5	201	157 342
აჭარა	366,6	8,4	401	68 363
გურია	143,7	0,6	154	21 962

¹⁵⁷ საბიუჯეტო მოწყობისა და უფლებამოსილებათა კანონი არ გულისხმობს ბიუჯეტის ამ დონეს და ეს კანონი ადეკვატურად ვერ ასახავს ქვეყნის პოლიტიკური ერთეულების საფინანსო უფლებამოსილებას.

რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	50,7	1,9	117	6 560
სამეგრელო და ზემო სვანეთი	491,4	118,1	415	67 152
იმერეთი	743,0	35,9	522	109 558
კახეთი	400,4	1,3	252	62 671
მცხეთა-თიანეთი	126,1	1,2	201	20 580
სამცხე-ჯავახეთ	214,5	3,1	256	39 650
ქვემო ქართლი	547,3	11,5	349	85 820
შიდა ქართლი	334,5	9,6	252	53 441

ცხრილი 16.4

დანახარჯები ერთ მოსწავლეზე, შემოსავლები და ხელფასები


	დანახარჯი ერთ მოსწავლეზე	მოსწავლე/მასწავლებლის თანაფარდობა	შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე	მასწავლებლები საშუალო ხელფასი
საქართველო	118,29	9,77	63,39	58,79
თბილისი	148,55	13,42	108,29	101,46
აჭარა	205,39	9,47	144,44	98,98
გურია	86,63	7,97	27,43	35,13
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	158,75	4,75	55,62	38,40
სამეგრელო და ზემო სვანეთი	101,53	8,67	37,61	44,79
იმერეთი	94,41	9,17	36,90	44,04
კახეთი	81,89	9,15	34,42	38,14
მცხეთა-თიანეთი	133,97	7,87	57,43	53,68
სამცხე-ჯავახეთ	99,20	8,02	33,04	40,51
ქვემო ქართლი	98,47	10,35	37,69	51,87
შიდა ქართლი	78,48	9,72	27,14	38,83

2000 წელს საქართველოში საშუალო სკოლებში ერთ მოსწავლეზე დაიხარჯა საშუალოდ 118,290 ლარი, რაიონების მიხედვით ეს დიფერენციაცია დიდია - ყვარელში 61 ლარიდან, ფოთში - 202 ლარამდე. სკოლების დანახარჯების 80

პროცენტი არის მასწავლებელთა ხელფასები. ამასთან, საშუალო ხელფასი სკოლაში დასაქმებული მამაკაცებისა (დაახლოებით 54 ლარი) მეტია ქალების ხელფასზე (დაახლოებით 41 ლარი), რაც განპირობებულია მამაკაცების გარკვეული ნაწილის ადმინისტრაციულ სამუშაოზე დასაქმებით.


გრაფიკი 16.2

მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავლების თანაფარდობა
დანახარჯებთან ერთ მოსწავლეზე




გრაფიკი 16.3

მოსწავლე/მასწავლებელთა თანაფარდობა
ერთ მოსწავლეზე დანახარჯებთან




გრაფიკი 16.4

მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავლების თანაფარდობა
მასწავლებელთა საშუალო ხელფასთან



გრაფიკი 16.5

მასწავლებელთა ხელფასების თანაფარდობა
დანახარჯებთან ერთ მოსწავლეზე



როგორც ამ გრაფიკებიდან ჩანს, რაც უფრო დაბალია მოსახლეობის შემოსავლები, მით უფრო ნაკლებია მოსწავლეზე ხარჯები. (გრაფიკ 16.2), მაღალი შემოსავლების მქონე რაიონებში მაღალია მასწავლებელთა ხელფასებიც (გრაფიკი 16.4) მასწავლებელთა შემოსავლები (ხელფასები) და მოსწავლეებზე ხარჯები ერთმანეთის პროპორციულია. იქ სადაც მეტია მოსწავლეებზე დანახარჯები, მაღალია მასწავლებელთა ხელფასებიც (გრაფიკი 16.5).

საბოლოო ჯამში შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოში რაც უფრო ღარიბია რეგიონი, მით უფრო ნაკლებია დანახარჯი სკოლებზე და მეტია ღარიბი ოჯახების შეიღები, რომლებიც ვერ ღებულობენ სათანადო საგანმანათლებლო მომსახურებას, შესაბამისად სწავლების ხარისხიც დაბალია. დაბალგანვითარებული რაიონები სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის საჭიროებენ მეტ დაფინანსებას. ფინანსების გადანაწილების მექანიზმი უნდა ემყარებოდეს რეგიონულ თანასწორობას რეგიონებში საგანმანათლებლო

მომსახურების სფეროში, რაც ნიშნავს მეტ დახმარებას ღარიბი რეგიონისადმი და დაფინანსებაში ადექვატური სასკოლო განათლების მისაღებად იმ რეგიონების მსგავსად, სადაც შედარებით მაღალია შემოსავლები, რაშიც დიდი როლი უნდა ითამაშოს სახელმწიფო ტრანსფერტებმა და გრანტებმა. ამის პარალელურად, განათლების სფეროს დეცენტრალიზაცია უნდა გახდეს განათლების რეფორმის მთავარი მიმართულება, რაც მოითხოვს ადგილობრივი ადმინისტრაციის უფლებებისა და საბიუჯეტო პასუხისმგებლობის გაზრდას საგადასახადო რეჟიმისა და საბაზრო რეფორმების საფუძველზე, განათლების სისტემის მდგომარეობაზე შესაბამისი საბიუჯეტო უფლებამოსილების გაფართოებას.

თაზო XVII

განათლების სახელმწიფო დაფინანსების სისტემა

განათლების რეფორმის გატარებას სჭირდება შესაბამისი ინსტიტუციური სტრუქტურები და ფინანსური ბაზა, ურომლისოდ განათლებისა და პროფესიული მომზადების გარდაქმნა შეუძლებელი იქნება. გარდამავალ ეტაპზე აუცილებელი ხდება სახელმწიფო რესურსების ეფექტიანი გამოყენება პრიორიტეტულ მიმართულებებზე კონცენტრაციის გზით. ამასთან, რამდენადაც სახელმწიფოს ყოველთვის ექნება პრობლემები ამ სფეროს დაფინანსებაში, იმდენად საჭირო იქნება დამატებითი სახსრების მობილიზება.

საფინანსო-საბიუჯეტო კრიზისის პირობებში დაფინანსება უნდა მოხმარდეს მკაცრად განსაზღვრულ პრიორიტეტებს. როგორც უკვე აღინიშნა, ეს პრიორიტეტები გულისხმობენ სტანდარტების შენარჩუნებას საბაზო განათლებაში, საშუალო განათლების გარდაქმნას, მომზადებისა და გადამზადების სისტემის სრულყოფას, ასევე უმაღლეს განათლების სისტემაში სახელმწიფოს ფრთხილ ჩარევას. ეს პრიორიტეტები უნდა იყოს უზრუნველყოფილი განათლების სფეროში რესურსების ეფექტიანი გამოყენებით.

საქართველოში განათლებაზე სახელმწიფო ხარჯების წილი მთლიან შიდა პროდუქტში 2,1 პროცენტს შეადგენს. ეს მაჩვენებელი არ არის მაღალი სხვა ქვეყნებთან შედარებით. ბულგარეთში ანალოგიური მაჩვენებელი 1990-1992 წლებში იყო 5 პროცენტი, უნგრეთში - 6, პოლონეთში მერყეობდა 4,6-დან 3,1-მდე, ხოლო რუმინეთში - 3,2-4 პროცენტი. პოლონეთში მთლიანი შიდა პროდუქტის შემცირებასთან ერთად მის სტრუქტურაში შემცირდა განათლებაზე ხარჯების წილიც. მართალია, უნგრეთში, ბულგარეთსა და რუმინეთში ცდილობდნენ არსებული დონის შენარჩუნებას, მაგრამ რეალურ მაჩვენებლებში, გარდა უნგრეთისა, ხარჯები ყველგან შემცირდა. ამ ქვეყნებში მთლიან შიდა პროდუქტში განათლების ხარჯების წილი დაბალია, ხოლო უნგრეთში დაახლოებით იგივეა, რაც განვითარებულ ევროპულ ქვეყნებში.

შესაბამისად უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ ფონზე საქართველო არ არის გამორჩეული ქვეყანა და შესაძლებელია მიზანშეწონილი იყოს სახელმწიფოს წილის ზრდა განათლების სისტემაში და იგი სახელმწიფო ინვესტირების

პრიორიტეტული სფერო გახდეს მომავალში მისგან მაღალი უკუგების მიღების მოტივით.

§1. სახელმწიფო დაფინანსების მიზანშეწონილობა

სახელმწიფო დაფინანსების სასარგებლოდ არსებობს სერიოზული თეორიული არგუმენტები:

- განათლება სარგებელს აძლევს არა მარტო ინდივიდებს, არამედ მთელ საზოგადოებას. მაღალგანვითარებულ და მომზადებულ სამუშაო ძალას შეაქვს წვლილი შრომის ნაყოფიერების გადიდებასა და ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებაში. განათლების დაბალი დონე ასოცირებულია სიღარიბესთან.

- სახელმწიფოს მიერ ფართო მასებისათვის განათლებით უზრუნველყოფა იძლევა დიდ სახელმწიფო სარგებელს და განსაზღვრავს რესურსების გამოყენების ეფექტიანობას.

- სახელმწიფო გადამწყვეტ როლს ასრულებს ფართო მასების საგანმანათლებლო მომსახურებასა და ამ სფეროს დაფინანსებაში. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ საგადასახადო პრობლემები სერიოზული დაბრკოლებაა სახელმწიფო განათლების სისტემის სრულყოფისათვის, ამიტომ სახელმწიფო ვერ იკისრებს ძველებურად განათლების სისტემის სრულ დაფინანსებას. საჭირო ხდება ახალი კავშირების განვითარება სახელმწიფოს, მოსახლეობასა და კერძო მეწარმეებს შორის, რომლებმაც ერთად უნდა იტვირთონ ფინანსური ვალდებულება განათლების განვითარებაზე.¹⁵⁸ რამდენადაც განსხვავებულია საგანმანათლებლო მომსახურება, იმდენად განსხვავებული უნდა იყოს სახელმწიფოს როლი განათლების სხვადასხვა დონის მიხედვით.

- საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა გარკვეულ ვალდებულებას აკისრებს ხელისუფლებას - გააერთიანოს თანასწორობისა და სიღარიბის პრობლემები საგანმანათლებლო პოლიტიკაში. საქართველოში შრომის ბაზრის ფორმირებასთან ერთად სულ უფრო იზრდება განსხვავება შემოსავლებში და

¹⁵⁸ Br. Laporte, Financing Education and Training in Central and Eastern Europe, A New Social Contract. "Education Economics", 1993# 1-2, pp.115.

მისი სიდიდე სულ უფრო მეტად ხდება დამოკიდებული განათლების დონესა და ხარისხზე. ოჯახებს, რომლებიც ყველაზე მეტად ღარიბები არიან, არ აქვთ საშუალება შვილებს მისცენ ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი განათლება, რაც კიდევ უფრო მეტად აღრმავეს საზოგადოების ფენებად დაყოფას. ქვედა ფენები ვერ სარგებლობენ ეკონომიკური ზრდით მიღწეული კეთილდღეობით. ამის თავიდან ასაცილებლად საჭიროა განათლების ისეთი პოლიტიკის შემუშავება, რომელიც გამოავლენს არა მარტო განსაკუთრებით ნიჭიერ და გადახდისუნარიანი ინდივიდების სრულ პოტენციურ შესაძლებლობებს, არამედ ხელს შეუწყობს ყველა ინდივიდის პროფესიულ მომზადებას, რაც თანასწორობის მიღწევის აუცილებელი პირობაა.

- სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს საჭირო და ადეკვატური რაოდენობის საგანმანათლებლო მომსახურება ან უშუალოდ, ან კერძო სექტორის დახმარებით, აკონტროლოს მისი ხარისხი და უზრუნველყოს სავალდებულო სწავლების სისტემა ყველასათვის. დაუცველი სოციალური ფენებისათვის კი მან უნდა გაიღოს სუბსიდიები და განახორციელოს უსასყიდლო სწავლება ან კიდევ დაეხმაროს მათ ფინანსურად სწავლის ქირის გადახდაში.

- მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლი სასწავლო გეგმებისა და სახელმძღვანელოების ხარისხის გაუმჯობესებაშიც. სახელმწიფო-საბიუჯეტო კრიზისის პირობებში მცირდება სასკოლო სახელმძღვანელოების რაოდენობა, რაც თავის მხრივ, ზემოქმედებას ახდენს სწავლის ხარისხზე. ის განსაკუთრებით მოქმედებს სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრების განათლებაზე. კიდევ უფრო რთული მდგომარეობა იქმნება უმაღლესი განათლების სისტემაში, სადაც მნიშვნელოვნად შემცირდა სახელმძღვანელოებისა და დამხმარე მასალების ბეჭდვა, ბიბლიოთეკები ვერ უზრუნველყოფს მრავალი გამოცემული ან თარგმნილი ლიტერატურის მათთვის მიწოდებას. განათლების განვითარება შეუძლებელია, თუ მოსწავლეებსა და სტუდენტებს არ ექნებათ მრავალნაირი სახელმძღვანელოს მიღების შესაძლებლობა. ბევრ ქვეყანაში სახელმძღვანელოების უსასყიდლოდ გავრცელება დაწყებით და საშუალო სკოლებში მოითხოვს სახელმწიფოსაგან მის უზრუნველყოფას. ამის მთავარი არგუმენტია ის, რომ სახელმძღვანელოები არის განათლების მთავარი კომპონენტი. უამისოდ არ შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს თანასწორი განათლება სხვადასხვა შემოსავლების მქონე ოჯახის წევრებისათვის, ხოლო მხოლოდ ღარიბთათვის სახელმძღვანელოების უსასყიდლოდ გაცემამ შეიძლება

მრავალი ადმინისტრაციული სირთულე წარმოშვას. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, განათლების სამინისტროები ვერ შეძლებენ ამ ამოცანის გადაწყვეტას.¹⁵⁹ ამასთან, სახელმძღვანელოებზე ფასები დაექვემდებარა საბაზრო კანონების მოქმედებას და არასტაბილურობის პერიოდში მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, ეს ფასები მკვეთრად გაიზარდა საოჯახო შემოსავლების პარალელურად შემცირებასთან ერთად. ამიტომ ამ საკითხის გადაწყვეტას საკმაოდ გააზრებული მიდგომა სჭირდება. როგორც მინიმუმი, მიზანშეწონილია სახელმწიფომ სახელმძღვანელოების შექენისათვის ღარიბთა ოჯახის შვილები უზრუნველყოს ფინანსური დახმარებით, როგორც ეს, მაგალითად, საფრანგეთშია.¹⁶⁰

- მრავალი წლის განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში არსებობდა ტრადიცია სახელმწიფოს მოთხოვნების პრიმატის შესახებ განათლებაში. სახელმძღვანელოები მკაცრად ლიმიტირებული იყო, მაგრამ ამჟამად ბაზრის ფორმირება მოითხოვს სახელმძღვანელოებისა და დამხმარე მასალების თავისუფალ არჩევანს. აქ სახელმწიფოს შეუძლია დაწყებითი და საშუალო განათლების სახელმძღვანელოების არა წარმოების, არამედ მათი შექენისა და სკოლებში მოხმარების ასიგნება, რაც უზრუნველყოფს თანასწორობასა და ეფექტიანობას მოხმარებაში.

- საბაზო განათლებაში მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მიერ ღარიბი რაიონების დაცვა არასაკმარისი დაფინანსებისაგან, სკოლების უზრუნველყოფა სახელმძღვანელოებით და სხვა მასალებით, მასწავლებელთა მომზადებისა და გადამზადების ცენტრების ორგანიზაცია, კონსულტაციები კლასების რაციონალური რაოდენობის ფორმირებისა და ხარჯების უკეთ გამოყენების, კლასების რაოდენობის შემცირებისა და მასწავლებელთა გამოთავისუფლების მიზნით სწავლების ხარისხის გაუარესების გარეშე. ყოველივე ეს უნდა შეადგენდეს საბაზო განათლებისადმი სახელმწიფო მხარდაჭერის ერთ-ერთ მიმართულებას.

¹⁵⁹ ისეთ სწრაფად განვითარებად ქვეყანაშიც კი, როგორც პოლონეთია, განათლების სამინისტრომ 90-იანი წლების დასაწყისში საბიუჯეტო შეზღუდულობის გამო ვერ შეასრულა ვადდებულებები და ვერ დააკმაყოფილა ინვალიდი ბავშვები და ეროვნული უმცირესობა უფასო სახელმძღვანელოებით.

¹⁶⁰ Б. Лапорт, Дж. Швейцер, Образование и подготовка кадров. в кн.: Рынок труда и социальная политика в центральной и восточной Европе. Под ред. Н. Барра. М., ИКЦ ДИС., 1997. с. 365.

პოლიტიკური ასპექტი

სახელმწიფოს როლი განათლების სისტემის განვითარებაში - დაფინანსების ალტერნატიული წყაროების გამონახვა, სასწავლო გეგმების შედგენა, სკოლების ახალი სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა, მასწავლებელთა ხელფასის განსაზღვრა და სხვ. - პოლიტიკური დისკუსიის საგანია. განათლებაში, ისევე როგორც ეკონომიკის სხვა სექტორებში, პოლიტიკური კამათი მიმდინარეობს ძველი და ახალი ფასეულობების დანერგვის მიზანშეწონილობის შესახებ. ცხადია, რომ ძველი სისტემის ყოველი დადებითი კომპონენტი უნდა შენარჩუნდეს, გარდაქმნა კი სჭირდება იმ მოძველებულ კომპონენტებს, რომლებიც ვერ ეგუება ახალი სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებას. ამის ერთ-ერთი მაჩვენებელი კი შეიძლება გახდეს შრომის ბაზარი, დასაქმებულთა რაოდენობა და უმუშევართა მდგომარეობა. განათლება უნდა გახდეს ის სფერო, რომელიც პასუხისმგებლობას იკისრებს როგორც შრომის ბაზრის მდგომარეობაზე, ისე სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაზე. ეს გარემოებები განათლების მდგომარეობისა და რეფორმების განხორციელების ძირითადი ინდიკატორებია ქვეყანაში, ხოლო განათლების სისტემის სახელმწიფო ფინანსური ხელშეწყობა კი მისი ძირითადი გენერატორი.

უმაღლეს განათლებაში "სახელმწიფო დაკვეთების"

პრაქტიკა საქართველოში

უმაღლეს განათლებაზე მოდის ქვეყანაში განათლების საერთო დანახარჯების დაახლოებით ნახევარი. აქ თითო სტუდენტზე გაწეული დანახარჯი მეტია, ვიდრე დაწეებით ან საშუალო პროფესიულ განათლებაში. ამდენად, უნივერსიტეტების ფუნქციონირების ხარისხზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს რესურსების ეფექტიანად გამოყენება, ფინანსური მენეჯმენტი, საკადრო პოლიტიკა. შესაბამისად ჩნდება კითხვები: რამდენად ეფექტიანია სახელმწიფო დაფინანსება სწავლების ხარისხისა და პროგრამების გასაუმჯობესებლად და რამდენად ხელეწიფება უნივერსიტეტების ხელმძღვანელობას მიკრო დონეზე განხორციელოს რაციონალური, სტრატეგიული და ფინანსური დაგეგმვა და მიიღოს გადაწყვეტილება, რომელიც განათლების სისტემას არსებულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოიყვანს.

დღეს საქართველოს უნივერსიტეტებს აფინანსებს სახელმწიფო ბიუჯეტი. სახელმწიფო განსაზღვრავს სტუდენტების ყოველწლიურ მისაღებ კონტინენტს. დღეს არსებული სისტემა არ ითვალისწინებს მომავალში ამ სპეციალობის კურსდამთავრებულებზე მოსალოდნელ საბაზრო მოთხოვნას და არც მის მოსალოდნელ შედეგებზე არის ვინმე პასუხისმგებელი იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ კურსდამთავრებულთა სამუშაოზე მოწყობის შესახებ ინფორმაცია არ მოწმდება. მართალია, მთავრობის მიერ ამა თუ იმ სპეციალობის მხარდაჭერა გამართლებულია, მაგრამ კურსდამთავრებულთა შრომის ბაზარზე გამოყენების შესახებ ინფორმაციის უქონლობა მრავალ ეჭვს ბადებს ამ სისტემის შესახებ. შესაბამისად, სახელმწიფო დაკვეთების სისტემა არ ეთანხმება უმაღლესი განათლების საერთო სტრატეგიულ მიმართულებას. ამიტომ უნდა გადაისინჯოს სახელმწიფო დაკვეთების სისტემით სასწავლებლების მუშაობა და კადრების მომზადება. ეს სრულებით არ ნიშნავს სახელმწიფო დაკვეთების სისტემის გაუქმებას, პირიქით, საჭიროა მისი ქმედითობის ამაღლება. იგი უნდა გადაისინჯოს როგორც ეფექტიანობის, ასევე სამართლიანობის თვალსაზრისით.

საქართველოში ასეთია საზოგადოების დამოკიდებულება უმაღლესი განათლების სისტემაში ორსაფეხურიანობის შესახებ: პირველი საფეხური - ბაკალავრიატი - მაღალი რისკის მქონეა, რადგან იგი "ნახევარფაბრიკატია", ამიტომ კურსდამთავრებულები ძნელად თუ იშოვნებენ სამუშაო ადგილებს. ისინი საჭიროებენ შემდგომ განვითარებას. შედარებით ნაკლებად რისკიანია მეორე საფეხური - მაგისტრატურა. საზოგადოების ასეთი დამოკიდებულება იმის შედეგია, რომ ხუთწლიანი სისტემა მექანიკურად გაიყო და ამ ანგლო-საქსური მოდელის რაციონალური მარცვალის ჯერ არ გამოვლენილა საზოგადოებაში, ამიტომ საჭირო ხდება იმის მტკიცება, რომ ბაკალავრის წოდების მქონე კურსდამთავრებულთა ადგილი შეიძლება მოიძებნოს შრომის ბაზარზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს მოდელი წამგებიანი იქნება.

სახელმწიფო დაკვეთების დიდი ნაკლია ის, რომ ეს სისტემა ცდილობს დაიცვას უმაღლესი სასწავლებლები ბაზრისაგან და დაეხმაროს მათ იმ სპეციალობებისა და ფაკულტეტების შენარჩუნებაში, რომლებზეც საბაზრო მოთხოვნა დაბალია. შესაბამისად საუნივერსიტეტო განათლება ახდენს ჭარბი სამუშაო ძალის მომზადებას, რომელსაც არ გააჩნია საექსპორტო დანიშნულება, ხოლო ადგილობრივი ბაზარი ამ რაოდენობით კურსდამთავრებულებს ვერც ახლა და ვერც უახლოეს მომავალში ვერ დაასაქმებს.

ამჟამად სახელმწიფოს ხარჯზე მზადდება ხვალინდელი უმუშევრები. სახელმწიფო დაკვეთის არსებულმა ფორმამ ამოწურა თავისი შესაძლებლობები და დაკარგა შინაარსობრივი დატვირთვა, რომელიც გულისხმობს სახელმწიფოს მიერ გარკვეული თანხების საფასურად კონკრეტული ხარისხისა და რაოდენობის სპეციალისტების მომზადების შეკვეთას პრიორიტეტულ დარგებში. საჭიროა სახელმწიფომ გამონახოს უმაღლეს სკოლასთან ურთიერთობის ახალი, უფრო პროგრესული ფორმები.

განათლების სფეროში დაკვეთის არსებულმა ფორმამ შეასრულა თავისი პოზიტიური დანიშნულება და ქვეყანას მისცა შესაძლებლობა კრიზისულ წლებში შეენარჩუნებინა უმაღლესი სკოლა, მაგრამ ამჟამად სახელმწიფოს მხრიდან მიდგომები ვეღარ პასუხობს ეკონომიკის მზარდ ცვალებად მოთხოვნებს. იგი არ ემყარება შრომის ბაზრის რეალური კონიუნქტურის ანალიზს და საბჭოთა პერიოდიდან გადმოყოლილი ინერციით მოქმედებს.

მთავარი კი ის არის, რომ კადრების მომზადება ხორციელდება ერთ სტუდენტზე გაანგარიშებით ძალიან მცირე დანახარჯებით, რაც სახელმწიფო დაკვეთების პრაქტიკის სუსტი მხარეა. სახელმწიფო დაკვეთებით მომზადებული სპეციალისტების უმუშევრობა სახელმწიფო ხარჯების გაფლანგვის ტოლფასია და ასეთი დაკვეთის მიზნებიც გაურკვეველია.

ამდენად, სახელმწიფო დაკვეთის სისტემა არის ძველის გადმონაშთი ახალი მოდიფიცირებული ფორმით. სტუდენტთა კონტინგენტის და ხარჯების გაანგარიშებები ხდება უკვე არსებული მაჩვენებლების განზოგადების გზით და არა ფაქტობრივი მონაცემებით. სახელმწიფო კვლავინდებურად ცდილობს, აკონტროლოს სამუშაო ძალის მოთხოვნა-მიწოდების განსაზღვრა. შესაბამისობა განათლების სისტემის პროდუქციასა და ეკონომიკის საჭიროებებს შორის არ არსებობს. ამიტომ ასეთი პრაქტიკა უნდა გადაისინჯოს, გაიზარდოს სტუდენტის მომზადების ხარჯები მათი შეფარდებითი შემცირების პარალელურად და, ამდენად, განხორციელდეს სახელმწიფო ფინანსების რაციონალიზაცია.

დაფინანსების სქემაში ცვლილებების გატარება უნდა ხდებოდეს მრავალფეროვნებისა და ვარიაციულობის უზრუნველყოფის მიზნით, რაც განათლების სისტემის თანამედროვე მართვის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა.¹⁶¹

¹⁶¹ Financing Higher Education. Current Patterns. Paris. OECD, 1990.

როდესაც უნივერსიტეტები ვიწრო პროგრამებს ამუშავებდნენ და მათი შეფასება ხდებოდა ერთნაირი კრიტერიუმებით, მაშინ მიზანშეწონილი იყო ერთიანი დაფინანსების კონცეფციის გამოყენება, ამჟამად სიტუაცია შეიცვალა, ამიტომ განათლების სფეროს დაფინანსება უნდა ითვალისწინებდეს რესურსების განაწილების სხვადასხვა კრიტერიუმის გამოყენებას პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე. აქ უკვე საჭიროა მაქსიმალური მოქნილობა საბიუჯეტო სახსრების გამოყენებაში.

§2. დაფინანსების შერეული

სისტემა

განათლებას, როგორც მომსახურების სფეროს, აქვს ღირებულება და მოაქვს სარგებელი მისი მომხმარებლისთვის დამატებითი ცოდნისა და შრომის შედეგების ზრდით. იგი იწარმოება და იყიდება იმისდა მიუხედავად, თუ როგორ ფინანსდება. განათლების სისტემიდან მიღებული სარგებელი იზრდება მისი სწავლის დონის ზდასთან ერთად. დაწყებითი და საშუალო სკოლისაგან განსხვავებით, სადაც დაფინანსების ძირითადი ტვირთი სახელმწიფომ უნდა იკისროს, უმაღლეს განათლებაში დაფინანსების შერეული სისტემის მიზანშეწონილობა განისაზღვრება ქვეყნის განვითარების დონით. საბაზრო ეკონომიკის პირობებში, რამდენადაც ხელფასის სიდიდე გარკვეულწილად დაკავშირებულია შრომის შედეგებთან, უმაღლეს განათლებაში დაბანდებული თანხების კერძო და საზოგადოებრივ უკუგებას შორის სხვაობა საკმაოდ დიდია. ეს ვლინდება იმ შემთხვევაში, როდესაც ხარჯების დიდ ნაწილს გაიღებს სახელმწიფო, ხოლო სარგებლის დიდ ნაწილს ღებულობს ინდივიდი შრომის ანაზღაურების სახით. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ დაფინანსების ტვირთის დიდ ნაწილს განათლების ამ სისტემაში უნდა გაიღონ კერძო მეწარმეებმა და ინდივიდებმა.¹⁶²

ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ ინდივიდები გადაიხდიან სწავლის ქირას იმ შემთხვევაში, თუ დარწმუნებული არიან პროფესიული განათლებით მიღებული ცოდნის სარგებლიანობაში. ამისათვის ეკონომიკის განვითარება ქმნის

¹⁶² ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს პირდაპირი გადასახადი განათლებაზე. ბულგარეთი, უნგრეთი, პოლონეთი ამ მიმართულებით ვითარდებიან.

სტიმულს და დაინტერესებას.¹⁶³ სტიმულები კი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც საგანმანათლებლო დაწესებულების აწყობილი მუშაობა დამოკიდებულია შემოსავლების წყაროებზე. საბაზრო სტიმულების დანერგვა მათი სრულყოფის ძლიერი ბერკეტია.¹⁶⁴

საბაზრო მექანიზმის გამოყენებას აქვს ორი ფორმა: ერთის მხრივ, დამფინანსებელი ინსტიტუტები ფაქტიურად განათლების მომსახურების მყიდველების როლში გამოდიან, მეორეს მხრივ, კი სასწავლო დაწესებულებებს აქვთ ალტერნატიული არატრადიციული წყაროები, რომელთა მასშტაბი სულ უფრო იზრდება. შერეული დაფინანსებისას ყოველ ფინანსურ ორგანიზაციას აქვს თავისი ინტერესი და, ბუნებრივია, შეფასების სისტემაც.

სახელმწიფო უმაღლესი განათლების ინსტიტუტები დაინტერესებული არიან მოიხილონ მეტი აბიტურიენტი, რაც გამოწვეულია სახელმწიფო საფინანსო კრიზისის შედეგად კერძო დაფინანსების წყაროებზე ორიენტაციის გაძლიერებით. დამატებული კონტინგენტი ვალდებულია, თვითონ დაფაროს სწავლების დანახარჯი. დაფინანსების წყაროებისა და საკუთრების ობიექტების დივერსიფიკაცია, მისაღები კონტინგენტის რიცხვის გაზრდა, პროგრამების შეცვლა, განსაკუთრებით საზოგადოებრივ და ჰუმანიტარულ სფეროებში ახალი ღირებულებების ფორმირების შესაბამისად უმაღლესი განათლების რეფორმისა და მისი შემდგომი განვითარების ძირითადი პრიორიტეტებია.

შესაძლებელია განათლების სფეროს სახელმწიფოს მიერ მთლიანი დაფინანსება გამართლებული იყოს სხვადასხვა სოციალური მიზეზით, როგორც ეს საბჭოთა პერიოდში იყო, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ თანამედროვე პერიოდში მას აფინანსებდეს მხოლოდ სახელმწიფო. მრავალი კერძო საგანმანათლებლო სისტემა ღებულობს სახელმწიფო სუბსიდიას.¹⁶⁵ სახელმწიფოს მიერ კერძო სასწავლებლებისთვის სუბსიდიების მიცემას აქვს უპირატესობები: ასეთი სკოლები უფრო კონკურენტუნარიანია, ისინი აფართოებენ მომსახურებას და მშობლებსა და მათ შვილებს აძლევენ პროგრამების არჩევანის შესაძლებლობას, ამასთანავე, სახელმწიფოს აქვს უფლება, მკაცრად აკონტროლოს და არეგულიროს საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხი.

¹⁶³ გერმანიაში მუშაები თანხმდებიან უფრო დაბალ ხელფასს პროფესიული გადამზადების სანაცვლოდ, რომელსაც საწარმო სთავაზობს მათ იმ მოტივით, რომ მომავალში მიიღებენ უფრო მეტ ანაზღაურებას.

¹⁶⁴ Financing Higher Education. Current Patterns. Paris. OECD, 1990. p.55.

¹⁶⁵ მაგალითად, პოლონეთში.

როდესაც საქართველოში დაიწყო საწარმოების განსახელმწიფოებრიობა და მათი საბაზრო რელსებზე გადასვლა, პროფესიული განათლებაზე ხელმძღვანელობა განათლების სამინისტრომ ითავა, მაგრამ მცირედი ფინანსების გამო მან ვერ შეცვალა მათი პროფილი საბაზრო მოთხოვნების შესაბამისად და პროფესიულ სასწავლებლებში მოსწავლეების რაოდენობაც მკვეთრად შემცირდა. ამიტომ პროფესიული განათლებაში ხარჯების დიდი ნაწილი მიზანშეწონილია გადაიხადონ თვით საწარმოებმა, რომლებიც დაინტერესებული იქნებიან შეთავაზებული პროფესიებით თუ სპეციალობებით და მომზადებული სამუშაო ძალიდან მიიღებენ სარგებელს. მაგრამ მიუხედავად ამისა, საწარმოები მაინც შეხედული იქნებიან დაფინანსებაში იმის გამო, რომ მენეჯერებმა შეიძლება არ იცოდნენ, თუ რა სარგებელს მიიღებენ კონკრეტულ სპეციალობებზე მომზადებული ახალგაზრდების დასაქმებით. მეორეც, მენეჯერებმა შეიძლება იფიქრონ, რომ გაცილებით ადვილია და ამავე დროს იაფი დაუჯდებათ სხვა საწარმოდან სპეციალისტების გადმოხირება, ვიდრე კადრების მომზადების ორგანიზაცია. ასეთი დამოკიდებულების კორექტირება მოითხოვს სახელმწიფოს ჩარევას.¹⁶⁶

გადასახადი განათლებაზე

ბევრი ეთანხმება შეხედულებას იმის თაობაზე, რომ საჭიროა ისეთი გადასახადის დაწესება, რომლის გამოყენება მოხდება სამუშაო ძალის რეკონსტრუქციის მიზნით¹⁶⁷. ამ მოსაზრებას აქვს უარყოფითი მხარეც: ასეთი ხარჯები იწვევს შრომის ფასის ზრდას. იგი ამცირებს კონკურენტუნარიანობასა და აბრკოლებს დასაქმების ზრდას. ამასთან, სწავლების საგადასახადო ტვირთი ძალიან დამამძიმებელია თანამედროვე პირობებში, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ პრობლემებს, რომლებიც წარმოეშვათ მათ საბაზრო ეკონომიკის ფორმირებასთან ერთად. ხშირად ლაპარაკია პროფესიული მომზადების

¹⁶⁶ ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, ბრაზილიასა და კორეაში კადრების მომზადებისა და გადამზადებისათვის რესურსების მობილიზების მიზნით შემოღებულია საწარმოს მუშაკებზე გადასახადი ხელფასიდან.

¹⁶⁷ 1992 წლის ბოლოს პოლონეთში ხელფასის ფონდიდან არსებობდა 2 პროცენტის გადასახადი, რომელიც მიდიოდა შრომით ფონდში და მისი ნაწილი გათვალისწინებული იყო უმუშევართა გადამზადებისათვის. ამ მიზნით რუმინეთში შემოიღეს 4 პროცენტის გადასახადი, ხოლო უნგრეთში - 1,5 პროცენტის. ამ ქვეყნებში მომზადებაზე გაწეული დანახარჯები აღემატებოდა უმუშევრებისთვის განკუთვნილ დახმარებას.

ფრანგულ, როგორც მიზანშეწონილ და ეფექტურ, მოდელზე. იგი ითვალისწინებს მხოლოდ იმ საწარმოების მიერ პროფესიულ მომზადებაზე გადასახადების გადახდას, რომლებიც არ უზრუნველყოფენ თავისი პერსონალის მომზადებას იმ თანხის საზღვრებში, რომელიც გადასახადის სიდიდეს შეადგენს.

საკრედიტო სისტემა

საჭიროა განათლების სფეროში საკრედიტო სისტემის თანდათანობითი დანერგვა. საწყის ეტაპზე საკრედიტო სისტემის დანერგვა იქნება მტკივნეული. საბიუჯეტო კრიზისის პირობებში მან შეიძლება ცალკეული კათედრებისა და კადრების დატვირთვის "ჭერის დაწევა" ან საერთოდ "ამოგდება" გამოიწვიოს. სახელმწიფო დაფინანსებაზე აქცენტირება კი იწვევს ან სწავლების ხარისხის გაუარესებას, ან უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები კონტინგენტის შემცირებას. მიუხედავად ამისა, საკრედიტო პროცესი უნდა განვითარდეს გამომდინარე როგორც სასწავლებლების აკრედიტაცი-ატესტაციის, ასევე სოციალური ამოცანების განხორციელების აუცილებლობიდან. სახელმწიფო ფინანსები უნდა იყოს მიზნობრივი, ეხმარებოდეს დაუცველ სოციალურ ფენებს და აძლევდეს მათ შესაძლებლობას, სხვების თანაბრად მონაწილეობდნენ კონკურსებში უმაღლესი განათლების მისაღებად.

ნორმატიული მიდგომა

ადრე განათლების სფეროში საბიუჯეტო დაგეგმვის ამოსავალი პუნქტი იყო მომსახურების მოცულობა. დაფინანსება ხდებოდა შტატების რაოდენობის ან სასწავლო კურსის ღირებულების მიხედვით. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეს დამოკიდებულება იცვლება და აქცენტირება ხდება ერთი სტუდენტის მომზადების დანახარჯებზე. ამასთან, დაკავშირებით ჩნდება კითხვები: მიზანშეწონილია თუ არა სტუდენტთა მისაღები კონტინგენტის ნორმების დაწესება? საჭიროა თუ არა სტუდენტებისა და მასწავლებლების თანაფარდობის ნორმატივები? როგორ უნდა წახალისდეს კერძო მეწარმეების, ინდივიდებისა და სასწავლო დაწესებულებების კონტრაქტების სისტემა და სხვ. ამ კითხვებზე პასუხი სხვადასხვანაირია და იგი დამოკიდებულია განათლების ინსტიტუტებთან

დაკავშირებული სუბიექტების - სახელმწიფოს, სასწავლო კადრების (ინსტიტუტების) და ფინანსური ორგანიზაციების (სახელმწიფო, კერძო) პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების პრიორიტეტებზე.

სამეცნიერო მუშაობის სტიმულები

სხვა პრობლემაა, რა სტიმულებია საჭირო სამეცნიერო პოტენციალის შესანარჩუნებლად და გასაღრმავებლად განათლების სრულყოფის მიზნით. ძირითადი გზა უნდა იყოს როგორც კონკურსები საუკეთესო სამეცნიერო ნაშრომზე, ასევე გრანტების სფეროს გაფართოება კვლევებზე, რაც ხელს შეუწყობს როგორც სამეცნიერო პოტენციალის გაზრდას, ასევე მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებას. ამჟამად მასწავლებლებს არ გააჩნიათ სტიმული მეცნიერული კვლევებისათვის და ისინი დამატებით შემოსავალს ეძებენ საათობრივი დატვირთვის გაზრდაში. სერიოზულ მეცნიერულ კვლევას უნდა ჰქონდეს სერიოზული გრანტების მიღების შესაძლებლობა.

დაფინანსება დეცენტრალიზაციის პირობებში

კიდევ ერთი პრობლემა, - ესაა საგანმანათლებლო დაწესებულებების მოწყობის ტერიტორიული პრინციპი. ბიუჯეტური შეზღუდულობის გამო ხორციელდება სასწავლო დაწესებულებების დეცენტრალიზაცია. ადგილობრივ მმართველობაში აღმოჩნდა საბავშვო ბაღები და დაწყებითი სკოლები. მათი დაფინანსება ნაწილობრივ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხორციელდება. საბავშვო ბაღების უმრავლესობა კი დაიხურა. ამან უარყოფითად იმოქმედა ქალების მდგომარეობაზე შრომის ბაზარზე, აგრეთვე მათი განათლების ზრდასა და, რაც მთავარია, ბავშვების შემდგომ სასკოლო განათლებაზე.

ახალ პრობლემებს ქმნის დაწყებითი და საშუალო განათლების დეცენტრალიზაცია, რამდენადაც ადგილობრივ ხელისუფლებას არ შეუძლია თავი გაართვას ფინანსურ, ადმინისტრაციულ და ტექნიკურ პრობლემებს შესაბამისი რესურსებისა და გამოცდილების უქონლობის გამო.

თეორიული მოსაზრებით, პოსტკომუნისტურ სივრცეში აუცილებელია განათლების სისტემის დეცენტრალიზაცია, რომელიც დაეფუძნება შემდეგ

პრინციპებს: მოსახლეობის სოციალურ უზრუნველყოფას, ბავშვთა ბაგებისა და ბაღების, აგრეთვე დაწყებითი სკოლების მართვაში ადგილობრივი ხელისუფლების რიგ პრიორიტეტებს ცენტრალურ ხელისუფლებასთან შედარებით. კერძოდ, ადგილობრივ ხელისუფლებას შეუძლია უკეთესად განსაზღვროს შესაძლებლობები და გაანაწილოს რესურსები ეფექტიანად, მოახდინოს ადგილობრივი გადასახადების მობილიზება. ამ შემთხვევაში მოსახლეობაც უფრო ინფორმირებული იქნება მის მიერ გადახდილი თანხების მიზნობრიობაში, რაც გაზრდის საზოგადოების კონტროლის ეფექტიანობას.

ამ პრობლემების გადაწყვეტა მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული საქართველოს სამხარეო მოწყობასა და ადგილობრივი ფისკალური პოლიტიკის განვითარებაზე, რაც, შეიძლება ითქვას, ხანგრძლივი პერიოდის ამოცანაა.

§3. დაფინანსება და ეფექტიანობა

სახელმწიფო დაფინანსების ძირითადი მიზანი, როგორც უკვე აღინიშნა, არის განათლების ქსელის გაფართოება და მისი მნიშვნელობის გაზრდა საზოგადოებაში. იგი შეიძლება განხორციელდეს რამდენიმე მიმართულებით, არსებითად კი ეფექტიანობის ზრდით.

განათლების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებით დაინტერესებულია როგორც ხელისუფლება, ასევე - კერძო მეწარმეები. ხელისუფლებისათვის ესაა სტაბილური ქვეყანა, ხოლო მეწარმეთათვის - მოგების ზრდა.

განათლების ეფექტიანობის რაოდენობრივმა გაზომვამ უნდა დასახოს მისი სასარგებლო ეფექტის გაზრდის ღონისძიებები. დიდია მისი სტრატეგიული მნიშვნელობა, მაგრამ ამჟამად ყოველი გაანგარიშება განსაზღვრავს იმას, თუ ეროვნული შემოსავლის ზრდის რა წილი მოდის განათლებაზე. ხშირად ეს გაანგარიშებები ძალიან გამარტივებულად გამოხატავენ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს ეკონომიკასა და განათლებას შორის.

განათლების ეფექტიანობის პრობლემები

განათლების ეფექტიანობის შესახებ მსჯელობა შეიძლება სწავლების პედაგოგიური წარმატებების მიხედვით. საკამათო არ უნდა იყოს ის, რომ

პოსტსაბჭოთა სივრცეში სწავლების ძველი მეთოდები აღარ შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს. წარსულში მასწავლებლები მიჩვეული იყვნენ მოსწავლეებისათვის მასალის ისეთი სახით მიწოდებას, რომელიც დაუმტკიცებდა მათ, რომ არსებობს ერთადერთი ჭეშმარიტება, ის, რაც სახელმძღვანელოშია მოცემული, ხოლო მოსწავლეები იყვნენ ცოდნის პასიური ამთვისებლები. მათი ცოდნის შეფასება ხდებოდა იმის მიხედვით, თუ რამდენად გაიზიარებდნენ მასალას. სწავლების პროცესში მოსწავლეებს ევალუბოდათ გაეხსენებინათ, ერთმანეთისათვის შეედარებინათ და გამოეყენებინათ მასალა. სწავლების ასეთი ფორმა დაბალი შემეცნებითი მნიშვნელობისაა. მასში ყურადღება გამახვილებულია ტექსტის შესწავლაზე, რაც საკმარისია მხოლოდ იმისათვის, რომ მოსწავლეებმა და სტუდენტებმა მიიღონ მაღალი ქულები იმ ტესტების ჩაბარების დროს, რომლებიც გამოიყენება ცოდნის შესაფასებლად, მაგრამ არ არის საკმარისი კრიტიკული და დამოუკიდებელი აზროვნების გასავითარებლად.

ანალოგიური მდგომარეობაა უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც აღნიშნულის გარდა მკვეთრად არ არის განსაზღვრული სწავლების მიზნები და ის ორიენტირები, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნება მიღწეული შედეგების შეფასება. უმაღლესი სასწავლებლები არ აგროვებენ ყველა ინფორმაციას, რაც აუცილებელია სტრატეგიული დაგეგმვისა და მონიტორინგის განხორციელებისათვის. ხშირ შემთხვევაში რესურსების ხარჯვა მიზნად ისახავს პროფესორ-მასწავლებელთა გადარჩენას უმუშევრობისაგან. ასეთ პირობებში ეფექტიანობის რეალური შეფასება შეუძლებელია.

სწავლების შედეგების შეფასების შესახებ ინფორმაციული ნაკლოვანებების გამო განათლების სისტემის ეფექტიანობა საქართველოში ბუნდოვანია. კარგ სასწავლებლად ითვლება ის, რომელსაც აქვს კარგი შენობა, აღჭურვილობა და ოპტიმალური რაოდენობის მასწავლებლები (მასწავებელთა და მოსწავლეთა რაოდენობრივი თანაფარდობა). ეს კრიტერიუმები დღეს არასაკმარისია, რამდენადაც ადგილი აქვს რესურსების ნაკლებობას, მოსწავლეთა რაოდენობის შემცირებას სკოლებში, კადრების სიჭარბეს, პროფესიული გამოცდილების დეფიციტს, დაბალ ანაზღაურებას.

საკმაოდ მწირია ინფორმაცია კერძო სექტორის განვითარების შესახებ. საქართველოში არ არსებობს მარეგულირებელი მოთხოვნები კერძო განათლების სისტემასთან დაკავშირებით. ამის შედეგად წარმოიშვა მრავალი კერძო დაწესებულება, რომელთა ეფექტიანობის შეფასებაც მხოლოდ ემპირიულად

შეიძლება. მთლიანობაში (ისევე როგორც სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებებისათვის) კერძო სასწავლებლებისთვისაც დამახასიათებელია რესურსების არაეფექტიანი გამოყენება, კადრების პროფესიონალიზმის დეფიციტი, მენეჯმენტის სისუსტე, ბუნდოვანება სწავლების მიზნების განსაზღვრაში, სუსტი მატერიალური ბაზა და სხვა. რეალურად, შრომის ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე, სწავლების შედეგიანობის ხარისხის შეფასება შეუძლებელია.

ცხრილი 17.1

საქართველოში განათლებაზე გაწეული სახელმწიფო ხარჯები¹⁶⁸

	1995	1996	1997	1998	1999	2000
განათლებაზე გაწეული სახელმწიფო ბიუჯეტიდან (მლნ ლარი)	9,8	24,2	46,3	30,4	29,2	26,8
სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი დანახარჯი (მლნ ლარი)	335,8	771,3	776,7	798,9	904,8	833,8
განათლების წილი სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიან ხარჯში	2,9	3,1	6,0	3,8	3,2	3,2
ადგილობრივი ორგანოების განათლებაზე (მლნ ლარი)	19	47,4	68	75	91	103
ადგილობრივი ორგანოების მთლიანი დანახარჯი (მლნ ლარი)	91,3	159,4	203	253	319	330
ადგილობრივი ორგანოების მიერ განათლებაზე გაწეული ხარჯების წილი მთლიანი დანახარჯი განათლებაზე (მლნ ლარი)	29	72	114	105	120	130
სულ დანახარჯი (მლნ ლარი)	427,1	930,7	979,7	1051,9	1224	1164
განათლებაზე მთლიანი დანახარჯის წილი სულ ხარჯებთან	6,7	7,7	11,7	10,0	9,8	11,2
მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) (მლნ ლარი)	3694	3870	4667	5063	5709	6186
განათლებაზე გაწეული მთლიანი	0,8	1,9	2,4	2,1	2,1	2,1

¹⁶⁸ წყარო: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი.

დანახარჯის წილი მშპ-ში						
სახელმწიფო ბიუჯეტიდან განათლებაზე გაწეული მთლიანი დანახარჯის წილი მშპ-ში	0,3	0,6	1,0	0,6	0,5	0,4

თუ სხვა ქვეყნების გამოცდილებას გაითვალისწინებთ, მაშინ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ კერძო სექტორს ეფექტიანობის თვალსაზრისით მეტი პოტენციური შესაძლებლობა აქვს, ვიდრე სახელმწიფოს. სახელმწიფო დაფინანსებიდან მიღებული უკუგება ყველა ქვეყანაში დაბალი და არადაამაკმაყოფილებელია, რადგან განათლებას იღებს მოსწავლეებისა და სტუდენტების დიდი რაოდენობა. ისინი სწავლობენ უფრო მეტ ხანს, ვიდრე კერძო სექტორში, სადაც სრულყოფილი კონკურენტული გარემოს პირობებში სწავლის ხარისხის გაუმჯობესება ხორციელდება ნაკლები დანახარჯებით.

ეფექტიანობის გაანგარიშებას განათლებაზე გაწეულ ხარჯებსა და ეკონომიკურ უკუგებას შორის არსებობს დიდი ქრონოლოგიური ინტერვალი, ძირითადად 10-15 წელი. განათლებაზე გაწეულ ხარჯებს მაშინ აქვს პოზიტიური მნიშვნელობა, თუ მიღებული ცოდნის გამოყენება შეიძლება პრაქტიკულად და მას შემოსავალი მოაქვს.

ეფექტიანობის "პარადოქსი"

მაკროეკონომიკური თვალსაზრისით განათლების ეფექტიანობის შეფასებისას იყენებენ მთლიან შიდა პროდუქტში განათლებაზე გაწეული ხარჯების წილის შეფარდებას სწავლების მოსალოდნელ ხანგრძლივობასთან და ერთ მოსწავლეზე გაწეულ დანახარჯებსა და ერთ სულ მოსახლეზე მთლიან შიდა პროდუქტს შორის თანაფარდობას.

ამ მაჩვენებლების მიხედვით საქართველოში მდგომარეობა თითქოს პოზიტიურია, რადგან სწავლების ხანგრძლივობა 10-11 წელია, ხოლო გაწეული ხარჯები მთლიან შიდა პროდუქტში - დაბალი - 1-2 პროცენტი, მაშინ როდესაც სხვა ქვეყნებში ხარჯავენ მთლიანი შიდა პროდუქტის 4-5 პროცენტს. საქართველოში ერთი წლის განმავლობაში ერთი მოსწავლის მომზადებაზე იხარჯება ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 4

პროცენტი, მაშინ როდესაც სხვა ქვეყნებში იგი 3-4 ჯერ აღემატება საქართველოს მაჩვენებელს. ამ მხრივ საქართველოს ანალოგიური მდგომარეობა პოსტსაბჭოთა ქვეყნებშიც, ამიტომ ეფექტიანობის ასხნისას ამ მაჩვენებლებით შედარებებმა შეიძლება არასწორი დასკვნები გაგვაკეთებინოს, რადგან განათლების სფეროს დაფინანსების სიდიდე არის არა იმდენად ეფექტიანობის, არამედ უფრო ფინანსური დეფიციტის მაჩვენებელი. ეფექტიანობის ზრდას იმ შემთხვევაში ექნება ადგილი, თუ ქართველი მოსწავლეები იმავე რაოდენობის ცოდნას მიიღებენ, რასაც ღებულობენ იმ ქვეყნების მოსწავლეები, სადაც, საყოველთაო აღიარებით, არსებობს ეფექტიანი განათლების სისტემა, მაგალითად, აზიურ ქვეყნებში. თუმცა აქვე ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში მემკვიდრეობით მიღებული განათლების მაღალი დონე გარკვეულ როლს ასრულებს განათლების სისტემის ეფექტიანობის შეფასებისას. მხედველობაში გვაქვს ჭარბად მომზადებული პედაგოგიური კადრები, შენობა-ნაგებობები და სხვ., რაც ამცირებს სწავლებაზე გაწეულ დანახარჯებს. მიუხედავად ამისა, ეფექტიანობის დონე საქართველოში, როგორც ამას მსოფლიო ბანკის მრავალი ექსპერტი მიიჩნევს, მოჩვენებითია. აქ, ერთი შეხედვით, ეფექტიანი განათლების სისტემაა, მაგრამ ამავე დროს ხდება რესურსების არაეფექტიანი განაწილება. ეს სისტემა შეიძლება დაიშალოს ნებისმიერ დროს და მისი აღდგენა შემდგომ მნიშვნელოვან თანხებთან იქნება დაკავშირებული.¹⁶⁹

განათლების სისტემის დაბალ ეფექტიანობაზე მეტყველებს ისეთი მიკროეკონომიკური მაჩვენებელი, როგორცაა მოსწავლეებისა და მასწავლებლების რაოდენობრივი შეფარდების მაღალი კოეფიციენტი. საქართველოში ერთ მასწავლებელზე მოდის 10 მოსწავლე, მაშინ როდესაც სხვა ქვეყნებში მოდის 15-17 მოსწავლე. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მასწავლებლების რაოდენობის მხრივ დიდი უთანაბრობაა ქალაქსა და სოფელს შორის. ქალაქებში ეს კოეფიციენტი მნიშვნელოვნად აღემატება სოფლის, განსაკუთრებით მაღალმთიანი სოფლების, მაჩვენებელს.

საქართველოში განათლების ეფექტიანობის სხვა მაჩვენებელია სკოლების ჭარბი რაოდენობა, რომელთაც ბოლო წლებში დაემატა ლიცეუმები და

¹⁶⁹ საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროგრამა. პროექტის შეფასების დოკუმენტი. მსოფლიო ბანკი. № 20952-GE, 22 თებერვალი 2001 წელი. გვ. 111.

კოლეჯები. დემოგრაფიული ვითარების გაუარესების ფონზე ეს მოვლენა კიდევ უფრო შესამჩნევი გახდა და გააუარესა განათლების სისტემის მდგომარეობა.

ეფექტიანობის გაზომვის სხვა

სირთულეები

განათლების სფეროში ეფექტიანობის გაანგარიშება რთულია იმდენად, რამდენადაც ძნელია დანახარჯებისა და შედეგების ურთიერთშედარება. რესურსები რაოდენობრივად გაიზომება ისეთ ერთეულებში, როგორცაა მოსწავლეებისა და მასწავლებელთა, სასწავლო საათებისა და საგნების რაოდენობა, აგრეთვე მასწავლებელთა დატვირთვა და ა.შ., მაგრამ ეს არ იძლევა სწავლის ხარისხის შესახებ ზუსტ ინფორმაციას. კიდევ უფრო ძნელია იმის დადგენა, თუ რამდენად აითვისეს ეს მასალა მოსწავლეებმა. სხვადასხვა სასწავლებლის სწავლების ხარისხის შედარებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს არა მარტო ზემოთ აღნიშნული რაოდენობრივი პარამეტრები, არამედ სასწავლო მასალის ათვისების ხარისხიც, მოსწავლეების მიდრეკილებები და სხვა სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორები, რაც ტექნიკურად ძნელი დასადგენია. მაკრო დონეზე ეს რელიეფურია და იგი ხდება განათლებაში ინვესტიციებისა და ეკონომიკურ ზრდას შორის კავშირის დადგენის გზით, მაგრამ გაცილებით რთულია მიკრო დონეზე სასწავლებლებში ამ კავშირის დადგენა.

საგანმანათლებლო რესურსების დონეების შედარებისათვის საჭიროა შესაბამისი ინფორმაცია მმართველობის შესახებ, აგრეთვე ცოდნის შემოწმებისა და შეფასების ერთიანი სისტემის დანერგვა ყველა დაწესებულებაში, მაგრამ რამდენადაც ასეთი სისტემა მხოლოდ კონცეფციის დონეზეა, იმდენად შესაბამისი ინფორმაციის მოპოვება ამჟამად შეუძლებელია. სასწავლო დაწესებულებები არ ზრუნავენ იმისათვის, რომ იცოდნენ, რამდენად დაიმკვიდრეს სამუშაო ადგილი მისმა აღზრდილებმა და რა ხელფასი აქვთ მათ. ეს და სხვა ამგვარი ინფორმაცია შესაძლებლობას მოგვცემდა, შეგვედარებინა სასწავლებლების წარმატებები. მიუხედავად ინფორმაციის მოპოვების ტექნიკური სირთულეებისა, რაც ასოცირებულია ეფექტიანობის გაზომვის პრობლემებთან, მისი მოპოვება აუცილებელია, თუნდაც იგი იყოს ერთობ მიახლოებული და

საკამათო. იგი დადებით გავლენას მოახდენდა რეფორმების გატარებასა და მის სწორ წარმართვაზე.

საქართველოში სასწავლო დაწესებულებების ხარჯების მნიშვნელოვანი წილი მასწავლებელთა ხელფასია. მისი ეკონომია ეფექტიანობის ზრდის პირობა უნდა იყოს ფინანსური ასპექტით (ნაკლები დანახარჯებით მეტი მოსწავლის მომზადება), მაგრამ მეორეს მხრივ, მოსწავლეთა შეფარდება მასწავლებლებთან განათლების თვალსაზრისით (ხანმოკლეპერიოდში მეტი ცოდნის მიღება) მით უფრო ეფექტიანი იქნება, რაც უფრო ნაკლებია ჯგუფში მოსწავლეთა რაოდენობა. ეფექტიანობის ეს ორი პოზიცია ურთიერთსაპირისპიროა, ამიტომ მისი გადაწყვეტა უნდა მოხდეს ასაკობრივი ჯგუფების, სასწავლო პროგრამებისა და სწავლის მეთოდების ოპტიმალური ვარიანტის შეჯერებით.

საერთოდ, განათლების სისტემის ეფექტიანობის ზრდაში არ უნდა ვიგულისხმოდ მისი რესურსების შემცირება. იგი ნიშნავს რესურსების ოპტიმალურ განაწილებას, კადრების რაციონალიზაციას, სასკოლო დაწესებულებების რაოდენობის ოპტიმიზაციას. პედაგოგიური კადრების რაციონალური გამოყენებით და შენობა-ნაგებობების ოპტიმიზაციით იზოგება თანხების ნაწილი, რომელიც მოხმარდება სასწავლო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებას და შრომის ანაზღაურების ზრდას.

საგანმანათლებლო პოლიტიკის რეალიზაცია დაკავშირებულია სხვა რესურსების გამოყენების ეფექტიანობასთან, მაგალითად, პროგრამების მიზანშეწონილობასთან. ეფექტიანობა მცირდება მაშინ, როდესაც ბოლომდე არ არის გააზრებული პროგრამების მიზანშეწონილობა, ხდება არამიზნობრივი პროგრამების დაფინანსება და ა.შ. გარდა ამისა, ფინანსური რესურსები ყოველთვის შეზღუდული იქნება, მაშინაც კი, როდესაც ქვეყანა გადალახავს საბიუჯეტო კრიზისს, ამიტომ ეფექტიანობის საკითხი ყოველთვის აქტუალურია. ამ მხრივ საქართველოს სტატისტიკურ-ინფორმაციული ბაზის სრულყოფა და სოციოლოგიური გამოკვლევები აუცილებელი პირობაა მდგომარეობის ანალიზისა და სამომავლო ამოცანების განსაზღვრისათვის.

თაზო XVIII

განათლების რეფორმის განვითარება საქართველოში

საქართველოში განათლების სფეროში არსებული პრობლემებიდან გამომდინარე დასახული რეფორმისტული ღონისძიებები მიზნად ისახავს განათლების სისტემაში შემორჩენილი საბჭოთა მოდელისა და კრიზისის აღმოფხვრას, რაშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს არა მარტო ცენტრალურმა სახელმწიფო ორგანიზაციებმა, ვისაც ხელეწიფება რეფორმების გატარება, არამედ რეგიონულმა, რაიონულმა ორგანიზაციებმა, ბიზნესმენებმა და მოსახლეობამ მთლიანად, რომელთა ინტერესების გათვალისწინების გარეშეც რეფორმების განვითარება შეუძლებელი იქნება.

განათლების ხარისხის ამაღლება აუცილებელია ცხოვრების დონის ასამაღლებლად. ამ პროცესში მონაწილეობს სხვადასხვა სუბიექტი: ინვესტორები, სახელმწიფო და მოქალაქეები. მათი ინტერესების გათვალისწინებით მჭიდრო ურთიერთობების დასამყარებლად არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს რეფორმების ერთიანი რეცეპტი ყველა ქვეყნისათვის, თუმცა მრავალი ქვეყნისათვის იგი ტიპურია, მაგალითად, დამოკიდებულება განათლებასა და შრომის ბაზარს შორის. ასეთი ტიპური ურთიერთობების დასამყარებლად საჭიროა ისეთი ღონისძიებების გატარება, რომლებიც უზრუნველყოფს განათლების უწყვეტობას ცვალებადი გარემოს შესაბამისად.

განათლების იდეის რეალიზაცია საზოგადოდ განათლების სისტემის განვითარების აუცილებელი პირობაა. მას უნდა დაეკვემდებაროს განათლების სისტემის ინსტიტუციური მოწყობა და საზოგადოების პოლიტიკური ნება.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები განათლების სისტემაში

რეფორმის განხორციელებას განათლებაში აქვს პოლიტიკური, ინსტიტუციური, ეკონომიკურ-ფინანსური, პედაგოგიური, ინფორმაციული და სხვა ასპექტები. პოლიტიკური ასპექტით რეფორმები ემყარება შემდეგ ღონისძიებებს:

1. განათლების სისტემის განვითარების ერთიანი პოლიტიკის შემუშავება. განათლების სხვადასხვა დონის განვითარება განსხვავებულ სოციალურ მიზნებს ემსახურება. საბაზო განათლებას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი საზოგადოების უსაფრთხო და სტაბილური განვითარებისათვის, ჯანმრთელი სოციალური ორგანიზმის შენარჩუნებისათვის, მომავალი კვალიფიციური სპეციალისტების აღსაზრდელად. იგი მასობრივი და საყოველთაო უნდა იყოს და თავისი მნიშვნელობით სახელმწიფოს უპირველეს საზრუნავს უნდა წარმოადგენდეს. საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლება საზოგადოების სოციალური შემადგენლობის ფორმირების ქვაკუთხედიანია. მისი განვითარების დონეზეა დამოკიდებული გლობალური უპირატესობების გამოყენება ქვეყანაში. განათლების შემდგომი საფეხურები კი პროგრესის უშუალო გენერატორებია, რომლებიც ყოველი ქვეყნის წარმატებებს წარმოაჩენს გლობალური სარგებლიანობის თვალსაზრისით. შესაბამისად, პოლიტიკა განათლების სხვადასხვა საფეხურის მიმართ განსხვავებული უნდა იყოს. არსებითად კი განსხვავებული უნდა იყოს როგორც სახელმწიფოს მიერ მათი უზრუნველყოფის, ასევე ინდივიდისა და მეწარმეთა ინტერესები. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა გულისხმობს თითოეული ინსტიტუტის ინტერესის განხორციელებისათვის ხელშეწყობას დროში და სივრცეში ეკონომიკის ეფექტიანი განვითარების მიზნით.

2. ინსტიტუციური თვალსაზრისით პოლიტიკის განხორციელების ძირითადი ღერძია სახელმწიფოს როლი განათლების სისტემაში. ცხადია, რომ საბაზო განათლება მთლიანად უნდა უზრუნველყოს სახელმწიფომ. დროებითი საბიუჯეტო პრობლემები არ უნდა გულისხმობდეს ამ პრინციპიდან გადახვევას. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს საყოველთაო საბაზო განათლება, მაგრამ ეს არ გამორიცხავს კერძო სასწავლებლების არსებობას, რომელიც თავისი განსაკუთრებული რეჟიმით მხოლოდ ცალკეული ფენებისთვისაა ხელმისაწვდომი. ამასთანავე, საბაზო პროგრამები საერთო უნდა იყოს ქვეყნის მასშტაბით.

- საშუალო სპეციალურ და პროფესიულ განათლებას გარდამავალ პერიოდში აუცილებლად სჭირდება სახელმწიფოს ხელშეწყობა, რამდენადაც კერძო ბიზნესი ახლადფეხადგმულია და მას დაკვეთების მიცემა განათლების ამ ფორმისათვის შეზღუდული ექნება. დროთა განმავლობაში სახელმწიფოსა და მეწარმეთა ფუნქციები შეენაცვლება ერთმანეთს და პრიორიტეტი სპეციალისტთა მომზადებაზე კერძო მეწარმეებს მიენიჭებათ. სახელმწიფო ხელშეწყობა მიზნად

უნდა ისახავდეს იმ ახალგაზრდების სპეციალურ პროფესიულ სასწავლებლებში გადაბირებას, რომელთა ინტერესები არ შეესაბამება უმაღლესი განათლების მოთხოვნებს. ასეთი პოლიტიკის შედეგად პროფესიული სასწავლებლები ჩაენაცვლება დაბალი ხარისხის უმაღლეს სასწავლებლებს, რის შედეგადაც გაიზრდება უმაღლესი განათლების პრესტიჟი და მოთხოვნები.

- უმაღლესი განათლების სისტემაში კი სახელმწიფოს როლი ამჟამად ახლებური პოლიტიკის გატარებას მოითხოვს. ამ ტიპის სასწავლებლებისათვის ავტონომიურობის მინიჭება რეფორმის მხოლოდ პირველი საფეხური იყო. ამჟამად საჭიროა სპეციალისტთა მომზადება არსებითად დაუახლოვდეს შესაძლებელ საბაზრო მოთხოვნებს და მათი დაგეგმვა განხორციელდეს უპირველეს ყოვლისა ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების მიზნით, რაც პირველ ეტაპზე შეამცირებს სტუდენტთა შესაძლო კონტინგენტს, მაგრამ გაზრდის თითოეულ სტუდენტზე დანახარჯების ოდენობას. ხარისხობრივ პარამეტრებზე აქცენტირება აუცილებელია განათლებისა და მეცნიერების საექსპორტო დარგად გადაქცევის მიზნით.

- ნორმებისა და სტანდარტების შემუშავება. ხარისხობრივ მაჩვენებლებზე ყურადღების გამახვილება ნიშნავს საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას განათლებაში. ამ სფეროში დაწყებით ეტაპზე აუცილებლად მიგვაჩნია უცხოელი ექსპერტებისა და ორგანიზაციების მონაწილეობა.

- სკოლამდელი და დაწყებითი განათლების სისტემის უმაღლესი სტანდარტებით უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია: სასწავლო გეგმებისა და პროგრამების დახვეწა; მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება; სასწავლო მასალებისა და სახელმძღვანელოების უზრუნველყოფა; ტექნიკური დახმარება;

- საჭიროა საგანმანათლებლო სტანდარტების, პროგრამებისა და, რაც მთავარია, შეფასების სისტემების შესაბამისობაში მოყვანა განათლების ყველა საფეხურისათვის. პრობლემა საყოველთაოა. იგი უნდა შეეხოს როგორც სკოლებს, ასევე უმაღლეს სასწავლებლებს. ამ შემთხვევაში ინიციატივა სახელმწიფომ უნდა გამოიჩინოს. ეს იქნება რეალური ნაბიჯები ევალიტარული პოლიტიკიდან დემოკრატიულ პოლიტიკაზე გადასასვლელად.

3. ეკონომიკურ-ფინანსური თვალსაზრისით სახელმწიფოს ფუნქცია უნდა იყოს უთანასწორობის შემცირება. იგი ასოცირებულია სახელმწიფოს პირდაპირ

ფუნქციასთან და გულისხმობს ღარიბებისათვის განათლების ყველა დონისადმი ხელმისაწვდომობას სხვა სოციალური ფენების თანაბრად. სახელმწიფოს ფინანსური მექანიზმები განათლების სფეროს სხვადასხვა დონისათვის დაკვეთების დროს უპირველეს ყოვლისა ამ მიზნით უნდა ხელმძღვანელობდეს და იგი უნდა იყოს სასწავლო დაწესებულებების აკრედიტაციის, ატესტაციის და მონიტორინგის ერთ-ერთი მოთხოვნა.

- განათლების ხარისხის ყველა შესაძლო ბერკეტით რეგულირება. ამ საქმეში არა მარტო სახელმწიფოს, არამედ კერძო მეწარმეებისა და მთელი საზოგადოების მონაწილეობა განათლების განვითარების აუცილებელი პირობა უნდა გახდეს.

4. ეკონომიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია საკრედიტო სისტემის დანერგვა;

- მიზანშეწონილია, განხორციელდეს დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაცია;

- სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს ზოგადად უმაღლესი და მათ შორის უმაღლესი პედაგოგიური განათლების დარგის რეაბილიტაციას. ამ სფეროში საჭიროა: ფინანსურ-მატერიალური მხარდაჭერა; სახელმწიფო და უცხოური ინვესტიციების მოზიდვა; ადამიანისეული რესურსების სწორი განაწილება კი სახელმწიფო მნიშვნელობის პირობად უნდა იქცეს;

5. პედაგოგიური თვალსაზრისით მიშვნელოვანია:

- ქართული საგანმანათლებლო ტრადიციების შენარჩუნება. ამ გზით უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ქართული საგანმანათლებლო კულტურის ადგილი მსოფლიო ცივილიზაციაში.

- საშუალო განათლების საფეხურზე საფუძველი უნდა ჩაეყაროს მოქნილი სამუშაო ძალის ფორმირებას. ამ მიზნით: გატარდეს საშუალო და პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის რეორგანიზაცია; დაინერგოს სპეციალური პროგრამები; გადამუშავდეს სასწავლო გეგმები; გადამზადდეს მასწავლებლები;

- პედაგოგების კვალიფიკაციის ამაღლება შეიძლება განხორციელდეს: მეცნიერული კვლევების გაფართოებით; სასწავლო პროგრამების სრულყოფით; სხვადასხვა სასწავლებლის კათედრების ურთიერთთანამშრომლობის, სასწავლებლების საერთაშორისო ინტეგრაციისა და ინტერნაციონალიზაციის გზით.

- ყურადღების გამახვილება საშუალო, პროფესიულ და უმაღლესი განათლების

სფეროზე გულისხმობს: პროფესიული (საშუალო და უმაღლესი) განათლების სფეროში საკანონმდებლო ბაზისა და სასწავლო გეგმებისა თუ პროგრამების სრულყოფას; ინფორმაციული უზრუნველყოფის გზით აბიტურიენტებისათვის პროფესიული არჩევანის გაადვილებას; უმაღლესი განათლების სფეროში მრავალფეროვანი ცოდნის მისაღებად სოციალური ფენებისა და ადამიანების ინტერესების გათვალისწინებას;

- სწავლების ყველა დონეზე აუცილებელია: ინოვაციებისა და სწავლების ახალი ტექნოლოგიების დანერგვა; სასწავლო პროცესის პედაგოგიზაცია-ჰუმანიზაციის გააქტიურება; სწავლების აქტიური მეთოდების შემოტანა;

- დიპლომის შემდგომი განათლება უნდა მოექცეს ერთიან ინსტიტუციონალურ სისტემაში. მართალია, ეს საკითხი სადავოდაა მიჩნეული, მაგრამ განათლების რეფორმის პირველ ეტაპზე მაინც, როცა შესაცვლელია თვით პედაგოგიური ცნობიერება, რომ არაფერი ვთქვათ კონკრეტულ ტექნოლოგიებზე, შეუძლებელია წარმატების იმედი ვიქონიოთ მხოლოდ კერძო ინიციატივის დონეზე.

- სკოლის შემდგომ პერიოდში უნდა განვითარდეს დივერსიფიცირებული სასწავლო განათლება, რაც შესაძლებლობას მოგვცემს სტუდენტებმა მოახდინონ თავიანთი ფართო ინტერესების რეალიზაცია და ეკონომიკა უზრუნველყოფილ იქნეს მაღალკვალიფიციური და განათლებული მუშაკებით. ამ სისტემაში რეფორმა მოიცავს: ალტერნატიული ხანგრძლივი საუნივერსიტეტო პროგრამების შემუშავებას; უნივერსიტეტების ავტონომიურობასთან ერთად ახალი სპეციალობების დანერგვისათვის და რესურსების ეფექტიანობის ასამაღლებლად სტიმულების დანერგვას; ბიბლიოთეკებისა და საინფორმაციო მომსახურების მოდერნიზაციას;

- მნიშვნელოვანია, დაიგეგმოს და განხორციელდეს ახალგაზრდობის პროფესიულ ორიენტაციათა დიაგნოსტიკისა და პროგნოზირების ღონისძიებები.

- სტუდენტთა თვითმმართველობის შემდგომი გადრმავება და საქმიანობის თანამედროვე ფორმებისათვის ხელშეწყობა;

- სამართლიანობის დაცვა. იგი უნდა ხორციელდებოდეს საზოგადოებაში არსებული ტრადიციული წარმოდგენებისა და კულტურის შესაბამისად და მოიცავდეს საზოგადოების ეკონომიკური, ფინანსური, მორალური, რელიგიური და სხვა ფასეულობების რეალიზაციას.

6. სასწავლებლების ინსტიტუციური მოწყობის სხვა მიმართულებებია:

- ზოგადსაგანმანათლებლო და საშუალო პროფესიული განათლების ოპტიმალური თანაფარდობის ფორმირების გზით სწავლის ხარისხის გაუმჯობესება;

- განათლების სისტემის დეცენტრალიზაცია. სასწავლო დაწესებულებების სისტემის დეცენტრალიზაცია ადგილობრივი საგადასახადო ბაზის გაფართოების გარეშე უარყოფით ეფექტს იძლევა. ამის მაგალითია საქართველოში სკოლამდელი განათლების დაწესებულებების მოშლა. ამიტომ მიზანშეწონილია, რეფორმა განათლების სექტორში სხვა სექტორების რეფორმებთან კომპლექსში განხორციელდეს.

- ადგილობრივ მოთხოვნებზე რეაქციის გასაადვილებლად ინფორმაციის გავრცელების გზით სტანდარტების უზრუნველყოფა;

- შრომის ბაზარზე კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად მათი კვალიფიკაციის ზრდასთან ერთად სახელმწიფო და კერძო სექტორს შორის პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბება და შესაბამისი კვალიფიკაციის მუშაკების მომზადების სფეროში დაფინანსების რეფორმა;

7. მიზანშეწონილად მიგვაჩნია კერძო სასწავლო სისტემის არა გაფართოება, არამედ სახელმწიფოს მხრიდან რეგულირების, კონტროლის გაძლიერება; კერძო სასწავლებლების ლიცენზირების პროცესის გამკაცრება.

- კერძო ტიპის სასწავლებლებში სწავლების ხარისხის ასამაღლებლად საჭიროა: პედაგოგების კონსოლიდაცია; უმაღლესი სასწავლებლების ინსპექტირება.

8. ინფორმაციული სისტემების განვითარება მომხმარებლის უფლებების დასაცავად და სასწავლო დაწესებულებების არჩევითობის გაადვილების მიზნით საჭიროა: კონტროლისა და გამოცდების ეროვნული სისტემის დანერგვა; კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის პრაქტიკის შემოღება; ინფორმაციების გავრცელება, რომლებიც ასახავს სასწავლო დაწესებულებების საქმიანობასა და წარმატებებს;

9. პედაგოგიური თვალსაზრისით სწავლების ეფექტიანობის გაზრდის სტრატეგიული ამოცანაა:

- სასწავლო მასალის გადაცემიდან აქცენტების გადატანა სწავლების შედეგიანობის ხარისხზე;

- მასწავლებლების მიერ ცოდნის გადაცემის ეფექტიანობის ამაღლება;

- ცოდნის შეფასების ახალი სისტემის შემუშავება;
- სასწავლო გეგმების შემუშავება;
- ეკონომიკური თვალსაზრისით:
 - ინფორმაციულ-სტატისტიკური ბაზის ფორმირება;
 - ეფექტიანობის, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის ხარისხის ამაღლება;
 - კადრების სტრუქტურული თანაფარდობის სრულყოფა;
 - პედაგოგიური კადრების გადამზადება;
 - სასწავლო დაწესებულების მენეჯერების მომზადება და მოქმედი მმართველი სუბიექტების კვალიფიკაციის ამაღლება;
 - ხარჯების გაანგარიშება შედეგიანობის თვალსაზრისით;
 - დასაქმებული მუშაკების ოპტიმიზაცია
- ფინანსური თვალსაზრისით:
 - დამატებითი ფინანსური წყაროების მოზიდვა;
 - ფინანსური რესურსების ეფექტიანად გამოყენება;
 - საგრანტო და საკრედიტო სისტემების დანერგვა;

ეს და სხვა ღონისძიებები სასკოლო, პროფესიული მომზადებისა და დიპლომის შემდგომი განათლების სფეროში განათლების მთელი სისტემის ერთ კომპლექსად წარმოდგენას გულისხმობს. განათლების პრობლემა გამოდის ერთი უწყების მოქმედების არეალიდან, ახალი მისიის განხორციელებაში კი მაკოორდინირებელი როლი სახელმწიფომ უნდა შეასრულოს. გასათვალისწინებელია მოსახლეობისათვის კეთილმოყოფელი საგანმანათლებლო გარემოს შექმნაც. უამისოდ შეუძლებელია ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, რაც დემოკრატიული, სამოქალაქო საზოგადოების აუცილებელი ატრიბუტია.

დაბოლოს, კადრების მომზადებისა და განათლების სისტემის რეფორმირების სტრატეგიის შემუშავებისას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ინფორმაციას. იგი უნდა იყოს ყველასათვის ხელმისაწვდომი, რათა მშობლებმა, უმუშევრებმა, სტუდენტებმა და ა.შ. შეძლონ დასაბუთებული არჩევანის გაკეთება. კერძო მეწარმეებმა კი მონაწილეობა მიიღონ შესაბამისი პოლიტიკის ფორმირებაში, ხოლო საზოგადოების ფართო მასებმა უნდა იცოდნენ ამ დარგის განვითარებისა და სრულყოფის პერსპექტივები, რადგან იგი მომავალშიც ისევ მოსახლეობის გადასახადების საფუძველზე შეიძლება განვითარდეს.

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობა

თავი I

განათლების ეკონომიკური თეორიის საგანი

- §1. ეკონომიკა, განათლება და განათლების ეკონომიკური თეორია
- §2. განათლება როგორც დარგი
- §3. განათლების ეკონომიკის ძირითადი პრობლემები

თავი II

ადამიანისეული კაპიტალი

- §1. ადამიანისეული კაპიტალის თეორიის წარმოშობისა და განვითარების ისტორია
- §2. საგანმანათლებლო სარგებელი და ადამიანისეული კაპიტალი
- §3. ახალი ასპექტები ადამიანისეული კაპიტალის თეორიაში
- §4. შრომის ნაყოფიერება და ადამიანისეული კაპიტალის თეორია

თავი III

სახელმწიფოს როლი განათლებაში

- §1. ადრინდელი შეხედულებები სახელმწიფოს როლზე
- §2. სახელმწიფოს თანამედროვე როლი
- §3. საზოგადოებრივი საქონელი და მოთხოვნა
- §4. სახელმწიფოს სხვა ფუნქციები

თავი IV

განათლების სარგებლიანობა

- §1. ადამიანისეული კაპიტალისადმი მიდგომა
- §2. განათლების სარგებლიანობის სტრუქტურა
- §3. განათლების სარგებლიანობის გაზომვის მეთოდები
- §4. განათლების სარგებლიანობის შეფასების პრობლემები
- §5. ადამიანისეული კაპიტალის კრიტიკული ჰიპოთეზები

თავი V

საგანმანათლებლო ღირებულება

თავი VI

განათლების სარგებლიანობის შეფასებების თეორიული მოდელები

- §1. უკუგების კვლევის პრინციპები განათლებაში
- §2. განათლების ეკონომიკური სარგებლიანობის შეფასებები

§3. შრომის ბაზრის როლი განათლებიდან მიღებული სარგებლიანობის შეფასებაში

§4. არაფულადი სარგებელი

§5. ქვეყნებს შორის განსხვავებები

თავი VII

განათლება და ეკონომიკური ზრდა

§1. ეკონომიკური ზრდა

§2. განათლების სტრატეგია

§3. განათლება და ეკონომიკური ზრდა: მეთოდოლოგიური ასპექტები

§4. განათლებისა და წარმოების ურთიერთკავშირის ბუნება თანამედროვე პერიოდში

§5. განათლებისა და ეკონომიკური ზრდის ურთიერთმიმართება ადამიანისეული კაპიტალისა და ტექნიკურ-ფუნქციონალურ თეორიებში

§5. უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების კურსდამთავრებულებზე მოთხოვნა-მიწოდების პრობლემა

თავი VIII

განათლების საწარმოო და ღირებულებითი ფუნქცია

§1. განათლების საწარმოო ფუნქცია

§2. განათლების საწარმოო ფუნქციის შეფასება

§3. განათლების სისტემის ზოგიერთი მაჩვენებელი საქართველოში

თავი IX

განათლების დაგეგმვა

§1. განათლების სისტემის დაგეგმვის პრინციპები

§2. ჭარბგანათლება

§3. განათლების დაგეგმვის მაკრო და მიკრომოდულები

თავი X

მასწავლებელთა ხელფასები

§1. ძირითადი პრობლემები

§2. მასწავლებელთა ხელფასები საქართველოში

თავი XI

განათლების სოციალურ-კლასობრივი თეორიები

§1. განათლების სტრატეგიკაციული თეორიები

§2. სოციალური კონფლიქტის თეორიის სხვა ასპექტები

§3. განათლების კლასობრივი თეორიები

თავი XII

განათლების ინსტიტუციური თეორიები

§1. ინსტიტუციური თეორიის ძირითადი ასპექტები

§2. განათლების სოციალურ-ეკონომიკური თეორიების სინთეზის მიზანშეწონილობა

§3. სოციალურ-ეკონომიკური თეორიების გავრცელება

თავი XIII

გლობალიზაცია და უმაღლესი განათლების როლი

სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებაში

§1. გლობალიზაცია და განათლების ინტეგრაცია

§2. გლობალიზაცია და სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკა

§3. სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების ძირითადი სუბიექტები

§4. გლობალიზაციის ზოგიერთი საშიშროება სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაში პოსტკომუნისტური ქვეყნების მაგალითზე

თავი XIV

განათლების სისტემა და პრობლემები საქართველოში

§1. განათლების სისტემის სოციალური ევოლუცია საქართველოში

§2. განათლების თანამედროვე მოთხოვნები

§3. განათლების სისტემის უახლოესი მემკვიდრეობა და ახალი სისტემის ფორმირების წინაპირობები

§4. განათლების სისტემის გარდაქმნის ამოცანები და მისი მიმდინარეობა საქართველოში

თავი X

საქართველოს განათლების სისტემის ინსტიტუციური გარდაქმნები

§1. დაწყებითი და საშუალო სასწავლო დაწესებულებების ინსტიტუციური გარდაქმნის მიმართულებები

§2. საშუალო სპეციალური, პროფესიული და უმაღლესი განათლება

§3. უწყვეტი განათლება - რეფორმის ძირითადი მიმართულება

თავი XVI

განათლების დაფინანსების ძირითადი პრინციპები და წყაროები

§1. თანასწორობა განათლების სფეროს დაფინანსებაში

§2. გადასახადები და საბიუჯეტო სისტემა

§3. ტრანსფერტები

თავი XVII

განათლების სახელმწიფო დაფინანსების სისტემა

§1. სახელმწიფო დაფინანსების მიზანშეწონილობა

§2. დაფინანსების შერეული სისტემა

§3. დაფინანსება და ეფექტიანობა

თავი XVIII

განათლების რეფორმის განვითარება საქართველოში

ლიტერატურა